

ზურაბ გოცვაძე

იაკობ გოგებაშვილი

გამომცემლობა „განათლება"
თბილისი – 1991

74.03
ბ 898

ნაშრომში წარმოდგენილია დიდი ქართველი პედაგოგისა და პუბლიცისტის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაკლებად შესწავლილი საკითხები. დღემდე დაუმუშავებელი მდიდარი საარქივო მასალების საფუძველზე ვრცლად არის წარმოდგენილი მისი ბიოგრაფია. მასში ახლებურად არის შესწავლილი ი. გოგებაშვილის ღვაწლი მშობლიური ენის დაცვისა და განვითარების, ქართული საბავშვო მწერლობის აღორძინების, ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრების, მისი ნორჩი თაობისათვის გადამუშავებისა და ქართული ეურნალისტიკის განვითარების საქმეში.

ნაშრომის მეორე ნაწილში წარმოდგენილია დღემდე გამოუქვეყნებელი ი. გოგებაშვილის თანამედროვეთა მოგონებები, რომლებიც რესპუბლიკის არქივებსა და მუზეუმებში არის დაცული და ავსებენ დიდი პედაგოგის, როგორც პიროვნებისა და მისი ფასდაუდებელი ღვაწლის ნათლად წარმოდგენას მკითხველი საზოგადოებისათვის.

ნაშრომი დახმარებას გაუწევს როგორც უმაღლესი სასწავლებლების ქართული ფილოლოგიისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის სტუდენტებს, აგრეთვე პედაგოგიკისა და ქართული ლიტერატურის სპეციალისტებს, მკითხველ საზოგადოებას ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლისათვის.

წიგნი ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო თარიღს, დაბადებიდან 150 წლისთავს.

რეცენზენტები: პროფ. ბ. ჩაჩიბაია, დოც. ქ. კოკაშვილი

5002000000—522
В———————289—90
М-602 (08) — 89

ISBN 5-505-00983-2

© ზ. ბოცვაძე, 1991

წინათქმა

ქართველი სამოციანელების თანავარსკვლავედში იაკობ გოგებაშვილის სახელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მისი ცხოვრების გზა იუდა-დევადატებისნაირთა ღვარძლით, შურისა და მტრობის ნარ-ეკლით იყო მოფენილი. მიუხედავად ამისა, იგი არ უშინდებოდა არაფერს, თავისი ბასრი კალმით ბიბლიური იაკობივით ერკინებოდა ყველას, ვინც კი ქართველი ერის, მისი წმინდა ენის წინააღმდეგ გამოლაშქრებას დაეპირებდა.

XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული ქართული სასწავლებლები პირწავარდნილი რუსიფიკატორების ბიუროკრატიზმისა და ბოროტმოქმედების ასპარეზს წარმოადგენდა.

ქართულ ენას ჯვაროსნული ომი გამოუცხადეს.

ენის წართმევა კი სასიკეთოს არაფერს უქადდა ქართველ ხალხს.

იაკობ გოგებაშვილი მტკიცე ფარად აღიმართა მათ წინააღმდეგ და თანამემამულეებს სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა:

„...დროა, ყველამ თავის წრეში უკანონო დაბრიყვება ითაკილოს, შეებრძოლოს მას და აღადგინოს თავისი ადამიანური ღირსება. დროა გავაჩაღოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ყოველის ჩვენის დათრგუნულის უფლებისა, საარსო მოთხოვნილებისა, გავაჩაღოთ არა მარტო ჩვენს ენაზედ, არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიაც, გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინაურებულს დასს რუსეთისას, დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის“.

იაკობ გოგებაშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ქართული ენა მუდამ ცოცხალ ენად დარჩენილიყო, როგორც მრავალი საუკუნის მანძილზე შევსებული და გამდიდრებული უძველესი ენა, ქამთა სელამ რომ ვერაფერი დააკლო. თითოეული ქართველის უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა, რათა წინაპართა მსგავსად მტკიცედ დაეცვათ მშობლიური ენის სიწმინდე.

იაკობ გოგებაშვილის მხატვრული პროზა, სახელმძღვანელოები და პუბლიცისტური წერილები მშობლიური ენის დაცვის სამსახურში იდგა.

იაკობ გოგებაშვილის უშუალო ინიციატივით 1879 წელს დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის უპირველესი მიზანი მშობლიური ენისა და ეროვნული თვითშეგნების განვითარება იყო. მისივე ინიციატივით დაარსებული სალარო ქართული სკოლების გახსნასა და მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნების გამოცემას ხმარდებოდა.

იაკობ გოგებაშვილმა ვარიანელი გლეხებისაგან შეიგრძნო პირველად ხალხური საუნჯის სურნელი; ამ საუნჯით უხვად არის გამდიდრებული მისი სახელმძღვანელოები. 1881 წლის 17 დეკემბერს, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე წამოაყენა წინადადება, რათა სოფლის მასწავლებლებს შეეკრიბათ ხალხური სიბრძნე, ხოლო ამ საქმის წესიერად შესრულებისათვის იაკობ გოგებაშვილსა და პეტრე უმიკაშვილს დაევალათ შეედგინათ პროგრამა, რომელიც საზოგადოების მომდევნო სხდომაზე იქნა დამტკიცებული.

იაკობ გოგებაშვილს ზეპირსიტყვიერების ნიმუშების გაცნობა და შესწავლა მშობლიური ენის განვითარებისა და გამდიდრების მთავარ საშუალებად მიაჩნდა. იგი მოუწოდებდა მასწავლებლებს, რომ სოფლის გლეხკაცობაში, მწყემსებში, მესტვირეებში შეეკრიბათ ხალხური სიბრძნე— ზღაპრები, ანდაზები, ლექსები და მიეწოდებინათ საზოგადოებისათვის.

იაკობ გოგებაშვილი თავისი დაუღალავი შრომით, პრაქტიკული საქმიანობით მუდამ იმისათვის იღვწოდა, რომ მშობლიურ ქვეყანას განათლებული ახალგაზრდობა ყოლოდა. მას ღრმად სწამდა, რომ ის ერი, რომელსაც ფართოდ ერუდირებული ინტელიგენცია ჰყავს, სხვა ერთა შორის მტკიცე ადგილს დაიმკვიდრებს და ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოების თითოეულ წევრს თავისი სიცოცხლის უმთავრეს საგნად ქვეყნის ბედნიერება გაუხდია, „ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგვის გული მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა...“

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური, მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობა ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი, ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი ის ღვაწლი, რომელიც დიდ მოაზროვნეს მიუძღვის ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ცხოვრება

XIX საუკუნის იმ სახელოვან მოღვაწეთა შორის, რომელთაც საკუთარი მხრებით ზიდეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტვირთი და საკუთარი სიცოცხლე ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე მიიტანეს, ერთ-ერთ კოლორიტულ ფიგურას წარმოადგენს დიდი ქართველი პედაგოგი, მწერალი, ჟურნალისტი და პუბლიცისტი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა 1840 წლის 27 ოქტომბერს სოფელ ვარიანში, რომელიც გორიდან 7-8 კილომეტრის დაშორებით, მდინარე ლიახვის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. სწორედ ამიტომ აირჩია ფსევდონიმად „ვარიანელი".

იაკობ გოგებაშვილი ერთ თავის პატარა ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „ჩვენი სოფელი" ასე აგვიწერს მშობლიურ სოფელს:

„ჩვენწ სოფელს ვარიანი ჰქვიან. მცხოვრებნი სულ გლეხები არიან. ას კომლამდე იქნებიან. ახლო-მახლო ცხოვრობენ. ქვითკირის შენობა მხოლოდ ზოგიერთს უდგია. სხვები ცხოვრობენ ან მიწურში ან ქვა-ტალახა სახლებში. სახლებისვე გვერდით გაკეთებული აქვთ ბოსლები და ბაკები. ამის გამო სოფელს სისუფთავე აკლია. რადგანაც სოფელი მჭიდროდ არის დასახლებული, ამის გამო პატარა ადგილი უჭირავს".

ვარიანს ირგვლივ ერტყა ვენახები და ხახნავ-სათესი მიწები.

„სამხრეთით ვარიანს მოზრდილი ჭაობი უძევს. ამ ჭაობს მეტად ცუდი სუნი ასდის, რომელიც სწამლავს ჰაერსა და აჩენს ავ ციებას ზაფხულობით. ბედად, ვარიანში თითქმის ყოველ დღე ქარი ჰქრის და ფანტავს ამ მოშხამულს ჰაერსა, თორემ უარესი დაეშართებოდათ ვარიანელებს...

პატარაა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ ვიხილე სინათლე შზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი

ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი; იქაურ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოვყავდი; იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი. იქვე სასაფლაოზე მარხიან ჩემი ძვირფასი დედ-მამა, ძმები, ნათესავები".

შიო მღვიმელი მოგონებაში იაკობ გოგებაშვილის შესახებ, ასე აგვიწერს ვარიანის ჰავას:

„იმ დროს, როცა მე პატარა ვიყავი, ვარიანი ციებ-ცხელებიან სოფლად ითვლებოდა... ვარიანს სამხრეთით ახლდა დიდი ჭაობი, რომელსაც „ჩალიანი"-ს ეძახდნენ. ამ ჭაობიანში მუდამ ზაფხულობით ჩალასა გლეჯდნენ ჭილობების საქსოვად და იქერდნენ წურბელებს მოსაკიდებლად.

ალბათ ეს იყო თავი და თავი მიზეზი, რომ იაკობ გოგებაშვილმა, რაც თავი შეისწავლა და ცხოვრებაში გამოვიდა, თავის სოფელ ვარიანს, სადაც მან სიყმაწვილე გაატარა, ახლოს აღარ გაჰკარებია"[1].

სოფელ ვარიანში ჰავა არაჯანსაღი იყო და სწორედ ეს გახდა მიზეზი იაკობის ფილტვებით გამუდმებული ავადმყოფობისა. იაკობის დედა, ძმა და ერთი დაც ჭლექით გარდაიცვალნენ.

იაკობის მამა სიმონი სოფელ ვარიანში მღვდლად მუშაობდა. იგი დაიბადა სოფელ ახალდაბაში 1804 წელს.

ქართლის დიდი ფეოდალები — მაჩაბლები ამ წლებში დიდ წინააღმდეგობას აწყდებოდნენ გლეხობაში. სიმონის მამა მაჩაბლების ყმა იყო და მათ წინააღმდეგ ამბოხების დროს დაიღუპა. ამის შემდეგ მაჩაბლები ალმაცერად უყურებდნენ პატარა სიმონს, რომელიც ენერგიული ახალგაზრდა იყო და შალე საკუთარი ძალ-ღონით ერთი ჩარექი ვენახიც კი გააშენა.

სვიმონის ზნე-ხასიათი, მისი შეუპოვარი ბუნება კარგად არის გადმოცემული ანა გოგებაშვილი-ბიბილურის მოგონებაში:

„...სიმონი მაჩაბლიანთ ყმა იყო. ერთი ჩარექი ვენახი სა-

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმში, შ. მღვიმელის ფონდი № 20366-ბ.

ქუთაისი ხელით დაამუშავა. კულუხსა და სხვა გადასახადებს წესიერად უხდიდა ბატონს, მაგრამ მას ვერა დაანაბეზა რა. ბატონი სულ დოყში უდგა, მიზეზებს უკრებდა — მაძაშენი ერთ დროს ჩვენ მოსვენებას არ გვაძლევდაო. მან თვალი დაადგა სიმონის გაშენებულ ვენახს. რთველობა მოახლოვებული იყო. მაჩაბელმა მოისურვა, რომ სავსე ვენახი წაერთმია მისთვის. დიდი მიხლა-მოხლის შემდეგ სიმონმა გაცლა არჩია. ის შეეკედლა ვარიანს. ახალდაბის თავმა კაცებმა შეარცხვინეს მაჩაბელი, დააცხრეს მისი ავკაცობა, მოალბეს: სიმონი გამრჯე კაცია, შენც და სოფელსაც გამოადგებაო. თუ მისმა მამამ და ბიძებმა ოდესღაც აწყენინეს გასწვენებულ მამაშენს, მაგისი რა ბრალიაო. ურჩიეს შეერიგებინა სიმონი. მაჩაბელი დაუფიქრდა თავის საქციელს და მოისურვა სიმონთან შერიგება. იგივე თავკაცები გაგზავნა ვარიანში სიმონთან შუაკაცებად, — აღარაფერს გერჩი, შენს სახლკარს დაუბრუნდი, და ვფიცავ ჯვარსა და სახარებას, სასწაულმოქმედ წმინდა გიორგის, ხელს აღარ გახლებ არც შენ და არც შენს გაშენებულ ვენახსაო. მაგრამ ის ბატონი მაინც იმ წლის მოსავალსა სთხოვდა. მის საბადლოდ სახნავ მიწებს მოგიზომავო. მაგრამ სიმონი ჯიუტი კაცი იყო. რაკი ერთი ურჩობაზე დასდო თავი, ველარ გადაათქმევინეს.

— თავი დამანებეთ, მეზობლებო, — ასე მიმართა სიმონმა შუაკაცებს, — ტყუილად ირჯებით, მე იქ დამბრუნებელი აღარა ვარ. ან როგორ დავუბრუნდე თქვენს სოფელს? ისევ ბატონთან გავჩერდე? დავუჯერო მაგის ფიცს? არა, ძმებო და მეზობლებო, მაგის ფიცს თაბაუთი არა აქვს. განა ცოტაჯერ გაუტეხია ფიცი? ეგ სიტყვის კაცი არ არის. მაგისი დაპირება თვალთმაქცობაა. დავბრუნდები, დავამუშავებ მიწას, ვენახს, მოსავალს კი ეგ წამართმევს. იცით რა, მეზობლებო, მოდით და ეს სიკეთე მიყავით, გადაეცით იმ ჩემს ბატონს, რომ ის ჩემი ქოხიც, ის ვენახიც მისთვის დამითმია, ოღონდ ერთხელ და სამუდამოდ ჩამომეხსნას. მე არც ბატონი მინდა და არც მისი ნაფუძრები“.

გასაგებია, როგორი გაბედული და თამამი უნდა ყოფილიყო იმ დროს ადამიანი, რომ ისე მიემართა ბატონისათვის.

სიმონ გოგებაშვილი კარგა ხანს ოჯახს არ მოკიდებია. მრევლის დაუინებითი მოთხოვნით გადაუწყვეტია დაოჯახე-

ბულიყო, ვინაიდან მართლმადიდებლური საეკლესიო კანონით ცოლის შერთვა მღვდლად კურთხევამდე იყო საჭირო. მისი მეუღლე გახდა სოფელ დირბში მცხოვრები ბეჟან კალმახელიძის ქალიშვილი მარიამი.

ალ. გარსევანიშვილის გადმოცემით კალმახელიძეები ქართლში გადმოსახლებულან იმერეთიდან. მაგდანი (ასე ეძახდნენ მარიამს. — ზ. ბ.) მეტად პატიოსანი, შვილების მოყვარე და გულკეთილი ხასიათის იყო. იგი სვიმონს მუდამ მხარში ედგა საოჯახო საქმეებში.

„მაშინდელი დედა სულიერ ხორციელად აღზრდილი საშინაო საკითხავ წიგნებით, აღზრდით, ქცევით, მოპყრობით დიდად ეხმარებოდა როგორათაც მრევლსა ისე მღუდლებს: ავადმყოფობაში, ჭირსა და ლხინში. შვიდი წლის იამ (იაკობმა. — ზ. ბ.) თითქმის ზეპირათ იცოდა დედისაგან ნაამბობი და უფრორე სცდილობდა განვითარებას და სწავლის შეძენას. ქვეყნის გაჩენის ამბავი, ახალი აღთქმა, იგავ არაკები, ხალხური ლექსები საყვარელ მასალად დაედვა[1]," — წერს ვ. კარბელაშვილი თავის მოგონებებში.

სიმონ გოგებაშვილი გარდაიცვალა 1864 წელს, ხოლო მარიამ კალმახელიძე — 1869 წელს.

პატიოსანი შრომის სიყვარული და გულმოდგინეობა იაკობს მშობლებისაგან უსწავლია. სოფელში გატარებულმა წლებმა შემდგომ დიდი გავლენა მოახდინა მის შემოქმედებაზე.

აი, როგორ აგვიწერს იოსებ სრესელი იაკობის ბავშვობას:

„ზამთარში მოღუღუნე ბუხართან გატაცებით ისმენდა ზღაპრებს, ხოლო ზაფხულში სოფლის გოგობიჭებთან ერთად ლაღად გაშლილ, ლურჯად მობიბინე ველმინდვრების კალთებზე ზიზილებს კრეფდა.

ლურჯთვალა იებს ლამაზ პაწაწინა კონებად კონავდა. გვირილებით დაწნული ბრტყელი ქამრით წელზე შემორტყმული, როდესაც მოირბენდა სახლში, დედა ყაყაჩოს ფოთლებით გაწითლებულ პატარა თითებს დაუკოცნიდა და კალთაში ჩახვამდა. პატარა იაკობს გატაცებით უყვარდა თევზაობა და

---

[1] კ. ქეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვასილ კარბელაშვილის ფონდი № 259.

თანატოლ კოკაურთან ერთად ხშირად დაიარებოდა ლიახვზე, რომელიც ვარიანს გვერდით ჩამოურბის.

ბევრჯელ გაბრწყინებულა მისი თვალები ულვაშებიახი ციმორის და წითლად დაწინწკლული ლურჯი კალმახის დაჭერით, მრავალჯერ გადუცურია გიჟმაჟი ლიახვის ალმასი ტალღები. განთიადისას ტკბილ ნანასავით ჩაესმოდა ორღობეებიდან ურმულის მოძახილი და ფრინველების ჟივჟივი.

მინდორში ხშირად თან დაჰყავდა იაკობი მის უფროს ძმას ივანეს. ყმაწვილი გაფაციცებული უმზერდა ყანაში შესეული გლეხების ვეფხვებივით ტრიალს, ფხააწყობილი ნამგლების ბღვერიალს.

ლაღი ბუნების შვილი სტკბებოდა ცად ატყორცნილი ტოროლას წკრიალით, მწყრების კვიტკვიტით"[1].

შვიდი წლის იაკობმა თითქმის ზეპირად იცოდა დედისაგან ნაამბობი ქვეყნის გაჩენის ამბავი, ახალი აღთქმა, იგავ-არაკები, ხალხური ლექსები. ტოლ-ამხანაგებში მის გამოჩენას დიდი სიხარული მოჰქონდა, ვინაიდან იაკობი მათ დედისგან ნასწავლ ამბებს უყვებოდა, ისინი კი ხალისით სწავლობდნენ მოსმენილს.

რვა წლის იაკობისათვის ერთ დღეს მამას განუცხადებია, რომ იგი გორში უნდა წაეყვანა სასწავლებლად. პატარა იაკობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია და მთელი ღამე თეთრად გაუთენებია. „მეორე დღეს მამაშვილმა მზეს დაასწრეს წამოდგომა... მტრედისფერი განთიადი ჯერ კიდევ ფრთას იბერტყავდა, როდესაც ურემმა სოფლის ბოლოს ჩარდახებივით გადახურული ორღობეები ნელი ჭრიალით დასტოვა და გორისაკენ დაეშვა. ურემი ლიახვის ნაპირს როდესაც მიადგა, შეჩერდა. მდინარე ადიდებული მოდიოდა. ივანემ კოფოდან ისკუპა და ფონი მონახა, ეტყობა, რომ მთაში წუხელის დიდი ავდარი ყოფილა, ლიახვს ჯანი შემატებია...

ურემმა ადიდებული მდინარე როდესაც გაანახევრა, ფერსოებზე შეხლილი აგორებული ქვების რახუნი გაისმა. მდინარემ ურემი ტივივით მოიტივტივა. პატარა იაკობს წყალმა ფეხები დაუსველა, ცოტა არ იყოს ფერი ეცვალა და მკვირ-

---

[1] სახალხო განათლების მუზეუმი, ი. გოგებაშვილის ფონდი № 4634/ბ. სრესელი, „ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან".

ცხლად შეხტა კოფოზე. ურემი სამშვიდობოზე როდესაც გაჰყვიდა, იაკობმა ლიახვს დარცხვენით გადახედა და ჩაილაპარაკა:

მოიცა, გნახავ, ლიახეო,
დაგხვეოდნენ კოღუები,
ბიჭბუჭნი გაჰყუმპუნებდნენ,
დაგწუმპლავდნენ გოგუები.

მაშ, რა გეგონა, შვილო, — მიმართა მამამ, — მუდამ ვერ დაიბრიყვებ ლიახვს, ამიტომ უთქვამს ხალხს:

ლიახვმა სთქვა: ავდიდდები,
არაგვსა დაეედარები,
ისე მოვალ და მოვხშუი,
თითქოს ფეხს მეკრას ნალები.

თუმცა გორი ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ მის გულში ამაყად მდგარი მთასავით ამოზიდული ციხე თავისუფლად მოსჩანდა. რამდენადაც მანძილი მოკლდებოდა, იმდენად გორის ციხე დიდდებოდა. იაკობმა გვირგვინივით გარშემორტყმული ციხის ქონგურებს შეავლო თვალი. მისმა სიმაღლემ ფიქრი მოსტაცა: ალბათ ამ ციხიდან ჩემი სოფელიც მოსჩანს, შორიდან ხშირად მოვინახულებ, როცა მომენატრებაო...[1]

იაკობი მამამ გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანა, სადაც იგი დიდი მონდომებით დაეწაფა სწავლას. მშობლებს მხოლოდ ის აწუხებდათ, რომ იაკობი ჯანმრთელი არ იყო, რის გამოც პირდაპირ ქალაქში არ წაიყვანეს სასწავლებლად. რუსულ ენას რომ კარგად დაუფლებოდა, გორში ერთი რუსის ოჯახში მიაბარეს, სადაც მტკიცე საფუძველი ჩაუყარა რუსულის ცოდნას. მასწავლებლებიც ამჩნევდნენ ბავშვის მონდომებას, ცოდნის წყურვილს და ყურადღებით ეკიდებოდნენ.

გორის სასულიერო სასწავლებელში იაკობმა ერთი წელი გაატარა. ამის შემდეგ იგი გადაიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც „დაბალი კლასიდან დაწყებული უკანასკნელ კლასამდე იაკობი მიდიოდა პირველ მოწაფედ. მაღა-

---

[1] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 4634, იოსებ სრესელი, „ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან.

ლი ნიჭი, დაუღალავი მეცადინეობა და შრომის სიყვარული შეადგენდნენ მისი ბუნების დამამშვენებელ თვისებათ. ხასიათით იყო წყნარი, სულგრძელი, კაცთ-მოყვარე, დიდი მლოცველი და მემარხულე. სწორედ ასეთიც უნდა ყოფილიყო ის ყმაწვილი, რომელიც ღვთის-მეტყველებას ყველაზე უდიდეს მეცნიერებადა რაცხდა და წმიხდა მამათა ცხოვრებას დღე და ღამ გატაცებით კითხულობდა. მას იმ ჟამად ენატრებოდა ბერობა და არა მხოლოდ უბრალო ბერობა, არამედ ყველაზე უფრო ძნელი, მომჭირნო მოღვაწეობის ბერობა — მესვეტეობა"[1].

თბილისის სასულიერო სემინარიაში იაკობი მასწავლებლებზე საუკეთესო მთაბეჭდილებას ახდენდა თავისი ყოფაქცევით, სწავლაში წარმატებებითა და ამხანაგებთან დამოკიდებულებით. იაკობი ყურადღებას იქცევდა აგრეთვე ფაქიზი ზნეობით, სისუფთავით, სძულდა ენატანიობა; იგი ყოველთვის ეხმარებოდა სუსტ მოსწავლეებს და სანამ კარგად არ ასწავლიდა, არ მოეშვებოდა. სემინარიაში სწავლის პერიოდში იაკობი არავის უთმობდა პირველობას.

არდადეგების დროს იგი მშობლიურ სოფელში ბრუნდებოდა, საყვარელ დედ-მამასთან ატარებდა დასვენების დღეებს, ხოლო ტოლ-ამხანაგებს სწავლა-განათლების სურვილს უღვივებდა. „დიდათ იყო დაფიქრებული ქართლელ კახელის გულგრილობაზედ სწავლისადმი და ამაზედაც ჰფიქრობდა... იახლოვებდა ორ სამ ოთხ პირს, შეასწავლიდა რაც საჭირო იყო და როცა დარწმუნდებოდა მათ მომზადებულობაში, მისცემდა პატარ პატარა წიგნებს და აკითხებდა. შემდეგ იმ ოთხს დაავალებდა სხვებისათვის შეესწავლებინათ და ამ გვარ კანიკულებსაც ატარებდა. ჰკრეფდა როგორათაც მშრომელი ფუტკარი სახალხო ლექსებს, არაკებს, ზეპირთქმულებასა"[2].

1861 წელს იაკობი სემინარიას წარმატებით ამთავრებს. ამის შემდეგ მას სურვილი აქვს კიევის სასულიერო აკადემიაში განაგრძოს სწავლა. აკადემიაში ჩასარიცხად კი სინოდის ობერპროკურორის მიერ წამოყენებული იყო სემინარიის

---

[1] ი. გოგებაშვილის სახსოვრად, 1913, გვ. 8. — არბოელი, იაკობ გოგებაშვილი.

[2] კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი № 259, გ. კარბელაშვილის მოგონება ი. გოგებაშვილზე.

კურსდამთავრებული ვინმე ღვინიევი. მიუხედავად ამისა სემინარიის ხელმძღვანელობამ უპირატესობა მიანიჭა იაკობ გოგებაშვილს, როგორც სწავლაში დიდი წარმატებისა და სამაგალითო ყოფაქცევის ახალგაზრდას. საჭირო გახდა სამედიცინო შემოწმება, რათა სემინარიის ადმინისტრაციისათვის ჯანმრთელობის მოწმობა წარედგინა. ზაქარია კიკნაძის ცნობით „ექიმმა შეამოწმა რა გოგებაშვილი, უთხრა: „ამ ჟამად სრულიად საღი ხარ, მაგრამ ფილტვები დაბადებიდგანვე სუსტი აგებულებისა დაგყოლია, რუსეთის სიცივეს ვერ აიტან და ადვილად შეიძლება დასნეულდე. ამიტომ გირჩევ აკადემიაში ნუ წახვალ, დაიმაყოფილდი სემინარიის კურსით და პირდაპირ რაიმე პრაქტიკულ საქმეში ჩაებიო“. ექიმმა მოწმობაში ჩაუწერა: „გოგებაშვილი ამ ჟამად სრულიად საღია, მაგრამ სუსტი აგებულობის პატრონია და შეიძლება რუსეთის ყინვა ვერ აიტანოს“. ეს მოწმობა გოგებაშვილმა წარუდგინა სემინარიის ადმინისტრაციას, ხოლო ამ უკანასკნელმა განუცხადა: „ახლა თქვენზეა დამოკიდებული საქმე, თუ წასვლა გსურთ, გაგზავნით, თუ არა და მეორე მოწაფეს გავამგზავრებთ კიევის აკადემიაშიო. მიუხედავად აღნიშნული მდგომარეობისა ი. გოგებაშვილმა წასვლის სურვილი მაინც განაცხადა, რადგან ძალიან სურდა უმაღლესი განათლების მიღება“[1].

აქ მოგვყავს კიევის სასულიერო აკადემიაში სასწავლებლად მივლინებული იაკობ გოგებაშვილის ჯანმრთელობის შესახებ ცნობის ტექსტი:

Свидетельство

Вследствие отношения канцелярии Тифлисского Семинарского Правления от 10-ого июля, за № 437 свидетельствовавь отправляемого в Киевскую Духовную Академию воспитанника Тифлисской Семинарии Якова Гогебава, я нашел, что предохранительная оспа ему привита и что общее его здоровье находится в настоящее время в совершенно удовлетворительном состоя-

[1] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 2645, ზაქარია კიკნაძე, იაკობ გოგებაშვილი.

нии. Во удостоверение чего и выдано мною это свидетельство. Г. Тифлисъ. июля 12 дня 1861 года.

Врач Семинарии
Инспектор Тифлисской
Врачебной Управы
Докторъ Медицины П. Собольщиков.

1861 წლის 6 ივნისს აკადემიის ინსპექტორი არქიმანდრიტი მეთოდე თბილისის სემინარიის სამმართველოს წერდა:

«Тифлисскому Семинарскому Правлению.

По случаю окончания в текущем году XX учебного курса в Киевской Д. Академии г. Обер-прокурор Св. Синода назначил в состав нового XXI учебного курса одного воспитанника из Тифлисской семинарии, и именно воспитанника Гвиниева, если семинарским правлением он будет признан вполне достойным сего по успехам в науках и по поведению.

Правление Академии, по предложению г. Синодального обер-прокурора от 26 мая за № 3947, дает о сем знать Тифлисскому семинарскому правлению, для надлежащего с его стороны распоряжения, с тем, чтобы Правление при избрании для сего воспитания Гвиниева в точности собразовалось с существующими по сему предмету правилами, или же, если Гвиниев не будет признан для сего Правления вполне достойным, избрано, по своему усмотрению, другого воспитанника вполне благонадежного, как по способностям и оказанным им успехам, так не менее того и по поведению.

К сему Академическое правление нужным находит присовокупить, что тем же предложением поручено оному, чтобы из числа имеющих прибыть в Академию Семинарских воспитанников были удостоиваемы приема в число действительных студентов оной только те, которые на приемных экзаменах окажутся отлично успевшими в предметах семинарского образования.

Инспектор Академии, Архимандрит Мефодий,
Секретарь Давид[1] (გვარი არ იკითხება. — ზ. ბ.).

1861 წლის 7 ივლისს თბილისის სემინარიის სამმართველო წერილის პასუხში წერდა:

Его Высокопреосвященству, Святейшего правительствующего Синода члену, Высокопреосвященнейшему

---

[1] სგმ. იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 4144. Дело Тифлисского семинарского правления об отправлении бывшего воспитанника Семинарии Гогебова в Киевскую Д. Академию за 1861.

Евсевию архиепископу Карталинскому и Кахетинскому экзарху Грузии и кавалеру

Тифлисского семинарского

Правления

Представление.

Присутствие Семинарского правления доложено предписание Киевского Академического правления, от 6 минувшего июня, за № 179-м содержания следующего:

«По случаю окончания в текущем году XX учебного курса в Киевской Д. Академии, г. Обер-прокурор Св. Синода назначил в состав нового XXI учебного курса одного воспитанника из Тифлисской семинарии и именно воспитанника Гвиниева, если семинарским правлением он будет признан вполне достойным сего по успехам в науках и по поведению.

Правление Академии, по предложению г. синодального обер-прокурора от 26 мая за № 3947, дает о сем знать Тифлисскому семинарскому правлению, для надлежащего с его стороны распоряжения, с тем, чтобы Правление при избрании для сего воспитанника Гвиниева в точности сообразовалось с существующими по сему предмету правилами, или же, если Гвиниев не будет признан для сего правлением вполне достойным, избрало, по своему усмотрению, другого воспитанника вполне благонадежного, как по способностям и оказанным им успехам, так не менее того и по поведению.

К сему Академическое правление нужным находит присовокупить, что тем же предложением поручено оному, чтобы из числа имеющих прибыть в Академию семинарских воспитанников были удостоиваемы приема в число действительных студентов оной только те, которые на приемных экзаменах окажутся отлично успевшими в предметах семинарского образования».

По выслушании сего семинарское правление мнением положило:

1. В состав нового XXI курса Киевской Духовной академии назначить кончившего курс учения воспитанника здешней семинарии Якова Гогебова, которого Правление признает гораздо благонадежнейшим Гвиниева, по способностям, успехам в науках и поведению.

2. О состоянии здоровья воспитанника Гогебова и бытии на нем оспы истребовать свидетельство от врача семинарии и инспектора Врачебной управы П. Собольщикова.

3. Приготовить для назначенного в Академию на счет экономических сумм семинарии, три пары белья, шелковый шейный платок, подтяжки, перчатки, сапоги и фуражку.

4. Снабдив его надлежащим видом, подорожной на две лошади, по казенной надобности, узаконенными прогонными деньгами, а также кормовыми, полагая на каждые 50 верст по 30 к. с., немедленно отправить в Киев к месту назначения.

5. Уведомив Академическое Правление о назначении и отправлении Гогебова, препроводить в оное, согласно существующему положению 34 руб. 29 к. сер. на постройку для него верхней одежды, семинарский его аттестат, свидетельство о состоянии здоровья и метрическое свидетельство о рождении и крещении его.

Мнение свое Правление семинарии честь имеет благопочтеннейшие представить Вашему Высокопреосвященству на благорассмотрение и утверждение.

Ректор семинарии Архимандрит
Виблюрин.

Инспектор семинарии Соборный
Иеромонах Никодим.

В должности эконома семинарии
Петр Надлидин.

Секретарь Ф. Фаварский»[1].

კიევის სასულიერო აკადემია, იაკობ გოგებაშვილის ცნობით, იმდროინდელ სასულიერო აკადემიათა შორის სახელგანთქმული იყო მაშინდელი რექტორისა და ნიჭიერი პროფესორების წყალობით, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში მნიშვნელოვან კათედრებს ხელმძღვანელობდნენ. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ აკადემიაში მისაღებ კონტინგენტზე სამჯერ მეტი ახალგაზრდა ცდილობდა ჩაებარებინა გამოცდები და აქ მოხვედრილიყო. აკადემიის კონფერენცია, როგორც მაშინ უწოდებდნენ საბჭოს, მკაცრ გამოცდებს ატარებდა, რათა ღირსეული კონტინგენტი შეერჩია აკადემიაში ჩასარიცხად. „მე არ მქონდა ნიშანი ორ ძველ ენაში, რომლებიც მაშინ თბილისის სასულიერო სემინარიაში სრულიად არ ისწავლებოდა, რის გამო მათ არ თვლიდნენ სავალდებულოდ სასულიერო აკადემიებში ამ სემინარიის კურსდამთავრებულთათვის", — წერს იაკობ გოგებაშვილი და იქვე დასძენს: „მი-

[1] სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 4144.

უჩედავად ამისა, მაინც გაეედი მეექვსე სტუდენტად; ეს აიხსნება იმით, რომ მივიღე უმაღლესი ნიშნები როგორც ზეპირ, ისე საექსპრომტო წერებში. კურსი ერთი რჩეულთაგანი გამოვიდა და შემდგომში მარტო კიევის აკადემიას მისცა მან ოთხი პროფესორი. არ იყო ადვილი ასეთ ნიშიერ ამხანაგებთან მეტოქეობა, მაგრამ ჩემი მეცადინეობა მაინც ისეთი წარმატებით მიმდინარეობდა, რომ პირველი წლის ბოლოს უკვე მეორე სტუდენტი ვიყავი და აკადემიაში გამოთქვამდნენ აზრს, რომ კურსის დამთავრების შემდეგ ქართველი დარჩება აკადემიაში ბაკალავრადო"[1].

იაკობ გოგებაშვილის აკადემიაში სწავლის პერიოდში ლექციებს ცნობილი პროფესორები კითხულობდნენ. მაშინდელი ახალგაზრდები გატაცებულნი იყვნენ პიროგოვისა და უშინსკის თხზულებებით. სწორედ ეს ორი ბუმბერაზი ადამიანი ხშირი სტუმარი იყო კიევისა და როგორც ამბობენ, სწორედ მათი ზეგავლენით ჩაენერგა იაკობს პედაგოგიური მოღვაწეობის სურვილი.

ნიკო ლომოური იაკობ გოგებაშვილის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ ცნობებში წერს:

„თვით აკადემიაშიც ჩინებულად იყო დაყენებული ფილოსოფიის, პსიხოლოგიის, პედაგოგიკის, ისტორიის და სიტყვიერების ლექციების კითხვა. ყველა ამ ლექციებს არა თუ ისმენდა გულდადებით, არამედ მათ შინაარსს მოკლედ სწერდა თავისთვის. ამასაც არა სჯერდებოდა: დღე და ღამ განუწყვეტლად ხელში ეჭირა სხვა და სხვა თხზულებანი და მათი შესწავლით ავსებდა ლექციების ნაკლსა. სწორედ ამ დროს, ამ აკადემიურ პირველ წელს მოხდა იაკობის სულიერ ცხოვრებაში დიდად საყურადღებო ამბავი. იგი ხშირად დაიარებოდა უნივერსიტეტში და ისმენდა მომეტებულად საბუნებისმეტყველო ლექციებსა"[2].

იაკობ გოგებაშვილი აკადემიაში სწავლის პერიოდში გატაცებით კითხულობდა აგრეთვე ჩერნიშევსკის ,დობროლიუბოვის, მიხაილოვსკის, ბელინსკის, ჰეგელის, სპენსერის და დარვინის ნაწერებს, რომელთაგან ყველაზე მეტად დარვინის მოძღვრებამ დააინტერესა.

---

[1] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 4144.

[2] იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, 1913, გვ; 9-10.

ერთხელ, უნივერსიტეტში, ლექციების დამთავრების შემდეგ იაკობი გამოსდევნებია პროფესორს და გაცნობის შემდეგ რამოდენიმე შეკითხვა მიუცია. როგორც ნ. ლომოური წერს — „ნაცვლად პასუხისა, პროფესორმა ურჩია — წაკითხვა ჰუმბოლტის „კოსმოსისა". იმავე დღეს იყიდა ეს დიდებული თხზულება დიდებული ავტორისა და იწყო გულმოდგინედ მისი კითხვა. კითხულობდა და რამდენიც წინ მიდიოდა, იმდენად მთელი მისი ღვთის-მეტყველური შეხედულობა, აზროვნება ჰაერში დაკიდებულ ლამაზ, მაგრამ უსაძირკვლო კოშკებს ემგზავსებოდა. „კოსმოსისაგან" დაწყებული საქმე სრულიად დაამთავრა ფიზიოლოგიის პროფესორმა, რომლის რამდენიმე ლექცია მოისმინა იაკობმა იმ დროს უნივერსიტეტში"[1].

იაკობ გოგებაშვილის აზროვნებაში ერთმანეთს შეეჯახა ღვთისმეტყველური და ბუნებისმეტყველური მსოფლმხედველობა, ეს უკანასკნელი კი ჯიუტად დევნიდა მისი გონებიდან სქოლასტიკურ მოძღვრებას. დაძაბული შრომა კინაღამ ტრაგიკულად დამთავრდა. „წლის დამლევს, — წერს ნ. ლომოური, — ტვინის ანთებით გახდა ავად და ამ დროს იყო თურმე ჟამი, როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი სიცოცხლე. რამდენსამე კვირის შემდეგ ამ ავადმყოფობას იაკობმა მ'მვიდობით დააღწია თავი, მაგრამ მისგან დაძაბუნებულ აგებულებას ახლა სხვა დაუძინებელი მტერი აღმოუჩნდა: დააწყებინა ხველება, რომელიც თითქო შეყუჩდა ზაფხულის განმავლობაში, მაგრამ, დადგა თუ არა რუსეთული ზამთარი თავისი მკაცრი ყინვებით, ხველამ უმატა, ზედ დაერთო გამუდმებული სიცხე, რის გამოც ხშირად მოსდიოდა საავადმყოფოში წოლა. მესამე წლის შემდეგ სისხლის ღებინება და სხვა ნიშნები ჭლექისა ცხადად აღმოაჩნდა"[2].

ექიმების რჩევით აკადემიის ხელმძღვანელობა იძულებული გახდა ერჩია იაკობისათვის სამშობლოში დაბრუნებულიყო. 1863 წლის 18 მაისს იაკობ გოგებაშვილმა განცხადებით მიმართა კიევის აკადემიის მმართველს ავადმყოფობის გამო აკადემიიდან განთავისუფლების გამო.

---

[1] იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, 1913, გვ. 10.

[2] იქვე. გვ. 10.

«В Правление Киевской Духовной Академии
Студента той оне Академии XXII курса
Якова Гогебашвили
Прошение

Вот уже целый год, как я страдаю растройством здоровья, в особенности от растройством груди. То обстоятельство, что лечебные средства остаются недействительными, заставляет меня приписывать мое нездоровье единственно здешнему климату, который мне не по организму, — и потому думаю, что только один климат родной страны может поправить мое здоровье. Зная наверно, что дальнейшее пребывание в Киеве может окончательно растроить мой организм, я решился оставить Академию, по крайней мере на время, — как ни тяжело мне прервать дальнейшее продолжение высшаго Академического образования; и потому покорнейше прошу Правление Академии уволить меня из оной. А также как считаю моим долгом и хотел бы отслужить духовному ведомству за семинарское воспитание за те два года, которые я провел в Академии, что и бы желал поступить на праздное инспекторское место во Владикавказском училище где служба мне удобнее, чем кому либо Другому, так как в продолжение семинарного курса я занимался Осетинским языком и более или менее знаком с ним, во Владикавказском оне училище обучающиеся — все осетинцы. Посему покорнейше прошу Правление Академии определить меня на означенное место и тем оказать милость.

Студент Академии Яков Гогебашвили»[1].

| აკადემიის სამმართველოს კანცელარიამ აკადემიის ექიმს ს. პ. კორშუნს 23 მაისს შემდეგი შინაარსის წერილი გაუგზავნა:

«Господину Доктору Киевской Академии
Степану Павловичу Коршуну

Канцелярия правления Академии покорно просит Вас отзыв о состоянии здоровья студента Академии Гогебова, т. е. действительно ли нужно г. Гогебову отправиться на родину для поправления и восстановления своего здоровья»[2].

«აკობ გოგებაშვილის ჯანმრთელობის შემოწმების შემდეგ,

[1] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 4867 (ფოტოპირი).

[2] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 5002 (ფოტოპირი).

მეორე დღესვე აკადემიის ექიმმა ნ. პ. კორშუნმა აკადემიის სამმართველოს კანცელარიას შემდეგი დასკვნა გაუგზავნა:

«Студент Академии Гогебашвили страдает с давнего времени слизитечением из мочевого пузыря. Болезнь эта в настоящее время произвела уже значительное малокровие у студента Гогебова, так как хронические болезни вообще удобнее всего излечиваются чистым воздухом, то поездка г-на Гогебова домой, как средство прожить на чистом воздухе и при том в таких климатических условиях, к которым организм его привык из детства, может принести ему большую пользу.
Врач при Академии С. Коршун»[1].

აქედან გამომდინარე აკადემიის სამმართველომ შუამდგომლობა აღუძრა იაკობ გოგებაშვილს რექტორის, არქიმანდრიტ ფილარეტის წინაშე სტუდენტთა სიიდან ამოსარიცხად:

«Его превосходительству.

Студент Академии XXII курса Яков Гогебашвили вошел в Правление Академии с прошением об увольнении его из Академии по требованию Правления сообщил от себя, что студент Гогебашвили страдает с давнего времени слизетечением из мочевого пузыря, что болезнь эта в настоящее время произвела у него уже значительное малокровие и так как хронич. болезни вообще удобнее всего излечиваются чистым воздухом, то поездка Гогебашвили домой, как средство прожить на чистом воздухе и притом в таких климатических условиях, к которым организм его привык с детства, может принести ему большую пользу.

Правление Академии не находит с своей стороны никаких препятствий к увольнению из Академии студента Гогебашвили по болезни, долг имеет представить об этом на начальствующее распоряжение вашего превосходительства»[2].

აკადემიის რექტორი ქართლის არქიეპისკოპოსსა და კახეთის ეგზარხოსის ევსევის სახელზე გაგზავნილ ბარათში წერდა:

«По случаю смерти Томилина, в Владикавказском училище открылось инспекторское место. У нас на это место имеется в виду студент нашей Академии из Тифлисской семинарии Ягов Гогебов, который вследствие

[1] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 5002 (ფოტოპირი).

[2] იქვე.

опасений потерять здоровье в здешнем климате не совсем ему благоприятствующем, по совету врачей, должен оставить Академию. И он имеет желание занять означенное место. Почтительнейше прошу, Ваше Высокопреосвященство, благоволите сообщить мне Ваши мысли касательно сего предмета. С своей стороны долгом считаю присовокупить, что Гогебов, как знакомый с Осетинским языком и как студент отличавшийся постоянно в продолжение двух лет благонравием и прекрасными успехами, при отличных своих дарованиях, представляется благонадежным кандидатом к занятию означенной инспекторской должности. Снисходя к уважительной просьбе его, Академия, по совести скажу, увольняет его от себя с искренним сожалением, что здоровье не позволяет ему докончить свое образование, но вместе с тем надеемся, что он и не окончив курса, при своих правилах и дарованиях, везде и всегда будет полезным для общества и церкви деятелем.

Испрашивая Вашего Архипастырского благословения на себя и Академию, имею долг пребыть с истинным высокопочитанием и совершенной преданностью.

Вашего Высокопреосвященства
Милостивого Архипастыря и отца
Покорнейшим слугой Ректор Академии,
Архимандрит Филарет.
31 мая 1863 г.»[1].

მიუხედავად იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილმა კიევის სასულიერო აკადემიაში მცირე ხანს დაჰყო, აქ იგი ეზიარა დემოკრატიულ იდეებს, შეიყვარა რუსული კულტურა და მტკიცე საძირკველი ჩაუყარა პედაგოგიურ-მეცნიერულ მოღვაწეობას.

იაკობი სანამ ვლადიკავკაზში ჩავიდოდა, სასწავლებელი დახურეს.

1863 წელს იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სასწავლებლის გეოგრაფიისა და არითმეტიკის მასწავლებლად დანიშნეს.

სასულიერო სასწავლებელი და სემინარია ერთ შენობაში იყო მოთავსებული. ამ შენობაში დაბინავდა იაკობიც.

სასულიერო სასწავლებელში იაკობმა თავისი თავდადებუ-

[1] სგმ., იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 4145.

ლი შრომითა და სიბეჯითით ფართო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო.

იაკობს სულს უშფოთებდა სასწავლებელში გამეფებული ბიუროკრატიზმი და ბოროტმოქმედება, რომელიც სრულიად უცხო იყო საღი პედაგოგიური მოთხოვნილებებისა.

იაკობი უკიდურესად კოლეგების საქმიანობას, „ასწორ დასწორნიდა და ფრთხილად იქცეოდა. თანაც შეუდგა ჭრუნვას რომ ამ სფერას მოშორებოდა, ხოლო საქმისათვის არ ეღალატნა — სასწაულებლისათვის“[1], — იგონებს ვ. კარბელაშვილი.

ნ. ლომოურის მოგონებაში შესანიშნავად არის აწერილი ის სულისშემხუთველი რეჟიმი და სისასტიკე, რომელიც სასწავლებელსა და სემინარიაში იყო გამეფებული:

„საშინელება იყო იმ დროინდელი მღვდმარეობა უბედური სემინარიისა! წლიურ სახარჯოდ თვითეულ მოსწავლეზე სულ ხუთი-ექვსი თუმანი იყო მთავრობისაგან გადადებული. რაღა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ იმ დროის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ამ ფულით ცხოვრება შესაძლებელი იყო. უბედურება იმაში იყო, რომ ეს გროშებიც სრულიად არ ხმარდებოდა მოსწავლეს. უფროსიდან მოკიდებული სულ უმცროს მოსამსახურემდე ყველანი თითქმის განცხადებით იპარავდნენ. ამის გამო როგორც სმა და ჭამა, ისე ჩაცმა-დახურვა მოსწავლებისა ღვთის ანაბარას იყო მიგდებული. გამხდარ-გაყვითლებულნი, გელათის გლახასავით აბრანძულნი, თავით ფეხამდე ტუსუფთაონი, ძაღლ-უმადურად ატარებდნენ იგინი თავიანთ ყარჩაკეტილ ბურსაკულ ცხოვრებას. ამაზე უფრო უარესად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. ერთიცა და მეორეც მხოლოდ შიშსა და მრავალგვარ სასჯელზე იყო დამყარებული. ახსნა გაკვეთილისა მაშინდელ მასწავლებელს ფიქრადაც არ მოუვიდოდა. ჭედან აქამდის — იტყოდა იგი და გულდამშვიდებით გავიდოდა კლასიდან.

რადგან მთლად სასწავლებელში ძლიერ ცოტანი იყვნენ ზეირიანად მცოდნენი რუსული ენისა, ამის გამო ახსნით, თავის სიტყვით გაკვეთილის დასწავლა შეუძლებელი იყო მოს-

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი № 259, ვ. კარბელაშვილის მოგონება ი. გოგებაშვილზე.

წავლეთა დიდი უმრავლესობისათვის. ამის გამო კაჭკაჭური, ეახრო ზეპირობა ტვინსა და გონებას ულაყავდა საბრალო ბოსწავლეებს"[1].

სემინარიაში უმცროსი კლასიდან მეშვიდემდე უმთავრეს საგნად საღვთო სჯული ისწავლებოდა. მთელი ამ დროის განმავლობაში მოსწავლე იძულებული იყო დაეზეპირებინა ეს საგანი, რომლის შინაარსი მას არ ესმოდა და მისდამი სიძულვილი უვითარდებოდა. ამას ემატებოდა კვირა-უქმე დღეებში მონასტრული წირვა-ლოცვის დროს მომქანცველი ფეხზე დგომა, რომლის დროსაც ხშირად გულწასულნი ძირს ეცვნოდნენ.

სემინარიის წყვდიადით მოსილ ცხოვრებაში იაკობ გოგებაშვილმა ცხოველი შუქით შემოიტანა ცოცხალი სიტყვა, მშობლიური ენის თაყვანისცემა. ადამიანური მოპყრობა, რომელსაც ასე იყვნენ მონატრებულები მოსწავლეები კუჭინსკის მიერ „სიმყრალის ყაზარმად გარდაქმნილ" სასწავლებელში.

1868 წელს იაკობ გოგებაშვილი სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნეს. იგი ექვსი წელი უძღვებოდა ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეს. სასწავლებელში იაკობმა შექმნა მოსწავლეთა სამეცნიერო წრეები, სადაც იგი დარვინიზმის პროპაგანდას ეწეოდა. დააარსა მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალი „შრომა".

ცნობილი ხალხოსანი-დემოკრატი შიო დავითაშვილი ბუნებისმეტყველებით დაინტერესებას იაკობ გოგებაშვილის დამსახურებად თვლიდა. იაკობს სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგეობაც ჰქონდა დავალებული და მოსწავლეებს ისეთ წიგნებს ურიგებდა, რომლებიც მათთვის საინტერესო და ადვილად გასაგები იქნებოდა. ამის შემდეგ გამოკითხავდა ხოლმე, თუ ვინ რომელი წიგნი წაიკითხა და რა გაიგო. „მან წამიკითხა, სხვათა შორის, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოკლე ისტორია და მას შემდეგ ჩემს გონებიდან წაუშლელად აღიბეჭდა დიდებული მებრძოლის რობესპიერის სახე", — იგონებს შ. დავითაშვილი.

იაკობი საღამოს ბინაზე იბარებდა მოსწავლეებს და დამა-

[1] იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, 1913, გვ. 11.

ტებით იქ უხსნიდა თვალსაჩინოდ დედამიწის და მთვარის მოძრაობას. ცა თუ მოწმენდილი იყო, აივანზე გაიყვანდა მოსწავლეებს და ეუბნებოდა: „აგერ ცაზე რძესავით თეთრი ზოლი რომ მისდევს — ეს შორეულ მნათობთა გროვაა. ჩვენებურად ამას ირმის ნახტომი, ანუ დევის ნამუხლარი ჰქვიან“-ო, — იგონებს იაკობ მანსვეტაშვილი. „აგერ ერთად შვიდი ვარსკვლავი ჩანს, გუთნის ხელნასა ჰგავს. ამას ქართულად „რვილს“ უძახიან, რუსულად — „Большая медведица“. ამათ გაყოლებაზე ჩრდილოეთით დიდი ნათელი ვარსკვლავი მოჩანს, თითქოს არ იძვრისო, სულ ერთ ადგილას დგას: ეს პოლარული ვარსკვლავია. „Полярная звезда“ რუსულად. აგერ კიდევ დასავლეთით, მთაწმინდის მთის თავზე დაბლა თეთრი ვერცხლის ფერი, ნათელა ვარსკვლავი დგას. ამას ჩვენ ცისკარს ვუწოდებთ სახელად, რუსები „Заря“ს უძახიან. სწორედ რომ ვსთქვათ, ეს ვარსკვლავი კი არ არის, არამედ იგეთივე პლანეტია, როგორც ჩვენი დედამიწა.“

ასე ჩამოგვითვალა კიდევ ბევრი სხვა ვარსკვლავი და პლანეტი, რომელიც მკაფიოდ მოჩანდა ცის ტატნობზე.

თუ მზიანი დღე იყო, აგვიყვანდა ზემო სართულის აივანზე, საიდანაც ყაზბეგი კარგად ჩანდა და აგვიხსნიდა, თუ რა არის მიზეზი, რომ მაღალ მთებზე თოვლი მთელი წლობით დევს და არ დნება, რა მნიშვნელობა აქვს აქ სიმაღლეს, გათხელებულ ჰაერს და სხვა.

სულ ამ გზით, ამ მეთოდით გვიხსნიდა და გვასწავლიდა გეოგრაფიას. აკი იმიტომაც შეგვაყვარა და კარგად შეგვათვისებინა ეს საგანი“[1].

ვასილ ბარნოვი თავის მოგონებებში ასე აგვიწერს კუვშინსკის მოღვაწეობას:

„იმ წყეულმა ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მოსწავლეთა გულიდან აღმოფხვრა ყოველგვარი ნასახი ქართველობისა; სწავლა რუსულად; სიმღერა-გალობა — რუსულად; მასწავლებლებიც რუსები, გარდა ერთი-ორი ქართველისა, რომელნიც ჩრდილებსავით დაჰქროდნენ და ოთხად იკაკვებოდნენ წელში უფროსის დანახვაზე. მაგრამ ეს რაა! კუვშინსკის მე-

[1] გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ი. მანსვეტაშვილის ფონდი № 26935-ხ.

თოდი მოსწავლეთა აღზრდისა იყო მეთოდი სიმახინჯის და გარყვნილების. არასოდეს სემინარიის კედლებში ისე არ ყოფილა გამეფებული ჯაშუშობა და ბეზღობა, როგორც იმ წყეულის დროს, არასოდეს იმდენი ახალგაზრდობა არ დაღუპულა ამ რეჟიმის გამო, როგორც მაშინ. ეახლარში აიმართა სასულიერო პირის სახით, ნამდვილი ბელზებელი.. ასე აამყარა კუვშინსკიმ იქაურობა...“[1]

სხვებსავით ბედგაბწარებულს, შეიძლება მეც დეზი მეკრა სასწავლებლისათვის, რომ ამ დროს ზედამხედველად იაკობ გოგებაშვილი არ დაენიშნათო, — განაგრძობს ვასილ ბარნოვი. „შემოსვლისთანავე ყოველისფერს თავისი მადლიანი ბეჭედი დაასვა. უწინარეს ყოვლისა, სასტიკად აკრძალა მოწაფეთა დასჯა, რაიც სხვა მასწავლებლებს არაფრად არ ეჭაშნიკათ. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდა განსვენებულს, რომ „ნორჩ სულთა საჯალათო“ სასწავლებლისთვის დაემსგავსებინა..

გარდა ამისა, იაკობი სხვაფრივაც იყო აღსანიშნავი: კლასებში ამოგვირჩია მოწინავე მოწაფეები. თავისთან გვიბარებდა, ჯერ ჩვენ გვავარჯიშებდა და გვასწავლიდა გაკვეთილებს, — რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ, და შემდეგ გვთხოვდა, რომ ჩვენც ჩვენის მხრივ ჩამორჩენილები შეგვემზადებინა. უსაზღვრო იყო ყოველი მისი დარიგება და ნოყიერი მისი ყოველი საუბარი. ისი ვიგრძენით, თითქოს გამოვცოცხლდით, თითქოს მზეს დავუბრუნდით მზის შვილები...“[2]

ნ. ლომოური ასე აგვიწერს იაკობ გოგებაშვილის სემინარიაში ინსპექტორად მისვლას:

„მთელი ცხოვრება უბედური სასწავლებლისა გონებითი და ზნეობრივი წყვდიადით იყო მოცული. და ამ წყვდიადში უცებ აინთო ბრწყინვალე ლამპარი განათლებისა, ქველობისა და კაცთ-მოყვარეობისა. ეს იყო მაღალი აზრებით ნათელ-მოსილი პიროვნება იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილისა“[3].

იაკობ გოგებაშვილმა სასწავლებელი ყოველმხრივ აწეწილ მდგომარეობაში ჩაიბარა. იგი ახლოს იცნობდა ამ სასწავლებ-

---

[1] დ. კასრაძე. ლიტერატურული პორტრეტი, „ვასილ ბარნოვი“; „ქართული მწერლობა“, № 2-3. 1928, გვ. 1[illegible]

[2] იქვე. გვ. 136.

[3] იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, 1913, გვ. 12.

ლის მდგომარეობას, წინასწარვე იცოდა თუ რა სიძნელეებ-
თან იყო დაკავშირებული მისი ფეხზე დაყენება, ხედავდა თუ
რა მძიმე იყო ასეთი მოშლილი სასწავლებლის ხელმძღვანე-
ლობა, რისთვისაც იგი თავს არიდებდა ზედამხედველის თა-
სამდებობას, „მაგრამ სასულიერო წოდების საოლქო ყრილო-
ბამ, რომელსაც სურდა ბოლო მოეღო სასწავლებლის სავა-
ლალო მდგომარეობისათვის, სადაც მისი საკუთარი შვილები
სწავლობდნენ, შემომთავაზა სასწავლებლის უფროსობა და
ამირჩია მის ზედამხედველად", — წერს იაკობ გოგებაშვილი.

როგორც სასწავლებელი, აგრეთვე მისი ზედამხედველიცა და მოსამსახურე პირნი ემორჩილებოდნენ სემინარიის მთავრობას. ყოველივე ეს „თანდათანობით მაჯლაჯუნასავით აწვებოდა სასულიერო სასწავლებელს და მომავალში დიდ განსაცდელს უმზადებდა", — იგონებს ვ. კარბელაშვილი და იქვე განაგრძობს: „სასულიერო სასწავლებელი და სემინარია უნდა ყოფილიყო სავარჯიშო სარბიელათ ქართველებისათვის კურსის დასრულების შემდეგ, სიაც სემინარიაში უკვე ძალიან შეამოკლეს, თუ არ აკადემიელს აღარ ამწესებდნენ იქ"[1].

ყოველივე ეს ძალზე აფიქრებდა იაკობ გოგებაშვილს და ცდილობდა რომ ნიჭიერი პედაგოგები შემოეკრიბა ირგვლივ, საუკეთესო ახალგაზრდები კი გაეგზავნა აკადემიაში სწავლის მისაღებად იმ სპეციალობებზე, რაც მეტად სჭირდებოდა ჩვენს ქვეყანას.

როდესაც სასწავლებლის სემინარიისაგან განცალკევების საკითხი გადაწყდა, იაკობი მოწონებით შეხვდა ამ ფაქტს და ჩათვალა რომ სამღვდელოების კრებაზე ღირსეული მოხსენება გაეკეთებინა. მთავრობის სურვილი იყო მთელი უზარმაზარი შენობა ძალმომრეობით დაესაკუთრებინა და სამღვდელოებისათვის არაფერი დაეტოვებინა. სწორედ ამის გამო იაკობმა ურჩია სამღვდელოებას მოეწვია კრება 1866-1867 წ.წ. იაკობს სამღვდელოებაში ახლო მეგობრები ჰყავდა, როგორც მელთა იმედიც ჰქონდა. ესენი იყვნენ ფ. კარბელაშვილი, პ. კოპუაშვილი, ს. ელიოზიშვილი, გრ. პეტრიაშვილი, დ. მეტრეველი, დ. მალალდაძე და სხვები.

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი № 259.

იაკობ გოგებაშვილის სიტყვამ ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე და საქმეც სამღვდელოების სასარგებლოდ წარიმართა.

„სემინარია მოთავსდა კლასებით, მასწავლებელთა ბინებით შუა სართულში, ხოლო „უჩილიშჩა“ და სამეცადინო ოთახები ძირს სართულში, საწოლი ოთახები მესამე სართულში, სასადილო ძირს სარდაფში. ინსპექტორის ბინა იყო ძირს სართულში, იმის ზემოთ რექტორი, მესამეში იაკობის ბინა მთელი ბალკონით და მმართველობისათვის. ეკლესიაში ძირს იდგნენ სემინარიელები, ზემოთ უჩილიშჩელები. წიგნთსაცავი იყო მოთავსებული სულ მაღლა მესამე სართულში. მცირე წიგნ. საცავი მოაწყო იაკობმაც და შეუდგა საქმიანობას გაორკეცებულის ღონით“[1].

იაკობს კარგად ესმოდა, რომ „ყოველი საქმის წარმატება დამოკიდებულია ხელმძღვანელი პირის განსაკუთრებულ ყურადღებაზე. მე იმდენ დროს ვანდომებდი სასწავლებლის კეთილდღეობისათვის შრომას, რომ დროც აღარ მრჩებოდა ჩემ მიერ ზედამხედველის თანამდებობის მიღებამდე შედგენილ სახელმძღვანელოებში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუმჯობესებისათვის“[2].

მალე სემინარიის გამგეობამ იაკობ გოგებაშვილის სასწავლებელი საქართველოს საეგზარქატოს სასწავლებელთა შორის პირველ ადგილზე დააყენა.

იაკობმა უპირველეს ყოვლისა დიდი ყურადღება გამოიჩინა, რათა სასწავლებელში საყოფაცხოვრებო პირობები მოეწესრიგებინა. ვ. კარბელაშვილის ცნობით, „საძილე ოთახებში, სადაც იატაკზე ან ერთ კრაოტზე ორს ეძინა, მოახერხა, რომ ცალკე საწოლი ჰქონოდათ, შესაფერი ლოგინი, საცვალი და თეთრეული ჰქონოდათ. სასადილოში თეთრეული, დანა-ჩანგალი, დილით ჩაი პურით, შუადღისას ერთი ნაჭერი პური. ორ საათზე სადილი ორი თავი. საღამოთი ჩაი და რვა საათზე ვახშამი ერთი თავი ან... ლობიო, ან კარტოფილი ან სხვა რამ შემზადებული საზოგადო სამზარეულოდან“[3].

[1] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი № 259.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. I, გვ. 177.

[3] ქ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი № 259.

იაკობ გოგებაშვილი ენერგიას არ იშურებდა, რათა მოსწავლეებში წიგნის სიყვარული ჩაენერგა და გონებრივი ჰორიზონტი გაეფართოვებინა. „წიგნების კითხვას და საზოგადო შაგირდის განვითარებას დიდ ყურადღებას აქცევდა. წაკითხული წიგნების ანგარიშს ზეპირ თუ წერით სთხოვდა ხოლმე სუსტ მოწაფეთა. თავისუფალ დროს ხანდიხან მთელი კლასი იქონიებდა ხოლმე მსჯელობას და ყველას შეეძლო თავისუფლად ეთქვა თავისი ჰაზრი. თითქმის ეს წესად გადააქცია მეორე კლასიდან და ამგვარის მოპყრობით მამაშვილურითა მოიპოებდა დიდ სიყვარულს და პატივისცემას. ამ გვარის ქცევით დიდი სურვილი აღუძრა შეგირდებს კითხვისა, წერისა, ჰაზრთა გაცვლა-გამოცვლისა, მსჯელობისა და განვითარებისა, ცილობისა და წიგნების კითხვისა. ისე რომ ზოგიერთნი მისი ახსნით კმაყოფილნი იყვნენ. რამოდენიმე ხნის, სამი წლის შემდეგ მოიწვია საოლქო კრება, ხოლო საეპარქიოს მოიწვევდნენ ხოლმე სემინარიის საქმეებისა და მზრუნველობისათვის. სამღუდელოებამ გულდასმით მოისმინა რა მისი ეს პატარა რეფორმები, სიხარულით მიეგება მის ახალ სურვილის წადილებას, რაკი მისი მოწაფენი პირველობას აღარავის უთმობდნენ მთელ საექსარხოსოს სასწავლებელთ შთორის“[1].

1872 წლის დამდეგს ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლების მუშაობის შესასწავლად პეტერბურგიდან ჩამოვიდა უწმინდეს სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრი ბ-ნი ზინჩენკო. იაკობ გოგებაშვილი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სტუმარი კმაყოფილი დარჩენილა სასწავლებლის გაცნობით, აქ არსებული სასწავლო პროცესის მდგომარეობით. „მაგალითად, მოსწავლეთა წარმატება რუსულ ენაში მან ჩინებულად და ყოველივე მოლოდინზე ზეაღმატებულად მიიჩნია. ეს სასიხარულო შედეგი მან მიაწერა უმთავრესად მოსწავლეთა მიერ წიგნების კითხვის პირადად ჩემ მიერ შემოღებულ მიზანშეწონილ ორგანიზაციას, რასაც მუდამ თან ახლდა მოსწავლეთა ზეპირი და წერილობითი მოხსენებანი. სასწავლო კურსის ყველა საგანში მოსწავლეთა ათამდე თხზულება მან თან წაიღო პეტერბურგში, რომ

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ვ. კარბელაშვილის ფონდი № 259.

იქ წაიკითხა იმის თაობაზე, თუ რა შესანიშნავი წარმატებაა მოპოვებული რუსული ენის შესწავლაში და მოსწავლეთა განვითარებაში იმპერიის შორეული კუთხის არარუს მოსახლეობაში"[1].

ზინჩენკოს აზრით, მთელი იმპერიის სასწავლებელთა შორის არ მოიპოვებოდა ასეთი მოწინავე სასწავლებელი. სასწავლებლის ასეთმა შეკებამ შურით აღავსო იაკობის მოწინააღმდეგენი.

ამავე წელს უწმინდესი სინოდის ობერპროკურორი და სახალხო განათლების მინისტრი გრაფი ტოლსტოი მართლმადიდებელი სარწმუნოების უწყების შესახებ წარდგენილ ყოვლად უქვეშევრდომილეს ანგარიშში შემდეგი სიტყვებით ახასიათებს თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობას:

„ასევე, ზედამხედველთა საყარგებლო საქმიანობას უნდა მიეწეროს თბილისისა და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლებში სასწავლო საქმის მეტად დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, მიუხედავად მრავალი ისეთი არახელსაყრელი გარემოებისა, როგორიცაა, მაგალითად: ადგილობრივი მოსახლეობის წრიდან შემსვლელ მოსწავლეთა სუსტი მომზადება, უმთავრესად ქართული წარმოშობის და ნაწილობრივ კი კავკასიის სხვა ხალხთა წარმოშობის ბავშვები. მათ სასწავლებელში შესვლისას არამცთუ რუსული არ იციან, არამედ ზოგჯერ მშობლიურ ენაზეც კი არ იციან წერა-კითხვა; შემდეგ კავკასიის მხარის სასულიერო სასწავლებლებისათვის დახელოვნებულ მასწავლებელთა გამონახვის სიძნელე, კლასების დამრიგებელთა ხშირი ცვალებადობა, რომლებიც იქაურ სხვა უწყებებში გადადიან მათთვის უფრო ხელსაყრელ თანამდებობებზე. მაგრამ თბილისისა და ქუთაისის სასწავლებელთა ზედამხედველების საქმისათვის სავსებით თავდადებამ გადალახა აღნიშნული სიძნელეები და მიაღწია იმას, რომ მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებში დამყარდა სწორი სასწავლო წესები და საგნების რაციონალური სწავლება, რამაც სასურველი ნაყოფი გამოიღო"[2].

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. I, გვ. 178.

[2] იქვე, გვ. 178-179.

სასულიერო სასწავლებლის რექტორად ამ დროს ეგზარქოსმა შუამდგომლობით დაინიშნა რუსი მღვდელ-მონაზონი ვალენტინი, რომელიც მანამდე ამავე სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა და რომელსაც არ გააჩნდა ამ თანამდებობის პირისათვის საჭირო სამეცნიერო ხარისხი. რექტორად დანიშვნისთანავე მან ქართველი მასწავლებლებისა და მოსწავლეების ჩაგვრას მიჰყო ხელი, რამაც საერთო აღელვება გამოიწვია. არსებული უწესრიგობის გამოსაკვლევად თბილისში ჩამოვიდა რევიზორი კერსკი, რომელმაც სასწავლებლის ნუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა და იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობაც დაიწუნა.

იაკობ გოგებაშვილი წერილში „თბილისის სასულიერო სემინარიის მდგომარეობის საკითხისათვის“ ამასთან დაკავშირებით წერს:

„ნაცვლად იმისა, რომ სემინარიის არანორმალური მდგომარეობის მიზეზი დაენახა მმართველობის უგნურ, უსამართლო და უტაქტო სისტემაში, რომლის დამღუპველი გავლენა გააოთხკეცა რექტორ არქიმანდრიტ ვალენტინის უაღრესმა უნიათობამ და მოუმზადებლობამ, თვით კერსკი, რომელიც ფაქტებს ვერ გაექცა და იძულებული იყო ჩაეთვალა რექტორი თავის ანგარიშში ინტრიგანად, ყალბ ხელმოწერათა მქნელად, ანგარების მოყვარე ადამიანად, უნიჭო უფროსად და სპირტული სასმელების მონად, — მთლიანად მოექცა ეგზარქოსი ევსევის ანტიქართველური მმართველობის გავლენის ქვეშ, რის გამო შეადგინა ქართველების მიმართ მტრული განწყობილებით აღსავსე, არასწორ ცნობებზე დამყარებული ანგარიში. მან განაზოგადა ერთეული შემთხვევები, ბრალი დასდო არა დანაშაულის ჩამდენ ამა თუ იმ პირს, არამედ ქართველებს. რუსების წინააღმდეგ ბავშვურ გამოსვლაში, რაც ორი მოსწავლის კერძო მიმოწერაში აღმოჩნდა, ბ-ნი კერსკი დაუფიქრებლად ხედავს ტომობრივი სიძულვილის დასტურებას (მას არ სურს შეიგნოს, რომ ერთი პროვინციის ქართველების მიერ მეორე პროვინციის ქართველების გაკიცხვა წარმოადგენს ჩვეულებრივ მოვლენას, მაგრამ ეს სრულიადაც არ მოწმობს იმას, რომ არ არსებობდეს ძმური სიყვარული იმერლებს, ქართველებსა და კახელებს შორის). ქართველების სურვილს სემინარიაში ქართული ენის კათედრის და-

აისბერგის შესახებ, ის თვლის პარტიზანობის სიმპტომად და სექარაქტიზმადაც კი; იგი ივიწყებს და კრინტსაც არა სძრავს იმის შესახებ, რომ ამ ღონისძიებას საჭიროდ თვლიდნენ უმაღლესი მთავრობის წარმომადგენლები, ეგზარქოსი ევსევი და რუსი მასწავლებლებიც; ბოლოს მას მიზანშეწონილად მიაჩნია სრულიად განდევნილ იქნას ქართული ელემენტი სემინარიის სამსახურებრივი სფეროდან... ბ-ნი კერსკის მიერ წამოყენებულმა რეპრესიულმა ზომებმა და ქართული ელემენტის განდევნამ სემინარიის სამსახურიდან, არამც თუ აღადგინა წესრიგი სემინარიაში, არამედ, პირიქით, გაახშირა ხელმძღვანელ პირთა მოქმედებითი შეურაცხყოფის შემთხვევები თვით მასწავლებლების მხრივ...“[1]

კერსკის ანგარიშის მიხედვით სემინარიის რუს მასწავლებელთა შემადგენლობა ძალზე დაბალი კვალიფიკაციის იყო. ისინი მოკლებულნი იყვნენ ნიჭს, მაღალ ზნეობას, არ გააჩნდათ კეთილმოსურნეობით დამოკიდებულება იმ ერისადმი, ვისთვისაც ამზადებდნენ მომავალ მოღვაწეებს. ამის გამო კერსკი მიიჩნევდა, რომ გადახალისებულიყო რუს მასწავლებელთა კორპორაცია და რუსეთიდან მოეწვია საუკეთესო მასწავლებლები.

რექტორის— არქიმანდრიტ ვალენტინის ბნელი საქმეებისათვის კერსკი იძულებული გახდა ანგარიშში უარყოფითი შეფასება მიეცა. იაკობ გოგებაშვილი წერილში „ერთი ეპიზოდი სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან“ ამბობს:

კერსკის აზრით „...რექტორი იმდენად დაბალი გონებისა იყო, რომ თავისი სიტყვით ვერაფერს ახერხებდა გაკვეთილებზედა. მხოლოდ ზეპირად სწავლობდა სახელმძღვანელოს და ისე ამბობდა გაკვეთილსა; მეორედ: რომ მას ფულები ერთმია ეკონომისათვის და ამ ფულების მიმღებად ჩაეწერებინა მოგონილი პირები; მესამედ: რომ იგი ისე ცუდად ინახავდა მოწაფეებს, რომ სიცივით და სიმშილით იხოცებოდნენ; მეოთხედ: რომ იგი მთვრალი დაიარებოდა ხშირად თვით საბჭოს კრებებზედა; მეხუთედ: რომ იგი იყო ინტრიგანი და ინტრიგანობით იშოვნა რექტორის ადგილი, რომლისათვისაც მას საჭირო ცენზი არ ჰქონდა; მეექვსე: რომ იგი

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. 2, გვ. 141-142.

იღებდა ცალკე ფასს შტატის გაკვეთილებში, რომელნიც მას უნდა ეძლია მუქთათ, როგორც რექტორსა და სხვანი ამ გვარნი...“[1]

უმაღლესმა მთავრობამ დასაჯა რექტორი და ერთ მონასტერში უბრალო ბერად გაგზავნა.

კერსკი ქართველების წინააღმდეგ უმაღლესი მთავრობის წინაშე დასმულ საკითხში ეყრდნობოდა ქართველების შესახებ ერთ მონაჭორს, რომლის დამტკიცებისათვის ყოველ ღონეს ხმარობდა რევიზორი. ეს ჭორი იმაში მდგომარეობდა, რომ თითქოს სემინარიის მოსამსახურე ქართველებმა ქართული პარტია შეადგინეს და ცდილობდნენ ყველა ადგილი თანამემამულეებისათვის მიეცათ, რუსები კი თანდათან გაედევნათ სასწავლებლიდან. ამას იმით ამტკიცებდა, თითქოს ყველა რუსმა მასწავლებელმა აღიარა ეს ფაქტი და მათ ქართველი დეკანოზი გიორგი ხელიძეც დაემოწმაო. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ აქ ერთი ძალზე საზიზღარი ტყუილი ურევია: „ორი ახალგაზრდა და პატიოსანი რუსი, სახელდობრ ძმანი ცვეტკოვები ყოველს საკითხსა და საქმეში ერთად მოქმედებდნენ ქართველებთან, მათთანვე ერთად იქმნა გამოყვანილი მთავრობისაგან საბჭოს წევრობისაგან და ორივენი იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ სემინარია. კერსკის მათთვის არაფერი უკითხავს. რატომ? აშკარად დარწმუნებული იყო, რომ ეს განათლებულნი რუსნი უარყოფდნენ ქართველების პარტიობას და ჩაუშლიდნენ წადილსა. ცვეტკოვებმა კარგად იცოდნენ, რომ ქართველებთან ერთად მოქმედებით იგინი მტრად იხდიდნენ სემინარიის მთავრობას და მაშინდელს ექსარხოსსა; მაგრამ იმდენად სამართლიანად ხდიდნენ ქართველი მასწავლებლების ოპოზიციასა, რომ იძულებულნი იყვნენ მათთვის მხარი მიეცათ. ვისი მოწმობა უფრო დასაჯერებელია, იმისი ვინც ტყუილისაგან თავის თავისთვის დიდს სარგებლობას მოელის, თუ იმათი, ვინც სიმართლის თქმით თავის თავს ავნებს, მაგრამ გულწრფელად და აშკარად აღიარებს ამასა. და მართლაც სემინარიაში იბრძოდნენ არა ქართველები და რუსები, არამედ რექტორი თავისი დახავსებული მომხრეებით, რომელთაც პირადი სარგებლობის მეტი აღარაფერი ესმოდათ, და ყმაწვილი მასწავლებლები, რომელნიც

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 301.

სასირცხვილოდ ჰხდიდნენ თავის თავსა და მავნებლად სასწაულებლისათვის მონური სიჩუმით ეთმინათ საქმენი ბოროტ-მოქმედნი უვიცი უფროსისა"[1].

რევიზორმა მეორე საბუთად ის მოიყვანა, რომ ქართველები ცდილობდნენ სემინარიაში ქართული ენის კათედრა დაეარსებინათ და მოწაფეებს ხანდახან ქართულად ელაპარაკეიან და გამოცდებზეც არ ერიდებიან ქართული ენის ხმარებასაო. მესამე საბუთს წარმოადგენდა ინსპექტორის თანამდებობაზე ქართველის არჩევის ცდა. მისი მტკიცებით ქართველების რაოდენობა კრებაზე მეტი იყო და თავისი კანდიდატი გაიყვანეს, ესე იგი „ქართველებმა აქ პარტიობა გამოიჩინეს"-ო. მიუხედავად ამისა, ხალხის მიერ არჩეული იოსელიანი კი არ დაამტკიცეს ინსპექტორად, არამედ ეგზარხოსის წარდგენით დანიშნეს ხალხის მიერ უარყოფილი კუვშინსკი. ბოლოთხე საბუთად კერსკი ასახელებდა რექტორის დისშვილებს, სემინარიის მოსწავლეების, რუსეთის სემინარიაში გაგზავნას, ვითომდა ქართველებს სძულდათ ისინი, სდევნიდნენ და რექტორი იძულებული გახდა გაეგზავნა რუსეთში. სინამდვილეში კი რექტორი ხშირად ეპატრონებოდა ქვრივებს თავის ბინაში, სადაც მისი დისშვილებიც ცხოვრობდნენ, მათი ერიდებოდა და თავიდან მოიშორა. მეხუთე საბუთად კერსკი ასახელებდა სემინარიიდან კოვროვის დათხოვნას, რაც მიზეზი გახდა ქართველი მასწავლებლების მიერ მოსწავლეების გაქეზებაო. სინამდვილის დასახატავად იაკობ გოგებაშვილი ასე ახასიათებს კოვროვის პიროვნებას:

„კოვროვი იყო ქონდრის ტანის კაცი, წელში მოკაკული, ცალი თვალი გამოვარდნილი ჰქონდა და ცალი ყურიდგან შეუწყვეტელი იარა სდიოდა. ამასთან სიმთვრალეს ძლიერ იყო შიჩვეული და ხანდახან ისე გადაირეოდა ხოლმე ღვინისაგან, რომ ამტვრევდა ჭურჭელს, ფანჯრებს და სხვა დასამტვრევ ნივთებს, რასაც კი ხელი მიუწვდებოდა. ამისთანა შემთხვევაში მას დაამწყვდევდნენ ხოლმე სარდაფის რომელსამე ოთახში... სიმთვრალეს თითქმის ყოველთვის მოსდევს მეშვიდე მცნების დარღვევა, მრუშობა. კოვროვიც სიმთვრალესთან ერთად შებყრობილი იყო ბუნებითაცა... მოწაფეები რასაც

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2. გვ. 302-303.

უნდოდათ იმას უშვრებოდნენ, რა ბალებიც უნდოდათ იმისთანას ასმევინებდნენ“[1].

კერსკიმ სასწავლებლის რევიზია იმ დროს მოახდინა, როდესაც იაკობ გოგებაშვილი ავადმყოფობის გამო სასწავლებელში არ იმყოფებოდა. კერსკი არ დაინტერესებულა, რომ იაკობისათვის ზეპირი ან წერილობითი განმარტება ჩამოერთმია. სემინარიაში მომხდარი ისტორიის გამო რევიზორი ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდა. კერსკის ანგარიშში ნათლად ჩანს ისეთი აზრებიც, რომლებიც ზინჩენკოს შეხედულებების სიმართლეს ადასტურებენ, ხოლო საკუთარს არღვევენ. ამის დასადასტურებლად იაკობს მოყავს ადგილი კერსკის ანგარიშიდან:

„ეს მოვლენა (სემინარიელების ნამუშევრების უწიგნურობა) აიხსნება წინა წლებში სასულიერო სასწავლებლებში რუსულ ენის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებით. უკანასკნელ ხანებში კი, სემინარიის ხელმძღვანელობის დასკვნით, სამეცნიერო განათლების დონემ, რომელსაც იღებენ მოსწავლეები განსაკუთრებით თბილისისა და ქუთაისის სასწავლებლებში, მნიშვნელოვნად აიწია. ასე რომ სექტემბერში ჩატარებულმა მისაღებმა გამოცდებმა შეუდარებლად უკეთესი შედეგები მოგვცა, ვიდრე გასული წლების გამოცდებმა“.

იაკობს სამართლიანად მიაჩნია უცნაურად ის ფაქტი, რომ არეულ-დარეულო უწოდო ისეთ სასწავლებელს, რომელიც შეუდარებლად მაღალ შედეგებს იძლევა, ხოლო ერთი წლის წინ ამ სასწავლებლის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცეს, მისი ხელმძღვანელი კი „თავდადებულ და სასარგებლო მოღვაწედ მიიჩნიეს და უმაღლესი ჯილდოს მიცემის ღირსად ჩასთვალეს“[2].

სემინარიაში კერსკის რევიზიის დროს შექმნილმა განწყობილებამ „მავნე გავლენა იქონია სემინარიელებში იმ საზოგადოებისადმი სიყვარულის აღზრდაზე, რომლის სამსახურისთვისაც ემზადებიან ისინი, შეასუსტა მათში ზნეობრივი კავშირი ხალხთან, თავისი მაღალი მოწოდების ერთგულება, შეაფერხა მათში კეთილშობილი იდეალიზმის ჩასახვა და გან-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2. გვ. 305-306.

[2] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. 1. გვ. 179-180.

მტკიცება და ყოველივე ამის ნაცვლად განავითარა ლტოლვა, რომელიც ხასიათდება პრაქტიკული, ჩინოვნიკური მატერიალიზმის სახელწოდებით"[1].

იაკობ გოგებაშვილი ახალგაზრდული ენერგიით, რუსეთში მცირე ხნით სწავლის დროს მიღებული მეცნიერული ცოდნითა და შეუპოვარი ბრძოლით, ცდილობდა სასწავლებელში სწავლა-აღზრდა დემოკრატიულ პრინციპებზე დაეყენებინა.

იაკობ გოგებაშვილის სულისკვეთება ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისათვის კარგად ჩანს მისი ყოფილი მოწაფის, ცნობილი ხალხოსანი-დემოკრატის შიო დავითაშვილის მოგონებიდან:

„ბუნებისმეტყველებაც მიზიდავდა. ამგვარი ჩემი გატაცება იაკობ გოგებაშვილის — სასულიერო სასწავლებლის იმდროინდელი ზედამხედველის — მიზეზი იყო. მას სასწავლებლის ბიბლიოთეკის გამგებლობაც ჰქონდა ჩაბარებული. ის გვირიგებდა შეგირდებს ისეთ წიგნებს, რომლებიც ყველა ჩვენთაგანისათვის გასაგები და მისახვედრი იქნებოდა. წაკითხვის შემდეგ იცოდა ხოლმე გამოკითხვა, ვინ რა წაიკითხა და როგორ გაიგო. ეს ერთგვარი წამახალისებელი და წამაქეზებელი საშუალება იყო. მან წამიკითხა, სხვათა შორის, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოკლე ისტორია და მას შემდეგ ჩემს გონებიდან წაუშლელად აღიბეჭდა დიდებული მებრძოლის რობესპიერის სახე".

ზედამხედველის მძიმე და შრომატევად საქმიანობას იაკობი ნაყოფიერად უთავსებდა სამეცნიერო საქმიანობას. 1865 წელს მან გამოსცა პირველი სასწავლო-საანბანო წიგნი „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის".

ყველაზე ძნელი მთელს დიდაქტიკაში მშობლიური ენის ანბანის სახელმძღვანელოს შედგენაო, — წერდა თავის დროზე დიდი რუსი პედაგოგი კონსტანტინე უშინსკი. სწორედ ეს საოცრად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე იტვირთა ოცდახუთი წლის იაკობ გოგებაშვილმა და ნორჩ თაობას მიაწოდა საქმის დიდი სიყვარულითა და ცოდნით შედგენილი სახელმძღვანელო. სახელმძღვანელოს წინ უძღვის შესავალი —

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1932, ტ. 1, გვ. 189-190.

„მასწავლებლისათვის“, სადაც ავტორი განსაზღვრავს მანამდე არსებული ანბანური მეთოდის ხარვეზს და აღნიშნავს, რომ ასეთი მეთოდი ნორჩებს სწავლისადმი ხალისს უკარგავს. „ყველა ახალი მიიღების მაშინ, როდესაც ძველში შეამჩნევენ ნაკლოვანებებს, — წერს იაკობ გოგებაშვილი, — რა ნაკლოვანება აქვს ჩვეულებრივ ანბანების მეთოდს? პირველი და უმთავრესი ნაკლოვანება ამ მეთოდისა მდგომარეობს იმაში, რომ ანბანი იწყების ასოებიდგან. ასოები ცალ-ცალკე არა საგანს არ აჩვენებენ, არა ჰაზრს არა ხატვენ. ამიტომ სწავლის დაწყება ასოებიდგან ყმაწვილისათვის არის მავნებელი. აი, მისცეს ყმაწვილს ხელში ანბანი და ეუბნებიან: ეს ასო არის ა, ეს ბ და სხვანი. ყმაწვილის თავში, რასაკვირველია, არა ჰაზრი არ იხატება. ამიტომ პირველივე შეხვედრაზედ ყმაწვილს სწავლა ეჩვენება, როგორც ერთი უაზრო საგანი. ამ მეთოდს, მაშასადამე, შეუძლიან პირველათვე შეაძულოს სწავლა ყმაწვილსა და წაართვას მას წადილი სწავლისა!“

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მთავარი ღირსება ის არის, რომ მოსწავლე ანბანით კი არ იწყებს სწავლას, არამედ სიტყვებით. იაკობმა პირველმა დაამკვიდრა საქართველოში ბგერითი ანალიზური მეთოდი, რის შედეგადაც მოსწავლე „პირველივე დაინახავს სწავლაში ჰაზრსა; ამიტომ, რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე ჰაზრსა, აჩვენებს რომელიმე საგანს“.

იაკობ გოგებაშვილმა სასწავლებელში თითქმის ქართული სული გაამეფა. იმ ხანებში სემინარიის მასწავლებელთა რიგებს შეემატნენ რუსეთიდან ახალდაბრუნებული ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი და თომა ტურიაშვილი.

როდესაც სასწავლებელს ეგზარხოსი ევსეი ესტუმრებოდა, ყველას საშინელი შიშის ზარი დაეცემოდა, — იგონებს ნ. ლომოური, — ფერწასული და შემკრთალ-შეშინებული მასწავლებლები მონებივით ეხვეოდნენ გარშემო და მოწიწებით ისმენდნენ დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებას. „უნდა გენახათ ბურსაკების აღტაცება და სიხარული, როდესაც ამ საგაგლახო მონებში ჩაერეოდა იაკობი, წარბშეკრული, ამაყად თავაღებული, ხმა მაღლა და თამამად მოლაპარაკე. რაღა თქმა უნდა, თავგასულ ბერს არ მოსწონდა ქედმაღლობა ხბალგაზდა მასწავლებლისა, შორიდან ემუქრებოდა, მაგრამ

ახლო კი ვერაფერს უბედავდა. ისე არ მოვიდოდა სემინარიაში, რომ არ დასწრებოდა იაკობის გაკვეთილსა, და მაშინ უნდა გენახათ ეს საკვირველი ადამიანი როგორ დატრიალდებოდა ხოლმე ჯარასავით კლასშია. როგორის უნარით აუხსნიდა მოსწავლეებს გაკვეთილსა, გაამეორებინებდა, დაასწავლიდა და ბოლოს მოკლედ ჩააწერინებდა მის შინაარსს რვეულში. ექსარხოსის შეკრული წარბები ნელნელად იხსნებოდა, მრისხანე სახე სათნოიან გამოხატულებას იღებდა და წინათვე დამზადებული შენიშვნების ნაცვლად, ლოცვა-კურთხევა გადმოდიოდა მისი ბაგედან. „დიდი ნიჭის პატრონია“, უთხრა ერთ ამისთანა დროს დაბალის ხმით რექტორსა, — ეგ რომ მატერიალისტი არ იყვეს, ღირსია დიდი თანამდებობისაო“[1].

სასწავლებელი იაკობ გოგებაშვილის რუდუნებით სულ უფრო და უფრო იხვეჭდა სახელს. იაკობის ჯანმრთელობა კი უარესდებოდა. „ჯანმა ვერ შეუძლო გონების აღფრთოვანებას. გამუდმებულმა შრომამ და ფრთხილ ცხოვრებაზე ხელის აღებამ, იაკობს ხელახლა აუშალა ძველი სნეულება. მოუხშირა სიცხემა და ხველამ. ხანდისხან ნახველს სისხლსაც ატანდა. იაკობი შეშინდა, ძალა უნებურად დაუბრუნდა ძველებურ ცხოვრებას, შრომას უკლო, გაკვეთილებს აკლდებოდა, შინიდან კარზე ხშირად ვეღარ გამოდიოდა. რაკი ცოცხალ საქმეს ერთგული თვალ-უურის ჭერა მოაკლდა, მრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. ერთმა სულმდაბალმა არსებამ ბუნების კარში მოთავსებული აღწერა მაიმუნების ცხოვრებისა რუსულად გადასთარგმნა და იმავე „პოპ ვანკას“ (რექტორი, არქიმანდრიტი ვალენტინი. — ზ. ბ.) დახმარებით წარუდგინა ექსარხოსს, რაღა თქმა უნდა, შესაფერის დასკვნით. გაჩნდა კლიაუზნიკური მიწერ-მოწერა. იაკობის წინანდელმა მტრებმა ხელახლა წამოყვეს თავი. თვით მის გვერდით, მისსავე სასწავლებელში ერთგული მომხრენი... კანცელარია აურ-დაურიეს, შესავალ-გასავლის წიგნები მოიპარეს, სხვა და სხვა საბუთები აქეთ-იქით მიჩქმალეს... ოთახში შენწყვდეულ ავათმყოფს სულ უბრალო საქმე რომ მოეკითხნა, მის პოვნას და მოტანას ძლივ-ძლიობისას ახერხებდნენ. ექსარხოსის მტრობა,

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ნ. ლომოურის ფონდი № 19694-ხ.

რექტორის კლიაუზნიკობა, გარშემო მყოფთა სულმდაბლობა, საზარელი სეზის გაძლიერება, ერთგული მეგობრების განშორება, — აი ის ბოროტებით სავსე გარემოებანი, რომელთა შეერთებული ძალა კარს მოადგა იმ ჟამად იაკობსა... და ამ ბოროტი ძალის თავდასხმას ვეღარ შეუძლო დასუსტებულმა ადამიანმა. წერვები ძალზე მოეშალა, მძლავრი გონება დაუსუსტდა და აფორიაქებული ნერვების საბურთაოდ გახდა...“[1]

იაკობ გოგებაშვილი სემინარიიდან განთავისუფლებული იქნა როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნება მესამე მუხლის ძალით. ამ უკანონო მოქმედებამ ენით აუწერელი ტრავმა მიაყენა იაკობს.

ერთ დილას შემზარავი ხმა გავრცელდა — იაკობ გოგებაშვილი უგზო-უკვლოდ დაკარგულაო. სემინარიის მოსწავლეები გუნდ-გუნდად მოედვნენ თბილისის შემოგარენს, ნიკო ცხვედაძემ და გიორგი იოსელიანმა მეთევზეები დაიქირავეს და მტკვარში ბადეებით ეძებდნენ იაკობის გვამს. როდესაც შედამდა, სემინარიაში მისულა ნიკო ცხვედაძის ძმა, სახალხო სკოლის მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე, რომელმაც ასეთი ამბავი აუწყა სემინარიის თავზარდაცემულ თანაშრომლებს:

„დილის ცხრა საათი იქნებოდა, ვერაზე სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი და მტკვარს გადავცქეროდიო. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მოადგა ვიღაც კაცი, ისე გაუხდელი შემოვიდა წყალში და ღრმა ადგილას ჩაეარდაო. რამდენსამე ხანს აღარ სჩანდა, მერმე უცებ გამოჩნდა, იწყო წყალთან ბრძოლა... მე მაშინათვე ჩავირბინე ფერდობი და, როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერმე მე და ნიკომ მიხეილის საავათმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავაწვინეთ“[2].

ორიოდე კვირის შემდეგ ნ. ლომოურმა იაკობი იწახულა. გამხდარ-გაყვითლებულ სახეზე სევდიანი თვალები გამოიყურებოდნენ. მაგიდაზე იაკობს მოზრდილი რვეული ედო, რო-

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ნ. ლომოურის ფონდი № 19671-ბ.

[2] იქვე.

შელსაც სათაურად ეწერა „კონა“. „წიგნს ვადგენო, წარმოსთქვა დაბალის ხმით იაკობმა. „დედა-ენიდამ“ „ბუნების კარზე“ გადასვლა ძნელია მოსწავლისათვის. მინდა შევადგინო ისეთი წიგნი, რომელიც შეაერთებს მოხსენებულ ორ სახელმძღვანელოს“[1].

ერთი თვის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი საავადმყოფოდან გამოწერეს. იაკობი თავის განუყრელ მეგობართან ნიკო ცხვედაძესთან დაბინავდა.

იაკობ გოგებაშვილმა საბოლოოდ გადაწყვიტა რომ ოფიციალურ სამსახურში აღარ ჩამდგარიყო და მთელი თავისი დაუღალავი ენერგია ხალხისათვის მოეხმარებინა.

მოვუსმინოთ როგორ აგვიწერს ამ ფაქტს ნ. ლომოური:

იაკობი „დაბინავდა თავის ერთგულ მეგობართან — ნიკო ცხვედაძესთან მთაწმინდაზე. იდგა ზამთარი. იაკობის სანახავათ მივედი ამ ბინაზე. გაჩაღებულ ბუხრის წინ იჯდა და რაღაც ქაღალდებსა შინჯავდა. ფერი მოსვლოდა, სახე დამშვიდებოდა, მხიარულად მომეგება. რამდენისამე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკოც და თან შემოიტანა თავისი ჩვეულებრივი მხიარულება და აღფრთოვანება.

— როგორა ხარ, იაკობ? — კარებიდგანვე შემოსძახა მეგობარმა.

— აი, ეს წყეულები მაწუხებენ, — უპასუხა მან... მინდა მოვიშორო თავიდამ... სთქვა თუ არა ეს, სტოლიდან აკრიბა მთელი ბღუჯა რუსულად დაწერილი ქაღალდები და გაჯავრებით შეჰყარა გაძლიერებულ ბუხარში.

— რა იყო, იაკობ? რა ქაღალდები უთავაზე ამ ჩვენ მხიარულ ბუხარსა? — კითხა ღიმილით ნიკომ.

— დავწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შეძლოს, — წარმოსთქვა იაკობმა... ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქაღალდები — ყველანი ცეცხლს მივართვი. ვაი თუ მაგათის წყალობით კიდევ გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა... ამიერიდგან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო.

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ნ. ლომოურის ფონდი № 19671-ხ.

— გამარჯვება იაკობს, შესძახა აღტაცებით ნიკომა, მხარზე ხელი გადასდო და წარმოსთქვა:

— ქვეყნის სამსახურს, იაკობ, არც მე გავექცევი... ვფიცამ პატიოსნებას და იმ ქვეყნის მომავალსა. ესეთი ფიცი წარმოსთქვეს ერთმანეთის წინაშე ამ ორმა ჩინებულმა ადამიანმა და როგორც შეასრულეს ეს ფიცი, ყველამ კარგათ იცის ამჟამად"[1].

იაკობ გოგებაშვილი უშუალო მონაწილე იყო ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო წამოწყებისა, ხოლო მისი ინიციატივით დაარსდა იმ დროისათვის ისეთი უაღრესად ეროვნული კერა, როგორიც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება" იყო.

ცნობილი ქართველი პედაგოგი ვარლამ ბურჯანაძე თავის მოგონებაში — „იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობა ქართ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ხაზით" ნათელს ჰფენს იმ პერიოდს, როდესაც აუცილებელი საჭიროება მოითხოვდა ასეთი ეროვნული საზოგადოების დაარსებას:

„ბატონ-ყმობის ინსტიტუტის გაუქმებას, როგორც ვიცით, მოჰყვა გლეხთა დებულების გამოცემა. ამ დებულებით, სხვათა შორის გლეხებს ეძლეოდათ უფლება თავიანთ ხარჯით გაეხსნათ სკოლები, ხოლო ვალდებულება, რომ ისინი სკოლას შეინახავდნენ, უნდა ჩამოეყალიბებინათ. ეს ის დრო იყო, როდესაც დაწყებითი სკოლებისათვის არც ცოტა ოდნად მომზადებული მასწავლებლები ჰყავდათ, არც სახელმძღვანელოები ჰქონდათ. სწავლება საეკლესიო სკოლებში ძველი დრო მოჭმული მეთოდებით წარმოებდა. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია რუსეთის თავისუფალმა ეკონომიურმა საზოგადოებამ. იგი აარსებს წერა-კითხვის კომიტეტს და მას აკისრებს სასკოლო სისტემის ჩამოყალიბებას და სათანადო სახელმძღვანელო წიგნებისა და საერთოდ სკოლისათვის საჭირო ყველა სასწავლო ხელსაწყოების შედგენას და გამოცემას". რუსეთის თავისუფალი ეკონომიური საზოგადოების გამგეობის პრეზიდენტის ბრძანებით კომიტეტს სათავეში ჩაუდგა იმ დროისათვის უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი პედაგოგი

---

[1] გ. ლეონიძის სახელობის სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი, ნ. ლომოურის ფონდი № 19671-ხ.

კ. უშინსკი, რომელიც თავის ირგვლივ იკრებს პედაგოგებს, ბარონ კორფს, პაულსონს, ბრუსეს, მილერს, ვოდოვოზოვს, ევტუშევსკის, ბუნაკოვს, სემიონოვს და სხვებს. „მუშაობის პროცესში უშინსკი რწმუნდება, რომ რუსეთში დაწყებითი განათლების საქმის რაციონალურად მოწყობისათვის საჭიროა საზღვარგარეთის სკოლის ორგანიზაციისა და, საზოგადოდ, სასკოლო სისტემის ადგილობრივ გაცნობა და შესწავლა. ხოლო ამ მიზნით ევროპაში ისეთი პირის მივლინება (იყო საჭირო. — ზ. ბ.), რომელიც ამ მოვალეობის შესრულებას შესძლებდა. ამ მისიას უშინსკი თვითონვე კისრულობს"[1]. გერმანიასა და შვეიცარიაში მოგზაურობის დროს უშინსკი დაკვირვებით ეცნობა სახალხო სკოლების ორგანიზაციის საქმეს, განსაკუთრებით კი სწავლების მეთოდებს.

საქართველოში ბატონყმობის ოფიციალურად გაუქმების შემდეგ წელს (1865 წ.) გლეხთა დებულების თანახმად გლეხებს უფლება მიეცათ, რათა დაწყებითი სკოლები დაეარსებინათ იმ პირობით, თუ ყველა ხარჯს თვითონ გლეხები გაიღებდნენ. „იქ, მეფის რუსეთში, გლეხთა ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლებას, ისეთი ორგანიზაციის დაარსება მოჰყვა (თუმცა 34 გუბ-ში), როგორც ერობა, რომელიც განცხადებითი წესით ხსნიდა დაწყებით სკოლებს; აქ კი, საქართველოში, სკოლების გახსნის ინიციატივა თვით გლეხებს უნდა გამოეჩინათ. თვით გლეხებს უნდა შეედგინათ ეგრე წოდებული „პრიგოვორი" (განაჩენი) თავიანთ ყრილობებზე და მის საფუძველზე გაეხსნათ სკოლები. გლეხებში კი ასეთი საქმის დამწყებნი ნაკლებად მოიპოებოდნენ"[2]. ვ. ბურჯანაძე აღნიშნავს, რომ ისევ თუ ვინმე სამაზრო ან საბოქაულო ადმინისტრაციის მოხელე იკისრებდა სკოლის თაობაზე ხალხთან მოლაპარაკებას, შეაგნებინებდა მას განათლების საჭიროებას და ყრილობაზე განაჩენს გამოატანინებდა, მაგრამ ასეთ მოხელეთა რიცხვი თითზე ჩამოსათვლელი იყო. 1874 წლამდე, სახალხო სკოლების დირექციების ჩამოყალიბებამდე სკოლების გახსნის საქმე ნელი ტემპით მიდიოდა, ხოლო ჩამოყალიბების შემდეგ ეს საქმე წარმატების გზას დაადგა, განსაკუთრებით

---

[1] სგმ., ვ. ბურჯანაძის ფონდი № 6757.

[2] იქვე.

დასავლეთ საქართველოში. „ისეთი ორგანიზაცია კი, რომელსაც უნდა ეზრუნა ჩვენი სკოლებისათვის საჭიროო სახელმძღვანელო წიგნების გამოცემაზე, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების შედგენაზე და თვით სკოლების გახსნაზე და მათ პედაგოგიკის საღი პრინციპების თანახმად მოწყობაზე, — ჩვენში არ ყოფილა“[1].

ქართულ სკოლებზე ზრუნვა ისევ კერძო პირს უნდა ეკისრა და ეს უაღრესად საპატიო მისია იაკობ გოგებაშვილმა იდო თავს. „უშინსკის მსგავსად იგი საფუძვლიანად ეცნობა იმ დროს არსებულ პედაგოგიურ მიმდინარეობას, იხილავს დაზუსტებით სკოლებისათვის შედგენილ სახელმძღვანელოებს, როგორც ანბანის, ისე ანბანის შემდეგ საკითხავ წიგნებს, სწავლების სხვადასხვა მეთოდებსა და მათ ისტორიას...“[2]

საქართველოში ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ, 1864 წელს, — აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი, — დაიბადა აზრი, რომ ეს რეფორმა მხოლოდ მაშინ მოიტანს სიკეთეს, როცა გლეხობა უმეცრებისაგან განთავისუფლდებაო, ხოლო ასეთ განთავისუფლებას გლეხობა უნდა მოელოდეს ქართველი მოწინავე საზოგადოებისაგან მას შემდეგ, როდესაც იგი შექმნის ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც განათლების მოფენა შეეძლება ხალხში. „ამ მოსაზრებამ დაბადა წადილი „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა. მაგრამ წადილის განხორციელებას ესაჭიროებოდა პროპაგანდა საზოგადოებაში, მოძრაობის დაბადება და გაძლიერება. ამას ხელი მოუმართა იმ გარემოებამ, რომ მაშინ, სამოციანს წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდვილს ცენტრებს წარმოადგენდნენ. სადაც იკრიბებოდნენ ძველის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენელნი“[3].

საზოგადოების ჩამოყალიბების იდეა სამოციანი წლების მეორე ნახევარში გაჩნდა იოსებ მამაცაშვილის ბინაზე, სადაც კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნით დაარსებულ წრეში ხდებოდა მსჯელობა ქართველი ერის სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. აქ ხშირად იკრიბებოდნენ დიმიტრი ბაქრაძე, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე

[1] სგმ., ვ. ბურჯანაძის ფონდი № 6757.

[2] იქვე.

[3] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 391.

შამაცაშვილი, გეგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ცოლ-ქმარი სიმონოვიჩები, ნიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი, ანა ბესარიონის ასული მუსხელიშვილისა.

იაკობ გოგებაშვილის ინიციატივით ამ წრეში დაარსდა სალარო წრის წევრთა საწევრო გადასახადებისათვის. აქედან შემოსული თანხებით წრე სოფლებში ხსნიდა სკოლებს და ეწეოდა საგამომცემლო საქმიანობას.

„სწორედ ამ წრეში დაიბადა და აღიზარდა აზრი „წერა-კითხვის საზოგადოების“ დაარსებისა. სულ თავდაპირველად ამ საზოგადოებას ჰქონდა კერძო წრის ხასიათი. ყოველს წევრს ამ წრისასა კასაში შეჰქონდა განსაზღვრული ფული, რომლითაც უნდა დაარსებულიყვნენ კერძო სკოლები სოფლად“[1].

პირველი კერძო სკოლა სოფელ ხოვლეში დაუარსებიათ. სახალხო სკოლების დირექტორი ბესარიონ ღოღობერიძე იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ სასწავლო გეგმას, რომლის მიხედვითაც ხოვლეს დაწყებით სკოლაში ოთხი წლის მანძილზე ყველა საგანი დედაენაზე უნდა ესწავლებინათ, არ ამტკიცებდა და ამის მიზეზად ოლქის მზრუნველს ნეველოვს ასახელებდა. ნეველოვი წინააღმდეგი იყო რომ მეოთხე წელსაც საგნები მშობლიურ ენაზე ესწავლებინათ. „ღოღობერიძე ამის გამო თითონაც ძალიან სწუხდა თურმე და დიდ უხერხულ მდგომარეობაში გრძნობდა თავს, რომ თავისი რწმენის წინააღმდეგ, უფროსების ბრძანებით, ეროვნულ საქმეს აფერხებდა. მას ეს გულის მწუხარება იაკობისათვის შეუჩივლია და თან განუცხადებია, რომ ამ შემთხვევის შემდეგ, მას დიდხანს ვეღარ შეუძლია სასწავლო უწყებაში დარჩენა. (და მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ ღოღობერიძე ბანკის მმართველად გადასულა ქუთაისში)“[2].

მთავრობამ ნება დართო საზოგადოებას საგნები მშობლიურ ენაზე მხოლოდ სამი წლის განმავლობაში ესწავლებინა,

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 392.

[2] სგმ., ვ. ბურჯანაძის ფონდი № 6757 (იქვე ვ. ბურჯანაძის მინაწერი: „ეს ამბავი გადმომცა ლ. ბოცვაძემ, როგორც იაკობის პირადად ნაცნობი“).

ხოლო მეოთხე წელს კი მოითხოვა რუსულ ენაზე ყოფილიყო სწავლება.

„არაფრად გვეპიტნავა, მაგრამ რას ვიზამდი. გავხსენით სკოლა, გავამწესეთ მასწავლებელი და გავაჩაღეთ სწავლა, მაგრამ საქმემ ფრთები ვერ გაშალა, რადგანაც დედა-ენის უფლების შეზღუდვამ ცივი წყალი გადაასხა წრის წევრებს. ჩვენ გვსურდა სამაგალითო სკოლა დაგვეარსებინა, რომლისათვისაც უნდა მიებაძნათ ყველა სოფლის სკოლებსა; მაგრამ სამოსწავლო ბიუროკრატიამ მეტად დააკოჭლა ჩვენი სკოლა, ნაყოფიერება მისი საგრძნობლად შეამცირა და დაუკარგა მიმზიდველობის ძალა. ამიტომ სკოლამ ვერ იბარტყა და დარჩა ობლად. არც ერთი სხვა სკოლა ამ წრეს აღარ გაუხსნია, და მხოლოდ სოფლის ერთს სკოლას აწარმოებდა, ისიც ვაი-ნაჩრობით"[1].

საქმის ვითარებამ წრის წევრები დაარწმუნა, რომ მიზნის მისაღწევად „კერძო წრე უძლურია, და საჭიროა ფართო საზოგადოება, ჯეროვანი წესდებულებით, რომელიც მთავრობის მიერ უნდა იქნას დამტკიცებული და დაკანონებული". წრის წევრებმა დაავალეს ვახტანგ თულაშვილს, თავის სიმამრის — ზაქარია ერისთავის დახმარებით რუსეთიდან გამოეთხოვათ საზოგადოების ნორმალური წესდება.

ვ. თულაშვილის ცნობით, ნ. ცხვედაძემ, ი. გოგებაშვილმა და თვითონ თხოვეს დ. ყიფიანს, რათა ამ საქმეში მონაწილეობა მიეღო. თავდაპირველად დ. ყიფიანი თავს იკავებდა, მაგრამ საბოლოოდ მოეწონა მათი აზრი, დაეთანხმა და სისტემატურად ესწრებოდა წესდების მოსამზადებელ სხდომებს. წესდების შედგენას თითქმის ერთი წელი მოანდომეს (1877-1878 წ.წ.).

ამ ფაქტთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილი წერს:

„...ამ ხანობაში მე მძიმე ავადმყოფი შევიქენი, ფილტვებიდან სისხლის დენა მქონდა, და უკიდურესი დაქანცულობის ვამო, ამას საშინელი უძილობაც დაერთო. ამას დაემატა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა მესამე მუხლის ძალით, თანახმად ანდაზისა: მიეცეს და მიემატოსო. მთელი ზამთარი სამკურნალოში ვიწექი...

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 393.

როცა თბილისში ჩამოვედი, მაშინვე გავემგზავრე თულაშვილთან და ვკითხე: შენი სიმამრისაგან მიიღე თუ არა მეთქი დაბარებული წესდებულება, და მან მიპასუხა: წელიწადზედ მეტია, რაც აი ამ სტოლის უჯრაში მიძევს, მაგრამ საქმის დაწყებას არავინ აპირებსო. ამოვაღებინე წესდება, წავიღე თან და ნიკო ცხვედაძესთან ერთად საქმის განხორციელებას შევუდექით. — პირველი ჩვენი გადაწყვეტილება იყო ასეთი: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ იმისთანა გვამი, რომელსაც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაში და მთავრობის წრეებშიაც. აღებ-დაღების შემდეგ ჩვენ ამისთანა გვაძად ვიცანით დიმიტრი ივანეს-ძე ყიფიანი, რომელსაც მამაცაშვილის წრესთან არავითარი სიახლოვე არა ჰქონია, და ერთს მშვენიერს საღამოს ვეახელით და თან მივიტანეთ ნორმალური წესდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“. როცა ჩვენი წინადადება მოისმინა, მხურვალე თანაგრძნობით მიეგება ჩვენი ძვირფასი მასპინძელი, და ხანგრძლივ მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტეთ: ყოველ შაბათს საღამოს შევკრებილიყავით მასთან და შეგვემუშავებინა წესდებულება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“ ქართველთა შორის, გაწერდა შაბათის კრებები“[1]. იაკობ გოგებაშვილი მხოლოდ რამოდენიმე კრებას ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო. იაკობმა წრის წევრების ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებაზე, რომ რუსულ დედანში არ არსებობს დედაენაზე საგნების მუხლი, რადგან რუსეთში ეს თავისთავად იგულისხმებოდა, ხოლო ჩვენს წესდებაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო. ნიკო ცხვედაძე დიმიტრი ყიფიანთან ერთად დიდი ენერგიით შეუდგა ამ საქმის მოგვარებას. როდესაც წესდების შედგენა დამთავრდა, იაკობ გოგებაშვილი გულდასმით გაეცნო მას და აღმოჩნდა, რომ დედაენაზე საგნების სწავლების შესახებ მუხლი წრის წევრებს წესდებაში არ შეეტანათ. „როცა მიზეზი ვიკითხე, — განაგრძობს იაკობ გოგებაშვილი, — ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანეს-ძეს აზრით მაგ მუხლს მთავრობა არ შეიწყნარებს, წესდებულებას არ დაგვიმტკიცებს და საზოგადოებას ვერ დავაარსებთო. მე ვუ-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 393-394.

პასუხე: „თუ ეგ მუხლი არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამაო იქნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება საზოგადოების სკოლებში რუსულ ენებზე მოითხოვოს, და მაშინ ჩვენი საზოგადოება ქართველი ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსახურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონების დაბნელებას დაეხმარება მეთქი"[1].

მაშინ იაკობ გოგებაშვილს ნ. ცხვედაძის ხელნაწერში თვითონ ჩაუწერია:

«Общество достигает своей просветительной цели посредством организации всего начального обучения на родном, понятном детям языке, и способствует обучению русскому языку».

წესდების შავი პირი იაკობ გოგებაშვილმა და ნიკო ცხვედაძემ ბესარიონ ღოღობერიძეს წაუკითხეს, რომელიც ამ დროს თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად მუშაობდა და აქამდე წესდების შემუშავების საქმისაგან შორს იდგა. იაკობ გოგებაშვილის მიერ ჩამატებული მუხლის შესახებ უთქვამს:

„მაგ მუხლის ჩამატებას ის შედეგი მოჰყვება, რომ წესდებულებას უკანვე დაგვიბრუნებენ შესასწორებლადო. თქვენ რომ ხოვლეში სკოლას აარსებდით, ოთხი წლის განმავლობაში ითხოვეთ სწავლება დედა-ენაზე, მაგრამ მთავრობამ მხოლოდ სამს წელიწადს მოგცათ ნება და მეოთხე წელიწადს რუსულს ენაზე დაწესა საგნების გადაცემაო. თუ ერთს სკოლაში არ მოგვცეს მაგის ნება, ყველა სკოლების შესახებ მით უმეტეს არ მოგვცემენო".

იაკობ გოგებაშვილმა მიუგო:

„ხელის სკოლის შესახებ საქმე გვქონდა ბიუროკრატ მზრუნველთან და ახლა კი საქმე გვექნება ნამესტნიკის თანაშემწეს სტაროსელსკისთანა. სტაროსელსკი სახელმწიფო გვამია, მეტად ნათელი მიმართულებისა, უყვარს საქართველო, როგორც თავისი მეორე სამშობლო, რომელმაც ოჯახობრივი ბედნიერება მიანიჭა, არის მემამულე საქართველოსი და ჩვენთვის არ დაიშურებს ამ ძვირფასს უფლებას, თუ მას საფუძვლიანად დავუსაბუთებთ მეთქი. უძლიერესი საბუთის

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 393-394.

სამსახურს გაგვიწევს ამ შემთხვევაში რესკრიპტი იმპერატორის ალექსანდრე მეორისა, 30 აგვისტოდან 1864 წლისა, რომლითაც იგი აკანონებს დედა-ენაზე სწავლებას სახალხო სკოლებში „ინოროდცების" შორის..."[1]

გადაწყვიტეს საშუამდგომლო დოკუმენტში ამ მუხლის გასამართლებლად მოეხსენებინათ იმპერატორის რესკრიპტი და სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებანი.

ამ საქმისათვის ნიადაგის მოსამზადებლად იაკობ გოგებაშვილმა 1877 წლის დასაწყისში „Тифлиский вестник"-ში გამოაქვეყნა ვრცელი მოწინავე წერილი ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების სკოლების შესახებ, სადაც სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, მკითხველ საზოგადოებას უჩვენა ამ სკოლების უნაყოფობა და მავნებლობა, რომ აწეთი მახინჯი სკოლა ეწინააღმდეგება არა მარტო პედაგოგიურ პრინციპებს, არამედ რუსეთის ძირითად კანონებს. ამ წერილს გაეცნო ნამესტნიკი, რომელსაც ნეველროვისათვის უთქვამს: „მივაქცევ თქვენს ყურადღებას „თბილისის მოამბის" წერილებს ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების სკოლების შესახებ"-ო[2].

როდესაც წესდების პროექტზე ხელის მოწერის დრო დადგა, იაკობ გოგებაშვილს უთქვამს:

„რათა დამტკიცებას ავაცდინოთ ყოველი დაბრკოლება, საჭიროა წესდებულებას ხელი მოაწერონ დამფუძნებელად, მხოლოდ იმ გვარმა გვამებმა, რომელთაც სრული ნდობით ეპყრობა მთავრობა. მე, მაგალითად, სამსახურიდან დათხოვნილი ვარ მესამე მუხლის ძალით, და ამიტომ ყოვლად მოუხერხებელია დამფუძნებელთა შორის მეც მოვექცე. გარდა ამისა... ძლიერ დაეხმარება საქმეს, თუ ჩვენს წესდებულებას მოაწერენ ხელს დიდი თანამდებობის სომხებიც, რომელთაც მჭიდრო კავშირი აქვთ ქართველ საზოგადოებასთანა"[3].

სტაროსელსკიმ წესდება ნამესტნიკს დაუყოვნებლივ დაამტკიცებინა.

საზოგადოების კრებაზე გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად იქნა არჩეული დიმიტრი ყიფიანი, ხოლო მდივნად —

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 395.

[2] იქვე. გვ. 395-396.

[3] იქვე, გვ. 396.

იონა მეუნარგია. გამგეობის წევრებად არჩეულნი იყვნენ იაკობ გოგებაშვილი, ნ. ცხვედაძე, ი. მაჩაბელი, ა. სარაჯიშვილი, გ. წერეთელი, რ. ერისთავი, თ. ჟორდანია, ი. გამყრელიძე, გ. თუმანიშვილი და გ. უთურგაური.

იაკობ გოგებაშვილი ფაქტიურად საზოგადოების სკოლების მეთვალყურე და ხელმძღვანელი იყო.

„არც ერთი სკოლის შესახებ საკითხი, ეხებოდა ეს სასწავლო გეგმა-პროგრამებს, მასწავლებელთა დანიშვნას, ან დათხოვნას, სასკოლო შენობების საკუთრად შეძენას, თუ დაქირავებას, ახალი სკოლის გახსნას, სასწავლო უწყების მოხელეებთან (დირექტორი-ინსპექტორებთან) მიწერ-მოწერას, სახელმძღვანელო წიგნების შედგენა-გამოცემას, საყმაწვილო წიგნების გამოცემას, საკვირაო სკოლების დაარსებას, სკოლების საჭირო დგამით და სასწავლო ხელსაწყოებით მომარაგებას თუ სკოლების დახურვას, სახალხო უფასო ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გახსნას — იაკობის მონაწილეობის გარეშე არ გადაწყდებოდა. ყველა ეს საკითხი იაკობს წინასწარ უნდა განეხილა, თავისი დასკვნა შეედგინა და ამის შემდეგ მ ივანს სხდომის დღის წესრიგში შეეტანა“[1].

თუ როგორ აფასებდა იაკობ გოგებაშვილი „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლს ეროვნული კულტურის განვითარების საქმეში, შესანიშნავად არის გადმოცემული ამ საზოგადოების მდივნის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე მიქაბერიძის მოგონებებში:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია და კანცელარია მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეული ქარვასლის მეორე სართულში, — წერს ალ. მიქაბერიძე. — საზოგადოებას დაქირავებული ჰქონდა სამი ოთახი. ერთ ოთახში გამართული იყო წიგნის მაღაზია, მეორეში კანცელარია და მესამეში კი ბუხჰალტერია. მეორე და მესამე ოთახ შორის ტიხრი მოეშალათ და ამნაირად ეს ორი ოთახი გაერთიანებული იყო. კანცელარიაში შესვლა შეიძლებოდა წიგნის მაღაზიის გავლით და საბუხჰალტრო ოთახის მხრიდანაც.

მიმსვლელმომსვლელი კანცელარიაში შესვლას რატომღაც

[1] სგმ, ვ. ბურჯანაძის ფონდი, № 6757.

მაღაზიაზე გავლით ამჯობინებდა. ასე ყოფილა წინეთ და ასე იყო ჩემს დროსაც"[1].

ალ. მიქაბერიძე გაეცნო წიგნების მაღაზიის გამგეს შიო მღვიმელს და საზოგადოების ბუღალტერს ვასილ ედილაშვილს, რომელთაც მას საზოგადოების საქმეები გააცნეს. ერთხელ, — იგონებს ალ. მიქაბერიძე, — „კანცელარიაში შემოვიდა მაღალი ტანის, სუფთად ჩაცმული, ოდნავ ჭაღარა შერეული კაცი, რომელიც მოუახლოვდა ჩემს მაგიდას და ხელისჩამორთმევისას დაბალის ხმით მითხრა: „იაკობ გოგებაშვილი".

იაკობმა ალ. მიქაბერიძეს დაწვრილებით გამოკითხა თუ სად დაამთავრა გიმნაზია, რომელ ქალაქში სწავლობდა უნივერსიტეტში და აქამდე სად მუშაობდა. როდესაც ყველაფერი შეიტყო, იაკობმა განაგრძო:

„დიდად სასიამოვნოა, რომ თქვენ უმაღლესი სწავლით შეიარაღებულ ახალგაზრდას განზრახვა გაქვსთ საზოგადოების საქმიანობაში ჩაებათ და ერთგვარი სამსახური გაუწიოთ ქართველი ხალხის გონებრივად განვითარების საქმეს. მართალი უნდა გითხრათ, მდივანი სული და გულია ყოველივე ჩვენი საქმიანობისა.

მართალია, გამგეობის წევრები თუმცა საზოგადოების საქმეებს ერთგვარ ხელმძღვანელობას ვუწევთ, მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. ყველანი დატვირთული ვართ საკუთარი საქმეებით, ზოგი მსახურობს, ზოგი კერძო სამუშაოს ეწევა და მეტად მცირე დროს ანდომებს საზოგადოების საქმეების ხელმძღვანელობას. კვირაში ერთხელ ვიკრიბებით. ვმსჯელობთ, ვთათბირობთ. დიდი სურვილი გვაქვს კიდევ უფრო მეტი დრო მოვანდომოთ საზოგადოების საქმიანობას, მაგრამ დრო და გარემოება ამის საშუალებას არ გვაძლევს.

საზოგადოების წესდებამ ეს უხერხულობა თავისდროზე გაითვალისწინა და მუდმივი მუშაკის მოწვევის საკითხი დადებითად გადაჭრა. ესეთ მუდმივ მუშაკად ნაგულისხმევია საზოგადოების მდივანი, რომლის ცოდნასა და გამჭრიახობაზე მრავალი რამაა დამოკიდებული.

ჩვენი საზოგადოების საქმიანობაში თავიდათავი სამზრუნ-

[1] სგმ. ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

ველო სკოლები და ბიბლიოთეკებია. დღევანდელი გადაგვარებული სახელმწიფო სასწავლებლები ჰეშმარიტად განათლებულ ქართველ თაობას ვერ აღგვიზდის.

საზოგადოების სკოლების დანიშნულებაა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ქართული სული შთაბეროს, მოსწავლე ქართველის აზროვნება მშობლიურ ნიადაგზე წარმართოს.

ეს დიდი დანიშნულება საზოგადოების სკოლებმა რომ პირწათლად შეასრულოს, საჭიროა. საფუძვლიანი რევიზიების პერიოდულად მოწყობა, გამოცდილი მასწავლებლების შერჩევა, მათი ნივთიერი მდგომარეობის სასურველად გაუმჯობესება, სკოლების გამართვა და სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფა და სხვა.

თუ საზოგადოების მდივანი თავის სიმაღლეზე იდგება, თუ საქმის სიყვარულს და ერთგვარ გამჭრიახობას გამოიჩენს, იგი უეჭველია ჩვენ სკოლებს ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევს და სწავლა აღზრდის საქმესაც წესიერად დააყენებს.

თქვენი წინამოადგილე დავით კარიჭაშვილი დიდი შრომის მოყვარე, დიდი ბეჯითი და პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ სამწუხაროდ მეტის საქმიანობისაგან მოიქანცა, დაიღალა და მდივნის თანამდებობაზე უარი განაცხადა.

თქვენ კი, როგორც უფრო ახალგაზრდას, უეჭველია შრომის უნარი უფრო მეტი შეგწევთ და საზოგადოების რთულ საქმიანობას ნუ შეუშინდებით.

ვფიქრობთ, რომ თქვენი ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა, თქვენი განათლება, თქვენი გულწრფელი სურვილი საზოგადოებრივ ასპარეზზედ მუშაობისა სრული თავდებია იმისა, რომ თქვენ საზოგადოების სკოლებს ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევთ, უზრუნველყოფთ სკოლებს ღირსეულ სასწავლო ნივთებით და იარაღებით, გამოცდილსა და დახელოვნებულ მასწავლებლებს შეარჩევთ, გულთბილად მიუდგებით მათ პასუხსაგებ ყოველდღიურ საქმიანობას, საჭირო დროს კიდეც გაამხნევებთ და ამრიგად სკოლებში შექმნით ჯანსაღ ატმოსფეროს.

საზოგადოების არსებობის მთავარი წყარო ჩვენი წიგნების მაღაზიაა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ წიგნებით ვაჭრობის საქმეს. თუ წიგნებით ვაჭრობის საქმეს, როგორც

თბილისში, ისე პროვინციაში, რიგიანად დააყენებთ, საზოგადოებას დიდ თანხებს შემატებთ და ამრიგად უზრუნველყოფთ ჩვენი სკოლების, ბიბლიოთეკების და ქართული წიგნების გამომცემლობის წესიერად მოგვარებას.

წიგნების მაღაზიის გამგე შიო მღვიმელი პატიოსანი კაცია, საზოგადოების ქონებას უფრთხილდება, წიგნების მაღაზიას იშვიათის მზრუნველობით თავს დასტრიალებს.

საზოგადოების მოანგარიშე ვასო ედილაშვილიც იშვიათი პატიოსნების მუშაკია, მისი გულწრფელი შრომა და მუყაითობა საზოგადოდ ცნობილია.

თუ თქვენ სამივე ჯანსაღობით სავსე მუშაკები შეთანხმებულად ჩაებმებით საქმიანობაში, ყველანი ერთად და ცალცალკე თვითეული თქვენგანი უდიდეს სამსახურს გაუწევთ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

პირადად მე და გამგეობის დანარჩენი წევრები, რამდენადაც მოცალეობა საშუალებას მოგვცემს დახმარებას არ მოგაკლებთ და საჭირო დახმარებას აღმოგიჩენთ. ჯერჯერობით ამ პირველ გაცნობისას ეს ვიკმაროთ. ჩვენ მომავალში ხშირად შევხვდებით ერთმანეთს და დანარჩენ საქმეებზე ლაპარაკს კიდევ მოვესწრებით...“[1]

1879 წლის 8 დეკემბრის სხდომაზე იაკობ გოგებაშვილმა მეტად მნიშვნელოვანი საკითხი დააყენა — ვინაიდან თბილისში ქართული სახალხო სკოლა არ არსებობდა და ამის გამო „ქართველი ახალგაზრდები ან არ სწავლობენ, ან იძულებულნი ხდებიან იარონ სხვა სკოლებში, სადაც ქართველ მოზარდს გონებაც ეხშობა და ენაც უმახინჯდება. რადგან მდგომარეობა კრიტიკულია, საჭიროა სასწრაფოდ წამლის მიშველება, თბილისში უნდა გაიხსნას ქართული სახალხო სკოლა ქალთა და ვაჟთათვის. გარდა უშუალო სიკეთისა, ეს სახალხო სკოლა მაგალითი უნდა იყოს სხვა სასოფლო სკოლებისათვის. იქაური მასწავლებლები თბილისში გაივლიან პრაქტიკას, გაეცნობიან სწავლების ახალ მეთოდებსა და ხერხებს“[2].

1880 წლის ოქტომბერში თბილისში ქართული სახალხო

---

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

[2] ს. ხუციშვილი, მანათობელი, 1980, გვ. 30-31.

სკოლა გაიხსნა მესანგრეთა ანუ საპიორების ქ. № 41-ში (ახლანდელი ძნელაძის ქუჩა).

სხდომაზე იაკობ გოგებაშვილმა კიდევ მეორე არა ნაკლები მნიშვნელობის საკითხი დააყენა. ეს ეხებოდა სასკოლო პედაგოგიური ლიტერატურის — გრამატიკის, გეოგრაფიის, არითმეტიკის სახელმძღვანელოებისა და ისტორიული მოთხრობების გამოცემას, რასაც პრემიების დანიშვნა დააჩქარებდა. ამასთან ერთად საქართველოს რუკაც უნდა მიეღო ქართველ საზოგადოებას.

იაკობ გოგებაშვილის „მესამე წინადადება ეხებოდა სოფლის საზოგადოებისათვის გაზეთის საშუალებით შეტყობინებას, რომ თუ სოფელში მოსახლეობა მოისურვებდა სკოლის გახსნას და გაიღებდა 35-40 თუმანს ყოველწლიურ ხარჯად, „საზოგადოება“ სკოლებს დაეხმარებოდა სასკოლო ავეჯით, სკოლას გამოუძებნიდა საიმედო მასწავლებელს, ყოველწლიურად მიაშველებდნენ 40 მანეთის წიგნებს, გამგეობა იკისრებდა სკოლის მართვას და სასკოლო შენობის აშენების შემთხვევაში შეეწეოდა 150 მანეთის რაოდენობით“[1].

იაკობ გოგებაშვილის დანარჩენი ორი წინადადება ითვალისწინებდა „საზოგადოების“ წევრობის მსურველთა მიღებას წლიურ ყრილობამდე, რაც შემოსავალს გაუზრდიდა „საზოგადოებას“. ამასთან ერთად იმ მასწავლებელს, ვინც „საზოგადოების“ სკოლაში მოისურვებდა მუშაობას, განცხადებასთან ერთად უნდა წარედგინა პედაგოგიური გამოცდილების დამადასტურებელი საბუთი.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთ სხდომაზე, რომელსაც ნ. ცხვედაძე თავმჯდომარეობდა, სხვა მრავალ მნიშვნელოვან საკითხთა შორის შეტანილი იყო გამგეობის წევრის იაკობ გოგებაშვილის მოხსენება ქუთაისის ქართული გიმნაზიის რევიზიის დანიშვნის შესახებ. კრებაზე პირველი სიტყვა იაკობ გოგებაშვილს მისცეს.

„გამგეობის წევრები მოუთმენლად მოელოდნენ შეეტყოთ, რა მოხდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ისეთი, რამაც იაკობ გოგებაშვილი აიძულა რევიზიის სასწრაფოდ დანიშვნა მოეთხოვა.

---

[1] ს. ხუცაშვილი, მანათობელი, 1980, გვ. 30-31.

იაკობ გოგებაშვილმა ამ სხდომაზე ესეთი შინაარსის სიტყვიერი მოხსენება გააკეთა: „საზოგადოების სკოლები, ცხადია, სამაგალითოდ უნდა იყოს სწავლა აღზრდის მხრით დაყენებული, თუ გვინდა, რომ სასწავლო მთავრობა არ ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში და ერთ მშვენიერ დღეს ეს დიდი შრომითა და გაჭირვებით დაარსებული სკოლები არ მოგვიკეტოს.

სასწავლო მთავრობა არ დაინდობს ჩვენს სასწავლებლებს, მოურიდებლად ხელებს დაუწყებს ფათურს სკოლების შინაურ ცხოვრებაში, ჩვენი საზოგადოების კანონიერ წესდებას ანგარიშს არ გაუწევს, ფეხ ქვეშ გათელავს, რასაც ეჭვს გარეშეა მეტად სამწუხარო შედეგები მოყვება.

ვინ მოსთვლის, რამდენი ენერგიის დახარჯვა დაგვჭირდება, რომ ძველ სენაკის სკოლაში შექმნილი სამწუხარო მდგომარეობა გამოგვესწორებინა.

ჩემის ცნობით ესეთივე მდგომარეობა შექმნილა ამჟამად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაშიც. სწავლა აღზრდის საქმე მეტად ჩამოქვეითებულა. მოწაფეთა დისციპლინა დაცემულა. მოწაფეების თავაშვებულობა და უმართებულო საქციელი ქუთაისის მთელი საზოგადოების ყურადღებას იქცევს თურმე. სასწავლებლის გამგე და მასწავლებლები ერთმანეთს ასკდებიან, ერთი მეორესი არაფერი სწამთ და ნაცვლად შეთანხმებული მუშაობისა თავისი უმართებულო მოქმედებით სასწავლებელს ძირს უთხრიან და უფსკრულისაკენ მიაქანებენ თურმე. მასწავლებელთა და გამგის შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება და შუღლი დღითი დღე მწვავდება ხოლმე და საშიშ სახეს იღებსო.

სასწავლებლის ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტი ყურს არ იბერტყავს და სასწავლებლის საქმიანობაში სრულებით მონაწილეობას არ იღებსო.

ქუთაისი და მთელი ქუთაისის გუბერნია თვალის ჩინივით შეჰყურებს ჩვენს ქართულ გიმნაზიას და, თუ სწავლა აღზრდის საქმე ამ სასწავლებელში წესიერად არ იქნა მოწყობილი, ცხადია მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ საზოგადოებას დაეკისრება. კანონით სასწავლებლის გამგე პატრონი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა, რომელიც ვალდებულია საჭირო შემთხვევებში გადამჭრელი ზომები მიიღოს,

რომ სასწავლებელი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩააყენოს და სწავლა აღზრდის საქმე წესიერად მოაგვაროს.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას რატომღაც ბედი არ წყალობს. ჯერ იყო და სიმონ ღოღობერიძემ თავისი დაუდევრობით და უმოქმედობით ერთგვარი დეზორგანიზაცია შეიტანა სასწავლებელში. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით სიმონ ღოღობერიძეზე, როცა მას სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე ვნიშნავდით.

კაცი, რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია, საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, ვფიქრობდით სასწავლებელს ღირსეულად გაუძღობოდა და სწავლა აღზრდის საქმეს კეთილად წარმართავდა.

სამწუხაროდ, სიმონ ღოღობერიძემ ეს ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. სასწავლებელი მისი გამგეობის დროს თითქმის დაინგრა და დაიშალა.

საქმის დროზე გამოსასწორებლად სიმონ ღოღობერიძის ნაცვლად მივიწვიეთ სასწავლებლის გამგედ შედარებით უფრო ახალგაზრდა პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი და მთლიანად დეზორგანიზებული სკოლა ჩავაბარეთ იმ სრულის რწმენით, რომ ეს გამოცდილი პედაგოგი სკოლაში აქტიურად დატრიალდებოდა და სწავლა აღზრდის საქმეს სასურველად მოაგვარებდა.

ჩვენ ძალიან კარგად გვაგონდება ის დახასიათება, რომელიც გამგეობის ერთერთმა წევრმა მოგვცა იმ სხდომაზე, რომელზედაც გამგეობამ ალექსანდრე გარსევანიშვილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგედ დანიშნა.

ჩვენ ამ ჟამად არ გვინდა ვისმეს უსაყვედუროთ ან ეჭვი შევიტანოთ იმ დახასიათებაში, რომელიც მოგვცა გამგეობის ამ წევრმა ალექსანდრე გარსევანიშვილის ადმინისტრაციული და პედაგოგიური ნიჭის შესახებ.

სამწუხაროდ, გარსევანიშვილმაც ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. გამგეობის მიერ წამოყენებულმა გამგემ სასწავლებელში კიდევ უარესი მდგომარეობა შექმნა თავისი დაუდევრობით და უმოქმედობით.

ამიტომ ვფიქრობთ დაუყოვნებლივ სასტიკი რევიზია უნდა დაინიშნოს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და, თუ ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს, დადას-

ტურდა, დაუყოვნებლივ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ, რათა სასწავლებელი გადავარჩინოთ მოსალოდნელ განსაცდელს.

ჩვენ რევიზიას რომ უფრო მეტი ნდობა და მნიშვნელობა ექნეს, საჭიროდ მიგვაჩნია სარევიზიო კომისიის წევრებათ ავირჩიოთ ორი წევრი გამგეობის მხრით და ორიც კიდევ ქუთაისის ადგილობრივ მოღვაწეთაგან.

პირადად ჩვენ სარევიზიო კომისიის წევრებად დავასახელებთ გამგეობის წევრს ივანე ზურაბიშვილს და ჩვენს მდივანს ალექსანდრე მიქაბერიძეს, ხოლო ქუთაისიდან კი ცნობილ პედაგოგს იოსებ ოცხელს და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს და ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილ პუბლიცისტს ალექსანდრე ნანეიშვილს"[1].

მიუხედავად იმისა, რომ სასწავლებელში მუშაობდნენ ისეთი გამოცდილი მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ ბარბარე ვოლსკაია, სილოვან ხუნდაძე, სერგო რობაქიძე, იასონ ნიკოლაიშვილი და სხვები, გაირკვა, რომ ამ მასწავლებელთა ნაყოფიერ მუშაობას შედეგი არ ჰქონდა. სასწავლებელი მოკლებული იყო სასწავლებლის გამგისა და სამზრუნველო კომიტეტის საერთო საქმეში მონაწილეობას და მზრუნველობას. ამის გამო კომისიის წევრები იძულებულნი გახდნენ, რათა სასწავლებლის ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტის საქმეებიც შეესწავლათ.

სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და კომიტეტის დანარჩენი წევრები სკოლაზე ზრუნვისათვის თავსაც არ იწუხებდნენ.

„სასწავლებელი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სამზრუნველო კომიტეტს არრას ეკითხებოდა და ეს უკანასკნელიც კი არაფერს ითხოვდა, თითქოს ესეთი დამოკიდებულება მიზანშეწონილი და ნორმალური ყოფილიყოს",[2] — წერს ალ. მიქაბერიძე.

კომისიამ დაწვრილებით შეისწავლა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში არსებული ნაკლოვანებები და შედეგები მოახსენა საზოგადოების გამგეობის საგანგებო სხდომას, რომლის წევრთა უმრავლესობა იოსებ ოცხელის, ივანე ზურაბაშვილისა

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

[2] იქვე.

და ალექსანდრე ნანეიშვილის სამსახურიდან მოხსნას მოითხოვდნენ, მაგრამ ბოლოს სასწავლებელში იმჟამად გამეფებული გამწვავებული პროცესის გამო ეს წინადადება უარყვეს.

იაკობ გოგებაშვილმა მხარი დაუჭირა გამგეობის წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებას და თავისი მოსაზრება შემდეგშაირად დაასაბუთა:

„ჩვენმა რევიზორებმა, როგორც ხედავთ სავსებით დაადასტურეს ის ფაქტები, რომელთა შესახებ ამას წინეთ მოგახსენეთ.

ყოველივე ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში თავი უჩენია ერთგვარ სენს.

თუ ძველი სენაკის სკოლის მთელი ტრაგედია აღმოცენდა პირადი განხეთქილების ნიადაგზე გამგისა და მასწავლებელთა შორის, ამას თავი შემოევლებოდა და კიდევაც ასე მოხდა.

სულ სხვა ნიადაგზეა წარმოშობილი გარსევანიშვილისა და მასწავლებელთ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. ამ განხეთქილებას სულ სხვა საფუძველი უძევს სარჩულად.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა ჩემის ცნობითაც გარსევანიშვილის დანიშვნის პირველ დღიდანვე მტრული განწყობილება დაიჭირეს ახლად დანიშნულ გამგესთან, ფარულად ბრძოლას აწარმოებდნენ გამგის წინააღმდეგ, უსულოდ, უგულოდ ასრულებდნენ ყოველივე მის განკარგულებას.

ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტიც გულგრილად შეჰყურებდა სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობას და ამ რიგად სწავლა აღზრდის საქმე სასწავლებელში დღითი დღე უარესდებოდა და აი, როგორც ხედავთ, ამ სამწუხარო შედეგებამდე მივაღწიეთ.

ჩვენ არ გვინდა ერთ წუთსაც ვიფიქროთ, რომ მასწავლებლობა მხოლოდ იმიტომ აუმხედრდა ბ-ნ გარსევანიშვილს, რომ იგი ქართველია და არა იმერელი, ასე ვთქვათ კუთხური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ჩვენ რომ ასე ვფიქრობდეთ, ეს ხომ დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციისათვის. ეს-

წავლებლობა ასეთი კუთხური მოსაზრებით ვერ ამოძრავდებოდა და დარწმუნებულიცა ვართ არც ამოძრავებულა.

ჩვენ გვჯერა და უდავოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიას არა ერთი და ორი ღირსეული მასწავლებელი მოეპოვებოდა, რომელიც მეტის ნდობით იქნებოდა აღჭურვილი მასწავლებლების მხრით და უფრო ნაყოფიერად, უფრო წარმატებით წაიყვანდა სასწავლებლის სწავლა აღსრდის საქმეს, ვიდრე ეს შესძლო ცენტრიდან დანიშნულმა ჩვენმა კანდიდატმა.

ჩვენის აზრით, გამგეობა დიდად შესცდა, როცა ადგილობრივ პედაგოგიურ ძალებს ანგარიში არ გაუწია და სასწავლებლის გამგედ სრულიად გარეშე პირი დანიშნა.

ბ-ნ გარსევანიშვილს რომ მეტი გამჭრიახობა გამოეჩინა, იგი ბოლოსდაბოლოს დაარწმუნებდა მასწავლებელთა კორპორაციის წევრებს დაევიწყათ თავის თავმოყვარეობა სასწავლებლის საკეთილდღეოდ და აქტიურ საქმიანობის ფერხულში ჩაბმოდნენ.

თუ ყოველივე ამას ბ-ნი გარსევანიშვილი ვერ შესძლებდა, სკოლის საკეთილდღეოდ გამგის თანამდებობაზე ნებაყოფლობით უარი უნდა განეცხადებინა და სასწავლებლის მართვა-გამგებლობა სხვა პირისათვის დაეთმო.

სამწუხაროდ, ბ-ნმა გარსევანიშვილმა ვერ გამოიყენა ვერც პირველი და ვერც მეორე საშუალება და ამრიგად ასე მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა.

ამჟამად შექმნილ მდგომარეობის გამოსასწორებლად, გამგეობა ვალდებულია გადამჭრელი ზომები მიიღოს. ამას მოითხოვს სასწავლებლის სასიცოცხლო ინტერესები.

პირადად ჩვენ დიდის სიამოვნებით დაუჭერდით მხარს ბ-ნი მიქაბერიძის კერძო მოსაზრებას, რომ სასწავლებელში დაგვემყარებინა ნორმალური პირობები და ბატონი გარსევანიშვილი ისევ გამგედ დაგვეტოვებინა. რასაკვირველია ეს მოსაზრება მიზანშეწონილია, იგი გამოწვეულია საქმისადმი გულისხმიერი მიდგომით, მაგრამ სასწავლებელში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს ეს მოსაზრება ცხოვრებაში გავატაროთ, განვახორციელოთ. ათასი რომ ვეცადოთ, საქმეს ცენტრიდან ვერ გამოვასწორებთ, ბ-ნ გარსევანიშვილს ვერ შევუქმნით სასურველ პირობებს ნაყოფიერ მუშაობისათვის.

ჩვენის ღრმა რწმენით ამჟამად საჭიროა ავამოძრაოთ დოსტაქრის მჭრელი დანა და ბოლო მოუღოთ სასწავლებელში ჭამეფებულ ანარქიას.

ამიტომ წინადადება შემომაქვს, ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილმა სასწავლებლის კეთილსაყოფად დასთმოს თავისი პირადი თავმოყვარეობა, გამგის თანამდებობაზე უარი განაცხადოს და ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში დარჩეს მასწავლებლად. ამასთანავე დაკავშირებით წინადადება მიეცეს სამზრუნველო კომიტეტს სასწრაფოდ წარმოგვიდგინოს სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე დასამტკიცებლად ადგილობრივად მოღვაწე რომელიმე გამოცდილი პედაგოგი, რომელიც შესძლებს ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიოს სასწავლებელს"[1].

იაკობ გოგებაშვილის წინადადება გამგეობის მიერ ერთხმად იქნა მიღებული და ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგედ დაინიშნა ცნობილი პედაგოგი იოსებ ოცხელი.

ქუთაისის გუბერნიაში შემავალ სენაკის მაზრაში იმ დროს მხოლოდ ერთი სასწავლებელი იყო, ქართული სათავადაზნაურო სკოლა, სადაც მშობლიურ ენასა და საქართველოს ისტორიას სხვა საგნებთან შედარებით უპირატესობა ენიჭებოდა. ამ სასწავლებელს თავადაზნაურობა ქუთაისის საადგილმამულო ბანკიდან მოგებული თანხებით ინახავდა, რის გამოც ადგილობრივი მოსახლეობა მას „ბანკის სკოლას" უწოდებდნენ. სასწავლებელი გაიხსნა 1879 წელს და მისი პირველი გამგე ცნობილი პედაგოგი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე იყო.

ქუთაისის რუსი ბიუროკრატიული ჩინოვნიკები და კლასიკური გიმნაზიის დირექტორი ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ ისეთი სასწავლებლის დაარსებისა, რომელიც ეროვნული სულით იქნებოდა გაჟღენთილი, მაგრამ ოფიციალურად ამას ვერ ამჟღავნებდნენ. „სტოიანოვმა სკოლის საზეიმო გახსნაზე სიტყვაც წარმოსთქვა. ამ თვითნება დირექტორმა ის აზრი გაატარა თავის ოფიციალურ სიტყვაში, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი ალბად შეეცდება მოწაფეები სათანადოდ მოამზადოს გიმნაზიაში შესასვლელად. და ამ მხრით ეს ახალი სასწავლებელი, თუ ამ

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

დანიშნულებას ბირნათლად შეასრულებს, დიდ სამსახურს გაუწევს მშობლებს, რომელთა შვილები სრულიად მოუმზადებელი აწყდებიან გიმნაზიის კარებსო.

ახლად დაარსებული სასწავლებლის დანიშნულება სრულებით ის არ იყო, რასაც სტოიანოვი გულისხმობდა თავის ოფიციალურ სიტყვაში, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი თუ მაინც ესეთ დანიშნულებას ანიჭებდა ახლად დაარსებულ სასწავლებელს, ცხადია ამ დახელოვნებულ რუსის ბიუროკრატს ბოროტი განზრახვები ამოძრავებდა"[1].

ალ. მიქაბერიძის ცნობით ალ. ჭიჭინაძემ გარს შემოიკრიბა საუკეთესო მასწავლებლები და მათთან შეთანხმებული მუშაობით სასწავლებელში სწავლა-აღზრდა წარმატებით მიმდინარეობდა, სასწავლებელში მტკიცე საძირკველი ეყრებოდა ეროვნულ საქმეს. იაკობ გოგებაშვილმა მხარი დაუჭირა სენაკის მაზრის მოსახლეობის შუამდგომლობას ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ბარაღელური განყოფილებების სენაკის მაზრის სასწავლებელში გადატანის საკითხს და მიზანსაც მიაღწია.

მიუხედავად ამისა, სასწავლებელში სრულიად მოულოდნელი ამბავი მოხდა, მასწავლებელთა და სასწავლებლის გამგეს (სამსონ ყიფიანი) შორის განხეთქილება ჩამოვარდა, ნორმალური მუშაობის პირობებს სასწავლებელში ბზარი გაუჩნდა. „მასწავლებლები არ უარყოფდნენ, რომ გამგე სამსონ ყიფიანი გამოცდილი პედაგოგია, განათლებული კაცია, საჭირო ცოდნაც შესწევს, მაგრამ როგორც ადამიანი თავის სიმაღლეზე არა სდგას. გაზვიადებული თავმოყვარეობა, უხასიათობა, ჟინიანობა, უსამართლოების წარბშეუხრელად მომხრეობა — აი, ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც, მასწავლებლების აზრით, სამსონ ყიფიანის ნიშნობლივ თვისებებს შეადგენდა.

ყოველივე ამას მასწავლებლები კიდევ შეურიგდებოდნენ, რომ სამსონ ყიფიანს სასწავლებელი გარყვნილების ბუდედ არ გადაექცია, ნამდვილი ამ სამარცხვინო სიტყვის მნიშვნელობით, სამსონ ყიფიანს თავისი უმზგავსო საქციელით გარ-

---

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

ყვნილება შეაქვს სასწავლებელში და დღითი დღე საძირკველს უთხრის ამ საშვილიშვილო საქმეს"[1].

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, ვინაიდან დიდ ეროვნულ საქმეს საფრთხე მოელოდა, სასწავლებელში ორჯერ გაგზავნა რევიზია არსებული მდგომარეობის შესასწავლად. პირველმა რევიზიამ მიზანს ვერ მიაღწია, საქმე ისე გართულებულიყო, რომ ძნელი გამოსარკვევი შეიქმნა თუ ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი. მეორე რევიზიამ, სადაც უფრო გავლენიანი პირები მონაწილეობდნენ, ისეთი დასკვნა გამოიტანა, თითქოს სამსონ ყიფიანი უდანაშაულო ყოფილიყოს და ასეთი დაძაბული მდგომარეობა მასწავლებლებს ხელოვნურად შეექმნათ. ამ რევიზიის მასალების მიხედვით საზოგადოების გაძკეობამ სამსონ ყიფიანი თავის ადგილზე დატოვა, ხოლო მასწავლებლები სხვადასხვა სკოლაში გადაიყვანეს.

საზოგადოებრიობა უარყოფითად შეხვდა ასეთ გადაწყვეტილებას. გამგეობის დადგენილებას სინამდვილისადმი შეუფერებლად თვლიდნენ. გამგეობამ გაითვალისწინა საზოგადოებრივი აზრი, სამსონ ყიფიანი გაანთავისუფლეს თანამდებობიდან და გამგის თანამდებობაზე დანიშნეს ცნობილი პედაგოგი და მწერალი არსენ წითლიძე (ლიტერატურული ფსევდონიმი — შუბნელი). სასწავლებელში ნორმალური ვითარება დამყარდა.

სასწავლო წლის დასასრულს საზოგადოების გამგეობამ იაკობ გოგებაშვილის წინადადებით გადაწყვიტა ძველი სენაკისა და ბათუმის სკოლების რევიზია ჩაეტარებინათ. გამგეობამ ეს საქმე იაკობ გოგებაშვილს და ალექსანდრე მიქაბერიძეს დაავალა.

იაკობ გოგებაშვილი უაღრესად დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სწავლა-განათლების საქმეს. ეროვნულ ნიადაგზე დამყარებული სწავლება ეროვნული სულის განმტკიცების უპირველეს საშუალებად მიაჩნდა და ამ საქმის კეთილად წარსამართავად არ ზოგავდა პირად ჯანმრთელობას, მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

ძველი სენაკისა და ბათუმის სკოლების სარევიზიოდ გამ-

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

გზავრების წინ, გეგმის შედგენის დროს, იაკობ გოგებაშვილს ალ. მიქაბერიძისათვის გაუზიარებია თავისი მოსაზრება ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმის შესახებ:

„დიდი ხანია, რაც მე სკოლაში სარევიზიოდ არ ვყოფილვარ. მინდა ამ ჩვენს რევიზიას მომზადებული შევხვდე. უფროს განყოფილებებში სასწავლო საგნები უფრო რთულია და ამიტომ მინდა ზოგიერთი საქმიანი სტატიები გადავათვალიერო „ბუნების კარში". შესაძლებელია ბევრი რამ დამავიწყდა. ვშიშობ მოწაფეების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავდგე. შემჩნეულია, ნივთი, რომელსაც ადამიანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ხმარობს, ძველდება, თავის პირვანდელ სახეს და ხარისხს ჰკარგავს. თუ გინდა რომ ეს ნივთი კ*დევ დაიხმარო, საჭიროა მისი აუცილებლად შეკეთება, რესტავრირება. ადამიანის ბუნებაც ასეა მოწყობილი. დროთა განმავლობაში ადამიანი ადვილად ივიწყებს სიჭაბუკეში შეძენილ ცოდნას. საჭიროა სისტემატიური ვარჯიშობა, რომ ეს ცოდნა შენს მეხსიერებაში განამტკიცო, აღადგინო სრულის მოცულობით და ხარისხიანობით. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ „ბუნების კარს", თუმცა იგი ჩემი შედგენილია, ხელმეორედ ვათვალიერებ და შიგა და შიგ გაბნეულ ცნობებს ვიმეორებ და ვითვალისწინებ. თუ თქვენც გაიზიარებთ ამ ჩემს მოსაზრებას, იძ შემთხვევაში გთხოვდით თქვენაც შეემზადოთ მომავალ რევიზიისათვის, რათა პირნათლად შეასრულოთ ის პასუხისსაგები დავალება, რომელიც გამგეობამ ორთავეს დაგვაკისრა. ამ საღამოს მიტომ შეგაწუხეთ, რომ საჭიროდ მიმაჩნია მომავალი ჩვენი რევიზიის წინასწარი პატარა გეგმა მოვისაზროთ. მე ვგონებ სჯობს ასე შევთანხმდეთ, სასწავლო ნაწილის რევიზიას ძირითადად მე ვიკისრებ, თქვენ კი სასწავლებლის სამეურნეო ნაწილი შეამოწმეთ. სასწავლო ნაწილის შემოწმების დროს გაკვეთილებზე ყოველთვის თქვენაც უნდა დაესწროთ, რათა ორივემ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ბასწავლებლის ღირსება ნაკლოვანებაზე, რევიზიის პროცესში თქვენაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ სასწავლო საგნების გამოკითხვის დროს. მოწაფეების წერითი სამუშაოები თქვენ უნდა შეამოწმოთ, ხოლო შიგა და შიგ მეც დაგეხმარებით. აი, ასე მაქვს წარმოდგენილი ჩვენი რევიზიის დაახლოებითი გეგმა. რევიზიის პროცესში,

რასაკვირველია, შესაძლებელია ეს ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ნაწილობრივ შეიცვალოს, მაგრამ ეს ჩვენ მიერ დასახულ მიზანს ხელს არ შეუშლის. რევიზიის მოხსენებული წესი ბათუმის სკოლაშიაც დავიცვათ. მაშ, თუ თქვენ ამ ჩემი წინადადების საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მოემზადეთ წასასვლელად და ამ დღეებში გავემგზავროთ ჯერ ძველ სენაკში და, როცა იქ სკოლის რევიზიას მოვრჩებით, შემდეგ ბათუმის სკოლას ვესტუმროთ"[1].

იმ წლებში ძველი სენაკის სასწავლებელში ქართულ ენას ასწავლიდა პოლიკარპე ლორთქიფანიძე. იაკობ გოგებაშვილი რევიზიის პირველსავე დღეს ქართული ენის გაკვეთილს დაესწრო. იგი ჩვეული პედაგოგიური ტაქტით ცდილობდა მასწავლებლის აღელვება ჩაეხშო, თვითონ, ყოველგვარი დაძაბულობის შეტანის გარეშე ერეოდა გაკვეთილის ჩატარებაში და მოსწავლეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. ალ. მიქაბერიძე იგონებს:

„მხცოვანი პედაგოგის მიერ მოხერხებულად დაყენებულმა კითხვებმა და მოწაფეების დალაგებით მოცემულმა პასუხებმა ერთბაშად შეცვალეს კლასში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა.

იაკობი თვითეული სიტყვის მკაფიოდ გამოთქმას, ზუსტად განმარტებას მოითხოვდა და მოწაფეებიც კმასაყოფელად ასრულებდნენ ამ მოთხოვნას.

იაკობმა მოთხრობის შინაარსი, რომელიც მოწაფეებს უნდა დაემუშავებიათ გაკვეთილზე, მოხერხებული კითხვების დაყენებით მთლიანად ამოწურა.

როცა მოწაფეებმა მოთხრობის შინაარსი ამრიგად შეითვისეს, იაკობმა მოწაფეებს მოსთხოვა დალაგებით, თანამიმდევრობით გადმოეცათ მოთხრობის მთელი შინაარსი.

მოთხრობის შინაარსის დადგენის დროს იაკობი მოითხოვდა მოწაფეებს მოეგონებინათ ის ანდაზები, რომელიც შეესაბამებოდა მოთხრობის შინაარსს.

გაკვეთილის მეორე ნახევარი, თავისთავად ცხადია, უფრო ნაყოფიერად, უფრო ხალისიანად ჩატარდა. მოწაფეები ისე გაიტაცა იაკობის დიდის ოსტატობით ჩატარებულმა გაკვე-

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

თილმა, რომ ზარის ხმამაც ვერ მოსწყვიტა ისინი მერხებიდან...

ჩვენი მხცოვანი პედაგოგი თვითეული განყოფილების რევიზიის დროს თავის ნაჩვევ მოწაფეთა გამოკითხვის ხერხებს, მეთოდს არ ღალატობდა და ერთხელ აღებულ გეზს გაკვეთილის შინაარსის შესაბამისად განუხრელად ატარებდა"[1].

სასწავლებლის რევიზიის მესამე დღეს იაკობ გოგებაშვილმა არსენ წითლიძეს სთხოვა, საღამოს ექვს საათზე შეეკრიბა მასწავლებლები რევიზიის შედეგების მოსასმენად.

იაკობ გოგებაშვილის, როგორც დიდი პედაგოგისა და კეთილმოსურნე რევიზორის სახის წარმოსაჩენად საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ მისი სიტყვის ვრცელი ამონაწერი ალ. მიქაბერიძის მოგონებიდან:

„აგერ სამი დღეა, რაც წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დავალებით რევიზიას ვაწარმოებთ თქვენდამი ჩაბარებულ სასწავლებელში. ამ სამი დღის განმავლობაში, ჩვენის აზრით, საკმარისად გავეცანით სკოლას. შევამოწმეთ სასწავლებლის როგორც პედაგოგიური, ისე სამეურნეო ნაწილი.

ყოველივე იმას, რაც ახლა ჩვენ გვინდა თქვენის თანდასწრებით აღვნიშნოთ, წერილობითი მოხსენების სახით წარუდგენთ საზოგადოების გამგეობას საჭირო დასკვნების გამოსატანად.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად როგორც ჩვენ, ისე მეორე რევიზორი ბ-ნი ალექსანდრე მიქაბერიძე, დიდად კმაყოფილი დავრჩით სასწავლებლის ნაყოფიერად მუშაობით.

თუ ამ ერთი წლის წინეთ ძველი სენაკის სკოლას დიდი განსაცდელი მოელოდა იმ არეც დარევის გამო, რომელსაც სამწუხაროდ იმჟამად სკოლაში ადგილი ჰქონდა, ამ სასწავლებლის ბედი ასე ვთქვათ ბეწვზე ეკიდა, დღეს დღეობით ამ მოკლე ხნის განმავლობაში სკოლა თქვენის ნაყოფიერი მუშაობით წელში გამართულა და მომავალში უნდა ვიფიქროთ საშიშროება არ მოელის.

სასწავლო ნაწილი სასწავლებელში კმასაყოფელად, მეტ-

---

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

საც ვიტყვით, კარგადაა დაყენებული; სკოლის სამეურნეო ნაწილი იშვიათი სიზუსტითაა წარმოებული. სასწავლებლის შემოსავალ გასავლის წიგნები უტყუარი სარკეა სკოლის მთელი მეურნეობისა, რაიცა ზედმეტი საბუთია თქვენი მზრუნველობითი მუშაობისა.

მივესალმებით თქვენს ამ გულწრფელსა და საქმის სიყვარულით გამოწვეულ ნაყოფიერ მუშაობას და გისურვებთ ეს თავიდანვე თქვენ მიერ აღებული გეზი არ გაგემრუდებიოსთ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის, ამ ჩვენი მომავალი იმედის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

ამ დიდსა და რთულ საქმეში ცხადია ნაკლიც მოგეპოვებათ. ნათქვამია, ამ ქვეყნად უნაკლო ადამიანი ძნელად მოიპოვებაო.

მოსწავლე ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა, მისი სწორსა და გარკვეულ გზაზედ დაყენება, მისი გონებრივად და ფიზიკურად წესიერად ჩამოყალიბება რთული საქმეა და ცხადია, ამ რთულსა და დიდ საქმეში ნაკლიც ადვილად მოსალოდნელია.

აი, ჩვენ მიერ შემჩნეული ზოგი ნაკლი თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში:

„დედა ენის“ სწავლების დროს არც პირველსა და არც მეორე განყოფილებაში სასაუბროებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. სასაუბროების თავის დროზე და ადგილას გამოყენება მრავლად ხელს უწყობს მოწაფეების გონებრივად განვითარებას. დახელოვნებულ მასწავლებლის ხელში სასაუბროებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. მთელ სახელმძღვანელოში სასაუბროებს ცენტრალური ადგილი უჭირავს და მათი უგულებელყოფა, ჩვენის შეხედულებით, ყოველად დაუშვებლად მიგვაჩნია.

ლექსებისა და მოთხრობების შესწავლის დროს საჭიროა ზოგჯერ ანალოგიის გაყვანა უკვე დამუშავებულ მოთხრობებისა და ლექსების მასალასთან. სიტყვების ახსნისა და განმარტების დროს საჭიროა მოწაფემ მოიგონოს უკვე წინა გაკვეთილებზე შესწავლილი ანდაზები და დასამუშავებელი მასალის შესაბამისად თავის დროზე და ადგილას გამოიყენოს.

ქართული ენის წერითი სამუშაოს მიცემის დროს, თუ მაგალითად, მოწაფეებმა რომელიმე მოთხრობის შინაარსი

უნდა გადმოცენ წერილობით, მასწავლებელი ვალდებულია ისეთი კითხვები დაუყენოს კლასს, რომ მოხსენებული მოთხრობის შინაარსი სათანადო პასუხების მიღების სახით მთლიანად ამოწუროს. ეს კითხვები გარკვეულად საკლასო დაფაზე უნდა დაიწეროს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ მასწავლებელი არხეინად შემოდის კლასში და მოწაფეებს წინადადებას აძლევს ამა და ამ მოთხრობის შინაარსი დამიწერეთო. ესეთი საქმისადმი მიდგომა პედაგოგიური თვალსაზრისით სწორი და მართებული არ არის. მოწაფე, რასაკვირველია, ესეთ შემთხვევაში იბნევა, მასალას თავს ვერ ართმევს, საყურადღებო მომენტებს ხშირად გვერდს უხვევს და ამრიგად მასწავლებლის მიერ მოცემულ წერით სამუშაოს ცუდად ასრულებს.

რუსული ენის სწავლება მართალია სამშობლო ენის დახმარებით სწარმოებს, მაგრამ ამ მხრით საჭიროა კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სამშობლო ენის ფართოდ გამოყენებას რუსული ენის შეგნებით შესწავლისათვის.

ჩვენის აზრით საკმარისი როდია ესა თუ ის რუსული სიტყვა ქართულად განუმარტოთ მოწაფეს. საჭიროა მთელი წინადადება, მთელი მოთხრობა ან ლექსი ჯერ ქართული ენის საშუალებით შეითვისონ მოწაფეებმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ ივარჯიშონ რუსულ ენაზე, ქართული ენის დაუხმარებლად.

როცა მოწაფე რუსულ ენაზე დაწერილ ლექსსა ან მოთხრობის შინაარსს შეითვისებს ქართული ენის დახმარებით, იგი შემდეგ რუსულ ენაზედ უფრო შეგნებულად ამეტყველდება. აი, ამ მომენტიდან მასწავლებელი მხოლოდ იშვიათ იძულებული იქნება ქართული ენა მოიშველიოს.

რუსული ენის სწავლებას ჩვენს სკოლებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ისტორიულმა ბედმა ისე დაგვაკავშირა რუსეთთან, რომ რუსული ენის უცილობლობა მრავალად ხელს შეგვიშლის ცხოვრების არსებობისათვის ბრძოლაში.

რუსული ენის კარგად ცოდნა საშუალებას მოგვცემს კულტურული და ეკონომიური კავშირი დავამყაროთ რუსეთთან, რაც აუცილებლად საჭიროა დღევანდელ ჩვენს პირობებში.

ჩვენი ვაჭრობისა და მრეწველობის განსავითარებლად

იძულებული ვართ რუსეთს ხელი გაუწვდინოთ და ალებ მიცემის ნიადაგზე ერთგვარი კავშირი დავიჭიროთ. ქართველი ვაჭარი და მრეწველი რუსეთში ვერაფერს გახდება, თუ რუსული ენა ნაკლებად, ანუ სრულებით არ ეხერხება.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, თუ რუსულ ენას საფუძვლიანად არ შეისწავლის, მარტოთი მარტოდ ქართული ენის საშუალებით ფონს ვერ გავა, საჭირო ცოდნას და განვითარებას ვერ შეიძენენ.

ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის სამხატვრო და სამეცნიერო ლიტერატურა საფუძვლიანათ უნდა შეისწავლოს, თუ სურს ცხოვრებაში სწორი და საიმედო გზა გაიკვლიოს.

ქართველებს სამწუხაროთ ჯერჯერობით არც პირველი დარგისა და არც მეორე დარგის ლიტერატურა საკმარისად არ მოგვეპოვება და თუ გვინდა, რომ ცხოვრების ულმობელმა პირობებმა სრულიად არ გაგვრიყოს, სრულიად უმეცარნი არ გაგვხადოს.

ამიტომ ჩემის ღრმა რწმენით რუსული ენის საფუძვლიანათ შესწავლას საძირკველი სახალხო სკოლებში უნდა ჩაეყაროს. სახალხო სკოლების მასწავლებლების გარდუვალი მოვალეობაა ამ მხრით უნდა აამოძრავოს თავისი ცოდნა და პედაგოგიური გამოცდილება, რათა ჩვენს მომავალ თაობას გაუადვილდეს ცხოვრების სარბიელზე ბრძოლა როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ფრონტზე.

ანგარიშის წესიერად სწავლებას მეტად დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ. მასწავლებელმა ისე უნდა დააყენოს ანგარიშის სწავლება, განსაკუთრებით მოსამზადებელ განყოფილებებში, რომ მშრალი ციფრები აამეტყველოს, გააცხოველყოფელოს, ცხოვრების სინამდვილეს შეუფარდოს და ამ რიგად ეს საგანი მოწაფეების საყვარელ საგნად გახადოს. სასწავლებელში ანგარიშის გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნას მოწაფე ყოველდღიურ საქმიანობაში სასარგებლოდ უნდა იყენებდეს.

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით საკითხს, ანგარიშის სწავლება ძველი სენაკის ჩვენს სკოლაში მცირედად მოიკოჭლებს, რაიცა სახელმძღვანელოების უვარგისობითაც აიხსნება.

ამ პირობებში, ჩვენი აზრით, საჭიროა მასწავლებელმა წინასწარ შეადგინოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანები და ასე-

თი ამოცანების ახსნა-განმარტებით ამაცადინოს მოწაფეები ყველა განყოფილებაში.

ჩვენი წინადადება იქნებოდა, ჩვენი სკოლის მასწავლებლებს მიეღოთ ეს რჩევა, თუ კი ამ ჩვენს მოსაზრებას ისინიც გაიზიარებდნენ.

გვაქვს კიდევ ზოგიერთი წვრილმანი შენიშვნები, მაგრამ ამ შენიშვნებს მაინცდამაინც პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს...

დასასრულს დაბეჯითებით უნდა გთხოვოთ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მოწაფეთა აღმზრდელობით მხარეს. საჭიროა მოწაფეს განსაზღვრული ცოდნა შესძინოთ, მაგრამ ერთი ორად უფრო საჭიროა ეს მოწაფე წესიერად აღზრდილი გამოვიდეს ცხოვრებაში. შრომის მოყვარეობა, პატიოსნება, სამართლიანობა — აი, ის თვისებები, რომლებითაც თქვენ უნდა შეაიარაღოთ მოსწავლე ახალგაზრდობა. შთაბერეთ მოწაფეებს ქართული სული, ღრმად გულში ჩაუნერგეთ სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა, განამტკიცეთ ახალგაზრდობის გონებრივი და ფიზიკური განვითარება, თუ გვსურს, რომ ჩვენ სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები აღუზარდოთ"[1].

იაკობ გოგებაშვილს სულს უშფოთებდა იმ სასწავლებელთა მდგომარეობა, სადაც სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და სწავლების ანტიპედაგოგიური მეთოდები ნორჩი თაობის ფსიქიკის გადაგვარებას უწყობდა ხელს. რუსული ენის მასწავლებლებს, რათა მოსწავლეთათვის ნათელი ყოფილიყო ახსნილი გაკვეთილი, მუნჯურ მეთოდს მიმართავდნენ. ასეთი მეთოდი მასწავლებლის პრესტიჟსაც ძირს სცემდა და ამასთან ერთად მოსწავლეებს გონებას უხშობდა.

ახალი სენაკის სასწავლებლის რევიზიის შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა და ალექსანდრე მიქაბერიძემ ძველი სენაკის სასულიერო სასწავლებლის მდგომარეობა შეამოწმეს. ამ სასწავლებლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა ნორმალური სასწავლებელი, რომლის გამგე იყო სპირიდონ ენუქიძე. როდესაც სასწავლებლის გამგემ ძველ სენაკში იაკობ გოგებაშვი-

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

ლის ჩამოსვლა შეიტყო, მოძებნა იგი და დიდი სურვილი გამოთქვა, რათა მისი სასწავლებელი მოენახულებინათ.

აი, სწორედ ამ სასწავლებელში გახდა მოწმე იაკობ გოგებაშვილი თუ როგორ ამახინჯებს ბავშვების გონებას უაზრო ზეპირობა და მუნჯური მეთოდი.

როდესაც იაკობ გოგებაშვილი სასწავლებელს ესტუმრა და ერთ-ერთ კლასში შევიდა, სადაც გაკვეთილს გამგე ატარებდა, მასწავლებელმა ბავშვებს მიმართა:

— „ბავშვებო, ჩვენთან სტუმრად მობრძანდა საქართველოს დიდი პედაგოგი იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი. გთხოვთ ერთხმად მიესალმოთ“.

მოსწავლეებმა მაშინვე ერთხმად წამოიძახეს:

— „ჩვენთან სტუმრად მობრძანდა საქართველოს დიდი პედაგოგი იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი. გთხოვთ ერთხმად მიესალმოთ“.

ახალი მასალის ახსნის წინ მასწავლებელი „მიუბრუნდა მოწაფეებს და უთხრა, აბა, ბავშვებო, ყური დამიგდეთ, ახალ მასალას აგიხსნით და რაც გასწავლოთ, კარგად დაიმახსოვრეთ.

სწავლების საქმეში მეტად დახელოვნებულმა მასწავლებელმა კედლიდან ჩამოიღო დიდი სურათი, რომელზედაც დახატული იყო ქათამი, მოწაფეებს აჩვენა და სამჯერ გარკვევით გაიმეორა: „ამ სურათზე დახატულია ქათამი“.

— ბავშვებო, რა არის ამ სურათზე დახატული?

— ამ სურათზე დახატულია ქათამი, სამჯერ გუნდათ იგრიალეს მოწაფეებმა. მასწავლებელი შესდგა მერხების წინ დაფენილ ჭილოფზე და ვითომ ქათამი ვარო, ხელები ქათმის ფრთებივით მოიმარჯვა, კისერი დაიგრძელა და ქათმის მზგავსად აკაკანდა.

— ბავშვებო, ჭილოფზე შემდგარი ქათამი კაკანებს, სამჯერ გარკვევით გაუმეორა მოწაფეებს.

— აბა, ახლა მითხარით, სად სდგას ქათამი?

— ქათამი ჭილოფზე სდგას.

— რას აკეთებს ქათამი ჭილოფზე?

— ქათამი ჭილოფზე კაკანებს.

ამ ინსცენირების შემდეგ მასწავლებელმა ხელები უკან მოიბრუნა, საჯდომზე მოიმარჯვა, მცირე ხანს კაკანი მორთო

და მ. ჯვენა ხელში დაჭერილი კვერცხი მოწაფეებს აჩვენა.

— აი, ბავშვებო, ჩვენმა ქათამმა კვერცხი დასდო. გაიმეორეთ გუნდათ.

— ჩვენმა ქათამმა კვერცხი დასდო, გუნდათ სამჯერ უპასუხეს მოწაფეებმა.

— ვინ დასდო კვერცხი?

— კვერცხი დასდო ჩვენმა ქათამმა.

მოწაფეები მასწავლებლის მოთხოვნით რამდენიმე წუთს გუნდათ იმეორებდნენ: „ქათამი ჭილოფზე სდგას, ქათამი კაკანებს, ქათამმა კვერცხი დასდო“[1].

გამოსალმებისას სპირიდონ ენუქიძემ სთხოვა იაკობ გოგებაშვილს, რათა აზრი გამოეთქვა მის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შესახებ.

იაკობმა ხელი გაუწოდა მას და უთხრა:

„აბა, რა უნდა გითხრათ! თქვენ ეშმაკებს ჩაუგდიხართ ხელში და მათ სასარგებლოდ იყენებთ მთელ თქვენს პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას. ეშმაკების მიერ ხელფეხ შებოჭილს ზურგი შეგიქცევიათ ყოველივე იმისათვის, რაც ჭეშმარიტ პედაგოგიურ მეცნიერებას დღემდე გაუჭყლავნებია. ქრისტიანული გზა დაგიკარგავთ და მთელ თქვენს აზრსა და გონებას ეშმაკები დაუფლებიან. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ქართველი ხალხი თავის დროზე, და ეს დროც არც ისე შორსაა, სამართლიან მსჯავრს დასდებს თქვენს აწინდელ მოღვაწეობასო“[2].

ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი და ალექსანდრე მიქაბერიძე ბათუმის ქართულ სკოლას ეწვივნენ, სადაც უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ ამ სკოლის საქმიანობით და განსაკუთრებით ისიდორე რამიშვილის გაკვეთილებით. როგორც ალ. მიქაბერიძე აღნიშნავს, ისიდორე რამიშვილი ერთ-ერთ იმ მასწავლებელთაგანი იყო, რომელსაც ბავშვებში სიხარული და სიცოცხლე შეჰქონდა, რომელიც კლასში თავისი მრავალმხრივი შემოქმედებითი ნიჭით ჯანსაღ ატმოსფეროს ქმნიდა და გაკვეთილებსაც საინტერესოდ ატარებდა.

ბათუმის სკოლაში იაკობ გოგებაშვილი დასწრებია მას-

---

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

[2] იქვე.

წავლებლის პლატონ წულუკიძის გაკვეთილს. იაკობს მოსწონებია მასწავლებლის მიერ მთელი კლასის ჩაბმა გაკვეთილის მსვლელობაში, ხმამაღალი და გარკვეული კითხვები და საერთოდ მთელი გაკვეთილის ჩატარების ორგანიზაცია. შენიშვნებიც მიუცია. მასწავლებელთან საუბრის დროს იაკობს ყურადღება გაუმახვილებია ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლების შესახებ: „რუსული ენის სწავლება ისე უნდა მიმდინარეობდეს, რომ ლექსიურ განყოფილებაში ქართული და რუსული გამოთქმები არ უნდა განირჩეოდენ ერთმანეთისაგან და მათ შორის განსხვავება თანდათან უნდა იყოს შეთვისებული მოწაფის მიერ". იაკობი პლ. წულუკიძეს ესაუბრა აგრეთვე სწორი და დახრილი წერის შესახებ: „ჩვენი ბავშვებისათვის ბუნებრივია რუსული სწორი წერა, რადგან ქართული წერა სწორხაზოვანია, ასე რომ ქართული წერიდან რუსულ წერაზე (გადასვლა) ბუნებრივი იქნებაო. საერთოდ მე წინააღმდეგი ვარ დახრილ წერისა და უპირატესობას სწორ წერას ვაძლევო. ამ საკითხის შესახებ მე ვრცელ დასაბუთებულ მეთოდიურ წერილსაც დავსწერო"[1].

სკოლის კოლექტივთან გამომშვიდობებისას იაკობ გოგებაშვილმა თავის სიტყვაში გამოხატა ის დიდი სიყვარული და თავდადება სწავლა-განათლების საქმის განვითარებისათვის, რომელსაც დიდმა პედაგოგმა მთელი თავისი ცხოვრება და გატეხილი ჯანმრთელობა შეალია:

„ბატონებო! დიდ მადლობას გწირავთ კეთილის სურვილებისათვის. ჩემდამი მოძღვნილ სიტყვებში ორ გარემოებას მინდა ხაზი გავუსვა:

პირველი — თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნაწილი მეტად სამარცხვინო როლს თამაშობს ჩვენს სინამდვილეში. გულახდილად რომ ვსთქვათ, მასწავლებლების ეს ნაწილი მთავრობის გავლენის ქვეშ მოექცა და თავისი ყოველდღიური საქმიანობით ძირს უთხრის ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალებს. უფრო დახუსტებით რომ ვსთქვათ, ეს ვაჟბატონები მთავრობის მიერ მოსყიდული აგენტები არიან სასწავლებლებში.

ქართველი ხალხი, ქართველი მოზარდი ახალთაობა, ქარ-

---

[1] სგმ, პლატონ წულუკიძის ფონდი, № 9722.

თული ენა უსირცხვილოდ დაგმეს ამ ვაჟბატონებმა და ანგარებით გატაცებულნი წარბშეუხრელად ატარებენ სკოლებში მთავრობის ყალბ სასკოლო პოლიტიკას.

ვინ მოსთვლის იმ უბედურებას, იმ საშინელებას, რომელიც შედეგად მოყვება ამ ვაჟბატონების საგმირო მოღვაწეობას, თუ მან მართლაც მასიური ხასიათი მიიღო.

აი, ამ რამდენიმე დღის წინათ მე და ბ-ნ ალექსანდრე მიქაბერიძეს შემთხვევა გვქონდა დაგვეთვალიერებინა მთავრობის ერთადერთი სასწავლებელი, რომელშიაც მასწავლებელი მთავრობის, რასაკვირველია, ლოცვა-კურთხევით სამარცხვინო მოღვაწეობას ეწევა.

გული მიკვდება, როცა მაგონდება ის სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა, რომელსაც სკოლებში მოვლენილი მთავრობის ეს ჯალათები სულიერად და ხორციელად ამახინჯებენ, მთელ მის არსებას სწამლავენ და ამრიგად, ჩვენ მომავალ თაობას უდიდეს საფრთხეს უმზადებენ.

საბედნიეროდ, ჩვენს სკოლებში სხვა ტიპის მასწავლებლებიც მოგვეპოვება, რომელთაც გულს ახლოდ მიუტანიათ ბავშვის სასიცოცხლო ინტერესები და მთელი თავისი ცოდნით, გამოცდილებით, მთელი თავისი მოღვაწეობით საეროვნო საქმეს ჰქმნიან და სასწავლო მთავრობას და მის დაგეშილ აგენტებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე მედგარ ბრძოლას უცხადებენ.

ისეთი ტიპის ერთერთი მასწავლებელი ისიდორე რამიშვილიც გახლავსთ, რომლის მებრძოლი ბუნება დღევანდელ რთულ პირობებში მეტად საგულისხმიერო და დასაფასებელია.

შეგვიძლია დავარწმუნოთ ჩვენი პატივცემული ისიდორე რამიშვილი, რომ ბოლოსდაბოლოს გამარჯვება მისა და მისი იდეების თანამოზიარე მასწავლებლების მხარეზე დარჩება და მასწავლებლის ბახით მოვლენილი მთავრობის აგენტები სამარცხვინო ბრძოლის ველს დასტოვებენ თავის გამომგზავნ პატრონებთან ერთად და ხალხის გულისწყრომას სამართლიანად დაიმსახურებენ.

ეს განკითხვის დღეც მოახლოვებულია, იგი არც ისე შორსაა. იმედი, იმედი და კიდევ იმედი — აი, რა მანუგეშებს და სიცოცხლის ძალას მმატებს.

მეორე გარემოება, რომელზედაც მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო, შემდეგში მდგომარეობს:

მე კაბინეტის კაცი გახლავართ. ყოველივე საკითხს თეორეტიკულად ვუდგები და ვცდილობ ამრიგად დამუშავებული საკითხები პრაქტიკულად ცხოვრებაში გავატარო. დღემდე ვფიქრობდი, ცხოვრებას კარგად ვიცნობ, ხალხის ღირსება და ნაკლოვანება, ხალხის საჭიროება და საერთოდ მისი მდგომარეობა შესწავლილი მაქვს. ეს იყო ჩემი რწმენა. მაგრამ, როგორც ამჟამად ვრწმუნდები, შემცდარი ვყოფილვარ. მე ცხოვრებას ვერ ვიცნობდი თურმე იმ მხრით და იმ რიგად, როგორც ეს მართლაც სინამდვილეში ყოფილა.

აი, საბუთიც ამ ჩემი დასკვნისათვის. ჩვენს ტრაპეზაზე თავი მოუყრიათ ყმაწვილებს, რომლებიც ფიზიკურ შრომაში არიან თურმე ჩაბმულნი ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მუშები არიან. ეს ყმაწვილები, როგორც ხედავთ, საღათ მსჯელობენ, საკმაო გონებრივი განვითარებაც შესწევთ, ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობენ, მომავალს იმედიანათ შეჰყურებენ. ეს ხალხი ჩემდა შეუმჩნეველად გონებრივად გაზრდილა, ცხოვრების იდეალი შეუქმნია და ამ იდეალისაკენ მიისწრაფვის.

ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა და ჩემდა სამარცხვინოთ მზედველობიდან გამომპარვია, დროულად ვერ შემინიშნავს.

— აი, რატომ მოგახსენეთ, რომ ცხოვრებას თურმე სავსებით ვერ ვიცნობ მეთქი.

ვუსურვებ ამ ჯანსაღსა და საიმედო ელემენტს ცხოვრებაში გამარჯვებას.

ყმაწვილებო, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! ეცადეთ ყველგან და მარადის ჩვენს ხალხს შეუქმნათ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები! თუ გსურთ, რომ ამ მიზანს პირნათლად მიაღწიოთ, ეცადეთ თქვენს რიგებში არცერთი მუშა არ დარჩეს, რომ წერაკითხვა არ შეასწავლოთ!

შემჩნეულია, რომ წერაკითხვის უცოდინარის გამომუშავებული პროდუქცია რაოდენობითაც და ხარისხობრივადაც გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წერაკითხვის მცოდნეს მიერ გამომუშავებული.

ეს ისეთი უდავო ჭეშმარიტებაა, რომელსაც თანამედროვე

მეცნიერება არა თუ არ უარყოფს, პირიქით, კიდევაც ადასტურებს.

როცა წერაკითხვის მცოდნე მუშახელი საქმიახობაში ჩაებმება, იგი შეგნებულად მხარს დაგიჭერთ და თქვენთან ერთად ხელიხელს ჩაკიდებული გაამაგრებს იმ პოზიციებს, რომელზედაც დღეს დღეობით მტერს იერიში იერიშზე მოაქვს. იმედს გამოვთქვამ, რომ ამ ჩემს სურვილს არ უგულებელჰყოფთ და ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობით.

გისურვებთ გამარჯვებას ცხოვრებაში!"[1]

იაკობ გოგებაშვილი გამგეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი იყო. იგი საზოგადოების ჩამოყალიბების დღიდან, 22 წლის მანძილზე (1879—1901 წ.წ.), როგორც გამგეობის წევრი, თითქმის არც ერთ სხდომას არ დაკლებია და უშუალო მონაწილე იყო ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში, ბევრი უშუალო ინიციატივით შრავალი მნიშვნელოვანი საკითხი იქნა განხილული ამ სხდომებზე:

1880 წელს თბილისში დაწყებითი სკოლის დაარსება, გამგეობას დაევალა გამოსცეს ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშები ორ წიგნად, გამგეობის ერთ-ერთმა პირმა „იკისროს ჯეროვანის ფასით გადმოკეთება ქართული სკოლებისათვის იმ ელემენტარული სახელმძღვანელოებისა, რომელიც ანტონოვიჩმა გადმოთარგმნა ინგლისურიდან რუსულად და რომელთა დაბეჭდვით მმართველობა ჩასდგამს საფუძველს ახალის მეცნიერების ქართულ მწიგნობრობაში", პეტრე უმიკაშვილთან ერთად ხალხური ზეპირსიტყვიერების შეკრება და შეკრების პროგრამის გამოქვეყნება, მმართველობის მიერ საყმაწვილო ჟურნალის გამოცემა, გამგეობამ ვ. მაჩაბლის დახმარებით უზრუნველყოს სოკოლოვის ისტორიისა და ევტუშევსკის არითმეტიკული კრებულის თარგმნა, აგრეთვე მიხეილ ყიფიანის მიერ რუსულიდან გადმოთარგმნილი შვიდი ელემენტარული სახელმძღვანელოს გამოცემა, გამგეობის შეკვეთით იოსებ ბაქრაძის მიერ პოტოს ისტორიის თარგმნა, გორის საოსტატო სემინარიაში სკოლებისათვის მასწავლებელთა კარგად მომზადებისათვის ხუთი სტიპენდიის დანიშვნა, გამგეობის მიერ დაწყებითი სკოლებისათვის საუკეთესო სახელმძღვანელოების

---

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

შედგენისათვის პრემიების დანიშვნა, საზოგადოების მატერიალური სახსრების გაუმჯობესებისათვის ყულაბის შემოღება, რომელიც საზოგადოებას ყოველწლიურად 200 მანეთს აძლევდა, დიდ თონეთში სკოლის გახსნა, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში რწმუნებულების დაგზავნა, რათა მათ სოფლებში შეკრებებზე გლეხებს აუხსნან სკოლის მნიშვნელობა და სახალხო დაწყებითი სკოლების გახსნის სურვილი გაუღვივონ, ბათუმში სამზრუნველო კომიტეტის დაარსება, საზოგადოებისათვის საკუთარი შენობის შეძენა, სადაც მუზეუმი და ბიბლიოთეკა მოთავსდებოდა და მრავალი სხვა.

იაკობ გოგებაშვილმა 1890 წელს საზოგადოებას შესწირა ყველა თავისი ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილი წიგნები, ხოლო გარდაცვალების შემდეგ ანდერძით დაუტოვა სახელმძღვანელოები და მთელი ქონება.

იაკობ გოგებაშვილს დიდი წვლილი მიუძღვის ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან თბილისში გადმოსვენების საქმეში. ამ ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა დ. კასრაძის მოგონება:

„ბეტრე მირიანაშვილმა ერთხელ წარსულის მოგონების დროს ასეთი ამბავი მიამბო, „მე განჯაში კარგა ხანს მომიხდა სამსახური მასწავლებლის თანამდებობაზე. გულს მიკლავდა ნიკო ბარათაშვილის ობლად მიგდებული საფლავი. თბილისში სამსახურებრივი დავალებანი მოვიმიზეზე და წერა-კითხვის საზოგადოებაში ვინახულე იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც გავუზიარე ჩემი გულის დარდი. ის მაშინვე დაფაცურდა: ეს რა კარგი აზრი მოგსვლია, ნიკო ბარათაშვილი უნდა გადმოვასვენოთო. მაგრამ იქვე ხაზი გაუსვა, თუ გვსურს, რომ გადმოსვენება უფრო სახელოვანი იყოს და დიდმნიშვნელოვანი, ეს უნდა იკისროს არა ნიკოს ნათესაობამ, ან კერძო პირებმა, არამედ საზოგადოებამო.

— რომელმა საზოგადოებამ? — შევეკითხე და იქვე პასუხი მივიღე:

— რა თქმა უნდა, წერა-კითხვის საზოგადოებამ!

იაკობი მაშინვე გაეცანა ილიასთან, როგორც საზოგადოების მთავარ ხელმძღვანელთან. ილია აღფრთოვანდა, დაუყოვნებლივ მოიწვია გამგეობა და 1892 წლის 9 ოქტომბერს ოქმში შეატანინა საზოგადოების დადგენილება, რომ „ეთხოვოს

თ. გ. ორბელიანს, როგორც მახლობელ ნათესავს, ნებართვა მიიღოს გადმოსვენებისა" (ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის). ეს ოფიციალურად, რა თქმა უნდა, გადმოსვენების ინიციატივა კი ისევ წერა-კითხვის საზოგადოებისა იქნებოდა.

ნებართვის აღება გაძნელდა, მაგრამ გრიგოლმა მაინც მოახერხა მისი აღება. ხოლო საქმე ეს არაა. წერა-კითხვის საზოგადოებამ ყველას აჩვენა, რომ 15 წლის არსებობის ასპარეზზე იგი საკმაოდ გაზრდილა, საკმაოდ ძლიერი და ეროვნული საქმიანობის ორგანო გამხდარა. გადმოსვენება მოეწყო გრანდიოზული სახით. გაზეთმა „ივერიამ" დაგვიტოვა აღწერა გადმოსვენების პროცესისა, რომლის აღდგენა და გადატანა კინო-ლენტზე ყოველთვის შეიძლება. აქ მკვეთრი შტრიხებითაა მოცემული ჩვენი საზოგადოების მესვეურნი: ილია, აკაკი, ნინო ორბელიანი, გიორგი წერეთელი, დეპუტატები ქუთაისიდან, სხვა ქალაქებიდან, მგალობელთა გუნდები, ზღვა საზოგადოება, ჩინებული წესრიგი, მგზნებარე სიტყვები და უგულითადესი პატივისცემა მგოსნისადმი, როდესაც მთელი საზოგადოება მუხლს იყრის კუბოს წინაშე, განა ერთხელ და განა ორჯერ, არამედ ყოველგან, სადაც გზადაგზა უხდებათ შეჩერება და სიტყვების თქმა. მთიდან კიდევ ვაჟას მჭუხარე ლექსი ლაღი ირემის ეშხით გამოინავარდებს... ჰეშმარიტად, დიდი მაესტროს ჯადოსნური ხელის გაკნევა იყო საჭირო, რომ ესოდენ გრანდიოზული სახე მიიღო ამ პროცესიამ („ივერია", 1893 წ., 25 აპრილი, № 86). აქ თქვენ გახარებთ ის გარემოება, რომ ამ პროცესიის ჯადოსანი მაესტრო წერა-კითხვის საზოგადოება იყო, რომელიც თხუთმეტი წლის არსებობის იუბილეს ამ დიადი საქმიანობით აღნიშნავდა.

რომ პროცესია გარდაიქმნა ეროვნული გრძნობების დიად დემონსტრაციად, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენია იმდროინდელ ჟანდარმერიას, რომელიც 1894 წ. 7 მარტის თარიღით საიდუმლო მოხსენებით აცნობებს დეპარტამენტს, რომ ქართველებმა ვითომც „...განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშტის სახით გადმოასვენეს თბილისში, სადაც ამ წეშტს მიეგება მრავალათასიანი საზოგადოება და დიდის პატივისცემით და მოწიწებით მიაბარეს მიწას"[1].

[1] ლ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფია, 1940, გვ. 70-71.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში თავდადებულ მუშაობასთან ერთად იაკობ გოგებაშვილმა შესანიშნავი სახელმძღვანელოები და ბავშვთათვის საკითხავი წიგნები დაწერა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1865 წელს გამოიცა მისი საანბანო წიგნი „ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“, რომელიც 1876 წლამდე ცამეტჯერ გამოიცა, 1868 წელს გამოდის მისი შესანიშნავი საკითხავი წიგნი „ბუნების კარი“, რომელიც 1918 წლამდე ოცდაშვიდჯერ გამოიცა, 1872 წელს — „დარიგება მასწავლებელთათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა ქართულ ანბანში“, 1876 წელს — „დედა ენას“ პირველი ნაწილი, ხოლო 1878 წელს — მეორე ნაწილი. ამ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილი ორმოცდაშვიდჯერ გამოიცა, ხოლო მეორე — ოცდაშვიდჯერ. 1887 წელს იაკობ გოგებაშვილი სცემს რუსული ენის სახელმძღვანელოს „Русское слово“-ს პირველ ნაწილს, რომელიც ოცდაშვიდჯერ გამოიცა, ხოლო მეორე ნაწილი — ოცდაერთჯერ.

1880 წელს იაკობ გოგებაშვილმა გამოსცა „კოკორი — ქართული საოჯახო ანბანი საკითხავი წიგნითურთ“, 1883 წელს — „კუნწულა“ — დასავლეთ ევროპისა და რუსი მწერლების რჩეული მოთხრობების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისათვის, 1883 წელს — „ხომლი“ — ქართული ლექსების კრებული უფროსი ასაკის ბავშვებისათვის, 1901 წელს — „აკიდო“ — მოთხრობების კრებული და „კონა“ — საბუნებისმეტყველო მოთხრობების კრებული.

იაკობ გოგებაშვილის ბინაში ვეძინის ქუჩაზე, რომელიც ლიტერატურულ სალონს წარმოადგენდა, ხშირად იკრიბებოდნენ იმ დროისათვის გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. ვინაიდან იაკობ გოგებაშვილს ცოლ-შვილი არ ჰყავდა, იგი მარტო ცხოვრობდა და ამიტომაც უფრო მოსახერხებელი იყო ლიტერატურული პაექრობებისათვის.

იაკობ გოგებაშვილის ბინის შესახებ ზუსტ ცნობებს გვაწვდის მისი დისშვილი ქრისტინე ბიბილური-კასრაძისა თავის მოგონებებში:

იაკობ გოგებაშვილს „ოთხი ოთახი ეჭირა თავისი სამზარეულოთი. მისავალი ვეძინის ქუჩიდან ჰქონდა. კარს შეაღებდით თუ არა, მისავალის ფართობი დიდ ოთახად წარმოგიდ-

გებოდათ, რომელსაც ვეძინის ქუჩის მხრივ ფანჯარა ჰქონდა დაყოლილი. თუ გსურდათ ამ ფანჯრიდან გადაგეხედათ, საჭირო იყო კიბის სამი-ოთხი საფეხური მაინც აგეცლოთ. ამ კიბეს თუ სულ ახვიდოდით შებრძანდებოდით ფართო და სუფთად დალაგებულ სამზარეულოში, სადაც ცხოვრობდა მისი ერთგული მსახური და კარგი მზარეული იაკობ გულუაშვილი. შესავლის ცალ მხარეზე სამი თუ ოთხი საფეხურით მიადგებოდით კარებს; აქედან იწყებოდა დერეფანი, რომლითაც შეგეძლოთ შესულიყავით როგორც სასადილოში, ისე დარბაზში. დარბაზში შესავალ კარებთან დერეფანში დასაკიდი იყო, რომელზეც შეამჩნევდით მოსასხამს, ქუდს, ქოლგას და ჯოხს. იკეტებოდა მხოლოდ დერეფნის კარი, დანარჩენი კარებები ზამთარ-ზაფხულ ბინაში სულ ღია იყო. მე მგონი ამას ბიძია განგებ სჩადიოდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ჰაერი ჰქონოდა შიგნით". მარჯვნივ სასადილო ოთახი იყო და როგორც დარბაზსა და საძილე ოთახში, აქაც საწერი მაგიდა იდგა ქაღალდებით, ფანქრებით, კალმებითა და წიგნებით სავსე. იქვე იდგა ხალიჩაგადაფარებული ტახტი, ორი მუთაქით და იაკობის დის მიერ შეკერილი ბალიშებით, ჰურჭლის კარადა, რომელსაც ორი უბრალო კარი და ერთი უჯრა ჰქონდა, სუფთად იყო გადაფარებული და მუდამ ბორჯომის წყალი ედგა. ამ ოთახს ორი ფანჯარა ჰქონდა, რომელიც ვეძინის ქუჩისაკენ გადიოდა. ფანჯარაზე გალიები ეკიდა, სადაც იადონები ჰყავდა, რომლებიც სასიამოვნოდ მღეროდნენ. საწერ მაგიდასთან იდგა სავარძელი და ამავე ოთახში ექვსი ვენური ჩალის სკამი იყო ჩარიგებული თავისუფალ ადგილებში. სამუშაო ოთახი ცალკე არა ჰქონდა. მეტი წილი აქ მუშაობდა სასადილო ოთახში, ისე კი სადაც მოესურვებოდა. სასადილოდან ერთი კარით შეხვიდოდით ძიას ბიბლიოთეკაში. აქ სამ წყებად იყო წიგნებით სავსე კარადები. თუ არ ვცდები, 8-9 კარადა იქნებოდა და ორიც დიდი სკივრი კლიშეებით იყო სავსე. ეს კარადები თავისი წიგნებით უანდერძა წ. კ. საზოგადოებას და იქ წაიღეს. კარადათა შორის იმდენი ადგილი იყო დატოვებული, რომ მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო თავისუფლად გაევლა. ბიბლიოთეკიდან შეაღებდით კარებს სასტუმროში, შეიძლებოდა დერეფნიდანაც მოხვედრილიყავით. მისი მორთულობაც სადა იყო. ერთ კედელთან რბილი დივანი და

წინ ლომბორის მაგიდა იდგა. აქეთ-იქით ჩალის სავარძლები უდგა ამ ლომბორს. ამავე კედელთან იდგა მაგიდა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთებით. ლომბორნის მაგიდაზე იდო ორიასამი ალბომი სურათებით. სულ სავსეები იყო (ილია, აკაკი, სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური და სხვები). დარბაზის ერთ კედელს ამშვენებდნენ სურათები: შუა ადგილზე თამარ მეფე, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ და ანტონ კათალიკოსი, მეფე ერეკლე, განმარტოებით „საქართველოს ეკლესიის დიდება". აქ იყო სამი სურათი წმ. ნინოსი, რომლებიც მე მიანდერძა. ჰქონდა კიდევ გადიდებული სურათი ეკ. გაბაშვილისა და სხ. სასტუმროს სამი ფანჯარა ჰქონდა და ერთი შუშიანი კარები. ფარდა მარტო ამ კარებზე იყო ჩამოფარებული, რომ ზამთარში სიცივე არ შემოსულიყო. სასტუმროდან შეხვიდოდით დასაძინებელში, სხვა გზით შესვლა არ შეიძლებოდა. ერთნახევრიან საწოლს მყუდრო ადგილი ეჭირა კუთხეში. საწოლთან იაფფასიანი ხალიჩა თაიგულით გამოხატული მხიარული ფერებით. ცალკარიანი ტანისამოსის კარადა, კამოდი და ტუმბოჩკა საწოლთან"[1].

იაკობ გოგებაშვილის ხშირი სტუმარი ყოფილა ვაჟა-ფშაველაც. იოსებ სრესელი იგონებს:

„დღის თორმეტი საათი იქნებოდა...

იაკობი სავარძელში ზის, ორთავე ხელის მტევნები ერთი მეორეში აქვს შერგული და მუხლებზე უწყვია (ასეთ მდგომარეობაში უყვარდა მოსვენება).

ამ დროს დერეფანში ზარი გაიწკრიალებს...

— გახედეთ შვილო! დღეისათვის ძვირფას სტუმრებს ველოდები — მწერლები უნდა მოვიდნენ, მიუმართავს მამაჩემისათვის, რომელიც ახალი ჩამოსული ყოფილა სოფელ ვარიანიდან".

იოსების მამას კარები გაუღია. კარებთან ვიღაც წაბადხურჯინიანი კაცი იდგა, რომელმაც იაკობი იკითხა. იოსების მამას კარები ისევ მიუხურია და იაკობისათვის უთქვამს — ვიღაც ხურჯინიანი კაცი გკითხულობსო. იაკობი მაშინვე მიხვედრილა თუ ვინ იქნებოდა მისი სტუმარი და სიცილით უთქვამს:

---

[1] სგმ, გ. თაყაიშვილის ფონდი, № 13142. ქრისტინე ბიბილური-კასრაძისა, მოგონებანი ბიძია იაკობ გოგებაშვილზე.

— „მიდი, შვილო! ფართოდ გაუღე კარი, განზე გასწიე კედლები, ლაღი მთის შვილია და თავისუფლად შემოსვლა უყვარს. მაგ ადამიანისათვის ჩემი სახლის კარი ღუდამ ღიაა“.

იოსებ სრესელი განაგრძობს:

„შემოდის სტუმარი: დინჯად და ამაყად, მედიდური და მხრებგაშლილი... ეტყობა, რომ გაუტეხელი ნებისყოფის პატრონია, თითქოს მის სულში რაღაც ძლიერი ჭარიშხალი ბუდობს!

— ვაჟას სიცოცხლე! — ფეხზე წამოდგომით დინჯად მიესალმება იაკობი.

— ამ ჭერს მშვიდობა! სიკეთე ყველას... და თან იაკობს ხელს გაუწვდის. შემდეგ თაფლისფერ თვალებს იქაურობას მოავლებს და მხრებიდან მოძველებულ ნაბადს მოიხდის, ნელა გადმოიღებს მხარზე გადაკიდებულ ხურჯინს, რომელიც ხალიჩასავით ყოფილა აჭრელებული.

— შევასრულე დაპირება!.. ჩამოგიტანე ბალღებისათვის ლექსები და მოთხრობები, ეგების გამოგადგეთ...“

ვაჟა პირს გადუხსნის ხურჯინს, ბარაქიანად ამოალაგებს ნაწერებს, რომლებსაც მთის ყვავილებისა და ნედლი ბალახის საამური სურნელი ამოჰყოლიათ და დაღვრილან ოთახში. იაკობს გაუხარია ძვირფასი ძღვენით... უმუსაიფიათ კარგახანს, შემდეგ კი იაკობი მიმართავს ვაჟას: ლექსები წაგვიკითხე, გული დარდი გადაეყაროს, გაგვახარეო. ვაჟაც არ დაზარებია მასპინძელს და წაუკითხია რამდენიმე ლექსი და პატარ-პატარა წაწყვეტები პოემებიდან.

ბუმბერაზ მთებიდან უეცრად მოვარდნილი წიაღვარივით ჩაჩქეფებულა დრმა პოეტური სიბრძნე და სიძლიერე... ამეტყველებულან ზვიადი მთები... ახმაურებულან ზვავები, ჩანჩქერები და მდინარეები, ატეხილა ხმლების ვაჟკაცური ელვა და კორიანტელი. ვაჟა თანდათან ლექსის კითხვის მადაზე მოსულა და უეცრად ისე დაუქუხია, რომ ფანჯრებს ზრიალი დაუწყიათ:

„ხვარს ვგეავარ წაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუწებ:
დმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

სიხარულისაგან ატაცებულ იაკობს ვაჟას მადლიანი შუბლი დაუკოცნია და აღტაცებაში მოსულს სიხარულის ცრემლები მარგალიტებივით დაჰკიდებია ხშირსა და მოგრძო წამწამებზე.

— ლექსები კი არა, ჰალაროსან მაღალ მთათა მწვერვალებიდან წამოსული მძლავრი გრიგალია!..

— იმღერე, ვაჟა! იმღერე გეთაყვა მუდამ ასე ძლიერად და გულისხმიერად, დეე, ეს სიმღერა ბედნიერების მოციქულად ექცეთ მომავალ თაობებს.

— ეგებისა! — ყოფილა ვაჟას მოკლე და აუჩქარებელი პასუხი"[1].

აღსანიშნავია ის უდიდესი მეგობრობა, რაც იაკობ გოგებაშვილსა და ილია ჭავჭავაძეს შორის იყო. იაკობი უაღრესად დიდ პატივს სცემდა და აფასებდა ილიას ღვაწლსა და ამაგს ქართული კულტურის წინაშე. იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად თავდადებული იბრძოდა ქართველი ერის, ენისა და კულტურის დასაცავად. „თუ მართლა რაიმე გაუკეთე ქართველ ხალხს, — აღნიშნა ერთხელ იაკობ გოგებაშვილმა, — მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელისშეწყობით. მე, როდესაც შევეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურის და ენის დაცვა, ყვავ-ყორნებივით შემომესიენ პედაგოგების ქურქში გახვეული რუსი მოხელეები, ჩემდა სამწუხაროდ ამათ გვერდში ამოუდგენ ზოგიერთი გამყიდველი, ფულის და ჩინ-ორდენების მოყვარული ქართველები და აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი თავს მესხმოდენ, ჩემი ერთად-ერთი იმედი, მფარველი და ზუგდიდის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო. ილია ჭავჭავაძე ჩემდამ ლომივით ესხმოდა თავზე და დაუზოგველად აგლეჯდა კატკოვს, იანოვსკის და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა სახის მოჭორილი ამბებით ცდილობდენ შეებღალათ საქართველოს საუკეთესო წარსული, ქართველი ხალხისათვის პატრიდან ამოეგლიჯათ თავისი საყვარელი მშობლიური ქართული ენა და მოესპოთ ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა და ეხლაც ამაყობს... თუ დღეს, ჩემ-მიერ შედგენილ სახელმძღვა-

---

[1] სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 4634, იოსებ სრესელი, ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან.

წელოებს: „დედა-ენას", „ბუნების კარს" და „რუსკოე სლოვოს" საქართველოს სკოლებში ფართო გასავალი მიეცა, ეს უმთავრესად ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებით და ხელისშეწყობით. თუ არა ილია ჭავჭავაძემ, მე ვერ შევძლებდი იმას, რომ ფართო გასავალი მიცემოდა საქართველოს სკოლებში ჩემ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა-ენას", „ბუნების კარს" და „რუსკოე სლოვოს".

ფიზიკურად მე ძალიან სუსტი ვარ, და ეს ფიზიკური სისუსტე გამოტეხით უნდა გითხრათ, მუდამ მიწევდა და ეხლაც მიწევს ხელს ღირსეულად გავმკლავებოდი ჩემ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ქართველი ერის, ენის და კულტურის მოსპობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე მუდამ იმედათ და ნუგეშათ მედგა და ეხლაც მიდგია გვერდში და მე ფიზიკურად სუსტ, ავადმყოფ ადამიანს მამხნევებდა და მამხნევებს საქართველოს საკეთილდღეო შუშაობაზე ხელი არ ამეღო და ჩემი სახელმძღვანელო „დედა-ენით" და „ბუნების კარით" ყოველმხრით ხელი შემეწყო, რომ ქართველ ხალხს თავისი მშობლიური ქართული ენა შეენარჩუნებია და არ დაეკარგა..."[1]

ილია ჭავჭავაძე მუდამ მხარში ედგა იაკობ გოგებაშვილს, როგორც ეროვნული სკოლის სულისჩამდგმელს. 1880 წელს, როდესაც სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ გაზეთ „კავკაზში" სახალხო სკოლების შესახებ წერილი გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ პირველდაწყებითი სკოლებისათვის სასწავლო გეგმაც გამოსცა, პასუხის დაწერა იაკობ გოგებაშვილს დაავალეს. იაკობ გოგებაშვილმა კი არჩია პასუხი უფრო გავლენიან პირს დაეწერა და ყველა მასალა ილია ჭავჭავაძეს მიუტანა, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა იანოვსკის.

ილია ჭავჭავაძის ვერაგულმა მკვლელობამ თავზარი დასცა მის ერთგულ თანამებრძოლსა და სულიერ მეგობარს იაკობ გოგებაშვილს. იოსებ სრესელის მამა იგონებს იაკობის განცდებს ამ ტრაგედიასთან დაკავშირებით:

იაკობ გოგებაშვილი „უზის საწერ მაგიდას თავის სამუშაო ოთახში და რომელიღაც სქელტანიან წიგნს, რომელიც ყავისფერ ყდაშია ჩასმული, ნერვიულად ფურცლავს.

---

[1] სგმ, ილია ბახტაძის ფონდი, № 8454.

მის მშვიდსა და სანდომიან სახეს ამჯერად აღელვება ეტყობა. მაღალი შუბლის ღარები ერთმანეთზე მიჯრილან ნაოქებად. ისედაც ოდნავი გადაბმული ხშირი მოწაბლისფრო წარბები ერთი მეორეზე უფრო დაახლოვებულან და გადარაზულან.

მოუსვენრობა ეტყობა... შფოთავს...

იაკობს არკვევს ზარის გაბმული წკარუნი, თუმცა არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც გაემართა დერეფნისაკენ დაგვიანებული სტუმრის შესახვედრად, მაგრამ უცებ გადასწყვიტა, რომ კარი არ გაეღო და ცნობისმოყვარეობით გადახედა მოსულს ქუჩისპირა ფანჯრიდან.

სტუმარს იცნობს, მაგრამ კარს არ გაუღებს...

მამაჩემი მიხვედრია, რაშიც იყო საქმე, უსიტყვოდ გაბრუნებულა უკან... ეს ღამე იმ შავბნელი დღის პირველი ღამე იყო, როდესაც დიდ ილიას წიწამურის გზაზე ფართე შუბლი გაუხვრიტეს ცხელი ტყვიით ჯალათებმა.

მეორე დღეს უთენია მისულა იაკობი სასტუმროში, საერთო მადლობა გადაუხდია ყველასათვის და სასტუმროს მსახური ფულით დაუსაჩუქრებია.

დაბრუნებულან სახლში, მაგრამ იაკობი ძალზე სწუხდა, დუმდა და სიტყვაძუნწობდა თურმე...

დადუმებულა მისი ტკბილად და დარბაისლურად მოსაუბრე ენაპირი.

ზოგჯერ აღელვებული წამოიძახებდა: რა ხელმა გაიმეტა მისი ნათელი შუბლი?! წააქციეს ღრმად ფესვებგადგმული მუხა... ის ჯანღონით სავსე ბერმუხა, რომელიც ყოველგვარ მძლავრ ქარიშხალში ტოტებშეურხეველი დინჯად იდგა... გამოგვცალეს დედაბოძი... ის დედაბოძი, რომლის ღონიერ მხრებზე მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა იყო დაყრდნობილი... მუხას მეხი ვერაფერს დააკლებს, რადგან მისი ძარღვიანი ფესვები დედამიწის სიღრმეშია გადგმული...

გადამტვრეულ ტოტებზე ყლორტებს ამოიყრის, მხრებ გაშლის... სიცოცხლის ზეიმის ნიშნად ფოთლები მხიარულად დაიწყებენ შრიალს — უთქვამს შეშფოთებულ იაკობს"[1].

აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილისა და ერის დიდი მოღ-

---

[1] სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 4634, იოსებ სრესელი, ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან.

ვაწის აკაკი წერეთლის ურთიერთდამოკიდებულება და მეგობრობა, რომელთა გულები ერთნაირად ძგერდნენ ნორჩი თაობის ბედნიერი მომავლისათვის.

აკაკი წერეთელი ისე არ ჩამოვიდოდა სხვიტორიდან თბილისში, იაკობი რომ არ მოენახულებინა. იაკობი უაღრესად დიდი თაყვანისმცემელი იყო აკაკის დიდი პოეტური ნიჭისა. „ერთ დღეს იაკობმა მეგობრის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, ძალზე შეწუხდა და სასწრაფოდ გაუგზავნა სხვიტორში პატარა ბარათი და მცირედი მოსაკითხი. დიდი დრო არ გასულა, როდესაც იაკობმა გრძნობით აღსავსე წერილი მიიღო სხვიტორიდან, რამაც ძალიან გაახარა მეგობრის ავადმყოფობის გამო დადარდიანებული იაკობი. აკაკი იწერებოდა: „ძმაო იაკობ. არის ხოლმე ისეთი გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ვეღარ ახერხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონად მივითვალე იმდენად დააკმაყოფილა ჩემი ზნეობრივი მხარე".

დიდხანს არ დაუგვიანია მეორე მომდევნო ბარათს, რომელიც იაკობის სახელზე ლოგინში მწოლიარე აკაკის მიერ იყო გამოგზავნილი.

„...ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც მარტო ხელს, ზოგიერთი ჩემი ნაცნობების ნახვა და მათ რიცხვში შენი ყველაზე უმალ. არ გეგონოს იმერულად გწერდე „აკასურადა", გწერ მხოლოდ გულის აყოლით... მაგრამ შენ აქეთ რა წამოგიტყუებს ამ სიშორეზე, თუმცა სურამსაც და ბორჯომსაც სჯობიან ჩემი საჩხერე, განსაკუთრებით სადაც მე ვსახლობ, არც ჭარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე. თუ მივალწიე გაისამდე, ეგება გაგაბედვინო როგორმე რამდენიმე დღით ჩამოტყუება... გიმზადებ ოთახებს სწორედ შენი გემოს საკადრისს... ერთი აქეთაც დაენახვე ჩვენებურ ბავშვებს..."

შენი მარად ერთგული და მოსიყვარულე აკაკი"[1].

აკაკი წერეთელი ხშირი სტუმარი იყო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა.

ერთხელ, საზოგადოების კანცელარიაში შევლისას, აკაკი წერეთელმა ასე დაუხასიათა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი საზოგადოების მდივანს ალექსანდრე მიქაბერიძეს:

---

1 სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 4634, იოსებ სრესელი, ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან.

„... სრულიად გულწრფელად და გულახდილად უნდა გითხრათ, მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთად ერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას.

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე“ არ აეხილოს თვალები.

ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზე მოსეულ მტერს.

ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმადლოდეთ; იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას!“[1]

1908 წლის 7 დეკემბერს აკაკი წერეთლის მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოზე იაკობ გოგებაშვილმა ასე მიმართა მხცოვან პოეტს:

„ძვირფასო მგოსანო და მამულიშვილო აკაკი!

ორმოცდაათი წლის წინად, როცა თქვენ უნდა აგერჩიათ გზა ცხოვრებისა და მოქმედებისა, გამოგეცხადათ მთელი გუნდი ბაღდური სირენებისა. პირველმა მაცდურმა სირენამ მოგმართათ ამ სიტყვებით: „მე ვარ მოციქული ძლიერის ბიუროკრატიისა; თუ ჩვენ გზას აირჩევ მომავალში მოგელის მსუქანი ჯამაგირი, ჩინები, ორდენები, გენერლობა, ძალა და პატივი, განცხრომით ცხოვრება და ბოლოს დიდი პენსია სიბერის დასატკბობელად“, — თქვენ ამ სირენას იმწამსვე ზურგი შეაქციეთ. მეორე მხრიდან წარმოგიდგა სხვა მაცთური სირენა და მოგახსენათ: „მე ვარ მოციქული უძლიერესის ძალისა— ოქრო-ვერცხლისა, კაპიტალისა: თუ თქვენ ამ კაპიტალის სა-

---

1 სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

ლაროებს, ბანკებს შემოსწირავთ თქვენს მაღალ ნიჭსა, ოქრო გექნებათ იმდენი, რამდენსაც თქვენი გული მოისურვებს. ამასაც ზურგი ფიცხლავ უჩვენეთ. მეორე მაცდურ სირენას მოჰყვა მესამე, მესამეს მეოთხე, და ყველანი გაჰირდებოდნენ ვარდით დაფენილ განცხრომის გზასა, თუ მათ შეუსმენდით და მათ გზას დაადგებოდით. ესენიც ვერას გახდნენ. ბოლოს წარმოსდგა თქვენს წინაშე სხვაგვარი სირენა. იგი იყო პატარა, გამხდარი, მწუხარე ფერმიხდილი, მაგრამ მომხიბლავი სიმშვენიერით მოსილი. მან მოგმართათ თქვენ ამ სახით: მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრულის, გაღარიბებულის, უკიდურესად შევიწროებულის სამშობლოსი. თუ შენ საოცარ ნიჭს შესწირავ შენს უბედურს სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე; შენ არ მოგაკლდება არც სიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტველე და არც სხვაგვარი ტანჯვა-წვალება. მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელი შენი ერის უმხურვალეს და უღრმეს სიყვარულსა, იმისთანა გულწრფელ სიყვარულს, რომელიც შეუძლიათ მხოლოდ დაჩაგრული ერის გულსა...

თქვენ აღტაცებაში მოხვედით და გულში ჩაიკარით სამშობლოს სირენა. იმ დღიდან, ორმოცდაათის წლის განმავლობაში, თქვენი გენიალური მუზა განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთ მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, აყვავებას.

და აჰა, სავსებით აღსრულდა აღთქმა და წინასწარმეტყველება მადლით მოსილი სირენისა: მთელი საქართველო შავი ზღვიდან დაწყებული დაღესტნამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული სომხითამდე, მოზღვავებულა რომ თავის წარმომადგენელთა პირით განგიცხადოს უმხურვალესი სიყვარული და უდიდესი მადლობა ორმოცდაათის წლის აუწერელი ღვაწლისათვის. გულწრფელად გადიდებს მთელი შენი სამშობლო...“[1]

[1] იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა ეგნატე ნინოშვილის ღვაწლს ქართული ლიტერატურის საქმეში და დიდ მზრუნველობასა და ფულად დახმარებასაც უწევდა მას. ერთხელ, როდესაც იაკობმა მწერლის ავადმყოფობის ამბავი შე-

---

1 სგმ, ლ. ბზვანელის ფონდი, № 206. (სიტყვა ამოღებულია ალმანახიდან, „იაკაის დღე საქართველოში“, 1908, 7/XII. — ზ. ბ.).

იტყო, მეტად თბილი და გამამხნევებელი წერილი და ხუთი თუმანი გაუგზავნა. იაკობი ეგნატე ნინოშვილს აბასთუმანში სამკურნალოდ წასვლას ურჩევდა.

1894 წელს იაკობმა ეგნატე ნინოშვილისაგან შემდეგი შინაარსის წერილი მიიღო:

„თქვენი წერილი და თქვენგან გამოგზავნილი ხუთი თუმანი ფული მივიღე... ჩემს გულითად მადლობას მოგახსენებთ თანაგრძნობით სავსე წერილისათვის, რომელმაც არა მარტო გამამხნევა, ავადმყოფობისაგან მორჩენის იმედიც კი მომცა“[1].

იაკობ გოგებაშვილს ჭეშმარიტი მწერლის მოწოდებად მიაჩნდა, რომ მისი კალამი არასოდეს „იქით არ უნდა იხრებოდეს, საიდანაც ქარი ჰბერავს; თუ მწერალს მართლაც ჰსურს საზოგადოებას პირნათლად ემსახუროს, მის ყოველდღიურ გაჭირვებას შეება მისცეს, ხალხის ჭირი და ვარამი თავის ჭირად და ვარამად მიიჩნიოს“[2].

იაკობ გოგებაშვილს სხვებთან ერთად ასეთ მწერლად მიაჩნია ჯერ კიდევ ახალგაზრდა, თელავის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ვასილ ბარნოვი. იაკობი ყოველთვის ურჩევდა მას, რათა თელავიდან თბილისში გადმოსულიყო სამუშაოდ, ვინაიდან მისი „ლიტერატურულ დარგში მუშაობაც კიდევ უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს თბილისში. ამ მხრით თბილისის პირობები მრავლად ხელს შეგიწყობენ. ლიტერატურული შრომა, რომელიც თქვენ ასე რიგად გიყვართ და კიდევაც გეხერხებათ, ფრთებს შეისხამს და თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩადგება“[3].

იაკობ გოგებაშვილი სამართლიანად თელიდა, რომ პროვინციაშიც აუცილებელია განათლებული მუშაკები, მაგრამ თუ დედაქალაქი არ იქნა გამაგრებული ასეთი მოღვაწეებით, პროვინციაში მუშაობა უნაყოფოდ ჩაგვიელისო.

იაკობ გოგებაშვილი აღტაცებული იყო ვასილ ბარნოვის პედაგოგიური და ლიტერატურული საქმიანობით. ალექსანდრე მიქაბერიძესთან საუბარში უთქვამს:

„ვასილ ბარნოვი, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის

---

[1] სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 4634, იოსებ სრესელი, ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან.

[2] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

[3] იქვე.

ხელმძღვანელი, დაუფასებელი მასწავლებელია. დიდი ცოდნა და გამოცდილება შესწევს. იგი მოწოდებით ჭეშმარიტი მასწავლებელია, რომელსაც მოსწავლე ახალგაზრდობის რიგებში სიცოცხლე და სიხარული შეაქვს. იგი მოსწავლე ახალგაზრდობის უსაყვარლესი მასწავლებელია, რომელსაც ყველანი დიდად აფასებენ და გულწრფელად პატივსა სცემენ.

უტყუარი ფაქტები გვაქვს ხელთ, რომ ვასილ ბარნოვის მოღვაწეობა ჯერ ახალ სენაკში და ამჟამად თელავის სასულიერო სასწავლებელში მრავლად დასაფასებელი და საგულისხმიეროა...

სასულიერო მთავრობის ინსტრუქციებით ხელფეხ შებორკილმა ვასილ ბარნოვმა, როგორც ახალ სენაკის სასულიერო სასწავლებელში, ისე თელავის იმავე ტიპის სასწავლებელში, ქართული სული შთაბერა გადაგვარების გზაზედ შემდგარ მოსწავლე ახალგაზრდობას.

ვასილ ბარნოვის ინიციატივით ამოძრავდა ამ სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა, მოეწყო თვითგანვითარების წრეები, შეუდგნენ ქართული ენისა და ქართული ისტორიის საფუძვლიანად შესწავლას და, თუმცა ფარულად, ახალგაზრდობა სულითა და გულით დაეწაფა ჭეშმარიტ სწავლა განათლებას. ამ მხრით ვასილ ბარნოვის მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზედ მრავლად საგულისხმიერო და ღირსშესანიშნავია.

სალიტერატურო სარბიელზე ვასილ ბარნოვი თუმცა ჯერ კიდევ ახლადგამოსული მწერალია, მაგრამ მისი პირველი ნაბიჯები თავდებია იმისა, რომ იგი ჩვენს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს უდავოდ"[1].

იაკობ გოგებაშვილს ვასილ ბარნოვის ნაწარმოებების მთავარ ღირსებად მიაჩნდა „დახვეწილი, ძარღვიანი, შეურყვნელი ქართული ენა", მხატვრული ოსტატობა, ქართული სინამდვილის რეალური ასახვა. მას სწამდა, რომ ახალგაზრდა ვასილ ბარნოვი თავისი ნიჭითა და შემოქმედებით თავის დროზე საპატიო ადგილს დაიჭერდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

იაკობ გოგებაშვილი თავგამოდებით იცავდა წ. ქ. გ. საზოგადოების სკოლებს და გიწც ამ სკოლების ინტერესის შელახ-

---

1 სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141,

ვას ეცდებოდა, მაშინვე გაილაშქრებდა ხოლმე იმის წინააღმდეგ.

1903 წელს წ. კ. გ. საზოგადოების კავკავის სკოლაში ერთ-ერთმა მასწავლებელმა მოსწავლეს ისე მაგრად აუწია ყური, რომ სისხლი ადინა. ბავშვის მშობლებმა თბილისში საზოგადოების მთავარ სამმართველოში გამოგზავნეს საჩივარი მასწავლებლის საქციელის შესახებ. როდესაც ამ უმსგავსო ფაქტის შესახებ გაიგო იაკობ გოგებაშვილმა, ერთ-ერთ გაზეთში წერილი გამოაქვეყნა, სადაც დაუნდობლად გაკიცხა მასწავლებლის საქციელი. სკოლის ზედამხედველმა წერილითვე უპასუხა ი. გოგებაშვილს და აღნიშნა, რომ ასეთ ფაქტს სკოლაში ადგილი არა ჰქონიაო. იაკობ გოგებაშვილი მაშინვე დაუკავშირდა კავკავის ქართული სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრს, ექიმ მოსე კალანდარიშვილს, რომელმაც დაუდასტურა მომხდარი ფაქტის შესახებ.

„იაკ. გოგებაშვილისა და კავკავის სკოლის ზედამხედველს შორის გამართულ პოლემიკაში ჩაერია თვით „წერ.-კით." საზოგადოების გამგეობა და საქმის გამოსარკვევად კავკავში გაგზავნა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე, რომლის თანდასწრებით კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელთა და იქაურ ქართველობის შეერთებულ სხდომაზე დაშავებულ მოწაფის დედ-მამამ დაადასტურა იაკობ გოგებაშვილის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტი მასწავლებლის მიერ უტაქტო საქციელის ჩადენისა",[1] — იგონებს ექიმი მ. კალანდარიშვილი.

იაკობ გოგებაშვილის ნიჭსა და გამოცდილებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ რუსეთშიც. მისი სტატიები სისტემატურად იბეჭდებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის ჟურნალ-გაზეთებში.

აღსანიშნავია გაზეთ „Школа и жизнь"-ის რედაქტორის, პეტერბურგის განათლების ლიგის თავმჯდომარის გენრიხ ადოლფის ძე ფალბორკის ურთიერთობა იაკობ გოგებაშვილთან.

1900 წლის 24 ოქტომბერს ქართველი მოღვაწე თ. მთავრიშვილი ქუთაისიდან იაკობ გოგებაშვილს წერდა:

---

[1] სგმ, გ. თავზიშვილის ფონდი № 13141. მ. კალანდარიშვილი, იაკობ გოგებაშვილი (ერთი ეპიზოდი მის ცხოვრებიდან).

„დიდად პატივცემულო ბატონო იაკობ სვიმონის ძევ!

თქვენ ალბათ გეცოდინებათ, რომ პეტერბურგში არსებობს „Императорское Вольно-экономическое общество“, რომელიც ჰბეჭდავს ფრიად საინტერესოს და ვრცელს თხზულებას ამ სახელით „Народное образование в России“ ბბ-ნთ Фальборк-ის და Чернолусский-ს რედაქციით. ამ რედაქციას ჰსურს, მოაქციოს ხსენებულს თხზულებაში სხვათა შორის საქართველოს სწავლა-აღზრდის საქმის მდგომარეობაც: რა გზით მიმდინარეობდა ძველად სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენს ქვეყანაში, როგორ მდგომარეობაში ჩავარდა რუსეთთან შეერთების შემდეგ და რა მდგომარეობაშია ახლა; რა დაბრკოლებანი ეღობებიან წინ ერის განათლებას, რა საშუალებასა სმარობენ საქართველოს ერის წარმომადგენელნი, რომ განათლების მდგომარეობა გაუმჯობესდეს, როგორის თვალით უყურებენ მთავრობის წარმომადგენელნი ამ საშუალებას. ერთის სიტყვით, ამ საგანს, ე. ი. ხალხის განათლების მდგომარეობას ყოველ მხრივ მიექციოს ყურადღება და ყოველ მხრით იქნეს იგი დასურათებული. რაც კი ამ საგნის შესახებ დაბეჭდილა, ან რაიმე მიზეზის გამო ცენზურას არ დაუბეჭდია, ყველა ამ მასალით შეიძლება ისარგებლოს ავტორმა. ზემოხსენებული რედაქცია ეძებს თურმე იმისთანა პირს, რომელიც შეიძლებს ამ საქმის სინიდისიანად და საფუძვლიანად ასრულებას. ეს ამბავი გადმომცა მე თქვენის მეგობრის მიხეილ ჭიქოძის შვილმა ვასილმა, რომელიც ეს ორი კვირაა, რაც პეტერბურგიდან ჭუთაისს ჩამოვიდა და რომლისათვისაც რედაქციას უთხოვია ამისთანა კაცის დასახვლება. ჩვენ თქვენზე უკეთესი შემსრულებელი ამ საქმისა არავინ მიგვაჩნია და ამიტომაც თქვენ მოგმართეთ: იქნებ ინებოთ ზემოხსენებულ საქმის სისრულეში მოყვანა, რასაც დიდათ დაავალებთ რედაქციას და, მე ვფიქრობ, რომ ჩვენს ქვეყანასაც ამით დიდს სამსახურს გაუწევთ.

რედაქცია დიდის სიამოვნებით მიიღებს თქვენს ძვირფასს ნაშრომს და გონორარსაც მოგართმევთ, თუ ამას ინებებთ.

ამასთან, თუ რაიმე სახელმძღვანელო ცნობანი იქნება თქვენთვის საჭირო ამ შრომის შედგენის დროს, რედაქცია დიდის სიამოვნებით მოგართმევთ.

პატივისცემით მოკითხვა მოგახსენათ მიხეილ ქიქოძემ, მისმა მეუღლემ და შვილმა ვასომ"[1].

რამდენიმე წლის შემდეგ გ. ფალბორკი კვლავ სთხოვს იაკობ გოგებაშვილს, რათა „Вольное экономическое общество"-სათვის დაწეროს სტატია საქართველოში განათლების მდგომარეობის შესახებ. იაკობ გოგებაშვილი იმ პერიოდში ძალზე დაკავებული იყო და ამ საქმის შესრულება ალექსანდრე ხახანაშვილს სთხოვა. აქვე მოგვყავს იაკობ გოგებაშვილის წერილის სრული ტექსტი, რაც საინტერესო უნდა იყოს მკითხველი საზოგადოებისათვის:

„ბატონო ალექსანდრე! ვერა ჰქენით კარგი საქმე, რომ ზაფხულში ბორჯომს არ ეწვიეთ ერთი-ორი კვირით. თქვენს სიმრთელეზე იქაური ჰაერი უეჭველად კარგს გავლენას იქონიებდა, და ამას გარდა ერთად განვიხილავდით რამდენსამე საპასუხისმგებლო სტატიას, რომელიც მე დავსწერე ბორჯომში. როცა ლოდინი არ ამისრულდა, გორში ჩამოვედი, უნდა მენახევით; მაგრამ სოფლად წასულიყავით სწორედ იმ დროსა. ერთი იმ წერილთაგანი დაიბეჭდა ამას წინად Петербургის Ведомост-ებში სათაურით: Несправедливое обещание (Голос из Тифлиси). სამიც ჯერედ დაბეჭდვას ელის; მხოლოდ ვერ გადაგვიწყვეტია, სად დავბეჭდოთ. საჭიროდ სცნეს აგრეთვე, რომ ერთი ვრცელი წერილი, რომელიც ვოსტორგოვის შემოქმედებას შეეხება უმთავრესად, რომელმაც რუსმა გაგზავნოს პეტერბურგში თავისი ხელმოწერით; მაგრამ ჯერ ვერ ვიპოვნეთ ამისთანა რუსი.

ამ წერილს უმთავრესად გწერთ შემდეგი მიზეზით: ამ ზაფხულს ქაღალდი მომივიდა Вольное экономическое общество-დგან, რომელშიც მთხოვდნენ დამეწერა სტატია შესახებ ხალხის განათლების მდგომარეობისა საქართველოში. ზაფხულში ვერ მოვიცალე ამ საქმისათვის; და იმედი მქონდა რომ შემოდგომაზე დავსწერდი, მაგრამ სიმრთელემ მიმტყუნა და სხვა საქმეებიც აღმოჩნდა. ამიტომ ტელეგრამმა მივსწერე უარისა და ვურჩიე თქვენ მოგმართონ თხოვნით. უარს ნუ ეტყვით. თქვენებურად, ცოცხლად და სხარტულად დაწერილს წერილს შესახებ ხალხის განათლებისა ქართველთა შორის

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, იაკობ გოგებაშვილის ფონდი № 394.

დიდი მნიშვნელობა ექნება და ყველაზეგან დიდს მადლობას დაიმსახურებთ. რაც მასალებსაც მოგვთხოვ, აქედგან გამოგიგზავნით. ჩემი ნაწერებიდგან ამ საკითხთან პირდაპირ კავშირი აქვს იმ წერილს ხალხის განათლების შესახებ, რომელიც დაიბეჭდა „მოამბის" ნოემბრის წიგნში 1895 წელში. გამოიყენებთ ერთი მხრით იმ წერილსაც, რომელიც პარიჟის გამოფენისათვის დავსწერე და რომელიც დაიბეჭდა მურიეს ჟურნალში ფრანგულ ენაზე და „ივერიაში" მიმდინარე წლის დასაწყისში. შეიძლება ცოტაოდნად ისარგებლოთ იმ ჩემი წერილითაც, რომელიც დაიბეჭდა „ივერიაში" წარსულს ზაფხულს შესახებ სამრევლო სკოლების ახალი გეგმისა. ახლაც მაქვს რუსულს ენაზედ დამზადებული წერილი: Как улучшить народную школу в Грузии. ამის კოპიოსაც გამოგიგზავნით. ეს წერილი დავსწერე ბელაქნელის თხოვნით. როცა პეტერბურგში იყო, მინისტრის ამხანაგს მეშჩაინიწოვს ეთქვა, რომელსამე თქვენებურს პედაგოგს დაეწერინე წერილი შესახებ სახალხო სკოლის გაუმჯობესობისა და გამრგზავნეო და ამ დღეებში უგზავნის.

ჩვენ ყველას გვაშინებს ის გარემოება, რომ მეტად ბევრსა სწერთ, ძლიერ ბევრსა შრომობთ და ვაი თუ თქვენმა სხეულმა ვერ აიტანოს ამდენი ჯაფა. თვითონ ზაფხულიც უდიერად გაატარეთ. სულ დაუდეგარ მდგომარეობაში იყავით. მყუდროობა და დასვენება არც ზაფხულში ირგუნეთ, და ზამთარშიი ხომ გაწუწყვეტელს ჯაფაში იქნებით. ღმერთმა ჰქმნას, რომ უვნებლად აიტანოთ მაგოდენა შრომა..."[1]

იაკობ გოგებაშვილი შემდგომ წლებშიც განაგრძობდა თანამშრომლობას პეტერბურგის პრესაში. გეწრიხ ფალბორკი მას სთავაზობს, რომ მონაწილეობა მიიღოს მისი რედაქტორობით 1911 წლის ნოემბრის თვიდან დაარსებულ გაზეთ „Школа и жизнь"-ში.

გაზეთის დაარსების წინ ფალბორკი იაკობ გოგებაშვილს წერდა:

«Многоуважаемый Яков Семенович!

С ноября месяца настоящего года под моей редакцией будет выходить еженедельная внепартийная газе-

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ილ. ხახანაშვილის ფონდი № 886.

та «Школа и жизнь», имеющая целью освещения вопросов и нужд всех видов образования, от начального до высшего включительно. Главное внимание будет обращено на распространение и проведение в жизнь идеи единой школы. Для этого газета посвятит себя изучению вопроса о постановке образования во всех странах, психологии, философии в пределах их отношения к педагогике и вообще вопросов преподавания.

Считаю Ваше участие в новой газете чрезвычайно полезным и необходимым, я обращаюсь к Вам с покорнейшей просьбой не отказать в разрешении включить Вас в числе сотрудников газеты и позволяю себе надеяться получить от Вас статьи по интересующим Вас вопросам.

В надежде на благоприятный в скорый ответ Ваш, прошу Вас принять уверение в моем совершенном уважении и преданности».

[1] იაკობ გოგებაშვილმა საპასუხო წერილში დიდი მადლობა მოახსენა და გაზეთში თანამშრომლობის პირობაც აღუთქვა. გ. ფალბორკიმ იაკობ გოგებაშვილს წერილით სთხოვა, რათა გაზეთისათვის გაეგზავნა სტატია თანამედროვე უმაღლესი, საშუალო და დაწყებითი სკოლის მდგომარეობის შესახებ საქართველოში.

«Многоуважаемый Яков Семенович!

Выражая Вам искреннюю признательность за любезное согласие принять участие в газете «Школа и жизнь», позволяю себе обратиться к Вам с покорнейшей просьбой высказаться по тем вопросам, которые Вы найдете заслуживающими внимания. В настоящее время редакция особенно интересуется вопросами о совершенном положении высшей, средней и низшей школы.

Редакция будет вам очень признательна за любезную присылку статьи в возможно ближайшее время.

Надеюсь на Ваше внимание и скорое получение от Вас статьи, прошу принять уверение в моем уважении и преданности»[2].

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. გოგებაშვილის ფონდი № 476.

[2] იქვე. № 477.

ზემოაღნიშნული წერილები პირველად ქვეყნდება და მათ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ იაკობ გოგებაშვილის ბიოგრაფიისათვის.

იაკობ გოგებაშვილი ცნობილია თავისი ქველმოქმედებით, რაშიც ეკონომიური შესაძლებლობაც უწყობდა ხელს.

ნიკო ცხვედაძის ქალიშვილის, ელენე გოგიჩაიშვილის ცნობით, იაკობის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის უფროსი კლასისა და თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებსაც იაკობი ფულითა და წიგნებით ასაჩუქრებდა. „თუ კი იაკობი შენიშნავდა, რომ ყმაწვილი ნიჭიერია და ერთგვარ იმედებს იძლევა მომავლისათვის, დახმარებას არ აკლებდა ესეთ ყმაწვილს და ყოველთვის ხელს უმართავდა“[1].

თბილისის ქართული გიმნაზიის კურსდამთავრებული ბეშკენაძე, რომელიც საზღვარგარეთ სწავლობდა, იაკობ გოგებაშვილის მიერ დანიშნულ სტიპენდიასთან ერთად, დ. სარაჯიშვილის სტიპენდიასაც იღებდა. დ. სარაჯიშვილის სტიპენდია იაკობ გოგებაშვილის თხოვნითა და გავლენით იქნა დანიშნული.

იაკობ გოგებაშვილი სტიპენდიას აძლევდა აგრეთვე ქართული გიმნაზიის მოსწავლეს, შემდგომ ცნობილ მწერალს იოსებ მჭედლიშვილს.

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე თედო სახოკია რევოლუციურ საქმეებში მონაწილეობისათვის ციმბირში გადაასახლეს. იგი ირკუტსკის გუბერნიის ვერხოლენსკის მაზრის სოფელ ქიგალოვოში იხდიდა სასჯელს. თედო სახოკიამ გადაწყვიტა ციმბირიდან გამოპარვა, მაგრამ საამისო თანხები არა ჰქონდა. დასახმარებლად იაკობ გოგებაშვილს მიმართა დეპეშით და ამ უკანასკნელმა მას ხუთი თუმანი გაუგზავნა.

იაკობ გოგებაშვილი დიდ ფულად დახმარებას უწევდა თავის დისშვილს კონსტანტინე კასრაძეს, რომელიც გერმანიაში საინჟინრო სასწავლებელში სწავლობდა. გარდა ამისა ქართულ წიგნებსაც უგზავნიდა იქაური ქართველი სტუდენტებისათვის.

1911 წელს უკვე ჯანმრთელობაშერყეული იაკობ გოგება-

---

1 სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

შვილი კ. კასრაძეს წერდა: „გიგზავნი ამასთან ერთსავედროს რვა თუმანს. შვიდი თუმანი მოგივა აპრილში, მეორე შვიდი თუმანი — მკათათვეში და რვა თუმანიც ღვინობისთვეში, სულ ოც და ათი თუმანი. ეს სრული სტიპენდიაა. გეხიშნება იგი ჩემგან ერთი წლით, მხოლოდ ერთი წლით. ამ წლის განმავლობაში უნდა ეცადო და მოიპოვო სტიპენდია ან ზუბალაშვილისა, წერა-კითხვის საზოგადოების შუამავლობით, ან სარაჯიშვილისა. ერთსაც და მეორესაც თხოვნასთან უნდა გამოუგზავნო უსათუოდ მოწმობა თქვენი საინჟინრო სასწავლებლისა, თუ რომელს კლასში სწავლობ, როგორა სწავლობ და რამდენის წლის განმავლობაში დაასრულებ კურსსა. დაუყოვნებლივ მაცნობე როგორც ფულის მიღება, ისე ამ ბარათისა. როცა თხოვნები გამოგზავნო გაზაფხულზე, ისიც დროულად შემატყობინე. იაკობ გოგებაშვილი"[1].

იაკობ გოგებაშვილი დახმარებას უწევდა აგრეთვე პეტერბურგის ფსიქონევროლოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტს ანთიმო ებანოიძეს. ანთ. ებანოიძის წერილი იაკობ გოგებაშვილისადმი იმის დამადასტურებელია, თუ როგორი იმედის თვალით შეჰყურებდა ახალგაზრდობა დიდ პედაგოგს და ისიც არაფერს არ იშურებდა მათ სწორ გზაზე დასაყენებლად:

„დიდად პატივცემულო იაკობ სვიმონის ძევ!

თქვენ მიერ გამოტანებული წიგნები მე თავის დროზედ დანიშნულებისამებრ დავარიგე, გადავეცი როგორც პროფ. ცაგარელს, მარს და დეპუტატ კ. ჩხეიძეს, ისე ზოგიერთ კერძო პირებს და აგრეთვე პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტში ახლად დაარსებულ ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობას, რომლების სახელითაც, დავალებისამებრ, დიდ მადლობას გითვლით.

ბ. იაკობ! გემახსოვნებათ — მე წარსულ ზაფხულში სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიას ვთხოულობდი. მე მაშინ სტიპენდიის მაგივრათ ერთდროული დახმარების სახით მხოლოდ ოცდახუთი მანეთი დამინიშნეს, მაგრამ საქმეში თქვენი ჩარევით ბ. ცხვედაძემ გამიორკეცა ეს დახმარება, ხოლო შემდეგში კი უფრო მეტ დახმარებას დამპირდა. ასე თუ ისე

---

[1] სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 1832.

თქვენ მე მაშინ მაშოვნიეთ ხუთი თუმანი, ურომლისოთაც ჩემი პეტერბურგში გამომგზავრება პირდაპირ შეუძლებელი იქნებოდა, რისთვისაც მე გულწრფელ მადლობას გიძღვნით. თქვენი დახმარება ჩემთვის ეხლაც მეტად საჭიროა. საქმე იმაშია, რომ მე პსიხონევროლოგიურ ინსტიტუტში 125 მანეთი სწავლის ფული მაქვს შესატანი (25 მ. მეორე და 100 მ. მესამე და მეოთხე სემესტრის). თუ ზემოაღნიშნული თანხა არ შევიტანე ინსტიტუტში, ჩემი ეგზამენებზედ დაშვება ყოვლად შეუძლებელი იქნება, ხოლო ეგზამენების დაუჭერლობა კი მთელ აკადემიურ წელიწადს დამაკარგვინებს, რაც ჩემთვის მეტათ დიდი და საგრძნობი დანაკლისი იქნება.

ამიტომ მე ისევ თქვენ მოგმართავთ ბეჯითი თხოვნით აღმომიჩინოთ შეძლებისდაგვარი დახმარება. მე კომიტეტში თხოვნა უკვე გაგზავნილი მაქვს და, თუ თქვენ ჩემს შესახებ პირადათ ან წერილით ბ. ცხვედაძესთან ორიოდე სიტყვას დასძრავთ, გაახსენებთ, რომ თქვენ წარსულ ზაფხულში სთხოვეთ მას ჩემზედ, რისი მეოხებითაც მან დახმარება გამიორკეცა და დამპირდა შემდეგში უფრო მეტი დახმარების აღმოჩენას, თუ თქვენ ეხლაც გაუმეორებთ მას თქვენს თხოვნას, მე ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ საქმე კეთილად დაგვირგვინდება და დაწყებული სწავლის შეწყვეტა არ მომიხდება.

ბ. იაკობ კიდევ გთხოვთ — ნუ დაიზარებთ და მოელაპარაკეთ ჩემს შესახებ ბ. ცხვედაძეს, რითაც დიდათ დამავალებთ.

თქვენი მოიმედე, პეტერბურგის პსიხონევროლოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტი ანთიმო ებანოიძე.

ქ. პეტერბურგი.

14 დეკ. 1910 წ."[1]

იაკობ გოგებაშვილს დახმარებას სთხოვდა კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი იოსებ გიორგის ძე ირემაშვილი და კიდევ მრავალი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდა.

ერთხელ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების

---

[1] სგმ, ნ. ცხვედაძის ფონდი № 1922/25.

კანცელარიაში საუბრისას იაკობ გოგებაშვილს ალექსანდრე მიქაბერიძისათვის უთქვამს:

„სახალხო მასწავლებლები, როგორც ჩვენი სკოლებისა, ისე მთავრობის უწყებისა, ნივთიერად დიდ შევიწროებას განიცდიან. როცა ესეთი მასწავლებლები საზოგადოების კანცელარიაში შემოიცლიან, თუ შეატყოთ, რომ ნივთიერ დახმარებას საჭიროებენ, აუცილებლად ხელი უნდა მოვუმართოთ. თქვენს განკარგულებაში აი ამ ას მანეთს გიტოვებთ და ეს ფული ნაწილ-ნაწილად გამოიყენეთ სახალხო მასწავლებლების დასახმარებლად. მასწავლებლებს ნუ განუცხადებთ, რომ ეს ფული ჩემგანა გაქვსთ მიღებული. თქვენ დახმარების ყოველ კერძო შემთხვევაში ბარათი ჩამოართვით დახმარების მიმღებ მასწავლებელს, დაახლოვებით შემდეგი ზოგადი შინაარსისა: „მივიღე ამდენი და ამდენი მანეთი დახმარების სახით“ და ასეთ ბარათზე ხელი მოაწერინეთ. როცა ეს თანხა მთლიანად ამოიწურება, ხელმოწერილი ბარათები წარმოაჩინეთ და კვლავ კიდევ გადმოგცემთ ას მანეთს. ამრიგად ვაწესრიგოთ ეს მეტად საჭირო საქმე“-ო.

სახალხო მასწავლებლები ხშირად ამ თანხიდან იმართავდნენ ხელს.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იაკობ გოგებაშვილს ოჯახი არ გააჩნდა. იგი ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო, ვინაიდან მას განუკურნებელი სენი — ფილტვების ტუბერკულიოზი — შთამომავლობით ჰქონდა ნაანდერძევი და ერიდებოდა უახლოესი მეგობარი და შთამომავლობაც მსხვერპლად არ შეეწირა.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ იაკობი იოსებ მამაცაშვილის სიძე არ გახდა.

„...ჩვენ განვისაზრეთ ქართველი ქალების წრე შეგვედგინა, — წერს გ. იოსელიანი, — გვეკითხა სხვა და სხვა საკითხის შესახებ რეფერატები, რათა ახალგაზრდა ქალები გონებით განვითარებულიყვნენ და თანაც შრომას შეჩვეოდნენ. ამ მიზნის მისაღწევად ხშირად ვიკრიბებოდით ი. მამაცაშვილის სადგომზე. ამ კრებებმა დიდ ხანს გასტანეს და შესაფერი სარგებლობაც მოუტანეს ზოგიერთ ახალგაზრდა ქართველ ქალებს. მათ შორის უფრო შესანიშნავი იყვნენ თვით იოსებ მამაცაშვილის სამი ასული და ყაზბეგის ქალები. განსვენებული იაკობი ისე კარგად იყო დაახლოებული ამ მშვენიერ ქართულ

ოჯახთან და ისეთი მეგობრული განწყობილება ჰქონდა დიდათ ნიჭიერსა და განათლებულ დარია იოსების ასულთან, რომ გვეგონა ეს მეგობრობა ქორწინებით გათავდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა"[1].

იაკობ გოგებაშვილის პიროვნებამ თავიდანვე მიიქცია ყურადღება იოსებ მამაცაშვილის ოჯახში. იგი კარგად გრძნობდა ამ დამოკიდებულებას და ხშირად მარტოც დადიოდა მათთან.

„იაკობის ამაყი, თავმომწონე გარეგანი ლამაზი შეხედულება, იაკობის მკვირცხლი, გონიერი, ყველგან და მარადის საბუთიანი საღი მსჯელობა მამაცაშვილის ოჯახის წევრებს ერთიანად ჰხიბლავდა და ატყვევებდა და განსაკუთრებით კი იოსების ყოვლად პატიოსან, ყოვლად ზრდილ ასულს დარია მამაცაშვილს.

იაკობსა და დარია მამაცაშვილს შორის სულიერი კავშირის სათუთი ძაფები გაიბა.

აშკარა იყო, რომ იაკობს დარია მოსწონდა, იაკობს დარია უნაზესი სიყვარულით უყვარდა და დარიას მგრძნობიარე გული იაკობს თანაუგრძნობდა, დარიას იაკობის გულწრფელად სიყვარული ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი, მოსვენებას არ აძლევდა.

სამწუხაროდ, არ მოხდა ის, რასაც ყველანი მოელოდნენ, იაკობისა და დარია მამაცაშვილის გულწრფელი, სათუთი სიყვარული ქორწინებით არ დაგვირგვინებულა"[2].

მიუხედავად ამისა იაკობ გოგებაშვილი და დარია მამაცაშვილი ერთმანეთის უაღრესად პატივისმცემელნი და საუკეთესო მეგობრები დარჩნენ.

ალ. მიქაბერიძე მოგონებებში იაკობ გოგებაშვილის რომანის კიდევ ერთ ამბავს იხსენებს, რომელიც ლეგენდა უფრო იყო, ვინემ სინამდვილე:

„ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავის განათლებით და განვითარებით ძრიელ დაბალ საფეხურზე იდგა, შეუყვარდა იაკობი. მაგრამ ამ თავის სიყვარულის გამომჟღავნებას იაკობს თურმე ვერ უბედავდა.

სიყვარული ქალს დღითი დღე უძლიერდებოდა და გამოსავალს კი იგი ვერ ჰპოულობდა.

---

[1] იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად, 1913, წიგნში: გ. იოსელიანი— „ი. გოგებაშვილის ხსოვნას". გვ. 262-263.

[2] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

ზოლოს, როცა ქალმა ყოველგვარი იმედები დაჰკარგა, იაკობისათვის ეს თავისი გულწრფელი სიყვარული გამოეცხადებინა, სასოწარკვეთილი, იაკობის უიმედო სიყვარულით შეპყრობილი, მტკვარში გადავარდა და თავი დაიღრჩოგო.

ჩვენს მწერალს რომანისტს ვასილ ბარნოვს კერძო ბაასის დროს იაკობისათვის სხვათაშორის უთქვამს: „იაკობ! შენ თურმე ერთ ქალს თავდავიწყებით უყვარდი, მაგრამ ამ სიყვარულის გამოცხადება შენთვის ვერ გაუბედავს. ამდგარა ეს ქალი და მტკვარში თავი დაუხრჩვია“.

იაკობმა თურმე ღიმილით უპასუხა ვასილ ბარნოვს: „ის დალოცვილი თავს რად იხრჩობდა! თუ მართლა ვუყვარდი და ცოლად გამოყოლა უნდოდა, მეტყოდა და მეც შევირთავდიო“[1].

იაკობ გოგებაშვილი დიდ დანაშაულად თვლიდა, თუ ჯანსაღი კაცი ცოლს არ შეირთავდა და ოჯახს არ შექმნიდა.

ერთმა ახალგაზრდა მოღვაწემ, ივანე ახალშენიშვილმა, ოჯახის შექმნა მოინდომა და რჩევისათვის იაკობ გოგებაშვილს მიმართა. ისიც ფილტვებით ყოფილა დაავადებული. იაკობ გოგებაშვილს უთქვამს:

„არა ვარ საერთოდ ცოლის შერთვის წინააღმდეგიო. მეც მიწდომია ვყოფილიყავი ცოლ-შვილით ბედნიერი კაციო, მაგრამ რომ დაუფიქრდი, თუ რა დიდ მოვალეობას გკიდებდი ხელს და როგორ დიდ ბოროტმოქმედებას ჩავიდენდი კაცობრიობის წინაშე ჩემი ცოლის შერთვით, უკან დავიხიეო. ის არ იყო საკმარისი, რომ მე ავადმყოფი, ფილტვებ შეშინებული ადამიანი ვიყავი, რომ მე კიდევ სხვა ავადმყოფი ხალხი გამეჩინა ქვეყნისათვისაო! ეს ხომ დიდი დანაშაული იქნებოდაო. არა, ჩემო კარგო, დაიცადე ერთი შვიდი-რვა, უკეთესი იქნება ათი წელიწადიც, დრო გაქვს კიდევ და როდესაც დაატყო, რომ ფილტვები გამოგიმთელდა და აღარავითარი ზადი ადარა გაქვს, მხოლოდ მაშინ გაბედე ცოლის შერთვაო. წინააღმდეგ შემთხვევაში შენთვის ხომ ცუდი იქნება, ქალსა, და თუ შვილებიც გაგიჩნდა სამუდამოდ დაღუპამო. ნურავის ცოდოში ნუ ჩადგები და შენს თავსაც ადრე და მალე ნუ მოუღებ ბოლოსაო. დეე, სხვებმა, ჯანსაღმა ქართველებმა შეირ-

[1] სგმ, აღ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

თონ ცოლებიო და მოგვიმრავლონ ჯანსაღი ხალხი, ჩვენ კი შორიდან უყუროთ მათ ბედნიერებასაო"[1].

იაკობ გოგებაშვილის პირადი, ინტიმური ცხოვრება ფართო საზოგადოებისათვის საიდუმლოებით იყო მოცული. მას ხედავდნენ მხოლოდ ერის საქმეებში ყელამდე ჩაფლულს, საზოგადოებრივი მოღვაწეობისადმი თავმიცემულ პიროვნებას, რომლისათვისაც პირადი ცხოვრება თითქმის არ არსებობდა; ამის ნათელი დადასტურებაა იაკობ გოგებაშვილის მეგობრის, ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ეკატერინე გობაშვილის წერილი:

„ძვირფასო და საყვარელო ბატ. იაკოფ.

მადლობა ღმერთს რომ უკეთ ბძანდებით! სულით და გულით მიხარიან მეც ყველა ქართველთან ერთად თქვენი კარგად ყოფნა, ყოველი მომატებული დღე თქვენი სიცოცხლისა შესამატია ჩვენი ქვეყნისათვის, რადგან თქვენი ზრუნვაც შეუწყვეტლივია და ყოველდღივი. იმ ზრუნვის ჯამიც ქვეყნისათვის სასარგებლოდ. იმედი მაქვს ყველა ჩემს ზემოთ ნათქვამს დაიჯერებთ და ჩემს გულითად სიწრფელეში თქვენდამი სიყვარულისა და ღრმა პატივისცემისა ეჭვს არ შეიტანთ? მე ძრიელ დიდი ხანია რაც გიცნობთ, რაც თვალს ვადევნებ თქვენ ცხოვრებას, თქვენ დაუშრეტელს მოღვაწეობას საზოგადოების კეთილდღეობისათვის და თითქმის დაახლოებით ვიცი თქვენი პიროვნება. მხოლოდ ეს ცნობა თქვენი პიროვნებისა ერთმხრივია. აქ თქვენ ხართ ჩემ წარმოდგენაში როგორც კაცი განყენებული, ერთის ფიქრით და ერთის მიზნით აღჭურვილი და ამ მიზნის მისაღწევად გაწაფული და ეს ცალმხრივი თქვენი ცნობა მე არ მაკმაყოფილებს. მე როგორც ქალი და ამისათვის დიდად ცნობის მოყვარე თავის თავად და როგორც რომანისტი ქალი ხომ უფრო მეტს ვეძებ თქვენ არსებაში, თქვენ წარსულში, თქვენ სიყმაწვილის, დროთა მისწრაფებაში. ნუ თუ არა გაქვთ რაიმე დაწერილი ამაზედ, თუ რა თვალით უყურებდით სიცოცხლეს, რა იყო თქვენი სატრფიალო, სანეტარო. საით გაგიტაცებდათ ხოლმე სიჭაბუკის დროს ალმა ფრენაზე? ნუ თუ ქალს, ამ ცხოვრების აზრის მიმცემ ქვაკუთხედს, არავითარი როლი არ ჰქონია თქვენ სი-

[1] გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ზ. მღებრიშვილის ფონდი № 20366-ხ.

ცოცხლეში? და თუ ოდესმე ყოფილა ქალი თქვენი ცხოვრების ჩარხის მატრიალებელი, რად გამქრალა ის ეგრე უკვალოდ, რომ არც ერთმა ქართველმა არ იცის თქვენი წარსული იდეალი... ნუ თუ იმ კაცის ცხოვრება, რომელმაც თითქმის მთელი სიცოცხლე შესწირა სამშობლოს სამსახურს და იმის ფეხზედ დაყენებას, ცნობილი არ უნდა იყოს ყოველ მხრივ? თუ გჯერათ რომ სწორედ ასე უნდა იყვეს, თუ გჯერათ რომ ეს მხარეც თქვენის ადამიანობისა, მეტად სასურველია საცოდნელად ყველასათვის, მოგვეცით ცოტაოდენი ცნობა. მეცნიერული ცხოვრება კაცისა სათაყვანებელია სხვისგნით და პირად მეცნიერისათვისაც თითქმის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ თქვენ შესახებაც ასეა თუ არა? — გვითხარით. პირათ მე ძრიელ ვეჭვობ ამაში. საზოგადოდ, არ მჯერა განყენებულობა და თქვენში კი იმდენი ტემპერამენტი იყო ყოველთვის და ამ სიბერის და სისუსტის დროსაც კი (უკანასკნელად რომ გნახე), რომ ჩემ თვალს უდგება წინ, რაღაც მომხიბლავი, საიდუმლოებით სავსე წარსული, რომელმაც თქვენ გარდაგქმნათ იმათ, რაც ხართ დღეს, მაგრამ მაშინ ის კი არ იყავით, რაც შემდეგად გახდით. დიდ ხელოვან კაცს, დაკარგული პირადი ბედნიერება საქვეყნო ბედნიერებაში აპოვნინებს ხოლმე გულის დაუჭრების საგანს. თქვენმა დაკარგულმა გაპოვნინათ თქვენი აწმყო, განდეგილი და ღვაწლშემოსილი ცხოვრება, თუ პირდაპირ აზრთა მიმდინარეობამ დაგიყენად წინ არჩეული მიზანი, რომელიც ასე სახელოვნად მიგაქვთ სამარის კარამდე?

მაპატიე, მოძღვარო, თუ ჩემი კითხვები უალავონი არიან და თქვენ არ თანაუგრძნობთ იმ ცნობისმოყვარეობას, რომელსაც იძირავს ხოლმე ყოველი წარჩინებული კაცის ცხოვრება ადამიანში და თუ არ მომცემთ პასუხს, ნურც გამიწყრებით. და თუ თქვენშიაც გაუღვიძია როდისმე ამგვარ ცნობისმოყვარეობას სხვის შესახებ, ერთი ორი სიტყვით, სხარტულად გადმოგვეცით თქვენი სიყმაწვილის დროის გულის ზლაპრები და მათი გავლენა აწმყოზედ თქვენის ცხოვრებისა"[1].

იაკობ გოგებაშვილს საკუთარი შვილები არ გააჩნდა; იგი

[1] გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ე.კ. გაბაშვილის ფონდი № 17230-ბ.

მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა თავისი დისა და ძმის შვილების მიმართ. მათთან ურთიერთობის დროს იაკობი ხალისით ივსებოდა და ბავშვურ გულუბრყვილობას მიეცემოდა ხოლმე. ქრისტინე ბიბილური-კასრაძისა ასე იგონებს მშობლებთან ერთად თავის სტუმრობას ბიძასთან:

„...ძიამ ძალიან გაიხარა ჩვენი მისვლა. დედა და მამა მოწიწებით იქცეოდნენ, მოკრძალებით. ძიასაც უხაროდა ჩვენი იქ ყოფნა...

მეორე დღეს ძია სულ თავს დამტრიალებდა, ჩაეცვა მიხაკისფერი გრძელი ხალათი, მომისვა გვერდით სავარძელში, მეალერსებოდა და თან პატარა ლექსებს მასწავლიდა, ყურადღებას აქცევდა, რომელ ლექსს როგორ ავითვისებდი. მე „ყაყაჩოსა სიწითლითა“ უფრო გულზე მეფონა და სულ მალე შევისწავლე, ვიდრე „ვარდმა გასძახა ბულბულსა“. სწავლის შემდეგ ცოტა წავითამაშე. მალე მომეწყინა და ძილი მომერია. დედამ დასაძინებლად სასადილო ოთახში წამიყვანა. გაღვიძებისას ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შემოვიდა ძია და ძალიან ბევრი პარკები და ყუთები შემოიტანა, პარკებში ხილი აღმოჩნდა, ერთ ყუთში შოკოლადის კამფეტები იყო, მაგრამ ყველაზე ძალიან გამახარა დიდმა ყუთმა. სიგრძითაც და სიგანითაც ის არ ჰგავდა კამფეტების ყუთს.

— აბა, ჩემო გოგონა, გამოიცანი, აქ რა არის? შემეკითხა ძია და შრომლიმარე თვალებით დამაცქერდა. მე ბევრი რამ დავასახელე, ხან ფეხსაცმელი, ხან საკაბე, მაგრამ ვერ გამოვიცანი. ბოლოს თვითონვე მიმახვედრა:

— ამისთანა რამ შენც გეყოლება სოფელში, — მაშინვე თვალწინ წამომიდგა ჩემი ქონება სოფელში დატოვილი, თახჩაში კუნჭულში დაძინებული ჩემი გაკეთებული დედოფალა და მის გვერდით აკვანში გაკრული მისი შვილი.

— ეს კი ძალიან ლამაზია, კარგია, ახლა სძინავს და თვალები უხუჭია, არ გააღვიძო, თორემ უცებ შეიშინდება, — განაგრძობდა ძია. მე დავთანხმდი დამეცადნა, სანამ დედოფალა გამოიძინებდა, შევაჩერე ფართხალი. შევატყე, შევეცოდე, და თითონვე დაიწყო ნელ-ნელ ყუთის გახსნა. როცა ყუთს თავი ოდნავ აუწია, კინაღამ შიგ ჩავუვარდი. იმან ხელახლად მითხრა: წყნარად, არ შეაშინოო. მეც თავი შევიკავე და როცა ჩურჩულით ვეუთხარი — „ძია, ნელა, ჩქარა ნუ ახდი

თავს, თორემ გაელვიძება და შეეშინდება მეთქი", — მან გუდიანად გადაიხარხარა. ბოლოს, როგორც იყო, აჰხადა თავი და რას ვხედავ: დედოფალა, მაგრამ რა დედოფალა! სიზმარშიც არ მენახა იმის მსგავსი:

— დილილმე! რა ლამაზი დედოფალა მყავს! შევძახე და ყუთს ხელი ვტაცე. ძიამ სიცილით უკან დასწია ყუთი და მითხრა, აგრე ნუ მივარდი, არ შეაშინოო. შემდეგ დედოფალა წამოაყენა. თვალები აუხამხამდა დედოფალას და წელში გასწორებისას ცისფერი თვალები შემომანათა. ამოვიტაცე ყუთიდან, სადაც ძირზე კანაფით იყო მიკრული, ძიამ შეხსნა უკანა კანაფი და ადვილად ამოვიყვანე, ჩავიკარ გულში. ახლა დღე და ღამე სულ გულთან მეჭირა, რომ არავის წაერთმია. ქალაქი აღარ მაინტერესებდა, მინდოდა ჩქარა სოფელში ავსულიყავი და იქაური ამხანაგები გამეკვირვებინა ჩემი დედოფალათი.

მალე ძიამ ფაიტონით წამიყვანა ფოტოგრაფთან და ჩემი დედოფალით ძიასთან, დედასთან და პაპიდა ეფემიასთან სურათი გადავიღეთ..."[1]

1911 წელს, როდესაც ცნობილი ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი გარდაიცვალა, ჭირისუფლები წინააღმდეგნი ყოფილან მისი დიდუბის პანთეონში დასაფლავებისა. ნიკო ცხვედაძის დაჟინებითი რჩევით ოჯახის წევრებს წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ და დავით სარაჯიშვილი დაკრძალეს დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

იაკობ გოგებაშვილს გახარებია ეს ამბავი და ნიკო ცხვედაძისათვის უთქვამს:

„იცი, რა უნდა გითხრა, ნიკო დიდუბის ეკლესია თანდათანობით შემოიკრებს თავის გოლოვანში ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და ამრიგად შეიქნება ქართველ მოღვაწეთა საერთო სასაფლაო, ქართველ მოღვაწეთა პანთეონი. თუ არ ვცდები, შენცა და მეც ამ პანთეონში სამუდამო განსასვენებელ ბინას დაგვიდებენ. მოვლენ ჩვენი საფლავების დასათვალიერებლად ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც შევძახებთ: „გამარჯვება, ყმაწვილებო!" და ისინიც ერთხმად ჩაგვძახებენ: „გაგიმარჯოსო!" ჩვენი ახალგაზრდობის ამ სა-

[1] სგმ, გ. თავზიშვილის ფონდი, № 13142. ქრისტინე ბიბილურ-კასრაძისა, მოგონებანი ბიძია იაკობ გოგებაშვილზე.

სიხარულო ხმით გამხნევებულები სამუდამოთ დავმშვიდდებით იმ სრულის რწმენით, რომ ჩვენ დაჩაგრულ და წამებულ ქვეყანას პატრონები კიდევ მოეპოვება, პატრონები, რომლებიც თავის წინაპართა ღვაწლს არ ივიწყებენ და მომავლის იმედებით ცოცხლობენ და სულდგმულობენ!"[1]

1912 წლის 28 აპრილს იაკობ გოგებაშვილი მძიმედ ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. რამოდენიმე თვით ადრე, 3 იანვარს, შეუძლოდ მყოფი ლუარსაბ ბოცვაძეს წერდა:

„ძმაო ლუარსაბ! გეთაყვა, ნიკოს დაკრძალვის შემდეგ ინახულე დეკანოზი ტალაკვაძე და სთხოვე ჩემ მაგიერად — ღოღობერიძის გვერდით საფლავის ადგილი გზის პირად ჩემთვის დასტოვოს იმავე სიდიდისა, რა სიდიდეც აქვს ნიკოს საფლავის ადგილსა. ამასთანავე შემატყობინოს, რა ეღირება ეს ადგილი და ისიც, ფული ახლავე უნდა გადავიხადო, თუ საკმარისია ბე მივცე. ღოღობერიძის საფლავის და ჩემის საფლავის შუა უნდა დარჩეს მხოლოდ ვიწრო გასავალი, რათა ჩვენ შორის ვინმე ოხერი არ ჩაეჩხიროს. ბოდიშს ვითხოვ, რომ გაწუხებთ მრავალი შეწუხებით დატვირთულსა.

თქვენი იაკობ გოგებაშვილი"[1].

1912 წლის 14 მარტს შედგენილ ანდერძში ნათლად მოჩანს იაკობ გოგებაშვილის, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილის პიროვნება. მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება წ. კ. გ. საზოგადოებას უანდერძა.

„ა ნ დ ე რ ძ ი

მე, ქვემორე ხელისმომწერი, იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, საღი გონებით და მტკიცე მეხსიერებით, ჩემი გარდაცვალების შემთხვევისათვის ვაცხადებ ჩემს შემდეგ ნებასურვილს:

ქართულ და რუსულ ენებზე დაწერილ გამოუკლებლივ ყველა ჩემს სახელმძღვანელოსა და წიგნსა, აგრეთვე მრავალრიცხოვან ნახატ და საწერი დედნებისა, კლიშეებისა, ლითოგრაფიულ ქვისა, რომელზედაც მოგრავირებულია საქართველოს რუკა და წარმოადგენს „ბუნების კარის" დანართს და

[1] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

[2] სგმ. ლ. ბოცვაძის ფონდი, № 9.

ინახება მესხიევის ლითოგრაფიაში, ასევე ყველა ჩემს სტატიას, დაბეჭდილს ქართულსა და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, დაუმთავრებელი წიგნების, ჯერ დაუბეჭდავი სტატიების ხელნაწერებს, ჩემს ბიბლიოთეკას ვუანდერძებ კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველ მოსახლეობას შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოებას. ამავე საზოგადოებას ვუანდერძებ მიწის ნაკვეთს ვერაზე ტფილისში, ზომით 264 კვადრატულ საჟენს, რომელიც 1901 წელს ვიყიდე ნაფიც ვექილ ივანე სპირიდონის-ძე ჯაბადარისაგან და მის რწმუნებულებისაგან აზნაურების გერასიმე დიმიტრის ძე პოლშგენისა და ვლადიმერ ალექსის ძე ოსიპოვისაგან აქტით № 208, რომელიც მოხდენილია იმავე წელს ქალაქ ტფილისის უფროს ნოტარიუსთან.

ამასთან ერთად წერა-კითხვის საზოგადოებას ვაკისრებ დაიცვას შემდეგი პირობები:

პ ი რ ვ ე ლ ი: ჩემი სახელმძღვანელოების ყოველწლიური შემოსავლის ხარჯზე ის ვალდებულია დააარსოს და შეინახოს სანიმუშო დაწყებითი სკოლა ჩემს მშობლიურ სოფელ ვარიანში, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად იმყოფება.

მ ე ო რ ე: ყოველწლიურად აძლიოს ყოველი ნახევარი წლის განმავლობაში ას ოცი მანეთი ჩემს მოხუც დას ეფემია სიმონის ასულს ინაურის ქვრივს, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ მის ღარიბ შვილს გიორგის, ოჯახთან ერთად, სანამ ეს შესაძლო იქნება.

მ ე ს ა მ ე: თუ ჩემი სტიპენდიანტები: ძმისწული შალვა გოგებაშვილი, ამჟამად კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტი, აგრეთვე ჩემი დისწულის შვილი კონსტანტინე კასრაძე, მანგეიმელი სტუდენტი, ვერ მიიღებენ საკმაო სტიპენდიებს, საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობით, მაშინ ეს გამგეობა მისცემს ორთავეს შესაძლებლობას ჩემი სახელმძღვანელოების შემოსავლის ხარჯზე დაამთავრონ უმაღლესი განათლება.

მ ე ო თ ხ ე: ჩემი ქართული და რუსული წიგნების ყოველი გაყიდული ეკზემპლიარიდან წერაკითხვის საზოგადოება გადასდებს არანაკლებ 1 კაპეიკისა სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის შესაქმნელად, რომლის პროცენტით იგი, ქართული ინტელიგენციის დემოკრატიული ელემენტის გასაძლი-

ერებლად უმთავრესად სპეციალური, კერძოდ კი პედაგოგიურ სასწავლებლებში აღზრდის ყველაზე ნიჭიერ და სახალხო სკოლის კურსის წარმატებით დამთავრებულ ბავშვებს გლეხებისა, მუშებისა და ღარიბ სახალხო მასწავლებელთა. ამავე კაპიტალისათვის ვნიშნავ ჩემი მიწის ნაკვეთს ვერაზე, რომელსაც საზოგადოების გამგეობა გაჰყიდის მხოლოდ მაშინ, როცა მიწის ფასი ძალიან აიწევს და მთელ აღებულ თანხას შეუერთებს ჩემს სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალს. ამავე კაპიტალის შემადგენლობაში უნდა შევიდეს ჩემი ნაღდი თავისუფალი თანხების დაახლოებით ნახევარი, ჩემი სხვა ანდერძის თანახმად. საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებლის ხარჯვას სტიპენდიებისათვის საზოგადოების გამგეობა არ იწყებს, სანამ არ მიაღწევს ათი ათას (10.000) მანეთამდე.

მეხუთე: ჩემი წიგნების შემოსავლიდან კი საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურ სუბსიდიას არანაკლებ 300 მანეთისა აძლევს ქართულ პედაგოგიურ ჟურნალს „განათლებას", რათა ამ ჟურნალმა, რომელიც აუცილებლად საჭიროა წერაკითხვის საზოგადოების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად, არ შესწყვიტოს თავისი არსებობა დეფიციტის მძიმე ტვირთის გამო.

მეექვსე: ყოველწლიურად აძლევს აკაკი როსტომის ძე წერეთელს ას მანეთს, როგორც ჰონორარს იმ საბავშვო ლექსებისათვის, რომლებიც იბეჭდება „დედა-ენაში" და რომლებიც ჩემის თხოვნით სპეციალურად დაწერილია ამ ჩემი გამოცემისათვის.

მეშვიდე: ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ საზოგადოების გამგეობის ყველა წევრის მიერ, და მიღებული იქნება დადგენილება გამგეობის ყველა წევრის სამი მეოთხედის მიერ. ჩემი ამა თუ იმ სახელმძღვანელოს გამოცემის შეწყვეტისათვის კი საჭიროა გამგეობისა და საზოგადო კრების აგრეთვე სამი მეოთხედის უმრავლესობა.

მერვე: სამი წლის განმავლობაში ჩემი გარდაცვალების დღიდან საზოგადოების გამგეობა წესრიგში მოიყვანს და ბეჭდავს ჩემს მიერ ჯერ გამოუცემელ, როგორც ქართულ, ისე რუსულ სტატიებს. როგორც რუსული, ისე ქართული სტატი-

ები იბეჭდება ცალკე ტომებად იმავე ქრონოლოგიური რიგით, რომლითაც ჩვენს შიერ გამოცემულია ჩემი რჩეული ქართული სტატიების პირველი ტომი. ხარჯებს ორი პირველი ტომის გამოსაცემად გამგეობა ეწევა სახელმძღვანელოების მოგებიდან. იმ შემთხვევაში, თუ მე ვერ მოვახერხე ამ მიზნისათვის დავსტოვო განსაკუთრებული სპეციალურად საჭირო თანხა.

მ ე ც ხ რ ე: წერაკითხვის საზოგადოების გამგეობა ყოველწლიურად ათავსებს თავის ანგარიშში განსაკუთრებული ნაწილის სახით, რაც შეიძლება ზედმიწევნითი ცნობებს ჩემი სახელმძღვანელოებისა და წიგნების გამოცემის, მათი გაყიდვით მიღებული წმინდა მოგების და ამ მოგების გამოყენების შესახებ ამ ჩემი ანდერძის თანახმად.

მ ე ა თ ე: თუ წერაკითხვის საზოგადოება რაიმე განსაკუთრებულ გარემოებათა გამო იძულებული შეიქნება შესწყვიტოს თავისი არსებობა, საქმეების ლიკვიდაციის დროს საზოგადო კრებამ საკუთრების უფლება ჩემს სახელმძღვანელოებზე და წიგნებზე, აგრეთვე სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალზე უნდა გადასცეს რომელიმე მნიშვნელოვან ქართულ დაწესებულებას იმ აუცილებელი პირობით, რომ წიგნების წმინდა მოგება და სახალხო-საგანმანათლებლო კაპიტალის სარგებელი გამოყენებულ იქნეს სწორედ იმ დანიშნულებისათვის, რომელიც გამოხატულია ამ ჩემს ანდერძში.

ამ ჩემი ანდერძის აღმსრულებლად ვნიშნავ: ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილს, ვალერიან ლევანის ძე გუნიას, ნიკოლოზ იოსების ძე ლომოურს, შიო ზაქარიას ძე დედაბრიშვილს და სოფრომ ზაქარიას ძე მგალობლიშვილს. 1912 წელი, 14 მარტი.

ეს ანდერძი შეადგინა, გადასწერა და მას ხელი მოაწერა თვითონ მოანდერძემ იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილმა.

მოწმენი: ილია პეტრეს ძე ნაკაშიძე
დიმიტრი მოსეს ძე დუმბაძე
გრიგოლ იესეს ძე ბურჭულაძე"[1].

იაკობ გოგებაშვილი ცხოვრების უკანასკნელ წლებში სიცტემატურად ავადმყოფობდა. ექიმები ხშირად აფრთხილებდნენ მას, რომ ქალაქგარეთ გასულიყო დასასვენებლად, თო-

[1] სგმ, იაკობ გოგებაშვილის ფონდი, № 1713.

რემ შეიძლება შენი ავადმყოფობა ცუდად დამთავრდესო. საზოგადო მოღვაწის ნინო ათანასეს ასულ შარაშიძისადმი მიწერილ წერილში იაკობ გოგებაშვილი თავისი ჯანმრთელობის შესახებ წერს:

„...უმთავრესი მიზეზი ჩემი სიმრთელის მდგომარეობის გაცუდებისა არის ჩემთვის სრულიად ახალი ავათმყოფობა კუჭისა. აქამდის ერთი სიკეთე კიდევ იყო ჩემ სხეულში — კუჭის სისაღე; ახლა ამაწაც მიღალატა და ჩემი წვალება ერთი ორად გადააქცია. ეტყობა საღამო სიცოცხლისა კარზედ არის მომდგარი. პიროვანი ინტერესის მხრივ სიცოცხლის საღამოს მოახლოვება ჩემთვის არ არის სამძიმო სრულიად, — მე დიდი ხანია პიროვან არსებობას ჩალათაც აღარ ვაგდებ, რადგანაც სიცოცხლე წვალებისა და ტანჯვის მეტს ჩემთვის აღარაფერს იმეტებს. მაგრამ ვსწუხვარ, რომ სამკალი ბევრია, და მომკლები კი არსადა სჩანან. რის გაკეთებაც შემეძლო, მისი მეასედიც არ შემისრულებია და გადამეტებული სიცოტაც ნამოქმედარისა ხდის უსიამოვნო საგნად სიცოცხლის საღამოს კარზედ მოდგომასა...“[1]

იაკობ გოგებაშვილს მკურნალობდა ექიმი ტიტე ჭიქოძე, რომლის მეთვალყურეობითაც იაკობი რეჟიმს იცავდა და თავსაც მკურნალობდა. ძმისშვილი შალვა გოგებაშვილი ავადმყოფს განუწყვეტლივ თავს დასტრიალებდა. როდესაც შალვა გოგებაშვილი სოფელში საქმეზე წავიდოდა, ავადმყოფთან იაკობ გოგებაშვილის დისშვილი ქრისტინე კასრაძე რჩებოდა. იგი ასე იგონებს ბიძის უკანასკნელ დღეებს:

„ერთ კვირა დღეს გამოცდების დამთავრების შემდეგ წავედი ძიასთან მეხარებინა, რომ გადაველი მერვე კლასში. როცა დამინახა, თვალები გაუბრწყინდა. მე ელდა მეცა, რომ იწვა და შევეკითხე — რათ წევხარ მეთქი. საიმისო არაფერია, შენ რაღას მეტყვი ჩემო ჩიტო ჩიტუნიაო. ბევრი რამ ვუამბე და ბოლოს უთხარი ისიც, რომ უფროსი კლასის მოწაფეები მიდიან რუსეთში ექსკურსიით, ინახულებენ კიევს. კიევის გაგონებაზე ძია თითქოს გამოცოცხლდაო, გაახსენდა თავისი ყმაწვილობა, მიამბო იქაური ცხოვრება, ისტორიული ძეგლე-

---

[1] კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქრ. შარაშიძის ფონდი, № 2640.

ბი, მთხოვდა ყურადღებით დამეთვალიერებინა ყველაფერი, რუსეთის ქალაქებში უველაზე ძალიან კიევი მიყვარს და უსათუოდ წადიო. ამომაღებინა კამოდიდან ჩეკების წიგნაკი და დამიწერა, 400 მან. გამომეტანა ბანკიდან. ექსკურსიის ხარჯები გამესტუმრებინა და დანარჩენით მეყიდნა რაც გულით მინდოდა. მადლობა გადაუხადე.

— შენს გაზრდას, მანდ გაზეთის დამატებაა და შიო მღვიმელის ლექსი წამიკითხეო, მითხრა ძიამ. მეც ავიღე და საუცხოო ლექსი „არწივს" აღმაფრენით წავიკითხე:

„არ შეგვიშინდე არწივო,
რა დროს სიკვდილის ჯერია!
შავს ყორანს ჩახლეჩილი ხმით
რამდენჯერ დაუმღერია.
მაგრამ შენს დიადს გულს და თვალს
მკაცრად რომ შეუბღვერია,
გაბრუნებულა, წასულა,
როგორც მაცდური ფერია!
ჯერ ჩონგურს სიმი მთელი აქვს
ისევ ხმა ტკბილად წკრიალებს,
სიცოცხლე სასიქადულო
შენს სადღეგრძელოდ ტრიალებს,
მუხა ქვეშ ბურჯად გიდგია,
ზედ შენი დროშა ფრიალებს,
წყარო იძახის „მრავალჟამიერ",
და მკლავ მძლავრადა ჩქრიალებს.
აბა, გაჰხედე შენს შვილებს,
შენგან დაზრდილებს გულითა.
ზვიადებს, ამაყ ვაჟკაცებს,
სავსეთ სიცოცხლით სრულითა,
სანამდის შემოგცქერიან
ნატერით და სიყვარულითა,
ვინ რას დაგვაკლებს, ფრთა ლაღო,
გინდაც წამხდარი სულითა!
შვილიშვილთ ნუგეშიცა ხარ,
მათიცა გმართებს ვალები,
სანამ არ გაუმაგრდებათ
გული, მკერდი და ბრჭყალები,
უნდა იცოცხლო, იცოცხლო,
შემოიკრიბო ძალები,
დასძლიო დაუძლეველი, —
სიკვდილს დაუდგეს თვალები!"

როდესაც ამ ლექსს ვკითხულობდი ძია იაკობს თვალები გაუბრწყინდა, იღიმებოდა, როცა გავათავე, მთხოვა ისევ თავიდან წამეკითხა ეს ლექსი. მე ვიფიქრე, ალბათ გამოთქმით ვერ წავიკითხე და შევეცადე უფრო უკეთესად წამეკითხა. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, რომ ძიას გაბრწყინვებული თვალები ნისლით შეემოსა და ღრმად ჩაფიქრდა. მე შევეკითხე: ძია, როცა რუსეთიდან ჩამოვალ, თქვენ სად გნახავთ მეთქი, აქ იქნებით თუ ბორჯომში? მაშინ ძიამ თავისი ნაღვლიანი თვალები კედლის ხალიჩის ყვავილთა თაიგულს მიაშტერა და მიპასუხა: „შენ რომ კიევიდან ჩამოხვალ, მე მაშინ ფუფალასთან ვიქნები". მე გავუწყერი, რად ფიქრობთ მაგისთანა უბედურებას მეთქი და დავიწყე ქვითინი. ძალიან შეწუხდა მოხუცი, მასვე გავუხდი გასაჩერებელი, დამიწყო

დამტკიცება, რომ მე არ უნდა ვიდარდო ძიას დაკარგვა, ეს იმიტომ რომ ბუნების კანონი ასეთიაო“[1].

მაისის ბოლოსათვის იაკობ გოგებაშვილის ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა. 31 მაისს იაკობის სანახავად მისულა მისი ყოფილი მოწაფე და მეგობარი ნიკო ლომოური, ავადმყოფი კარგ გუნებაზე დადგა და ძველებურად ხალისით ამეტყველდა.

„მხცოვანი პედაგოგი და მისი საყვარელი მოწაფე დიდხანს გულთბილად ბაასობდნენ და ძველი დროის ამბებს იგონებდნენ, — წერს ალ. მიქაბერიძე.

ნიკო ლომოურმა გამოთხოვებისას იაკობს ხელზე აკოცა და ჯანმრთელად ყოფნა უსურვა.

იაკობმა ღიმილით მიმართა თავის ყოფილ მოწაფეს:

— დეკანოზი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მკოცნით?

— რომელი დეკანოზის ხელი იქნება შენ ხელზე უფრო მადლიანი!“-ო — უპასუხა ნიკო ლომოურმა და კიდევაც გა მოეთხოვა.

იაკობი დიდად ნასიამოვნები დარჩა ნიკო ლომოურის ნახვით და მასთან მეგობრული ბაასით.

ნიკო ლომოურის წასვლის შემდეგ იაკობს წახევარი საათით ჩაეძინა. სამწუხაროთ, როცა გამოიღვიძა, მთელი სხეული ერთბაშად მოუდუნდა, ენა თითქმის წაერთვა, გაუგებრად ლუღლუღებდა და ეტყობოდა გონებას თანდათან ჰკარგავდა.

მხცოვანი პედაგოგი სიკვდილს ებრძოდა, სულიერად და ხორციელად იტანჯებოდა და შველას ვერ ჰპოულობდა. ამ ტრაღიკულმა მდგომარეობამ 1 თიბათვის საღამოს 6 საათამდე გასტანა.

საღამოს სრულ 6 საათზე ქართველი ერის დიდებულმა შვილმა სამუდამოდ თვალები დახუჭა“[2].

ამ დღეებში „სახალხო გაზეთში“ „მახლობელი“ წერდა:

„...როდესაც განსვენებულის სასადილო ოთახში შეველ, ლ. ბოცვაძის, ფ. გოგიჩაიშვილის და შალვას დამწუხრებულ-ჩაფიქრებული სახე და თავზარ-დამცემი სამარისებური

---

[1] სგმ, გ. თავზიშვილის ფონდი № 13142. კრისტინე ბიბილური-კასრაძისა, მოგონებანი ბიძია იაკობ გოგებაშვილზე.

[2] სგმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

დუმილი მოწმობდნენ, რომ იაკობის თავზე დაკიდული ბუნების საიდუმლოება აღსრულებულიყო...

განსვენებულს სიკვდილის ჟამს შეესწრნენ და თავს ადგნენ მხოლოდ ორი ადამიანი: მისი სადყვარელი ძმისწული შალვა და ნ. ცხვედაძის ქალი იაკობის ნათლული, რომელიც ხშირად დაიარებოდა ავადმყოფთან და მის შესახებ დიდ გულმტკივნეულობას და მზრუნველობას იჩენდა".

ქართველი საზოგადოებრიობა ღრმად დაამწუხრა დიდი იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ უამრავი დეპეშა მიიღო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან. აი, ზოგიერთი მათგანი:

ა ნ ი დ ა ნ. გულითადად ვიგლოვ იმ დანაკლისს, რომელიც წილად ხვდა არა მარტო ქართველობას, არამედ ყველას, ვინც ძვირად აფასებს განათლების უმაღლეს ინტერესებს ამიერკავკასიაში. ნამდვილ რუსულ განათლებით აღჭურვილი იაკობ გოგებაშვილი, სხვა თანამემამულეებთან ერთად, ნათლად მოწმობს, რომ კავკასია კარგა ხანია მომწიფდა უნივერსიტეტისათვის და რომ კავკასიის მცხოვრებთა უკულტურობაზე ლაპარაკი სრულებით საფუძველს არის მოკლებული.

აკადემიკოსი ნ. მარი.

- ს ტ ე ფ ა ნ წ მ ი ნ დ ა (ყაზბეგი). გული დამწყვიტა აუნაზღაურებელმა დაკარგვამ წ. კ. გამ. საზ. საპატიო წევრისა, გამოჩენილ პედაგოგისა და მთელ ქართველ ახალგაზრდობის მასწავლებელ იაკობ გოგებაშვილისამ.

ჩემის აზრით მისი გვამი უნდა დაიკრძალოს ჩვენს პანთეონში, მთაწმინდაზე.

წ. კ. გ. ს. მთავარ გამგეობის თავმჯდომარე ყაზბეგი.

გ ო რ ი. ქართული ენა დაობლდა. დაუნდობელმა სიკვდილმა ქართველ ბავშვებს მოსტაცა ყავარჯენი და ერს — წინამძღოლი. მათთან ერთად ერთი ქართველ დედათაგანი მოწიწებითა და უღრმესის მწუხარებით მუხლს ვიდრეკ შენი ცხედრის წინაშე და ვგლოვობ შენს დაკარგვას.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი.

კ ა ვ კ ა ვ ი. კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელნი და მოწაფენი თავის უღრმეს მწუხარებას უზიარებენ სამშობლო მშვეყნის საერთო მწუხარებას საუკეთესო მამულიშვილის, დე-

დაეწისა და სკოლის ერთგულ მოსარჩლისა, ეროვნებისათვის პატიოსან მებრძოლის, ნიჭიერ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის დაკარგვის გამო.

ვარლამ ბურჯანაძე.

ქუთაისი. სულითა და გულით ვწუხვართ ქართულ პედაგოგიკის გოლიათის, ღირს-შესანიშნავ პუბლიცისტის, „დედა-ენის“ შემქმნელის, სასიქადულო იაკობ გოგებაშვილის დაკარგვას.

მსახიობნი: ელო ანდრონიკაშვილი, ალ. ყალაბეგიშვილი, პლ. კორიშელი, შალვა დადიანი.

სოფ. ხელთუბანი. წლევანდელმა წელიწადმა ამდენი მამულისთვის სასიქადულო შვილები მოგვტაცა. ამდენი ქვეყნისთვის მებრძოლი გმირები მოაკლდნენ სამშობლო კერას, მაგრამ შენ სულ სხვა იყავ, სულმნათო, შენი დაჩაგრული ქვეყნისათვის! პატარა გლეხის შვილები, რომელნიც შენ სიკვდილის ჟამსაც კი არ დაივიწყე, მოგიგონებენ მთელ ქართველ ერთან მოწიწებით და აღტაცებით! საუკუნოდ იყოს ხსენება შენი და იქნება კიდევაც, სანამ სადმე ორი ქართველი ერთად ქართულად ილაპარაკებენ!

თ. რაზიკაშვილი.

უკვდავი ყვავილების გვირგვინი ქართული პედაგოგიკის შემქმნელს, ქართული ენის განმამტკიცებელს, საუკეთესო ქართველ მასწავლებელსა და მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს!.. დიდება იმის სახელს, დიდება იმის საფლავს!..

იძინე ტკბილად, იძინე მშვიდად, იძინე დაქანცულო მებრძოლო, ბრძოლაში, მოწინავე რაზმში დაბერებულო! გაცვდა გული შენს მკერდში, შენი ბასრი ხმალი კი, რომლითაც ისე ვაჟკაცურად ებრძოდი მტრებს, ისევ მთელია და მჭრელი, იმ ხმლით კვლავ შეებმიან მტრებს შენი მოწაფენი, შენ კი იძინე, იძინე ლამაზო ადამიანო, დაისვენე!.. იძინე და დეე ნუ შეაშფოთებს შენს მყუდრო და პატიოსან ძილს შავი იჭვი შენი საყვარელი მამულის მომავლის შესახებ. ის იცოცხლებს, იცოცხლებს და არ დაგივიწყებს შენ, შენ, რომელსაც ისე ღრმად, ისე პატიოსნად და თავდადებით გიყვარდა შენი ტურფა, მაგრამ ჯერ კიდევ უბედური ქვეყანა!..

მეტეხის სატუსაღოში პყრობილთა ერთი ჯგუფი.

ხონი, დავკარგეთ ძვირფასი პედაგოგი იაკობ გოგება-

შვილი, ერთგული მცველი სამშობლო ენისა, მედგარი მებრძოლი ქართველ ყრმათა ბუნებრივის აღზრდა-განვითარებისათვის. კვლავ მოგვიყლინე ღმერთო მისებრ თავდადებული ხელმძღვანელი ახალთაობის აზრისა.

ალექსი ჭიჭინაძე

და მრავალი სხვა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დადგენილებით 2 ივნისს იაკობ გოგებაშვილის ცხედარი დასაფლავებამდე განსვენებულის ბინიდან ქაშვეთის ეკლესიაში გადაასვენეს.

დაკრძალვის დღედ დადგენილ იქნა 10 ივნისი, კვირა დღე, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეებსაც შეძლებოდათ დასაფლავებაში მონაწილეობა მიეღოთ და ღირსეულად დაეფასებინათ დიდი მამულიშვილი.

ალექსანდრე მიქაბერიძე ასე აგვიწერს იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დღეს:

„კვირას, 10 თიბათვეს, ქაშვეთის ეკლესიის გოლოვანში შეიკრიბა მთელი ქართველობა, რუსების, სომხების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები მიცვალებულის პატივსაცემად.

წირვა დილის 8 საათზე დაიწყო. მწირველი იყო ეპისკოპოსი ანტონი ქართველი სამღვდელოების თანამწირველობით, წირვის დროს გალობდა მომღერალთა ოთხი გუნდი.

სანამ მიცვალებულს წესს აუგებდნენ, ეპისკოპოსმა ანტონიმ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც განსვენებულს ქართველი ერის წინაშე მიუძღოდა.

სრულ 12 საათზე მიცვალებული გამოასვენეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრებმა და სამგლოვიარო ეტლზე დაასვენეს.

პროცესია ლორისმელიქოვის ქუჩით პუშკინის ქუჩისაკენ გაემართა. კუბო ცოცხალი ყვავილებითა და თაიგულებით იყო შემკული.

სამგლოვიარო პროცესია პუშკინის ქუჩიდან გაემართა სასახლის ქუჩისაკენ საცა მცირე ხნით შეჩერდა წერაკითხვის საზოგადოების კანცელარიის წინ და პანაშვიდის გადახდის შემდეგ წერაკითხვის საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთმა

წევრმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა ამ გამოსათხოვარ სიტყვაში განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა განსვენებულის იმ ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელიც აწ უკვე განსვენებულ დიდ მოღვაწეს ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე მიუძღოდა.

სასახლის ქუჩიდან პროცესია გოლოვინის პროსპექტით ვერის დაღმართისაკენ გაემართა. ვერის დაღმართის დასაწყისში პროცესია კვლავ შეაჩერეს და ამ მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქუთაისის მასწავლებელთა წარმომადგენელმა გ. ნიორაძემ, სომხური გაზეთის „აღბიურ-ტარაზის" რედაქტორმა ტიგრან ნაზარიანმა და თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის სახელით ალ. მიქაბერიძემ.

პროცესია მოხსენებულ პირთა სიტყვების შემდეგ დაეშვა ვერის დაღმართით. იგი მთლიანად გაიშალა მიხეილის პროსპექტზე და ნაშუადღევის სრულ ორ საათზე დიდუბის ეკლესიის გოლოვანს მიაღწია.

მიცვალებული მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა სამგლოვიარო ეტლიდან გადმოასვენეს და საფლავის პირას დაასვენეს. პანაშვიდის გადახდის შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვებით გამოვიდნენ სხვა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და კერძო პირები, რომლებიც ყოველის მხრით აშუქებდნენ განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ნაყოფიერ მოღვაწეობას თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

იმ მრავალ სიტყვებთა შორის, რომელიც განსვენებული იაკობ გოგებაშვილის დასაფლავების დღეს ორატორებმა წარმოსთქვეს, ჩვენ აქ მოვიყვანთ ჩვენი მოძმე ერის თვალსაჩინო მოღვაწის, სომხური გაზეთის „აღბიურ-ტარაზის" რედაქტორის ტიგრან ნაზარიანის გრძნობით წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც სავსებით ახასიათებს იაკობ გოგებაშვილის ხანგრძლივ ნაყოფიერ მუშაობას მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით საგანმანათლებლო ასპარეზზედ.

აი, ტიგრან ნაზარიანის მიერ მგრძნობიარედ წარმოთქმული სიტყვა:

„საუკუნო ხსენება მამულის უმწიკვლო მსახურს, პედაგოგს გოგებაშვილს. დიდება წარმტაც საქართველოში განათლების დაუღალავ მთესველს, რომელიც მრავალი წლის გან-

მავლობაში მშობლიურ ყვავილწარში უელიდა ნაზ ცხოველ ყვავილებს.

ძმებო — ქართველებო, „აღბიურ-ტარაზის“ რედაქცია თქვენთან ერთად გამსჭვალული ღრმა მწუხარებით, ნათლად გრძნობს მთელს სიმწვავეს დიდებული ადამიანის დაკარგვისას, მუხლს იდრეკს გოგებაშვილის გვამის წინაშე, იზიარებს სრულად ქართველთა მწუხარებას და ჰბედავს განაცხადოს, რომ პედაგოგის — მამულიშვილის დაკარგვას ვგლოვობთ არა მარტო ჩვენ სომხები, არამედ ჰგლოვობს მთელი მრავალენიანი კავკასია და აფასებს იმ ბრწყინვალე სამსახურს, რომელიც 50 წლის განმავლობაში მიუძღვნა გოგებაშვილმა თავის მამულს, დედა ენის, სკოლისა და მოზარდ თაობის სამსხვერპლოს“.

სრულ ოთხ საათზე დიდებული ქართველის ცხედარი მიწას მიაბარეს“[1].

1940 წლის 27 ოქტომბერს მთავრობის კომისიის დადგენილების თანახმად იაკობ გოგებაშვილის ნეშტი დიდუბის პანთეონიდან მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადაასვენეს. გადასვენება მოხდა ამხ. გ. კიკნაძის, აკად. ი. ჯავახიშვილის, ამხ. დ. ყიფშიძის, პროფ. გ. თავზიშვილის, პროფ. ალ. მაჭავარიანის. პროფ. ვლ. ელენტის, ამხ. გ. გაბისონიას, დოც. ა. ჯორბენაძის, ა. გოგებაშვილის და ჭ. კასრაძის თანდასწრებით. გადასვენების აქტზე ხელს აწერენ — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვლ. ელენტი და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ა. ჯორბენაძე.

---

[1] ს.გმ, ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

„დედაენა“ არის ენა სულისა და გულისა“

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში მეფის ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა შეეფერხებინა ქვეყნის კულტურული წინსვლა, გზას უხშობდა ყოველივე პროგრესულს და ცდილობდა უმეცრების მორევში ჩაეხრჩო ქართველი ხალხის ინტერესები და ღირსება.

რკპ(ბ) მე-10 ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნაციონალურ საკითხზე პარტიის შემდგომი ამოცანების შესახებ ნათლად არის დახასიათებული მეფის რუსეთის თვითმპყრობელური, კოლონიური პოლიტიკა რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირე ერებისადმი: „თვითმპყრობელობის პოლიტიკა, მემამულეებისა და ბურჟუაზიის პოლიტიკა ამ ხალხების მიმართ იმაში მდგომარეობდა, რომ ჩაეკლა მათში ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის საწყისები, დაემახინჯებინა მათი კულტურა, შეეცვიწროებინა ენა, დაეტოვებინა ისინი უვიცობაში და, ბოლოს, შესაძლებლობის მიხედვით, მოეხდინა მათი გარუსება“[1].

რუსიფიკატორულმა პოლიტიკამ, ცარიზმის დიდმპყრობლურ-შოვინისტურმა იდეოლოგიამ განსაკუთრებით მკაფიო გამოხატულება პოვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

სახალხო სკოლას საქართველოს მშრომელ მოსახლეობაში თვითმპყრობელური რეჟიმისადმი მორჩილების გრძნობა უნდა განემტკიცებინა.

როგორც ცნობილია, 1878 წლის 13 ნოემბერს, კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსად დაინიშნა კირილე პეტრეს ძე იანოვსკი.

---

[1] Десятичный съезд РКП(б), стенографический отчет, М., 1933, გვ. 579.

იაკობ გოგებაშვილი იმედით აღნიშნავდა, რომ ახალი მზრუნველისაგან სასწავლო პროცესი მნიშვნელოვან ცვლილებებს უნდა მოელოდესო. რომ სასწავლებლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას მეტი ყურადღება მიექცეოდა და მისი აზრით ყოველმა სახალხო სკოლის დირექტორმა უნდა შეისწავლოს ის ენა, რა ენაზედაც მიმდინარეობს სწავლება მის ქვეშევრდომ სკოლებშიო. ი. გოგებაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ქართული ენის სასწავლებლებიდან გამოდევნას ბევრი მავნებელი შედეგის მოტანა შეეძლო როგორც საზოგადოებისათვის, ისე სახელმწიფოსათვის და აღნიშნავდა: „ენა საგანძეა ხალხის ჭკუისა, ზნეობისა, გრძნობისა, ენა სულია ხალხისა, ენის წართმევა სულთა-ხდაა და მოდი და მერე იკითხე, ხალხს რატომ არ ვუყვარვარო. ვინ? სულთამხდელი? ეგ ბუნების წინააღმდეგია და ამ შემთხვევაში ბუნების ძალა უძლეველია... სულთამხდელს კაცი ვერ შეიყვარებს, ვერა, ვერა...“[1]

კ. იანოვსკის ჩამოსვლას ქართველი ინტელიგენცია დიდი იმედებით შეხვდა, მაგრამ მალე ეს იმედებიც გაუცრუვდათ. კ. იანოვსკის მთელი ცდა და მოღვაწეობა იქით იყო მიმართული, რომ საქართველოს სკოლებიდან დედაენა განდევნილიყო და მის ნაცვლად დაწყებით სკოლებშიც კი შემოეღოთ რუსულ ენაზე სწავლა.

დედაენის სწავლება ქართულ სკოლებში არასავალდებულოდ იქნა აღიარებული. იანოვსკი გარკვევით მოითხოვდა პირველდაწყებით სასწავლებელში სწავლა პირველ ნახევარში ქართულ ენაზე წარმოებულიყო, მეორე ნახევრიდან კი ბავშვები რუსულად შეისწავლიდნენ მოთხრობებს. მეორე წელს კი ყველა საგანს რუსულ ენაზე დაეუფლებოდნენ. ნათელი იყო, რომ საქართველოს სკოლებში უკვე აშკარა რუსიფიკატორული პოლიტიკა ხორციელდებოდა და სასწავლო გეგმაც ამ ინტერესების შესაბამისად დგებოდა. იანოვსკის მიერ 1885 წელს გამოქვეყნებული მორიგი ცირკულარით ქართული ენა სავსებით განიდევნა სკოლიდან. იანოვსკის არაპედაგოგიური სისტემა სავალალო მდგომარეობაში აყენებდა არა მარტო რუსული ენის არმცოდნე ქართველ ბავშვებს, არამედ ქართუ-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზ., ტ. I, 1952, გვ. 207—208.

ლი ენის არმცოდნე რუს პედაგოგებსაც, რომლებიც გამოსა-
ვალს სწავლების „მუნჯური მეთოდის" დანერგვაში ეძებდნენ;
ასეთი მეთოდი დიდ გასაჭირში აგდებდა მასწავლებლებს, ასა-
ხიჩრებდა მოსწავლეთა გონებასა და სულს, აჩლუნგებდა აზრ-
სა და ენას. საუკეთესო პედაგოგთა დიდი ნაწილი სკოლებს
ჩამოაშორეს და ბურთი და მოედანი ქართულის არმცოდნე
რეაქციონერებს დარჩათ.

სკოლებში ქართული ენის ამგვარ შევიწროებას თან სდევ-
და მშობლიური ენის შევიწროება კლასგარეთ. კლასგარეშე
საკითხავი წიგნების შერჩევა წარმოებდა განათლების სამი-
ნისტროსთან არსებული სპეციალური კომისიის მიერ; ქარ-
თულ წიგნებს კი ეს კომისია არ იხილავდა, რის გამოც სახალ-
ხო სკოლის ბიბლიოთეკის კარები ქართული საბავშვო ლიტე-
რატურისათვის დახშული იყო.

იანოვსკის ანტიპედაგოგიურ შეხედულებებს მრისხანე
პროტესტით შეხვდა ქართული პრესა და ჩვენი პროგრესული
ინტელიგენცია — ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, გი-
ორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვები.

ილია ჭავჭავაძეს აღელვებდა სასწავლო ოლქის მზრუნვე-
ლის ანტიპედაგოგიური მიმართულება და აღნიშნავდა, რომ
„საერო სკოლის უმთავრესი საგანი და საქმე საზოგადოდ ის
არის, რომ ერის მოზარდს თაობას აუხილოს გონების თვალი,
გაუჩარხოს გულისყური, გაუწურთნოს და კეთილად მოუმარ-
თოს გრძნობა, შეაჩვიოს მოზარდის ჭკუა-გონება მართლმსჯე-
ლობასა და თვითმსჯელობასა. საერო სკოლამ უნდა მოუმზა-
დოს ერს გონებით და გულით გაღვიძებული კაცი იმოდენად,
რომ იგი საკუთარის ჭკუით და გულით გაუჭირვებლივ გაუძღ-
ვეს იმ სულიერსა და ხორციელს პატარა მოედანს, საცა ერის
უმრავლესობა სულს იბრუნებს. სულითა და ხორცით იღვწის
და მოქმედებს"[1].

იხილავს რა ილია ჭავჭავაძე „ივერიის" 1881 წლის მარ-
ტის „შინაურ მიმოხილვაში" იანოვსკის გეგმას, ღირსეულ,
დასაბუთებულ პასუხს აძლევს მას. იგი ქართული ენის სწავ-
ლების საკითხს წმინდა პედაგოგიური თვალსაზრისით უდგე-
ბა. ილია ყურადღებას ამახვილებს იანოვსკის დაწყებითი სკო-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 1938, გვ. 218.

ლების სასწავლო გეგმაზე, რომელშიც სასწავლო ოლქის მზრუნველი აცხადებს, რომ „საეროს სკოლის მესამე განყოფილებაში სწავლება უფრო უმეტესად რუსულ ენაზედ უნდა მიდიოდეს“, და განაგრძობს: „ეს უბრძანებია ბ-ნს იანოვსკის 12 დეკემბერს „попечительский совет“-ს, რასაკვირველია, მიუღია და 22-ს დეკემბერს თითონ ბ-ნს იანოვსკის წარუდგენია და მთავრობისაგან დამტკიცებულა. იგივე ბ-ნი იანოვსკი 28 დეკემბერს გაზეთ „Кавказ“-ში, № 348, ამბობს: „ყოველს კეთილად განწყობილს პირველდაწყებითს სკოლაში სწავლება უნდა მიდიოდეს უფრო უმეტესად დედა-ენაზედაო“. ამას ამბობს საზოგადოდ და მესამე განყოფილების შესახებ არა სცვლის ამ თქმულსა, მხოლოდ უმატებს, რომ რუსულად წაკითხული სტატიები დედა-ენაზედაც უნდა ითარგმნებოდეს ამ განყოფილებაშიო და საგნები და სტატიები — შესწავლული დედა-ენაზედაო — რუსულადაც უნდა ითქვასო. აქედამ ის გამოდის, რომ 12 და 22-ს დეკემბერს უპირატესობა საერო სკოლის სწავლებაში, მესამე განყოფილებაში მაიწც, რუსულ ენას დარჩენია და 28-ს დეკემბერს კი — დედა-ენასა. რომელი ერთი ვიწამოთ? რასაკვირველია 12 და 22 დეკემბრის განჩინება, რადგანაც იგი თქმულიც არის და უკვე ქმნულიცა; და 28-ს დეკემბრისა კი — მარტო თქმულია და „Кавказ“-ის № 348-ში დარჩება სახსოვრად იმისა, რომ ზოგჯერ ქმნა ერთია და თქმა მეორე“[1].

ილია ჭავჭავაძე მოითხოვდა, რათა რუსული ენის სწავლება მეცნიერულ საფუძველზე ყოფილიყო დაფუძნებული. იგი სამართლიანად აღიარებდა, რომ რუსული ენა საჭიროა როგორც სახელმწიფო ენა, მისი ლიტერატურა ძალზე ძლიერია, „იგი ღონეა, არამც თუ როგორც მეტის ცოდნა, არამედ როგორც სახსარი საცხოვრებლად ბრძოლისათვის, იგი ფარ-ხმალია დღეს ჩვენთვის ყველაფერში და ყველგან, რაკი შინიდამ გარეთ ფეხს გამოვდგამთ“[2].

ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა ისეთ სკოლაზე, სადაც რუსული ენის სწავლება საღ პედაგოგიურ პრინციპებზე იქნებოდა აგებული. ამის გამო, ის სავსებით ეწინააღმდეგებოდა იანოვსკის განზრახვას, რათა სამი წლის განმავლობაში ესწავლებო-

[1] ი. ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, 1938, გვ. 232.

[2] იქვე. გვ. 226.

ნათ ბავშვებისათვის რუსული ენა. ამ საქმისათვის ილიას არა-ნაკლებ ექვსი წელი მიაჩნდა საჭიროდ.

მშობლიური ენის შეზღუდვა, მისი დევნა სახალხო სკოლებიდან, დიდ ეროვნულ უბედურებად მიაჩნდა იაკობ გოგებაშვილს, რომელიც თავის მნიშვნელოვან გამოკვლევაში „ბურჯი ეროვნებისა“ სამართლიანად აღნიშნავს მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ: „ბავშვი, დაბადებიდგანვე მოკლებული დედა-ენის გამაცხოველებს გავლენას, ისე ძნელად ისწავლის ჯეროვან აზროვნობას და ისეთივე უხეირო ჰკუის პატრონი გამოვა, როგორც უხეირო მემუსიკედ შეიქმნება ჯდამიანი, მესკრიპკედ დაბადებული და მეფორტოპიანედ ძალად გაზრდილი, ანუ უფრო უკეთ: ამგვარი ბავშვი ეგვანება საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანებით მერცხლის ჰიკჰიკს უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან. ამ უკუღმართი გზით აღზრდილი ბავშვი ვერას დროს ვერ ავა იმ გონების სიმაღლემდის, რომელიც შეეფერება მის ბუნებით ნიჭსა, ვერ მიეწევა, ვერ ეღირსება ჯეროვანს სიღრმეს აზრისას და გრძნობისას...“[1]

გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან დაიწყო რეაქცია როგორც რუსეთის სახალხო განათლების უწყებაში, ისე მართვა-გამგეობის სხვა დარგებშიც.

რათა უფრო ნათელი გახდეს თუ როგორ ეხმაურებოდა ქართველი ინტელიგენცია საქართველოში გარუსების პოლიტიკას, კერძოდ, იანოვსკის საქმიანობას, გავიხსენოთ თუ რას წერდა სერგეი მესხი იანოვსკისადმი მიმართულ წერილში — „ღია წერილი ბ. იანოვსკისადმი“:

„ჩვენ აღტაცებული ვიყავით სიხარულისაგან, როდესაც პირველად გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ უმაღლესმა მთავრობამ ინება თქვენი წინა მოადგილის ბ. ნეველროვის გამოცვლა და თქვენი დანიშვნა კავკასიის სწავლა-განათლების საქმის გამგებლად... პოლიტიკოსმა დასძლია იმაში პედაგოგი, ნაციონალურ ვიწრო მიზნების დევნამ დაავიწყა იმას ხალხის განათლების საქმე. თქვენი დანიშვნა იმის ადგილზე გვიხაროდა იმიტომ, რომ პეტერბურგიდანვე კარგი ხმები ისმოდა თქვენს

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 208-209.

კეთილგონიერებაზედ, მიუდგომლობაზე და პედაგოგიის საქმის ერთგულებაზედ.

გვწერდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ მხოლოდ ხალხის განათლება, ახალგაზრდობის გონების გახსნა გექნებათ მხედველობაში, რომ თქვენ არ გაარჩევთ რუსს, ქართველს, სომეხს, თათარს თუ ყიზილბაშს. ...გვეუბნებოდნენ, რომ თქვენ პოლიტიკასა და პედაგოგიას ერთმანეთში არ არევდით და სხვა. აი, ეს გვახარებდა ჩვენ, და მართლაც, პირველი ნაბიჯები თქვენი მოქმედებისა ჩვენში თითქო გვაიმედოვნებდნენ, რომ რასაც ამბობდენ თქვენზე, მართალი იყო, რომ ნამდვილს პედაგოგიურს მიზანს მისდევდით და სხვა არაფერს... მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ამ უკანასკნელ დროს როგორღაც სხვა ხმები გვესმის და სხვა ნაყოფს ვხედავთ თქვენის მოქმედებისას... მაგალითები ბევრია... „დროების“ წინანდელ (253) ნომერში მოყვანილი იყო თქვენი სიტყვა ახალსენაკის სკოლის მასწავლებლებისადმი. მოყვანილი იყო, თუ როგორ გაუჯავრდით თქვენ ამ მასწავლებელს იმისათვის, რომ რატომ წელს ენკენისთვეში შემოსულ ბავშვებს რუსულად არ ასწავლით, არამედ ქართულადაო. „მე შევნიშნეო, ბრძანეთ თქვენ, რომ თქვენ, ქართველები, რაღაც სხვა მიზანს მისდევთ და არა პედაგოგიასაო. თქვენ წინააღმდეგი ხართ რუსულისაო. ქუთაისის მასწავლებელთა კრების გადაწყვეტილებას მე არასოდეს არ დავამტკიცებო“ და სხვა და სხვა.

არ ვიცი რა არის თქვენი აზრი და მიზანი, მაგრამ ჩვენ კი შემდეგი უნდა მოგახსენოთ: ორი ათასი წელიწადია, რაც ჩვენი ხალხი ისტორიულის ცხოვრებით ცხოვრობს, ორი ათასი წელიწადია, რაც თითქმის დაუწყნარებლად, მოუსვენრად იბრძვის თავის დედამიწის, სარწმუნოებისა, ენისა და ერობის დასაცველად... მუდამ დღე, მუდამ წამს, ქართველის კაცის ფიქრი იმაზე იყო, რომ ვინმე იმის ქვეყანას, იმის რჯულს, ენასა და ერობას არ შეჰხებოდა.

და თქვენ გნებავთ ახლა, რომ სკოლის საშუალებით უეცრად მოსპოთ ხალხის ენა და უცხო ენაზე აგვალაპარაკოთ?..“[1]

ამ წერილიდან ნათლად ჩანს თუ რა მიზანს ჰსახავდა იმ ნოვსკი ქართველი მოსახლეობის მიმართ და რაგვარი თავგამოდებით ებრძოდა მას ქართველი ინტელიგენცია.

[1] „დროება“, 1880, № 25.

რუსეთის პირველი რევოლუციის (1905—1907 წ. წ.) მარცხის შემდეგ ცარიზმი გააფთრებულ შეტევაზე გადავიდა და უსასტიკეს ზომებს იღებდა მათ მიმართ, ვინც თანაუგრძნობდა რევოლუციას.

დაიწყო სისხლიანი რეაქცია, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა სახალხო განათლების დარგშიც. სკოლიდან იდევნებოდნენ „არაკეთილსაიმედო“ მასწავლებლები და მოსწავლეები. ყოველივე ამას საქართველოში ხელმძღვანელობდა სასწავლო ოლქის მზრუნველი ნ. ფ. რუდოლფი, რომლის მთავარი მიზანი იყო, რათა კვლავ ძველი სისტემა გაემეფებინა სასწავლო დაწესებულებებში, სადაც ყოველგვარი შემოქმედებითი აზრი იზღუდებოდა. მათი სურვილი იყო, რათა მასწავლებლები და განათლების დარგის სხვა მუშაკები ზემდგომი ორგანოების ბრძანებულებათა ბრმა შემსრულებელ მექანიზმად გადაექციათ.

სავსებით ნათელია ის ფაქტი, რომ თვითმპყრობელობის მთელ საგანმანათლებლო საქმიანობას მცირე ერების მიმართ საფუძვლად რუსიფიკატორული პოლიტიკა ედო.

სახალხო სკოლები ნელ-ნელა უმეცრების მორევში ეშვებოდა მშობლიურ ენაზე სწავლებისა და აზროვნების შეზღუდვით. რუსული ენის უაზრო გაზეპირება ტვინს უხშობდა და უმახინჯებდა მოსწავლე ახალგაზრდობას.

1913 წელს ჟურნალი „განათლება“ წერდა: „კარგა ხანია ქართულ სკოლებზე ისეთი ძლიერი იერიში აღარ მიუტანია ჩინოვნიკობას, როგორც მიიტანა ამ უკანასკნელ დროს... ამ იერიშის მიზანია რამდენადაც შეიძლება შეასუსტოს ჩვენი ეროვნების უმთავრესი იარაღი და ძალა — ქართული ენა“[1].

ქართული ენის დაქვეითება, მისდამი უყურადღებო დამოკიდებულება სასოწარკვეთილებაში აგდებდა ქართველ ინტელიგენციას. მათ ღრმად სწამდათ, რომ მშობლიური ენისადმი ასეთი ბარბაროსული მიდგომა კარგს არაფერს მოუტანდა ერის ხვალინდელ დღეს.

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ალ. მირიანაშვილი გულისტკივილით იგონებს ორმოცი წლის წინათ, 1861

[1] ჟურნალი „განათლება“, 1913, № VIII, გვ. 629.

წელს, დიმიტრი ბაქრაძის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას მშობლიური ენის შესახებ, რომელიც მან ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „კალმასობის“ წინასიტყვაობაში მოგვცა. მისი აზრით, ეს სიტყვები ასევე აქტუალურად მიესადაგებოდა მეოცე საუკუნის დასაწყისში მშობლიური ენის მდგომარეობას. აი, რას წერდა დიმიტრი ბაქრაძე: „მართლა და დრო არის ვიფიქროთ ჩვენი ენისათვის. უენოთ ჩვენ რანი ვართ? ენა არის ადამიანის უპირველესი და უკეთილშობილესი ნაწილი. იმაში გამოიხატების ჩვენი ხასიათი. ჩვენი წარსული სვე, ჩვენი ღირსებანი და ნაკლულევანებანი: იმით ვართ დაკავშირებულნი ერთი-ერთმანეთზედა; უიმისოდ არც მამულის სიყვარული შეიძლება და არც სხვანი მოქმედებანი საზოგადოსასარგებლოდ. აწინდელს დროში ყველგან ჰგრძნობენ სამშობლო ენათ სწავლის საჭიროებასა; ყოველგან შეუდგებიან ღონისძიების მოპოვებას, რომ ენა გავრცელდეს და დამყარდეს...

ჩვენი ენა უფრო-და-უფრო სუსტდება. თუ ამ მდგომარეობისაგან არ გამოვალთ, საკმაოა ნახევარ-საუკუნე, რომ იმ (ენა) დაემხოს. ვისღა შეუძლიან ჩვენში სთქვას, ენა ვიცით. განა ის ცოდნა ცოდნაა, რომ თვითოეული ვეღარ ჰფიქრობს თავისის ენის კანონებთაებრ და თუ ჯერ რუსულად არ მოიაზრა, არ შეუძლიან დაწეროს რამე პირ-და-პირ ქართულად... ჩვენი თავად-აზნაურნი სამს წელიწადში ერთხელ იკრიბებიან ტფილისში და ქუთაისში, კენჭის ყრისათვის — თვითეულის იცის. პრეტენზიები მრავალი გვესმის გვაროვნობაზედა, იმათ მიმდინარეობაზედა, თვით ქრისტეს დროიდან, დიდკაცობაზედა, ჩვენა ვართო საფუძველი მამულისა; ჩვენ ამა-და-ამ დაბალმა თავადმა და აზნაურმა როგორ უნდა ხმა ამოიღოს საცა ჩვენა ვართო; უნივერსიტეტის სწავლა რა ფეხებიაო... ამ გვარის პრეტენზიებით იწყობა და თავდება კენჭის ყრა.

ნამდვილი მოვალეობა სადღაა? არ გავაერცელებთ სიტყვასა: ჩვენ მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ყურადღება ენის სწავლაზე სკოლებში პირველი მოვალეობა უნდა იყოს თავად-აზნაურთა და მათ შეყრილობათათვის კენჭის ყრაში... და ან რას ვერ შეიძლებს საზოგადო ხმა და მოთათვნილება (სურვილი)...“[1]

[1] გაზეთი „ცნობის ფურცელი“, 1901, № 1658.

ალ. მირიანაშვილი წუხს იმის თაობაზე, რომ ქართული ენის მდგომარეობა, მისი ბედი იმ პერიოდში თითქმის უცვლელად იგივე იყო, რაც ორმოცი წლის წინ გულისტკივილით წარმოსთქვა დიმიტრი ბაქრაძემ და თუ იმ დროს ქართულ ენას მზრუნველი აკლდა, მისი აზრით დღეს ის განსაცდელშია.

ალ. მირიანაშვილი სასტიკად ილაშქრებს ისეთი „მამულიშვილების“ წინააღმდეგ, რომელნიც მშობლიურ ენას არ აფასებენ და შვილებისათვის მის შესწავლას ზედმეტ წვალებად მიიჩნევენ. ალ. მირიანაშვილი ამის დასასაბუთებლად რამდენიმე მაგალითს იშველიებს:

„ერთი ქართველი აზნაურის შვილი სწავლობს ტფილისის ერთს საშუალო სასწავლებელში. საშობაოდ რომ ბავშვებს სწავლის ნიშნები დაურიგეს, ამ ქართველს შვილმა მიუტანა ბარათი, საცა ქართული ენის სწავლებაში ჰყავდა 2. განრისხებული მამა მაშინვე დაიხურავს ქუდს და გაექანება დირექტორისაკენ, რომელსაც მიმართავს ასეთის თხოვნით: „უმორჩილესად გთხოვთ, ბ. დირექტორო, დღეის შემდეგ ჩემს შვილს ნება უბოძოთ ქართული ენა მიატოვოს. მე შვილი მეტანჯება და არ ვიცი, რისთვის; რისი მაქნისია ქართული ენა, რაში გამოადგება ჩემს შვილს, რად უნდა ჰკარგოს ძვირფასი დრო ამისთანა უაზრო საგნისთვის“. დირექტორად ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა და ამიტომ განცვიფრებით ჰკითხა შეგირდის მამას: „თქვენ ქართველი ბრძანდებით?“ „დიაღ, ბატონო“. და მკაცრად გაჰკიცხა იგი დირექტორმა“.

ალ. მირიანაშვილი სწორად აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართველ ბავშვებს ოჯახში შერყვნილი, შერეული ქართული ესმის, ხოლო სკოლაში ან სრულიად მოკლებულია ქართულ ენას, ან ძალზე მცირე დროს ანდომებს მის შესწავლას, ისიც ცუდ უსუსური პროგრამით, რითაც მშობლიური ენა ისწავლებოდა სკოლაში.

ცნობილი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იაკობ მანაცეტაშვილი ილია ჭავჭავაძის ახლობელი თანამშრომელი იყო და მასზეთ „ივერიაში“ და თავის მოგონებებში კარგად აღწერს, თუ როგორ განიცდიდა იგი ჩვენი წარჩინებული მოხელეების გადაგვარებას, რომელთაც ქართულიც და ქართველობაც „ფეხზე ჰკიდიათ“ და მათთვის წერა ტყუილ შრომად, წყლის

ნაყვად მიიჩნევა. აქვე აღნიშნავდა. რომ „...მდაბიო ხალხისათვის, მუშა-გლეხობისათვის უნდა ვიზრუნოთ. ჩვენს მოვლას, ჩვენს ზრუნვას ფასი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ იმათი ენით დავიწყებთ ლაპარაკს, თუ ჩვენი სიტყვა მათ ყურს მისწვდება, იმათ გულს მოხვდება. აი, გეგმა ჩვენის მუშაობისა. აი, ვისთვის უნდა ვფიქრობდეთ, ვისთვის უნდა ვზრუნავდეთ, ვისთვის უნდა ვწერდეთ".[1] ილიას აზრით თანამდებობის პირთა არჩევაში განათლებისა და ზნეობითი მხარის გარდა „ენის ცოდნას უპირველესი ადგილი უნდა ეჭიროს. უამისოდ ამაოა მთავრობის ცდა ხალხის გულის მოსაგებად... იქ, საცა ჩვენის ხალხის მწყემსნი იზრდებიან, ჩვენის ხალხის მასწავლებელნი. მაგალითებრ — სასულიერო და საოსტატო სემინარიაში, იქიდამაც კი გამოდევნეს ჩვენი ენა" და იმედს გამოთქვამდა, რომ სასწავლებლებში მშობლიური ენა შესაფერ ადგილს დაიკავებდა მომავალში[2]. ილია ჭავჭავაძე სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ ბავშვმა თავდაპირველად გონება თავის დედა ენაზედ უნდა გაიხსნას და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ხელი მიჰყოს უცხო ენის შესწავლას. სასწავლო საქმის ეროვნულ ნიადაგზე დაყენებისათვის ილიას პირველყოვლისა საკუთარი სასწავლებლების არსებობა მიაჩნდა.

მეფის ხელისუფლების მიზანი იყო სასწავლებლის საშუალებით გაეადვილებინა „ინოროდცების" ასიმილაცია. უნდა გაეტარებინათ თვითმპყრობელობის პოლიტიკა საქართველოს სკოლებში, გაედევნა ქართული ენა, გადაეგვარებინა ქართველი ახალგაზრდობა და მათი სახით მეფის ხელისუფლებისათვის გონებით დაჩლუნგებული და სულით დამონებული მოხელე ჩინოვნიკობა აღეზარდა. იანოვსკის მტკიცედ სწამდა, რომ სკოლა განაპირა ქვეყნებში რუსული ცივილიზაციის დამნერგავი უნდა ყოფილიყო.

სასწავლო ოლქის მზრუნველები სკოლის გარეთაც უსპობდნენ ქართველ ბავშვებს საშუალებას, რათა თავისი ქვეყნის ისტორიას გაცნობოდენ ან რაიმე განათლება მიეღოთ მშობლიურ ენაზე.

მოწინავე ინტელიგენცია ხედავდა თუ როგორ მიექანებო-

---

[1] ი. მანსვეტაშვილი, მოგონებები, 1985 წ., გვ. 78.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრული კრებული, 1955 წ. ტ. V, გვ. 38-39.

და უფსკრულისაკენ ბავშვთა სწავლა-აღზრდის საქმე და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შექმნილი ვითარება გამოესწორებინათ.

ი. გოგებაშვილი სინანულით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ სასწავლებლების პროგრამიდან სრულიად იყო განდევნილი ქართული წიგნის სწავლება. „არც ერთი გაკვეთილი არ არის ნაწილადევი ქართული ენისათვის არც პირველს წელსა და არც შემდეგ წლებში. ყველა საგნის სწავლება იმავ თავითვე უნდა მიუცილებლად სწარმოებდეს სახელმწიფო ენაზედ, თვით საღმრთო სჯულიც-კი, ასე გასინჯეთ. ერთი სიტყვით, ეს სასწავლებელი ნამდვილი ანტი-ქართული სკოლაა, სადაც დედა-ენას ბავშვებისას არა აქვს სრულიად ადგილი არც როგორც საგანსა და არც როგორც ღონისძიებას სწავლისას. იგი წმინდა რუსული სკოლაა და სწორედ ამის გამო ჰქვიან ნორმალური. ამიტომ იქ ქართულის წიგნის შესწავლა ყოვლად შეუძლებელია, აგრეთვე შეუძლებელია ბავშვების გამართვა ქართულს სიტყვიერებაში და ყველაფერს ქართულში“[1].

ი. გოგებაშვილის ეს სიტყვები მთელი ქართველი ინტელიგენციის გულისტკივილის გამოხატულებას წარმოადგენდა და ბრძოლა ქართული ენის განმტკიცებისათვის მათ მთავარ საპროგრამო მიზანს შეადგენდა.

ლ. ბოცვაძის წერილებშიც, რომლებიც ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე გამოქვეყნდა, დახასიათებულია მშობლიური ენა, როგორც უძვირფასესი საუნჯე, რომელიც ხალხის ისტორიის, სულიერი სიმდიდრისა და აწმყოს ასახვით ერის კულტურული განვითარების აუცილებელ ნიადაგს წარმოადგენს. ლ. ბოცვაძე ხალხის ცხოვრებაში ენის ფასდაუდებელი მნიშვნელობის გამო აღნიშნავდა: „დედა ენა შეიცავს ხალხის ცხოვრების მთელ წარსულს, მის გადმოცემებს, ზღაპრებს, ანდაზა-გამოცანებს, ისტორიას, კულტურას და ყველაფერს საუკეთესოს, რაც მოუფიქრია, უგრძნია, გამოუცდიათ, უთქვამთ და დაუწერიათ უხსოვარის დროიდან, შეიცავს ყველაფერს უფრო საინტერესოს, რაც ხალხს უნახავს, გაუგონია, განუცდია, შეუმუშავებია, შეუძენია. პედაგოგების აზრით ხალხის დედა-ენა საუნჯეა, სადაც დაცულია ხალხის გულნა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955, ტ. 4, გვ. 10-11.

დები სასურველი აზრები, მისი საუკეთესო გრძნობები, სურვილები და მისწრაფებანი, მისი იმედი, უძვირფასესი იდეალები. დედაენა ხალხის სულიერი სიცოცხლის ორგანოა. ენა მარტო იმის მატარებელი კი არ არის, რაც ერთ კაცს, ან ერთს შთამომავლობას განუცდია, არამედ იმისა, რაც მრავალ თაობას უნახავს, უგრძნია, განუცდია და თავისი წვლილი ამ საუნჯეში შეუნახავს, დაუცავს შემდეგის შთამომავლობისათვის"[1].

გასული საუკუნის სამოციანი წლების შემდეგ დამყარებულმა რეაქციამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ სახალხო სკოლებიდან, საშუალო და მაღალი სასწავლებლიდან ხშირად ყურნოპრილ მონებს, ბრმა და სხვისი ნების აღმსრულებელ მოხელეებს თხოულობდნენო,[2] — წერდა ლ. ბოცვაძე.

სკოლებში აშკარად იკიდებდა ფეხს რუსიფიკატორული რეჟიმი, იდევნებოდა მშობლიური ენა, ბავშვის გონებას ამახინჯებდა „მუნჯური მეთოდი", რომლის ორგანიზატორიც იყო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ლევიცკი. ამგვარ პოლიტიკას სხვა გამოჩენილ მოღვაწეებთან ერთად სასტიკად ებრძოდა ლ. ბოცვაძეც, რომელსაც ქართულ ენაზე სწავლება აღზრდის ძირითად საფუძვლად მიაჩნდა. ლ. ბოცვაძის აზრით „...უმთავრესი ძირი კულტურული ცხოვრებისა ენაა. ქართულ ენაზე სწავლების შემოღება ის ნიადაგი გახდება, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური კულტურული ზრდა და განვითარება ჩვენი ხალხისა, ამიტომ, სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ ქართულ ენაზე უნდა იყვეს მოწყობილი; ეს აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშე შეუძლებელია განმანათლებელ დაწესებულებათა მოქმედება და ამასთან ძირითადი მოთხოვნილებაა ამ დროის და, თუ გნებავთ, ყველა დროის პედაგოგიისა"[3].

1905 წელს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა ზავადსკიმ სახალხო სკოლების დირექტორებისა და ინსპექტორებისათვის გამოსცა ცირკულარული წერილი — „ადგილობრივი ენების სწავლების საკითხის შესახებ", რომელშიც ის

---

[1] ჟურნალი „განათლება", 1910, № 10, გვ. 442-443.

[2] ლ. გ. ბოცვაძე, სახალხო სკოლა და საპროფესიო განათლება, 1917, გვ. 4.

[3] ჟურნალი „განათლება", 1908, № 1, გვ. 8-9. (ფსევდონიმი „Р-").

ხაზგასმით წერდა: „წერილობითი და პირადი განცხადებანი, რომელიც ამ უკანასკნელ დროს მომდის და აგრეთვე ჩემგან მიღებული გაზეთების ზოგიერთ ნომერში დაბეჭდილი წერილები მოწმობს, რომ ზოგიერთს ჰგონია, ვითომ კავკ. საოლქო სასწავლებლებში ადგილობრივს ენებს მარტო პირველ ორ კლასში ასწავლიდნენ, ისიც მხოლოდ თითო გაკვეთილი კვირაში და ვითომ ადგილობრივ ენის მასწავლებელი ვალდებული იყო იმეცადინოს მხოლოდ რუსულად თარგმნით, ვითომ ქართული ენა სოფლის სკოლებიდგან განდევნილი იყოს...“[1]

ზავადსკის ცირკულარს მხოლოდ ის დანიშნულება ჰქონდა, რომ შეცდომაში შეეყვანა მასები, თითქოს მეფის თვითმპყრობელობას სრულიადაც არ ჰქონია აზრად სკოლებიდან მშობლიური ენა განდევნილიყო.

მორიგ ცირკულარში — „სწავლების ორგანიზაციის შესახებ არარუსულ სკოლებში“ ზავადსკი სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნას მოსახლეობისა და მასწავლებელთა სურვილებს აბრალებს, თითქოსდა რუსული ენის შესწავლას ხელს უშლიდა მშობლიური ენის სწავლა.

დიდი ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი სავსებით სამართლიანად აღნიშნავდა თავის გენიალურ ნაშრომში — „დიდი დიდაქტიკა“: „გსურდეს ასწავლო ვინმეს უცხო ენა, სანამ ჯერ დედაენას შეითვისებდეს, ეს უდრის იმას, რომ ვინმეს სურდეს ასწავლოს თავის შვილს ცხენოსნობა, სანამ სიარულს ისწავლიდეს... დედაენა უცხო ენისათვის გზის მაჩვენებელი უნდა იყოს“[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დოკუმენტების მიზანი იყო მასებისათვის თვალის ახვევა: „ისეთი შთაბეჭდილების შექმნა, რომ ცარიზმი თითქოს მონდომებულია დააკმაყოფილოს მშრომელთა მოთხოვნილებები სახალხო განათლების დარგში“[3].

რევოლუციამდელი პერიოდული პრესის ფურცლებზე სისტემატიურად ქვეყნდებოდა წერილები მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ.

---

[1] ЦКККУО, 1905, გვ. 400.

[2] იან ამოს კომენსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1949, გვ. 319.

[3] ს. სიგუა, ნარკვევები სახალხო განათლებისა და პედაგოგიურ იდეათა განვითარების ისტორიიდან საქართველოში, 1955, გვ. 105.

გაზეთი „ჩვენი ერი“ წერდა: „ადამიანის სულიერი სიმდიდრის სალარო — ენა არის ერთი მეტად სათუთი არსება, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას და შველას. ოჯახი მას ასაზრდოებს, ლიტერატურა ანვითარებს და აფაქიზებს, ხოლო სკოლა შეგნებულად ავრცელებს, ათვისებიებს მოზარდ თაობას... დაასუსტეთ ერთი მათგანი და მაშინვე თვით ენაც დასუსტდება, მისი ნორმალური, ბუნებრივი ზრდა შეჩერდება: ენა აზრის განვითარებას ვეღარ გაუვება და დაძაბუნდება. ხოლო სამშობლო ენის დაძაბუნება, დაძაბუხება იმ ენის, რომელიც ორგანიულად შეკავშირებულია ხალხის სულიერ ზრდა-განვითარებასთან, ნიშნავს თვით ამ ხალხის დაძაბუნებას, მის სულიერ დაქვეითებას. ...დღეს ქართულ ოჯახში ქართული შემოკლებულია, და მისგან შექმნილი კავშირი ოჯახის წევრთა შორის ისევეა დასუსტებული, როგორც მათ შორის ზნეობრივი კავშირი“[1]. წერილში გულისტკივილითაა აღნიშნული ის ფაქტი, რომ იმ დროს ქართული სკოლა არც კი არსებობდა, რომ სანამ ამ აღმაშფოთებელ ფაქტს ბოლო არ მოეღებოდა, მშობლიურ ენაზე აზროვნება და ჭეშმარიტი შემოქმედება შესაფერისად ფრთას ვერ გაშლიდა.

ალმანახ „მოწაფის ჩანგში“ მოთავსებული წერილის — „ხმა სკოლიდან“ ავტორი („გულდამწვარი“) იმდროინდელი გიმნაზიის ცხოვრებას ადარებს „შემოდგომის ბურუსიან, სულის შემხუთველ დღეს, როდესაც არემარეს მაჯლაჯუნასავით შავბნელი ბურუსი აწევს და ადამიანის თავისუფალ ამოსუნთქვას უშლის“[2]. აქვე მოყვანილია უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოსწავლეთა გასაჭირი, რომელთაც რუსული სრულიადაც არ ესმით და იძულებული არიან გაკვეთილები „დაიზუბრონ“; არც საგნის მასწავლებლებს ედგათ კარგი დღე: „საგნების ქართულად სწავლებას შეჩვეული მოსწავლენი დიდ გასაჭირში ჩავარდენ. მათ რუსულად ახსნილი გასაკვეთი არ ესმით და მასწავლებელნი იძულებულნი არიან ორნაირი ჯაფა გაწიონ: ერთი და იგივე გასაკვეთი ქართულად და რუსულად აწსნან. მაგ .რუსულ ტექსტს ამოცანისას გადმოაქართულებენ ხოლმე, მაგრამ არც ეს შველით ბევრს შემთხვევაში და საბ-

[1] გაზეთი „ჩვენი ერი“, 1909, № 2, გვ. 11.

[2] ალმანახი „მოწაფის ჩანგი“, 1909, № 2, გვ. 11.

რაღა პაწაწინა რიტულებულნი არიან შეუგნებლიე გააგებინონ გაკვეთილი. ამიტომ არა ერთს და ორს შესვდებით, გაკვეთილს ზეპირად სხაპასხუპით გეტყვიან, მივა თუ არა ახსნაზე საქმე, პირდაღებულნი დგანან. ამიტომ არც გასაკვირველია, თუ მოწაფეებმა დაჰკარგეს ხალისი სწავლისადმი, თუ შეიძულეს საგნები და თუ „დვოიკის“ ასაცდენად მიჰყვეს ხელი „ზუბრობას“. ერთმა პაწაწამ გულამოსკვნით შემოძჩივლა, — ამოცანის გაკეთება მინდა, რუსულადაა დაწერილი და არ მესმის. მერე კლასში არ გიხსნიან? ვკითხე მე. მასწავლებელი ქართულად გვითარგმნის, მაგრამ რუსულ სიტყვების მნიშვნელობა გვავიწყდებაო. აი სად არის სიღრმე ბავშვის სულის ტრაგიზმისა. ბავშვს მეცადინეობა და აზროვნება სურს, მის გონებას კი კლიტე აზის, მას არა აქვს ამის საშუალება“[1]. ხშირ შემთხვევაში ქართული გაკვეთილები ეძლეოდათ ჯილდოთ იმათ, ვინც მოხელე-მასწავლებლის ერთგულებით თავს ისახელებდა; ქართულ ენას ასწავლიდა ყველა — ვინც კი მოისურვებდა. მსურველი კი მრავალი იყო. ქართულ ენას ასწავლიდნენ ისინი, ვისაც სხვა საგნის ცოდნა არა სწყალობდა და კლასის მეთვალყურის ან „ნადზირატელის“ ხელფასით ვერ კმაყოფილდებოდა.

ცხობილი საზოგადო მოღვაწე სილოვან ხუნდაძე გაზეთ „კოლხიდის“ ფურცლებიდან ღრმა გულისტკივილით მოუწოდებდა ქართველ ინტელიგენციას:

„...ღმერთო ჩემო, როდის მოეღება ბოლო ამ ჩვენს შეუგნებლობას? როდის შევიგნებთ სამშობლო ენის დიდ მნიშვნელობას ცხოვრების წინსვლისათვის?! როდის ავიღებთ ხელს სამშობლო კერას აფორიაქებაზე, საკუთარი ოჯახის დანგრევაზე?! განა გარეშე მტერი არ კმარა, რომ ჩვენც, შინაურებიც, ზედ ვემატებით და სათაყვანო საგანს ვაფურთხებთ?!..“[2]

მშობლიური ენის სწავლების სავალალო მდგომარეობა ძალზე ცუდ პირობებში აგდებდა სწავლა-განათლების საქმეს საქართველოში. პირველდაწყებით სასწავლებლებში მშობლიური ენის დევნა ვერაფერ კარგს ვერ უქადდა მომავალ თაობას, გონებას უჩლუნგებდა და უმახინჯებდა. სავალალო კიდევ ის იყო, რომ მასწავლებელთა უმრავლესობა ამ გარემოებას

[1] ალმანახი „მოწაფის ჩანგი“, 1909, № 2, გვ. 13.

[2] გაზეთი „კოლხიდა“, 1911, № 45, გვ. 2.

ადვილად უჩიგდებოდა და ქართული ენის სწავლება პირველსავე წელიწადს ზედმეტად მიაჩნდათ. მოსწავლეებს სწავლების პირველ წელიწადსავე ტკივი ულაყდებოდათ უცხო ენის სწავლითა და მუნჯური მეთოდით, რაც ბავშვის ფსიქოლოგიის სრულად საწინააღმდეგო იყო.

გაზეთ „კოლხიდის“ ფურცლებზე გრ. გრძელიშვილს ასეთი ფაქტიც მოჰყავს:

„სამწუხაროთ, არ შემიძლია არ ვაღიარო, რომ გურიაშა არიან ისეთი მასწავლებლებიც, რომლებმაც ქართული თვითონაც არ იციან სრულიად, და თუ იციან, მათი ქართული ლიტერატურის ცოდნა ი. გოგებაშვილის „დედა-ენას“ და „ბუნების კარს“ არ გასცილებია; აკაკი, ი. ჭავჭავაძე და სხვა ქართველი პოეტების სახელები მათ მხოლოდ გაუგონიათ, და მათი ნაწარმოების წაკითხვა კი აკრძალულ ხილათ მიაჩნიათ. შეიძლება ყველა ამას თავისი საპატიო მიზეზებიც ქონდეს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ დღესაც არ იწუხებენ თავს ქართული ენის შესწავლისათვის; ქართული ენა მათ სასწავლებელშიც და სასწავლებლის გარეშეც ეჯავრებათ და სამშობლო ენაზე საუბარიც ყველგან სამარცხვინოთ მიაჩნიათ“[1].

კ. უშინსკიმ თავის კლასიკურ ნაშრომში „დედაენა“, რომელიც ჯერ კიდევ 1861 წელს გამოაქვეყნა ჟურნალ „მინისტერსტვა ნაროდნოგო ობრაზოვანიეში“, სწორუპოვარი ჰიმნი მიუძღვნა კაცობრიობის ამ განუმეორებელ ფენომენს. კ. უშინსკის აზრით, ხალხის ენა მთლიან ორგანულ ქმნილებას წარმოადგენს, რომლის აღმოცენება მთელი თავისი ხალხური თავისებურებით ხდება რომელიმე ერთი, იდუმალი, ხალხის სულის სიღრმეში მიმალული მარცვლიდან. დიდი მოაზროვნე სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „მშობლიურ ენას რომ სწავლობს, არა მარტო პირობით ბგერებს სწავლობს ბავშვი, არამედ დედაენის მშობლიური ძუძუდან იწოვს სულიერ ცხოვრებასა და ძალას. დედაენა უხსნის მას ბუნებას, ისე როგორც ვერც ერთი ბუნებისმეტყველი ვერ აუხსნიდა, იგი აცნობს მის გარშემო მყოფი ადამიანების ხასიათს, აცნობს საზოგადოებას, რომელშიაც ის ცხოვრობს, აცნობს მის ისტორიას და მის მისწრაფებებს ისე, როგორც ვერც ერთი ის-

[1] გაზეთი კოლხიდა, 1911, № 112, გვ. 2.

ტორიკოსი ვერ გააცნობდა; მას შეჰყავს იგი ხალხის რწმენათა სამყაროში, ხალხური პოეზიის სამყაროში, ისე როგორც ვერც ერთი ესთეტიკოსი ვერ შეიყვანდა; ბოლოს, იგი აძლევს მას ისეთ ლოგიკურ ცნებებსა და ფილოსოფიურ შეხედულებებს, რომელთაც, რასაკვირველია, ბავშვს ვერ შესძენდა ვერც ერთი ფილოსოფოსი"[1].

ენის წართმევა ერის დაცემასაც ნიშნავს, და სწორედ ეს იყო მიზეზი იმ დიდი გულისტკივილისა, რასაც ქართველი მოწინავე საზოგადოებრიობა გამოსთქვამდა არსებული ვითარების მიმართ.

იაკობ გოგებაშვილი ვერ ურიგდებოდა საქართველოს კოლონიზაციისა და ქართველი ხალხის ძალდატანებითი გარუსების თვითმპყრობელურ-მემამულურ პოლიტიკას და ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს ქართველ ხალხს მეფის რეაქციონერი მოხელეების პოლიტიკისადმი საბრძოლველად მოუწოდებდა: „დროა, დიდი ხანია დროა, ბოლო მოეღოს ამ ფრიად სათაკილო და დამამხობელს ჩვენს მდგომარეობასა, დროა მონურს ლაჩრობას ზურგი შევაქციოთ და ადამიანური უნარი გამოვიჩინოთ. დროა, ყველამ თავის წრეში უკანონო დაბრიყვება ითაკილოს. შეებრძოლოს მას და აღადგინოს თავისი ადამიანური ღირსება. დროა გავაჩაღოთ დაუღალავი, ფხიზელი დაცვა ყოველის ჩვენის დათრგუნულის უფლებისა, საარსო მოთხოვნილებისა, გავაჩაღოთ არა მარტო ჩვენს ენაზედ. არამედ სახელმწიფო ენის ლიტერატურაშიაც, გავაცნოთ ჩვენი გაჭირვებული მდგომარეობა დაწინაურებულს დასს რუსეთისას, დავიხმაროთ იგი და დავიბრუნოთ ღირსეული სახელი და ადგილი კავკასიონის ერთა შორის"[2].

იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ხალხისა და მშობლიური ენის დაცვას შესწირა. „ქართული ენა უძველესი ენაა, მრავალ საუკუნეთა მანძილზე შევსებული, გამდიდრებული... ის მუდამ ცოცხალ ენად უნდა დარჩეს... ჟამთა სვლამ, შავმა ძალებმა ვერ მოსპეს ეს ენა..: ეს იშვიათი ისტორიული მოვლენაა... ჩვენ როგორც ჩვენი წინა-

---

[1] კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებები, 1948, ტ. I, გვ. 137.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 334.

ჰარნი, მტკიცედ უნდა ვიცავდეთ ჩვენს მშობლიურს დედა-ენას, მის სიწმინდეს"[1], — ამბობდა იაკობ გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილს გულს უკლავდა ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების სკოლებიდან დედაენა სრულიად გამოძევებული იყო და მასწავლებელი იძულებული იყო ყველა საგანი რუსულ ენაზე ესწავლებინა, ეს კი ახალგაზრდობის სულს ხუთავდა და აუძლურებდა. „ამისთანა სკოლა საპყრობილეა ყმაწვილის ნორჩის ბუნებისათვის, — აღნიშნავდა ი. გოგებაშვილი. სამშობლო სიძღერას ის აღტაცებაში არ მოჰყავს, სამშობლო ლექსი მათ გულს არ უხალისებს და არ უვსებს კეთილშობილი გრძნობებითა; ღვიძლი ანდაზები, გამოცანები, ზღაპრები, მოთხრობები და კიდევ სხვა ხალხის ჰკუის ნაწარმოები მის გონებას არა ხვდება, არ ავარჯიშებს და არ უსხამს ფრთებსა"[2].

იაკობ გოგებაშვილი ოცნებობდა, რომ საქართველო'ში გონივრული პედაგოგიური სისტემა დამკვიდრებულიყო, რომელიც სამ პრინციპზე იქნებოდა დამყარებული — პირველი: დედაენა უნდა იყოს სახალხო სკოლის ცენტრი და მის რიგიან შესწავლაზე უნდა იყოს მოქცეული უმთავრესი ყურადღება; მეორე: სწავლება ყველა საგნებისა მთელი კურსის განმავლობაში უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე; მესამე; რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს სწავლების მესამე წლიდან როგორც ცალკე საგანი;

იაკობ გოგებაშვილს სავსებით სწორად მიაჩნდა, რომ „მჭიდრო სულიერი კავშირი ინტელიგენციასა და ხალხს შორის ითვლება ერთ-ერთ დედა-ბოძად ქვეყნის წარმატებისათვის. ამ კავშირს ისე არაფერი განამტკიცებს და განაძლიერებს, როგორც ხალხოსნური ენის, ეროვნულის ლიტერატურის, სამშობლო ქვეყნის ტერიტორიის და ისტორიის შესწავლა. ენა, ლიტერატურა არის უმდიდრესი სალარო, რომელშიაც მრავალთა თაობათა ძვირფასის განძივით შეუნახავთ საუკეთესო ნაწარმოები ხალხის გონებისა, უმაღლესი და უკეთილშობილესი გრძნობანი გულისა"[3].

---

[1] სგმ. ელ. ზამბახიძის ფონდი № 13258. აღ. მდივანი, დიდი ქართველი იაკობ გოგებაშვილი.

[2] იაკობ გოგებაშვილი. თხზულებანი, ტ. I, 1952, გვ. 218.

[3] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. I, 1952, გვ. 378.

განსაკუთრებულ უნაყოფობას იჩენდა ჩვენში სასოფლო სკოლა, რომლის წარუმატებლობის ერთ-ერთ მიზეზად იაკობ გოგებაშვილს დედაენის უფლების შეზღუდვა მიაჩნდა.

იაკობ გოგებაშვილი ფართო საზოგადოების ყურადღებას ამახვილებდა შემდეგ ფაქტზე: კავკასიის სახალხო სკოლა, სადაც მშობლიური სკოლა უგულებელყოფილი იყო, „წინააღმდეგობაში ვარდებოდა არა მარტო მთავარ პედაგოგიურ დოგმატთან, არამედ მეფე-განმათავისუფლებლის იმ უაღრესად ბრძნულ და ღრმად ჰუმანურ შეხედულებასთანაც, რომელიც მან გამოთქვა 1864 წლის 30 აგვისტოს უმაღლეს ბრძანებულებაში:

„სახალხო მმართველობას, რომელიც არც თავის თავს და არც სხვებს არ უნდა აძლევდეს იმის უფლებას, რომ მეცნიერების კერები გადააქციონ პოლიტიკური მიზნების მისაღწევ იარაღად, ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ უანგარო მსახურება აყვავებისადმი და საზოგადოებრივი აღზრდის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება. ყოველი მათგანი (ტომი) დაცული უნდა იყოს ყოველგვარი ძალდატანებითი ხელყოფისაგან; ამ მიზნით, სხვათა შორის, საჭიროა ვიზრუნოთ, რომ თითოეული ხალხისათვის შეიქმნას საკუთარი სასწავლებლები, ხოლო საერთო სკოლებში, განსაკუთრებით კი რუსულ სკოლებში, სწავლება შემოღებულ იქნას მოსახლეობის უმრავლესობის ბუნებრივ ენაზე. ყველა დაწყებით სასწავლებლებში სწავლება უნდა წარმოებდეს ქალაქისა თუ სოფლის იმ მცხოვრებთა ბუნებრივ ენაზე, რომელთა ბავშვებიც ამ სკოლებში დაიარებიან. დაწყებითი სასწავლებლის უმაღლეს (მეორე) კლასებში ბავშვები წერა-კითხვას და არითმეტიკას უნდა სწავლობდნენ ბუნებრივ ენაზე; გარდა ამისა, მათ უნდა მიაწოდონ დაწყებითი ცნობები გარემომცველი ბუნებისა და ადგილმდებარეობის შესახებ. გარდა ამისა, საზოგადოების სურვილის მიხედვით, ისინი შეისწავლიან რუსულ წერა-კითხვასაც"[1].

ამ ბრძანების მიხედვით სწავლება მშობლიურ ენაზე უნდა წარმართულიყო არა მარტო ერთკლასიან, არამედ ორკლასიან სკოლებშიც.

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954, გვ. 389.

იაკობ გოგებაშვილმა მშობლიურ ენას ეროვნებათა ბურჯი უწოდა („ბურჯი ეროვნებისა“) და ქართული ენის სიმდიდრეს კავკასიონის ბუნებას ადარებდა, „სადაც ერთს პატარა მანძილზე პოლუსი, ტროპიკი და ზომიერი სარტყელი ერთად შეყრილან, სადაც საუკუნო თოვლით შემოსილი მთის წვერები ზევიდგან ძირს დასცქერიან: ბროწეულს, ლეღვს. ვაზს, ლიმონს, ფორთოხალს და სხვა ტროპიკულს მცენარეულობას, და სადაც რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამ, იმდენს ახალ-ახალს სურათს შეხვდები“[1].

იაკობ გოგებაშვილს გულს უკლავდა ქართული ენის აბუჩად აგდება არა მარტო სასწავლებლებში, არამედ ოჯახებშიც, სადაც მშობლიურ ენაზე საუბარს უკადრისობენ და უცხო ენაზე „ტიტინებენ“. იგი საყვედურს გამოსთქვამდა ინტელიგენციის ზოგიერთი თვალსაჩინო წარმომადგენლების მისამართით, „რომელნიც ლიტერატურაში ცხარ-ცხარე სიტყვებს ხარჯავდნენ მამულისშვილობაზედ და საქმე კი იმით გაათავეს, რომ თვითონც უღალატეს ეროვნებას და თავიანთ სახლებიდგანაც გამოაძევეს ქართული ენა“[2].

იაკობ გოგებაშვილი ენას ძვირფას იარაღს ადარებს, რომელიც ბუნებას ადამიანის სულსა და ხორცზე, მის ფსიქოლოგიასა და ფიზიოლოგიურ არსებაზე ზედ გამოუჭრია. მისი აზრით, მშობელი, რომელიც თავის შვილს მშობლიური ენის მაგიერ უცხო ენას ასწავლის, ამით „ხელიდგან ართმევს თავის შვილს ერთად-ერთს ძლიერს ღონისძიებას გონების სწორე გახსნისათვის სიპატარავის დროსა, მის ბუნების შესაბამის იარაღს, რომლის ხმარება და გამოყენება ბავშვს ძლიერ ეადვილება, და ძალად აჩეჩებს ხელში იმისთანა შეუსაბამო იარაღს, რომლის მოხმარების შეთვისება ძლიერ ძნელია და რომელიც არას დროს არ გაუწევს ბუნებითის იარაღის სამსახურსა“[3]. ის ბავშვი, რომელიც დაბადებიდანვე მოკლებულია მშობლიური ენის გავლენას, აზროვნებაც დაბალი ექნება და დაემსგავსება „საცოდავს მერცხალს, რომელსაც ძალ-დატანე-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 205.
[2] იქვე. გვ. 206
[3] იქვე. გვ. 208.

ბით მერცხლის ჭიკჭიკს უკრძალავენ და შოშიას სტვენას ასწავლიან".

კონსტანტინე უშინსკის მოძღვრების მიმდევარი იაკობ გოგებაშვილი სავსებით იზიარებდა დიდი რუსი პედაგოგის თვალსაზრისს მშობლიური ენის მნიშვნელობის შესახებ:

„ენაში სახიერდება მთელი ხალხი და მთელი მისი სამშობლო; მასში ხალხის სულის შემოქმედი ძალით აზრად, სურათად და ბგერად აისახება სამშობლოს ცა, მისი ჰაერი, ფიზიკური მოვლენები. მისი ჰავა, მისი ველები, მთები და ხეობები, მისი ტყეები და მდინარეები, მისი ქარიშხლები და ჭექა-ქუხილი — მშობლიური ბუნების მთელი ის ღრმა, აზრითა და გრძნობით აღსავსე ხმა, რომელიც ასე ძალუმად მეტყველებს იმ სიყვარულზე, რასაც ადამიანი განიცდის თავის ზოგჯერ მკაცრ სამშობლოსადმი, ხმა, რომელიც ასე ნათლად გამოითქმის მშობლიურ სიმღერაში, მშობლიურ ჰანგებში და სახალხო პოეტების ლექსებში". კ. უშინსკი სწორად აღნიშნავდა, რომ ენის ნათელ სიღრმეში სამშობლო ქვეყნის გარდა ხალხის სულიერი ცხოვრების მთელი ისტორიაც აირეკლება, ენა არის ხალხის სულიერი, მრავალსაუკუნოვანი ცხოვრების უაღრესად სრული და უაღრესად მართალი მატიანე, რომელიც ხალხს ჯერ კიდევ მაშინ ასწავლიდა, როცა არც წიგნები, არც სკოლა არ არსებობდა და მომავალშიც განაგრძობს სწავლებას ისტორიის დასასრულამდე, ხალხის ენა სამშობლოსა და ხალხის სულიერი ცხოვრების სრულ ანარეკლს წარმოადგენს. კ. უშინსკიც გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ დღევანდელი ოჯახები საზღვარგარეთიდან იწერენ ძიძებს, გუვერნიორ მამაკაცებს, გუვერნიორ ქალებსა და ხელზე მოსამსახურეებს, მშობლებს კი ერთი სიტყვაც კი არ წამოსცდებათ რუსულ ენაზე, ერთი სიტყვით, თავიანთ სახლში აწყობენ ერთგვარ საფრანგეთსა და ინგლისს, ან გერმანიას, ხოლო ზოგჯერ აკოწიწებენ პატარა-პატარა ნაჭრებს ერთი ქვეყნიდანაც, მეორიდანაც და მესამიდანაც"[1].

იაკობ გოგებაშვილი დედაენის დასაცავად და განსავითა-

[1] კ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, 1948, გვ. 135.

რებლად შემდეგ პირობებზე მიაქცევს მკითხველი საზოგადოების ყურადღებას:

„...დედაენა უნდა მეფობდეს ქართულს ოჯახობაში სრულიად და სავსებით და ყოველი პატარა ქართველი მხოლოდ მის ზედგავლენის ქვეშ უნდა იზრდებოდეს და ვითარდებოდეს მთელის შვიდის წლის განმავლობაში. ყოველ-დღიური ვარჯიშობა დედა-ენაში მშობლებმა უნდა დააწყებინონ თავის შვილებს მესამე-მეოთხე წლიდგანვე. ქართული ენა მდიდარია მეტად მარტივი სახალხო ლექსებით და ზღაპრებით, რომელთა შეთვისება არ გაუჭირდებათ ჩვილ ქართველებსა, თუ დიდები გონიერულს ხელმძღვანელობას გაუწევენ მათ. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. საჭიროა სხვა გვარი საზრდოც. რეალური შინაარსისა. მარტივი საგნების და სურათების შინჯვა და აღწერა კითხვა-პასუხის შუამავლობით, ელემენტარული თვალსაჩინო სწავლა უნდა შეადგენდეს ყოველ დღიურს სავარჯიშოსა. ეს ვარჯიშობა ბავშვს შესძენს რეალურს ცოდნასაცა, დაკვირვების ნიჭსაც გაუფურჩქვნის და ენასაც თანდათან გაუმდიდრებს რეალური ლექსიკონითა...

ამ გზაზე დაყენებული ქართველი ბავშვი სამის წლის განმავლობაში კარგად გაიმართება ქართულს წერა-კითხვაში, ქართულს მეტყველებაში და ელემენტარულს ცოდნასაც საკმარისად შეიძენს... რადგანაც ჩვენებურს სკოლებში დედაენას ძალიან ნაკლები დრო აქვს დათმობილი და ზოგან სრულიადაც არ ისწავლიან, ამის გამო მშობლები მოვალენი არიან ყოველ დღე ბავშვებს ერთი თავისუფალი საათი მაინც მოანდომონ ქართულის წიგნის კითხვასა. უნდა შეუდგინონ ბიბლიოთეკა საუკეთესო საბავშვო წიგნებისა დედა-ენაზე, უსათუოდ დაუბარონ ამავე ენაზე საბავშვო ჟურნალი და ქართული წიგნის კითხვა გადაუქციონ თავისს შვილებს ყოველდღიურ მოთხოვნილებად.

მაგრამ მარტო ოჯახის ერთგულება არა კმარა დედა-ენის გასაძლიერებლად. სკოლა, ეს უძლიერესი კულტურული ღონისძიება, უნდა ეპყრობოდეს ქართულს ენას სრული პატივით, როგორც უსაჭიროესს საგანს... მასზედ უნდა იყოს მოწყობილი მთელი სწავლა, ყველა საგნების გადაცემა, სახელმწიფო ენა კი უნდა ისწავლებოდეს, როგორც მხოლოდ ცალკე საგანი. გარდა ამისა დედა-ენას, როგორც ცალკე საგანს,

ლათმობილი უნდა ჰქონდეს ყოველ წლივ და ყოველს განყოფილებაში არა ნაკლები ექვსი გაკვეთილისა კვირაში ყოველს სახალხო სკოლაში, როგორც ერთ-კლასიანში, ისე ორკლასიანში. საშუალო სასწავლებლებში ჩვენი დედა-ენა უწინდებურად უნდა გადაიქცეს სავალდებულო საგნად ყველა ქართველ მოწაფეთათვის, როგორც სავალდებულოა ადგილობრივი ენა ფინლანდიაში, პოლონეთში და თვით შუა აზიაში სართა შორის... ამის გარდა საჭიროა ქართულს ენაზე გადაითარგმნოს და შესდგეს სახელმძღვანელონი გეოგრაფიისა, ისტორიისა, ბუნებისმეტყველებისა და სხვა საგნებისა, რათა ქართველმა მოწაფეებმა ორივე სქესისამ გაიმეორონ შინ თავის დედა-ენაზე ყოველ დღე ის, რასაც რუსულად სწავლობენ გიმნაზიებში და სხვა საშუალო სასწავლებლებში.

სასკოლო კურსის დასრულების შემდეგ ყოველი ქართველი თავისს წმინდა მოვალეობად უნდა სთვლიდეს იქონიოს საშინაო ქართული ბიბლიოთეკა, რომელსაც უხდა აშენებდეს საუკეთესო თხზულებანი ქართველის ავტორებისა — ძველისა და მეტადრე ახალისა. იმავე ქართველს დახაშაულობად უნდა მიაჩნდეს, თუ არ მისდიოს ერთი რომელიმე ქართული პერიოდული გამოცემა და ყოველდღე არ ადევნებს თვალს მშობლიურს პრესასა. იგი მოვალეა მეტიცა ჰქმნას. პირადი პრაპაგანდით, ქადაგებით მან უნდა სხვა ქართველებში გააცოცხლოს, განაძლიეროს თანაგრძნობა და სიყვარული ქართულის ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და გარდააქციონ ისინი ერთგულ მომხრედ და მოყვარედ ყოველი მშობლიურის ფაქტორისა.

ჩვენისთანა მდგომარეობაში მყოფნი მცირე რიცხოვანნი ერნი ერთს ჩინებულს ღონისძიებასაც ხმარობენ თავისი დედა-ენის და ლიტერატურის გაძლიერებისა და აყვავებისათვის. როგორც ჩვენში ვიცით დაპატიჟება სადილად და ვახშმად, ისე იმათ ჩვეულებად აქვთ დაპატიჟება თავისი კარგი ნაცნობისა წიგნების საკითხველად დედა-ენაზედ. ეს თავისებური პატიჟება ხდება ნაცნობთ შორის რიგ-რიგად. ეწვევიან მასპინძელს სტუმრები, იგი გააღებს თავისს საშინაო ბიბლიოთეკას, ამოირჩევს და გადმოიღებს რომელსამე საინტერესო წიგნსა. კითხულობენ, მსჯელობენ, ბაასობენ დედა-ენაზე, ერთმანეთის ენით და აზრებით მდიდრდებიან, სიფხიზლე და

უნარი ემატებათ, და საქვეყნო საქმეებს მეტი გულმხურვალებით ეკიდებიან, ემსახურებიან"[1].

ბევრი რამ ამ ვრცელი ამონაწერიდან დღესაც ყურადსაღებია როგორც ბავშვებისათვის, ისე მშობლებისათვისაც.

ყოველი ზემოთდასახელებული ღონისძიების გატარება, იაკობ გოგებაშვილის აზრით, აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

„უცხო ენების შესწავლა არასოდეს არ უნდა იწყებოდეს ძალიან ადრე, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწყებოდეს მანამდის, სანამ არ შევამჩნევთ, რომ დედაენამ ღრმა ფესვები გაიდგა ბავშვის სულიერ ბუნებაში"[2], — წერდა კ. უშინსკი და იაკობ გოგებაშვილიც სავსებით ეთანხმებოდა ამ ჰეშმარიტ მოსაზრებას.

იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა რუსულ ენას, მაგრამ სწორად მიაჩნდა, რომ თუ ბავშვი პირველ რიგში მშობლიურ ენას არ შეითვისებს, მისთვის უცხო ენის შესწავლა აზროვნების უნარს დაუქვეითებს და ვერცერთ ენას რიგიანად ვერ დაეუფლებაო. რუსული ენა იაკობ გოგებაშვილს ქართველებისათვის აუცილებელ საგნად მიაჩნდა, ვინაიდან „იგი კულტურული ენაა, რომლის დახმარებით ვითვისებთ ევროპიულს განათლებას და რომელსაც მიუცილებლად მოელის მნიშვნელობა ერთის მსოფლიო ენისა... იგი არის ენა ხალხისა, რომლის ბედთან ისტორიამ და ხალხის სურვილმა შეაერთა ბედი საქართველოსი. ამიტომ რუსული ენა უნდა მიუცილებლად მისდევდეს ქართულ ენასა, როგორც სკოლაში, ისე სახლობაში, და ქართველნი უნდა ვცდილობდეთ სრულად შევითვისოთ ეს ენა და მისი ლიტერატურა"[3].

იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ ვინაიდან რუსული ენის სწავლება მშობლიური ენის დახმარებით წარმოებს, ამიტომ საჭიროა მშობლიურ ენას კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სკოლებში. რუსული ენის კარგად დაუფლება სა-

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 239-241.

[2] კ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, 1948, გვ. 151.

[3] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 223-224.

შუალებას მოგვცემს დიდ რუსეთთან როგორც კულტურული და ეკონომიური კავშირის დასამყარებლად, ასევე ვაჭრობისა და მრეწველობის განსავითარებლად. „ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, თუ რუსულ ენას საფუძვლიანად არ შეისწავლის, მარტოთი მარტოდ ქართული ენის საშუალებით ფონს ვერ გავა, საჭირო ცოდნას და განვითარებას ვერ შეიძენენ", — აღნიშნა იაკობ გოგებაშვილმა ძველი სენაკის ქართული სკოლის პედაგოგებთან და დაუმატა, რომ „ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის სამხატერო და სამეცნიერო ლიტერატურა საფუძვლიანათ უნდა შეისწავლოს, თუ სურს ცხოვრებაში სწორი და საიმედო გზა გაიკვლიოს. ქართველებს სამწუხაროთ ჯერჯერობით არც პირველი დარგისა და არც მეორე დარგის ლიტერატურა საკმარისად არ მოგვეპოვება და თუ გვინდა, რომ ცხოვრების ულმობელმა პირობებმა სრულიად არ გაგვრიყოს, სრულიად უმეცარნი არ გაგვხადოს ამიტომ ჩემის ღრმა რწმენით რუსული ენის საფუძვლიანათ შესწავლას საძირკველი სახალხო სკოლებში უნდა ჩაეყაროს. სახალხო სკოლების მასწავლებლების გარდუვალი მოვალეობაა ამ მხრით უნდა აამოძრავოს თავისი ცოდნა და პედაგოგიური გამოცდილება, რათა ჩვენს მომავალ თაობას გაუადვილდეს ცხოვრების სარბიელზე ბრძოლა როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ფრონტზე"[1].

ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის უპირველეს მოკავშირედ იაკობ გოგებაშვილი პროგრესულ რუსეთს თვლიდა. მას ღრმად სწამდა, რომ „ნათელი გონების" რუსეთთან შეურყვნელი კავშირი „ჩვენთვის იყო და იქნება ძვირფასი საუნჯე".

არსებულ ვითარებასთან შეგუება მეტად ძნელი იყო. საქართველოს მოწინავე შვილები აშკარად გრძნობდნენ რეაქციის მიერ შექმნილ დიდ ეროვნულ საშიშროებას, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა ქართველობას, მის ენას, ისტორიას; ისინი წინ აღუდგნენ რეაქციის ტალღას და ცარიზმის ამგვარ პოლიტიკას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადეს.

ქართველი ინტელიგენცია ნათლად ხედავდა, რომ მეტად საჭირო იყო ნორჩი თაობისათვის ქართული წიგნების მეტი

[1] სგმ. ალ. მიქაბერიძის ფონდი, № 141.

რაოდენობით გამოცემა, ქართული საბავშვო ჟურნალების კიდევ უფრო დახვეწა და ეანრობრივად გამრავალფეროვნება. ისინი აშკარად ამჩნევდნენ, რომ საბავშვო ლიტერატურა უყურადღებოდ იყო მიტოვებული.

მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საბავშვო ლიტერატურას — ჟურნალებსა და წიგნებს მშობლიურ ენაზე, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც სკოლაში სწავლება გაუგებარ ენაზე მიმდინარეობდა. საჭიროება მოითხოვდა რომ მეტი რაოდენობის ბინაარსიანი წიგნები გამოცემულიყო ბავშვებისათვის, რათა „განევითარებიათ მათ გულში ადამიანური გრძნობა და ამასთანავე შეეყვარებიათ მათთვის სამშობლო ენა, მაგრამ არსაც იყო ამისთანა წიგნები. ეს გარემოება ხელს უწყობდა, რასაკვირველია, სამშობლო ენის დავიწყებასაც"[1], აღნიშნავდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ალექსანდრე ჭიჭინაძე.

ასეთი სერიოზული ნაკლოვანების თავიდან აცილებლად ქართველ იხტელიგენციას მიაჩნდა საბავშვო პერიოდული გამოცემები, რომელთაც, ი. გოგებაშვილის თქმისა არ იყოს, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ საბავშვო ლიტერატურაში. მან შესახებნაად განსაზღვრა საბავშვო ჟურნალის როლი მომავალი თაობის აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში. დიდი პედაგოგი წერდა:

„საბავშვო ჟურნალი, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გრძნობით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს ძალას აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულის-შვილსა"[2].

იაკობ გოგებაშვილმა XIX საუკუნის მე-2 ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში თავისი პრაქტიკული საქმიანობით, თავდადებული შრომით უაღრესად დიდი ღვაწლი გასწია,

---

[1] გაზეთი „დროება", 1910 წ. № 40, გვ. 3.

[2] იაკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 11.

რათა ნორჩი თაობის აღზრდა-განათლება სწორ გზაზე დაეყენებინა და თავისი სახელმძღვანელოებითა და მაღალმხატვრული შეხედულებით სამშობლოსათვის პატრიოტი მამულიშვილები აღეზარდა. სწორედ ამ მამულიშვილური რუდუნების ნაკალითია მისი პირველი სახელმძღვანელო — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“, რომელიც 1865 წელს, სრულიად ახალგაზრდამ, ოცდახუთი წლისამ გამოსცა და სათავე დაუდო ქართული პედაგოგიკისა და საბავშვო მწერლობის ახალ ეპოქას.

ყველაზე ძნელი მთელს დიდაქტიკაში მშობლიური ენის ანბანის სახელმძღვანელოს შედგენააო, — წერდა თავის დროზე კონსტანტინე უშინსკი. სწორედ ეს საოცრად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმე იტვირთა იაკობ გოგებაშვილმა და ნორჩ თაობას მიაწოდა საქმის დიდი სიყვარულითა და ცოდნით შედგენილი სახელმძღვანელო. ამ სახელმძღვანელოს პირველი გამოცემის ერთადერთი ეგზემპლარი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში ინახება.

სახელმძღვანელოს წამძღვარებული აქვს შესავალი „მასწავლებლისათვის“. მასში ავტორი განსაზღვრავს მანამდე არსებული ანბანური მეთოდის ხარვეზს და აღნიშნავს, რომ ასეთი მეთოდი ნორჩებს სწავლისადმი ხალისს უკარგავს. „ყველა ახალი მიიღების მაშინ, როდესაც ძველში შეამჩნევენ ნაკლოვანებებს, — წერს იაკობ გოგებაშვილი, — რა ნაკლოვანება აქვს ჩვეულებრივ ანბანების მეთოდს? პირველი და უმთავრესი ნაკლოვანება ამ მეთოდისა მდგომარეობს იმაში, რომ ანბანი იწყების ასოებიდგან. ასოები ცალ-ცალკე არა საგანს არ აჩვენებენ, არა ჰაზრს არა ხატვენ. ამიტომ სწავლის დაწყება ასოებიდგან ყმაწვილისათვის არის მავნებელი. აი, მისცეს ყმაწვილს ხელში ანბანი და ეუბნებიან: ეს ასო არის ა, ეს ბ და სხვანი. ყმაწვილის თავში, რასაკვირველია, არა ჰაზრი არ იბატება. ამიტომ პირველივე შეხვედრაზედ ყმაწვილს სწავლა ეჩვენება როგორც ერთი უაზრო საგანი. ამ მეთოდს, მაშასადამე. შეუძლიან პირველათვე შეაძულოს სწავლა ყმაწვილსა და წაართვას მას წადილი სწავლისა“.

[1] იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოს მთავარი ღირსება ის არის, რომ მოსწავლე ანბანით კი არ იწყებს სწავლას,

არამედ სიტყვებით. იაკობმა პირველმა დაამკვიდრა საქართველოში ბგერითი ანალიზური მეთოდი, რის შედეგადაც მოსწავლე „პირველივე დაინახავს სწავლაში ჰაზრსა; ამიტომ, რომ ყველა სიტყვა ხატავს რაიმე ჰაზრსა, აჩვენებს. რომელიმე საგანს".

1867 წელს გაზეთ „დროებაში" გამოქვეყნდა სახელმძღვანელოს პირველი რეცენზენტის ი. ბეთანიშვილის წერილი — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის — შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან". წერილის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს ბგერითი ანალიზური მეთოდის უპირატესობას იმ მეთოდთან შედარებით, რომლის მიხედვითაც ანბანი ასოებიდან ისწავლებოდა. იგი წერს, რომ იაკობ გოგებაშვილის მეთოდმა მახვილი ჩასცა ძველ, დრომოჭმულ სახელმძღვანელოებს, რომელთა მეთოდსაც არა თუ სარგებლობა, ზიანის მეტი არაფერი მოჰქონდა მოზარდთა სწავლა-განათლებისათვის. იაკობის სახელმძღვანელოთი კი მოსწავლეები ასოებს უაზროდ კი არ იზეპირებდნენ, არამედ მათს შესწავლას შინაარსი ედო საფუძვლად და ბავშვებისათვის სწავლა სახალისო გახდა.

ანბანის შემდეგ სახელმძღვანელოში დაბეჭდილია „პირველი საკითხავი წიგნი ყმაწვილებისათვის". იაკობის აზრით, იგი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ბავშვს თავიდანვე სახალისოდ გაუხდეს სწავლა. ნორჩებისათვის ისეთი ნაწარმოებები მიაჩნდა სასარგებლოდ, რომელთა აზრის გაგებაც არ გაუჭირდებათ და შეძენილი ცოდნა შეესატყვისება მათს ბუნებას. „რომელნი საგნები არიან ადვილათ გასაგონი, სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის? — სვამს კითხვას გოგებაშვილი და თვითონვე იძლევა საჭირო განმარტებას — ბუნება, საზოგადოდ, და ყოველი, რაც კი გარშემო არტყია ყმაწვილს. ვისაც ცოტაოდენი მაინც ყური მიუგდია ყმაწვილების კითხვებისათვის, ის ამ ჰაზრის ჰეშმარიტებას ცხადათ იგრძნობს. ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებსა... მარტოკა ამისთანა წიგნს შეუძლიან მოაწონოს და შეაყვაროს სწავლა ყმაწვილს". სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა დიდ პედაგოგს, როდესაც მოსწავლეთათვის ანბანის შემდგომ საკითხავ წიგნს ადგენდა.

„ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავ-

ლეთათვის“ მდიდარია მხატვრული ნაწარმოებებით. იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ სამშობლოს ბუნებისა და მისი ისტორიული წარსულის ასახვით ნორჩების გულში ღრმა პატრიოტულ გრძნობებს გააღვიძებდა. იგი აღნიშნავს, რომ „ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებსა. სად არიან ის ფრინველები ზამთარში, რომლებსაც ზაფხულში ჩვენ ვხედავთ, საიდან წარმოსდგება ქარი, წვიმა და სხვანი — აი რის ცოდნას თხოულობს ყოველი ყმაწვილი“. იაკობის აზრით, პატარებისათვის პირველ რიგში ისეთი წიგნები უნდა იყოს სახალისო, სადაც ბუნების მოვლენები იქნება აღწერილი არა მეცნიერული, არამედ მხატვრულად სადა, მარტივი, ადვილად გასაგები ენით. სწორედ ამიტომაც რამდენიმე ზღაპრის შემდეგ იგი ნაწარმოებებს, რომლებიც ბუნებისმეტყველებას შეეხება, ექვს ნაწილად ჰყოფს — მცენარეები, ფრინველები, ოთხფეხნი, დრონი წელიწადისანი, ბუნების მოვლენანი და გეოგრაფიული სტატიები.

საბუნებისმეტყველო-ბიოლოგიური მოთხრობების შედგენისას გოგებაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა არა მცენარეებისა და ცხოველების დაწვრილებით კლასიფიკაციას, არამედ იმას, თუ როგორ ცხოვრობენ ცხოველები და ფრინველები, როგორ იბრძვიან არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავთ ბუნებაში და რა დამოკიდებულებაში არიან ცხოველებთან და ადამიანებთან.

იაკობ გოგებაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება მშობლიური ენის განმტკიცებასა და განვითარებას მიუძღვნა.

—

მხატვრული შემოქმედება

საბავშვო ლიტერატურას ჩვენი სახელოვანი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები უდიდეს აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდნენ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 40-იან წლებში დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. ბელინსკი წერდა:

„საბავშვო წიგნების მიზანი უნდა იყოს არა იმდენად ბავშვების გართობა რაიმე საქმით, არა იმდენად მათი დაცვა ცუდი ჩვევებისა და ცუდი მიმართულებისაგან, რამდენადაც მათში ბუნებით მოცემული ადამიანის სულიერი ელემენტების — სიყვარულის გრძნობისა და უსასრულობის გრძნობის — განვითარება"[1].

საბავშვო ლიტერატურის აღმზრდელობითი დანიშნულების შესახებ ბევრს წერდნენ რუსეთის გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი, უშინსკი და მრავალი სხვა. მათი შეხედულებების საფუძველზე იქმნებოდა ქართველი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ შეძუშავებული მოსაზრებანი ამ ფრიადმნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ.

XIX საუკუნის II ნახევარში ქართულმა სალიტერატურო კრიტიკამ და ლიტერატურათმცოდნეობამ მრავალი შესანიშნავი აზრი წამოაყენა საბავშვო მწერლობის დანიშნულების შესახებ. სწორედ ეს შეხედულებები ასაზრდოვებდა რევოლუციამდელ სალიტერატურო კრიტიკას და ლიტერატურათმცოდნეობას.

გამოჩენილი ქართველი პედაგოგი ი. გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერის ცხოვრებაში და მის წარმატებაში. იგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ საბავშვო ლიტერატურა „არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა...

[1] ბ. ბელინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, 1950, გვ. 52.

...თუ თქვენს შვილს პატარაობისასვე მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდავენ თავისაკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნება, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცილებელი ყოველ დღიური საჭიროება, როგორიც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის"[1].

ი. გოგებაშვილს ღრმად სწამდა, რომ კარგად დაწერილი საბავშვო ნაწარმოებები ბევრ კეთილ აზრებს ჩანერგავენ ბავშვის გონებაში, ბევრი კეთილ-ზნეობილური და ჰუმანური მისწრაფებით შეამკობენ მის გრძნობას და ამით სამშობლოს ბევრ მსნესია და გულწრფელ მამულიშვილს აღუზრდიან.

ი. გოგებაშვილი დიდი სიხარულით შეეგება პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის „ხობათის" გამოსვლას და გაზეთ „დროებაში" 1884 წელს წერდა — „ჩვენც ამ ახალს ნაბიჯს ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენ შორის გადადგმულს წრფელი გულით და სიამოვნებით ვეგებებით და გამარჯვებას ვეტყვით"ო-.

ი. გოგებაშვილს სავსებით სწორად მიაჩნდა, რომ საბავშვო ლიტერატურაში პერიოდულ გამოცემებს თვალსაჩინო ადგილი უკავიათ. „საბავშვო ჟურნალი, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გრძნობით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს ბრღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში. ბევრი კეთილშობილური, ჰუმანური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულის-შვილსა"[2], — წერდა ი. გოგებაშვილი. იგი არ ეთანხმებოდა იმ პირებს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ასეთი ჟურნალის არსებობას. დიდი პედაგოგი დარწმუნებული იყო, რომ კარგი საბავშვო ჟურნალის გამოცემა უფრო ადვილი იყო, ვინემ სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემისა.

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 10-11.

[2] იქვე, გვ. 11.

მას სანუგეშო მოვლენად მიაჩნდა ის, რომ ქართველი მოზარდი თაობა ძალზე ეტანებოდა პედაგოგიურ განათლებას. იქ-დროინდელ სამ სპეციალურ პედაგოგიურ სასწავლებელში — თბილისის საოსტატო ინსტიტუტში, გორისა და ხონის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. ამ სასწავლებლებიდან გამოსულ ახალგაზრდობას დიდი იმედის თვალით უყურებდა ი. გოგებაშვილი, რომელთაც „კაი სამსახური უნდა გაუწიოს ხალხის განათლებას საზოგადოდ და პედაგოგიურს ლიტერატურას კერძოდ, და კიდევაც გაუწიეს. რის ზოგიერთი ნიშნები ახლავე სჩანს. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ არა ერთი ნიჭიერი პირი, საზოგადო სწავლით განვითარებული, იჩენს სურვილსა სიტყვით, კალმით და საქმით დაეხმაროს საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებას, და მაშინ თქვენ სრულიად დამეთანხმებით, რომ ჩვენში საბავშვო ჟურნალს თანამგრძნობლები არ უნდა დააკლდნენ არც ეხლა, და არც, მეტადრე, მომავალში"[1]. ი. გოგებაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ საბავშვო ჟურნალს საკმარისი მკითხველი ეყოლებოდა და, აქედან გამომდინარე, მას უეჭველად სწამდა „ნობათის" საიმედო მომავალი.

ჟურნალ „ნობათის" სანიმუშო ნომრის კრიტიკული განხილვის ბოლოს ი. გოგებაშვილი აღნიშნავს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს საღი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც საუკეთესო სამსახურს გაუწევს საბავშვო მწერლობის შემდგომ განვითარებას:

„... ჩვენ ვცდილობდით ვრცლად, დაწვრილებით გამოგვეთქვა სამართლიანი მსჯელობა, ღირსებანი კაშკაშად გაგვეშუქებინა, საქები ხმა-მაღლა გვექო და ამასთან არ დაგვემალა ნაკლულევანება, რაც არც საკადრისი იყო და არც სასარგებლო უპირველესად ყოვლისა თვითონ ჟურნალისათვის. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე შეცდომა საბავშვო გამოცემაში ერთი ხუთად და ათად მავნებელია, ვიდრე დიდებისათვის დანიშნულს წიგნში. დიდს აზროვნება, მსჯელობა გახსნილი აქვს. კარგი და ავი გაეგება და კარგს ნაწერს ითვისებს, ცუდს უარს ჰყოფს. პატარა მოკლებულია ჯერედ

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 12.

რაიმე კრიტიკულს შეხედულებას და თითქმის ერთნაირად ითვისებს კარგსაცა და ავსაცა. ამიტომ თვით ნაკლები ნიჭის პატრონი ბავშვი ჭკვიანი, გონიერი და სასარგებლო კაცი გამოდის, თუ მას აძლევენ მხოლოდ საღსა, ნოყიერს საჭმელს გონებისასა. მაგრამ თუ თქვენ ბავშვს ხშირად აჩეჩებთ ხელში იმისთანა უვიცი კალმის ნაწარმოებს, როგორიც არის ლეგენდა თემურიშვილზედ, თქვენ მას გონებას უთუოდ დაუსუსტებთ და დაუმახინჯებთ სწორედ ისე, როგორც სნეულდება კუჭი, რომელიც იძულებულია ხარშოს საჭმელი, ყოველს სანოყიერეს მოკლებული. აი რისათვის ფრიად საჭიროა, რომ „ნობათი“ კვლავ ერიდოს ყოველს უნიჭო და განუვითარებელ წერილებსა და მისცეს ადგილი მხოლოდ იმისთანა ნაწარმოებს, როგორიც არიან: „მიწვევა სასწავლებელში“, „მოგონება“, „კაკანათი“, „მტრედი“, „მარინე“ „ფინია გიშერას ცუღლუტობა“ და „პოლ ბერის გაკვეთილი ზოოლოგიიდან“[1].

ი. გოგებაშვილის ეს სიტყვები გახდა საზომი საბავშვო ნაწარმოებთა შეფასებისას.

ჟურნალ „ნობათის“ დახურვიდან თითქმის ხუთი წელი გავიდა და ქართველმა ბავშვებმა მიიღეს ახალი ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

ი. გოგებაშვილი თავის დროზე სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ მხოლოდ შეუგნებელი, განუვითარებელი ერი და საზოგადოება არის მოკლებული საბავშვო ჟურნალს; ხოლო იქ, სადაც სწავლა-განათლებას ფესვები მეტ-ნაკლებობით ღრმად გაუდგამს, საბავშვო პერიოდულ გამოცემას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. „ბოლო ხნობამდინ ჩვენ მოკლებულნი ვიყავით საბავშვო ჟურნალს, ამ ყოველ კულტურულის ერის კუთვნილებასა; სხვათა შორის ესეც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ჩვენს ოჯახობასა და საზოგადოებაში სუსტია ჯერ სწავლისა და განვითარების მოთხოვნილება. რამდენისამე წლის წინად გაგვიჩნდა „ნობათი“ და დიდს იმედსაც გვაძლევდა, მაგრამ გაგვიცრუვდა ეს იმედი. იგი ქვიშაზედ აშენებული ხუხულას მსგავსი რამ გამოდგა. კუდიანი ბეუტა ვარსკვლავივით გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ, ჯერ ცო-

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 24-25.

ტა ხანს იკაშკაშა, მერე სწრაფად მიილია და ბოლოს მთლად გაქრა. ვითომც არც-კი არსებულიყოს. მაგრამ მაინც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“[1]. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი სიხარულით აუწყებს მკითხველ საზოგადოებას, რომ მომავალი წლიდან (1890 წლიდან) ქართველ ბავშვებს ახალი პერიოდული გამოცემა ექნებოდათ. მას ღრმად სწამდა, რომ „ჯეჯილი“ იქმნება ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი კომეტასავით, არამედ, ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნება მუდამაც. ვინ იტყვის, რომ ეს არ იქმნება დიდი ნაკლის შევსება და ძლიერ ხელს არ შეუწყობს უფრო გონიერის, უფრო მბნეს და უფრო ქვეყნისათვის გამოსადეგის ახალთა თაობათა აღზრდასა, მომზადებასა“[2].

ი. გოგებაშვილმა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ დაარსებას „დიდი ნაკლის შევსება“ უწოდა და დარწმუნებული იყო, რომ იგი ხელს შეუწყობდა სამშობლოსათვის გამოსადეგი ახალი თაობის აღზრდას.

ი. გოგებაშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ ქართული პერიოდული ლიტერატურა მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზს იგი საზოგადოების გულგრილობაში ხედავდა. იაკობი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „კარგი სახელმძღვანელონი ქართულის ენისა შეადგენენ პირველ ნაბიჯს, საძირკველს განათლებისას“. მიუხედავად ამისა, ამგვარი სახელმძღვანელო საკმარისად არ მოიპოვებოდა, რათა საზოგადოებაში კითხვის ცხოველი ინტერესი გაეძლიერებინა.

დიდ პედაგოგსა და საბავშვო ლიტერატურის მოამაგეს მიაჩნდა, რომ „სახელმძღვანელოთა და პერიოდულ გამოცემათა შორის ბლომი მანძილია, მოზრდილი ხევია... საჭიროა, მიუცილებლად საჭიროა ხიდი და ამ ხიდად, და საუკეთესო ხიდადაც, უველგან ითვლებოდა და ითვლება საბავშვო ჟურნა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 194.

[2] იქვე. გვ. 194-195.

ლი"[1], სადაც მთავარი ადგილი დიდაქტიკური ხასიათის ნაწარმოებებს დაეთმობოდა.

ი. გოგებაშვილი თვლიდა, რომ თუკი ბავშვი რამდენიმე წლის განმავლობაში თავის დროზე იღებს პერიოდულ გამოცემას და მას იგი რეგულარულად კითხულობს. აუცილებლად შეუყვარდება წიგნი და მისთვის კითხვა ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცევა. სწორედ ასეთი ბავშვების იმედი ჰქონდა ი. გოგებაშვილს, რომლებიც დაეხმარებიან მშობლიურ ლიტერატურას „ან როგორც ხელის მომწერი და ერთგული მკითხველი, ან როგორც თანამშრომელი და მწერალი, ან როგორც მქადაგებელი ცხოველი სიტყვით სამშობლო ლიტერატურის თანაგრძნობისა, სიყვარულისა"[2].

ი. გოგებაშვილი სინანულით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ყოველი სასწავლებელი ჟურნალის მხოლოდ ერთ ეგზემპლარს იწერდა, რაც ასობით მოსწავლეს არაფრით არ ეყოფოდა წასაკითხად და მხოლოდ ყდის გასინჯვასა და ზერელე გადათვალიერებას თუ მოასწრებდა. ამასთან ერთად, დიდი პედაგოგი საბავშვო მწერლებს შეახსენებდა, რომ ჟურნალში მონაწილეობა დიდ წინდახედულობას მოითხოვს. „...საბავშვო რამეების წერა შესაბამისად, მიზნის შესაფერად ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე დიდებისათვის ლიტერატურული შრომა. ამ სიძნელის დაძლევა კერძო პირებისათვის ადვილი არ არის. ზოგმა მშვენივრად იცის ქართული ენა, მაგრამ მომზადებული არ არის იმდენად, რომ კარგი არჩევანი ჰქმნას გადმოსათარგმნელისა; ზოგს შეუძლიან მშვენიერი საბავშვო წერილები დასწეროს შინაარსით, მაგრამ ენა არ უვარგა; ბოლოს, პირველნიც და მეორენიც ღარიბნი არიან საბავშვო წიგნებითა, უცხო საყმაწვილო ჟურნალების ჰაჰანებაც არსად არის მათს გარშემო..."[3] ბოლოს იგი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ ისინი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ „ჯეჯილის" წარმატებასა და აყვავებას.

ი. გოგებაშვილი მოუწოდებდა საბავშვო მწერლებს დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ ამ ურთულეს საქმეს და ღრმად შეესწავლათ ბავშვების ინტერესები, მათი განცდები

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 196.

[2] იქვე.

[3] იქვე.

თავისებურებანი და საერთოდ ბუნება. მან კარგად იცოდა, რომ „ბავშვის მოძრავი ბუნება სრულიად ვერ მშვენობს დიდს ხანს შეჩერებას გრძელის, გაუიახურეებულის პლასტიკური სურათების კითხვასა და გაგებაზედ... ამ გვარის აღწერა ნამდვილს ნაკლულევანებას შეადგენს საბავშვო მოთხრობათა სათვის“[1]. ამიტომ აუცილებელ საჭიროებად მიიჩნევდა საბავშვო მოთხრობებში მთავარი ადგილი დაეკავებინა მოქმედების დახატვასა და დრამატიზმს, ხოლო „პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შეეხებოდეს მხოლოდ უმთავრესს საგნის ნაწილებსა“. ი. გოგებაშვილი საბავშვო ლიტერატურის ამ მაღალი საპასუხისმგებლო პრინციპებიდან გამომდინარე მწერლებს კიდევ ერთხელ ახსენებდა, რომ „საბავშვო მოთხრობების წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას. გულისყურის დამყარებას კაი ხნობით და მუყაითს შრომას“[2].

ი. გოგებაშვილი ამბობდა, საბავშვო მწერლის ენა ხალხური, მარტივი, კეთილხმოვანი და სურათოვანი უნდა იყოს. სწორედ ეს თვისებები ახასიათებს მის დიდაქტიკურ შემოქმედებასაც.

ბავშვის აღზრდის საქმეში ი. გოგებაშვილი უდიდეს როლს ანიჭებდა ისტორიული ხასიათის მოთხრობებს. „საუკეთესო მამულის-შვილების მხურვალე სიყვარული თავის ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის უპირველესს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდ თაობას შორის მაღალი ზნის პრინციპებისა“[3], — აღნიშნავდა იგი და მოუწოდებდა საბავშვო მწერლებს, რათა თავიანთი გმირების ცხოვრება და მოქმედება მოეთხროთ ცალ-ცალკე ეპიზოდების სახით. ეს ეპიზოდები კი უმთავრესად ამოღებული უნდა ყოფილიყო სამშობლო ისტორიიდან. „...უამბეთ ბავშვებს ცოცხლად და სურათულად და თქვენ მათს ნორჩს გულში ჩასახავთ ღრმასა და მეტად ნაყოფიერს ჩაბეჭდილებასა... ამოირჩიეთ უფრო თვალსაჩინო ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებსა. გადაუჭარბებლად, ურიტორი-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 18.

[2] იქვე.

[3] იქვე. გვ. 16.

კოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა"[1], — ამბობდა ი. გოგებაშვილი.

ი. გოგებაშვილის თეორიულმა წერილებმა საბავშვო მწერლობის დანიშნულების შესახებ დიდი როლი შეასრულეს ქართული საბავშვო მწერლობის აღორძინებასა და განვითარებაში.

ი. გოგებაშვილი სამართლიანადაა აღიარებული ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსად. ი. გოგებაშვილის მხატვრული შემოქმედება ქართული კლასიკური საბავშვო მწერლობის გვირგვინს წარმოადგენს.

საქართველოს ისტორიის თემებზე აგებული მოთხრობებით ი. გოგებაშვილი ცდილობდა მომავალ თაობაში გაეღვივებინა პატრიოტული სულისკვეთება.

დიდმა პედაგოგმა თავის შესანიშნავ სახელმძღვანელოს „ბუნების კარს" 1912 წელს ახალი განყოფილება „საქართველო" დაუმატა, რის შესახებაც იგი წერდა:

„...ამ განყოფილების დანიშნულება არის — გაუთვალისწინოს მოსწავლეებს ჩვენი ერის წარსული ბედი და უბედობა, უმთავრესი ისტორიული მომენტები, მთავარი ისტორიული გვამების მოქმედება, მათი ვაჟ-კაცობა, თავდადებულობა, ზრუნვა ერის განათლებასა და მის კეთილ-დღეობაზე. მასწავლებლებს და მშობლებს კარგად უნდა ჰქონდეთ შეგნებული, რომ სამშობლო ისტორიის შესწავლას უბრალო ცნობის მოყვარეობის დაკმაყოფილება არა აქვს მიზნად. დიდი ხანია ნათქვამია, რომ ისტორია მოძღვარია ერისაო, ხოლო მოძღვრებას ისტორიული მოთხრობანი მაშინ გაუწევენ მოსწავლეთა, როცა იგინი გარკვევით და ნათლად დაუხატავენ მათ თვალ-წინ, თუ რა უშლიდა და რა უმართავდა ხელს ჩვენს ერსა წარსულში, რისგან სუსტდებოდა და ეცემოდა იგი ძირსა და რისგან ძლიერდებოდა, მაღლდებოდა და ძალ-ღონით ივსებოდა. მხოლოდ ამისთანა მოთხრობებს შეუძლიან მისცენ ნაციონალური გაკვეთილები მოსწავლეთა და ჩააგონონ მათ, თუ რას უნდა ერიდოს ჩვენი ერი აწმდგომში, რას უნდა ეტრფოდეს, საითკენ უნდა მიისწრაფოდეს, რათა აწმდგომი თა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, 1954, გვ. 17.

ვისი არსებობა მან გააძლიეროს და მომავალიც სანატრელი მოიმზადოს"[1].

1892 წელს ი. გოგებაშვილმა მოზრდილი ყმაწვილებისათვის გამოსცა ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი" მეფე ერეკლეს პორტრეტითა და რუქით. წიგნაკი გამოსცა ქართველი ამხანაგობის სტამბამ. ი. გოგებაშვილს ამ თხზულების დასაწერად, როგორც დასაწყისში აღნიშნავს, გამოუყენებია: „ქართლის ცხოვრება", Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, დაბეჭდილი ამ უკანასკნელს ხანს პროფესორის ცაგარელის რედაქციით; ნადირ შაჰის ცხოვრების აღწერა, გენერლის ჭიშმიშოვისა; Кавказская война, პოტტოსი; Закавказие, დუბროვინისა; თხზულებანი ალექსანდრე ორბელიანისა; Кавказские этюды, ჟეიდენბაუმისა; აგრეთვე ზოგიერთი ხალხის თქმულება, ახალციხის მხარეში დარჩენილი".

ი. გოგებაშვილი დიდად აფასებს მეფე ერეკლეს, მის გამჭრიახ გონებას, ერისათვის თავდადებას და მოთხრობას გრ. ორბელიანის პოემა „სადღეგრძელოდან" ამოღებული სტრიქონებით იწყებს:

„მამული ვეღარ იხილავს
ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა
მასთან მარხია სამარეს".

მოთხრობა „ასპინძის ომი" გადმოგვცემს ერთ ბრწყინვალე ეპიზოდს XVIII საუკუნის II ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, კერძოდ, 1770 წლის 20 აპრილს, ასპინძასთან ქართველთა მცირერიცხოვანი მხედრების მიერ ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ჯარის დამარცხებას ერეკლე მეორის მეთაურობით.

მოთხრობა იწყება ბუნების სურათის აღწერით: „მშვენიერი სანახავია მოწმენდილი ცა განთიადის წინედ. ლაჟვარდის ფერი გაუზომელი გუმბათი მოჰედილია ბრწყინვალე ვარსკვლავებითა და ესენი განუწყვეტლივ ებრძვიან ღამის სიბნელესა და ჰფენენ დაუსრულებელს სივრცეში სინათლესა და ლხენასა. ამ სასიქადულო ქვეყნის სამსახურში ყველაზედ მე-

[1] ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი", 1912, გვ. 242-243.

ტად დაწინაურებულია ორი მნათობი: ცისკარი და ხარისთვალა. ისინი ჩვენს დედამიწას ისე უხვად უგზავნიან სინათლესა, რომ ბნელს ღამეს ამსგავსებენ ნათელს დღესა. ქება და დიდება ცის მნათობებსა და უპირველესად ყოვლისა მათ შემოქმედსა". ი. გოგებაშვილი „ღამის სიბნელეში" ბოროტ ძალებს გულისხმობს და სურს, რათა ცხოვრებაშიც ყოველგვარი სიბოროტე სინათლისაგან დამარცხდეს. ერეკლე მეორის მეფობის ხანა მწერალს სინათლის სიბნელესთან ბრძოლად წარმოუდგენია. „თავისუფლებისა მონობასთან, ბრძოლა, სავსე საოცარი ვაჟკაცობით, მრავალის ბრწყინვალე გამარჯვებით" ერეკლეს სამხედრო მოღვაწეობით ი. გოგებაშვილის აზრით ხარისთვალასა და ცისკარისავით კამკამებს ერევნისა და ასპინძის ომი.

მოთხრობის მეორე თავში გადმოცემულია 1769 წელს რუსეთის იმპერატრიცას ეკატერინე მეორის მიერ ოსმალეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ. ეკატერინემ შავი ზღვის იქით მცხოვრებ ქრისტიან ხალხებს მისწერა, რომ ისინიც შეიარაღებულიყვნენ და რუსეთისათვის მხარი დაეჭირათ. ასეთივე წერილი მისწერა იმერეთის მეფე სოლომონსა და ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს. ერეკლე მეფემ ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ერეკლეს სურდა, რათა ეკატერინე მეორისათვის ესიამოვნებინა და რუსეთთან კავშირი განემტკიცებინა, ამასთან ერთად ოსმალეთისაგან მიტაცებული ჯავახეთისა და ახალციხის მხარე კვლავ უკან დაებრუნებია.

მოთხრობის მესამე თავი „ერეკლე მეფე და ტოტლებენი" ეხება ეკატერინე მეორის მიერ გამოგზავნილი გენერალი ტოტლებენის ღალატს ერეკლე მეორისადმი. ამან ძალზე ცუდი შედეგი გამოიღო და ცუდად იმოქმედა ქართველ მეომრებზე. მეოთხე თავში ი. გოგებაშვილი დიდი ოსტატობით აგვიწერს ერეკლე მეორის დიდ გავლენას თავის ჯარზედ. მწერალი ხაზს უსვამს ერეკლეს იმ საოცარ თვისებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ სწორედ ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაში გამობრწყინდებოდა მისი დიდი ზემოქმედების უნარი თითოეულ ჯარისკაცზე; რამოდენიმე სიტყვით იგი თავის ჯარისკაცებში სრულიად გააქრობდა ხოლმე შიშის გრძნობას და ვაჟკაცობისა და მამაცობის სულს ჩაჰბერავდა. ერეკლეს სიტყვებში ნათლად ჩანს მისი უსაზღვრო სიყვარული სამ-

შობლოსადმი და ჯარის თითოეულ წევრსაც ამ სიყვარულის ალითა და ბრძოლის ჟინით აღავსებდა: „ჩვენ ან უნდა გავიმარჯვოთ მტერზედ, ან მთლად დავიხოცნეთ აქა. ისე დაბრუნება კი სამშობლოში ჩვენთვის თავზედ ლაფის დასხმა იქნება. რა უნდა ვუთხრათ ჩვენს დედებს, ჩვენს ტოლებს, ჩვენს დებსა, მთელს ქართველობას, როცა ხელცარიელნი მივალთ შინ. განა ამისთანა ლაჩრობა ქართველებს შეჰფერის? არა, ძმებო, ჩვენ უნდა მოვიქცეთ ისე, როგორც წინედ მოვქცეულვართ, როგორც შეჰფერის ქართველთა მამაცობას. წინ და არა უკან...“

მოსე ჯანაშვილი „საქართველოს ისტორიაში“ ასე გადმოგვცემს სასოებაში ჩავარდნილი ერეკლეს მიმართვას თავისი ჯარისადმი:

„ოსმალთა აუარებელი გუნდი მოაწყვა ქართველების შუაგულ რაზმს. ერეკლემ იგრძნო, რა საშიშ მდგომარეობაშიაც იყვნენ და თავის ჯარს ამ სიტყვებით მიჰმართა: „გულოვანნო მხნენო ქართველნო. ჩემო განუყრელნო ყოველ საშინელებაში, ჩემო გულის ძმანო! ამისთანა გაჭირვებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგა გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი არის. ჩვენს ცოლშვილში, სირცხვილია, დამარცხებულნი მივიდეთ... გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე!“[1].

მოთხრობის შემდგომ თავებში ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს უამბობს ქართველთა ჯარის განსაცდელის შესახებ იდუმალასთან, როდესაც მტრის უზარმაზარი ლაშქარი მოულოდნელად თავს დაესხა ქართველთა ჯარს. მწერალი განაგრძობს, რომ საშინელი დამარცხება ვერ ასცდებოდა ქართველთა ჯარს, მეფის სამაგალითო გულადობას რომ არ ეხსნა იგი დიდი განსაცდელისაგან.. ერეკლე მეფე შეიდი ხევსურითა და რამოდენიმე მხლებელით თვითონ გაეშურა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. გაქცეულმა ქართველმა ჯარმა რომ თავიანთი საყვარელი მეფე განსაცდელში დაინახა, გონ-

---

[1] მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა, 1894, გვ. 453.

ნელ მოვიდა. ისევ აღიესო მამაცური გამბედაობით, მტრისაკენ გაქანდა და საშინლად დაამარცხა. ი. გოგებაშვილი ერეკლე მეფეს ამ შემთხვევაში ადარებს იულიუს კეისარს და წერს: „როცა ისპანიაში პომპეუსის შვილების ჯარმა ზურგი აქნევინა კეისარის ჯარსა და გამოაქცია, ეს სწრაფად მოაჯდა თავისს ცხენსა, მჭეხარი ხმით შესძახა: „განა ამ ბალღებს უნდა დამამარცხებინოთო!“ და იერიში თვითონ მიიტანა მტერზედ. გაქცეულმა ჯარმა რომ თავისი უძვირფასესი წინამძღოლი დაინახა საშინელს ხიფათში, მობრუნდა, მამაცურად შეება მტერსა და საშინლად დაამარცხა“. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი ოსტატურად აგვიწერს ასპინძის ომში მეფე ერეკლეს დიდ გმირობასა და ნიჭს. ამ ომში ქართველთა ჯარმა მხოლოდ ოცდაათი მებრძოლი დაჰკარგა, ხოლო ასიოდე დაიჭრა.

მოთხრობაში ი. გოგებაშვილი გადმოგვცემს აგრეთვე გენერალ ტოტლებენის მოღალატურ საქმიანობას; ეკატერინე II სოლომონ მეფისა და ერეკლეს დასახმარებლად ოთხი ათასიანი ჯარი გამოგზავნა გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად. როგორც მოთხრობის ავტორი გადმოგვცემს, მეფე ერეკლესა და ტოტლებენს შორის თავიდანვე ჩამოვარდა უთანხმოება, ვინაიდან „ტოტლებენს უნდოდა ხელში ეგდო შეერთებულის ქართველ-რუსთა ჯარის უფროსობა და თავის ნებაზედ წაეყვანა საქმე. ერეკლე კი ჰფიქრობდა, რომ წინამძღოლობა და ბატონობა მე მეკუთვნის, როგორც მეფესა და გამოცდილ სარდალსაო. განხეთქილებამ თანდათან იმატა და სიძულვილად გადაიქცა“. როდესაც აწყურის ციხეში გამაგრებულ მტრის ჯარს ქართველ-რუსთა ჯარი გარს შემოერტყა, ტოტლებენმა უკან გააბრუნა თავისი ჯარი და ქართველები განსაცდელში დატოვა. ოსმალოს ჯარის დამარცხების შემდეგ მეფე ერეკლემ გაიგო, რომ „ტოტლებენი მოწადინებულია თბილისში ჩავიდეს თავისი ჯარით, გააუქმოს ბაგრატიონთა მეფობა, შეუერთოს საქართველო რუსეთსა, დააფიცოს ქართველობა რუსთა იმპერატორის ერთგულებაზე და თავი თვისი საქართველოს მთავარ მმართველად გამოაცხადოსო“.

ს. მ. სოლოვიოვი თავის ვრცელ ნაშრომში: «История России с древнейших времен» ხაზგასმით წერს: Тотлебен узнал, что всех курьеров едущих к нему перехватыва-

ют и отвозят в Тифлис, хотят не допускать идущий к нему Томский полк и отрезать сообщение с Моздоком: тут он решился предупредить врагов, выступил из лагеря, ускоренным походом в двое суток пришел к городу Дюшету, занял его, овладел также крепостью Ананурами. От 12 мая Тотлебен писал, что по соединении с Томским полком намерен идти немедленно к Тифлису, чтоб отомстить противникам, возвратить похищенную Ратиевым артиллерию, войско и припасы, подчинить всю Грузию русской власти, лишить Ираклия пожалованной ему перед тем Андреевской ленты и отправить его в Петербург или вогнать в Черное море»[1].

ეკატერინე II არ მოსწონდა გრაფ ტოტლებენის საქციელი და მის საქმიანობის გასარკვევად საქართველოში გვარდიის კაპიტანი იაზიკოვი გამოგზავნა. ს. სოლოვიოვი მეფე ერეკლესა და გრაფ ტოტლებენს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოების მიზეზის შესახებ ამ უკანასკნელის არასწორ ინფორმაციას ეყრდნობა და წერს:

«...Точно так-же неудачно шли дела и за Кавказом, и так-же по вине тамошних христианских грузинских владетелей, как утверждал начальствовавший там русским войском, граф Тотлебен. Поход Тотлебена с царем Ираклием к Ахалциху не достиг цели; возвратились назад в Тифлис, потому что грузины, по донесению Тотлебена, нисколько не помогали, стояли спокойно во время битвы русских с Турками, и только грабили»[2].

ეს ჭორი ტოტლებენის მოღალატური ნიჭის შედეგი უფრო იყო, ვინემ სინამდვილე.

მეფე ერეკლე კნიაზ ა. რ. მოურავოვისადმი 1770 წლის 24 სექტემბერს გაგზავნილ წერილში სწერს იმ აღვირახსნილი საქციელის შესახებ, რასაც გენერალი ტოტლებენი ქართველი გლეხების მიმართ იჩენდა: „მე სპარსეთში სხვას კაცის ამხანაგთაც ვყოფილვარ და სპარსეთის ჯელმწიფისთვისაც მიმსახურია, მაგრამ მე ჩემს ჟამში ამისთანა შფოთსა და მწუხარებას არ შევსწრებივარ. და აღარც ამდენის ქვეყნის იმისგან გასაწყლებისა და უსამართლოდ და ურიგოდ მოქცევის მოთმინებაღა შემიძლია. ვგონებ, რომ სულ ზედმიწევნით იცოდეს შენმა ბრწყინვალებამ, და სულ ჩვენის დიდთა და მცირეთა-

[1] Соловьев С. М. — История России с древнейших времен, кн. VI. том XXVI—XXIX. стр. 669.

[2] Там же. стр. 667.

ვან გუსმოდეს, რომ რა ყოფა დაჰმართებია ხოლმე ტოტლებენისაგან. ჩემის მტერობით, ჩემის ქვეყნის კაცთ...

როგორადაც ახლა თქვენი ჩემთან მოწერილი წ-გნი აცხადებს, რომ მოგიწერიათ: ღრაფ ტოტლებენი იწერებაო სადმე კაცი დამეყენებინოს და პეტრებრუხიდგან ღრაფთან წოსვლელს კაცს და ღრაფიდამ პეტრებრუხს წამსვლელს კაცს ვაქერინებდე, რომელიც ეს სიტყვა სატანისაგან არის სიცრუით: გაკეთებული და მოგონილი, და ვინც ამ საქმეში ცრუი და მტყუანი არის სატანისავე დამცემელი და შემმუსვრელი დასცემს და შემუსრავს. და რუსეთის დიდის მონარხის რისხვასაც საუკუნოდ მისცემს; მე ამაში ყოვლითურთ მართალი ვარ, რომ ეს ჩემგან ქმნილი საქმე არ არის, ეს მტერობით მოგონებული და ტყუილი არის..:"[1]

ა. რ. მოურავოვი 1770 წლის 30 აპრილს ტოტლებენისადმი მიწერილ წერილში საყვედურს გამოთქვამს ამ უკანასკნელის მისამართით, რომ მან, მიუხედავად მეფე ერეკლეს დიდი თხოვნისა, მიატოვა ქართველი ჯარი აწყურში მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლაში და აქვე ხაზს უსვამს ქართველთა თავდადებული გმირობის ამბავს:

«...По присяжной моей должности с покорностью моею доношу в. с., что за день пред симъ, устрашенные и трепещущие Грузины, здесь уже с такою невероятною храбростию атаковали и с таким жаром гнались за непріятелем, что однех мертвых тел непріятельских до трех тысяч на поле положили... Весь непріятельской корпусъ истребленъ так, что самое малое число онаго, спаслось, а Грузинцевъ не было в самом действительном сраженіи более трех тысяч человек... Урон Ираклиевъ состоит: убитых — изъ двадцати пяти человек, да ранень сардаль его, то есть начальник, князь Александр Цицианов, Иасе Эристов и редовых пять человек[2]».

გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტი შარლ დე გრაი დე ფუა თავის რელაციაში აღნიშნავს:

„ამ დროისათვის რუსეთის სამინისტრომ, როდესაც დაინახა, თუ რაოდენი სირთულენი უძღოდა წინ რაიმე წარმატე-

[1] А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии, т. II, вып. I, стр. 58.

[2] А. А. Цагарели. Грамоты и другие исторические документы, относящиеся к Грузии. т. II, вып. I, стр. 105.

ბას საქართველოში, გააუქმა ბრძანება საქართველოში მოსკოვის ლეგიონისა და სელენგინსკის პოლკის გაგზავნის შესახებ და აღკვეთა იქ რაიმე ჯარის გაგზავნა. შეცვალეს თავადი მოურავოვი. მის ნაცვლად დანიშნეს გვარდიის კაპიტანი ლვოვი. გრაფ ტოტლებენის ნაცვლად მიავლინეს გენერალი სუბოტინი"[1].

ასპინძის ომის შესახებ საინტერესო მასალას იძლევა ზაქარია ჭიჭინაძე თავის მცირე მოცულობის ნაშრომში — „ასპინძის ომის ისტორიის სიყალბე და რუსის გენერალ ტოტლებენის ღალატის სინამდვილე" (1920 წ.).

ი. გოგებაშვილი მოთხრობაში შთამბეჭდავად გვიხატავს გამარჯვებული ქართველთა ჯარის თბილისში დაბრუნებას. მეფე ერეკლე მცირეოდენი ცხენოსანი ჯარით დაწინაურებულიყო, ჩაეცვათ ასპინძის ომში დახოცილი ფაშების, ბეგების და ოსმალთა ჯარის სხვა უფროსების ტანისამოსი და მშვენიერ ქართულ სიმღერას აგუგუნებდა:

„ვისაც მოუკლავს, ის მოკლავს, ნადირსა შავი ტყისასა;
ვინც დახვდა, იგივ დახვდება გულდაგულ რაზმსა მტრისასა".

თბილისში დაბრუნების დღეს „ერეკლეს მშვენიერს სასახლეში, რომელშიაც ითვლებოდა თითქმის ორასი თვალი ოთახი, გაიმართა დიდი ნადიმი და მთელი ქალაქი მიეცა რამდენსამე დღის განმავლობაში ლხინსა და შექცევასა", — წერს ი. გოგებაშვილი.

გაზეთ „ივერიაში" 1895 წელს გამოქვეყნდა ი. ფერაძის ბიბლიოგრაფიული წერილი ი. გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობის „ასპინძის ომის" შესახებ, რომელმაც, როგორც კრიტიკოსი აღნიშნავს, ქართველ მკითხველთა შორის სიყვარული და თანაგრძნობა მოიპოვა.

წერილის შესავალ ნაწილში ი. ფერაძე გვამცნობს თავის შეხედულებებს საბავშვო ლიტერატურის შესახებ: „საყმაწვილო წიგნების ავტორს მეტისმეტი სიფრთხილე ჰმართებს, ვინაიდგან ამ წიგნების მკითხველები უმეტეს ნაწილად ყმაწვილები არიან. შეიძლება ცუდად დაწერილმა საყმაწვილო წიგნმა სამუდამოდ გარყვნას და დაამახინჯოს ბავშვის ზნეობრივი ბუნება; გამოიყვანოს იგი საზოგადოების მავნე წევრად და

[1] დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ. 1985, გვ. 58.

ხორცმეტად"[1]. კრიტიკოსი დარწმუნებულია, რომ საყმაწვილო წიგნების დაწერა ყველა მწერალს არ შეუძლია. მისი აზრით, საყმაწვილო ნაწარმოებების გმირებად გამოყვანილები უნდა იყვნენ არა მარტო ბავშვები, არამედ დიდებიც, ოღონდაც ამათს მოქმედებას ჰქონდეს ბეჭედი ზნეობითის სიმაღლისა და სიფაქიზისა... ზნეობრივი სწავლა, თვალსაჩინოდ გამოხატული, უფრო ძლიერად მოქმედებს ბავშვის ზნეობითს აღზრდაზე, ვინემ მშრალ-მშრალი უნიადაგო დარიგებანი დედისა და გადიისა"[2].

ი. ფერაძის აზრით, ისტორიული შინაარსის საყმაწვილო ნაწარმოებები ერთ საუკეთესო საშუალებათაგანია ახალი თაობის ზნეობრივად აღზრდისათვის.

კრიტიკოსი სამართლიანად შენიშნავს, რომ ი. გოგებაშვილს კარგად ესმის ბავშვის ბუნების მოთხოვნილებანი, მისი სულიერი ცხოვრება; მწერლის ყოველი ნაწარმოები ბავშვის ბუნების მოთხოვნილებებთან არის შეხამებული და თავის ნაწერებში ერიდება საროშანო სცენებსა და ფაქტებს, რადგან კარგად იცის, რომ ასეთი სცენები და ფაქტები ცუდ გავლენას მოახდენს ბავშვის ზნეობრივ განვითარებაზე.

მოთხრობაში გადმოცემულია სამშობლოს თავგანწირული სიყვარული პატრიოტი ქართველებისა. ნაჩვენებია ის სამაგალითო გმირობა და ვაჟკაცობა, „ასპინძის გმირმა" რომ ჩაიდინა, ის დიდი სიყვარული სამშობლოსადმი, რომელმაც ძალა შეჰმატა და უთანასწორო ბრძოლში ბრწყინვალე გამარჯვება მოაპოვებინა. ერეკლე მეორის სახით ი. გოგებაშვილმა დაგვიხატა სამშობლოს სიყვარულით განმსჭვალული პატრიოტის იდეალი, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიურის ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავგამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია..."[3]

ილია ფერაძის აზრით, ისტორიულ წარსულზე რაც უფრო მეტ ნაწარმოებებს მიიღებს ჩვენი მომავალი თაობა, მით უფრო განუვითარდება სამშობლოსა და დედაენის სიყვარული.

---

1 „ივერია", 1895, № 152, გვ. 3.

2 იქვე.

3 ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. 1, გვ. 371.

„ასეთს გავლენას იქონიებს უეჭველად ჩვენს ახალ თაობაზედ ბ. იაკობ გოგებაშვილის მიერ დაწერილი ამბავი: „ასპინძის ომი", რომელიც შედგენილია თანახმად ზემოთქმულ ჩვენ მოსაზრებათა".

პროფ. ს. ხოსიტაშვილი წიგნში „ასპინძის ომი" ეხება ინ-ფარის მიერ 1895 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილს ი. გოგებაშვილის მოთხრობის შესახებ, საიდანაც ერთ ამონაწერს გვთავაზობს და აღნიშნავს:

„ერეკლე და მისი მცირე რაზმი ასპინძის მიდამოებში იბრძოდნენ არა მარტო თავის თავის დასაცავად, არა სახელის მოსაპოვებლად, არამედ მთელის ქრისტიანობისათვის; ამ ომში ისინი გამსჭვალულნი იყვნენ ქრისტიანობის იდეებით". ასეთი შეხედულება ქართლ-კახეთის ლაშქრის გმირულ ბრძოლებზე სამხრეთ-საქართველოს განთავისუფლებისათვის ისტორიული ფაქტის გულუბრყვილო შეფასებაა. ერეკლეს ლაშქრობა ამ მხარეში წმინდა პოლიტიკური მოსაზრება იყო. მეფეს უნდოდა საქართველოს ეს მიწა-წყალი ისევ საქართველოსათვის დაებრუნებინა"[1]. ილია ფერაძე[2] თავის წერილში ცოტა ქვემოთ სწორედ ამ შეხედულებას ავითარებს და ჩვენი აზრით აქ სადაო არაფერი არ უნდა იყოს. კრიტიკოსი წერს: „თვით ომის დროს მტრებთან ქართველს მშვენივრად ესმოდა აზრი ომისა, ის არ ომობდა გაუგებრად, — ბრმულად, როგორც დაჭირავებული მეომარი, ის გრძნობდა, რომ თვისის სისხლით იხსნის სამშობლოს მომავალს შავბნელი ხვედრისაგან; მას გულის ფიცარზე ეწერა შემდეგი სიტყვები შოთასი:

> „ეგე ამბად არ ეგების
> რომე სპარსნი გაგვიხასდეს" (გაგვიბატონდეს)".

ილია ფერაძე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ მეფე ერეკლეს ამ ომით უნდოდა სპარსეთისათვის წაერთმია და საქართველოსათვის შემოეერთებინა ადრე მიტაცებული ჯავახეთი და ახალციხის მხარე და რომ სამშობლოს თავგანწირული

---

[1] ს. ხოსიტაშვილი, ასპინძის ომი, 1972, გვ. 38.

[2] ინ-ფარი შეცდომით მიჩნეულია ილია ბახტაძის (ხომლელი) ფსევდონიმად, სინამდვილეში კი ამ ფსევდონიმით წერდა ცნობილი პედაგოგი და კრიტიკოსი ილია ფერაძე — ზ. ბ.

სიყვარულის გამომხატველნი არიან ერეკლე და მისი მცირე რაზმი[1].

ი. გოგებაშვილი საფუძვლიანად იცნობდა ასპინძის ომის ისტორიას და სწორედ ამ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით შექმნა მშვენიერი მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა „ასპინძის ომი“.

1897 წელს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ წერდა: „ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი: „მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“, ისტორიული მოთხრობა ჩვენის პედაგოგის ბ-ნის იაკობ გოგებაშვილისა. ეს მოთხრობა... ეკუთვნის ავტორის იმ მოთხრობების სერიას, რომელთაც აზრადა აქვსთ მკითხველს თვალწინ წარმოუდგინოს დიდებით სავსე წარსული დრო ქართველთა“[2].

„მეფე ერეკლე და ინგილო ქალი“ იაკობ გოგებაშვილის მიერ ისტორიულ თემებზე დაწერილ მოთხრობათა შორის ერთ-ერთი საუკეთესოთაგანია. თხზულება იმით იწყება, რომ 1795 წელს ჭარის ლეკების დამარცხების შემდეგ მეფე ერეკლე, რომელიც სახელოვან ქართველთა ჯარს წინ მიუძღოდა საინგილოთი შინ ბრუნდებოდა. ერთ განიერ ორღობეში მეფეს თორმეტიოდე წლის გოგონამ ერთი მუჭა ქლიავი გადმოაყარა. მეფის მხლებელნი სწრაფად აცვივდნენ ღობეზე და განრისხებულებმა გოგონას შესძახეს: „შე ბრიყვო, შე საძაგელო, ეს რა ჰქენი? მეფე ერეკლეს თავზე ქლიავის გადმოყრა როგორ გაუბედე? ჩამო ეხლავ ხიდან და ბოდიში მოიხოვე მეფის წინაშე, თორემ შავი დღე დაგადგება“. ინგილო გოგონა განცვიფრდა და ზემოდან ჩამოსძახა, რომ ის ქართველთა სახელოვანი ერეკლე მეფე რომ იყოს სპარსულ ჭუდს თავზე არ დაიხურავდაო და დაუმატა: „მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელს თათარს, ჩვენ მოსისხლე მტერს, და არა მეფე ერეკლეს, რომელიც ყველა ქართველებს ღმერთივით გვიყვარს“, ტყუილად მემუქრებით, არც ძირს ჩამოვალ და არც ბოდიშს მოვუხდიო.

მეფე ერეკლე მოიხიბლა პატარა გოგონას სითამამით, მისი გულწრფელი პატრიოტული სულისკვეთებით. ერთი გულიანად გადაიხარხარა, მოიხადა სპარსული ჭუდი, რომლის ტარე-

[1] „იველია“, 1895, № 152, გვ. 3.

[2] „ცნობის ფურცელი“, 1897, № 233, გვ. 2.

ბასაც ბაეშვობიდან მიეჩვია სპარსეთში ყოფნის დროს და სიხარულით აღსავსე ასეთი გულმხურვალე სიტყვებით მიმართა გოგონას: „ყოჩაღ, ქალო! სრულიად მართალი ხარ. სპარსული ქუდი სწორედ რომ არ უნდა მეხუროს მე. ქართველი მეფე გარეგნობითაც, ტანისამოსითაც ქართველი უნდა იყოს. კარგი, ჩინებული დარიგება მომეცი შენ მაგ ქლიავის სროლითა. ბარაქალა შენ ქართველ ქალობასა!“ მეფე ერეკლემ ინგილო გოგონა მთელი ბღუჯა თეთრი ფულით დააჯილდოვა. აქ კარგად ჩანს მეფე ერეკლეს კაცთმოყვარე ბუნება, ის დიდი გრძნობა, რომელიც დიდსა თუ პატარაში ღრმად იყო ფესვგადგმული თავიანთი სახელოვანი მეფის მიმართ.

მოთხრობის მეორე თავში იაკობ გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს უამბობს ამ ფაქტიდან რამოდენიმე წლის შემდეგ ინგილო გოგონას ქორწილის ამბავს. იაკობ გოგებაშვილი აქ კიდევ უფრო ნათელ ფერებში გადმოგვცემს მეფე ერეკლეს გულუხვობისა და ხალხის დიდ სიყვარულს, მათთან სიახლოვეს, რასაც ასე აფასებდნენ იმდროინდელი მისი ხელქვეითნი და ერთ დაძახებაზე მის გვერდით აღმოჩნდებოდნენ საყვარელი მეფისა და მშობლიური მიწის დასაცავად. დაიწყო თუ არა ქორწილი, დარბაზის კარი შეაღო ერეკლეს მიერ გაგზავნილმა ახალგაზრდამ, რომელმაც პატარძალს მეფის მიერ გამოგზავნილი ბაჯაღლო ოქროთი სავსე ვეებერთელა ქისა გადასცა; ამავე დროს მათ კარზე მოადგათ მზითევით დატვირთული რამოდენიმე ურემი. იაკობ გოგებაშვილი ასე გადმოგვცემს იმ დიდ სიხარულს, რომელმაც მოიცვა მეფე-დედოფლის ოჯახი და მთელი საინგილო: „დატრიალდა ისეთი სიხარული, ასტყდა ისეთი ქება და დიდება ერეკლესი, მისი კაცთ-მოყვარეობისა, რომ არც ენით ითქმის და არც კალმით აიწერება სავსებით. არ დარჩა არც ერთი ლექსი იმ მრავალ სადიდებელ ლექსთაგან, რომელნიც ერეკლეზე იყვნენ გამოთქმულნი, რომ არ ემღერნათ სტუმრებს უსაზღვრო აღტაცებით. მღეროდნენ კაცნიც, ქალნიც, დიდნიც და პატარანიცა და ადიდებდნენ მეფე ერეკლესა. მეტადრე დედოფალი სწორედ სამოთხის ნეტარებას გრძნობდა. ისე მზითეული არ ახარებდა, როგორც ყურადღება სათაყვანო მეფისა“. ეს ხმა მთელს საინგილოში გავარდა და თითოეული ინგილო ამ საჩუქარს საკუთარ ჯილ-

დოდ თვლიდა, „და ეს განაპირი კუთხე საქართველოსი ჩრდილად აივსო მხურვალე მადლობით და უზომო ერთგულებით მეფისადმი“.

მოთხრობის უკანასკნელ ნაწილში იაკობ გოგებაშვილი აცოცხლებს კრწანისის ისტორიული ბრძოლის სურათებს, სადაც ღრმად მოხუცებული მეფე მხნედ და გულადად ებრძოდა თავისი ხუთი ათასი ქართველით სამოცდაათი ათას სპარსელს. სწორედ აქ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის დროს მეფის გვერდით ორი ნორჩი ვაჟკაცი იბრძოდა, რომელნიც თავიანთი საოცარი თავგანწირულებით მეფისათვის უველას უურადღებას იპყრობდნენ. ორივე მეფესა და საქართველოს წარბშეუხრელად შეეწირნენ. ეს ყმაწვილები ინგილო ქალის შვილები, მეფე ერეკლეს ნათლულები იყვნენ.

ღრმად შთამბეჭდავია მოთხრობის ფინალი. როგორ შეხვდა დედა თავისი შვილების დაღუპვას? აი, სწორედ აქ მოჩანს ის ღრმა სიყვარული სამშობლოსადმი, რომლითაც ხასიათდებოდნენ ქართველი დედები და სამშობლოს ბედნიერების სამსხვერპლოზე მიჰქონდათ თავიანთი ვაჟკაცების სიცოცხლე. ინგილო ქალი, ღრმა მწუხარებით მოცული თრთოლვით წარმოთქვამს: „ვმადლობ, მხურვალედ ვმადლობ უფალსა, რომ მან აღირსა ჩემს შვილებს გმირული სიკვდილი, სიკვდილი სახელოვანი მამულიშვილებისა... ტყუილად-კი არ მძულდნენ პატარაობიდანვე სპარსელები ისე ძლიერ, რომ მზად ვიყავი ყოველს მათს დანახვაზედ ზედ შევკდომოდი. გული თითქოს მაშინვე მეუბნებოდა, რომ ეს მტარვალები შენცა და შენს საყვარელს საქართველოსაც დიდს უბედურებას მიაყენებენო. და აჰა წინად-გრძნობა გულისა მთლად ამიცხადდა“. დედის სიტყვებში აშკარად იგრძნობა ის დიდი გულისტკივილი, რაც შვილების სიკვდილმა გამოიწვია მის არსებაში. მიუხედავად ამისა იგი ქედს არ იხრის და განაგრძობს, რომ ღვთის წყალობით მას კიდევ ჰყავს ოთხი ვაჟი და ორი ქალი, რომელთაც გულმხურვალე მამულიშვილებად გაზრდის და სხვა ქართველი დედების მიერ აღზრდილ მამულიშვილებთან ერთად მტერს სამაგიეროს გადაუხდიან და საქართველოს ბედნიერ მომავალს მოუპოვებენ.

ქართველი მკითხველი საზოგადოება აღტაცებული შეხვდა იაკობ გოგებაშვილის „მეფე ერეკლე და ინგილო ქალის“ გა-

მოსვლას. ამ მოთხრობას დღესაც გატაცებით კითხულობს მოზარდი თაობა.

იგი მკაცრად გააკრიტიკა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გ. წერეთელმა. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ მოთხრობა რომელიმე უმნიშვნელო მწერლის კალამს რომ ეკუთვნოდეს, კრიტიკას არ ვაღირსებდითო, ხოლო ვინაიდან „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ისეთი დამსახურებული პირის ნაწარმოებია, „რომლის თხზულებას ყურადღებით კითხულობს ჩვენი ხალხი და შეუძლია მის გონებრივს განვითარებაზე იქონიოს კარგი, თუ ცუდი გავლენა, ამისთვის ჩვენ ვერ დავიდუმებთ და არ შეგვიძლია ვაპატიოთ ზოგიერთი ნაკლულოვანება ამ სახალხო მოთხრობას, რომლის მეოხებით ბუნებრივი ესტეტიური გრძნობა მკითხველისა იმის კითხვის დროს უნდა შეილახოს და ცრუ წარმოდგენა უნდა შეითვისოს ჩვენს წარსულზე“[1]. კრიტიკოსის აზრით, პატარა მკითხველს ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ ცრუ წარმოდგენა შეექმნება ჩვენს წარსულზე. მას დაუჯერებლად მიაჩნია ის ფაქტი, რომ თორმეტი წლის გოგონა იმ ზომამდე გაუტიფრებულიყო (ქლიავი რომ გადმოაყარა მეფეს. — ზ. ბ.), როგორც იგი ავტორს ჰყავს დახატული.

ი. გოგებაშვილი ღრმა პედაგოგიური მოსაზრებითა და ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნით აღიარებს, რომ სწორედ თერთმეტ-თორმეტი წლის გოგონას შეუძლია გამოიჩინოს ასეთი გამბედაობა, ვინაიდან ამ ხნის გოგო განთავისუფლებულია ბავშვური სიმხდალისაგან და ქალწულებრივი სიმორცხვე არ გააჩნია. „ქართველი ქალი ყოველთვის ცნობილი იყო მორცხობით, მოკრძალებით და ინგილო გოგო როგორ გამოიჩენდა იმისთანა კადნიერებასაო, — წერს ი. გოგებაშვილი და განაგრძობს: ბარემ ესეც დაემატებინათ: ქართველი ქალი ხეზედ ასული ვის უნახავსო. ამ მორცხობას იგინი არ დაებღაუჭებოდნენ თუ არ დავიწყებოდათ, რომ ქართველი ქალი წინედ, როცა კი გარემოება მოითხოვდა, იჩენდა სწორედ ვაჟკაცურს უნარსა და უშიშროებასა“[2].

გ. წერეთელს მოთხრობაში ყალბად მიაჩნია ის ადგილიც,

---

[1] „ქვალი“, 1897, № 28, გვ. 536.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი. ტ. 3, 1954, გვ. 115-116.

როდესაც ინგილო გოგონა მეფე ერეკლესა და მის ჯარს დაიხახავს: „უფრო დასაჯერებელია, რომ როცა იგი დაინახავდა უცხო ჯარს, თავის მეფით მომავალს, ან საჩქაროდ ჩამოვარდებოდა ქლიავიდან, რომ დამალულიყო, რადგან შეთვისებული ეთიქა უცხო კაცებთან მოკრძალვისა ნებას არ მიცემდა გამოჩენილიყო, ან და, შესაძლებელია, შიშით ზარდაცემული თვით ქლიავის ხეს შეაშეშდებოდა", — წერს კრიტიკოსი.

ინგილო გოგონამ რომ მეფე ერეკლე ვერ იცნო და იგი მოსისხლე სპარსელი ეგონა თვით მოთხრობიდანაც ნათლად ჩანს. როდესაც მეფის მხლებელნი ინგილო გოგონას გაურისხდებიან — მეფე ერეკლეს თავზე ქლიავის გადმოყრა როგორ გაუბედეო, ის განცვიფრებული პასუხობს:

— „რაო? მეფე ერეკლეო?.. რას ამბობთ? ეგ რომ ჩვენი სახელოვანი მეფე ერეკლე იყოს განა სპარსულს ქუდს თავზე დაიხურავდა? არა, ეგ ტყუილია. მე ქლიავი თავზე გადმოვაყარე სპარსელს თათარს, ჩვენს მოსისხლე მტერსა, და არა მეფე ერეკლეს რომელიც ყველა ქართველებს ღმერთივით გვიყვარს..."[1]

გ. წერეთელმა ვერ გაითვალისწინა, რომ ინგილო გოგონამ ქლიავი გადმოაყარა არა ერეკლე მეფეს, არამედ სპარსელ მოსისხლე მტერს.

ინგილო გოგონას სახით მწერალმა დაგვიხატა პატრიოტი ბავშვის სახე, რომელსაც ეზიზღება სამშობლოს დაუძინებელი მტრები, ერთის მხრივ ლეკები, ხოლო მეორე მხრივ სპარსელები.

არასწორია გ. წერეთლის მოსაზრება, თითქოს ინგილო ქალი ცოცხალ არსებად, „თავისი შესაფერი ბუნების თვისებით შემკულად" კი არ გვეჩვენება, არამედ მოლაპარაკე ტიკინად, რომლის უკან თვით ავტორი იმალება და იქიდან „თავის აზრებს აჭიჭყინებიებს..."

გ. წერეთელს ვერ წარმოუდგენია, რომ გლეხის გოგოს სამშობლოსა და მეფის ასეთი ღრმა სიყვარული შეეძლოს: „უნდა იკითხოს კაცმა, ნეტა რომელ პატრიოტულ ინსტიტუტში ყოფილა ის დალოცვილის შვილი გამოზრდილი. ჩვენც ბევრი გვყვანან ახლანდელ დროში პატრიოტულ ინსტიტუ-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 9, 1962, გვ. 117.

ტებში გაზრდილი მანდილოსნები, მაგრამ პატრიოტობა რა ხილია, არც კი იციან," — წერს გ. წერეთელი.

ი. გოგებაშვილი კრიტიკოსს დასაბუთებულ პასუხს აძლევს: „...უცხო ვინმემ რომ წაიკითხოს ეს სტრიქონები, ეგონება, რომ საქალო სასწავლებლებში პირველი ადგილი უჭირავს ქართულს ენასა, ლიტერატურასა, გეოგრაფიასა, ისტორიასა და მამულის სიყვარულის დანერგვას და აღორძინებასა. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იქ სწავლას ასულდგმულებს და აცხოველებს სრულიად სხვა მიმართულება, სხვა მიზანი და დანიშნულება. ინგილო ქალები წინანდელს დროში სრულიად სხვა სკოლაში იზრდებოდნენ. ეს იყო სკოლა ცხოვრებისა, ძლიერ სასტიკისა, სკოლა შეუწყვეტელის ბრძოლისა მტერთა წინააღმდეგ, ბრძოლა დასაცველად თავისი მამულისა, კერისა, ოჯახისა, ენისა, სჯულისა, ქართველობისა. ამისთანა სკოლა ყველგან და ყოველთვის აძლიერებდა მამულიშვილობას და საინგილოშიაც უნდა აეღორძინებინა. საზოგადოდ შენიშნულია, რომ განაპირა კუთხეები ქვეყნისა, სადაც მტერი უფრო ახლოა, ბრძოლაც ხშირია და ეროვნებას მეტი შიში მოელის, მამულის სიყვარული ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შუაგულს ადგილებში"[1].

ი. გოგებაშვილმა ერეკლე მეფის სახის შექმნით დაგვანახა დიდი სარდლის სტრატეგიული ნიჭი და ამავე დროს მისი სიახლოვე ხალხთან, მისი დემოკრატიული ბუნება. სამწუხაროდ, ცდება ჩვენი კრიტიკოსი, როდესაც ამბობს, თითქოს მეფე ერეკლემ ინგილო გოგონას წინაშე მეფისათვის შესაფერი გონიერება ვერ გამოიჩინაო.

ი. გოგებაშვილმა გ. წერეთლის ასეთი გამოლაშქრება „უძლურ ბოროტებად" ჩათვალა და დასაბუთებული პასუხი გასცა. დიდი პედაგოგი სწორად აღნიშნავს, რომ მოულოდნელად ქლიავის თავზე დაყრამ მეფე კი არ განარისხა, გააოცა და როცა დარწმუნდა, რომ პატარა გოგონას თურმე მისი მტრობა კი არ ამოძრავებდა, არამედ დიდი პატრიოტული გრძნობა და მეფისადმი სიყვარული, აღტაცებული დარჩა. აღტაცება რომ არ გამოეჩინა, მაშინ არ ემგვანებოდა ნამდვილ ერეკლესო.

ნაწარმოები მთლიანად გამსჭვალულია ხალხის დიდი პა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954, გვ. 117.

ტივისცემითა და სიყვარულით გმირი ერეკლე მეფისადმი. მწერალმა ბრწყინვალე ფერებში დაგვიხატა პატრიოტი ქართველი დედის სახე, რომელიც წარბშეუხრელად სწირავს სამშობლოს თავის შვილებს.

გ. წერეთელი განაგრძობს, რომ ინგილო „გოგოცუნამ", რომელიც შემდეგ ინგილო დედა გახდა, ორი პატრიოტი შვილი გამოზარდა, „რომელნიც ბოლოს კრწანისის ველზე უნდა გამოტყვრნენ... მეფეს გვერდით უნდა ამოუდგნენ და მის მოსახვედრ ტყვიებს და მახვილს თვითონ იხვედრებდნენ... მაგრამ როგორც გმირის ჩვეულებაა, რაკი მეფე დამარცხდა, ბოლოს ისინიც ბრძოლის ველზე უნდა დაცემულიყვნენ. ახლა ვიკითხოთ, როგორ მიიღებდა ინგილო დედა თავის ორი მამაცი შვილების სიკვდილს?"[1]

კრიტიკოსი დედას გულცივობას სწამებს. მწერალი კი მეტად ოსტატურად გვიხატავს პატრიოტი დედის ტრაგედიასა და ამ ტრაგედიით გამოწვეულ მტერზე შურისძიების გრძნობას.

ილია ჭავჭავაძემ პატრიოტ ქართველ დედას („ქართვლის დედა") ერთად-ერთი შვილი გააგზავნინა მტერთან საბრძოლველად. ამ ძნელბედობის ჟამს ყველა _ პატრიოტი მშობლის სულს ერთი აზრი და მიზანი ამოძრავებდა:

„ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი..."

ი. გოგებაშვილის პატრიოტი ქართველი დედა საინგილოდან თამამად შეგვიძლია ი. ჭავჭავაძის ზემოხსენებული ნაწარმოების მთავარ მოქმედ გმირს ამოვუყენოთ გვერდით.

პატრიოტული გრძნობა ადამიანს პირველად ოჯახმა უნდა შთაუნერგოს შესაფერისი ისტორიული და გეოგრაფიული ხასიათის მოთხრობების კითხვით. ისტორიულმა ნაწარმოებებმა ბავშვს უნდა გააცნოს თავისი სამშობლოს წარსული სურათები, უჩვენოს, რა დიდი ტანჯვა და განსაცდელი გამოიარა მან საუკუნეების განმავლობაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქედი არ მოუხრია მტრის წინაშე და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იცავდა თავისი მიწის ყოველ მტკაველს.

XVIII საუკუნის საფრანგეთის დიდი განმანათლებელი

---

[1] „ჯვალი", 1897, № 29, გვ. 547.

ჟან-ჟაკ რუსო ბავშვების აღზრდაში უპირველეს როლს სამშობლოს სიყვარულის გაღვივებას, პატრიოტული გრძნობის ჩასახვას ანიჭებდა. ის ამბობდა, რომ ბავშვი თვალის ახელიდან სიკვდილამდე მხოლოდ თავის სამშობლოს უნდა ხედავდესო[1].

გ. წერეთელს ი. გოგებაშვილის მიერ მოტანილი ამბები ავტორის ტენდენციად მიაჩნია. მისი აზრით, „ტეტიათა მოტრფიალე" ტენდენციამ, რომლის ტიპიურ წარმომადგენლად ი. გოგებაშვილს თვლის, ოთხმოციან წლებში ჩვენი ლიტერატურის ნამდვილ ხელოვნებას სწორი გზიდან გადაახვევინა და ქართულ ლიტერატურაში ცრუ ტენდენციის გამომხატველი მიმართულება დააარსა. სწორედ ასეთი ლიტერატურული მიმართულების ნაყოფი გახლავთ ეს სახალხო თხზულებაცაო („ერეკლე მეფე და ინგილო ქალი". — ზ. ბ.). გ. წერეთელმა ასეთი „ცრუ გამოხატულების მოთხრობა" ბავშვებისათვის სრულიად შეუფერებლად მიიჩნია.

ჩვენ აქ მოვიყვანთ ი. გოგებაშვილის პასუხის ერთ ნაწყვეტს გ. წერეთლისადმი, სადაც დიდი პედაგოგი საფუძვლიანად ასაბუთებს თავის მოსაზრებასა და მოთხრობის დაწერის მიზანს:

„მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ კაი ხანია აღმოჩნდნენ საქართველოს კეთილის მყოფელნი, აშორდიები, რომელნიც მეგრელებს ჩასჩიჩინებენ: თქვენ ქართველები არა ხართ, განზედ გადექით, განცალკევდით, განსწყვიტეთ ქართველებთან ძველთაგან ძველი კავშირი. ბუნებისაგან შექმნილი და ღვთისაგან ნაკურთხი დაარღვიეთო. სწორედ ამისთანავე კეთილის მყოფელნი აღმოუჩნდნენ ბოლოს წლებში ჩვენს აღმოსავლეთის ძმებს — ინგილოებს, რომელნიც ჩასძახიან, რომ თქვენ ჩამომავლობით თათრები ხართ და არა ქართველებიო, წირვა-ლოცვა თქვენში სწარმოებს თათრულს ენაზედ, ამავე ენაზედ უნდა იბეჭდებოდეს თქვენთვის წიგნები თათრული ანბანითაო და სხვანი"[2].

ი. გოგებაშვილი თვლის, რომ ეს უცნაური და უკუღმართი წადილი მარტო საინგილოსათვის კი არ არის მავნებელი, არა-

---

[1] Жан-Жак Руссо, Трактаты, 1969. გვ. 456.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 3, გვ. 120.

მედ, როგორც სამეგრელოს ჩამოშორება აზარალებს მეგრელებს, ისე დაასუსტებს იგი სხვა ქართველებსაც. ამგვარადვე იმოქმედებს ინგილოების მოწყვეტა ჩვენი ქვეყნისაგანო.

სწორედ ამ უდიერმა და ყოვლად უსამართლო ტენდენციამ დააწერინა ი. გოგებაშვილს „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი". მოთხრობაში მწერალს სურდა ხმამაღლა ეღიარებინა მათი ნამდვილი ქართველობა და ღვიძლი ძმობა ქართველებთან, საქართველოსა და მისი მეფის ერთგულება და სიყვარული.

ქართული საბავშვო ლიტერატურის კლასიკოსის ეს პატარა მოთხრობა დღესაც დიდი ინტერესით იკითხება მოზარდი თაობის მიერ და ხელს უწყობს მათში პატრიოტული გრძნობის გაღვივებას.

გ. წერეთლის უდიდესი შეცდომა ისიცაა, რომ ი. გოგებაშვილი მან „ტეტიათა მოტრფიალედ" მონათლა, მაშინ, როდესაც ი. გოგებაშვილი საკმაოდ შორს იყო ხალხოსნური („ტეტიათა მოტრფიალეების") მსოფლმხედველობისაგან.

ი. გოგებაშვილის ისტორიული ნაწარმოებებიდან გამოირჩევა მოთხრობა „სხივი წარსულისა", რომელიც 1898 წელს გამოიცა პატარა წიგნად. წიგნაკს გარეკანზე აწერია: „ამ წიგნაკის წმინდა შემოსავალი მიემატება იმ ფულს, რომელიც იკრიბება მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის გასაახლებლად".

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოები რელიგიურ ხასიათს ატარებს, მან დიდი როლი ითამაშა იმდროინდელი ახალი თაობის პატრიოტულად აღზრდისა და ჩამოყალიბების საქმეში. აქ „მოთხრობილია „ქართლის ცხოვრების" თანახმად იმის ამბავი, თუ ერთხელ ალმუთის მიდამოებში როგორ გადაარჩინა უსამართლოდ მონგოლთაგან გაჟლეტას ქართველი ჯარი ყოვლად-წმინდა ღვთისმშობელმა, რომლის წინ-ხდომილია საქართველო..."[1]

როგორც ცნობილია მონღოლებთან ბრძოლაში მიღებული ჭრილობის შედეგად მეფე გიორგი-ლაშა დაავადდა და გარდაიცვალა 1222 წელს. მას მემკვიდრე არ დარჩენია და ამიტომ მეფედ აკურთხეს მისი და რუსუდანი. ჟამთააღმწერლის ცნობით „ვითარ აღსრულდა მეფე, შეკრბეს ყოველნი წარჩინებულნი მის სამეფოსანი, იმერნი და ამერნი, კათალიკოსნი

[1] „ცნობის ფურცელი", 1899, № 19, გვ. 3.

ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოფსით ვიდრე დარუბანდამდე, ყოველი ბოროტებასა ქუეშე მათსა მყოფნი, და მეფე ყუეს რუსუდან, და დასუეს საყდართა სამეფოთა, და მოულოცეს მეფობა წესისაებრ“[1].

მოთხრობის პირველ თავში ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს თვალწინ გადაუშლის იმ შავბნელ პერიოდს საქართველოს ისტორიისას, რომელიც თამარ მეფის გარდაცვალებას მოყვა. „თამარის სიკვდილის შემდეგ თორმეტი წელიწადი ჯერ არ გასულიყო, რომ ბედნიერს საქართველოს უცებ შემოესია ველური და შეუბრალებელი მტერი. ეს მტერი იყო მონგოლთა ჯარი. მეთორმეტესა და მეცამეტე საუკუნეში მონგოლები, რჯულით მაჰმადიანნი, იყვნენ უძლიერესნი მეომარნი და მათ დაიპყრეს ჩინეთი, ინდოეთი, სპარსეთი, რუსეთი და კიდევ სხვა ქვეყნები“, — წერს ავტორი და განაგრძობს, რომ თუ ასეთმა უზარმაზარმა სახელმწიფოებმა ვერ მოიგერიეს ეს მტერი, მითუმეტეს ვერ გაუმაგრდებოდა მას პატარა საქართველო.

საქართველომ ვერ გაუძლო შემოტევას და მძიმე უღელი დაიდგა.

მოთხრობის მეორე თავში გადმოცემულია საქართველოში ფეხმომაგრებული მონღოლების მიერ, სამხრეთით, მცირე აზიაში მდებარე ქვეყნის — ალმუთის დამორჩილების ცდა. ოთხივე ნოინი — ჩორმაღანი, ჩაღატა, იოსური და ბიჩოი, რომელნიც თავიანთი ჯარებით გამაგრებული იყვნენ საქართველოში, ალმუთისაკენ გაეშურნენ. „წარმოვიდეს ესე ოთხნი ნოინნი — ჩორმაღანი, ჩაღატა, იოსური და ბიჩოი, — გამოველეს ჯეონ და ხუარასანი ვითარ ორმოცი ათასითა კაცითა და დედაწულითა, მივიდეს ქუეყანასა ალმოთისასა და წინა განეწყუნეს, და დიდად ავნეს“[2], — გადმოგვცემს ჟამთააღმწერელი. იაკობ გოგებაშვილი მოგვითხრობს, რომ ალმუთის მცხოვრებნი იყვნენ ძლიერ მხნენი, ეშმაკნი და ვერაგნი; ისინი მტერთან პირდაპირ ბრძოლას ერიდებოდნენ, გზებში უსაფრდებოდნენ და ღამით მოულოდნელად დაეცემოდნენ ხოლმე. შვიდი წლის განმავლობაში ცდილობდნენ მონღოლე-

[1] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 168.

[2] იქვე, გვ. 184.

ბი მათ დამორჩილებას, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. შეწუხებულმა ალმუთელებმა გადაწყვიტეს ეშმაკურად მოეცილებინათ მტერი. „ამ განზრახვით ალმუთელებმა თავიანთ შორის ამოირჩიეს ერთი ჩუმს მკვლელობაში დახელოვნებული კაცი და დაავალეს, რომ მიჰპაროდა ღამით მონგოლთა ჯარსა, ჩუმად შეპარულიყო მთავარ-ნოინის კარავში და მოეკლა იგი ისე ფარულად, ისე საიდუმლოდ, რომ ვერავის ვერ შეეტყო, და ეს მკვლელობა ქართველებისათვის დაებრალებინათ მონგოლებსა". მონგოლებმა ალმუთელთა დასალაშქრავად ქართველთა ჯარიც წაიყვანეს, რათა მათ საქართველოში არყოფნის დროს საქართველო არ განთავისუფლებულიყო მათი ბატონობისაგან. ალმუთელები ფიქრობდნენ, რომ მონგოლები და ქართველები ერთმანეთს დაერეოდნენ და მათ გაუადვილდებოდათ მტრის განდევნა თავიანთი ქვეყნიდან. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „დღესა ერთსა წარმოგზავნეს ალმუთელთა მუღიდი ჯელოვანი, მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩაღატა ნოინისათა, შეკიდა კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი რომელ ვერავინ ცნა. და ვითარ განთენდა, იხილეს კარვის მცველთა, ჩაღატა ნოინი მოკლული იყო, იწყეს ტირილად და ტყეპად და ვაებად; რომელ იხილეს სპათა ჩაღატა ნოინისთა, მირბიოდეს და იხილეს მათცა, რომე მომკუდარ იყო ჩაღატა, არა უწყოდეს ვისგან იყო"[1]..

განრისხებული მონღოლთა ჯარი გაქანდა ქართველთა ბანაკისაკენ შურის საძიებლად. საგონებელში ჩავარდნილ ქართველთა ჯარს ამ დროს სამაგალითო გმირად მოევლინება მთავარი წინამძღოლი ქართლის ერისთავი გრიგოლ სურამელი, რომელსაც არაფრად უღირდა სამშობლოს ბედნიერი მომავლის სამსხვერპლოზე საკუთარი სიცოცხლე მიეტანა. ქართველთა ჯარში ზოგნი საომრად ემზადებოდნენ, ზოგი კი ამშვიდებდა მათ და ურჩევდა თავი შეეკავებინათ, რათა ამოდენა მტრის წინააღმდეგ ისინი ვერაფერს გახდებოდნენ. გრიგოლ სურამელმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ჯარს: „არა, ძმებო, არ გვიჯობს ახლა ჩვენ ბრძოლა! ჩვენ რომ ახლა მტერს შევებათ, მართალია, ვაჟკაცობას გამოვიჩენთ, სახელ-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 9, გვ. 128-129.

საც მოვიხვეჭთ, მაგრამ ქვეყანას კი უპატრონოდ დავარჩენთ და დავღუპავთ. დიაღ, ბევრს მტერს დავუბნელებთ მზესა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს დიდით პატარამდე მთლად ამოჟლეტილნი ვიქნებით ძლიერის მტრის სიმრავლისაგან, და იმასაც ეს უნდა. მაშინ რა მდგომარეობაში ჩავარდება ჩვენი საქმობლო? მას მფარველი და მცველი აღარ ეყოლება, მისი საუკეთესო ჯარი ბრძოლის ველზე ეყრება, იგი დაობლდება და ურჯულო მტრის ხელში გამოივლის აუარებელს ტანჯვას და წვალებას. მონგოლნი უპატრონო საქართველოს გალეწავენ და მიწასთან გაასწორებენ... მტერი თავის ჯავრს იყრის ჩემზე და იქნება ზოგიერთს სხვა უფროსებზედაც, ჩვენ დაგვსჯის იგი, დაგვხოცავს, მაგრამ თვითონ ჯარი კი, ეს ძალა და ბურჯი ქვეყნისა, გადარჩება და იგი თავის შორის აირჩევს ახალს სარდლებსა, უპატრონებს ქვეყანასა და თავის დროზე სამაგიეროს გადაუხდის ურჯულოებს. მხოლოდ თავდადებულობა სარდლებისა იხსნის ჯარს ამოჟლეტისაგან და ქვეყანას აოხრებისაგან"[1].

[1] მოთხრობის ბოლო თავში აღწერილია ის სასწაულებრივი ამბავი, რომელიც „ქართლის ცხოვრების" მიხედვით აქვს გადმოცემული ი. გოგებაშვილს. როდესაც მონღოლთა ჯარი ქართველთა ბანაკისაკენ მიისწრაფოდა შურის საძიებლად, მაღალი ლერწმებიდან გამოვარდა ვიღაც კაცი, რომელსაც ხელში სისხლიანი ხანჯალი ეკავა და სპარსულად შესძახა: „მან ჭაუშტემ ჩაღატარ!", რაც ქართულად ნიშნავს: „მე მოვკალი ჩაღატარი!" როდესაც მონღოლებმა შეიპყრეს უცხო პიროვნება, დარწმუნდნენ, რომ ქართველთა მიერ არ იყო ნოინის მკვლელობა ჩადენილი, არამედ ალამუთელი მულიდის მიერ, რომელსაც სიტურფით მოსილი ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, რათა ეღიარებინა თავისი დანაშაული და ამით დაეხსნა უდანაშაულო ქართველები განსაცდელისაგან.

[1] ჟამთააღმწერელი აღნიშნავს: „ხოლო ამის უბიწოებისაგან დაცულნი ქართველნი დიდსა ჭირსა შინა იყვნეს თათართა მიერ, რამეთუ მიმდები და მოუწყინებელი ბრძოლა აქუნდა ალამუთელთა მიმართ, და ქართველნიცა თანა-წარჰყუან და ორად

---

[1] იაკობ გოგებაშვილი, საგანძური, 1982, გვ. 324-325.

განყოფილნი იყუნიან, და თჳითოეულნი ერისმთავარნი თჳთოსა ნოისსა დააგნეს ურთიერთას"[1].

ი. ფერაძე დადებით მოვლენად მიიჩნევს პატრიოტულ თემაზე ასეთი ნაწარმოებების შექმნას.

„საქართველოს აქვს თავისი დიდებული მრავალსაუკუნოვანი წარსული, რომელშიაც ვხედავთ მრავალს შესანიშნავ მოღვაწეებს მტკიცე ხასიათით, მრავალ საერო გმირებს, თავგანწირულთ ძამულისა და მოძმისათვის. საქართველოში სჩქეფდა დიდი ისტორიული ცხოვრება; ის იყო მოედნად შესამჩნევ ისტორიულ მოვლენათა. ქართველ ერს, თანამედროვეს ყოველის ისტორიულისა და კულტურის ერისას, აქვს თავისი მდიდარი ეროვნული კულტურა, მისის თავისებურობის, მისის ეროვნულის „მე"-ს გამომხატველი... ის დარაჯად უდგა ქრისტიანობას აზიაში წინააღმდეგ აზიისვე მძვინვარე მაჰმადიანობისა", — წერს ი. ფერაძე და განაგრძობს, რომ ისტორიული ხასიათის მონოგრაფიულ-ბიოგრაფიული ნაწარმოებები საქართველოს ისტორიიდან ძალიან ბევრი უნდა დაიწეროსო. კრიტიკოსის აზრით, ყოველ ისტორიულ მოღვაწესა და ისტორიულ მოვლენას, პირველ ყოვლისა, ზნეობრივი თვალსაზრისით უნდა ვაფასებდეთ; სწორედ ამიტომაც „პედაგოგიკა ისტორიას აკისრებს, უპირველეს ყოვლისა, ზნეობითს მოვალეობას და მნიშვნელობას სწავლა-აღზრდის საქმეში". კრიტიკოსი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ რაც უფრო გავრცელდებოდა ჩვენში ისტორიული შინაარსის პატარა საკითხავი წიგნები, ახალ თაობას კიდევ უფრო განუვითარდებოდა სამშობლოსა და დედაენის სიყვარული, გაუფაქიზდებოდა ზნეობა და გაუძლიერდებოდა ეროვნული გრძნობები.

ამგვარ ნაწარმოებებს, ილია ფერაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიდი საკეთილო გავლენა ექნებათ ჩვენს ხალხზედ და განსაკუთრებით ქართველ ახალთაობაზედ..."[2]

ისტორიული თემატიკა უდევს საფუძვლად აგრეთვე მოთხრობებს — „საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა" და „თავდადებულნი ქართველნი".

„საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისას" სიუჟე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 211-212.

[2] „ივერია", 1895, № 152, გვ. 3.

ტი „ქართლის ცხოვრებიდან“ არის აღებული და ბავშვებისათვის დამუშავებული. წიგნაკი „წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ გამოსცა 1912 წელს. ი. გოგებაშვილი პირველი გვერდის სქოლიოში წერს: „საქართველოს ისტორია წარმოადგენს ისეთს ხანგრძლივსა და რთულს დრამას, რომელსაც ასი შექსპირიც (პირველი დრამატურგი მთელის კაცობრიობისა) ვერ ამოლევსო“, სთქვა ამას წინათ ერთმა რუსთა მწერალმა. აჰა, მკითხველო, ერთი მეათასედი, ასე ვთქვათ მოქმედება ამ საოცარის დრამისა, რომლის შინაარსი ამოღებულია „ქართლის ცხოვრებიდან“.

მოთხრობის დასაწყისში ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, რომ ლაშა-გიორგის თავისი გამეფების მერე დიდხანს არ უცოცხლია. მისი უდროოდ გარდაცვალება მით უფრო სამწუხარო იყო იმიტომ, რომ მას ნამდვილი მემკვიდრე არ დარჩენია, ვინაიდან ლაშა-გიორგის კანონიერი მეუღლე არ ჰყოლია. „მას ხასად უჯდა ერთი კახელი ქალი, რომელზედაც ჯვარი ვერ დაიწერა. ეს ქალი დაბალის წოდების იყო, და მეფური ამპარტავნება ნებას არ აძლევდა ლაშას კანონიერ მეუღლედ და საქართველოს დედოფლად ეღიარებინა იგი,“ — წერს ი. გოგებაშვილი.

გარდაცვალების წინ ლაშა-გიორგიმ „მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსა თჳისასათა“ და მიმართა: „უწყი უმანკოება და ერთგულობა მეფეთა ნათესავისაგან თქვენ მკვიდრთა საქართველოსათა, შეხედვებითა ღმრთისათა მიგათუალავ დასა ჩემსა რუსუდანს, რათა ზემდგომად ჩემსა მეფე ჰყოთ, ვითარ არს ჩვეულება ნათესავისა თქუენისა. ერთგულობით მონებდით და სიმჴნითა თქუენითა დაიცევით ტახტი მეფობისა მტერთაგან უვნებელად. დაღათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სიბრძნესა და სამეფოსა საქმისა ცნობასა. თქუენ, წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იცით და გაჴსოვს წყალობა და ნიჭი და პატივი სანატრელისა და კეთილად მოჴსენებულისა, მეფეთა შორის ბრწყინვალისა, დედისა ჩემისა. ეგრეთვე, თუ ღმერთსა უნდეს დამანცა ჩემმან იცის პატივი თქუენი. აწ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავითი, ხოლო რა-

ჟამს ეძლოს მეფობა და მჯედროზა, რომელ თავით მეფე ყოს, და იგი დაადგიეთ ძეფედ და მემკვიდრედ მეფობისა ჩემისა"[1].

ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს ლაშა-გიორგის და რუსუდანის ძლიერ ურთიერთსიყვარულს, რომ მათი სიყვარული მაგალითს წარმოადგენდა და-ძმური სიყვარულისაო. ამიტომ რუსუდანს თავისი ძმისშვილიც დავითიც ძლიერ უყვარდა, მაგრამ ეს სიყვარული ნელ-ნელა გაქრა, როდესაც არზუმის სულთანის ვაჟზე გათხოვდა და საკუთარი ვაჟი გაუჩნდა, რომელსაც ასევე დავითი დაარქვა. რაც უფრო იზრდებოდა თავისი ძმისშვილი, რუსუდანს მით უფრო უძლიერდებოდა სიძულვილი, ვინაიდან ფიქრობდა, რომ „დავაჟკაცდება თუ არა ჩემი ძმის-წული ბევრნი მოინდომებენ, თანახმად ჩემის განსვენებულის ძმის ანდერძისა, ჩამომართვან მეფობა და ტახტზედ ის დასვახ. ესეც რომ არ მოხდეს და მთელს ჩემს სიცოცხლეში მეფედ დავრჩე, ჩემი სიკვდილის შემდეგ უთუოდ გაამეფებენ იმ უბრალო ხასის შვილსა და მისი ჩამომავლობა დაიმკვიდრებს საქართველოს ტახტსა".

რუსუდანმა გადაწყვიტა წუთისოფელს გამოესალმებინა თავისი ძმისწული. თუ მკვლელობა საქართველოში მოხდებოდა, ყველა გაიგებდა და ამისათვის მცირე აზიის ერთი პატარა ქვეყანა ამოირჩია, რომლის მბრძანებელ სულტანს ცოლად რუსუდანის ქალიშვილი თამარი ჰყავდა. სწორედ ამ შორეულ ქვეყანაში გაგზავნა რუსუდანმა თავისი ძმისწული, რათა თავისით დაღუპულიყო. თან წერილი გაუგზავნა თავის სიძესა და ქალიშვილს, სადაც ალბათ წერდა, „რომ თვით თქვენი სიკეთე მოითხოვს მაგ ყმაწვილის სიკვდილსაო, რადგანაც თუ მე და ჩემი შვილი ვისხდებით საქართველოს ტახტზე, ეს ქვეყანა თქვენი მეგობარი და მოკავშირე იქნება და მტერთაგან დაგიცავთ; ხოლო თუ ეგ გამეფდა, მაშინ ადვილად შეიძლება საქართველო მტრად გადაგეკიდოთ და ცუდი დღე დაგადგეთო". რუსუდანის თხოვნა არც სიძემ და არც თამარმა არ შეასრულეს, ვინაიდან თამარს ძალზე უყვარდა თავისი ბიძაშვილი. და შორეულ ქვეყანაში გადახვეწილს ერთადერთი მახლობელი და მშობლიურ ენაზე დამლაპარაკებელი გამოუჩნდა.

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 166-167.

ი. გოგებაშვილი ოსტატურად აგვიწერს რუსუდანის ბოროტ ხასიათს, მის სატანურ სწრაფვას სამეფო ტახტისაკენ და აქ გზაზე არ ინდობს თავის ერთ დროს საყვარელ ძმისწულს. როდესაც მიხვდა, მიზანს ვერ აღწევდა, მან საზარელი ცილისმწამებლური წერილი მისწერა სულტანს: „შენ ჩემს თხოვნას არ ასრულებ და დავითს ცოცხალს სტოვებ იმიტომ, რომ ჩემი ქალი ესარჩლება. რამ დაგაბრმავა? ნუთუ ვერა ხედავ, რომ ჩემს ქალს შენ სძულხარ და უყვარს დავითი არანათესაურის სიყვარულითა, და სწორედ ამის გამო თავ-გამოდებულად იცავს მაგის სიცოცხლესაო“.

დედის ენითაუწერელმა სიბოროტემ დაღუპა თავისი ქალიშვილი თამარი, როდესაც ბლტანმა საქართველოდან გამოყოლილი ქართველობა მოიშორა, მოსამსახურედ თათრები მიუჩინა და უბრძანა ქრისტიანობა მიეტოვებინა და თათრების რჯულზე გადასულიყო, ხოლო დავითი თავიდან მოშორების მიზნით მენავეებს ზღვაში გადააგდებინა. ერთ მენავეს შეებრალა უბედური ყმაწვილი და ხელში ფიცარი მისცა. გადარჩენილი დავითი ერთმა ვაჭარმა შეიფარა. როდესაც ეს ამბავი გაიგო სულტანმა განრისხებულმა დავითი ერთ ბნელ, ნოტიო და გველებით სავსე ღრმა ხაროში ჩააგდებინა და ნემოდან უზარმაზარი ლოდი დაადო. ბედისაგან სასტიკად განწირული დავითი გველებმაც კი შეიბრალეს და ხაროში ჩაგდებულს თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს: „რა დაწვის, გულში იგი რომელნიმე მოებჯუყელსა, რომელნიმე ფერჯსა, და სხუანი უბესა, სხუანი გუერდსა უწვიან. და ვითარ ეძინა და გარდაიქცეოდა რა გუერდსა ზედა, მჯრითა დააჭირა გუელსა ერთსა, რომელმან მჯარსა სასტიკად უკბინა, ხოლო სხუათა გუელთა დაიჭირეს გუელი იგი მკბენელი დავითისი, და იწყეს ენითალოკად წყლულთა მათ ყრმისასა, და მყის განუკრნეს დავით, და გუელი იგი შეჭამეს გუელთა მათ. ესრეთ საკჳრველებით განარინა ღმერთმან ყოვლისა წარსაწყმედელისაგან, რომელნი მოიწივნეს მას ზედა“[1].

იაკობ გოგებაშვილი ასე აღწერს რუსუდანის სულიერ მდგომარეობას: „რუსუდანს ხშირად უდგებოდა თვალწინ მი-

[1] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 203.

სი ძმისწული დავითი, სრულიად უბრალოდ ტანჯული, წამებული და უდიერად მოკლული. რუსუდანი ახლა ძლიერ ცხადად, ძლიერ აშკარად გრძნობდა, რომ უღალატა თავისს ძმასაც — ლაშა-გიორგის, თავისს ქალსაც — უმანკო თამარს, თავისს დედობრივ მოვალეობასაც, ქრისტეს მცნებასაც და დაიმსახურა საუკუნო სასჯელი. გაჭრა, სრულიად გაჭრა რუსუდანისათვის მოსვენება, მშვიდობა, იმედი და სიხარული". რუსუდანის ვაჟი დავითი მონგოლების წინამძღოლმა შორეულ ყარაყუმში გააგზავნა და არავინ იცოდა ცოცხალი იყო იგი თუ მკვდარი. ამ ტანჯვამ ბოლო მოუღო რუსუდანს და მალე გარდაიცვალა.

მოთხრობაში ი. გოგებაშვილი ხაზს უსვამს ტახტის მემკვიდრის დავითისა და მისთვის თავდადებული პატარა გლეხის სოსანას მეგობრობას. ასეთ სურათებს განსაკუთრებული აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ი. გოგებაშვილი მათ მეგობრობას ასე მარტივად და შთამბეჭდავად გადმოგვცემს: „პატარაობისასვე ლაშა-გიორგიმ თავისს მემკვიდრეს მიუჩინა ხელზე მოსამსახურედ ერთი გლეხის შვილი მკვირცხლი ბიჭი, სახელად სოსნა, ანუ სოსანა. ამ ბიჭს ისე შეუყვარდა თავისი პატარა ბატონი, რომ მისთვის არ დაიშურებდა :რც სულსა და არც გულსა. ეს სიყვარული ამ უბრალო კაცის შვილის გულში მით უმეტეს ღრმად იდგამდა ფესვებს, რომ დავითი მას მეტად ხათრიანად, ძმასავით ეპყრობოდა, თანახმად თავის ხასიათისა"[1]. ხაროში ჩაგდებულ დავითს მთელი ექვსი წლის განმავლობაში სოსანა გვერდიდან არ ცილდებოდა და ჩუმად აძლევდა საკვებს. ბოლოს ი. გოგებაშვილი გადმოგვცემს თუ საქართველოს როგორ მოევლინა ორი დავითი მეფედ და რა ბედი ეწია საქართველოს ორმეფობის დროს, როგორ განცალკევდა იგი და როგორ უჭირდა მრავალრიცხოვანი მტრებისაგან თავის დაცვა. „ამის გამო განცალკევებული საქართველო თავისს მრავალს მტრებს ვეღარ გაუმაგრდა, დამოუკიდებელი არსებობა ვეღარ დაიცვა და ბოლოს თავისი ბედი შეუერთა ერთმორწმუნე რუსეთს იმ იმედით, რომ მოიპოვებს სრულს მშვიდობას, დაიცავს თავისს სარწმუნოებას, ენას, ეროვნულს თავისებურებას, სრულს შინაურს თვითმარ-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 2, გვ. 145.

თეელობას, ამრავლებს ყოველგვარს ეროვნულს სკოლებს, ააღორძინებს თავისს ლიტერატურას და კულტურას, ისარგებლებს ძმური თანასწორობით რუსებთან და უშფოთველად იცლის წარმატების გზაზე", — ასე ამთავრებს მოთხრობას ი. გოგებაშვილი.

როგორც ჟურნალ „განათლების" მიმომხილველი აღნიშნავს, წიგნში მოცემული ამბავი „შეეხება იმ შავბნელ დროს, როცა თამარ დედოფლის მიერ მტკიცედ გაერთიანებული საქართველო, რუსუდან დედოფლის დროს სუსტდება და ორ სამეფოდ იყოფა. საოცარს და აუწერელს ტრაგიკულს სურათს წარმოადგენს ტახტის მემკვიდრის, ლაშა გიორგის შვილის, დავითის თავგადასავალი და რუსუდანის ბოროტი განზრახვანი"[1]. რედაქციის აზრით სასურველია რათა ასეთი ისტორიული წიგნები ბევრი იბეჭდებოდეს და ვრცელდებოდეს მკითხველებში.

1913 წელს „ქართველთა შორის წ. კ. გ. ს"-მ გამოსცა ი. გოგებაშვილის „თავდადებულნი ქართველნი", რომელსაც დართული აქვს ლ. ბოცვაძის მიერ დაწერილი ი. გოგებაშვილის ბიოგრაფია. წიგნში მოთავსებულია რამოდენიმე მოთხრობა ისტორიული წარსულიდან: 1. თავდადებული მღვდელი თევდორე, 2. თავდადებული აზნაური იოთამ ზედგენიძე, 3. თავდადებული თავადი — ცოტნე დადიანი და 4. გამარჯვებული დედა (დამატება), რომელშიც ეგვიპტეში მომხდარი ამბავი არის გადმოცემული.

ილია რუხაძემ ამ მოთხრობას „კეთილშობილ-მამულიშვილური გრძნობის აღმძვრელი" უწოდა და ხაზი გაუსვა ამ გრძნობათა აღმძვრელ ადგილებს: „აი აგერ, უშიშარი თევდორე მღვდელი, რომელიც თათრების ჯარს გზას ურევს, აშორებს მეფეს მოულოდნელ თავდასხმას და სულ სხვა გზით მიჰყავს მტერი. მას აწამებენ, მარა მისმა სიცოცხლემ გამარჯვება მიანიჭა ქართველ ჯარს...

აგერ აზნაური იოთამ ზედგენიძე, რომელიც საყვარელ მეფეს სწირავს თავის სიცოცხლეს და შეთქმულთ, მეფის მაგიერ, თვითონ უვარდება ხელში...

---

[1] „განათლება", 1912, № 4, გვ. 319.

– აღერ კიდევ თავადი ცოტნე დადიანი, რომელიც თავისი ნებით მიდის მარტოდ მტრის ბანაკში, რათა დანარჩენ ტყვეებთან ერთად იგემოს სიკვდილ-სიცოცხლე...“[1]

სიუჟეტი მოთხრობისა „თავდადებული მღვდელი თევდორე“ აგებულია 1609 წელს მომხდარ ამბავზე, როდესაც საქართველოში მეფობდა ლუარსაბი, „კაცი ბრძენი და გონიერი, მოშიში ღმრთისა და მორწმუნე სჯულიერად, ღუაწლმრავალი და ბრძოლასა შინა მჭნე და ახოვანი და მბრძოლი, ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი“[2]. ამ დროს საქართველოს სამხრეთიდან მოულოდნელად შემოესია თათრის ჯარი, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა თავს დასხმოდა მეფეს, შეეპყრო და მერე საქართველოზე ებატონა. თათრები მოკლე გზას ეძებდნენ მეფის საზაფხულო ბინისაკენ, ცხირეთისაკენ, სადაც იმ დროს იმყოფებოდა ლუარსაბი და არც კი იცოდა მტრის შემოსევის ამბავი. მანგლისის ახლოს მდებარე ერთ პატარა სოფელში, რომელსაც სახელად კველთა ეწოდებოდა მათ შეიპყრეს ქართველი მღვდელი, სახელად თევდორე და უბრძანეს: „შენ უნდა წინ წაგვიძღვე, სულ მოკლე გზით გვატარო, და რაც შეიძლება, ჩქარა მიგვიყვანო მეფის ბინასთანაო. თუ ამას შეგვისრულებ, დიდს საჩუქარს მიიღებ; ხოლო თუ უარზე დადგები, გტანჯავთ, გაწვალებთ, საშინელს სიკვდილს მიგცემთ და შენს სხეულს ყვავსა და ყორანს შევაჭმევთო“[3].

თევდორემ მტერი სულ სხვა გზით წაიყვანა და ამით საშუალება მისცა მეფესა და ქართველთა ჯარს მტერს მომზადებულნი დახვედროდნენ და ბოლოს გამანადგურებელი ზიანი მიეყენებინათ. როდესაც თათრები მიხვდნენ, რომ თევდორე მღვდელმა ისინი მოატყუა, „საშინელი სიბრაზით აივსნენ, გაშმაგებულნი მისცვივდნენ საწყალს თევდორეს და დაუწყეს წამება. აწვალეს, სტანჯეს. ბოლოს მოჰკლეს, დაჩეხეს და გადააგდეს ერთს დიდს ხრამში“.

ი. გოგებაშვილი მოთხრობის ბოლოს წერს: „დიაღ, თევდორე მღვდელმა თავისს თავზედ აიცხადა დიდებულის რუს-

---

[1] „თემი“, 1913 წ, № 115. გვ. 4.

[2] ქართლის ცხოვრება, ტ. II. 1959, გვ. 366.

[3] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 2, გვ. 96.

თველის ლექსი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

და მართლაც, მღვდელი თევდორე იმ პატრიოტ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე არაფრად მიაჩნდათ, თუკი სამშობლო მსხვერპლს მოითხოვდა. სამშობლო ქვეყნის ინტერესები მათ უმაღლეს იდეალს წარმოადგენდა.

აზნაურ იოთამ ზედგენიძის გმირობაც მეფისა და სამშობლოს ბედნიერი მომავლისათვის მსხვერპლად შეწირვის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს.

მოთხრობის დასაწყისში ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს უხსნის, თუ რაოდენ ძლიერ სახელმწიფოს წარმოადგენდა ძველ დროში ერთ დროშის ქვეშ გაერთიანებული საქართველო. „ძველ დროში მთელი საქართველო, შავი ზღვიდან დაწყებული ლეკეთის საზღვრამდე, ერთს შეკონილს სახელმწიფოს შეადგენდა. კახელნი, ქართლელნი, იმერელნი, გურულნი, რაჭველნი, მესხნი, მეგრელნი, სვანნი და თვით აფხაზნიც შეერთებულნი იყვნენ ერთის დროშის ქვეშ, ემორჩილებოდნენ ერთს მბრძანებელსა, ერთს მეფესა, ძმურად, თანხმობით და სიყვარულით ეპყრობოდნენ ერთმანეთსა და ერთნი იყვნენ ჰირშიაც და ლხინშიაცა“[1].

მტრებმა იცოდნენ, რომ სანამ საქართველოში ერთსულოვნება იქნებოდა, ვერაფერს გახდებოდნენ და ამიტომ ცდილობდნენ, რათა მათ შორის შური და განხეთქილება ჩამოეგდოთ.

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი მერვე ოცნებობდა, საქართველო გაერთიანებულ საბრძანებლად გადაექცია. იაკობ გოგებაშვილი გადმოგვცემს აზნაურ იოთამ ზედგენიძის აღტაცებას მეფისადმი, მისი კეთილი განზრახვისადმი: „იოთამ ზედგენიძე აღტაცებაში მოჰყავდა გიორგი მეფის განზრახვას. იმის ოცნებაში მთელი საქართველო იხატებოდა უკვე შეერთებულს საბრძანებლად, მის ერთ-ერთ მეფედ — გიორგი, რომელიც შემუსვრიდა ყველა მტერს საქართველოსას, გააძლიერებდა მას და დაამყარებდა მტკიცე ერთობას, სანატრელს ძმობას იმერთა და ამერთა შორის“[2].

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 2, გვ. 100.

[2] იქვე. გვ. 102.

გიორგი მეფესა და ყვარყვარე ათაბაგს შორის ბრძოლა უნდა დაწყებულიყო. ყვარყვარე ათაბაგის ჯარს ეშინოდა მტრისა და გადაწყვიტეს ღამით მოსყიდული მკვლელები მიეგზავნათ, მოეკლათ მეფე და მისი მხლებელნიც. იოთამ ზედგენიძემ შეიტყო მტრის განზრახვა და მეფეს მოახსენა. მეფემ არ დაიჯერა ეს ღალატი. მაშინ იოთამმა, იმის შიშით, რომ საყვარელი მეფე ბოროტმოქმედთ არ მოეკლათ, მეფეს მიმართა: „უკეთუ ვცბი და არა ჭეშმარიტ არს სიტყუა ჩემი, აწ გევედრები, რათა არ მოიკლა თავი ცუდად, არამედ ღამესა ამას მე დავწვე საგებელსა შინა შენსა და უკეთუ მომკლან მე მგონებელთა შენთა მეფედ, გარნა ნუ დაივიწყებ ძეთა ჩემთა“[1].

იოთამმა თავი გასწირა სამშობლოსა და მეფის ბედნიერებისათვის.

ასევე ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით არის განმსჭვალული შემდეგი მოთხრობა — „თავდადებული თავადი— ცოტნე დადიანი“. აქ გადმოცემულია მეცამეტე საუკუნეში საქართველოში მონგოლთა შემოსევის ერთი ეპიზოდი. მონგოლებმა დაამარცხეს ქართველები და „იწყეს ბრძანებლობა საქართველოში და სწრაფად შეცვალეს მისი მდგომარეობა. მდიდარი ქვეყანა სწრაფად გააღარიბეს, თავისუფალს ერს უმობის უღელი დაადგეს, რიგზედ გაწყობილი სახელმწიფო აწეწ-დაწეწეს, გუშინ ბედნიერი ხალხი გააუბედურეს“[2]. ქართველი მამულიშვილები ძლიერ სწუხდნენ საქართველოს განცალკევებას, ერის სისუსტეს და მუდამ იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ ეშველათ ქვეყნისათვის. საქართველოს რჩეულ შვილთა კრებული ასე სჯიდა: „რა ვყოთ? არღარა არს ნათესავი ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღვარ გუექმნას და ვბრძოდით თათართა. და იგინი ბოროტად გუაჭირვებენ ესეოდენ, რომელ ყოველთა წელთა ალბუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა ღუაწლთა შემთხუევად. არა არს ღონე, დაღათუ უმეფო ვართ, არამედ შევკრბეთ ყოველნი, და ვბრძოდით თათართა“[3]. ბოლოს გადაწყვიტეს ყოველი კუთხიდან მოესხათ ჯარები და გაერთიანებული ძალებით გაელაშქრათ მონგოლე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1973, ტ. 4, გვ. 287.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 2, გვ. 105.

[3] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 215.

ბის წინააღმდეგ, საქართველოდან გაერეკათ და ერთი მეფე ამოერჩიათ. მონგოლთა ნოინმა სულმდაბალი ჯაშუშების წყალობით შეიტყო ქართველთა შეთქმულების ამბავი და როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს „მივიდეს კოხტას თავსა, დახუდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი. ლაშქარი გაყრილ იყო, და ვერღარა წინააღუდგეს, და წარასხეს ქუეყანასა ანისისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების მირაკავანი“[1]. ნოინმა თავის მთავრებს უბრძანა, რათა ყველა-საათვის ტანზე გაეხადათ, მკლავები თოკებით შეეკრათ, ტანზე თაფლი წაესვათ და პაპანაქება სიცხეში დაესვათ, სანამ არ გატყდებოდნენ და შეწყალებას არ სთხოვდნენ. „გავიდა მრავალი დღე და ქართველთა სიმტკიცე იოტის ოდენადაც არ შერყეულა, — წერს ი. გოგებაშვილი და განაგრძობს, რომ „ვერც მუქარამა და ვერც მომსყიდველმა დაპირებამ მათ ვერ ათქმევინა ისა, რაც უნდოდათ მწვალებლებსა“[2]. სამშობლოს ღრმა სიყვარულის სანიმუშო მაგალითს წარმოადგენს ეს ადგილი მოთხრობისა და კიდევ უფრო მძაფრდება იგი ცოტნე დადიანის ვაჟკაცობისა და პატრიოტული სულისკვეთების ჩვენებით. დიდი მწერალი მკვეთრი ფერებით გადასცემს ნორჩ მკითხველს ჟამთააღმწერელის მიერ ნაამბობ საინტერესო ეპიზოდს ცოტნე დადიანის მოქმედებისა, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ნორჩი მკითხველის სულის განწმენდასა და ამაღლებას, როდესაც ცოტნემ საზარელი ამბავი გაიგო, თავისი ჯარი უმალ უკანვე, აფხაზეთს დააბრუნა და თვითონ კი ორი მოსამსახურით ანისისაკენ გასწია. „ცოტნემ გაიარა სამცხე ანუ ახლანდელი ახალციხის მხარე, შემდეგ ჯავახეთი, ჩავიდა სომხითსა და შევიდა ანისის ქალაქში. ერთს დიდს მოედანზედ დაინახა ქართველი ტყვეები, რომელნიც გატიტელებულნი და მკლავებ შეკრულნი ისხდნენ მზის გულზედ და იხრაკებოდნენ. საშინელმა წუხილმა შეიპყრო გმირული გული ცოტნესი, როცა ამისთანა დამამცირებელს მდგომარეობაში ნახა მთავარნი საქართველოსანი. მაგრამ ამასთან ნუგეშიც იგრძნო, რადგან დაინახა, თუ რა ღირსეული ვაჟკაცობით იტანდნენ ამ სათაკილო სასჯელს მისნი მეგობარნი, თითქო ყველა ფიქრობსო: თუ მაცხოვარი ჯვარს ეცვა ავაზაკებთან

[1] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 215.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 2, გვ. 107.

ქვეყნის გამოხსნისათვის, ჩვენ რატომ არ უნდა ავიტანოთ ეს სასჯელი სამშობლო ქვეყნის გულისთვისაო. ცოტნე გადმოხტა ცხენიდგან, მივიდა თავისს მეგობრებთან და მხურვალედ მიესალმა; მერმე ფიცხლავ გაიძრო თავისი ტანისამოსი, გატიტვლდა, თვითონვე შეიკრა თოკებით მკლავები და ჩაჯდა ამ სახით თავის მეგობრებ შორის დაღონებული"[1].

შეუძლებელია გულგრილად წაიკითხოს მოთხრობის ეს ადგილი მკითხველმა და გულში სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი კიდევ უფრო არ გაუღვივდეს. ცოტნეს მოქმედებამ თვით ნოინის გული მოინადირა. როდესაც ნოინმა ცოტნეს გამოჰკითხა მისი მოქმედების მიზეზი, მან უპასუხა: „ჩუენ ყოველნი ამად შევიკრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ, — ესე იყო შეკრება ჩუენი. აწ თქუენ ძჯრის-მოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის ძლით მოვედ წინაშე თქუენსა, რათა გამოიკითხოთ, და უკეთუ ღირსი რამე სიკუდილისა უქმნიეს, მეცა მათ თანა მოვკუდე; რამეთუ თჳნიერ ჩემსა არარა უქმნიეს; უკეთუ ცხოვნდენ, მათ თანა ვიყო"[2]. ნოინი მოხიბლა ასეთმა მეგობრულმა ერთგულებამ და სამაგალითო სათნოებამ, წუთით გაალხო მისი გული და ასე მიმართა თავისიანებს: „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დაედვას სული თჳსი მოყუარეთათჳს, და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თჳსი სიკუდიდ, — არა არს სიცრუე მათ შინა, და ამის ძლით უბრალოდ ვპოვებთ. ამისთჳს განუტეოთ ყოველნი".

ცოტნე დადიანის მოქმედება თავდადებისა და გმირობის სიმბოლოდ იქცა. მას უაღრესად დიდი აღმზრდელობითი გავლენა ჰქონდა მკითხველთა ფართო წრეებში.

სამშობლოს ღრმა პატრიოტული სულისკვეთებით არის გამსჭვალული აგრეთვე ი. გოგებაშვილის ისტორიული მოთხრობა „თავდადებული ქართველი ეჯიბი".

მოთხრობის სიუჟეტი ასეთია: მეცამეტე საუკუნეში მონღოლთა ჯარმა დაიპყრო სპარსეთი, მცირე აზია და საქართველო. მონგოლმა მონებმა ყოველგვარი ძვირფასი ნადაელი თა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 2, გვ. 108.

[2] ქართლის ცხოვრება, 1959, ტ. 2, გვ. 217.

ვის ხელმწიფეს მანგუ-ყაენს გაუგზავნეს თავის სატახტო ქალაქში ყარაყურუმში. აძასთან ერთად ნოიხებმა ძასგუ-ყაენს გაუგზავნეს მოხსენება სპარსელებისა და ქართველების წესჩვეულებების შესახებ. ნოინები ამ მოხსენებაში ქებით იხსენიებდნენ ქართველებს. „ქართველებმაო, სწერდნენ იგინი, ვაჟკაცურად იბრძოლეს სამშობლოს დაცვისათვის და ვაჟკაცურადვე დაგვემორჩილნენო; მათ აქვთ რჯული კეთილი, სძულთ სიცრუე და მათ შორის არ მოიპოვება არც მწამლავი და არც მხიბლავიო“[1]. ამის გამო მანგუ-ყაენმა ნოინებს უბრძანა, — რადგანაც ქართველები ღირსეული ხალხი ყოფილა, პატივით მოეპყარით და ბრძოლის დროს თქვენ გვერდით იყოლიეთო. ამის შემდეგ ნოინებმა საჭიროდ დაინახეს, რათა მანგუ-ყაენის წინაშე რომელიმე უწარჩინებულესი დიდებული ქართველი გაეგზავნათ მადლობის გადასახდელად. ასეთი იყო ათაბაგი ავაგი. ავაგმა თან გაიყოლია ამალა მისი ეჯიბით, რომელსაც დავითი ერქვა სახელად. გზაზედ დავითი შიშმა აიტანა, ვაი თუ ნოინებმა ავაგი მონღოლეთში ცუდი განზრახვით გაგზავნეს და მისი მოკვლა აქვთ გონებაშიო. ავაგი საქართველოში პირველ ვაჟკაცად ითვლებოდა. იგი ფრიად გამოცდილი მეომარი და ჯარის სახელოვანი წინამძღოლი იყო და ალბათ მონღოლებს მისი შიში აქვთ, რათა საქართველო არ გამოიხსნას მათი უღლიდანაო. დავითმა გაუზიარა ავაგს თავისი ეჭვი და ასეთი ხერხი შესთავაზა: „მე დავირქმევ ბატონის ავაგის სახელსა, შენ დაირქვი ეჯიბი დავითის სახელი და ასე ვეჩვენოთ მონგოლებსა და მათს ყაენს ბითოსაც. თუ მართლა შენ მოკვლას გიპირებენ, მე მომკლავენ და შენ გადარჩები, რადგანაც ერთი ვიღაც ეჯიბის სიკვდილი მათთვის რა სანატრელიაო. მე ერთი უბრალო ქართველი ვარ და ჩემი სიკვდილით საქართველოს იოტის ოდენა არაფერი დააკლდება; შენი სიკვდილი კი დიდი უბედურება იქნება მთელის ჩვენის ქვეყნისათვის, რადგანაც ყველა შენგან მოელის ხსნასა და განთავისუფლებას მონობისაგანო“[2].

დავითის ეჭვი არ გამართლდა. ბითო-ყაენის კარზე ისინი დიდი პატივით მიიღეს. როდესაც ბითო-ყაენმა გაიგო ქართველი ეჯიბის თავდადება, იგი კიდევ უფრო სიკეთით განიმსჭვა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 9, გვ. 153.

[2] იქვე, გვ. 154-155.

ლა ქართველთა მიმართ და ავაგსა და დავითს უთხრა: „რადგანაც ქართველთა ნათესავნი ყოფილხართ მაგისთანა ღირსებით შემკულნი, მე გავსცემ ბრძანებასა, რათა მონგოლთა ნოინებმა მაღლა დაგაყენონ თქვენ ქართველები, ყველა ჩვენ მიერ დამორჩილებულს ხალხებზე, ყველაზე მეტს პატივსა გცემდნენ, მამული, საქონელი თქვენი ხელუხლებელი დარჩეს მონგოლთაგან და ყველა საქმეში სანდომი იყვნეთ ჩვენგანო“[1].

ეჯიბი დავითისთანა ქართველთა თავდადებული გმირობის წყალობით უძლებდა მრავალრიცხოვან მტერს მრავალჯერგადანახადი პატარა საქართველო.

პატრიოტი გლეხი ქალის სახე დაგვიხატა ი. გოგებაშვილმა მოთხრობაში „ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად“, თბილისისაკენ მომავალ სვიმონ მეფეს კავთისხევთან შემოაღამდა, ერთ-ერთი გლეხის ქოხთან მივიდა და ღამის გათენება სთხოვა. მეფე გლეხის ოჯახს გაეცნო, როგორც „ერთი ქართველი კეთილშობილი“. დიასახლისმა გამასპინძლების შემდეგ ჰკითხა, იქნებ შემთხვევით ლაშქრობის ამბავი იცოდა და თვით ჩვენი მეფე როგორ გრძნობს თავსაო. „ქართლის მეფემ სვიმონმა მოიწადინა შეერთება მთელი საქართველოისა, გაილაშქრა დასავლეთისაკენ...“ შემდეგ თავისი ქმარ-შვილის ამბავიც ჰკითხა, „იმათი ნიშნებიც დაუსახელა“. და როდესაც სტუმარმა უპასუხა, რომ არაფერი არ იცოდა, დიასახლისი ძალზე შეწუხდა და მდუღარე ცრემლებით ტიროდა. „სტიროდა უფრო მეფეზე. ქვეყნის პატრონზე, ვიდრე თავისს ქმარ-შვილზე და იტყოდა: „ნეტავი უფალმა წყალობა მოიღოს ჩვენს მეფეზე, გვაღირსოს მისი მშვიდობით მოსვლა და სხვანი ყველანი სპანი მისნი ჭირისა მისისა სანაცვლო იყოსო“[2].

ქართული მწერლობა მდიდარია ამგვარ პატრიოტ ქალთა გალერეით. ი. გოგებაშვილის გმირი ქალების მხატვრული სახეები სრულიად განსხვავებულნი და თვითმყოფადნი არიან. ისინი ღრმა შთაბეჭდილებას ტოვებენ მკითხველზე.

მოთხრობა „სამასი თავდადებული გლეხი“ ერეკლე მეფისა და აღა-მაჰმადხანს შორის უთანასწორო ბრძოლის ერთ ეპიზოდს ასახავს, სადაც ვაჟკაცობით თავი გამოიჩინეს მთი-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 9, გვ. 156.

[2] იქვე, გვ. 158-159.

ულეთისა და ფშავ-ხევსურეთის რაზმმა, რომელთა შესახებაც ი. გოგებაშვილი წერს: „ამ მცირე ჯარში ერთი რაზმი იქცევდა განსაკუთრებულს ყურადღებასა. ეს რაზმი შესდგებოდა მთლად გლეხებისაგან და განირჩეოდა სხვა ჯარისაგან პირველივე შეხედულებით. მაღალი და სწორი ტანი, განიერი მხარბეჭი, მამაცური შეხედულება, ვაჟკაცური მიხვრა-მოხვრა, ხმა მაღალი ლაპარაკი, რკინის ჩაჩქანი ტანზე აშკარად ჰხდიდნენ, რომ იგინი იყვნენ თავისუფალი მთის შვილები. ყველაზე მეტი იმედი ერეკლესა და ქართველობას ამ გლეხებისა ჰქონდათ“[1]. გაიგეს თუ არა ფშავ-ხევსურეთში, რომ სპარსეთის შაჰი მრავალრიცხოვანი ჯარით მოდის მეფე ერეკლეს წინააღმდეგო, საუკეთესო ვაჟკაცებმა მაშინვე აისხეს იარაღი და თბილისისაკენ გამოეშურნენ. დუშეთში მათ მიემატნენ არაგვისპირელნი და ასე შედგა სამასკაციანი რაზმი, რომელთაც ომის დაწყების წინ ერთმანეთს მეფის წინაშე შეჰფიცეს: „თუ ბედმა გვიღალატა და ვერ დავსძლიეთ მტრის ჯარი, შერცხვენილი იყოს, ვინც ჩვენგანი ცოცხალი თავით შინ დაბრუნდესო. ან გამარჯვება მტერზედ და ან სიკვდილი ბრძოლის ველზეო“[2].

კრწანისის ველი ქართველთა სისხლით შეიღება. სამასივე ვაჟკაცმა გმირულად შეასრულა თავისი სიტყვა, უამრავ სპარსელს დაუბნელეს მზე და თვითონაც დაეცნენ ბრძოლის ველზე. ი. გოგებაშვილი წერს: „არცერთ მათგანს ზურგი არ უჩვენებია მტრისათვის, არც ერთს არ მოსვლია ფიქრად თავს ვუშველო გაქცევითო, და არც ერთი მათგანი ცოცხალი არ ჩავარდნია მტერს ხელში. იგინი საოცარის თავგანწირულობით იბრძოდნენ დილიდან ხშირ-ბინდამდინ. ყოველი ნაბიჯის წინ გადმოდგმა მათ მტერს დაუსვეს მეტათ ძვირად, ბევრი სპარსელი გამოასალმეს სიცოცხლეს და თვითონაც ზედ შეაკვდნენ მათ პირველიდგან დაწყებული უკანასკნელამდე“[3]. მათ მაგალითს აძლევდათ ათხმოცი წლის მეფე ერეკლე, რომელიც „არ აპირებდა ბრძოლის ველი დაეტოვებინა და უნდოდა ებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე“. ყოველგვარ იმედდაკარგულ მოხუც ერეკლეს მხლებლები სთხოვდნენ რა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 9, გვ. 164.
[2] იქვე, გვ. 165.
[3] იქვე, გვ. 167.

თა დაეტოვებინა ბრძოლის ველი და თავისი სიკვდილით გული არ მოეკლა მისი მათაყვანებელი ერისათვის. მოხუცი მეფე ყურს არავის უგდებდა და არც კი ფიქრობდა ბრძოლის ველის დატოვებას. „სპარსელებმა კი ერეკლეს აქეთ იქიდან მოუარეს და გარშემო მთებისაკენ მიმავალ გზებს იჭერდნენ. რომ ქართველს ჯარს გაქცევა აღარ შესძლებოდა. მაშინ ერეკლე ხმაამოუღებლივ გაექანა მტრისაკენ ხმალ-ამოღებული, ეკვეთა მას თავგანწირულად და უთუოდ დაღუპვა მოელოდა, თუ შვილის-შვილს არ დაეხსნა სიკვდილისაგან თავისი სახელოვანი პაპა. სამასი ცხენოსანი ქართველით ბატონიშვილი იოანე შეევარდა მტრის გუნდში, როდესაც ის მეფეს გარს ერტყმოდა, და მოხუცი ერეკლე თითქმის ხელიდგან გამოსტაცა მათ“[1].

მოთხრობაში შთამბეჭდავად არის გადმოცემული აგრეთვე ერთ-ერთი ჯარის მეთაურის მაჩაბელის სიმამაცე, რომლის შესახებაც თვითონ შაჰმა თქვა: „მე არ მახსოვს, რომ რომელიმე ჩემი მტერი ასეთი გმირობით შემბრძოლებოდესო“. ძირითადი მოთხრობაში მაინც სამასი არაგველის გმირობა არის. იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ „არც ერთი არ გადურჩა სიკვდილს, არც ერთი არ შეიქმნა მოწმე თბილისის აოხრებისა, არც ერთმა არ წაიღო მთაში ამბავი ქართველების დაძლევისა სპარსელებისაგან, არც ერთი არ ჩაუვარდა მტერს ხელში. ყველამ მტკიცედ, სავსებით და ვაჟკაცურად დაიცვა ფიცი, ყველამ ბრძოლის ველზე დალია თავისი გმირული სული, ყველამ თავისს სამშობლოს შესწირა სიცოცხლე“[2].

მოთხრობას ი. გოგებაშვილი ამთავრებს ნაწყვეტით გრ. ორბელიანის პოემიდან „სადღეგრძელო“:

„გმირნო, მამულის მადიდნო, თქვენა ხართ ჩვენი დიდება!
თქვენთა სახელთა ამაყად წარმოსთქვამს ჩამომავლობა!“

იაკობ გოგებაშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე მოთხრობა „საშინელი სასჯელი მოღალატისა“, სადაც ავტორი სიძულვილით გადმოგვცემს XVI საუკუნეში სამშობლოს მოღალატის ყორღანაშვილის მოქმედებას. სპარსელებისა და ლეკების ჯარის ქართველებთან შეტაკებისას სვიმონ მეფე გაიტაცა ომმა,

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 9, გვ. 166-167.
[2] იქვე, გვ. 168.

დაიცწყა სიფრთხილე და მტრის მებრძოლთა შუაში მოექცა. ყორღანაშვილმა სპარსელებს შესძახა: „ეგ არის სვიმონ მეფე, შეიპყარითო“ და მეფე ტყვედ წაიყვანეს სპარსელებმა. ამას მოჰყვა ის უბედურება, რომ უსარდლოდ დარჩენილი ქართველთა ჯარი დაიბნა და ომი წააგო. სპარსელებმა მთელი ქართლი დაიპყრეს და თბილისში მეფედ დასვეს სვიმონ მეფის ძმა დავითი, რომელმაც თათრის რჯული მიიღო და თავისი ქვეყანა სპარსეთის შაჰს დაუქვემდებარა. ქართველი ჯარის ყოფილმა წინამძღოლმა საჩინო ბარათაშვილმა ყორღანაშვილზე შური იძია და უფსკრულში გადაჩეხა. მგელთა ხროვაც კი მოერიდა მოღალატის ლეშით პირის წაბილწვას. იაკობ გოგებაშვილი წერს: „ეგდო უპატრონოდ ყორღანაშვილის მძორი რამდენსამე დღეს და გახრწნილებას მიეცა. მძორის სუნმა მოიზიდა ამ ადგილისაკენ მთელი ხროვა დამშეულის მგლებისა. მაგრამ, ხალხის თქმულებით, როცა ამ მშიერმა ნადირებმა დასუნეს და შეიტყეს, რომ ეს იყო ლეში მოღალატე ყორღანაშვილისა, ზიზღით აივსნენ, პირი არ დააკარეს, უკანვე გაბრუნდნენ და ისევ სიმშილი ირჩიეს, ვიდრე პირის წაბილწვა ამ იუდას ლეშის ჭამითა“[1].

! ისტორიულ თემაზე დაწერილ მოთხრობათა შორის გამორჩევა და დღესაც არანაკლები ინტერესით კითხვა ი. გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“ მართალია, მოთხრობის მოქმედი გმირები სინამდვილეში არ არსებობდნენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ აღწერილი დამოკიდებულება ქართველებსა და მეზობელ ლეკებს შორის რეალურია და მსგავსი ამბავიც საესებით შესაძლებელია რომ მომხდარიყო. მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ისე ოსტატურად არის აგებული, რომ, მკითხველი ვერც კი მიხვდება თუ ჯასში აღწერილი ამბავი რეალობას არის მოკლებული. დიდმა მწერალმა სწორედ ისტორიული ფონი გამოიყენა, რათა შეექმნა შესანიშნავი ფსიქოლოგიური ნაწარმოები. იგი არა მხოლოდ ფსიქოლოგიური მოთხრობაა, როგორც ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე მიიჩნევს, არამედ ისტორიულ-ფსიქოლოგიური.

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1962, ტ. 9, გვ. 174-175.

მოთხრობა ცალკე წიგნად პირველად გამოქვეყნდა 1890 წელს გრ. ჩარკვიანის სტამბაში.

აი, როგორ იგონებს პედაგოგი იოსებ სრესელი ამ მოთხრობის დაწერის ერთ ფაქტს:

„...ერთხელ თურმე მამაჩემს იაკობის სასტუმრო ოთახში ძინავს. უეცრად ძილს უფრთხობს ხმამაღალი საუბარი, რომელიც თითქოს წააგავს ორი, ერთი მეორის მოკამათე ხმას.

ხმაური მოისმოდა იაკობის სამუშაო ოთახიდან...

შუაღამე გადასულა! ვინ უნდა იყვეს ამ უდროოდროს იაკობთან?! ინტერესდება და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვა ამბის გასაგებად. ფრთხილად გასწევს შუაკარის ფარდის ცალ კუნჭულს და გაოცდება: საშინაო გრძელი ხალათი წამოუსხამს იაკობს და ოდნავ აღელვებული სახით დაიარება ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში...: დროგამოშვებით შეჩერდება, თითქოს ვიღაც მოწინააღმდეგეს ეკამათებაო. შემდეგ კი ისევ მიუჯდება საწერ მაგიდას და წერს ხელგაკვრით. აუარებელი ყაყაჩოს მელნით დაწერილი ქაღალდის ფურცლებია გაბნეული საწერ მაგიდაზე და იატაკზე...

იმ დღით იაკობი მოგვიანებით დგება...: ძლიერი დაღლილობაც ეტყობა.

მოიხმობს სტუმარს, მოკრძალებით ბოდიშს მოიხდის მის წინაშე — წუხელ ალბად ძილი გაგიფრთხეო!?

შემდეგ კი სთხოვს, რომ შეაგროვოს გაბნეული ნაწერი ქაღალდები და დაალაგოს ერთ ადგილას ნომრების მიხედვით.

გაბნეული ნაწერების პირველ ფურცელს მშვენიერი ტანწერწეტა ასოებით სწერებია: „იავნანამ რა ჰქმნა?“. ახლა თუ მცირედ გაგსარჯეთ და ძილიც გაგიფრთხე შვილო, სამაგიეროდ ახლო მომაყალში სიამოვნებას და სიხარულს იგრძნობთ თქვენც და თქვენი ბაღლებიც ამ ქაღალდებში გაბნეული მოთხრობის გადაკითხვითო.

ჩემი ახალი საჩუქარი ყმაწვილთათვის ეს პატარა მოთხრობაო, მიუმართავს იაკობს...“[1]

[1] ეს საინტერესო მოგონება კიდევ ერთი ფაქტია იმისა, თუ როგორი რუდუნებით ემსახურებოდა დიდი იაკობი ერის მო-

[1] [1] საბალხო განათლების მუზეუმი, ი. გოგებაშვილის ფონდი, № 4634.

მავალს, ახალგაზრდა თაობას და ქართული მწერლობის სასახელო ტრადიციებს.

მოთხრობის დასაწყისში იაკობ გოგებაშვილი სანამ კონკრეტულ ამბავზე გადავიდოდეს, მკითხველს ლაკონიურად აცნობს კახეთის ადგილმდებარეობას და მის განაპირად მდებარე ქვითკირის ნაშთებს, სადაც ერთ დროს მშვენიერი სოფელი ვაშლოვანი მდებარეობდა.

სწორედ ამ სოფელში იწყება მოქმედება და მწერალიც მაღალმხატვრულად აგვიწერს ერთ დროს აყვავებული ვაშლოვანის პეიზაჟს: „დიახ, ძველს დროში სწორედ ამ ადგილას ჰყვაოდა კარგა მოზრდილი სოფელი, რომელსაც ვაშლოვანი ერქვა. დასავლეთით ამ სოფელს ერტყა ზვრები და ვენახები, ხოლო აღმოსავლეთის მხრივ ის თითქმის ეხებოდა ხშირსა და აყრილს ტყეს, რომლითაც შეფენილი იყო მთა. ამ ხშირი ტყის წყალობით შიგ შუა გულს სოფელში მიწიდგან შადრევანივით ამოჩუხჩუხებდა ვეებერთელა ანკარა წყარო, რომლის ყინულივით ცივი წყალი იყო საყვარელი სასმელი მთელი სოფლისა. შენობანი სოფლისა სულ ქვიტკირისანი იყვნენ და ჰმოწმობდნენ, რომ სოფელი შეძლებული იყო“[1].

სწორედ ამ სოფლის აღმოსავლეთით მშვენიერ ორსართულიან სასახლეში ცხოვრობდა მთელ კახეთში სიმდიდრით ცნობილი თავადი ზურაბ ქართველაძე თავის ღირსეულ მეუღლესთან მაგდანთან ერთად. მათ ჰყავდათ სამიოდე წლის ქალიშვილი ქეთო, რომელზეც მშობლებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ. პატარა ქეთოს „საშინლად უყვარდა თავისი დედის სიმღერა, ხშირად ამღერებდა და სულგანაბული ყურს უგდებდა მთელი საათობით“, — ხაზგასმით აღნიშნავს იაკობ გოგებაშვილი.

მომდევნო თავში იაკობ გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს უამბობს ლეკებისა და კახელების დამოკიდებულების შესახებ. „ვაშლოვანში და საზოგადოდ კახეთში მაშინდელს დროში ხშირად დაიარებოდნენ ლეკები... ლეკები მტრად გაუხდნენ ქართველებს..: როდესაც მაჰმადიანობა მიიღეს და საქართველომ მართლმადიდებელის რუსეთისაკენ გაიწია. ძველ დროში კი დიდის პატივისცემისა და გულითადის მეგობრო-

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1975, გვ. 329-330.

ბის მეტი ქართველებს ლეკებისაგან არა მოაგონდებოდათ რა. ამ მეგობრული მეზობლობის გამო ლეკები თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ კახეთში, უმეტეს ნაწილად სავაჭროდ". სწორედ ამ მიზნით სოფელ ვაშლოვანში ორი „ბაჯაჯგუნა" ლეკი დაიარებოდა, რომლებიც ისეთი წყალწაღებულნი იყვნენ, რომ თითონ ლეკებსაც აბუჩად ჰყავდათ აგდებულიო, — წერს ი. გოგებაშვილი. ერთხელ სწორედ ამ ლეკებმა ერთბაშად გამდიდრება მოინდომეს და გადაწყვიტეს ზურაბ ქართველაძის გოგონა მოეტაცათ. მათ იცოდნენ, რომ ზურაბი თავისი შვილის გამოსახსნელად არაფერს დაიშურებდა და ბოროტი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. ქეთო მოიტაცეს. ზურაბ ქართველაძემ მდევრები შეკრიბა და სწრაფად გამოუდგა უკან, მაგრამ ამაოდ... გამტაცებლების კვალი დაკარგეს.

„ლეკებმა პირველად ქეთო გაატარეს ერთს დიდ დაღესტნის სოფელზე, რომელიც იყო აქეთ ნაპირას, კახეთის საზღვარს ახლო, — განაგრძობს მწერალი. ამ სოფელში ცხოვრობდა ერთი მდიდარი ნაიბი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დასავლეთის მხარე დაღესტნისა. მას ჰყავდა ცოლად ლეკისავე ქალი, შემკული ერთსა და იმავე დროს ვაჟკაცურის გამბედაობითა და მეტად ნაზი გულით. ესენი იყვნენ დიდი ხნის ნაქორწილავნი, მაგრამ შვილი კი არ ჰყავდათ და, გადაწყვეტილი ჰქონდათ, ვისიმე ბავშვი ეშვილათ".

ნაიბმა თვალი რომ მოკრა პატარა გოგონას, დაინტერესდა და ლეკებს მისი ამბავი ჰკითხა. მათ დატუქსვის მოერიდათ და მართალი დაუმალეს, უთხრეს, რომ გზაზე ტყეში ვიპოვეთ და წამოვიყვანეთო. შიმშილითა და შორი გზით დაღლილი პატარა ქეთო ნაიბსა და მის მეუღლეს ძალიან მოეწონათ და იშვილეს კიდეც. აქ იაკობ გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებს მცირეწლოვანი ბავშვის ფსიქოლოგიის შესახებ, რომ იგი მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს. მართალია, იგი გაბიცდის მშობლების მოშორებას და ხშირადაც სტიროდა, მაგრამ ნაიბისა და მისი სათნო მეუღლის ალერსმა მალე წარსული დაავიწყა და სევდაც თავისთავად განედევნა გულიდან. აი, როგორ აგვიწერს ამ ფაქტს ი. გოგებაშვილი:

„დედობრივმა ალერსმა მალე მოასულიერა ბავშვი. მას თუმცა ყველაფერი ეუცხოვა, მაგრამ, იმოდენა წვალების შემდეგ ბრიყვის ლეკების ხელში, ნაიბის ცოლის მისაყვარლება

და ზრუნვა სწორედ შეებად ეჩვენა. პირველს ხანებში მაინც ქეთო ყველაფერზე გულცივად იყო და ხშირად სტიროდა, როცა თავის დედ-მამას, სხვა შინაურებს და თავის სოფელს მოიგონებდა. მაგრამ ნაიბის ცოლი დაიმისი ქმარი ისეთი სიყვარულითა, მოფერებითა და ალერსით ეკცეოდნენ ქეთოს, რომ მალე დავიწყებინეს წინანდელი ყველაფერი"[1], ჯაზი ჩემია. — ზ. ბ.).

ქეთო ლეკ ქალად გადაიქცა. ბავშვი არ ფიქრობს არც წარსულზე და არც მომავალზეო, — გაანაგრძობს იაკობ გოგებაშვილი, რის გამოც წარსულის ნაშთი, ხსოვნა, მოგონება მის გულსა და გონებაში მალე სუსტდება, მკრთალდება და თითქოს სრულიად იშლება, ხოლო აწმდგომი კი სრული ძალით მოქმედებს მასზე და წარსულის ადგილს იჭერსო, — ასე უხსნის მკითხველს მწერალი ბავშვის ამ ფსიქოლოგიურ მომენტს.

გადის წლები და ზურაბ ქართველაძე ახერხებს ქეთოს მოტაცებას.

თუ ბავშვობაში პატარა ქეთო ადვილად შეეგუა ახალ გარემოს, წარსული და მოსიყვარულე მშობლები ადვილად დაივიწყა, ახლა, ცამეტიოდე წლის გოგონასათვის ტრაგედიად გადაიქცა ეს მოტაცება და ვერავითარმა გართობა-ალერსმა ვერ განუკურნა ტკივილები ქეთოს.

ზურაბი „დარწმუნებული იყო, რომ ქეთო მალე მოვიდოდა გონსა, იცნობდა ჯერ თავის მამასა, მერე დედასა. თავის ბავშვობა მოაგონდებოდა და მოიმხიარულებდა, მაგრამ საშინლად მოსტყუვდა..: ის უყურებდა ზურაბს როგორც თავის მოსისხლე მტერს, რომელმაც მოაშორა საყვარელს დედ-მამას, სანატრელს სამშობლოს და სადღაც მიჰყავს ტყვედ". ვერც საკუთარი დედის ნახვამ ვერ გაახსენა წარსული ქეთოს. „მისი გრძნობა და გონება მთლად, განუწყვეტლივ, შეპყრობილი იყო

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1975, გვ. 334.

უღრმესი დარდით და ვარამითა"[1] (ხაზი ყველგან ჩემია. — ზ. ბ.).

რას არ ეცადნენ ქეთოს მშობლები წარსულის მოსაგონებლად — მიიყვანეს ტყეში იმ ადგილას, სადაც თავის გამდელთან ერთად ხშირად სეირნობდა ხოლმე და ერთ-ერთი სეირნობის დროს მოიტაცეს. შეახვედრა იმ გოგონებს, ვისთან ერთადაც პატარაობისას ხშირად თამაშობდა, აჩვენა მისი დედოფლები და სხვა, მაგრამ ვერაფერი გააწყეს. ერთხელ მაგდანმა სრულიად უნებურად თავისთვის „იავნანას" ღიღინი წამოიწყო და როდესაც ქეთოსაკენ გაიხედა, მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: „ქეთოს აშკარად ეტყობოდა რამეზე აღელვება. ცხადი იყო, რომ რაღაცას იგონებდა და ვერც კი მოეგონებინა გარკვევით. მის ბუნების სიღრმეში დიდი ხნის დამარხული ხსოვნა იღვიძებდა, მაგრამ ვერ კი გამოეღვიძა. გონების ძირიდან, რაღაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქვას, მაგრამ ზევიდან ქეცქეცად აწვნენ სხვა წარმოდგენანი და უშლიდნენ მაღლა ამოსვლას... მაგდანის ხმამ უწია ქეთოს ბუნების სიღრმემდე, შესძრა ის ძირიანად და გააცოცხლა იქ დამარხული ბავშვობის სანატრელნი ნაშთნი, საგონებელნი... ქეთოს აღელვებული სახე თანდათან დაწყნარდა და პირისახიდან მთლად გადაეყარა შავი ღრუბელი, განსაზღვრული სხივის ნათელი მოეფინა სახეზე და სიხარულის სხივმა დაუწყო მასზე ელვარება..."[2] (ხაზი ჩემია. — ზ. ბ.):

ქეთოს თვალწინ გადაეშალა თავისი პატარაობის წლები, რომელიც თავის მშობლებთან ჰქონდა გატარებული; ეხლა თვითონ აღარ ასვენებდა დედას, ჩაჰკიდებდა ხელს და ხან ბაღჩაში, ხან წყაროზე, ხან ტყეში, ხან მშობლიური სოფლის არემარეში ატარებდა და იგონებდა ბავშვობის წლებს. ნელ-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1975, გვ. 341-342.

[2] იქვე.

ნელა ქართული სიტყვების მოგონებაც დაიწყო. მაგრამ გამართულად რომ ელაპარაკნა ჯერ კიდევ ბევრი აკლდა.

იაკობ გოგებაშვილმა სრული დამაჯერებლობით დაგვიხატა ცამეტი-თოთხმეტი წლის მოზარდის ფსიქოლოგია, რომელიც სრულიად განსხვავდება ქეთოს ბავშვობისდროინდელი ბუნებისაგან და გვიჩვენებს მათი ბუნების ცვალებადობას ასაკთან და გარემოსთან დაკავშირებით. იაკობ გოგებაშვილი აქვე მკითხველს უხსნის იმ ცვლილების მიზეზებს, რაც ქეთოს არსებაში მიმდინარეობდა მშობლიურ ოჯახში დაბრუნების შემდეგ:

„აღმოჩნდა, რომ პირველი წლების ჩაბეჭდილებანი და ჩასახულებანი კი არ გაშქრალიყვნენ და არ წაშლილიყვნენ ქეთოს გონებაში, თურმე ღრმად ეძინათ, დამარხულნი იყვნენ მისი სახსოვრის სიღრმეში, ძირში, როგორც მცენარის თესლია დაშარხული მიწაში, და ზევიდან მათ ეფარებათ მთელი ათის წლის ნანახი და ნაცადი დაღესტანში ყოფნის დროსა. ამ ჩასახულებათა დაძვრა და გამოღვიძება შეეძლო მხოლოდ რომელსამე ძლიერსა და ღრმა ჩაბეჭდილებას, სწორედ ისე, როგორც მცენარის თესლს ზევით ამოიყვანს ხოლმე გამაცოცხლებელი მზის სითბო-სინათლე. ამისთანა მზეებრივი ჩაბეჭდილების მოხდენა ქეთოს გონებაში შესძლო მხოლოდ სამშობლო ხმამ, საბავშვო სიმღერამ „იავნანამ“, რომელიც ყველაზე უფრო ღრმად ჰქონდა ქეთოს ძვალსა დარბილში გამჯდარი“[1].

ყველა ულოცავდა მაგდანსა და ზურაბს ქეთოს გონზე მოსვლას.

როგორც იაკობ გოგებაშვილი წერს, ქეთოს დედისაგან დაჰყვა უაღრესად მოსიყვარულე გული. მის დედ-მამას ხომ მასზე ამოსდიოდათ მზე და უსაზღვროდ უყვარდათ თავიანთი ერთადერთი გოგონა. მაგდანი სწორედ ოქროს გულის პატრო-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1975, გვ. 343.

ნი იყოო, წერს იაკობ გოგებაშვილი. ასეთივე „ნაზი გულით" იყო შემკული ნაიბის მეუღლე, რომელთანაც წლების განმავლობაში იზრდებოდა ქეთო. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ქეთოსაც მოსიყვარულე გული უცემდა მკერდში. მან არ დაივიწყა ის უაღრესად დიდი ამაგი, რომელიც მის აღზრდაში მიუძღოდათ ნაიბსა და მის მეუღლეს და ამის შემდეგ „სიყვარული ღვიძლი დედ-მამისა და დედობილ-მამობილისა ერთად შეერთდა ქეთოს გულში, ბოლოს ამას დაემატა ღირსეული ქმრისა და შვილების სიყვარული და ამ სახით ქეთოს გული გახდა დაუშრობელი წყარო კაცთმოყვარეობისა, გაუქრობელი ლამპარი სიყვარულისა მოყვასისადმი. ქეთოს, გამომცდელს ცხოვრებაში დიდი ნაღველისაცა და ძლიერი სიხარულისაც, ყოველთვის და ყოველგან ჰქონდა ტკბილი ალერსი ყველა ბავშვისათვის, ცრემლი უბედურთათვის, ნუგეში დაჩაგრულთათვის, შემწეობა გაჭირვებულთათვის, მოწყალება გლახაკთათვის"[1].

მოყვასთა ჩაუქრობელ სიყვარულს ქადაგებს ი. გოგებაშვილის ეს შესანიშნავი მოთხრობა.

1890 წელს ჟურნალ „მწყემსის" 23-ე და 24-ე ნომრებში ცნობილმა საბავშვო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ თეოფილე ხუსკივაძემ გამოაქვეყნა ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, რომელშიც განხილული იყო ი. გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?" თ. ხუსკივაძის აზრით, საყმაწვილო მწერლობა ყველაზე უფრო ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. საყმაწვილო ნაწარმოებების ავტორს დიდი ნიჭი, სიფრთხილე და სიფაქიზე სჭირდება; ამგვარი მოთხრობების წერა მეტად ძნელ საქმეს წარმოადგენსო, — ამბობს კრიტიკოსი და დასძენს: „აქ თვითეულს სიტყვას, თვითეულს აზრს და მიმართულებას, როგორც გზის ჩვენება, გახსნა და განვითარება შეუძლია, აგრეთვე სრულიად დამახინჯება, გარყვნა და გაოხრებაც შეუძლია მისი მსმენელი ყმაწვილისა... წიგნი ყმაწვილის გონებითი საზრდოს მძლეველია... მწერლის ზნეობითი ვალია ეს საზრდო, რაც შეიძლება, წმიდად, ფაქიზად და ყოველგვარ საკაზმეულობით შეზავებული მიაწოდოს თავის აღსაზრდელს"[2].

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1975, გვ. 345-346.

[2] „მწყემსი", 1890, № 23-24, გვ. 12-15.

თ. ხუსკივაძე ი. გოგებაშვილის მოთხრობას „იავნანამ რა ჰქმნა?“ ამგვარ გონებით საზრდოს მიაკუთვნებს, მხოლოდ აღნიშნავს ერთ ნაკლს, თითქოს მოთხრობა მარტივი, ყმაწვილებისათვის ადვილად გასაგები ენით არ იყოს დაწერილი. კრიტიკოსი დასაბუთების გარეშე იძლევა ამ შენიშვნას. ვისაც კი ერთხელ მაინც წაუკითხავს იგი, აუცილებლად შენიშნავდა საბავშვო ნაწარმოების ენის მთავარ დამახასიათებელ თვისებებს: ხალხურობას, სიმარტივეს, კეთილხმოვანობასა და სურათოვნებას.

თეოფილე ხუსკივაძემ საბიბლიოგრაფიო შენიშვნაში სწორად შეაფასა პატარა ბავშვის ის ფსიქოლოგიური მომენტი, რომელიც მწერალმა საფუძვლად დაუდო ამ მოთხრობას. სრული წარმოდგენისათვის მოვიყვანთ ერთ ნაწყვეტს ამ წერილიდან:

„უმთავრესი დედა-აზრი ანუ იდეა ამ პატარა მოთხრობისა იმაზედ არის დამყარებული, რომ პირველ დღეებში მიღებულ შთაბეჭდილებას ყმაწვილის გონებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და არაფერს მისი ძირიდგან ამოხოცვა, აღმოფხვრა არ შეუძლია, რაც უნდა გარემოებათა ანუ პირობათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს ადამიანი დროთა ვითარებისა გამო“[1].

ჩვენ ვერ დავეთანხმებით თეოფ. ხუსკივაძეს, რომლის აზრითაც, მკითხველში გაკვირვებას და ეჭვს ბადებს ის სცენა, „სადაც ავტორი დიდის აღტაცებით აგვიწერს იმ წუთს, როდესაც დედამ „იავნანა“ იმღერა და ქეთომ ყველაფერი გაიხსენა...“ კრიტიკოსს აოცებს, გახარებული მაგდანა რატომ სწორედ „იავნანას“ მღერის და არა სხვა სიმღერას, როდესაც ჯანმრთელი და მხიარული ქალიშვილი გვერდით უზის. მხიარულობამდე ქეთოს ჯერ კიდევ ბევრი უკლდა. როდესაც მაგდანმა ქეთოს სახეზე სანუგეშო ცვლილება შეამჩნია, იმედი მოეცა და თავისდაუნებურად „იავნანას“ სიმღერა დაიწყო.

ი. გოგებაშვილის ისტორიულ მოთხრობათა ის ძირითადი ნაწილი, რომლის შესახებაც გვქონდა საუბარი, საქართველოს მთლიანობისათვის თავდადებულ გმირთა გალერეას წარმოუდგენდა თავისი დროის მკითხველ საზოგადოებას, ნორჩ თაობას და ამით მწერალი მათში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას ცდილობდა.

[1] „მწყემსი“, 1890, № 23-24, გვ. 12.

ი. გოგებაშვილი ნორჩი თაობის გულში პატრიოტული გრძნობის ჩასანერგად ერთ-ერთ უპირველეს მნიშვნელობას საბუნებისმეტყველო თემებზე დაწერილ ნაწარმოებებს მიიჩნევდა. დღესაც არ დაუკარგავს ძიმზიდველობა და აღმზრდელობითი დანიშნულება მის მიერ 1868 წელს გამოცემულ „ბუნების კარს“. სახელმძღვანელოს მიზანი იყო, უპირველეს ყოვლისა, მოზარდ თაობაში ჩაენერგა მშობლიური ენის სიყვარული, რაც ნათლად ჩანს წიგნის გარეკანზე დაბეჭდილ ლექსში:

„ვინც რომ სამშობლო ენას
ივიწყებს და არ ეძებს,
ძლიერ კარგიც რომ იყოს,
ნაყოფს ვერ გამოიღებს“.

დიდი რუსი პედაგოგი კ. დ. უშინსკი მიიჩნევდა, რომ უცხო ენების შესწავლა ადრე არ უნდა იწყებოდეს, სანამ არ შევამჩნევთ, რომ დედაენამ ღრმად გაიდგა ფესვები ბავშვის ბუნებაში. ამავე აზრს ავითარებს ი. გოგებაშვილი „ბუნების კარის“ წინასიტყვაობაში, სადაც ის წერს, რომ თუ მშობლებს ბავშვის გონების სწორი განვითარება სურთ, უნდა გაითვალისწინონ პედაგოგიკის აქსიომა და ბავშვს პირველად მშობლიური ენა შეასწავლონ. ამ საქმეში კი უდიდეს როლს პედაგოგიურ ლიტერატურას აკისრებდა. გამოჩენილი პედაგოგი სავსებით იზიარებდა აგრეთვე კ. დ. უშინსკის აზრს პედაგოგიური ლიტერატურის შესახებ. კ. დ. უშინსკის შეხედულებით „მარტო პედაგოგიურ ლიტერატურას შეუძლია გამოაცოცხლოს აღმზრდელობითი მოღვაწეობა, მისცეს მას ის აზრი და ის ინტერესი, ურომლისოდაც აღმზრდელობითი მოღვაწეობა იქცევა გაკვეთილებისათვის დანიშნული დროის მექანიკურ გამოყენებად. მხოლოდ მარტო პედაგოგიურ ლიტერატურას შეუძლია აღძრას საზოგადოებაში ყურადღება აღზრდის საქმისადმი და ამ საქმეში აღმზრდელებს მიანიჭოს ის ადგილი, რომელიც მათ უნდა ეჭიროთ მათზე დაკისრებული მოვალეობის დიდი მნიშვნელობის გამო. პედაგოგიური ლიტერატურა, ერთი მხრივ, საზოგადოებაში იწვევს მართებულ მოთხოვნებს აღზრდის მიმართ და, მეორე მხრივ, გვიჩვენებს

ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილების საშუალებას"[1]. კ. დ. უშინსკის აზრით, პედაგოგიურმა ლიტერატურამ თვალწინ უნდა გადაგვიშალოს აღმზრდელობითი მოღვაწეობის მეტად ღრმა და მიმზიდველი ინტერესები.

ამავე მიზანს ემსახურებოდა აგრეთვე ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი". წიგნის უმთავრეს მიზნად ავტორს მიაჩნდა ის, რომ შეასწავლოს ყმაწვილს ბუნების მოვლენები, შეაყვაროს ბუნება, „ერთი სიტყვით, უნდა გახდეს ბუნების კარათა". ი. გოგებაშვილი ცდილობს ყმაწვილს აუხსნას ცხოველების ცხოვრება, მათი ზნე-ჩვეულებები და, საერთოდ, ბუნების სიმდიდრე და სიმშვენიერე, „რომ ბუნება მრავალგვარი სიცოცხლით დუღს და დაუსრულებელი ცოდნის წყაროა". წიგნში ავტორი დიდ უპირატესობას ანიჭებს საქართველოს გეოგრაფიას, რომლის წაკითხვითაც ყმაწვილი თავის სამშობლო ქვეყანას გაიცნობდა.

ი. გოგებაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბავშვი თავის სამშობლოს მხოლოდ მაშინ შეიყვარებს, როდესაც კარგად გაიცნობს მას.

„ბუნების კარი" მართლაც „პირველდაწყებითი ენციკლოპედია" იყო მეცნიერული ცოდნის მისაღებად.

1912 წელს გამოცემულ „ბუნების კარის" წიწასიტყვაობაში ი. გოგებაშვილი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ბუნების ცოდნის საჭიროებას ბავშვის განვითარებისათვის. „დაწინაურებულს განათლებულს ქვეყნებში კარგად აქვთ შეგნებული, — წერს ი. გოგებაშვილი, — რომ ბუნების ცოდნა და მის ძალთა დამორჩილება შეადგენს ერთს უმთავრეს ბურჯს ერისა და კაცობრიობის ბედნიერებისას. ამის გამო იქ ბუნების შესწავლას დიდს ადგილს უთმობს ბავშვების განვითარებაში როგორც ოჯახები, ისე სკოლები. სწორედ ამისთანა აღზრდის მეოხებით მოხდა ისა, რომ ევროპიელმა კაცობრიობამ თანდათან გაიხადა უმორჩილეს მოსამსახურედ მძლავრნი ძალნი ბუნებისანი და დღითი დღე ზრდის თავისს კეთილდღეობას მათ შემწეობით"[2].

ი. გოგებაშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბიუ-

---

[1] კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1. 1948, გვ. 15-16.

[2] ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი", 1912, გვ. 241.

როკრატიული საგნები ისე უსულგულოდ და მკვდრად ასწავლიდა ბუნებისმეტყველებას, რომ ბავშვებს გული სრულიად უცრუვდებათ მასზეო. საქართველოს ბუნება კი ისეთი მდიდარი და მრავალფეროვანია, რომ ევროპის ბუნება მასთან ვერც კი მივა, ხოლო ჩვენ ამ მდიდარი ბუნების არა გაგვეგება-რაო. „რათა გაგვეადვილებინა ამოდენა წიგნის გათავება ორის წლის განმავლობაში, ჩვენს წერილებს მივეცით უმეტეს ნაწილად მოთხრობითი ფორმა, რომელიც ერთი ორად და სამად უადვილებს მოსწავლეთ საგნის შეთვისებასა"[1].

ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე დავით ჩხეიძე (დ. თ.-ლი) სახალხო სკოლების მასწავლებლებს მიუთითებდა, რათა სწორედ მათ უნდა აღეძრათ ბუნებისმეტყველების სიყვარული ბავშვებში. ჟურნალ „განათლების" ფურცლებზე ამის შესახებ იგი წერდა:

„...მრავალი მასწავლებლებისაგან გვესმის: „ბავშვებს არ აინტერესებთ ბუნების მეტყველება, არა კითხულობენ წიგნებსო". მასწავლებლებმა პირველ ყოვლისა უნდა შეიგნონ, რომ ბავშვებში ბუნების მეტყველების შესწავლის ინტერესის გამოწვევა შეუძლებელია წიგნის საშუალებით. ბავშვი წაიკითხავს საბუნებისმეტყველო ზღაპარს იმისას, თუ ვარსკვლავები როგორ ლაპარაკობენ ურთიერთ შორის, მაგრამ იგი იმას არაფერს მისცემს. მშრალი წიგნის მიწვდის მაგიერ გადავშალოთ ბავშვის წინ ბუნების წიაღი — ცოცხალი წიგნი: ბუნების მოვლენანი ჩვენს მიუთითებლად მიიქცევენ ბავშვის ყურადღებას და მაშინ შეგვიძლიან აღძრულ საკითხზე გასაგები ენით მივცეთ მეცნიერული განმარტება; აუხსენით ყოველივე პირდაპირ და გულახდით. ამნაირად გამოვიწვევთ ბავშვში ბუნების მეტყველების შესწავლის ინტერესს. ამ გზით შევჰქმნით ბავშვში იმპულსს მეცნიერულ პოპულარულ წიგნების კითხვისას.

იმ მცირეოდენ სკოლებში, სადაც დასახელებულ მეთოდს ადგანან, ყმაწვილები მეტ ინტერესს იჩენენ ბუნების მეტყველებისადმი. მეტ წიგნებსა კითხულობენ, მასწავლებელნიც კმაყოფილნი არიან"[2].

სწორედ ასეთ საინტერესო და ნორჩი თაობისათვის დღე-

---

[1] ი. გოგებაშვილი, „ბუნების კარი", 1912, გვ. 242.

[2] „განათლება", 1913, № 8, გვ. 632.

საც გამოსადეგ წიგნად მიგვაჩნია ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი", რომელიც პირველად 1868 წელს გამოიცა. მშობლიური ბუნების შესწავლა დიდ მწერალს ერთ-ერთ უპირველეს საშუალებად მიაჩნდა პატარა მკითხველში სამშობლო ქვეყნის უკეთ გასაცნობად. ი. გოგებაშვილი „ბუნების კარის" შესავალში ხაზგასმით წერდა სახელმძღვანელოს დანიშნულების შესახებ:

„რა არის მიზეზი, რომ ამ თქვენ წინ მდებარე წიგნსა ქვეყანა იხილა? მოთხოვნილება. ამ გვარ წიგნში ყმაწვილობა საჭიროებს და მოპოებაცა სურთ. მაგრამ ეს მოთხოვნილება ძლიერი არ არის. ყმაწვილებს უფროსები ქართული ენის სიყვარულის მაგალითს არ უჩვენებენ და გარემოებაც მათ ამაზედ არ ახალისებს. მეტაფორულათ რომ ვსთქვათ, ჩვენ ყმაწვილებს სუსტი მადა აქვთ ქართული წიგნების კითხვისა. ამისთანა მადას თუ გემრიელი საჭმელი არ შეხვდა, უყურადღებო დარჩება... რომელი საგნები არიან უფრო სასიამოვნო და სასარგებლო ყმაწვილის გონებისათვის? ბუნება საზოგადოთ და ყოველი, რაც ყმაწვილს გარშემო არტყია. ყოველი ყმაწვილის კითხვა შეეხება ბუნებას და მის საგნებსა. რითი საზრდოებენ გარეულნი პირუტყვნი, როგორ ატარებენ ცხოვრებასა, სად არიან ეს ფრინველები ზამთარში, რომლებიც ზაფხულში ჩვენ ქვეყანაში ცხოვრობენ, საიდგან წარმოსდგება ქარი, წვიმა, თოვლი, ქუხილი და ელვა, — აი რა კითხვები ებადება ყველაზედ ხშირად ყმაწვილს გონებაში. ამიტომ ნამდვილათ საინტერესო წიგნი ჩვენი ყმაწვილებისთვის უნდა იყვეს ისა, რომელიც შესდგება ბუნების და იმის საგნების აწერათაგან, რომელიც დაბიურათ ახსნის ბუნების მოვლენებსა"[1]. სწორედ ეს მიზანი ამოძრავებდა ი. გოგებაშვილს, როდესაც ამ წიგნის შედგენას მიჰყო ხელი. ამ წიგნის შესწავლის შემდეგ პატარა მკითხველი ჩასწვდებოდა ბუნების საიდუმლოებას, ინტერესით შეისწავლიდა მის მოვლენებს, „ერთი სიტყვით უნდა გახდეს ბუნების კარათა". ამიტომაც წიგნში დიდი ადგილი დაუთმო პირუტყვთა ცხოვრების, მათი ზნე-ჩვეულებების აღწერას.

„ბუნების კარის" გამოცემას მიესალმა ცნობილი კრიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე ნ. ნიკოლაძე (ნ. სკანდელი), რო-

[1] „ბუნების კარი", შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. 1868, გვ. 7.

მელიც გაზეთ „დროებაში“ წერდა: „...ჩვენი გულითადი მადლობა და პატივისცემა უნდა მიიქცეს უფ. გოგებაშვილისადმი, რომელმაც გვაჩუქა ყოველად შესანიშნავი საკითხავი წიგნი, ქართველი ახალგაზრდობის დამყენებელი სწავლის გზაზე...“[1].

ხუთი წლის შემდეგ, 1873 წელს, „ბუნების კარი“ კვლავ გამოიცა უცვლელი სახით. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნ. ნიკოლაძემ ისევ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ მას იმედი ჰქონდა შემდგენელი შეძლებისდაგვარად შეავსებდა იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც პირველ გამოცემას ჰქონდა და მისი აღნიშვნა ზედმეტად მიიჩნია პირველ წერილში, ვინაიდან საქმე პირველ სერიოზულ ნაბიჯს ეხებოდა.

ჩვენთვის სრულიად გაუგებარია, რატომ გააკრიტიკა ნ. ნიკოლაძემ ის სახელმძღვანელო, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ი. გოგებაშვილის, როგორც პედაგოგისა და საბავშვო მწერლის უდიდეს დამსახურებას ნორჩი თაობის წინაშე.

„ბუნების კარის“ პირველი გამოცემა არ აკმაყოფილებდა თვით ი. გოგებაშვილსაც. იგი წინასიტყვაობაშივე აღიარებდა, რომ ამ წიგნს მრავალი ნაკლოვანება გააჩნდა. „ჩვენი პლანი ნახევრობითაც ვერ ავასრულეთ, ამიტომ რომ წიგნის შედგენაში მუყაითი შრომა ვერ გავსწიეთ“. იგი ნათლად გრძნობდა, თუ რა დიდ წინააღმდეგობას შეხვდებოდა „ძველისმოყვარეებთან“ ენის საკითხში. იაკობმა წინასწარ იცოდა, რომ „ნახამენ თუ არა ამ ცოცხალ ენას წიგნში, მაშინვე თავზედ ცეცხლს გადაიყრიან: „წახდა, მოითხარა და დაიღუპა ჩვენი ენა“, გაიძახიან ხშირათა. „უწინდელი კეთილშობილი ენის მაგივრათ ახლა ტეტიური უბრალო ენა შემოიღეს, რომელიც მუშას და ფილოსოფოსს ერთი სიადვილით ესმის. მეტი ენის მოთხრა კიდევ გინდათ. მაგრამ ვისიც გონება დახშული არ არის, ამას ამგვარი სჯა სიცილათაც არ ეყოფა“.

ი. გოგებაშვილის „ბუნების კარი“ მართლაც „პირველდაწყებითი ენციკლოპედია“ იყო მეცნიერული ცოდნის მისაღებად.

პროფ. გ. თავზიშვილი თავის დროზე საკმაოდ სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „საბუნებისმეტყველო-ბიოლოგი-

---

[1] „დროება“, 1868, № 48, გვ. 1.

ური ცოდნისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური განათლების გამავრცელებელ მოთხრობათა წერის დროს... იაკობ გოგებაშვილს ყოველთვის მხედველობაში ჰქონდა, რომ ეს არ წერს აღნიშნულ დისციპლინათა სახელმძღვანელო წიგნებს... მას ნათლად ჰქონდა გარკვეული ამ წიგნების მიზანი: სამეცნიერო-მორალური ხასიათის თემების მხატვრულად დამუშავება და ამ გზით მოსწავლეთათვის დახმარება ამ თემების შესწავლის საქმეში, თანაც აღნიშნული წიგნების გადაქცევა მშობლიური ენის მიმზიდველ და სახალისო სახელმძღვანელოებად"[1].

იაკობ გოგებაშვილი ხაზს უსვამს შესწავლის აუცილებლობას და ყოველივე ამას იგი თავისი მოთხრობებით ადრეულ ასაკიდანვე შთაუნერგავს ახალგაზრდობას. იგი აღნიშნავდა, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ხოლო ჩვენ კი ძლიერ ღარიბი ვართ, იმიტომ, რომ ამ ბუნების მოვლა არ ვიცითო.

1896 წელს ი. გოგებაშვილმა გამოსცა დასურათებული წიგნი — „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები", რომლის შესავალშიც იგი გარკვევით წერს თუ ვისთვის და რისთვის არის საჭირო ასეთი წიგნები: „...თუ ადამიანი უვიცია ბუნების მეტყველებაში, არა გაეგება რა მისი, ეწინააღმდეგება მისს კანონებსა და არღვევს მათ, მაშინ იგი ისჯება ბუნებისაგან უფრო ულმობლად, უფრო სასტიკად, ვიდრე დამნაშავე სახელმწიფოსაგან. ამისთანა ბუნების უვიცი ადამიანი ხშირად ავად-მყოფობს, უნაყოფოდ მუშაობს, ხელი ეცრება ყოველს ნაბიჯზე, მოსავალი უცდება, დოვლათი არ უდგება სახლში". ასეთი უვიცი ადამიანების ხვედრს ხშირი ავადმყოფობა და სიღარიბე წარმოადგენსო, — ამბობდა იაკობი. მისი აზრით ბუნების ცოდნა უფრო იმისთანა ხალხს უჭირს, რომელიც ხვნა-თესვით, მევენახეობით და მებაღეობით ცხოვრობს, იმისთანა ხალხს, როგორიც ქართველები არიანო. იაკობი განმარტავდა, რომ ყოველგვარი მოსავლის რაოდენობა ორ ძალაზე არის დამოკიდებული — ადამიანის შრომასა და ბუნების თვისებაზე. „რაც უნდა მუყაითი და ბეჯითი მუშა იყო, ჯხვს მოსავალს ვერ ეღირსები,

---

[1] გ. თავზიშვილი, იაკობ გოგებაშვილი, 1960, გვ. 175.

თუ ბუნების ძალას არ დაიხმარებ, არ იმსახურებ, ხოლო ბუნება ხელს უწყობს და ემსახურება მარტო მას, ვინც მისი აკი და კარგი ზედმიწევნით იცის, შესწავლილი აქვს მისი თვისებანი, მისი კანონები", — წერდა იაკობი და იქვე დასძენს, რომ ცხოველებსა და ფრინველებში იმისთანებიც ურევიან, რომლებიც ჭირნახულის მუქთი მეველენი არიან, იცავენ მოსავალს და ამავე დროს სამად და ოთხად აძლიერებენ; ყოველივე ეს ქართველმა კაცმა არ იცის და ულმობლად ჟლეტს თავის „დიდს მოკეთეებს" და საკუთარი ხელით ამცირებს წლიურ მოსავალს. სწორედ ყოველივე ეს წარმოადგენდა ი. გოგებაშვილის ამ ახალი წიგნის გამოცემის მიზეზს. წიგნში მოთავსებულ მოთხრობებს ისეთი სათაურები მოუძებნა ი. გოგებაშვილმა, რომ მკითხველი თვითონვე დაინტერესებული შეუდგეს მოთხრობების კითხვას.

წიგნი იწყება მოთხრობით „დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი". იაკობმა კარგად იცოდა, რომ ქართველ კაცს წარმოდგენა არ ჰქონდა ზღარბის დანიშნულების შესახებ სოფლის მეურნეობაში, იმ სიკეთეზე, რომელიც მას მოჰქონდა მშრომელი გლეხკაცისათვის და ის კი სამაგიეროდ განუწყვეტლივ სდევნიდა მას. სათაურშივე ეუბნება მწერალი მკითხველს, რომ შენგან დევნილი ზღარბი შენი მეგობარი არის. და ამის გამო მკითხველიც სულმოუთქმელად კითხულობს მას, რათა ამ საიდუმლოებას ჩასწვდეს.

„ჩვენ ერთი დიდი ვენახი გექონდა. შუაგული ვაზებით იყო სავსე, გარშემო-კი მწკრივ-მწკრივად ერიგა რჩეული, საუკეთესო ჯიშის ხეხილი. მამა ჩემი ისე უვლიდა ვენახსა, როგორც დედა უვლის თავისს შვილსა, და ამის გამო ჩვენ ვენახში შესვლა სწორედ საამური იყო თვალისა და გულისათვის. სამწუხაროდ, ქურდობა ყურძნისა და ხილეულობისა ზოგიერთა ჩვენს სოფელს ქირად სჭირდა. ამიტომ ჩვენს ვენახს, ყურძნისა და ხილის სიმწიფის დროს, მცველად მოჯამაგირე ედგა",[1] — ასე იწყება ეს მოთხრობა. ავტორი პატარა ბავშვის პირით გვიყვება ამბავს და მოთხრობის მთავარ გმირად გვევლინება მოჯამაგირე დემეტრესთან ერთად. დემეტრე ღამ-ღამობით ვენახის ბოლოს სათივეზე იძინებს, რა-

[1] ი. გოგებაშვილი, „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები", 1896, გვ. 5.

თა ქურდებისაგან დაიცვას ხილი. ერთხელ მოთხრობის გმირი, თავის პატარა და-ძმასთან ერთად ვენახში წავიდნენ და მსხლის ხისაკენ გაეშურნენ, რათა ძირს ჩამოყრილი ხილით პირი ჩაეგემრიელებინათ, მაგრამ ერთი მსხალიც კი ვერ იპოვნეს. მსხალი ზღარბს შეეჭამა ღამით. ბავშვები ძალზე გაგულისდნენ და მისი მოკვლა მოინდომეს. ერთხელ, სრულიად მოულოდნელად წაადგნენ თავს ზღარბს და იმდენი სცემეს, სანამ არ მოკლეს და მერე თხრილში მოისროლეს. მეორე დღეს, ბავშვები ისევ წავიდნენ ვენახში და როდესაც თხრილში გადაიხედეს, იქ ზღარბი აღარ დახვდათ. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ი. გოგებაშვილი დამაჯერებლად გვიხატავს ბავშვების ფსიქოლოგიურ განცდებს. მათ ზღარბი მავნებელ არსებად მიაჩნიათ და იმიტომაც ასეთი გამეტებით ეპყრობიან მას. მოთხრობის მეოთხე თავში, რომელსაც „შხამიანი გველი“ ეწოდება, ი. გოგებაშვილი აგვიწერს ოჯახის სამართლიან აღშფოთებას იმის გამო, რომ მათ ვენახში ეს საშინელი ქვეწარმავალი ენახა მოჯამაგირესა და ბავშვებს. ბავშვებს ვენახში წასვლა დროებით აუკრძალეს, ხოლო დემეტრეს დაავალეს, რათა როგორმე მოეკლა იგი. ერთ დილას გახარებული მოჯამაგირე გაიძახოდა:

— „თქვენი ჭირიმე, რა ვნახე, რა ვნახე! აკი გეუბნებოდით, ზღარბი გაცოცხლდებოდა-მეთქი. წარმოიდგინეთ, წუხელის შუაღამისას მან ჩვენი დიდი მსხლის ძირში მოჰკლა ის შხამიანი გველი, დიაღ მოჰკლა!“[1] ოჯახის წევრების გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დემეტრემ დაწვრილებით უამბო ზღარბისა და გველის ორთაბრძოლის შესახებ. უფროსებთან ერთად ბავშვებიც გაფაციცებით უსმენდნენ დემეტრეს ნაამბობს .„ამ ამბავმა, რომელიც ჩვენ ყველამ კრინტის დაუძვრელად მოვისმინეთ, მარტო გაოცება როდი გამოიწვია, — ამბობს პატარა ბიჭი. გაოცებას სხვა გრძნობაც დაერთო. დიდმაც და პატარამაცა აშკარად ვიგრძენით სირცხვილი. რისი გვრცხვენოდა? იმისი, რომ ფრიად სასარგებლო ცხოველსა, ერთგულს ჩვენს მეგობარსა, მმუსვრელს ჩვენის შხამიანის მტრისას, ჩვენ ვდევნიდით და ვკლავდით

[1] ი. გოგებაშვილი, „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველნი და ფრინველები“, 1896, გვ. 10.

ეა ისიც რადა? იმის გამო, რომ სჭამდა ხანდახან ნაქარს ასხალსა, უფრო დამპალსა და ჩვენთვის გამოუსადეგარსა. ვეტი უმეცრება და უსამართლობა კიდევ იქნება? და სწორედ ამ უმეცრებისა და უსამართლობისა გვრცხვენოდა ჩვენ ყველასა"[1].

ამის შემდეგ ბავშვებმა თავი დაანებეს ზღარბების დევნას და ხელსაც კი უწყობდნენ, რათა ისინი მომრავლებულიყვნენ. „ჩვენ არამც თუ არას ვუშავებდით, არამედ თავაზიანად და მეგობრულად ვექცეოდით, მეტადრე მათ პაწია შვილებსა. სამაგიეროდ ზღარბები ხოცავდნენ და სჭამდნენ გველებსა და მათი სინსილა მთლად გასწყდა ჩვენი ვენახიდან. ზღარბები სხვა სიკეთესაც გვაძლევდნენ: მრავალ-ძარღვას და სხვა ვენახების მავნე ბალახებსა ძირიანათ სთხრიდნენ და ძირებს უჭამდნენ, ასე რომ მუქთი მმარგველები გამოდგნენ. მაგრამ ყველაზე მეტს სიკეთეს იმითი გვიშვრებოდნენ, რომ კატებსავით იჭერდნენ და ჟლეტდნენ თაგვებსა, ამ ყანის და ვენახის მტრებსა. მართალია, ნაქარს მსხალს გვაკლებდნენ, მაგრამ განა ეს მცირეოდენი ზარალი სათქმელი იყო იმ დიდს სიკეთესთან, რომელსაც ჩვენ მათგან ვხედავდით?"[2]

1897 წლის ჟურნალ „კვალის" № 20, 21, 22-ში გამოქვეყნდა დავით ქადაგიძის (დ. ალბანელი) კრიტიკული შენიშვნა— „გოგებაშვილი, ი. მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები..." ეს შენიშვნა ზედმეტად ტენდენციურია, ვინაიდან მისი მიზანია, რათა ჩრდილი მოაყენოს ი. გოგებაშვილის ნაშრომს, რომელიც ფრიად საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია იმდროინდელი მკითხველისათვის. ამის შესახებ მაშინდელმა პრესამაც აღნიშნა, რომლის შესახებაც ქვემოთ შევჩერდებით.

დ. ქადაგიძე წერილის დასაწყისში აღნიშნავს: „... რამდენად შეუსაბამოა ბუნების კანონები კაცობრიობის კანონებთან, ამას ჩვენ მკითხველს ცხადად დავანახვებთ თვით ი. გოგებაშვილის წიგნაკიდან ამონაწერ ნიმუშებით... ი. გოგებაშვილს ჰგონია, რომ კაცობრიობის (თუ გინდ სახელმწიფოსი) კანონები დაუძლეველი უნდა დარჩესო, რადგან მოწინააღ-

[1] ი. გოგებაშვილი, „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები", 1896, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 13-14.

მდეგე ამ კანონებისა უეჭველად დაისჯებაო; და რადგანაც ადამიანს საზოგადოდ არ უყვარს, რომ იგი დასჯილ იქმნაო, ამისა და მრავალ სხვა მიზეზთა გამო ის ერიდება ცხოვრების სხვადასხვა უკუღმართობას. კანონი, მართალია, სჯის ადამიანს, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ი. გოგებაშვილის აზრით უსათუოდ უნდა დაისაჯოს კიდეც"[1].

აი, რას წერს ი. გოგებაშვილი: „მოგეხსენებათ, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს. თვითეულმა ქვეშევრდომმა უნდა იცოდეს ეს კანონები და ასრულებდეს მათ. თუ კანონებს გადავა, დაარღვევს, სახელმწიფო დასჯის მას, როგორც დამნაშავესა... თუ ადამიანი უვიცია ბუნების მეტყველებაში, არა გაეგება რა მისი, ეწინააღმდეგება მისს კანონებსა და არღვევს მათ, მაშინ იგი ისჯება ბუნებისაგან უფრო ულმობელად, უფრო სასტიკად, ვიდრე დამნაშავე სახელმწიფოსაგან"[2].

სპინოზამ ადამიანი დაუმორჩილა ბუნების კანონზომიერებას — აუცილებლობას. ადამიანის თავისუფლებას ის აღიარებს მაშინ, როდესაც პიროვნება შეიცნობს ამ კანონზომიერებას, თავის მოქმედებას და მათზე გაბატონდება. აქედან გამომდინარე, ი. გოგებაშვილს მტკიცედ სწამს, რომ ბუნება ხელს უწყობს და ემსახურება მარტო იმას, „ვინც მისი ავი და კარგი ზედმიწევნით იცის, შესწავლილი აქვს მისი თვისებანი, მისი კანონები".

ჩვეშმარიტებაა, რომ სახელმწიფო კანონების გარეშე ვერ იარსებებს, ყოველ სახელმწიფოს თავისი კანონები გააჩნია და იგი თითოეულ მოქალაქეს ავალდებულებს დაემორჩილოს მას. ეს კანონები საღი აზრის ნაყოფი უნდა იყოს და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე წევრი არ დაემორჩილება ამ კანონებს, იგი ფაქტიურად არღვევს სახელმწიფოს ინტერესებს და ამისათვის ისჯება კიდეც. როგორც დიდი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი აღნიშნავდა, საზოგადოების არსებობისათვის ისევე აუცილებელია კანონები, როგორც ყოველგვარი თამაშობებისათვის. «Большинство этих законов произвольны; они зависят от интересов, страстей и взглядов тех, кто их придумывал, а также от свойств кли-

[1] „კვალი", 1897, № 20, გვ. 391.

[2] ი. გოგებაშვილი, „მოსაელის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები", 1896, გვ. 111.

мата той или другой местности, где люди соединены в общества»[1]. ცნობილი ინგლისელი მატერიალისტი თომას გობსი სამოქალაქო კანონებად თითოეული მოქალაქისათვის მიიჩნევდა ისეთ კანონებს, რომლებსაც სახელმწიფო ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებებით აკანონებდა, რათა ამით ესარგებლა მათ და განესაზღვრათ თუ რომელია ჭეშმარიტი და რომელი მიუღებელი კანონი[2]. გობსი სამართლიანად მიიჩნევდა იმ ადამიანთა დასჯას, რომელნიც არ ემორჩილებოდნენ ასეთ კანონებს. იგი წერდა: «Наказание есть зло, причиненное государственной властью тому, кто совершением или несовершением какого-либо деяния совершил согласно суждению той же власти правонарушение, причем это зло причиняется с целью сделать волю людей более расположенной к повиновению»[3].

ბუნებაში ყოველგვარ მოვლენას, სულიერ თუ უსულო საგნებს თავისი კანონები გააჩნიათ; ეს კანონები წარმართავენ მათ განუწყვეტელი ცვლილებებისაკენ, განვითარებისაკენ, გარდაქმნისაკენ. ი. ტენი აღნიშნავს, რომ... законы существуют и для чисел, и для фигур, и для движения, и для обращения планет, и для падения тел, и для распространения света, и для лучеиспускания теплоты, и для электрических притяжений и отталкиваний, и для химических соединений, и для зарождения живых существ, и для поддержания органического равновесия, и для разрушения организмов. Такие же законы имеются и для возникновения, поддержания и развития человеческих обществ, равно как и для образования, борьбы и окончательного направления идей, чувств и стремлений (волей) в каждом отдельном человеческом индивидууме. Во всем этом человек просто продолжает природу».[4]

ადამიანი ბუნებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, მისი განვითარება ბუნების კანონზომიერებებთან არის გადაჯაჭვული და ბუნებისაგან მისი მოწყვეტა ადამიანის დაღუპვასაც უდრის. ვინაიდან ადამიანი გონებრივი განვითარებით ყველაზე მაღალ საფეხურზე დგას, საკუთარი თავის შესაცნობად ჯერ ბუნება და მისი მოვლენები უნდა შეისწავლოს. ადამიანი ბუნების უმაღლესი საფეხურის განსახიერებაა და

---

[1] Вольтер, Избранные страницы, СПБ. 1914 стр. 79.
[2] Гоббс Левиафан. 1936, стр. 208.
[3] იქვე, გვ. 239-240.
[4] И. Тэнь, Происхождение общественного строя современной Франции, т. I. 1907, СПБ. стр. 249—250.

სავსებით სწორი იყო ა. გერცენი, როდესაც წერდა, რომ «Все стремления и усилия природы завершаются человеком; к нему они стремяться, в него впадают они, как в океан[1]». იგი აღნიშნავდა, რომ ადამიანი ბუნებას არავითარ ანგარიშს არ უწევდა და ყოველგვარი სინდისის ქეჯნის გარეშე ანადგურებდა იმას, რაც სურდა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ი. გოგებაშვილის ღვაწლი ფრიად გამართლებულია და ასეთი წიგნები ჰაერივით საჭირო იყო და არის ქართველი მკითხველისათვის. ი. გოგებაშვილიც აუცილებლად მიიჩნევდა ბუნების ღრმად შესწავლას, მის გონივრულ გამოყენებას, ვინაიდან ამის გარეშე ცხოვრების წინსვლა შეუძლებლად მიაჩნდა და აღნიშნავდა:

„იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს თავისი მდიდარი ბუნებისა არაფერი გაეგება, იმდენად არაფერი, რომ ხშირად იგი ებრძვის იმისთანა ბუნების ძალებს, რომელნიც მისთვის მეტად სასარგებლონი არიან, ხოლო ხელს უწყობს და ესარჩლება იმისთანა რამეებს, რომელნიც ზარალის მეტს არასა სძლევნიან მას. ხშირად ქართველი თავისს მეგობრებს, ბუნებისაგან მიჩემებულს, მტრულად ეკიდება, მტრებს-კი მოყვრობას უწევს და თავისს თავს თვითონვე ვნებს"[2].

ი. გოგებაშვილი არსად არ ამბობს იმას, რომ კანონის დამრღვევი უსათუოდ უნდა დაისაჯოსო.

დ. ქადაგიძეს აქვე არასწორი შედარება მოჰყავს, რათა თავისი ცრუ შეხედულება გაამართლოს. კერძოდ იგი წერს:

„ბევრმა ჩვენგანმა კარგად იცის, რომ ბულგარელები ამ ოცი წლის წინათ განუდგენ ოსმალოს მთავრობას, ანუ — ი. გოგებაშვილის ენით რომ ვთქვათ — სახელმწიფო კანონს გადავიდენ და დაარღვიეს. ჩვენი ავტორის აზრით, ბულგარელები დამნაშავენი იყვნენ და სასტიკად უნდა დაესაჯა ოსმალის მთავრობას (ხაზი ჩვენია. — ზ. ბ.)... კრიტის ბერძნები ცალკე და სომხები თავის თავად ებრძვიან ოსმალოს მთავრობას, რომ ამის აზიურ კლანჭებს თავი დააღწიონ. არ ვიცით, როგორ ფიქრობენ

---

[1] А. Н. Герцен, Письмо об изучении природы, 1946, стр. 88.

[2] ი. გოგებაშვილი, მოსაელის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, 1896, გვ. 3-4.

ბ. გოგებაშვილი და ჩვენი მკითხველი, ხოლო ჩვენ თანაგრძნობას კუთვლით ამ ჩაგრულ ბალღებს და ვისურვებთ მათთვის ოსპალოსაგან განთავისუფლებას, რომ თვისი ცხოვრების მსვლელობა თვითონვე გასაგონ"[1].

არც ერთი სახელმწიფო კანონი არ ითვალისწინებს დაპყრობელი სახელმწიფოს მიმართ მორჩილებას. მისი კანონი მხოლოდ საკუთარ სახელმწიფოში უნდა მოქმედებდეს და მოქალაქეც ვალდებულია აქ ემორჩილებოდეს და ასრულებდეს ამ კანონებს.

დ. ქადაგიძე ცოტა ქვემოთ ასეთ მოსაზრებას ავითარებს:

„ი. გოგებაშვილის აზრით კანონის დამრღვევი უსათუოდ უნდა დაისაჯოს, ეს უნდა მოხდეს მაშინაც კი, როდესაც კანონი სრულებით არ შეეფერება ცხოვრების მოთხოვნილებას..." ასეთი რამ ამ პატარა წიგნის წინასიტყვაობაში ვერსად ვერ ვნახეთ, ხოლო ი. გოგებაშვილმა თავისი ცხოვრებით დაადასტურა ასეთი ცილისწამების სიცრუე.

ი. გოგებაშვილი ასწავლის მკითხველს, რომ ცხოველებსა და ფრინველებში ზოგიერთნი ჭირნახულის მუქთი მეველენი არიან, რომელნიც იცავენ და აძლიერებენ მოსავალს, ხოლო ეს ქართველმა კაცმა არ იცის და ულმობლად ხოცავს თავის დიდ მეგობრებს, რითაც საგრძნობლად ამცირებენ წლის მოსავალს.

დ. ქადაგიძეს სწორედ ვერ გაუგია წიგნის დანიშნულება, ის მიზანი, რაც ი. გოგებაშვილმა წინასიტყვაობით მიაწოდა ქართველ მკითხველს და ასეთ არამართებულ აზრს ავითარებს:

„თავის შეხედულება კაცობრიობის (სახელმწიფოს) კანონმდებლობაზე ი. გოგებაშვილმა გადაიტანა ბუნების კანონზე და აქაც, რასაკვირველია, მარცხი მოუვიდა. დავიწყოთ იმით, რომ ავტორს საკმარისად ვერ წარმოუდგენია ბუნებისმეტყველების შესწავლის მნიშვნელობა (ავტორს თითქოს არ ესმოდეს ბუნებისმეტყველების თეორიული მნიშვნ. კაცისათვის). ეს მეცნიერება, შეძლებისდაგვარად გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვებრძოლეთ ბუნების მოვლენებს. ყოველი ორგანიზმი

[1] „კვალი", 1897, № 20, გვ. 390.

ებრძვის ბუნების კანონებს და მოვლენებს და ამ საქმეში ადამიანს უჭირავს პირველი ადგილი. ადამიანის ბუნებასთან ბრძოლას ერთი სასარგებლო შედეგიც მოჰყვა: ადამიანი არა თუ სრულებით ემორჩილება ბუნების მოვლენათა, არამედ იგი ცდილობს და ბევრჯელ ახერხებს კიდეც, რომ ბუნების კანონები და მოვლენანი თავის სასარგებლოდ მომართოს"[1]. (ხაზი ჩვენია.— ზ. ბ.).

დ. ჭადაგიძეს არასწორად მიაჩნია, თითქოს ადამიანი ბუნებას მხოლოდ უნდა ებრძოდეს. ასეთი უაზრო ბრძოლა ადამიანის საზიანოდვე წარიმართება და კაცობრიობას სიკეთეს ვერ მოუტანს. ადამიანი ღრმად უნდა ჩასწვდეს ბუნების საიდუმლოებას, ზედმიწევნით შეიცნოს მისი განვითარების კანონზომიერებანი, მტკიცედ შეიგნოს, რომ იგი ამ ბუნების ერთი პატარა ნაწილია, უფრო განვითარებული და ზნესრული, იგი ვალდებულია თავისი ცოდნა გამოიყენოს ბუნების პროცესებთან ფრთხილი მიდგომითა და თავის სასარგებლოდ მისი ზომიერი წარმართვით.

დ. ჭადაგიძე შეცდომად მიიჩნევს ი. გოგებაშვილის შეხედებას „კაცობრიობასა და ბუნებათა კანონებს შორის":

„აწალოგია, მართალია, მიღებულია მეცნიერებაში როგორც იმისთანა საშუალება, რომლის ძალითაც აიხსნება მრავალი მოვლენანი კაცის და ბუნების ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანი, — უფრო, რომელიც საკვეყნოდ ავრცელებს თავის აზრებს, — ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს ამგვარ გზას, რომ შეცდომაში არ შეეიდეს და ამით ფეხქვეშ წიადაგი არ დაჰკარგოს"... ბუნებათა და კაცობრიობის კანონებს შორის ერთი დიდი განსხვავებაა. ამათი ძირითადი სხვადასხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ ბუნების კანონები უ ც ვ ლ ე ლ ი ა, ხოლო რაც შეეხება ადამიანის ცხოვრების წეს-წყობილებას, კანონმდებლობას, ეს ცვალებადი მოვლენაა..."[2]

ა. გოგებაშვილი არსად არ ცდილა, რათა ბუნებისა და კა-

---

[1] „ივერია", 1897, № 11, გვ. 3-4.

[2] „ქეჟლი", 1897, № 20, გვ. 390.

ცობრიობის კანონებს შორის თავისებური განსხვავების კვალი წაეშალა და მათი განვითარება შეთანხმებულად ეჩვენებინა. როგორც ცნობილია, ბუნებამ წარმოშვა ყოველგვარი ცოცხალი არსება დედამიწაზე და მათ შორის ადამიანიც, საზოგადოებაც, რომლის იდეალები, კანონები ძირითადად ბუნების ჭეშმარიტი კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს. ბუნება ხანგრძლივი დროის მანძილზე ქმნიდა სიცოცხლეს დედამიწაზე.

გერცენი ბუნებასა და კაცობრიობას შორის განსხვავებას იმაში ხედავდა, რომ ადამიანებს ლოგიკური კანონები ამოქმედებთ, ხოლო ბუნება ამას მოკლებულია: «... Логический процесс есть единственное все общее средство человеческого понимания, — წერს გერცენი. — Природа не заключает в себе смысла своего, — в этом ее отличительный характер; именно мышление и дополняет, развивает от себя в сознании человеческом, для того, чтобы понять свое бытие; мышление делает не чуждую добавку, а продолжает необходимое развитие, без которого все ленная не полна, — то самое развитие, которое начинается со стихийной борьбы, с химического средства и оканчивается самопознающим мозгом человеческой головы»[1].

ბუნებამ დიდი და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ადამიანური კულტურის აღმოცენებასა და განვითარებაში. ერნსტ კასირერს ადამიანური კულტურა ადამიანის თვითგანთავისუფლების პროცესად აქვს დასახული. კაცობრიობისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იგი თავის სახელგანთქმულ წიგნში „რა არის ადამიანი?“ წერს:

„...ენის, ხელოვნების, რელიგიისა და მეცნიერების განვითარება ამ პროცესის ცალკეული ფაზებია. ასეთ სიმბოლურ ფორმებში მიაგნო და გამოსცადა ადამიანმა ახალი ძალა, რომლის შემწეობითაც აღმართა საკუთარი, „იდეალური“ სამ-

[1] А. Герцен А. И. Письма об изучении природы. 1946, стр. 37.

ყარო. ფილოსოფია ხელს ვერ აიღებს ამ სამყაროს ერთიანი საფუძვლის ძიებაზე. ამ შორეული მიზნისაკენ მიმავალ გზაზე იგი გვერდს ვერ აუვლის ვერც კოსმოსის კონფლიქტებს და ვერც ადამიანური არსებობის მტკივნეულსა და ღრმა დისონანსებს[1].

აქვე ჰეშმარიტად მიგვაჩნია ცნობილი ფრანგი განმანათლებლის დენი დიდროს შეგონება, რომ „ადამიანი ისეთია, როგორც ის შექმნა ღმერთმა ან ბუნებამ; ღმერთი ან ბუნება კი არაფერს ცუდს არ ჰქმნიან"[2].

ი. გოგებაშვილი სავსებით ნათლად განმარტავს თავისი წიგნის დანიშნულებას.

მიუხედავად იმისა, რომ დ. ჭადაგიძის თქმით „ადამიანის ცხოვრების წეს-წყობილებას, კანონმდებლობას" ცვალებადი კანონები ახასიათებს, პროგრესული კაცობრიობის მიზანიც სწორედ ის არის, რომ მოისპოს ეს ცვალებადობა და საბოლოოდ იგი ერთ დასახულ მიზნებსა და კანონებს შეგნებულად ემსახურებოდეს — ადამიანის კეთილდღეობას.

რუსი და ქართველი სამოციანელების რევოლუციურ-განმათავისუფლებელი იდეების, დიდი რევოლუციონერ-დემოკრატების — ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, რუსეთის დიდი პედაგოგის —უშინსკის, დარვინისა და დარვინისტების მოძღვრებაზე აღზრდილი ი. გოგებაშვილის მიმართ ასეთი ბრალდება სრულიად უსაფუძვლო იყო.

დ. ჭადაგიძე უსაყვედურებს ი. გოგებაშვილს აგრეთვე, რომ მან სწორად ვერ ახსნა თუ რას ნიშნავს ბედნიერება, რომ მისი მოსაზრება მცდარია, როდესაც წერს, რომ „...ბუნებაც ხელს უწყობს კაცს, ემორჩილება, აჯილდოებს იმითი, რომ ანიჭებს სიმრთელეს ჯანისასა და ქონებას — ამ ბურჯს ბედნიერებისას".

დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ი. გოგებაშვილს არც კი უცდია აეხსნა თუ რა არის ბედნიერება. იგი სავსებით გარკვევით წერს, რომ ბედნიერების ბურჯი ჯანის სიმრთელე და ქონება არისო. დიდ პედაგოგს ეს

---

[1] ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი? 1983, გვ. 350.

[2] დენი დიდრო, ესთეტიკა, ფილოსოფია, სოციოლოგია, 1939, გვ. 161.

კომპონენტები ბედნიერების საწყისად მიიჩნდა და არა ბედნიერების, როგორც ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობად.

პროფ. გ. ბანძელაძე სავსებით სწორად აღნიშნავს, რომ „ბედნიერება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით არ შეიძლება მდგომარეობდეს ცალკე ან სიმდიდრეში, ან მშვენიერებაში, ან სიკეთეში. ბედნიერება არის ყველა ამ ფენომენის მუდმივ, განუსაზღვრელ ზრდაში, ადამიანის ყველა მზარდი მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფაში... ბედნიერების პირობის ზოგადი განმარტება ემთხვევა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის შინაარსის გამოხატულებას...“[1]

იმისათვის, რომ ნათლად დავინახოთ თუ რაოდენ ტენდენციური და საღ მსჯელობას მოკლებულია კრიტიკოსის რეცენზია, ჩვენ ერთ ამონაწერს მოვიყვანთ ამ წერილიდან ყოველგვარი კომენტარის გარეშე:

„...ავტორის ნაღდი ცოდნა (უკაცრავად ამ სიტყვაზე) და ბუნების მეტყველება ძალიან შორი-შორს არიან, და თუ ავტორმა განგებ დაჰყო ასე ცნებანი, მაშინ იგი ღრმად ცდება. საქმე იმაშია, რომ მდაბიო ხალხი ხმარობს ცალ-ცალკე „ცხოველს“ და „ფრინველს“... ჩვენის აზრით, დიდ ნაკლს შეადგენს ადამიანის ის ყოფაქცევა, როდესაც იგი მდაბიო ხალხის უვიცობას ტაშს უკრავს, იმიტომ რომ ამას ერთობ გამრყვნელი შედეგი მოსდევს... ეს მეორე მიზეზი იმისა, რომ ჩვენ შევნიშნეთ ავტორის შეცდომა ცხოველების და ფრინველების შესახებ. რა ეს და რა სხვა: მთელი წიგნაკი აშენებულია არეულ-დარეულ გეგმაზე, ანუ უკეთ ვთქვათ — წიგნაკი მასალა ყოვლად მოკლებულია საჭირო გეგმას...“[2]

„საკმარისია ეს შედარებით პატარა წიგნაკი წაიკითხოთ და დარწმუნდებით, რა სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის იმისთანა არსებათ, რომელთაც ჩვენ ვსდევნით და რომელთა აღმოფხვრასაცა ვცდილობთ“[3], — წერს პ. სურგულაძე (პ-რე ს-ძე) ი. გოგებაშვილის წიგნის შესახებ და განაგრძობს, რომ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დავინახავთ, თუ რა დიდ როლს ასრულებენ სოფლის მეურნეობაში ესა თუ ის ცხოველები

[1] გ. ბანძელაძე, ეთიკა, 1969, გვ. 191.

[2] „კვალი“, 1897, № 21, გვ. 413.

[3] „ივერია“, 1897, № 11, გვ. 3-4.

და ფრინველები და რომ მათ გარეშე კარგი მოსავლის მიღება შეუძლებელი იქნებოდა.

პ. სურგულაძე გულისტკივილით აღნიშნავს, რომ თითქმის ყოველდღე უამრავ სხვა და სხვა საგნის სახელებს ვამბობთ, ხოლო მათი ბუნება და თვისებანი კი კარგად არც კი ვიცითო. აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ საგნის სახელი ვიცით და არა თვით საგანი, ხოლო, როდესაც ადამიანი ამა თუ იმ საგანზე მსჯელობს „ხშირად ეს მსჯელობა შემცდარია, ცრუ საფუძველზედ არის აგებული და შემცდარს შეხედულებას კი, რა თქმა უნდა, ცხოვრებაშიაც შემცდარი, მავნე მოქმედება მოჰყვება“[1]. სწორედ ასეთი მავნე მოქმედებების ასაცილებლად არის დაწერილი ი. გოგებაშვილის წიგნი, — წერს კრიტიკოსი.

პ. სურგულაძე წერილის ბოლოს სამართლიანად აღნიშნავს, რომ „წიგნაკი მშვენივრად შედგენილია, სუფთად გამოცემული და დასურათებული და ამგვარ ცხოველების ცხოვრებას მოგვითხრობს. ამ წიგნაკში ბევრი სასარგებლო ცნობაა მოქცეული, ცოდნა ჰეშმარიტი, ყველასათვის საჭირო. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ამისთანა სასარგებლო წიგნებიც, სასარგებლო ყოვლის ანბანის მცოდნესათვის, მთელი წელიწადი აწყვია და არ იყიდება. ვისურვებთ, რომ ამ წიგნაკს მაინც აშორებოდეს საზოგადო ბედი ქართულის წიგნებისა“[2].

საბუნებისმეტყველო თემებზე დაწერილ მოთხრობათა შორის ერთი საუკეთესოთაგანია „ფრთიანი კატა ანუ ჰოტი“.

მოთხრობიდან ნორჩი მკითხველი ეცნობა ჰოტის დანიშნულებას, მის სარგებლიაწობას მავნე მწერებსა და მინდვრის თაგვებთან ბრძოლაში. ავტორი წორჩ მკითხველთ უხსნის თუ რატომ არ ნადირობს ჰოტი დღისით და მხოლოდ ღამე გამოდის სანადიროდ. „იმიტომ, რომ ჰოტის ბდვრიალა და გადმოკარკლულს თვალებს აბრმავებს მზის შუქი და დღისით ხეირიანად ვერასა ხედავს. ღამით-კი თვალის ბაიები ისე უგანიერდება, რომ ერთი ვარსკვლავის სინათლეც საკმარისია მისთვის, რომ ყველაფერი კარგად გაარჩიოს. ამის გამო ჰოტისთვის დღე ღამეა და ღამე დღე“[3].

---

[1] „ივერია“, 1897, № 11, გვ. 3.

[2] იქვე. გვ. 4.

[3] ი. გოგებაშვილი, მოსაგლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, 1896, გვ. 18.

მოთხრობაში ი. გოგებაშვილი ფარდას ხდის იმ უვიცობას, რაც გამოიხატება ჰოტისადმი სიძულვილით, ვინაიდან იგი ბოროტებისა და უბედურების მომტანად მიაჩნდათ. ერთ ოჯახში ავადმყოფი იწვა და სულს ებრძოდა. ჰოტის საზარელი ხმა ძლიერ ეჩოთირებოდათ ავადმყოფსაც და მის მომვლელსაც. როდესაც ჰოტმა ის ადგილი დასტოვა, ვინაიდან ბუზებისა და პეპლების ჭაჭანება აღარ იყო, ავადმყოფიც გარდაიცვალა. „დიასახლისმა იფიქრა: ჰოტი არსად იყო, ვიდრე ჩემი ავადმყოფი უკეთ იმყოფებოდა; გაჩნდა საიდანღაც ჰოტი და იგი შეიქმნა სულმობრძავი; თავისი ბაიყუში ხმით იძახდა იქამდინ, ვიდრე სიკვდილმა ხელიდან არ გამომაცალა. მამიკვდა პატრონი და ჰოტის ხმაც შესწყდა. ეტყობა ეს საძაგელი ფრინველი უბედურების წინამორბედი ყოფილა...“[1] ეს უნებური დამთხვევა ბევრმა შეამჩნია და ჰოტი ბოროტების მომასწავებლად მიიჩნია. ასეთი ცრუმორწმუნეობის გასაბათილებლად ი. გოგებაშვილს მოჰყავს ცნობილი ბუნებისმეტყველის კარლ ფოხტის სიტყვები: „ჰოტები სწორედ რომ ყველა ფრინველებზე სასარგებლონი არიან და ბედნიერება მიაქვთ ყველგან, სადაც კი ისინი დაიბუდებენ. იგინი ღირსნი არიან გამოსარჩლებისა, მფარველობისა და უნდა ყველა იმასა ცდილობდეს, რომ ჰოტებმა ბუდეები იქეთონ სოფლების და სადგურების ახლო“[2]. შემდეგ ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს აწვდის ცნობებს ჰოტის სარგებლიანობის შესახებ სოფლის მეურნეობაში. ჰოტი ანადგურებს თაგვებს, რომლებიც თავიანთი პატარა ბასრი კბილებით ფესვებს უნადგურებს პურს, სიმინდს, ქერს, შვრიას და სხვა ჰირნახულს. ადამიანს თაგვებთან ბრძოლა ძალიან უჭირს, მას კატაც კი ვერაფერს აკლებს, ვინაიდან ძლიერ სწრაფად მრავლდებიან — რაც არ უნდა გამაძღარი იყოს ჰოტი თაგვებით, იგი ჰია-მატლებსაც ანადგურებს, რომლებიც მოსავლის არანაკლები მტრები არიან.

არც ეს მოთხრობა მოსდის თვალში დ. ქადაგიძეს და ცოტა არ იყოს უცნაურ შენიშვნას აკეთებს: „— იმისი აზრით (ი. გოგებაშვილის — ზ. ბ.), ჰოტი რომ არ დაბადებუ-

[1] ი. გოგებაშვილი, მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები, 1896, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 17.

ლიყო, კაცობრიობა არა თუ მოაღწევდა დღემდის თავის სწავლა მეცნიერებით, ლიტეოატურით და მრავალი სხვითაც, არამედ დედამიწის ზურგიდან სრულებით აღმოიფხვრებოდა“[1]. ამის მსგავსი მოთხრობაში ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

კრიტიკოსს მოსწონს ის ადგილი, სადაც მწერალს კ. ფოხტის სიტყვები მოჰყავს. მისი აზრით, ამგვარი საუბარი იმით არის საყურადღებო, „რომ არღვევს ადამიანის ცრუმორწმუნეობას, რაც გაუნათლებელ ხალხში ბლომად გავრცელებულია“, და განაგრძობს, რომ ჰოტზე საუბარი მთელ წიგნში საუკეთესოა, ხოლო დანარჩენი მასალა, ისევე, როგორც „ზღარბი“, „ზღაპრულია, ფუჭია, უვარგისია“.

დ. ქადაგიძის აზრით, ი. გოგებაშვილის წიგნი „მოსაელის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“ მკითხველზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს. ამ წიგნიდან მკითხველს ის აზრი გამოაქვს, — გვიმტკიცებს კრიტიკოსი, — რომ ი. გოგებაშვილს კარგად არ ესმის ბუნებისმეტყველება, რის გამოც წიგნი უხეირო გამოდგა და წასაკითხავადაც კი არ ღირსო. „ჩვენ დარწმუნებული ვართ, — განაგრძობს დ. ქადაგიძე, — ეს წიგნაკი რომ ბოლომდის გაიშინჯოს, ი. გოგებაშვილს დარჩება ჰოტი, ისიც ფრთამოკვეცილი...“

ი. გოგებაშვილს, როგორც თვითონ აღნიშნავს, ძლიერ შრომატევადი საქმიანობა გაუწევია ამ წიგნის დასაწერად — „ხელახლად გულ-დადებით“ გადაიკითხა კარლ ფოხტის „სასარგებლო და მავნე ცხოველები“, ბრემის „ცხოვრება ცხოველებისა“, ვაგნერის „მოთხრობის ბუნების ისტორიიდან“, ბოგდანოვიჩის „Мирские захребетники“, ოსტროგორსკისა და სხვათა წიგნები ბუნებისმეტყველებიდან. „რადგანაც აღწერილობითი ფორმა, მშრალი მეცნიერული კლასიფიკაცია, დაწვრილებითი აღწერა ცხოველების შინაგანი აგებულობისა ევროპის გლეხკაცობასაც კი ძლიერ აფრთხობს, ამიტომ ჩვენ მოვიქეცით სწორედ ისე, როგორც მოიქცნენ: გერმანიაში ვაგნერი და საფრანგეთში ჟიულ-ვერნი, — წერს ი. გოგებაშვილი და განაგრძობს: ჩვენ წერილებს მივეცით მონოგრაფიული ხასიათი, ავირჩიეთ მოთხრობითი, დრამატიული ფორმა და მთავარი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ როგორ სცხოე-

[1] „ჯეჯილი“, 1897, № 22, გვ. 231.

რობს, როგორ იბრძვის და როგორ ცლეტს მავნე სულდგმულებს ესა თუ ის ცხოველი, და რამდენად ძვირფასია ის სამსახური, რომელსაც იგი უწევს ჭირნახულს, მეურნეობასა"[1].

მთელი შინაარსი წიგნისა ზემოთხსენებულ მეცნიერთა ნაშრომების გაცნობით დაიწერა. ი. გოგებაშვილის არის მხოლოდ „არჩევანი სასარგებლო ცხოველებისა, ფორმა მოთხრობისა, დალაგებულება მსჯელობისა, მიმდინარეობა ახრისა".

ი. გოგებაშვილი საყვედურს გამოთქვამს როგორც კრიტიკოსის, ისე რედაქციის მიმართ, რომელნიც უკადრის ხერხს ხმარობენ, რათა მკითხველის თვალში დაამცირონ წიგნიცა და მისი ავტორიც, ხელი შეუწყონ მის გავრცელებას, და შემდეგი დასკვნა გამოაქვს:

„აშკარაა, კრიტიკანს არც კი გადაუფურცლავს ზემოთ მოხსენებულნი თხზულებანი გამოჩენილის ბუნების-მეტყველებისა... ამ სახით... უმართებულობა და უვიცობა შეერთდნენ ერთად, რათა შეუკრან გზა ხალხში წიგნსა, რომელიც, რაც უნდა იყოს სასარგებლო და საჭირო ცოდნას შეიცავს ჩვენი ქვეყნის მხვნელ-მთესველთათვის და რომლის სანაცვლოს ჩვენს ლიტერატურაში ვერ დაასახელებენ იგინი, რადგან მეორე წიგნი არ მოგვეპოვება, რომელსაც საგნად ჰქონდეს სასარგებლო ცხოველების და ფრინველების ცხოვრება და შემოქმედება"[2].

გარდა ზემოთდასახელებულისა, წიგნში მოთავსებულია შემდეგი მოთხრობები: „დიდი მოკეთე მტრის კანში ანუ ბელურა ჩიტი", „უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა", „ღამფრა", „მერცხალი", „შოშია", „გომბეშო, ანუ მიწის ბაყაყი" და „მტრედი, გვრიტი, მწყერი, გუგული, ოფოფი, კოდალა და ბულბული".

ი. გოგებაშვილს სურს, რომ ბავშვმა შეისწავლოს ბუნების საიდუმლოებანი, ზემოთჩამოთვლილ ცხოველთა და ფრინველთა ცხოვრება და ამით შეიცნოს მათი როლი სოფლის მეურნეობაში.

1874 წლის 11 დეკემბერს ცენზურამ ნება დართო გამოე-

[1] „ცნობის ფურცელი", 1897, № 240, გვ. 4.

[2] იქვე, გვ. 5.

ცათ იკ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „საყმაწვილო კოწა“ და იმაზე წელს მიიღო იგი პატარა მკითხველმა.

1875 წელს გაზეთ „დროებაში“ ამ ფრიად მნიშვნელოვან ფაქტთან დაკავშირებით დაიბეჭდა კრიტიკოს გ. კურდღელაშვილის წერილი. კრიტიკოსი სამართლიანად აღნიშნავს ი. გოგებაშვილის იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მას მიუძღვის პირველდაწყებითი კლასებისათვის სახელმძღვანელოების შედგენაში. მიუხედავად ამისა კრიტიკოსი „საყმაწვილო კონას“ უწოდებს „მოუფიქრებლად შემდგარ შრომას“ და ამბობს, რომ ი. გოგებაშვილი, „ყველაზედ მაღლა მდგომი პედაგოგიურს კითხვებში და შრომებში, რომ ეს ჩვენი ბრწყინვალე გარსკვლავი ამისთანა სუსტს ცოდნას იჩენს როგორც ჩვენი ცხოვრების და სკოლის მოთხოვნილების შესახებ, ისეც ყმაწვილის ბუნების ცოდნაში და დიდაკტიკურ კითხვებში“.

ი. გოგებაშვილი „საყმაწვილო კონის“ დანიშნულების შესახებ წიგნის შესავალ წერილში იძლევა განმარტებას.

იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სკოლის გარეშე აღზრდას, აღზრდას ოჯახში, სადაც მთავარი როლი მშობლებს აკისრიათ. ადამიანის აღზრდა და ჩამოყალიბება დიდი ხელოვნებაა და სწორედ ამიტომაც არის საჭირო აღმზრდელს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს თავის მოვალეობაზე. მშობელი მხოლოდ მაშინ მიაღწევს დასახულ მიზანს, თუ ის გონივრულად შეუდგება ამ ფრიად საპასუხისმგებლო მოვალეობის შესრულებას.

დიდი ქართველი პედაგოგი ოჯახის გარდა სკოლამდელი ასაკის ბავშვების აღზრდაში დიდ როლს ანიჭებდა საბავშვო ბაღებს და საზოგადოებას მოუწოდებდა, რათა დაუყოვნებლივ მოეკიდათ ხელი ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის. ი. გოგებაშვილს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული ისეთი საბავშვო ბაღების შექმნა, რომლებშიც ყმაწვილებს, სამი წლიდან რვა წლამდე, სხვადასხვა თამაშობებით, სიმღერებით, ნივთების კეთებითა და მოთხრობების კითხვით გულში კეთილ გრძნობებს ჩაუნერგავდნენ. მათ ხასიათს სწორ გზაზე დააყენებდნენ და მიიჩნევდნენ შრომას. ი. გოგებაშვილს სწამდა, რომ ამგვარ საბავშვო ბაღებში აღზრდილი ბავშვები გაცილებით უკეთ ისწავლიდნენ სკოლაში, ვინემ ის ბავშვები, რომლებიც მოუმზადებელნი ოჯახიდან პირდაპირ შედიან სასწავლებელში.

გ. კურდღელაშვილი ვერ ჩასწვდა „საყმაწვილო კონის“ მიზანსა და დანიშნულებას და ირონიულ ტონში აცხადებს, რომ ი. გოგებაშვილს ამ წიგნის საშუალებით საბავშვო ბაღების გახსნა მოუნდომებიაო: „რა ლამაზი სიტყვებია, მკითხველო, და რა მშვენიერი კაცთ მოყვარე გრძნობები! მაგრამ უბედურებაც ამაშია, რომ ეს ლამაზი სიტყვებია და ამ ლამაზი სიტყვებით ვფიქრობთ ერთი უშველებელი ცვლილება მოვახდინოთ“.

მოვუსმინოთ თვით წიგნის ავტორს, რომელიც „საყმაწვილო კონას“ წინასიტყვაობაში ღრმა პედაგოგიური ცოდნითა და გამოცდილებით ნათლად განმარტავს მის დანიშნულებას: „ჩვენმა წიგნმა უნდა გააადვილოს ერთი მხრით საბავშვო ბაღების გამართვა... მინამ ჩვენ ჯერ საბავშვო ბაღები არ გვაქვს, მშობლები, მეტადრე დედები ვალდებულნი არიან, რომ ამ წიგნის შემწეობით თავის პატარა შვილებს თან-დათან გონება გაუღვიძონ, გაუხსნან და იმდენად შეუმაგრონ ვარჯიშობით ჭკუა, რომ მათ ისე აღარ გაუძნელდეთ სწავლის ტვირთინ ზიდვა შკოლებში“.

კ. დ. უშინსკის იდეების მიმდევარი ი. გოგებაშვილი იზიარებდა დიდი რუსი პედაგოგის აზრს იმის შესახებ, რომ აღზრდამ აღსაზრდელს შრომის პატივისცემისა და სიყვარულის გარდა, შრომის ჩვევაც უნდა გამოუმუშაოს. კ. დ. უშინსკი შრომას ისეთ ტვირთად მიიჩნევდა, „ურომლისოდაც ადამიანური ღირსება და ბედნიერების შესაძლებელი შეერთება შეუძლებელია“[1]. ეს ტვირთი უნდა ატაროს ყოველმა ადამიანმა, თუკი სურს ცხოვრება გაიუმჯობესოს.

შრომის ჩვევების გამომუშავების გარდა, ბავშვები ამ სახელმძღვანელოთი სწავლობდნენ ბუნებას, რომელიც მას გარს არტყია, მის მოვლენებს. ყოველივე ეს კი მოცემულია ცხოველთა ცხოვრების მაგალითებით, მათი დამოკიდებულებით ერთმანეთთან, ადამიანებთან და სხვა. ი. გოგებაშვილი ცდილობდა, წიგნში მოთავსებული ზოოლოგიური მოთხრობებიდან პატარებს სამი სიკეთე შეეძინათ: „მათ უნდა კეთილი გავლენა იქონიონ მათ ხასიათზედ ცხოველების კარგი თვისებების ცხადათ გამოხატვითა, უნდა აშკარათ დაანახონ

[1] კ. დ. უშინსკი, რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, ტ. 1, 1948, გვ. 132.

ჰეშმარიტი ურთიერთობა ადამიანსა და ცხოველებს შუა, მათი სარგებლობის და მავნებლობის აღწერითა და გაუხსნან ბავშვებს გონება სურათული წარმოდგენით იმ შეუწყვეტელი ბრძოლისა არსებობისათვის, რომლითაც სავსეა ყველა ცხოველის სიცოცხლე, მეტადრე კი ზოგიერთებისა"[1].

წიგნის ავტორი აღნიშნავს, რომ მოთხრობების მცირე ნაწილი ორიგინალებია, უმეტესი ნაწილი კი სხვადასხვა წყაროდან არის ამოღებული, სადაც პირველი ადგილი ეკუთვნის ეაგნერის მოთხრობებს ბუნების მეცნიერებიდან. ეს მოთხრობებიც ი. გოგებაშვილს შეუცვლელად არ შეუტანია წიგნში. ბავშვებისათვის კიდევ უფრო გასაგები რომ ყოფილიყო, შეცვალა კილო, ფორმა და ზოგიერთ ადგილას შინაარსიც კი. მოთხრობები იგავ-არაკულ კილოს დაუახლოვა, ვინაიდან ეს ჟანრი ბავშვებს ძალიან იტაცებდა.

წიგნში მოთავსებული მოთხრობებიდან მხოლოდ პირველი ორმოცდაათი მოთხრობა არის განკუთვნილი სკოლამდელი ასაკისათვის, დანარჩენი კი იმდენად რთული მოთხრობებისაგან შედგება, რომ მათი წაკითხვა და შესწავლა მხოლოდ მოზრდილი ყმაწვილებისათვის არის მიზანშეწონილი.

გ. კურდღელაშვილის აზრით, როდესაც ყმაწვილი ამ მოთხრობების კითხვას დაიწყებს, ის ჯერ ეცდება სიცრუის გარჩევას ჰეშმარიტებისაგან, ვინაიდან მან კარგად იცის, რომ „არც თაგვები ბაასობენ, არც ქორები, არც ღორები, არც ჭიანჭველები ახდენენ საშინელს თავგანწირულებას და იმან უნდა დაიწყოს ფიქრი, რისთვის ტყუის ამ წიგნის დამწერელიო, როგორ უნდა გავიგოთ ესაო და სხვა და სხვა".

როგორც ცნობილია, პატარა ბავშვები უფრო დიდი ინტერესითა და გატაცებით კითხულობენ ისეთ ნაწარმოებებს, რომლებშიც ცხოველები და ფრინველები ადამიანთა თვისებების მატარებლები არიან და ადამიანებივით საუბრობენ.

ბავშვის ფსიქოლოგიისა და მისწრაფებათა დიდმა მცოდნემ სწორედ ეს ხერხი აირჩია პატარების ზნეთსწავლებისათვის.

ბავშვობისას შეთვისებული კეთილი თესლი დიდობაში სასარგებლო ნაყოფს გამოიღებს. ბევრადაა დამოკიდებული

---

[1] ი. გოგებაშვილი, „საყმაწვილო კონა", 1874, გვ. 8.

...რული ადამიანის ჩამოყალიბებაში, თუ ბავშვობაში რო-
გორ წიგნებს დაეწაფება და რას შეითვისებს იქიდან. სწო-
რედ ამის შესახებ ესაუბრება იგი თავისი წიგნის შესავალში
მშობლებსა და მასწავლებლებს: „გონების ძალა და მიმარ-
თულება, კაცური გრძნობის და ლტოლვილობის გახსნა ბევ-
რათ დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ გაატარებს სიპა-
ტარაგის დროს ბავშვი, თუ რაგვარ ვარჯიშობაში იქმნებიან
გართულნი მისი ნიჭიერებანი, თუ რა ჩაბეჭდილებანი დაიჭე-
რენ ადგილს მის ჯერ კიდევ ცარიელ გონებაში და თუ რა საგ-
ნებზედ იქნება მიქცეული მისი ყურადღება"[1].

გ. კურდღელაშვილი უვარგისად თვლის მოთხრობას „ჭი-
ანჭველები", რომლებიც „თკითონ ავტორს მიაჩნია საუკეთე-
სო მოთხრობად და რომელსაც გაუკეთა კატეხიზაცია". ჩვენ
ვერსად ვერ ვნახეთ, რომ ი. გოგებაშვილს ეს მოთხრობა სა-
უკეთესოდ მიაჩნდეს. მწერლის მიზანი იყო, თითოეული მო-
თხრობა, შინ თუ სკოლაში, კითხვის შემდეგ ახსნითი საუბ-
რის საგანი გამხდარიყო. მან ახსნითი საუბრის ნიმუში მოთხ-
რობა „ჭიანჭველების" მაგალითზე მოგვცა.

ამ მოთხრობაში ავტორი მკითხველს აცნობს ჭიანჭველე-
ბის შრომისმოყვარეობას, ერთსულოვნებას, რაც ყოველგვარ
დაბრკოლებას ადვილად გადაალახვინებს. მეზაღემ, რომელიც
მოწმეა მათი ერთმანეთისადმი თავდადებისა, „მათ შევიწრო-
ებას თავი გაანება და მისცა ნება ეჭამათ იმის ბაღში იმდენი
ხილი, რამდენიც უნდოდათ".

ეს პატარა მოთხრობა მცირეწლოვანთათვის ძალზე სასარ-
გებლო და სამაგალითოა.

კრიტიკოსს არც მოთხრობა „ფუტკრები" მოსწონს და ის
ბავშვებისათვის უსარგებლოდ და უინტერესოდ მიაჩნია.

როდესაც ი. გოგებაშვილს ეს მოთხრობა სახელმძღვანე-
ლოში შეჰქონდა, მისი მიზანი იყო პატარებისათვის მხატვ-
რულ ფორმებში ეჩვენებინა ფუტკრების ცხოვრება „მოშინა-
ურებამდე" და „მოშინაურების" შემდეგ.

„ერთ ტყეში ფუტკრები სცხოვრობდნენ. იმათი პატარა
სკა ქალალდივით იყო გაკეთებული დაღეჭილ ხის ჭერქისაგან.
ტყის ყვავილებიდამ მიჰქონდათ წმინდა სანთლის მასალა და»

---

1 [1] ი. გოგებაშვილი, „საყმაწვილო კონა", 1874, გვ. 1-2.

აკეთებდნენ პატარ-პატარა ექვს კუთხიან ფიჩის ყუთებსა...“[1] ასე იწყებს მოთხრობას ი. გოგებაშვილი. ერთხელ ფუტკრებმა ფუტუროო ხე ნახეს და საცხოვრებლად ძალზე მოეწონათ იმისი გამოფუღრული გული. აქ ისინი ტენისაგან და სიცივისაგანაც დაცულნი იქნებოდნენ. მწერლის ფანტაზია, თუ როგორ მოაშინაურა ადამიანმა ფუტკარი, ძალზე დამაჯერებელია და მკითხველს, დიდი იქნება ის თუ პატარა, ეჭვიც არ შეეპარება მის სინამდვილეში:

„ერთხელ ერთი გლეხი ხის საჭრელად წავიდა ტყეში და თვალი შეასწრო ფუტკრებს. გლეხმა ჩაიხედა ფუღუროში მის შესატყობლათ, თუ რას აკეთებენ იქ ფუტკრები, დაინახა თაფლი, აიღო ცოტა და გემოთ ნახა. „აიპე! იფიქრა გლეხმა — რა კარგი იქნება, რომ ეს ფუტკრები ჩემი იყვნენ და თაფლს მიკეთებდნენ; მოდი ამ წეს ძირში მოვსჭრი და ფუტკრებიანათ შინ წავიღებ“[2]. მოიტანა ხერხი და დაუწყო ხეს შიგ ძირში ხერხვა“[3]. გაგულისებულმა ფუტკრებმა იგრძნეს რა საშიშროება, მწარედ დაუწყეს კბენა. გლეხმა მაშინვე მიატოვა ის არემარე და სახლისაკენ გაიქცა, მაგრამ თაფლი ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა ფუტკარი როგორმე წაეყვანა სახლში. მან აიღო ერთი სქელი ხის ნაჭერი, გული გამოუღო, გააკეთა დაახლოვებით რასაც დღეს სკას ვეძახით და წაიღო ტყისაკენ. სკა ფუტკრის ბინიდან ცოტა მოშორებით დადგა, ხოლო იმ ხეს ცეცხლი მოუკიდა. კვამლი რომ შევიდა ფუღუროში ყველა ფუტკარი გარეთ გამოცვივდა და ახალი ბინის ძებნას შეუდგნენ. ისინი გლეხის მიერ გაკეთებულ სკაში შევიდნენ; მან კარები თიხით ამოულესა, რომ არ გაფრენილიყვნენ და შინისაკენ წაიღო ფუტკრებით სავსე სკა. „ამ დროიდან მოყოლებული ფუტკრები ყველგან კაცთანა სცხოვრობენ. ზაფხულში კაცი იმათ სახლს, რომელსაც სკა ჰქვიან, ყვავილების ახლო სდგამს, ყვავილებში ბევრი ტკბილი წვეწია, ფუტკრები აგროვებენ ამ წვენს და უკეთებენ კაცს თაფლსა და წმინდა სანთელსა“[4] — ასე ამთავრებს ამ საინტერესო მოთხრობას ი. გოგებაშვილი.

---

[1] ი. გოგებაშვილი, „საყმაწვილო კონა“, 1874, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] იქვე, გვ. 18.

[4] იქვე.

გ. ქურდღელაშვილს ბავშვებისათვის შეუფერებელ ნაწარმოებად მიაჩნია მოთხრობა „გონიერი ცხენი“. ამ მოთხრობის წაკითხვის შემდეგ პატარა მკითხველი ზიზღის გრძნობით აღივსება ბოროტებისადმი — სისხლისმსმელი მგლისადმი, რომელიც ორი მეგობრის — გონიერი ცხენისა და მონადირის უბედურების მიზეზი გახდა. მიუხედავად ამისა მოთხრობის ის ადგილი, სადაც აღწერილია მგლის მიერ მონადირის მოკვლის სცენა, ნორჩი მკითხველისათვის შეუფერებლად მიგვაჩნია. ასეთი საზარელი სურათის დახატვას ადგილი არ უნდა ჰქონდეს თხზულებებში. აი, როგორ აგვიწერს ამ ფაქტს მწერალი:

„...უცებ ხშირი ბუჩქებიდამ გამოხტა მგელი და უკანიდამ ეცა მონადირეს; წაიქცა მიწაზედ, მივარდა ყელში და მოკლა ისა. ცხენი ხედამდა, როგორა ჰკლავდა მგელი იმის პატრონს, უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ საუბედუროთ ის ძალიან მაგრა იყო ხეზედ მიბმული და ვერ აეშვა. ის მოჰყვა კბილებით თოკის ღრღნას, რომლითაც იყო მიბმული. სანამ ცხენი თოკსა ღრღნიდა, მგელმა კიდეც გააძუნძულა მონადირე თავის სოროში; დარჩა მარტო სისხლში მოსვრილი თოფი და დაგლეჯილი ტანისამოსი“[2]. — (ხაზი ჩვენია. — ზ. ბ.).

ცხენი საერთოდ ძალზე გონიერ ცხოველად არის მიჩნეული და სრულიად ბუნებრივია ის განცდები, რაც თავისი პატრონის დაკარგვით არის გამოწვეული.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე მოთხრობა „მუხა როგორ გამეფდა“, რომლის მომდევნო ამბავი — „მუხა როგორი მეფე გამოდგა“ პირველი მოთხრობის გაგრძელებას წარმოადგენს. კრიტიკოსი ამ მოთხრობასაც იწუნებს და დასძენს, რომ ავტორს ბოტანიკის ცოდნა ატყუებსო.

ავტორი სადა და ძალზე მარტივი ენით გვიყვება, თუ ჯერ ფრინველებმა როგორ აირჩიეს მეფე. მათ გადაწყვიტეს, რომ ჩვენში ვინც უფრო მაღლა აფრინდება, ჩვენი მეფეც ის იქნებაო. ყველაზედ უკან ქათმები დარჩნენ, ხოლო ყველაზე თვალმიუწვდენ სიმაღლეზე არწივი აფრინდა და მეფის სახელიც მიტომ მოიპოვა. როდესაც მცენარეებმა ეს ამბავი შე-

---

[1] [2] ი. გოგებაშვილი, „საყმაწვილო კონა“, 1874, გვ. 9.

იტყვეს, მათაც მოინდომეს მეფის არჩევა და ასევე გადაწყვიტეს, რომ ვინც ყველაზე მაღალი გაიზრდებოდა, მცენარეთა მეფეც ის იქნებოდა. მწერალი დამაჯერებლად აგვიწერს მცენარეთა შორის პაექრობას, მაგრამ ბოლოს ბევრი წლის შემდგომ მუხა გადაიქცა ტყის მძლავრ მდევათა. მის ღეროს რამდენიმე კაცი ძლივს შემოუწვდენდა ხელსა. ის გავდა ვეებერთელა მწვანე კარავსა. ათასი მისი შტოები და ტოტები აქეთიქით იყვნენ გაბარდღულნი. უთვალავი ლამაზი, თითქო შემოკემსილი ფოთლები, საშურათ შრიალობდნენ ქარისაგან. მწვანე პაწაწა მტევნები ყვავილებისა ფოთლებ შუა ეკიდნენ და შემოდგომაზედ გადაიქცეოდნენ ხოლმე რკოებათ, რომლებიც ეწყვნენ პატარა ჯამებში. მუხის ქვეშ იზრდებოდნენ ყვავილები და ბალახი და თავის ჭრელ თვალებს ძლივს უწევდნენ მის წვერამდის. მის გარშემო მოსამსახურეებივით იდგნენ წიფელა, ფიჩვი და ნაკერჩხალი. ახლა მუხა იყო სრული მეფე მთელი ტყისა“[1] — წერს ი. გოგებაშვილი. მუხას სჯეროდა, რომ კარგი მეფობა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ყველას სჯობდეს სიმაღლითა და სისქით, არამედ იგი კეთილი უნდა იყოს და ყველასათვის ბედნიერება უნდა მოჰქონდეს თუ კი მას საზოგადო პატივისცემის დამსახურება სურს („მუხა როგორი მეფე გამოდგა“).

ორი წლის შემდეგ გ. კურდღელაშვილმა საგრძნობლად შეიცვალა აზრი ი. გოგებაშვილის შემოქმედებისადმი და დამსახურებული შეფასება მისცა მის ამბავს საყმაწვილო ლიტერატურის დარგში. 1877 წელს გაზეთ „დროების“ მე-17 ნომერში გამოქვეყნებულ წერილში — „სამაგალითო პედაღოღიური გამოსარჩლება“ კრიტიკოსმა აღნიშნა ქართველი საზოგადოების წინაშე დიდი პედაგოგის დამსახურება: „ღმერთმა ჰქმნას, რომ ამ ჩვენმა ძლიერ პატივცემულმა და ერთგულად მოღვაწე პირმა ბოლომდის მიიყვანოს თავისი მაღალი და წმინდა მოწოდება, ღმერთმა ჰქნას...“

1884 წელს გამოვიდა „კონას“ მეორე შეცვლილი გამოცემა. ამავე წლის ჟურნალ „ნობათის“ მე-7, მე-8 და მე-9 ნომრებში დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული წერილი, რომელშიც რედაქცია წინააღმდეგია ეს წიგნი გამოიყენონ სკოლის დამ-

[1] ი. გოგებაშვილი, „საყმაწვილო კონა“, 1874, გვ. 148.

ხმარე სასელმძღვანელოდ. რედაქციის აზრით, წიგნის შემდგენელმა მასალის ნახევარი სულ ვაგნერის თხზულებებიდან აიღო, დანარჩენი კი უშინსკიდან და სხვადასხვა წიგნებიდან. „ისეთი კითხვა და ლაზათიანი მოთხრობები ბ. უშინსკისა, თუ ვაგნერისა სწორედ რომ დაგენანება „კონა“-ში რომ წაიკითხავ“, — აცხადებს რეცენზიის ავტორი. ან. დულაძეს ეგონა, რომ „კუნწულა“, რომელიც ი. გოგებაშვილს უნდა გამოეცა, მის „ნობათს“ ხელისმომწერთ წაართმევდა. დიდი პედაგოგი ყოველთვის მონდომებული იყო, რათა „ნობათს“ ბევრი ხელისმომწერი ჰყოლოდა და ჟურნალსაც ეარსებნა მომავალი თაობის საკეთილდღეოდ. კიდევ უფრო ნათელი რომ გახდეს ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება „ნობათისა“ და მისი რედაქტორ-გამომცემლის მიმართ, მოვიყვანთ ერთ მოზრდილ ამონაწერს მისი წერილიდან „ახირებული გაფხუკიანება“:

„ყველაზე უსაკვირველესი ის არის, რომ ბატ. ღულაძე გვიწყრება იმაზედ, რაც მის გულითადს სურვილს შეადგენდა. წარსული ზაფხულის დამდეგს მან გვკითხა ჩვენ, მეორე ნომერი „კ უ ნ წ უ ლ ი ს ა“ როდის გამოვაო. ჩვენ ვუპასუხეთ: როდესაც „ნობათს“ საკმაო ხელის მომწერი გაუჩნდება მეთქი. „ნობათის“ არსებობისათვის საჭიროა ხუთასი ხელის მომწერი, ანუ ორასი თუმანი ფული წელიწადშიო, განგვიმარტა მან. „მაგოდენა ხელის მომწერის საბავშვო ჟურნალი, თუ იგი მარჯვედ იწარმოებს, მეორე წლის განმავლობაში უთუოდ შეიძენს, რადგანაც მოთხოვნილება დიდია საზოგადოებაში, — და ამ ხნით შეჩერება ჩვენი გამოცემისა შესაძლებელია“, ვუპასუხეთ ჩვენ. ჩვენს მოსაუბრეს ძლიერ ეამა ეს და გვითხრა: — ეგ სიტყვები, ჩვენს შორის კერძოდ ნათქვამი, რომ „დროებაში“ იქმნას გამოცხადებული, მეტად კარგი და სასარგებლო იქნებაო...“ ბ-ნი ღულაძე უწინ „კუნწულის“ მხოლოდ შეჩერებას ნატრობდა, ახლა სრულს გაუქმებას ითხოვს ამიერ და უკუნისამდე: „თუ „ნობათი“ სასარგებლო გამოცემაა, რაღა საჭიროა თქვენ მიერ განძრახულის და შეჩერებულის ჟურნალის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნობათი“ ხუთასს წლიურს ხელის-მომწერს შეიძენსო?“[1]

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 49-50.

ი. გოგებაშვილი აქვე დასძენს, რომ შეასრულებს ან. ღუ-ლაძის მოთხოვნას, აღარ გამოსცემს „კუნწულას“ და ყოველ-ძრივ მხარში ამოუდგება „ნობათს“, თუკი იგი სამ პირობას ასრულებდა. კერძოდ, „ნობათი“ გადაქცეულიყო იმისთანა ჟურნალად, რომელიც დააკმაყოფილებდა ბავშვებსაც და ყმაწვილებსაც; „მან სრულიად უნდა აიშოროს თავიდგან ღვარძლი და მხოლოდ წმინდა პურს იპყრობდეს. რედაქტორს ჯერ-ჯერობით სრულიად უნდა აეკრძალოს წერა, სახელდობრ იქამდის, ვიდრე გადამეტებული სწავლულობა არ შეუმცირდება და ქართული ენა, ლათინურისაგან ქვეშ მოქცეული, ზევით არ მოექცევა... იმის აზრით, რომელსაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, რიგიანი საბავშვო ჟურნალი პირველსავე წელს მოიპოვებს საკმარისს ხელის მომწერს და რაოდენიმე წლის განმავლობაში შეიქმნება არსებით მოთხოვნილებად ყოველივე სახლობისათვის, რომელშიაც კი წერა-კითხვის მცოდნე პირი მოიპოვება“[1].

ან. ღულაძე საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილმა ბ-ნ გაბიჩვაძეს პასუხად დაბეჭდილ „საბა-ასოშიაც“[2] „ნობათის“ შესახებ ილაპარაკაო. თუ „ნობათი“ სასარგებლო გამოცემად მიაჩნია ჩვენი საზოგადოებისათვის, იხმაროს ყოველი ღონე და საშუალება, რათა ჟურნალმა იარსებოსო, — წერს ან. ღულაძე და იქვე დასძენს: „რაღა საჭიროა თქვენ მიერ განზრახულის და „შეჩერებულის ჟურნალის გამოცემა იმის შემდეგ, როცა „ნობათი“ ხუთასს წლიურ ხელისმოწერს შეიძენს?.. და თუ სცნობთ, რომ „ნობათი“ უვარგისი გამოცემაა, ჩემის აზრით, ძლიერ შემცდარხართ, თქვენი განზრახვა რომ „შეგიჩერებიათ...“[3]

ი. გოგებაშვილი ბ-ნ გაბიჩვაძის პასუხად დაბეჭდილ „საბაასოში“ ერთ ადგილას გამოთქვამს თავის შეხედულებას საერთოდ სიტყვა „კონკურენციის“ შესახებ, მაგალითად მოჰყავს ჟურნალი „ნობათი“ და ამჟღავნებს თავის კეთილ დამოკიდებულებას ჟურნალის მიმართ. დიდი პედაგოგი წერს:

„...საზოგადოდ ჩვენ ამ აზრისანი ვართ კონკურენციის შესახებ: თუ ვინმე შეუდგება წიგნის ან სხვა რომელსამე სა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 51.

[2] „დროება“, 1884, № 192, გვ. 2-3.

[3] იქვე. № 200, გვ 3.

მოსწავლო კუთვნილების გამოცემას, ჩვენ, თუნდაც რომ იმავე დროს ვადგეთ ამ გვარს შრომას და იმედიცა გვქონდეს უკეთესად შესრულებისა, მაინც ხელს არ შეუშლით და დავაცლით, რომ ერთი გამოცემა მაინც გაავრცელოს სკოლებში და საზოგადოებაში, რასაკვირველია, თუ ეს გამოცემა სასარგებლო იქნება. თუ წინააღმდეგს გზას დავადგებით და ერთს ორს მოღვაწეს ხელი შევუშალეთ, ხარჯი და შრომა ცუდად ჩავუტარეთ, უეჭველია, ეს არა ერთს ყმაწვილს დააშინებს და აღარ გააბედვინებს პედაგოგიური ლიტერატურის ასპარეზად გამოსვლას და ამითი ჩვენს სკოლას მიეცემა აუარებელი ზარალი... „ნობათის“ მსგავსი გამოცემა ჩვენც კი გვქონდა დაწყებული, მაგრამ მისი გაგრძელება შევაჩერეთ იქამდის, ვიდრე ეს სასარგებლო გამოცემა არ მოიპოვებს ხუთასს წლიურს ხელისმომწერს მაინც და მტკიცე ნიადაგზედ არ დასდგება...“[1]

გაზეთ „დროების“ 1884 წლის 20-ე ნომერში ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა ან. ღულაძის საპასუხო წერილი „ახირებული გაფხუკიანება“, რომელშიც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რიგიანი საბავშვო ჟურნალი გამოცემის პირველსავე წელს მოიპოვებს საკმარის ხელისმომწერთ და მალე ყოველი ოჯახისათვის „არსებით მოთხოვნილებად“ გადაიქცევაო.

ი. გოგებაშვილმა მეტად ამომწურავი პასუხი გასცა „ნობათის“ რედაქციას გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილ სტატიაში (1884 წ. №№ 259—261) სათაურით „უძლური სიბრაზის ნაყოფი“: „...რა წამს... კონკრეტულ შენიშვნებზე გადავიდა, მკილავს მაშინვე ჭაობში ჩაუვარდა ფეხი. მან ჩვენს გადმოკეთებულად ვაგნერიდან ჩასთვალა და ამიტომ სრული გულით დაიწუნა მოთხრობა „გუგული“, რომელიც ეკუთვნის ერთის მსწავლულის და პედაგოგის კალამსა. ჩვენ ამ პედაგოგის მოთხრობა ვამჯობინეთ ვაგნერისას იმიტომ, რომ უფრო მარტივი და მეცნიერულია, რადგანაც მდაბიურად ხსნის იმ თვისებას გუგულისას, რომლის ძალითაც ეს საოცარი ფრინველი არას დროს თავის საკუთარ ბუდეს არ აკეთებს და სდებს კვერცხებს სხვა ფრინველების ბუდეში...“

მოთხრობა „გუგული“ მარტივი და მეცნიერული ენით

---

[1] „დროება“, 1884, № 192, გვ. 3.

უამბობნ პატარებს, რატომ არა აქვს გუგულს ბუდე და რატომ დებს სხვის ბუდეში კვერცხებს. „ერთი გუგული სცხოვრობდა ტყეში ერთ ხეზედ... ერთხელ გუგული საჭმლის საშოვრათ გაფრინდა თავის ბუდიდგან: დაიწყო ქარმა ქროლა, ხეებმა შექმნეს აქეთ-იქით ნძრევა, იმის ბუდე ჩამოვარდა და დაიშალა .გუგულს ამ დროს კვერცხების დადობის დრო ჰქონდა. ახალი ბუდის გაკეთებას აბა სადღა მოასწრობდა კვერცხების ჩასადებათ, ამიტომ იმან დაიწყო აქეთ-იქით ბუდის ძებნა"[1] — ასე იწყებს მოთხრობას ი. გოგებაშვილი. როდესაც ცარიელ ბუდეს ვერ მიაგნო, მინდორში დასდო კვერცხები. უცებ მან შეამჩნია, რომ ერთი ბუდიდან ჩიტი აძოცრინდა. მან სასწრაფოდ ფეხებითა და ნისკარტით აიღო ერთი კვერცხი და ჩიტს ბუდეში ჩაუდო. გუგულმა სხვა კვერცხებიც ასე დააბინავა. ჩიტები თავის ბარტყებთან ერთად გუგულის ბარტყებსაც ზრდიდნენ. გუგულის ბარტყები დიდები იყვნენ და ცდილობდნენ ჩიტების ბარტყებზე მეტი საკვები რგებოდათ, ამიტომ ორმა მათგანმა ბარტყები ძირს გადმოყარეს, „მაგრამ ეს ბოროტება არც ერთს არ შერჩათ. როცა ეს გუგულები დაიზარდნენ, ისეთი სქელი და მოზრდილი გახდნენ, რომ ბუდის პირიდგან ვეღარ ამოეტივნენ და შიგ დარჩნენ. შემოდგომამდის გამდელმა ჩიტებმა საშველი უსხადეს ერთგულათა, მაგრამ რაკი აცივდა, ისინიც სხვა ფრინველებს გაჰყვნენ თბილ ქვეყნებში. ჩვენი ავი გუგულები დარჩნენ ბუდეებში უსაშველოთ და საშინლათა ჩხაოდნენ"[2]. ერთი მათგანი მოკვდა, ხოლო მეორე მონადირემ ამოიყვანა ბუდიდან, ჩასვა გალიაში და ქალაქში წაიყვანა გასაყიდად. დედა გუგულმა როდესაც ნახა, რომ მისი ბარტყები სხვის ბუდეში ურიგოდ არ იზრდებიან, ამიტომ ჩუმჩუმად დაიწყო სხვათა ბუდეებში კვერცხის დება. მას სხვა გუგულებმაც მიბაძეს.

როდესაც პატარა ამ მოთხრობას წაიკითხავს, ისწავლის, რომ ადამიანი ხარბი არ უნდა იყოს, სხვებზედაც უნდა ზრუნავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უბედურებაში ჩავარდება. ეს მოთხრობა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის შესაფერისად მიგვაჩნია.

---

[1] ი. გოგებაშვილი, საყმაწვილო კონა, 1874, გვ. 20.

[2] იქვე.

ჟურნალ „ნობათის“ რედაქციას მეცნიერული და ენობრივი შეცდომების კიდევ ერთი მაგალითი მოჰყავს. ეს არის ვაგნერიდან გადმოკეთებული მოთხრობა „უდანაშაულოდ დასჯილი თხუნელა“.

რეცენზენტი შენიშნავს, რომ ი. გოგებაშვილმა ვერ გაიგო მოთხრობაში ის ადგილი, სადაც ვაგნერი მახის აგებულებას აღწერს და ამიტომაც ქართულად აღარ გადმოთარგმნაო. ი. გოგებაშვილმა შეგნებულად აარიდა თავი ამ ადგილის გადმოთარგმნას, ვინაიდან მისი აზრით, მოთხრობის მთავარი დანიშნულებაა ბავშვს თხუნელას სარგებლიანობაზე მიაწოდოს ცნობები და მისი მოკვლის წადილი დაუკარგოს; „მახის აწერას კი შეუძლია აუშალოს სურვილი და გაუადვილოს ამ სასარგებლო ცხოველის დაჭერა“.

რეცენზენტი განაგრძობს: „ჯაფის (წერილში ამ სიტყვის მაგიერ ნახმარია სიტყვა „თავის“ და ერთგვარი გაუგებრობა იქმნება) მოყვარე ცხოველი მოდის თავის სოროდგან ზემოდ, მიწაზედ, ვერ ამჩნევს (1) მართულის მახეს, ებმება შიგ და იღუპება“. როგორ სამასხარო არ არის, რომ თხუნელას ამბებს სხვებს უწერ, გინდა ასწავლო და შენ კი, თურნე ნუ იტყვი, არ გცოდნია?! თხუნელა ზევით, მიწაზედ, ამოდის, მართულის მახეს ვერ ამჩნევს და შიგ ებმებაო; ასე ჰგონია თხუნელა ზემოდგან, მიწაზედა ნადირობს და ამ დროს მახეში ებმება. ეგ იმასა ჰგავს, თევზზედ რომ დაგეწერათ: როცა თევზი წყლიდგან საჰმელის ასაკენკად მიწაზედ გამოდის, ^ა-შინ ბადეს ესვრიან ხოლმე და იჭერენო“.

არა გვგონია, როგორც თევზის წყალში დაჭერა შეიძლება, ასევე თხუნელას დაჭერა მიწის ქვეშ შეიძლებოდეს. რეცენზენტი რაღაც უსაფუძვლო არგუმენტებს ეჭიდება.

ი. გოგებაშვილი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად იშველიებს ბრემის აზრს, რომელიც ამბობს: «Крот однако охотится не в одной своей норе, но и на поверхности земли и иногда, как говорят, даже на воде (Брем, «Млекопитающие», стр. 283)». ერთი სიტყვით, ვაგნერიც და ჩვენც ისე ულმობლად გაგვამტყუნა, რომ შინიდან კარში თავი აღარ გამოგვეყოფაო, ირონიულად შენიშნავს ი. გოგებაშვილი.

მოთხრობაში ბავშვები ეცნობიან თხუნელას თვისებებს,

მის სარგებლიანობას, ცხოვრებას, როგორ სდევნიან მას უეცი ადამიანები. ბოლოს მცოდნე კაცი აცნობს ამ ადამიანებს თხუნელას დანიშნულებას, პატარებიც გულისყურით ისმენენ „მცოდნე კაცი აჩვენებს და უხსნის გლეხსა, რომ მახით დახრჩობილი თხუნელას მუცელი სავსეა მარტო მატლებით და ჭიებით და იქ არ იპოვება არც ერთი ნამცეცი მცენარის ფესვისა. ის ასწავლის გლეხსა, რომ ახალგაზრდა ხეხილები ხმებიან და ფუჭდებიან მატლებისაგან და ჭიებისაგან, რომლებიც ხის ფესვებზედ ისე შეკუნწულნი არიან, როგორც ყურძნის მტევნები. მაშინ გლეხი გრძნობს და რწმუნდება, რომ პატარა, მხნე ცხოველი, შავი ხავერდის ტყავში გახვეული, მისი უკეთესი მეგობარი და შემწეა. მაშინ ის ბეჯითად ცდილობს, რომ თხუნელის ჩამომავლობა გამრავლდეს".

მსუბუქი ქართულითა და მიმზიდველი ფორმით დაწერილი მოთხრობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენს პატარა მკითხველზე.

რეცენზენტს უვარგისად მიაჩნია მოთხრობა „ხარი", რომელიც თვით ი. გოგებაშვილმა შეადგინა. მას უცნაურად ეჩვენება, რომ ველური კაცი ხარის მოშინაურებაზე ოცნებობს, რათა პირუტყვმა ურმით საპალნე უზიდოს და ტყიდან შეშა არ მოაკლოს. რეცენზენტი გაოცებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ ველურ კაცს, რომელსაც ხარი ჯერ არ მოუშინაურებია, ურემიც ჰქონია და მიწაც უხნავს. „აი, ეს არის უთუოდ, ბ. გოგებაშვილის, მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა, არა?!— კითხულობს რეცენზენტი.

აქ ისევ ი. გოგებაშვილს დავუთმოთ სიტყვა:

„მოთხრობა „ხარი", მართალია, ჩვენი შედგენილია, მაგრამ რას უწუნებს? მხოლოდ იმას, რომ გამოდისო, ვითომ ველურს ადამიანს ჯერ წარმოდგენა ჰქონდა ხვნაზედ, ურმით შეშის მოტანაზედ და მერმე ხარი გაეშინაურა სახნავად და ურმის საზიდველადო. ვაჟო, თუ ეს ასე არ იყო, მაშ რა ეშმაკისათვის იტვირთა კაცმა ტანჯვა და შრომა ხარის გაშინაურებისათვის. ვინ არ იცის, რომ ახლაც კი ბევრს სოფლებში ხმაროპენ პატარა, ხელით სატარებელს ურმებსა. ხარის გაშინაურებამდისინ სწორედ ამ გვარი ურმები უნდა ყოფილიყო ხმარებაში და შემდეგ კი დიდი ურმები შემოეღოთ"[1].

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 55.

რეცენზენტი იერიშს იერიშზე არ აკლებს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს და იმ დაგლეჯილი და წამხდარი ავლაბრული ქართულის კონას უწოდებს, რომელიც წარმოიშვა ქართულად მოლაპარაკე სომეხ-ოსთაგანაო. ამის დამამტკიცებელ ნიმუშად რეცენზენტს მრავალი ფაქტობრივი მაგალითი მოჰყავს.

რეცენზენტის მიერ ჩამოთვლილ ენობრივ ლაფსუსებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, ვინაიდან ი. გოგებაშვილი წერილში — „უძლური სიბრაზის ნაყოფი“ ამბობს, რომ თითქმის ყველა ის წვრილმანი შეცდომები, რომლებიც აქვს ჩამოთვლილი, მას და მის კორექტორს წიგნის დაბეჭდვის შემდეგ ცალკე ფურცელზე ამოუწერიათ, რათა ბოლოში დაერთო კორექტურის სახით, მაგრამ შემდეგ თავი დაუნებებია, ვინაიდან არც ერთი ამ შეცდომათაგანი აზრის გაგებას ხელს არ უშლიდა. ეტყობა, კორექტორს რეცენზენტისთვის უჩვენებია ეს სია, თორემ თავისით ვერაფერს შეამჩნევდაო.

ი. გოგებაშვილსა და „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელს — ან. ღულაძეს შორის კამათმა გაცხარებული ხასიათი მიიღო. ან. ღულაძემ პირად შეურაცხყოფად მიიღო ი. გოგებაშვილის „საბაასო“ („დროება“, 884 წ. № 259 და 261) და თხოვს „დროების“ რედაქტორს, რათა ადგილი დაუთმოს ი. გოგებაშვილისადმი მიმართულ წინადადებას: „საქმე რომ ნათლად გამოიკვეთოს, ამორჩეულ იქმნენ კეთილ-სვინიდისიანნი პირნი, რომელთაც განარჩიონ, როგორც „ნობათ“-ში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი, აგრეთვე ბ. ი. გ.-ლის „საბაასო“-ც და გადასწყვიტონ: ა) რამდენად საფუძვლიანად უარ-ჰყოფს უკანასკნელი პირველსა და ბ) რა უფლებით აძლევს ბ. ი. გოგებაშვილი თავის თავს ნებას უპატიურად იხსენიოს, როგორც „ნობათი“-ს სახელი, აგრეთვე ჩემიც. ყოველივე დადგინება ამ პირთა დაბეჭდილ უნდა იქმნეს თქვენს პატივცემულს გაზეთს „დროება“-ში.

მედიატორეებად პირველი იყვნენ დიმ. ბაქრაძე, ვ. ყიფიანი და გ. იოსელიანი. მათ დაწვრილებით განიხილეს როგორც „ნობათში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „კონას“ შესახებ, ასევე ი. გოგებაშვილის პასუხი, მხედველობაში მიიღეს აგრეთვე ი. გოგებაშვილისა და ან. ღულაძისაგან წარმოდგე-

ნილი წერილები თავიანთი თავის გასამართლებლად და შემდეგი დასკვნა გამოიტანეს:

1) „გარჩევა „კონისა“, დაბეჭდილი ჟურნალ „ნობათში“, ვერ ვსცანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად. ის არის დაწერილი ცხადის განზრახვით დაამციროს უსამართლოდ, როგორც „კონა“, ისე თვითონ მისი ავტორი საზოგადოების თვალში და დასდოს ლაქი მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულს ღვაწლს. კრიტიკულ წერილში არის ისეთი ადგილები და სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალონ შეუსაბამოდ, არა საკადრისად, შეუწყნარებლად ბეჭდვით სიტყვაში, მეტადრე საყმაწვილო პედაგოგიურ ჟურნალში, და საწყენად და კიცხვად „კონის“ ავტორისათვის.

2) აზრი, წარმოთქმული საბიბლიოგრაფიო წერილში, ვითომც ყველა გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული გოგებაშვილისაგან მოთხრობანი „კონაში“ გაფუჭებულნი იყვნენ, სრულიად უსაბამთლო არის. ის მაგალითები, რომელნიც მოჰყავს ბიბლიოგრაფიის ავტორს „კონის“ შინაარსიდამ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, ვითომც, შინაარსი წიგნისა წინააღმდეგი იყვეს მეცნიერებისა, — სრულიად უსაფუძვლო აღმოჩნდნენ, როგორც დავრწმუნდით შემდეგ მათის შემოწმებისა გამოჩენილი ავტორიტეტების ცნობებთან.

რაიცა შეეხება „კონის“ ენის ნაკლულევანებას, საზოგადო მსჯელობა ბიბლიოგრაფიის ავტორისა მასზე, რომ, ვითომც, „კონა წარმოადგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილ და წამხდარის ავლაბრულ ენისას, რომელიც დაიბეჭდა ქართულად მოლაპარაკე სომეხ-თათარ-ოსთაგან“, მედიატორეებს მიაჩნიათ ნამდვილ ცილის-წამებად, თუმცა კი, მართალია, „კონაში“ ნაჩვენებია ზოგიერთი ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც არ შეესაბამებიან ქართული მართლ-წერის კანონებს, მაგრამ ამ გვარი ნაკლულევანება, სამწუხაროდ, საზოგადო ნაკლულევანებას შეადგენს ჩვენის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. გოგებაშვილის საბაასო წერილს აქვს პიროვნული ხასიათი. მასში ხშირად არის ნახმარი მედიდური და დამამცირებელი სიტყვები და ფრაზები, რომელთაც არ უნდა ჰქონდესთ ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ღულაძემ თავის უსაფუძვლო და ბოროტ განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის

თავისი პედაგოგიურის და ლიტერატურულის ხანგრძლივის, ფრიად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და ახალი მოზარდის თავობის წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებია იმ გვარი კილო თავის პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ. ღულაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ზომიერია.

დასასრულ, მედიატორები სამართლიანად ჰხდიან წარმოსთქვან, რომ ბ. ღულაძის და გოგებაშვილის პოლემიკური დავა ისეთი განსაკუთრებითი თვისებისა არ იყო, რომ ის უთუოდ სამედიატოროდ გამხდარიყო. ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო, ეს საქმე თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოების მსჯელობისთვის ბიებდო ბ. ღულაძეს"[1].

განჩინებას ხელს აწერს სამივე მედიატორი.

ამით ან. ღულაძესა და ი. გოგებაშვილს შორის კამათს საბოლოოდ დაეყვა ობიექტურობის წერტილი.

პროფ. ა. ჩაჩიბაია სამართლიანად აღნიშნავს, რომ ი. გოგებაშვილი, როგორც პრინციპული, შეუპოვარი და თანამიმდევრული, უსამართლო კრიტიკის ავტორს ძალიან მკაცრად მოექცა და ისეთ პიროვნებად დასახა იგი, რომელიც შემდეგ ა. ღულაძის სახელს დღესაც არ ჩამოსცილებიაო. ამის გამო უყურადღებოდ დარჩა ანდრია ღულაძის ღვაწლი როგორც ქართული საბავშვო ჟურნალისათვის თავდადებული მუშაკის, რომელსაც უხდებოდა ბრძოლა საცენზურო კომიტეტთან „ნობათის" დაარსების დღიდანვე[2].

სწორედ ამიტომაც კრიტიკის ჭარ-ცეცხლში ახვევდნენ თავიდანვე ა. ღულაძეს და მისი მოღვაწეობის დადებით მხარეზეც კი კრინტს არავინ სძრავდა.

ი. ჯაჯანაშვილს ა. ღულაძე ჰყავდა მხედველობაში, როდესაც წერდა:

„...ყოველთვის იმისთანა საქმეს ჰკიდებენ ხელს, რომლის შესრულება არას გზით არ შეუძლიანთ, რადგანაც არც მომზადებულნი არიან და არც მატერიალური ზურგი მოსდევთ ამ აზრის განსახორციელებლად და როგორითაც „ოჩანი" ხარი უეჭველად შუა გზაში ჩაწვებიან. საქმე იმაშია, რომ ამ-

---

[1] „ივერია", 1885, № 2, გვ. 141-142.

[2] ა. ჩაჩიბაია, ქართული საბავშვო ლიტერატურა, 1978, გვ. 156-157.

გვარი პირნი იმათაც გზას უღობავენ, რომელთაც შეუძლიან ამ აზრის სვინდისიანად შესრულება, რადგანაც ერთხელ გააცნო თავის თავი საზოგადოებას და აღარ უნდა დასთმოს ის მძიმე ტვირთი, რომლის ზიდვა არ შეუძლიან. ამგვარი ქცევა მხოლოდ უმეცარს კაცს შეფერის, რომელსაც მხოლოდ ცხოვრების ერთი ფურცელი წაუკითხავს და არა იმ კაცს, რომელიც საზოგადო მოღვაწედ ითვლება. რაშია დამნაშავე ის საზოგადოება, რომელსაც სწავლა სწყურიან, ჰკუის საზრდოს ითხოვს იმ განვითარებული საზოგადოებისაგან, რომელიც დაჰპირდა, მაგრამ პიროვნული მიზეზების გამო თავის მოვალეობას ვერ ასრულებს... როგორც მკითხველიცა ხედავს ამაზე მოყვანილის შენიშვნებით, ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ ბ. „ნობათის“ რედაქტორი ა. ღულაძე სრულიად არ არის მომზადებული იმ მძიმე საქმისთვის, რომელსაც ხელი მოჰკიდა, ამას არ შეუძლიან მიიზიდოს იმისთანა მოღვაწე პირნი, რომლებსაც შეუძლიანთ შეასრულონ ამ ჟურნალის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, იმას თავმოყვარეობა იმოდენა ნებას არ აძლევს, რომ თავიდან ამოიღოს სიტყვა „რედაქტორი“ და „ჩემი სჯობიან შენსას“. რასაკვირველია ამგვარი აზრების კაცი ძალიან შორს მანძილზე ვერ წავა და ყველანიც განზე გაუდგებიან, როგორც ეხლა ბ. ა. ღულაძეს მოუვიდა... ჩვენის აზრით უფრო მეტს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას, ბ. ა. ღულაძემ რომ თავისი პატივცემული ჟურნალი იმისთანა პირს გადასცეს რომელმაც თვეში ერთხელ გამოსცეს და არა წელიწადში ერთხელ, როგორც ეხლა ხდება...“[1]

ამავე აზრებს ატარებდნენ აგრეთვე თავიანთ წერილებში ი. მანსვეტაშვილი, ნტ. ჭრელაშვილი, ი. ჯაჯანაშვილი და სხვები.

„ერთ სახლში ბუხრის გვერდით ჭრიჭინამ გაიკეთა ბინა. იმან აქ მოიკალათა ღრმად წასულ ხუხრუტანაში და მალე მორთო თავისი მხიარული ჭრიჭინი. ამ სახლის ბავშვებს ჯერ არ გაეგონათ ჭრიჭინას ხმა და ამიტომ ეგონათ, ჩვენ ბუხარში პატარა ჩიტი შემძვრალა და ის გალობსო. როცა იმათ გაიგეს, რომ ღამით მომღერალი ფრინველი არ იყო, ბევრი ეცადეს,

---

[1] „თეატრი“, 1886, № 2, გვ. 15.

რომ ჭრიჭინის ბინისათვის მიეგნოთ, დაეჭირათ ის და კარგად გაეშინჯათ, მაგრამ ვერაფერი გახდნენ“[1] — ასე იწყებს მოთხრობა „ჭრიჭინას“ ი. გოგებაშვილი. ნორჩები ხშირად ისმენენ საღამოხანს ჭრიჭინას ხმას, მაგრამ ვერ ხედავენ. ჭრიჭინასადმი ინტერესი ბავშვებში ძალზე დიდია. მოთხრობა მკითხველს აცნობს ჭრიჭინას ცხოვრებას და მის თვისებებს. ჭრიჭინა ღამე ფრთხილად გამოძვრებოდა და ოთახში პურის ნამცეცებსა და ფქვილის მტვერს ეძებდა. მას თავი სასაცილო ჰქონდა — იგი ბებერი კაცის თავს მიუგავდა. ი. გოგებაშვილი მკითხველს აცნობს ძველი ბერძნების არაკს ჭრიჭინას შესახებ, „ვითომც ჭრიჭინა უწინ კაცი ყოფილიყვეს და მერე ჭრიჭინათ გადაქცეულ-იყვეს. ამ კაცმა ღმერთს საუკუნო სიცოცხლე მოსთხოვაო, მაგრამ ამასთან დაავიწყდა, რომ ეთხოვნა საუკუნე სიყმაწვილეო. ამიტომ ის სულ ბერდებოდა და ილეოდა იქამდის, მინამ ჭრიჭინათ არ გადაიქცაო“[2].

ზოგიერთ ბავშვს ჰგონია, რომ ჭრიჭინა პირით მღერის, მაგრამ ეს ასე არ არის. ი. გოგებაშვილი ასწავლის მკითხველს, რომ „ის თავის ფეხებს აყოლებით არახუნებდა მაგარი ფრთების გვერდებსა და ამისაგან გამოდიოდა მისი სიმღერა“.

ი. გოგებაშვილს მხედველობიდან არ გამოჰპარვია ავრეთვე ბავშვების სწრაფვა ჩიტის ბუდეებისადმი და იქიდან ბარტყების ამოსხმა. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ იციან თუ რა სარგებლობა მოაქვს ჩიტებს ადამიანისათვის. სწორედ ამ საკითხს ეხება მწერლის პატარა მოთხრობა „ჩიტის ბუდის ფასი“. ი. გოგებაშვილი მოგვითხრობს, რომ მასწავლებელმა ერთხელ მუხის ქვეშ თვალი მოჰკრა თავის მოსწავლეს, რომელიც იჯდა და ქუდში რაღაცას ჩაჰყურებდა და ეალერსებოდა. მასწავლებელს ენიშნა, ჩიტის ბარტყები ხომ არ ამოსხა კოტემო, მივიდა მასთან და მისი ვარაუდი გამართლდა. მასწავლებელმა კოტეს დიდი საყვედური უთხრა და ბარტყები უკან ჩაასმევინა. მეორე დღეს მასწავლებელი მთელი საათი ესაუბრა მოსწავლეებს კოტეს საქციელზე, თუ რაოდენ სიმწარეს მიაყენებდა იგი ბარტყების დედ-მამას, ხოლო ყველაზე ცუდი ის იქნებოდა, რომ კოტე ბაღებს მიაყენებდა დიდ ზიანსო და აუხსნა.

[1] ი. გოგებაშვილი, საყმაწვილო კონა, 1874, გვ. 27.

[2] იქვე, გვ. 28.

„...თითო ბარტყი დღეში სჭამს, საშუალო რიცხვით, ორმოცდა ათ მატლსა, რომლებსაც დედ-მამა ხეებზედ და მცენარეებზედ კრეფამს და მიაქვს შვილებთან. მაშასადამე ხუთი ბარტყი დღეში ორას ორმოცდა ათ მატლს გაასაღებდა. ბარტყების ზრდა ბუდეში გრძელდება ერთ თვემდინ. მაშასადამე ჩვენი ბარტყები დაფრენამდის ხეებს მოაშორებენ შვიდი ათას ხუთას მატლსა. თითო მატლი ყოველ დღე თქვლეფავს თავისწონა ფოთლებს და ყვავილებს. გაზდა გრძელდება ერთ თვესა; აქედგან სჩანს, რამდენი ფოთოლი და ყვავილი უნდა გააოხროს თითო მატლმა. გაზრდის შემდეგ მატლი ჰამს დღეში თითო გამოსახულ კოკორსა, რომელიც ნაყოფათ გადაიქცევა ხოლმე. მაშასადამე ყველა მატლი თვეში ოცდა ათ ნაყოფს სჭამს და შვიდი ათას ხუთასი მატლი შესჭამს ორას ოცდა ხუთ ათას ნაყოფსა. ამიტომ კოტეს რომ უკანვე არ ჩაესხა ბუდეში ხუთი ჩიტის ბარტყი მათ ბაღსა და მეზობლის ბაღებს დააკლდებოდა წლეულ ორას ოცდა ხუთი ათასი ნაყოფი“[1].

ასე დაწვრილებით უხსნის ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს ჩიტების დიდ სამსახურს ხეხილის დაცვის საქმეში. ამის წაკითხვის შემდეგ ყოველად შეუძლებელია, რათა ბავშვების გრძნობაში ჩიტებისადმი დიდი სიყვარული არ ჩაისახოს, რაც ერთხელ და სამუდამოდ მოაშლევინებს ცუდ საქციელს, ჩიტის ბუდეებისადმი მტრობაში რომ გამოიხატება.

„უდანაშაულოთ დასჯილი თხუნელას“ დედა-აზრი თკით სათაურშივე მოჩანს. ი. გოგებაშვილი ამ მოთხრობითაც ცდილობს, რათა მკითხველს თხუნელას შესახებ მიაწოდოს სასარგებლო ცნობები. უცოდინარი გლეხი მახეს უგებს სოროს გამოსასვლელში თხუნელას. იჭერს და კლავს. მას ჰგონია, რომ ბაღის მტერი მოკლა, სინამდვილეში კი საწინააღმდეგო საქმე ჩაიდინა. მან „დაღუპა თავისი ერთგული მოკეთე. ის კი არ იცის, რომ ახლა მატლები გამრავლდებიან და უფრო მეტ ზარალს მისცემენ ბაღსა“. ავტორი შთააგონებს მკითხველს, რომ მახით დახრჩობილი თხუნელის მუცელი სავსეა მარტო მატლებით და ჭიებით და იქ არ იპოება არც ერთი ნამცეცი მცენარის ფესვისა...: ახალგაზრდა ხეხილები ხმებიან

[1] ი. გოგებაშვილი, საყმაწვილო კონა, 1874, გვ. 33.

და ფუჭდებიან მატლებისგან და ჭიებისგან, რომლებიც ხის ფესვებზედ ისე შეკუნწლულნი არიან, როგორც ყურძნის მტევნები"[1].

სახელმძღვანელოში მოთავსებულ მოთხრობაში „აბრეშუმის ჭიის სამშობლო" ი. გოგებაშვილი ნორჩ მკითხველს აცნობს აბრეშუმის ჭიის შემოტანის ისტორიას მისი სამშობლო ჩინეთიდან და სხვ.

„საყმაწვილო კონა პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან", შედგენილი ი. გოგებაშვილის მიერ დიდ მოვლენას წარმოადგენდა ქართული საყმაწვილო ლიტერატურის განვითარების გარიჟრაჟზე, როდესაც ქართველი ბავშვი მოკლებული იყო სულიერ საზრდოს, ქართულ ენაზე შედგენილ წიგნებს.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობათა ნაწილი, რომელიც პატარებისთვის არის განკუთვნილი, უმთავრესად მ ო რ ა ლ უ რ-ა ღ მ ზ რ დ ე ლ ო ბ ი თ ხასიათს. ატარებს. ეს მიკრომოთხრობები საღი სენტენციით არის სავსენი. თვით იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ ასეთ მოთხრობებში ჯერ აღწერილი უნდა იყოს საინტერესო ამბები და შემდეგ პირდაპირ შემთხვევიდან გამომდინარე საღი სენტენცია, რომელსაც შეუძლია კეთილი კვალი დატოვოს ბავშვის გონებაში და ზნეობა განუვითაროს. იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ „სენტენციური მოთხრობანი მხოლოდ მაშინ არიან მავნებელნი, როდესაც მათით მთელი წიგნია გავსებული... თუ წიგნში მხოლოდ რაოდენიმე სენტენციური მოთხრობაა მოქცეული და ეს მოთხრობანი მარჯვედ არიან შედგენილნი და ინტერესით სავსენი, მაშინ ამგვარი მოთხრობანი ნაკლულევანებად კი არ ითვლებიან, წიგნის ღირსებას შეადგენენ"[2].

ყმაწვილმა მინდვრიდან შინ მოიტანა მშვენიერი უსუნო ყვავილი, რომელიც ვარდის კონაში ჩაარჭო. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ეს ყვავილი ამოიღო და უსუნა, ნახა, რომ მას ვარდის სურნელება მიეღო. ამის შემდეგ ის მიხვდა, თუ დედამისი რატომ ურჩევდა მას კარგ ამხანაგებთან ურთიერთობას („უსუნო ყვავილი"). მწერალი ამ მოთხრობით მკითხ-

[1] ი. გოგებაშვილი, საყმაწვილო კონა, 1874, გვ. 53.
[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 1, 1952, გვ. 324-325.

გელს ჩააგონებს, რომ გარემოს უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების ზნეობის ჩამოყალიბებაზე.

მოთხრობაში „მეზობლები“ მწერალი ოსტატურად უჭსნის ნორჩ მკითხველს, რომ მეზობლებს შორის დავა შეუგნებლობის ნიშანწია და ყველა სადაო საკითხი მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს. მოთხრობის სიუჟეტური ქარგა ასეთია: მეზობელმა ივანეს ცხენი, რომელიც მის სიმინდში გადასულიყო, დაიჭირა და ზარალი სამმაგად აანაზღაურებინა. გავიდა ხანი და მეზობლის ხბო ივანეს ბოსტანში გადაპარულიყო და სელ გაეოხრებინა. ივანემ დაიჭირა ხბო, მეზობელს მიჰგვანა და უთხრა, რომ დაემწყვდია, თან დაუმატა, „მეზობლებს ჩხუბი და ჯიბრი არ შეშვენით!“ შერცხვენილმა მეზობელმა წართმეული ფული უკან დაუბრუნა და უთხრა, რომ მეგობრულად ეცხოვრათ, როგორც კარგ მეზობლებს შეშვენითო.

იაკობ გოგებაშვილი თავის მიკრომოთხრობებში მკაცრად ილაშქრებს უსამართლობის, სიხარბის, მუქთახორობის, მოჩხუბრების, მოლაყბეების, სიმხდალის, ცრუპენტელობის, მატყუარობისა და სხვა მანკიერი თვისებების წინააღმდეგ. ეს მოთხრობები ისეთი ოსტატობით არის შესრულებული, რომ ნორჩი მკითხველი დღესაც დიდი ინტერესით ეცნობა და ზნეობის უფაქიზეს იდეალებს იბეჭდავს გონებაში.

იაკობ გოგებაშვილი რამოდენიმე ავტობიოგრაფიული მოთხრობის ავტორიცაა.

მოთხრობა „ჩვენი სოფელი“ ნორჩ მკითხველს მშობლიური სოფლის სიყვარულს უნერგავს გულში და მოუწოდებს, რათა საფუძვლიანად შეისწავლონ აქ მაცხოვრებელი ადამიანები, მათი ცხოვრება, სოფლის ყოველი ავ-კარგი, რითაც იგი არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ვარიანს სამხრეთით მოზრდილი ჭაობი აკრავს, რაც ზაფხულობით ხელს უწყობს ციებით დაავადებას, მიუხედავად იმისა, რომ გლეხებს სახნავ-სათესი მიწაც ნაკლები აქვს და იმასაც ღალაში იხდიან, მეტად ღარიბად ცხოვრობენ და მოვალეებიც ბევრი ჰყავთ, იაკობს მაინც ძალიან უყვარს მშობლიური სოფელი, ვინაიდან იქ დაიბადა და ბავშვობის ბედნიერი დღეებიც იქ გაატარა.

მშობლიური სოფლის დიდი სიყვარული ჩანს იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „ხატის მიზეზი“. მოთხრობის მთა-

ვარი გმირი კაკო თვით იაკობ გოგებაშვილია. მოთხრობა იმით იწყება, რომ სამი ვარიანელი გლეხი ვარიანული ფქვილით დატვირთულ ურმებს თბილისისაკენ მოუძღვებიან, ხოლო ურმის კოფოზე იჯდა შვიდი-რვა წლის სოფლელი ბიჭუნა, რომელსაც სახეზე სევდა დასთამაშებდა. ეს ამბავი ხდება 1850 წელს, როდესაც პატარა იაკობი ძმას, ივანეს თბილისში მოჰყავდა სასულიერო სასწავლებელში მისაბარებლად. ბავშვს აშკარად ეტყობოდა, რომ მშობლიურ სოფელთან განშორება ეძნელებოდა:

„ეს პატარა მეხრე ზანტად, უნდომრად ერეკებოდა ხარკამეჩსა, თითქოს წინსვლა სრულიად არ უნდაო. ბავშვს აშკარად ემჩნეოდა, რომ ქეიფზე არ იყო, მაგრამ მისი ურმული მაინც ხშირად გაისმოდა ჰაერში. სიმღერაში ცხადად გაისმოდა საიდუმლო დარდი. ეს დარდი ხანდახან მატულობდა და ბავშვს პირისახე ელრუბლებოდა“[1]...

მშობლიურ სოფელს მოშორებული პატარა ბავშვი ლოგინად ჩავარდა და ვერავინ გაიგო მისი ავადმყოფობის მიზეზი. აქ იაკობ გოგებაშვილი ფარდას ხდის ცრუმორწმუნეობის დამღუპველ გავლენას ადამიანებზე და ოსტატურად უხატავს მკითხველს მისგან თავლდაბინდული ხალხის უსუსურობას.

„მხოლოდ სახლის პატრონმა კარგად იცოდა, რომ კაკოს ქალაქში ჩამოსვლის შემდეგ დაეტყო უმიზეზოდ რაღაცა მძიმე დარდი, რომელიც დღითი დღე უძლიერდებოდა, — განაგრძობს მწერალი. უწინდელი მხიარულება თანდათან გაქრა, მადა დაეკარგა, სიცქვიტის ნატამალიც აღარ ეტყობოდა, წითური ლოყები დაუყვითლდა, ჩამოხმა და ბოლოს ლოგინადაც ჩავარდა. სახლის პატრონი ბევრს ეცადა, ეთქმევინებინა ბავშვისათვის, თუ რის ჯავრი აწუხებდა და რად ხდებოდა ავად, მაგრამ ვერა გახდა რა“[2].

პატარა კაკოს მშობლიური სოფლის ნოსტალგია აწვალებდა.

ერთმა მანდილოსანმა ბავშვის ავადმყოფობის მიზეზად ხატი დაასახელა და ყველამ დაუჯერა. რათა გაეგოთ, თუ რომელი ხატი იყო მასზე გამწყრალი, ქიტესაანთ ბაბალეს დაუ-

---

[1] ი. გოგებაშვილი, საგანძური. 1982, გვ. 18.

[2] იქვე, გვ. 19.

ძახეს და სთხოვეს ემკითხავა. იაკობ გოგებაშვილი ოსტატურად აგვიწერს იმ თვალთმაქცობას, რასაც ბაბალე მიმართავს მათი გულის მოსაგებად:

„ბაბალემ მოითხოვა ბამბა, ჯამი, წყალი და წინდის ჩხირები; ბამბისაგან გააკეთა სამი ფთილა და წინდის ჩხირებს გარს შემოახვია. ჯამი ნახევრად მოყარა წყლითა და ზედ გადასდო გარდიგარდმო სამივე ფთილა; შემდეგ ჯამს ზემოდან დააფარა სარკე, პირქვე მოქცეული, და მაგიდაზე დადგა: პირველი ფთილა იყო ვარიანის ღვთისმშობლის სახელობაზე, მეორე გორიჯვრის წმინდა გიორგისა და მესამე გორის წმინდა გიორგის სახელობაზე. ქალები სიჩუმეს მიეცნენ და უცდიდნენ, თუ რომელი ხატი იჩენდა თავსა. გავიდა თხუთმეტიოდე წამი. ბაბალემ ახადა სარკე ჯამსა და პირველი ფთილა გამოხსნილი დახვდა და წყალში ჩაშვებული. — „ეი ვენაცვალე ვარიანის ღვთისმშობელსა! იმისი მიზეზი ჰქონდა ამ ბავშვსა“, — წარმოსთქვა ბაბალემ და პირჯვარი გამოისახა“[1].

ბაბალესნაირების მიერ დადგმული სპექტაკლები თვალში ნაცრის შეყრა უფრო იყო გაუნათლებელი გლეხებისადმი, რომლებიც დარწმუნებულნი ხატის ძლეკამოსილებაში, ფეხმორთხმულნი ემსახურებოდნენ მის ძლიერებას.

სახლის პატრონმა იფიქრა, ვარიანიდან წამოსვლისას სალოცავად არ მივიდა ეკლესიაში ღვთისმშობლის ხატთან და ისიც გაუწყრა ალბათ და გადაწყვიტა დაუყოვნებლივ გაეგზავნა ვარიანში სალოცავად.

სინამდვილეში მშობლიური სოფელი, დედ-მამა, ახლობელ-მეგობრები ენატრებოდა პატარა კაკოს და მისი პატარა გული ამ განშორებას ადვილად ვერ შეეგუა. როდესაც სახლის პატრონის გადაწყვეტილება — „ბავშვს ვარიანში გავგზავნიო“, — შეესმა, მის სიხარულს საზღვარი მოეშალა და აღტაცებას კელარ ფარავდა. იგი სრულიადაც აღარ გავდა ავადმყოფს, სახე გაუნათდა: „როგორც უეცრად ამოვარდნილი ქარიშხალი მიფანტ-მოფანტავს ხოლმე შავ ღრუბელსა და ცაზე კაშკაშს დააწყებინებს ბრწყინვალე მზესა, ისე ამ სიტყვებმა მთლად და უცებ გადაუყარა გულიდან ავადმყოფს ბავშვს საშინელი ჯავრი, რომელიც მას მაჯლაჯუნასავით აწვა

---

[1] ი. გოგებაშვილი; საგანძური, 1982, გვ. 21.

და ულმობლად ჰკლავდა. ნაცვლად ამ ჯავრისა, ბავშვის გულში დაიბადა და აენთო უძლიერესი სიხარული. მოშავებედებული პირისახე გაუსათდა, ოდნავ მოძრავმა გულმა ღონივრად დაუწყო ცემა, მისუსტებულმა მაჯამ ძალა მოიცა, გაცივებულს ძარღვებში საამო სითბო დაუტრიალდა, გაფითრებულს პირისახეს წითური ფერი დაეტყო"[1].

პატარა კაკოს თვალწინ წარმოუდგა მშობლები; დები და ძმები, რომელთაც გულში ჩაეკონებოდა, მოაგონდა სოფლის ორღობეები და მწვანით მოსილი მინდვრები, ცივი და ანკარა წმინდა წყარო, რომელსაც სულმოუთქმელად დაეწაფებოდა ხოლმე, თვალწინ წარმოუდგა მოახლოვებული რთველი და მეგობარ-თანატოლებთან ერთად თავის შექცევა. სახლის პატრონი მთელი ღამის განმავლობაში თვალყურს ადევნებდა პატარა კაკოს ზღაპრულ ცვლილებას და ხატის ძლიერებას ადიდებდა.

მეორე დილას პატარა კაკომ ლოგინში ისაუზმა, წამოხტა, ტანთ ჩაიცვა და სოფელში წასასვლელად გაემზადა.

თვალებგაფართოებული სახლის პატრონი თავისთვის ამბობდა:

„ამ დროულად მოვიყარე დედაკაცი და ჯერად არ მინახავს და არც გამიგონია ასეთი საოცარი სასწაულმოქმედება, ასეთი სიძლიერე ხატისა... დიდება შენსა ძლიერებასა, ღვთისმშობელო ვარიანისაო!"

მოთხრობა „ხატის მიზეზი" უაღრესად აღმზრდელობითი დანიშნულების ნაწარმოებია, რომელიც ხელს უწყობდა მშრომელი ხალხის განთავისუფლებას უმეცრების წყვდიადისაგან.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი მაღალმხატვრული შემოქმედებით უდავოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებაში და სამართლიანად დაიმკვიდრა ლიტერატურის კლასიკოსის საპატიო სახელი.

[1] ი. გოგებაშვილი, საგანძური, 1982, გვ. 21.

ი. გოგებაშვილი და ხალხური სიტყვიერება

იაკობ გოგებაშვილი ხალხური ზეპირსიტყვიერების მადლს ბავშვობიდანვე ეზიარა თავის მშობლიურ სოფელ ვარიანში. ვარიანელი მშრომელებისაგან და თანატოლებისაგან ხშირად ესმოდა ხალხური სიბრძნე, რომელთაც გატაცებით სწავლობდა და სწორედ ამიტომაც უსაზღვროდ იზიდავდა ეს მხარე. მწერალი მოთხრობაში „ჩვენი სოფელი", სადაც თავისი ბავშვობა არის გადმოცემული, წერს:

„პატარაა და ღარიბი ვარიანი, მაგრამ მე კი ეს სოფელი ძლიერ მიყვარს. მიყვარს იმის გამო, რომ იქ დავიბადე, იქ გიხილე სინათლე მზისა, იქ გავატარე ბედნიერი დღეები ჩემი ბავშვობისა, იქა ვტკბებოდი მშობლების, ძმების და დების სიყვარულით, იქ ჩემს ყურებს ასიამოვნებდა წყლების ჩხრიალი, ჩიტების ჭიკჭიკი; იქაურ მწვანე ტყე-ველს აღტაცებაში მოვყავდი; იქ ვისწავლე ბევრი ხალხური ლექსი და მოთხრობა, (ხაზი ჩემია. — ზ. ბ.) იქ შევითვისე და შევიყვარე მშრომელი ხალხი..."[1]

იაკობ გოგებაშვილის ახლო მეგობარმა, პედაგოგმა იოსებ სრესელმა დაგვიტოვა საინტერესო მოგონებები — „ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან", სადაც ნათლად არის გადმოცემული ის გარემო, სადაც იზრდებოდა დიდი მწერალი და როგორ ეზიარა იგი ხალხურ საუნჯეს. ი. სრესელი იგონებს: „ყრმობის დროს სოფლად გატარებულმა წლებმა მის კალამს ძალა და ენერგია შემატა. ზამთარში მოღუღუნე ბუხართან გატაცებით ისმენდა ზღაპრებს, (ხაზი ჩემია. — ზ. ბ.) ხოლო ზაფხულში სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად ლაღად გაშლილი, ლურჯად მობიბინე ველმინდვრების კალთებზე ზიზილებს კრეფდა"[2].

აღსანიშნავია იაკობ გოგებაშვილის ცხოვრების ერთი ეპი-

---

[1] ი. გოგებაშვილი, საგანძური, 1982, გვ. 18.

[2] სგმ, იაკობ გოგებაშვილი ფონდი № 4634.

ზოდი, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, თუ რაოდენ იყო მის გონებაში გამჯდარი ხალხური სიბრძნე. გორში სასწავლებლად მიმავალი იაკობი როდესაც ურმით ადიდებულ ლიახვზე გადადიოდა „მდინარემ ურემი ტივივით მოიტივტივა. პატარა იაკობს წყალმა ფეხები დაუსველა, ცოტა არ იყოს ფერი ეცვალა და მკვირცხლად შეხტა კოფოზე. ურემი სამშვიდობოზე როდესაც გამოვიდა იაკობმა ლიახვს დარცხვენით გადახედა და ჩაილაპარაკა:

მოიცა, გნახავ, ლიახვო,
დაგხვევოდნენ კოღუები,
ბიჭებუჭნი გაჰყუმპუნებდნენ,
დაგწუმპლავდნენ გოგუები.

მაშ რა გეგონა, შვილო, მიმართა მამამ, მუდამ ვერ დაიბრიყვებ ლიახვს, ამიტომ უთქვამს ხალხს:

ლიახვმა სთქვა: ავდიდდები,
არაგვსა დავედარები,
ისევ მოვალ და მოვხშუი
თითქოს ფეხს მეკრას ნალები"[1].

სახალხო განათლების მუზეუმში დაცული არის პედაგოგ პლატონ წულუკიძის მოგონება იაკობ გოგებაშვილის შესახებ. ამ მოგონებაში იგი მოგვითხრობს იაკობის მსახურის არტემა აბუთიძის მონაყოლ ერთ ამბავს. არტემა რაჭის სოფელ ბუგეულიდან იყო. მამის დაუკითხავად ქალაქში ჩამოსულიყო და იაკობ გოგებაშვილთან გაჩერებულიყო მსახურად. „ერთხელ მკითხა — რაჭული სიმღერები ან ლექსები თუ გაგიგონია მომიყევიო. მე გამახსენდა ერთი ლექსი:

„ქალსა ვისმე — ქალსა ვისმე
ერქვა შუშანაო,
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედაო.
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა მოლი მოსულაო,
მოლის თავსა, მოლის თავსა ნაძვი ასულაო,
ნაძვის თავსა, ნაძვის თავსა ჭორს ბუდე ედგაო,
ბუდე იყო, ბუდე იყო აბრეშუმისაო.
კვერცხი ედვა, კვერცხი ედვა იაგუნდისაო.
შვილი ყავდა, შვილი ყავდა მარგალიტისაო.
ღმერთო ერთი, ღმერთო ერთი ჩემთვის გაზარდეო,
სხვას ათასი სხვას მიეცი სხვა გაუზარდეო".

1 სგმ, დასახელებული ფონდი.

კარგი ლექსიაო, სთქვა მან და სახეზე ღიმილი მოუვიდა.

...როდესაც ლიახვზე ხალხური ლექსი სთქვა, მე ქვედრულაზე შემდეგი ლექსი უთხარი:

„ქვედრულა მოდიდებულა,
თან მოაქვს მთა და ბარიო,
ლალაშვილს დაუქადნია —
შემომდის ბევრი ქერიო,
შენი ქვედრულაც მოგიკვდეს
თუ ვერ გიცვალოს ფერიო.
შუა ღამისას მიუხტა,
კალო, საბძელი მოსტაცა,
ერთი ბეღელი ქერიო,
გომ-საცერი გააყოლა,
წადი და იქა ცერიო".

ამის შემდეგ მითხრა — აი ჩემო არტემ, ხალხში ბევრი სიბრძნეა გაფანტული — ამას თავის მოყრა უნდა. ჩემი ვალია შევკრიბო ხალხური ლექსები, ზღაპრები, აძოცანები, ანდაზები და გადავცე ჩვენს ახალთაობას, რომ მან შეიყვაროს თავისი ენა, თავისი სამშობლო და პატივისცემა დაიყვარული ჰქონდეს საქართველოსათვის თავდადებულ გმირებისადმი"[1] (ხაზი ჩემია. — ზ. ბ.), წერს პ. წულუკიძე და იქვე დასძენს, რომ ეს დარიგება მას ღრმად ჩაებეჭდა გულში, რის გამოც პედაგოგიური მოღვაწეობის მთელი ათეული წლების განმავლობაში ცდილობდა, რათა ამ პრინციპებისათვის არ ეღალატნა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ადამიანს ჩაუნერგა გულში იაკობ გოგებაშვილმა ხალხური ზეპირსიტყვიერების სიყვარული, მისი შეკრებისა და გამოქვეყნების აუცილებლობა.

სწორედ ბავშვობიდან მოჰყვებოდა დიდ მწერალს ხალხური ზეპირსიტყვიერებისადმი უდიდესი პასუხისმგებლობითი დამოკიდებულება, ხალხური საუნჯის ამოუწურავმა ცოდნამ შესძინა მის მადლიან კალამს სიმარტივე და უაღრესად დახვეწილი სტილი.

იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში მოთავსებუ-

[1] სგმ, დასახელებული ფონდი.

ლი მასალის უმეტესობა ხალხური სიბრძნიდან არის აღებული. ამ მასალას იგი უაღრესად მნიშვნელოვნად სთვლიდა ნორჩი თაობის აღზრდისა და საღი აზროვნების განვითარებისათვის, ენობრივი სალაროს გამდიდრებისათვის. მის მიერ ბავშვებისათვის გადმოკეთებული ზოგიერთი ნიმუში გაცილებით მაღლა დგას, ვინემ პირვანდელი ვარიანტი და მეტი აღმზრდელობითი შინაარსიც აქვს. იაკობ გოგებაშვილი წერილში „შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ“ მკითხველ საზოგადოებას აუწყებს, რომ „დედა ენაში“ მოთავსებული ხალხური ლექსებისა და ზღაპრების უმეტესი ნაწილი სოფელ ვარიანში არის ადრე შეკრებილი და მას აქამდე არავინ იცნობდაო. „დიდი წილი ჩვენ მიერ შეკრებილი ლექსებისა და ზღაპრებისა დავბეჭდე სწორედ ისე,— განაგრძობს იაკობ გოგებაშვილი, როგორც გავიგონეთ ხალხისაგან, ზოგში კი ცვლილება შევიტანეთ. ეს ცვლილება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ზოგს ლექსს, ფორმით მშვენიერს, შეუსაბამო და მავნე შემეცნება აფუჭებს და უვარგისად ჰხდის ბავშვებისათვის. ჩვენ ეს შემეცნებანი პედაგოგიური მოსაზრებით გამოვტოვეთ და მათ მაგიერ ჩავურთეთ შესაბამი და სასარგებლო შემეცნებანი. ხოლო აგებულება ლექსისა, მისი კალაპოტი, ცეზურა და რიფმა ხელუხლებელი დავტოვეთ“[1]. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილს ხალხური შემოქმედების ნიმუშების რედაქციის რამოდენიმე ნიმუში მოჰყავს. ჩვენ ერთ მათგანზე შეეჩერდებით:

ხალხური რედაქცია

1 კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხ მოტეხილი საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი,
თუნგ ნახევარი მაჭარი.

ი. გოგებაშვილის რედაქცია:

1 კურდღელი ჩამოცანცალდა
ფეხ მოტეხილი საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი,
კომბოსტო ნორჩი, ახალი.

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 187.

იაკობ გოგებაშვილი დასძენს: „ფეხმოტეხილს კურდღელს ზურგზედ ჰკიდია თუნგ ნახევარი მაჭარი და საგზლად მიაქვს. აქ რამდენიმე შეუსაბამობაა: ფეხმოტეხილს კურდღელს თუნგნახევარი მაჭრის აკიდება და ზიდვა არ შეუძლიან. და თუნდაც რომ შეეძლოს, რისთვის წაიღებს, როცა მაჭარი მას არც საჭმელად გამოადგება და არც სასმელადა"[1]. დიდი მწერალი მკითხველს უხსნის, რომ კურდღელისათვის მაჭარი იმდენად გამოუსადეგარია, როგორც ადამიანისათვის რკო, ხოლო კომბოსტო მის საყვარელ საჭმელს შეადგენსო. მწერლის ასეთი ჩარევა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ნორჩი თაობის აღმზრდელობითი ფუნქციის შესასრულებლად სასარგებლოცაა. ამასთან ერთად იაკობ გოგებაშვილს მტკიცედ სწამს, რომ ზეპირსიტყვიერება უცვლელად უნდა იქნას ჩაწერილი და გამოქვეყნებული სახალხო კრებულებისათვისაც: „სახალხო კრებულში, რასაკვირველია, ამ ცვლილებას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, იქ უნდა ხელუხლებლივ იბეჭდებოდეს ყოველი ნაწარმოები ხალხის გონებისა და ფანტაზიისა", — აღნიშნავს ი. გოგებაშვილი.

ზემოთაღნიშნული ხალხური ლექსის „კურდღელი ჩამოცანცალდა"-ს დამუშავების შესახებ საინტერესო მასალას გვაწვდის პედაგოგი იოსებ სრესელი. მოგონებების ეს ადგილი კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებაზე ხალხურ საუნჯესთან და ამიტომ გადავწყვიტეთ ვრცელი ამონაწერი მივაწოდოთ მკითხველს:

„...იაკობი როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების მოტრფიალე, თავს უყრიდა ხალხის ალალი გულიდან ამოფრენილ მგრძნობიარე პოეტურ ნიმუშებს, რომლებიც მცირედი შესწორების შემდეგ გადაჰქონდა „დედა-ენისა" და „ბუნების კარის" უჯკნობ ფურცლებზე... იაკობის დავალებითვე ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს იაკობთან ალექსანდრეს (ალექსანდრე გოგებაშვილი — იაკობის ძმისშვილი. — ზ. ბ.) ჩაუყვანია ორი ღრმად მოხუცი ვარიანელი გლეხი, რომლებსაც მრავალი ხალხური ლექსები, ანდაზები და იგავარაკები სცოდნიათ... აბა, ბიჭებო! რაც იცით და არ იცით, სულ უნდა დაფქვათ თქვენებიან წისქვილივითაო — მიუმართავს გლეხები-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, 1955, გვ. 189.

სათვის ...გაუხარია სტუმრების მიერ ნათქვამი ლექსებითა და ანდაზებით, ძალზე მოსწონებია, ხოლო ზოგიერთებში კი შემჩნევა და შესწორება შეუტანია, გაუშალაშინებია. მაგალითად, როდესაც მოუსმენია:

„კურდღელი ჩამოცანცალდა,
ფეხმოტეხილი საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი
თუნგ ნახევარი მაჭარი“ —

ასე უთქვამს: რა დაგიშავათ ისედაც ფეხმოტეხილმა საწყალმა კურდღელმა, რომ თუნგნახევარი მაჭარი ზურგზე აჰკიდეთო?! მოდით მაჭარი ჩამოვხსნათ და ნორჩი კომბოსტო ავკიდოთო, კომბოსტოს უფრო გამოიყენებს კურდღელი და გაიხარებსო. მაჭარს კი უამისოდაც ბევრი მოტრფიალე ჰყავსო. იაკობმა მართლაც თავისი ასეთი შესწორებით შეიტანა ეს ლექსი „დედა-ენაში“ ...გლეხები :..კმაყოფილნი დაბრუნებულან ვარიანში და განუცხადებიათ: იაკობს ჩვენი ლექსები ისე ძალიან მოეწონა რომ ასე გვითხრა: მთელ ქვეყანას უნდა წავაკითხოო“[1].

ხალხურ ლექსში „მოდი ვნახოთ ვენახი“, რომელიც იაკობ გოგებაშვილმა ოთხმოცი წლის მოხუცისაგან გაიგონა, მხოლოდ ერთი პატარა ცვლილება შეიტანა. ეს ცვლილება ეხება ლექსის დასაწყისს — „ია ვნახოთ ვენახი“, იაკობ გოგებაშვილმა ასე შეცვალა ეს ადგილი — „მოდი ვნახოთ ვენახი“. როგორც პროფ. მ. ჩიქოვანი აღნიშნავს „ია“ უცხო ფორმაა ახალ სალიტერატურო ქართულში, მაგრამ კანონიერია დიალექტისათვის“[2].

იაკობ გოგებაშვილმა ცნობილი ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“ სოფელ ვარიანში ჩაიწერა ერთ-ერთი პატარძლისაგან. იაკობ გოგებაშვილი ზეპირსიტყვიერების ჩასაწერად ხშირად პატარძლებს მიმართავდა ხოლმე, ვინაიდან ისინი სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები იყვნენ და მდიდარ მასალასაც აწვდიდნენ ჩამწერს. ამის შესახებ იაკობ გოგებაშვილი ძალზე საინტერესო მოსაზრებას გვიზიარებს: „საზოგა-

[1] სგმ., ი. გოგებაშვილის ფონდი № 4634.

[2] მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტ. I, 1975, გვ. 254.

დოდ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ ჩვენ ექვსი თვის განმავლობაში ერთსა და იმავე სოფელში იმოდენა ხალხის ნაწარმოები შევკრიბეთ, ეს მოხდა იმის გამო, რომ უმთავრესად პატარძლებს მივმართავდით ხოლმე. კაცები ამ შემთხვევაში ღარიბს წყაროს წარმოადგენენ. რაც ერთმა გლეხმა იცის, მეორემაც იგივე იცის, რადგანაც ერთს სოფელში არიან დაბადებულნი და აღზრდილნი. სრულიად სხვა უნდა ითქვას პატარძლებზე. ისინი არიან გამოთხოვილნი სხვა-და-სხვა სოფლებიდან, სხვა-და-სხვა კუთხიდან, იციან სხვა-და-სხვა ლექსები და ზღაპრები და მდიდარს სალაროს ხალხის პოეზიისას წარმოადგენენ. ამასთან ისინი იმყოფებიან სიყვარულის ხანაში, შეჰხარიან სიცოცხლეს და მხურვალე მოყვარენი არიან სახალხო პოეზიისა"[1]. ამას იაკობ გოგებაშვილი იმათ საყურადღებოდ წერს, ვინც მონდომებულია შეაგროვოს ხალხის გონების ნაღვაწი. ხალხურ ვარიანტში ეს ზღაპარი ცნობილია სათაურით „ტილი და რწყილი". იაკობ გოგებაშვილმა არაესტეტიურად მიიჩნია ეს სათაური და მას თავისი სათაური მისცა — „რწყილი და ჭიანჭველა", რომელიც მკითხველმა სულიერად შეისისხლხორცა და ახალი სათაური ხალხურ ვარიანტად შეითვისა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იაკობ გოგებაშვილი ხალხურ შემოქმედებას უდიდეს აღმზრდელობით ფუნქციას ანიჭებდა და მოუწოდებდა საბავშვო ჟურნალ „ნობათის" გამომცემლებს, რათა ხშირად გამოექვეყნებინათ საუკეთესო ხალხური ზღაპრები და ლექსები. იგი სურვილს გამოთქვამდა, რომ „სასოფლო სკოლების მასწავლებლებმა არ დაიშურონ ყურადღება და გარჯა, აგროვონ ხსენებული ნაწარმოებნი ხალხის გონებისა, მეტადრე ზღაპრები, რომელნიც აქამდის ძალიან ნაკლებად გვაქვს გაცნობილნი, და უგზავნონ რედაქციას დასაბეჭდად"[2].

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების გამოცდილი შემგროვებელი, დიდად იყო დაჯილდოვებული შემკრებლობითი უნარით. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე 1881 წლის 17 დეკემბერს, რომელსაც თავმჯდომარეობდა ილია

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4. 1955, გვ. 190.

[2] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2. 1954, გვ. 23.

ჭავჭავაძე, იგი წინადადებით შევიდა, რათა სოფლის მასწავლებლების შემწეობით შეეგროვებინათ ხალხური სიბრძნე. სხდომის ოქმში შემდეგს ვკითხულობთ:

„მოსმენილ იქნა... აზრი ი. გოგებაშვილისა, რომ შეიკრიბოს ხალხის გონების ნაწარმოები სოფლის მასწავლებლების შემწეობით, მიღებულ იქმნა და გადასწყდა, მიეწეროს სოფლის მასწავლებლებს და ეთხოვოს, რომ ყოველივე ნაწარმოები ერის გონებისა მოგვიგროვონ... ამ საქმის წესიერად შესრულებისათვის გარდასწყდა, რომ პროგრამა შესდგეს და გაეგზავნოს მასწავლებლებს. პროგრამის შედგენა მმართველობამ მიანდო ბ-ნ გოგებაშვილს და უმიკაშვილს, რომელიც მმართველობასვე უნდა წარედგინოს დასამტკიცებლად"[1].

საზოგადოების ამავე წლის 21 იანვრის სხდომას წარედგინა აღნიშნული პროგრამა, რის შესახებაც სხდომის ოქმში აღნიშნულია შემდეგი: „მოისმინეს... ხალხის გონების ნაწარმოებთა შეკრებისათვის წარმოდგენილი პროგრამა პ. უმიკაშვილისა და ი. გოგებაშვილისაგან მოწონებულ იქმნა, ხოლო გარდასწყდა, რომ შეივსოს და რედაქცია ახალი ექმნას"[2].

„პროგრამა ხალხის სიტყვიერების ნაწარმოების შეკრებისათვის", ი. გოგებაშვილისა და პ. უმიკაშვილის მიერ შედგენილი, გამოიცა 1882 წელს ალ. დრეევიჩისა და პრ. კალანდაძის სტამბაში. პროგრამა, მართალია, ი. გოგებაშვილისა და პ. უმიკაშვილის მიერ არის შედგენილი, მაგრამ მას უმეტესად ი. გოგებაშვილის ხელწერა ამჩნევია და ამასთან ერთად ეჭვიც არ შეიძლება ვინმეს შეეპაროს, რომ პ. უმიკაშვილსაც, როგორც გამოჩენილ ფოლკლორისტს, მნიშვნელოვანი როლი არ შეესრულებინოს ამ საქმეში.

პროგრამის შესავალში ხაზგასმით არის აღნიშნული ის დიდი მოვალეობა, რაც სახალხო მასწავლებლებს აკისრიათ ხალხის სიტყვიერების შეკრებისას. ვინაიდან იგი ნათლად გამოხატავს ი. გოგებაშვილის შეხედულებას ამ საშვილიშვილო საქმისადმი, ჩვენ ვთვლით, რომ საინტერესო იქნება მისი

---

[1] საქართველოს სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფონდი № 481, აღწერა № 45, გვ. 12.

[2] იქვე, გვ. 15.

სრული სახით მიწოდება მკითხველისათვის, პროგრამის შესავალში აღნიშნულია:

„ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები არის დიდი საუნჯე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგოგიისათვის. ყოველი გაწათლებული საზოგადოება ცდილობს შეჰკრიბოს ყოველგვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყოველთაო კუთვნილებად აქციოს.

ჩვენში დღევანდლამდე ძალიან მცირედ შეკრებილა და დაბეჭდილა ჩვენის ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები. მისი შეკრება და გამოქვეყნება მით უფრო საჭირო და სასარგებლოა, რომ ამგვარი ნაწარმოებით ჩვენი ხალხი მდიდარია.

ამიტომ წერა-კითხვის საზოგადოებამ გაიზრახა შეჰკრიბოს და დაბეჭდოს ქართული სახალხო ლექსები, ზღაპრები, ანდაზები და სხვ.

რადგანაც სახალხო მასწავლებელნი მუდამ ხალხში ცხოვრობენ და სხვაზედ უფრო ხშირი შემთხვევა აქვთ გაიგონ ერის სიტყვიერების ნაწარმოებნი, ამისათვის წერა-კითხვის საზოგადოება მათ მიმართავს თხოვნით, ამ კეთილის საქმის შესრულებაში დაეხმარონ“[1].

შესავალს მოსდევს ხალხური ნაწარმოებების ჩაწერის წესები. შემდგენლების აზრით, ჩამწერმა ყველაფერი ისე უნდა ჩაიწეროს, როგორც ხალხი ამბობს და თავის თავს ნება არ უნდა მისცეს, რათა მცირეოდენი ცვლილება შეიტანოს მასში, ამიტომ „ადგილობრივი გამოთქმა, სიტყვები, სიტყვების დალაგება ფრაზებში, ფრაზების ერთმანეთთან დამოკიდებულება, — ყველაფერი სასტიკად უნდა დაიცვას დამწერმა“[2]. იგი ზეპირსიტყვიერების ნიმუშის ერთ რედაქციას არ უნდა დასჯერდეს, ყველა ვარიანტი უნდა ჩაიწეროს. ვინაიდან ზოგიერთ ნიმუშს მთქმელი ახსნას უკეთებს, ეს ახსნაც იქვე, სქოლიოში უნდა აღინიშნოს. ჩანაწერის ბოლოში მოხსენებული უნდა იქნას, თუ რომელ სოფელში ჩაიწერა, გვარი მთქმელისა და თარიღი თუ რომელ წელს, თვესა და დღეს იქნა ეს ჩაწერილი. აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე, რომ თუ „მთქმელი მესტვირე ან მეფანდურეა“, ვინაიდან „ხშირად

---

[1] სგმ, ი. გოგებაშვილის ფონდი № 1941/2.

[2] იქვე.

მეფანდურე ან მესტვირე თვითონ სთხზავს ლექსებსა, ჯერ სახალხო ლექსად არ გადაქცეულა და მხოლოდ შემდეგ ხანებით ზოგი მათი ლექსი სახალხოდ გადაიქცევა ხოლმე"[1]. პროგრამის შემდგენლების აზრით უმჯობესია შემკრებმა ზეპირსიტყვიერების მცოდნეები მოსძებნონ „სოფლის ენა-ძეტყველებაში, მწყემსებში, მესტვირეებში და მეფანდურეებში", ვინაიდან მათში უფრო მდიდარი მასალა მოიპოვებაო. ჩამწერმა თავისი საწერი რვეულები უნდა გაჰყოს რამოდენიმე ნაწილად, რათა ცალ-ცალკე იქნას ჩაწერილი ზღაპრები, ანდაზები, ლექსები და სხვა. დაბოლოს, პროგრამის შემდგენლები ჩამწერს სთხოვენ, რათა ბოლოში საკუთარი სახელი და გვარიც მოაწეროს, რათა წ. კ. გ. საზ.-ბამ, როდესაც ამ მასალას დაბეჭდავს, ჩამწერის ვინაობაც მოიხსენიოს.

პროგრამის ბოლოს შემდგენლები ჩამოთვლიან, თუ რამდენი სახის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები არსებობს ხალხში შესაგროვებლად. ესენია: ლექსები (სასულიერო, ისტორიული, გმირული, საომარი, სამიჯნურო, სამუშაო, საოხუნჯო, სასიმღერო), აფორიზმები ლექსად, ანდაზები, გამოცანები, ენის გასატეხი, ზღაპრები და არაკები, ლეგენდები, ისტორიული და საყოფაცხოვრებო ანეგდოტები, შელოცვები, „ამაო მორწმუნებანი", დაძლევა კაცისაგან რომელიმე პირუტყვისა ან პირიქით, თქმულებები ალებზე, ჭაჯებზე და სხვა კეთილ და მავნე სულებზე, ცერემონიები ანუ ჩვეულებანი და სხვა, რომლებიც ვრცლად და დიდი სიმარდით უნდა იქნეს ჩაწერილიო.

პროგრამის შემდგენლები სქოლიოში კიდევ ერთ სურვილს გამოთქვამენ: „ამას გარდა ვისაც სურვილი ექმნება და დრო და მოცალეობა ნებას მისცემს, კარგი იქმნება საყდრების და მონასტრების ნანგრევებზე დაშთენილი ზედწარწერანი გადმოიღონ და გამოგზავნონ"[2].

აქედან გარკვევით ჩანს ის უაღრესად დიდი ყურადღება, რასაც ი. გოგებაშვილი იჩენდა ქართველი ერის სულიერი კულტურის მიმართ, ხალხის ბრძნული ნააზრევის მოძიებისა და მათი მზის სინათლეზე გამოტანის საშუალებით. ი. გოგე-

[1] სგმ, ი. გოგებაშვილის ფონდი № 1941/2.

[2] იქვე.

ბაშვილს ღრმად სწამდა, რომ რაც უფრო მდიდარი და უძიროა ამა თუ იმ ერის გონებითი შემოქმედება, კულტურის მით უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლებს იგი სხვა ერთა შორის.

პროფ. მ. ჩიქოვანმა ი. გოგებაშვილს სამართლიანად უწოდა თანამედროვე ფოლკლორისტიკის წინამორბედი[1].

[1] მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, ტ. I, 1975, გვ. 248.

იაკობ გოგებაშვილი და ქართული ჟურნალისტიკა

იაკობ გოგებაშვილმა უაღრესად მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ქართული ჟურნალისტიკისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებაში.

„ერი, რომელსაც წინ არ მიუძღვის და არ უკაფავს პროგრესის გზას რაზმი მძლავრისა და მრავალის ინტელიგენციისა, ადრე თუ გვიან წააგებს საარსო ბრძოლას და დაჰკარგავს თავის ადგილს ერთა შორის", — წერდა 1880 წელს გაზეთ „ცროების" მეთექვსმეტე ნომერში იაკობ გოგებაშვილი და განაგრძობდა, რომ „ეს ჭეშმარიტება უნდა ყოველ წამს თვალწინ გვედგას და აღვიძებდეს ჩვენში მხნეობას და ენერგიას საფუძვლიანი განათლების გაძლიერებისათვის საქართველოს შვილთა შორის". ამ დიდად საპასუხისმგებლო საქმეში იაკობ გოგებაშვილი პერიოდულ პრესას და მათში დაბეჭდილ ნიჭიერ პუბლიცისტურ წერილებს უთმობდა უპირველეს ადგილს. აქედან გამომდინარე იგი როგორც საზოგადოებას ისე ცალკეულ პიროვნებებს აუცილებელ მოთხოვნილებას უყენებდა პერიოდიული პრესის საშუალებით მკითხველ საზოგადოებაში მამულიშვილობის ზრუნვა, პატრიოტული სულისკვეთება გაეღვივებინა, აღეზარდა ისეთი გულმხურვალე მამულიშვილები, „ვისაც სიცოცხლის უმთავრეს საგნად გაუხდია მშობლიური ქვეყნის ბედნიერება, ვინც თავ-გამოდებულად და შეუპოვრად ებრძვის დაუღალავად ყოველს დაბრკოლებას, რომელიც მის სამშობლო ქვეყანას წარმატების გზაზედ გადაღობებია, ვისაც მთლად დაკარგულად მიაჩნია ყოველი წამი, რომელიც არ მოუხმარნია მამულის ზრუნვისათვის, ვისაც ედაგის ცეცხლი მამულის ტანჯვითა, უხარის მისი ლხენითა, ვინც ბედნიერია მისი ბედნიერებით, უბედურია მისი უბედურებით, და ვინც მზად არის ღიმილით შესწიროს მას თავისი სიცოცხლე"[1].

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1952, ტ. 1, გვ. 371.

იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტური წერილებიც სწორედ ამ ჭეშმარიტ გზას ადგას და სამშობლო ქვეყნის ნათელ მიზნებს ემსახურებოდა.

იაკობ გოგებაშვილი დიდად აფასებდა „ივერიის“ ღვაწლს ერის სულიერი კულტურის ამაღლების საქმეში, იმ უაღრესად ღრმა პატრიოტულ მიმართულებას, რომელიც მას გააჩნდა, ვინაიდან „უპირველეს ამოცანად დაისახა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის, ეროვნული სახის შეწარჩუნებისა და სულიერი ცხოვრების ამაღლებისათვის ხელის შეწყობა“[1]. იაკობ გოგებაშვილს გულს ტკენდა ის ფაქტი, რომ „ივერიას“ საკმაო ხელისმომწერნი არ ჰყავდა, რაც ერთგვარად ხელს უშლიდა რედაქციას თავისი მიზნების სრულ განხორციელებაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა პატარა წერილი სათაურით — „პრესა ჩვენში და სხვა პატარა ერებში“. წერილი პირველად გამოქვეყნდა „ივერიაში“ 1887 წელს (№ 3) სათაურით „ჩვენი სისუსტე“. ი. გოგებაშვილი შეუშფოთებია 1886 წელს „ივერიის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებულ ცნობას, რომ გაზეთს მთელს საქართველოში მხოლოდ ექვსასი ხელისმომწერი ჰყავდა. როგორც წერილის ავტორი აღწიშნავს, ყველაზე მცირე ხელისმომწერი „ივერიას“ რედაქტორის სამშობლოში — კახეთში ჰყოლია და საყვედურს გამოთქვამს, რომ „კახეთი შედარებით სხვა კუთხეებთან იბარებს ბევრით ნაკლებს რიცხვს სასკოლო სახელმძღვანელოებისას, ისე ყოველგვარის წიგნებისას“. იგი კახეთის დღევანდელ მდგომარეობას მის დიდებით მოკრძალ წარსულს ადარებს, როდესაც რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში სპარსეთისა და ლეკების გამუდმებულმა თავდასხმებმა სწავლის ლამპარი ვერ ჩააქრო, სადაც არსებობდა მთელი საქართველოს საუკეთესო სასწავლებელი — სასულიერო სემინარია თავისი დიდად განათლებული რექტორებით— გვიოზით, დავითით და სხვებით. იაკობ გოგებაშვილი მოუწოდებს აგრეთვე იმერეთის მოსახლეობასაც, კერძოდ კი ქუთაისის განათლებულ დასს, რათა ჯეროვანი ყურადღება მიაპყრონ წიგნებისა და გაზეთების კითხვას, განათლების შეძენის უპირველეს საშუალებას. იქვე წერილის ავტორი ხაზს

[1] ნ. ტაბიძე, ილია ჭავჭავაძის „ივერია“, 1977, გვ. 348.

ხუსვამს აგრეთვე ზუგდიდის მოსახლეობის გულგრილობას ამ საკითხის მიმართ. აქ თურმე დიდი და პატარა ძლიერ ეტანება გონებრივ საზრდოს, ბევრ წიგნებს კითხულობენ, წიგნების ხუთი თუ ექვსი მაღაზიაც აქვთ. აქედან გამომდინარე გერ აუხსნია „ივერიის“ ხელისმომწერლების ესოდენ სიმცირე. იაკობ გოგებაშვილი მეტ-ნაკლებად საყვედურს გამოთქვამს აგრეთვე ბათუმისა და ქართლის მოსახლეობის მისამართით. ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს იმ უპირველეს როლს, რომელსაც „ივერია“ ასრულებდა სხვა პერიოდულ გამოცემათა შორის. მისი აზრით „ივერია“ „არის არამც თუ ერთადერთი ყოველდღიური გაზეთი ქართულს ენაზედ, არამედ თითქმის მარტოდ-მარტო წარმოადგენს ჩვენს პერიოდულს ლიტერატურასა. მას არა ჰყავს მოცილედ არც ერთი გაზეთი, არც ერთი ჟურნალი და არც რაიმე სპეციალური გამოცემა“[1]...

„ივერიის“ ხელისმომწერთა სიმცირე კიდევ უფრო იმიტომ უშფოთებს გონებას იაკობ გოგებაშვილს, რომ თვალწინ უდგება მეტად ხანმოკლე სიცოცხლე „საქართველოს მოამბისა“, „მნათობისა“, „კრებულისა“, „შრომისა“, „იმედისა“ და „ნობათისა“, რომელთაც „ვერ გაალხო ყინული საზოგადო გულგრილობისა“.

იაკობ გოგებაშვილს კულტურული ქვეყნების გონების მოთხოვნილების უპირველესი დაკმაყოფილების საშუალებად წიგნებისა და გაზეთების კითხვა მიაჩნია, „როდესაც იქ სრულ ადამიანად თავის თავს მაშინა სთვლიან, როდესაც ყოველ დღე მისდით რაიმე პერიოდული გამოცემა და ამ გზით უკავშირდებიან თავის მწერლებს...“[2] და იქვე აღნიშნავს ქართველი კაცის დაუინტერესებლობას პერიოდული გამოცემებისადმი, რომელიც არ იწერს ქართულ გამოცემებს, და თუ იწერს, ზანტად და უხალისოდ კითხულობს; იგი არც კი ფიქრობს, რომ „ამ გამოცემის თანაგრძნობა და სიყვარული დაბადოს და გააძლიეროს თავის გარშემო წრეში და ამითი დაეხმაროს სამშობლო ლიტერატურის წარმატებასა და აღორძინებასა“[3].

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 166-167.

[2] იქვე, გვ. 169.

[3] იქვე.

გაზეთ „ივერიაში“ 1896 წლის 67-ე ნომერში გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის წერილი „შენიშვნა „მოამბე“-ზედ“. ეს სტატია მეორედ დაიბეჭდა 1910 წელს იაკობ გოგებაშვილის „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში სათაურით — „ორიოდე სიტყვა ქართულ ჟურნალზე“. წერილის დასაწყისში ი. გოგებაშვილი პერიოდული ლიტერატურის დედაბოძად ყოველთვიურ ჟურნალს მიიჩნევს და იქვე აღნიშნავს, რომ „გაზეთი, ყოველდღიურია იგი თუ საკვირაო, მხოლოდ წუთის საზრდოს იძლევა და მერე ქრება შარშანდელი თოვლივითა... თითქმის ყველას ხელში იგი მეორე-მესამე დღეს იხევა, იფხრიწება“. ეს მოსაზრება ჩვენ არასწორად მიგვაჩნია, რასაც ცოტა ქვემოთ თვითონ ავტორი ნაწილობრივ ცვლის და წერს, რომ „თუ გაზეთი მარჯვედ და ცოცხლად მოქმედობს, იგი აფხიზლებს საზოგადოებას, მოძრაობაში მოჰყავს, მის წარმატებას ეხმარება“. ი. გოგებაშვილი როდესაც ჟურნალის უპირატესობაზე საუბრობს, მას მშობლიური ლიტერატურის განვითარების საქმე აქვს მხედველობაში, რასაც სათანადო დონეზე რა თქმა უნდა გაზეთი ვერ წარმართავს, სოლო რაც შეეხება გაზეთის უაღრესად მნიშვნელოვან როლს საზოგადოების წინსვლის საქმეში, იაკობ გოგებაშვილი სრულიადაც არ უარყოფს და თუკი მეორე-მესამე დღეს გაზეთი იხევა და იფხრიწება, ამას მხოლოდ საზოგადოების ის ნაწილი სჩადიოდა, რომლისთვისაც უფრო აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა გონების ვარჯიში და სისტემატიური კითხვა. ი. გოგებაშვილი ჟურნალის სარგებლიანობას იმაში ხედავდა, რომ იგი „ყოველწლივ ამდიდრებს ლიტერატურას თორმეტი ახალი წიგნით, რომელიც ას-ას წლობით სცოცხლობს და გონებრივს საზრდოს აძლევს ერსა დიდი ხნობით“. იაკობი გულისტკივილით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ჟურნალს მხოლოდ შეძლებული და განათლებული ოჯახები იწერენ, რომელნიც ყველა ქვეყანაში მცირეოდენ ნაწილს შეადგენენ და მეტადრე ეს შეიმჩნევა ჩვენს საქართველოშიო. იგი დიდად აფასებდა ჟურნალ „მოამბის“ ღვაწლს, რომლის დიდი ნაწილი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ „შესდგება ნიჭით და ცოდნით დაწერილი წერილებისაგან, რომელთა შორის ზოგნი მაინც დაამშვენებდნენ

ევროპიულს საუკეთესო ჟურნალებსაც-კი"[1]. სხვა პერიოდულ გამოცემებს შორის „მოამბის" ენა შედარებით საუკეთესოდ მიაჩნია და ხაზს უსვამს იმ უაღრესად დიდ შრომას, რომელსაც რედაქცია ეწეოდა.

1894 წლის პირველ ნომერში მოთავსებულ სარედაქციო წერილში — „მოამბის" პროგრამის გამო ხაზგასმითაა აღნიშნული იმ სამომავლო მიზნების შესახებ, რომლის გატარებასაც ჟურნალი აპირებდა, პირველ რიგში გაეადვილებინა ქართველი მკითხველისათვის „ევროპული განათლების და მოქალაქეობის შეთვისება", ეს კი შესაძლებელი გახდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კი ქართველი ერი ჟურნალის საშუალებით გაიცნობდა ევროპის მწერლობას, მეცნიერებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, „აგრეთვე მწერლობა და ცხოვრება რუსეთისა, რომელთანაც ამ საუკუნის დასაწყისიდან ჟამთა ვითარებამ შეგვაერთა ჩვენ და რომელსაც ისტორიულმა დანიშნულებამ დაავალა გაავრცელოს ევროპული განათლება გარემო ერთა შორის და ჩვენსაში განსაკუთრებით. რადგან ჩვენი ერი შეეფარა მას ამ იმედით"[2]. ჟურნალის წარმატებისათვის რედაქციას საჭიროდ მიაჩნდა მკითხველი საზოგადოების თანაგრძნობა, რომელსაც ჟურნალის ავი შეაწუხებს და კარგი კი სიამოვნებას მოჰგვრის:

მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი თავის პროგრამას ასრულებდა, როგორც სხვა პერიოდულ გამოცემებს, მასაც ცოტა ხელისმომწერლები გააჩნდა და როგორც ზემოთ ითქვა, ეს ფაქტი გარკვეულ სიძნელეს უქმნიდა რედაქციას ჟურნალის მუშაობის წარსამართავად. იაკობ გოგებაშვილი, რომელსაც კარგად ესმოდა პერიოდული გამოცემების უაღრესად საპასუხისმგებლო როლი და დანიშნულება ერის წინაშე, გულმხურვალედ მოუწოდებდა მკითხველს საზოგადოებას:

„განა ყველა ქართველმა, ვისაც-კი ცოტაოდნად გული შესტკივა საზოგადო სიკეთისათვის, ვინც ჩვენში სერიოზულის ლიტერატურის გაზრდას, წარმატებას და აყვავებას წატრობს, ხელი არ უნდა მოუმართოს „მოამბეს", დაეხმაროს, რითაც-კი შეუძლიან, ეცადოს მის გავრცელებას ჩვენს საზო-

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, 1954, გვ. 7.

[2] „მოამბე", 1894, № 1, გვ. 103.

გადოებაში? მაგრამ ამის ნაცვლად რასა ვხედავთ? ზოგნი ჩვენგანნი დაუძინებელი მტრობით ეკიდებიან, ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა სახელი გაუტეხონ, გაათახსირონ, შეუმცირონ ხელის მომწერნი და საქმე გაუჭირონ. დაბადებიდგან ჟურნალისა ერთი ღვთისწყალობა არ უთქვამთ მისთვის, სულ ღვთისრისხვას ნატრულობენ. არც ერთი საქები წერილი არ მოუწონებიათ, არც ერთი კეთილი სიტყვა არ გამოუმეტებიათ. სანაცვლოდ, თუ რასმე კლანჭი გამოედებოდა, თუ რისამე დაწუნება შესაძლებელი იქნებოდა, ერთს ღაღადისს, ერთს ალიაქოთს ასტეხდნენ"[1].

ი. გოგებაშვილი შიშს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ერთადერთი სერიოზული ლიტერატურული ჟურნალი ხელიდან არ გამოცლოდათ და მოწინავე ინტელიგენციისაგან მოითხოვდა, რათა რიგიანი წერილები მიეწოდებინა ჰონორარის გარეშე; ამასთან ერთად ხელისმომწერლებიც გაემართლებინათ. ჟურნალის რედაქტორს ალექსანდრე ჭყონიას და გამომცემელს ალექსანდრე ჯაბადარს ურჩევდა, დაპირებისამებრ მკითხველისათვის რვიდან ათ თაბახამდე მოცულობის ჟურნალი მიეწოდებინა და არა თორმეტი, რაც ხშირი შემთხვევა იყო; ი. გოგებაშვილის აზრით ასეთი სიდიდის ჟურნალი მკითხველს დააფრთხობს, გარდა ამისა, „ჩვენ ლიტერატურული ნიჭით და ცოდნით იმდენად მდიდარნი არა ვართ, რომ თორმეტ თაბახიანი წიგნი ყოველ-თვე გავავსოთ შინაარსიანი და ჩინებული წერილებითა"-ო.

ი. გოგებაშვილი თავგამოდებით იბრძოდა, რათა ქართველებს დახვეწილი პერიოდული გამოცემები ჰქონოდათ, რაც ჰაერივით სჭირდებოდა ფართო საზოგადოებას, ვინაიდან, როგორც იგი აღნიშნავდა, მაშინდელი „ტიპი განათლებულის ქართველებისა ძალიან მდარე" იყო. მათ აკლდათ „გონებრივი ძალა, ცხოველი ჭკუა, ნამდვილი ცოდნა, მტკიცე ხასიათი მხნეობა, თაოსნობა და ეხერხებათ მხოლოდ ერთად-ერთი საქმე — კანცელარიაში სამსახური, ოფიციალურ ქაღალდების წერა, მოხელეობა, „ჩინოვნიკობა"... სამს ქართველში ერთი ძლივსღა ეღირსება ხოლმე კანცელარიის შუშაბანდში ადგილის შოვნას. უმეტესობა ამ შუშაბანდის გარედ რჩება,

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 3, გვ. 7.

და რადგან მხოლოდ იმ შუშაბანდისათვის არის მომზადებული, ვარდება საცოდავს მდგომარეობაში, და... ხშირად თავისს ჯავრსა ყრილობს ქართულის ლიტერატურის საწყალ მკითხველებზედ, რომელთათვის აცხობს ცარიელ-ტარიელ წერილებსა".

იაკობ გოგებაშვილს მიაჩნდა, რომ გაჭირვებული მდგომარეობიდან თავის დასახსნელად ერს განსაზღვრული, ნათელი მიმართულება უნდა გააჩნდეს, მითუმეტეს ისეთს ერს, „როელსაც ბრძოლა არსებობისათვის მეტად გაძნელებია საზოგადოდ უკუღმართთა გარემოებათა წყალობით" („ქართული მიმართულება"). ასეთ უკუღმართ მდგომარეობაში მყოფმა ქართველმა ერმა გაჭირვებას თავი რომ დააღწიოს „საჭიროა გადაჭრილი გზა, მიმართულება, პროგრამა. აქვს ჩვენს ერს ეს პროგრამა, თუ არა? არსებობს ქართული გეგმა მოქმედებისა, თუ ჩვენის ცხოვრების გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული? დიაღ, ქართველობას აქვს განსაზღვრული მიმართულება, გადაჭრილი სიმბოლო პოლიტიკურის სარწმუნოებისა. ზოგს გრძნობით სწვამს ეს სიმბოლო, ზოგს ნათლად აქვს გათვალისწინებული; ყველანი კი მიმდევარნი არიან მისნი საზოგადოდ", — წერდა იაკობ გოგებაშვილი და მკითხველ საზოგადოებას მოუწოდებდა, რათა თავიდან აეცილებინათ ყველა ის დაბრკოლება, რომელიც წინ ეღობება ქვეყნის წარმატებას, ასუსტებს, აღარიბებს და გადაშენების გზაზე აყენებს. ამ გადაუდებელ საქმის დროზე მოგვარებაში იაკობ გოგებაშვილი უპირველეს როლს პერიოდულ პრესას ანიჭებდა, „რომელმაც უნდა ხმა-მაღალი ღაღადისი გააჩაღოს ორსავე ენაზე, როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო გაზეთებში საქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობაზე, დასახელებით იმ რეფორმებისა, რომელთაც შეუძლიანთ ფეხზე დააყენონ იგი".

იაკობ გოგებაშვილი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა აგრეთვე ადგილობრივ რუსულ პრესას და იმათ წინააღმდეგ ილაშქრებდა, გისი შეხედულებითაც „რუსული გაზეთი, რუსული ჟურნალი რუსულ საქმეს მოემსახურება საქართველოში და ამრიგად ძირს გამოუთხრის იმ საქმეს, რომლის პირნათლად განხორციელებას ცხოვრებაში ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართული პრესა ასე თავგამოდებით ცდილობსო". ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ

საზოგადოების მდივანი ალ. მიქაბერიძე თავის მოგონებებში დაკობ გოგებაშვილის შესახებ გადმოგვცემს თუ რა აზრის ჰყო იგი რუსული პერიოდული გამოცემების შესახებ. ი. გოგებაშვილმა მასთან საუბარში აღნიშნა:

„...ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის საზოგადოებამ, რუსეთის ინტელიგენციის პროგრესულმა ნაწილმა უნდა იცოდეს ჩვენი გაჭირვებისა და დალხინების ამბავი, რათა პრესის საშუალებით, სადაც ჯერ არს, აღიმაღლონ ხმა და ჩვენი დღევანდელი უბადრუკი ცხოვრება მთელი თავისი სინამდვილით, ყოველმხრივ გააშუქოს... ყოველივე ჩვენი გაჭირვების ამბავს ადგილობრივი რუსული გაზეთების საშუალებით უფრო ადრე მივაწვდით რუსეთის საზოგადოებას, რომელიც, უეჭველია, მისი პროგრესიული ნაწილის სახით ერთგვარ დახმარებას აღმოგვიჩენს. მთავრობა, ცხადია, ანგარიშს გაუწევს რუსეთის ხალხის მოწინავე ნაწილის აზრს და ძალაუნებურად ჩვენს დღევანდელ ეკონომიურ კრიზისს მცირედად მაინც შეანელებს... საქართველოს პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლებში სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე სწარმოებს, სამშობლო ენის სწავლება სასწავლებლებიდან განდევნილია. სასწავლებლებში რუსული სული ტრიალებს, სასწავლებლებს რუსის უხეში მოხელეები განაგებენ და ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას სულსა და გულს უხუთავენ, ყოველივე ქეთილშობილურ მისწრაფებას უსირცხვილოდ უხმობენ, მეტსაც ვიტყვით — მთლიანად უსპობენ. აი ასეთ უნუგეშო მდგომარეობაში ქართული პრესა მძლავრი იარაღია ჩვენი ტკივილების განსაკუთრებულად. მაგრამ დრო-გამოშვებით საჭიროა ადგილობრივი რუსული პრესის საშუალებით ჩვენი საჭირბოროტო საკითხების შესახებ ხმის ამაღლება და საქმის ვითარების სინამდვილით გაშუქება, რათა რუსეთის საზოგადოების პროგრესიული ნაწილის ყურადღება და თანაგრძნობა მოვიპოვოთ. ქართველებს საკმაოდ მოგვეპოვება ისეთი მწერლები, რომელთაც რუსული ენა ზედმიწევნით ეხერხებათ და რომლებიც ამჟამად ახლო მონაწილეობას იღებენ ადგილობრივსა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში. ნიკო ნიკოლაძე, ილია ბახტაძე, ლევან ყიფიანი, დავით კეზელი და კიდევ სხვანი, რომლებიც რუსულ ორგანოებში თვალსაჩინოთ მოღვაწეობენ, მეტად დიდ სამსახურს გაუწევდნენ ჩვენს

დღევანდელ სინამდვილეს, რომ მართლაც ყველანი სისწორით უდგებოდნენ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებს და გაბედულად, მოურიდებლად მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს"[1]. ი. გოგებაშვილი დიდად აფასებდა ნ. ნიკოლაძის კალამს, რომელიც სინამდვილის მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხებოდა, ხოლო ილაშქრებდა ისეთი პუბლიცისტების წინააღმდეგ, რომელთა სამწერლო მოღვაწეობა არ იყო გამსჭვალული „იმ გულთბილი სიყვარულით, რომლითაც გარემოცული უნდა იყოს ხალხის სასიცოცხლო ინტერესები", რომელთა მოღვაწეობას უფრო პირადი ანგარიშების გასწორება ახასიათებს, ვიდრე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების წინა პლანზე წამოწევა და იქვე დასძენს: „მწერლის კალამი იქით არ უნდა იხრებოდეს, საიდანაც ქარი ჰბერავს; თუ მწერალს მართლაც ჰსურს საზოგადოებას პირნათლად ემსახუროს, მის ყოველდღიურ გაჭირვებას შეება მისცეს, ხალხის ჰირი და ვარამი თავის ჰირად და ვარამად მიიჩნიოს"[2].

ამის ნათელ მაგალითს იაკობ გოგებაშვილის პუბლიცისტიკაც იძლეოდა.

ილია ჭავჭავაძე უაღრესად დიდ შეფასებას აძლევდა იაკობ გოგებაშვილის ნიჭსა და კალამს, მის ღვაწლს, რომელსაც უანგაროდ სწირავდა მშობლიური ქვეყნის ბედნიერების ნათელ მომავალს. იაკობ გოგებაშვილის მიერ „დროებაში" გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც ქვეყნის უკუღმართობის წინააღმდეგ იყო მიმართული, ილია ჭავჭავაძე „ივერიის" ფურცლებიდან უმაგრებდა მხარს.

ი. გოგებაშვილი დიდი სიხარულით შეეგება პირველი ქართული საბავშვო ჟურნალის „ნობათის" გამოსვლას და „დროებაში" 1884 წელს წერდა — „ჩვენც ამ ახალს ნაბიჯს ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენ შორის გადადგმულს წრფელი გულით და სიამოვნებით ვეგებებით და გამარჯვებას ვეტყვით"-ო.

ი. გოგებაშვილს სავსებით სწორად მიაჩნდა, რომ საბავშვო ლიტერატურაში პერიოდულ გამოცემებს თვალსაჩინო

---

[1] სგმ. ალ. მიქაბერიძის ფონდი № 141.

[2] იქვე.

ადგილი უკავიათ. „საბავშვო ჟურნალი“, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გრძნობით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუმზადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულის-შვილსა“[1], — წერდა ი. გოგებაშვილი. იგი არ ეთანხმებოდა იმ პირებს, რომლებიც ეჭვის თვალით უყურებდნენ ასეთი ჟურნალის არსებობას; ღრმად იყო დარწმუნებული, რომ კარგი საბავშვო ჟურნალის გამოცემა უფრო ადვილი იყო, ვინემ სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემისა. მას სანუგეშო მოვლენად მიაჩნდა ის, რომ ქართველი მოზარდი თაობა ძალზე ეტანებოდა პედაგოგიურ განათლებას. იმდროინდელ სამ სპეციალურ პედაგოგიურ სასწავლებელში — თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორისა და ხონის საოსტატო სემინარიაში მოსწავლეთა უმეტესობას ქართველობა შეადგენდა. ამ სასწავლებლებიდან გამოსულ ახალგაზრდობას დიდი იმედის თვალით უყურებდა ი. გოგებაშვილი, რომელთაც „კაი სამსახური უნდა გაუწიოს ხალხის განათლებას საზოგადოდ და პედაგოგიურს ლიტერატურას კერძოდ, და კიდევაც გაუწიეს, რის ზოგიერთა ნიშნები ახლავე სჩანს. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ არა ერთი ნიჭიერი პირი, საზოგადო სწავლით განვითარებული, იჩენს სურვილსა სიტყვით, კალმით და საქმით დაეხმაროს საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებას, და მაშინ თქვენ სრულიად დამეთანხმებით, რომ ჩვენში საბავშვო ჟურნალს თანამგრძნობები არ უნდა დააკლდნენ არც ეხლა, და არც, მეტადრე, მომავალში“[2].

იაკობ გოგებაშვილი იმედს გამოთქვამდა, რომ საბავშვო ჟურნალს საკმარისი მკითხველი ეყოლებოდა და, აქედან გამომდინარე, მას უეჭველად სწამდა „ნობათის“ საიმედო მომავალი.

„ჟურნალ „ნობათის“ საწიმუშო ნომერის კრიტიკული გან-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 10-11.

[2] იქვე, გვ. 12.

ხილვის ბოლოს ი. გოგებაშვილი აღნიშნავს, იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სალი ლიტერატურული კრიტიკა, რომელიც საუკეთესო სამსახურს გაუწევს საბავშვო მწერლობის შემდგომ განვითარებას:

„...ჩვენ ვცდილობდით, დაწვრილებით გამოგვეთქვა სამართლიანი მსჯელობა, ღირსებანი კაშკაშად გაგვეშუქებინა, საქები ხმა-მაღლა გვექო და ამასთან არ დაგვემალა ნაკლულევანება, რაც არც საკადრისი იყო და არც სასარგებლო უპირველესად ყოვლისა თვითონ ჟურნალისათვის. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე შეცდომა საბავშვო გამოცემაში ერთი ხუთად და ათად მავნებელია, ვიდრე დიდებისათვის დანიშნულს წიგნში. დიდს აზრიანობა, მსჯელობა გახსნილი აქვს, კარგი და ავი გაეგება და კარგს ნაწერს ითვისებს, ცუდს უარს ჰყოფს. პატარა მოკლებულია ჯერედ რაიმე კრიტიკულს შეხედულებას და თითქმის ერთნაირად ითვისებს კარგსაცა და ავსაცა. ამიტომ თვით ნაკლები ნიჭის პატრონი ბავშვი ჭკვიანი, გონიერი და სასარგებლო კაცი გამოდის, თუ მას აძლევენ მხოლოდ საღსა, ნოყიერს საჭმელს გონებისასა. მაგრამ თუ თქვენ ბავშვს ხშირად აჩეჩებთ ხელში იმისთანა უვიცი კალმის ნაწარმოებს, როგორიც არის ლეგენდა თემურიშვილზედ, თქვენ მას გონებას უთუოდ დაუსუსტებთ და დაუმახინჯებთ სწორედ ისე, როგორც სნეულდება კუჭი, რომელიც იძულებულია ხარშოს საჭმელი, ყოველს სინოყიერეს მოკლებული. აი რისათვის ფრიად საჭიროა, რომ „ნობათი“ კვლავ ერიდოს ყოველს უნიჭო და გაუვითარებელ წერილებსა...“[1]

იაკობ გოგებაშვილი უარყოფდა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ეჭვებს იმის შესახებ, რომ თითქოს შეუძლებელი იყო იმჟამად ასეთი სახის ჟურნალის არსებობა. იგი დარწმუნებული იყო, რომ საუკეთესო საბავშვო ჟურნალის გამოცემა ბევრად უფრო ადვილი იყო, ვინემ სხვა პერიოდული გამოცემისა. ი. გოგებაშვილს ჟურნალის წესიერად წარმართვის იმედს უსახავდა რედაქციის უანგარო და დაუღალავი ღვაწლი, რომელსაც მხარს უმაგრებდა ჟურნალის ირგვლივ დარაზმული ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლები.

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 24-25.

ბის ეროვნული სულისკვეთება. ი. გოგებაშვილი დიდ იშედებს ამყარებდა მასწავლებლებსა და მოსწავლეებზე, რომლებიც არ დაიზარებდნენ და ხელისმომწერთა სიმცირეს არ აგრძნობინებდნენ ჟურნალს: „თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ამ ჟამად ორასამდინ სკოლა არსებობს, სამასამდის მასწავლებელი, და თვით სახლობათა შორისაც მეტნაკლებობით არის აღძრული საბავშვო წიგნების კითხვის სურვილი, ცხადი შეიქნება, რომ ხეირიანს საბავშვო ჟურნალს არ დააკლდება თავისი საკუთარი პუბლიკა და ეყოლება საკმარისად მკითხველნი, დამფასებელნი“[1], — აღნიშნავდა იაკობ გოგებაშვილი.

1884 წელს გამოვიდა ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოს — „საყმაწვილო კონას“ მეორე შეცვლილი გამოცემა; ამავე წლის ჟურნალ „ნობათის“ მე-7, მე-8 და მე-9 ნომრებში დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული წერილი, რომელშიც რედაქცია წინააღმდეგია ეს წიგნი გამოიყენონ სკოლის დამხმარე სახელმძღვანელოდ. ან. ღულაძეს — „ნობათის“ რედაქტორს ეშინოდა, რათა ი. გოგებაშვილის „კუნწულას“ ხელისმომწერნი არ წაერთვა „ნობათისათვის“. ი. გოგებაშვილი ყოველთვის მონდომებული იყო, რათა „ნობათს“ ბევრი ხელისმომწერლები ჰყოლოდა და ჟურნალსაც ეარსება მომავალი თაობის საკეთილდღეოდ. უფრო ნათელი რომ გახდეს ი. გოგებაშვილის დამოკიდებულება „ნობათისა“ და მისი რედაქტორ-გამომცემლის მიმართ, მოვიყვანთ ერთ მოზრდილ ამონაწერს მის წერილიდან „ახირებული გაფხუკიანება“:

„უველაზედ უსაკვირველესი ის არის, რომ ბატ. ღულაძე გვიწყრება იმაზედ, რაც მის გულითადს სურვილს შეადგენდა. წარსული ზაფხულის დამდეგს მან გვკითხა ჩვენ: მეორე ნომერი „კ უ ნ წ უ ლ ი ს ა“ როდის გამოვაო. ჩვენ ვუპასუხეთ: როდესაც „ნობათს“ საკმაო ხელის მომწერი გაუჩნდებაო მეთქი. „ნობათის“ არსებობისათვის საჭიროა ხუთასი ხელის მომწერი, ანუ ორასი თუმანი ფული წელიწადშიო, განგვიმარტა მან. „მაგოდენა ხელის მომწერს საბავშვო ჟურნალი, თუ იგი მარჯვედ იწარმოებს, მეორე წლის განმავლობაში უთუოდ შეიძენს, რადგანაც მოთხოვნილება დიდია საზოგა-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 12.

დებაში, — და ამ ხნით შეჩერება ჩვენი გამოცემისა შესაძლებელია", ვუპასუხეთ ჩვენ. ჩვენს მოსაუბრეს ძლიერ ეამა ეს და გვითხრა: — „ეგ სიტყვები, ჩვენ შორის კერძოდ ნათქვამი, რომ „დროებაში" იქმნას გამოცხადებული, მეტად კარგი და სასარგებლო იქნებაო..." ბ-ნი ღულაძე „კუნწულის" მხოლოდ შეჩერებას ნატრულობდა, ახლა სრულს გაუქმებას ითხოვს ამიერ და უკუნისამდე: „თუ „ნობათი" სასარგებლო გამოცემაა, რაღა საჭიროა თქვენ მიერ განძრახულის და შეჩერებულის ჟურნალის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნობათი" ხუთასს წლიურს ხელის-მომწერს შეიძენსო?"[1]

ი. გოგებაშვილი აქვე დასძენს, რომ შეასრულებს ან. ღულაძის მოთხოვნას, აღარ გამოსცემს „კუნწულას" და ყოველმხრივ მხარში ამოუდგება „ნობათს", თუკი იგი სამ პირობას აასრულებდა. კერძოდ, „ნობათი" გადაქცეულიყო იმისთანა ჟურნალად, რომელიც დააკმაყოფილებდა ბავშვებსაც და ყმაწვილებსაც; „მან სრულიად უნდა აიშოროს თავიდგან ღვარძლი და მხოლოდ წმინდა პურს იპყრობდეს. რედაქტორს ჯერ-ჯერობით სრულიად უნდა აეკრძალოს წერა, სახელდობრ იქამდის, ვიდრე გადამეტებული სწავლულობა არ შეუმცირდება და ქართული ენა, ლათინურისაგან ქვეშ მოქცეული, ზევით არ მოექცევა... იმის აზრით, რომელსაც ჩვენ სრულიად ვეთანხმებით, რიგიანი საბავშვო ჟურნალი პირველსავე წელს მოიპოვებს საკმარისს ხელის მომწერსა და რაოდენიმე წლის განმავლობაში შეიქმნება არსებით მოთხოვნილებად ყოველივე სახლობისათვის, რომელშიაც კი წერა-კითხვის მცოდნე პირი მოიპოვება"[2].

ან. ღულაძე საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ ი. გოგებაშვილმა ბ-ნ გაბიჩვაძის პასუხად გამოქვეყნებულ „საბაასოშიც"[3] „ნობათის" შესახებ ილაპარაკაო. თუ „ნობათი" სასარგებლო გამოცემად მიიჩნია ჩვენი საზოგადოებისათვის, იხმაროს ყოველი ღონე და საშუალება რათა ჟურნალმა იარსებოსო, — წერს ან. ღულაძე და იქვე დასძენს: „...რაღა საჭიროა თქვენ მიერ განზრახულის და „შეჩერებულის" ჟურნალის გამოცემა მის შემდეგ, როცა „ნობათი" ხუ-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 49-50.

[2] იქვე, გვ. 51.

[3] „დროება", 1884, № 192, გვ. 2-3.

თასს წლიურ ხელისმომწერს შეიძენს?.. და თუ სცნობთ, რომ „ნობათი" უვარგისი გამოცემაა, ჩემი აზრით, ძლიერ შემცდარხართ, თქვენი განზრახვა რომ „შეგიჩერებიათ..."[1]

ი. გოგებაშვილი ბ-ნ გაბიჩვაძის პასუხად დაბეჭდილ „საბაასოში" ერთ ადგილას გამოთქვამს თავის შეხედულებას საერთოდ სიტყვა „კონკურენციის" შესახებ, მაგალითად, მოჰყავს ჟურნალი „ნობათი" და ამჟღავნებს თავის კეთილ დამოკიდებულებას ჟურნალის მიმართ. ოგი წერს:

„...საზოგადოდ ჩვენ ამ აზრისანი ვართ კონკურენციის შესახებ. თუ ვინმე შეუდგება წიგნის ან სხვა რომელსამე სამოსწავლო კუთვნილების გამოცემას, ჩვენ, თუნდაც რომ იმავე დროს ვადგეთ ამ გვარს შრომას და იმედიცა გქონდეს უკეთესად შესრულებისა, მაინც ხელს არ შევუშლით და დავაცლით, რომ ერთი გამოცემა მაინც გაავრცელოს სკოლებში და საზოგადოებაში, რასაკვირველია, თუ ეს გამოცემა სასარგებლო იქნება. თუ წინააღმდეგ გზას დავადგი და ერთს ორს მოღვაწეს ხელი შევუშალეთ, ხარჯი და შრომა ცუდად ჩავუტარეთ, უეჭველია, ეს არა ერთს უმაწვილს დააშინებს და აღარ გააბედვინებს პედაგოგიური ლიტერატურის ასპარეზზედ გამოსვლას და ამითი ჩვენს სკოლას მიეცემა აუარებელი ზარალი... „ნობათის" მსგავსი გამოცემა ჩვენც კი გვქონდა დაწყებული, მაგრამ მისი გაგრძელება შევაჩერეთ იქამდის, ვიდრე ეს სასარგებლო გამოცემა არ მოიპოვებს ხუთასს ხელის მომწერს მაინც და ნიადაგზედ არ დასდგება..."[2]

გაზეთ „დროების" 1884 წლის 20-ე ნომერში ი. გოგებაშვილმა გამოაქვეყნა ან. ღულაძის საპასუხო წერილი „ახირებული გაფხუკიანება", რომელშიც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რიგიანი საბავშვო ჟურნალი გამოცემის პირველსავე წელს მოიპოვებს საკმარის ხელისმომწერთ და მალე ყოველი ოჯახისათვის „არსებით მოთხოვნილებად" გადაიქცევაო.

ი. გოგებაშვილსა და „ნობათის" რედაქტორ-გამომცემელს — ან. ღულაძეს შორის კამათმა გაცხარებული ხასიათი ჩიიღო. ან. ღულაძემ პირად შეურაცხყოფად მიიღო ი. გოგებაშვილის „საბაასო" („დროება", 1884 წ. №№ 259 და 261)

---

[1] „დროება", 1884, № 200, გვ. 3.

[2] „დროება", 1884, № 192, გვ. 3.

და თხოვს „დროების“ რედაქტორს, რათა ადგილი დაუთმოს ი. გოგებაშვილისადმი მიმართულ წინადადებას: „საქმე რომ ბათლად გამოიკვეთოს, ამორჩეულ იქმნენ კეთილ-სვინდისიანნი პირნი, რომელთაც განარჩიონ, როგორც „ნობათ“-ში დაბეჭდილი ბიბლიოგრაფიული წერილი, აგრეთვე ბ. ი. გ-ლის „საბაასო“-ც და გადასწყვიტონ: ა) რამდენად საფუძვლიანად უარ-ჰყოფს უკანასკნელი პირველსა და ბ) რა უფლებით აძლევს ბ. ი. გოგებაშვილი თავის თავს ნებას უპატიურად იხსენიოს, როგორც „ნობათ“-ის სახელი, აგრეთვე ჩემიც. ყოველივე დადგინება ამ პირთა დაბეჭდილ უნდა იქმნეს თქვენს პატივცემულს გაზეთს „დროება“-ში.

მედიატორეებად არჩეული იყვნენ დიმ. ბაქრაძე, ვ. ყიფიანი და გ. იოსელიანი. მათ დაწვრილებით განიხილეს როგორც „ნობათში“ დაბეჭდილი კრიტიკული წერილი „კონას“ შესახებ, ასევე ი. გოგებაშვილის პასუხი, მხედველობაში მიიღეს აგრეთვე ი. გოგებაშვილისა და ან. ღულაძისაგან წარმოდგენილი წერილები თავიანთი თავის გასამართლებლად და შემდეგი დასკვნა გამოიტანეს:

1) „გარჩევა „კონისა“, დაბეჭდილი ჟურნალ „ნობათში“, ვერ ვსცანით ჩვენ პრინციპიალურ კრიტიკად, ის არის დაწერილი ცხადის განზრახვით დაამციროს უსამართლოდ, როგორც „კონა“, ისე თვითონ მისი ავტორი საზოგადოების თვალში და დასდოს ლაქი მის პედაგოგიურსა და ლიტერატურულს ღვაწლს. კრიტიკულ წერილში არის ისეთი ადგილები და სიტყვები, რომელნიც უთუოდ უნდა ჩაითვალოს შეუსაბამოდ, არა საკადრისად, შეუწყნარებლად ბეჭდვით სიტყვაში, მეტადრე საყმაწვილო პედაგოგიურ ჟურნალში, და საწყენად და კიცხვად „კონის“ ავტორისათვის.

2) აზრი, წარმოთქმული საბიბლიოგრაფიო წერილში, ვითომც ყველა გადმოთარგმნილი და გადმოკეთებული გოგებაშვილისაგან მოთხრობანი „კონაში“ გაფუჭებულნი იყვნენ, სრულიად უსამართლო არის. ის მაგალითები, რომელნიც მოჰყავს ბიბლიოგრაფიის ავტორს „კონის“ შინაარსიდამ იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ, გითომც, შინაარსი წიგნისა წინააღმდეგი იყვეს მეცნიერებისა, — სრულიად უსაფუძვლო

აღმოჩნდნენ, როგორც დავრწმუნდით შემდეგ მათის შემოწმებისა გამოჩენილი ავტორიტეტების ცნობებთან.

რაიცა შეეხება „კონის“ ენის ნაკლულევანებას, საზოგადო მსჯელობა ბიბლიოგრაფიის ავტორისა მასზე, რომ, ვითომც, „კონა“ წარმოადგენს ნამდვილ კონასა იმ დაგლეჯილ და წამხდარის ავლაბრულ ქართულ ენისას, რომელიც დაიბადა ქართულად მოლაპარაკე სომეხ-თათარ-ოსთაგან“, მედიატორეებმ მიაჩნიათ ნამდვილ ცილის-წამებად, თუმცა კი, მართალია, „კონაში“ ნაჩვენებია ზოგიერთი ისეთი სიტყვები და ფრაზები, რომელნიც არ შეესაბამებიან ქართული მართ-წერის კანონებს, მაგრამ ამ გვარი ნაკლულევანება, სამწუხაროდ, საზოგადო ნაკლულევანებას შეადგენს ჩვენის აწინდელ მწერლობისას.

3) ბ. გოგებაშვილის საბაასო წერილს აქვს პიროვნული ხასიათი. მასში ხშირად არის ნახმარი მედიდური და დამამცირებელი სიტყვები და ფრაზები, რომელთაც არ უნდა ჰქონდესთ ადგილი მწერლობაში. მართალია, ბ. ღულაძემ თავის უსაფუძვლო და ბოროტ განზრახვის წერილით მიმართა და მისცა მიზეზი ისეთ პირს, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის თვისი პედაგოგიურის და ლიტერატურულის ხანგრძლივის, ფრიად სასარგებლო შრომით ჩვენი საზოგადოებისა და ახალი მოზარდის თავობის წინაშე, მაგრამ მაინც კიდევ არ უნდა ეკადრებია იმ გვარი კილო თავის პასუხში, მით უფრო, რომ კილო ბ. ღულაძის კრიტიკული წერილისა შედარებით უფრო ზომიერია.

დასასრულ, მედიატორეები სამართლიანად ჰხადიან წარმოსთქვან, რომ ბ. ღულაძისა და გოგებაშვილის პოლემიკური დავა ისეთი განსაკუთრებითი თვისებისა არ იყო, რომ იმ უთუოდ სამედიატოროდ გამხდარიყო. ჩვენის აზრით, უმჯობესი იყო, ეს საქმე თვით ჩვენი მკითხველი საზოგადოებამ მსჯელობისათვის მიენდო ბ. ღულაძეს“[1].

განჩინებას ხელს აწერს სამივე მედიატორე.

ამით ან. ღულაძესა და ი. გოგებაშვილს შორის კამათს საბოლოოდ დაესვა ობიექტურობის წერტილი.

მიუხედავად მოკამათე მხარეების გაცხარებული ტონისა,

[1] „ივერია“, 1885, № 2, გვ. 141-142.

ორივეს საბოლოო მიზანი კეთილშობილური იყო — ქართველ ბავშვს კარგი საკითხავი ჟურნალი ჰქონოდა.

როგორც ცნობილია ჟურნალმა „ნობათმა“ 1885 წლის მესამე ნომრიდან არსებობა შესწყვიტა. თითქმის ხუთი წლის შემდეგ ქართველმა ბავშვმა მიიღო ახალი ჟურნალი „ჯეჯილი“, რომლის რედაქტორ-გამომცემელი იყო ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა.

იაკობ გოგებაშვილი სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ მხოლოდ შეუგნებელი, განუვითარებელი ერი და საზოგადოება არის მოკლებული საბავშვო ჟურნალს; ხოლო იქ, სადაც სწავლა-განათლებას ფესვები მეტ-ნაკლებობით ღრმად გაუდგამს, საბავშვო პერიოდულ გამოცემას ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს. „ბოლო ხნობამდინ ჩვენ მოკლებულნი ვიყავით საბავშვო ჟურნალს, ამ ყოველ კულტურულის ერის კუთვნილებასა; სხვათა შორის ესეც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ჩვენს ოჯახობასა და საზოგადოებაში სუსტია ჯერ სწავლისა და განვითარების მოთხოვნილება. რამდენისამე წლის წინად გაგვიჩნდა „ნობათი“ და დიდს იმედსაც გვაძლევდა, მაგრამ გაგვიცრუვდა ეს იმედი. იგი ქვიშაზედ აშენებული ხუხულას მსგავსი რამ გამოდგა. კუდიანი ბჟუტა ვარსკვლავივით გაჩნდა ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ, ჯერ ცოტა ხანს იკაშკაშა, მერე სწრაფად მიიღია და ბოლოს მთლად გაჰქრა, ვითომც-კი არსებულიყოს. მაგრამ მაინც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემლისა. ცოტას ხნობით ხომ დაუყენა ჩვენს მოზარდს თაობას გონებრივი დღესასწაული და ცოტაოდენი კვალი მაინც დასტოვა ჩვენს ცხოვრებაში“[1]. ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი სიხარულით აუწყებს მკითხველ საზოგადოებას, რომ მომავალი 1890 წლიდან ქართველ ბავშვებს ახალი პერიოდული გამოცემა ექნებოდათ. მას ღრმად სწამდა, რომ „ჯეჯილი“ იქმნება ჩვენს პედაგოგიურს ცაზედ არა დროებითი მოჩვენება კუდიანი კომეტასავით, არამედ, ვარსკვლავი, რომელიც ჩვენი მოზარდი თაობის სასარგებლოდ და სასიხარულოდ წმინდა ნათელით იკაშკაშებს დიდხანს, ძლიერ დიდხანს, იქნება მუდამაც. ვინ იტყვის, რომ ეს არ იქმნება დიდი წაკლის შევსება და

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 194.

ძლიერ ხელს არ შეუწყობს უფრო გონიერის, უფრო მხნეს და უფრო ქვეყნისათვის გამოსადეგის ახალთა თაობათა აღზრდასა, მომზადებასა"[1].

იაკობ გოგებაშვილმა საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის" დაარსებას „დიდი ნაკლის შევსება" უწოდა და დარწმუნებული იყო, რომ იგი საგრძნობლად შეუწყობდა ხელს „უფრო გონიერის, უფრო მხნეს და უფრო ქვეყნისათვის გამოსადეგის ახალთა თაობათა აღზრდასა, მომზადებასა".

იაკობ გოგებაშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ ქართული პერიოდული ლიტერატურა მეტად სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამის ერთ-ერთ მიზეზს იგი საზოგადოების გულგრილობაში ხედავდა. იაკობი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ „კარგი სახელმძღვანელონი ქართულის ენისა შეადგენენ პირველს ნაბიჯს, საძირკველს განათლებისას". მიუხედავად ამისა, ამგვარი სახელმძღვანელონი საკმარისად არ მოიპოვებოდა, რათა საზოგადოებაში კითხვის ცხოველი ინტერესი გაეძლიერებინა.

დიდ პედაგოგსა და საბავშვო მწერლობის მოამაგეს მიაჩნდა, რომ „სახელმძღვანელოთა და პერიოდულ გამოცემათა შორის ბლომი მანძილია, მოზრდილი ხევია... საჭიროა, მიუცილებლად საჭიროა ხიდი და ამ ხიდად, და საუკეთესო ხიდადაც ყველგან ითვლებოდა და ითვლება საბავშვო ჟურნალი"[2], სადაც მთავარი ადგილი დიდაქტიკური ხასიათის ნაწერმოებებს დაეთმობოდა.

იაკობ გოგებაშვილი თვლიდა, რომ თუკი ბავშვი რამდენიმე წლის განმავლობაში თავის დროზე იღებს პერიოდულ გამოცემას და მას იგი რეგულარულად კითხულობს, აუცილებლად შეუყვარდება წიგნი და მისთვის კითხვა ყოველდღიურ მოთხოვნილებად იქცევა. სწორედ ასეთი ბავშვების იმედი ჰქონდა ი. გოგებაშვილს, რომლებიც დაეხმარებიან მშობლიურ ლიტერატურას „ან როგორც ხელის მომწერი და ერთგული მკითხველი, ან როგორც თანამშრომელი და მწერალი, ან როგორც მქადაგებელი ცხოველი სიტყვით სამშობლო ლიტერატურის თანაგრძნობისა, სიყვარულისა"[3].

---

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 194-195.

[2] იქვე, გვ. 196.

[3] იქვე.

ი. გოგებაშვილი სინანულით აღნიშნავდა იმ ფაქტს, რომ ყოველი სასწაველებელი ჟურნალის მხოლოდ ერთ ეგზემპლარს იწერდა, რაც ასობით მოსწაველეს არაფრით არ ეყოფოდა წასაკითხად და მხოლოდ ყდის გასინჯვასა და ზერელე გადათვალიერებას თუ მოასწრებდა. ამასთან ერთად, დიდი მოაზროვნე საბავშვო მწერლებს შეახსენებდა, რომ ჟურნალში მონაწილეობა დიდ წინდახედულობას მოითხოვს, „...საბავშვო რამეების წერა შესაბამისად, მიზნის შესაფერად ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე დიდებისათვის ლიტერატურული შრომა. ამ სიძნელის დაძლევა კერძო პირებისათვის ადვილი არ არის. ზოგმა მშვენივრად იცის ქართული ენა, მაგრამ მომზადებული არ არის იმდენად, რომ კარგი არჩევანი ჰქმნას გადმოსათარგმნელისა; ზოგს შეუძლიან მშვენიერი საბავშვო წერილები დასწეროს შინაარსით, მაგრამ ენა არ უვარგა; ბოლოს, პირველნიც და მეორენიც ღარიბნი არიან საბავშვო წიგნებითა, უცხო საყმაწვილო ჟურნალების ჰაჭანებაც არსად არის მათს გარშემო...[1] ბოლოს იგი მოუწოდებს საზოგადოებას, რომ ისინი მოვალენი არიან ხელი შეუწყონ „ჯეჯილის“, წარმატებასა და აყვავებას.

რამოდენიმე წლის შემდეგ გაზეთ „ივერიაში“ (1897 წ. № 85) გამოქვეყნდა ი. გოგებაშვილის წერილი „ჯეჯილის“ ადვოკატსა“, რომელიც პასუხს წარმოადგენს დ. მეგრელის წერილზე — „ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და ჟურნალი „ჯეჯილი“. როგორც ჩანს დ. მეგრელს „ცნობის ფურცელში“ „პაატას“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „ჯეჯილის“ წინააღმდეგ ი. გოგებაშვილის ჰგონებია. სინამდვილეში კი წერილის ავტორი მიხ. ნასიძე იყო. როგორც ჩანს, ი. გოგებაშვილს 1897 წელს ჟურნალ „ჯეჯილზე“ თავისი შეხედულება შეუცვლია, ვინაიდან იგი შინაარსობლივად სათანადოდ ვეღარ უპასუხებდა მოთხოვნებს და მდარე ჟურნალად თვლიდა. ჟურნალის ხელისმომწერთა სიმცირეს იგი რედაქციის უხეირო მუშაობას აბრალებს და დ. მეგრელის მისამართით აღნიშნავს:

„თქვენ ამ ფრიად სამწუხარო მოვლენას აბრალებთ არა რედაქციის უხეირობას, არამედ ქართველი საზოგადოების

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 2, გვ. 197.

შეუგნებლობას, გულგრილობას, დაუდევრობას. მაგრამ ნუ თუ ჩვენი სამშობლო ქვეყანა ისე წყალ-წაღებულია, რომ მასში არ მოიპოვება ხუთას-ექვსასი სახლობა მაინც, რომელსაც ესმოდეს დიდი, შეუდარებელი მნიშვნელობა საბავშვო ჟურნალისა? ამას არავინ დაგიჯერებთ. თუ ეს სახლობანი არ აწერენ „ჯეჯილსა“, ეს იმისაგან უნდა იყოს, რომ არც ენით და არც შინაარსით შესაფერ საზრდოდ არ სთვლიან მას თავისი შვილებისათვის“[1].

ი. გოგებაშვილი შეახსენებს დ. მეგრელს, რომ არათუ რუსეთში, არამედ ევროპაშიაც პოლიტიკურ და სალიტერატურო ჟურნალებს მცირე ხელისმომწერლები ჰყავთ, ვინაიდან გაზეთები უწევენ კონკურენციასო. საბავშვო ჟურნალს კი კონკურენციას ვერავინ გაუწევს „თუ იგი ცოცხლად და გონივრად მიჰყავს რედაქციასა“. ამის შემდეგ ი. გოგებაშვილი ურჩევს რედაქციას, რომ ისეთ პირებს გადასცენ ჟურნალი, რომელთაც „შეუძლიან ჩინებულად წაიყვანონ საბავშვო ჟურნალი“ და ხელისმომწერლებიც გაუმრავლონ. თუ როგორ იბრძოდა ი. გოგებაშვილი ჟურნალ „ჯეჯილის“ გაუმჯობესებისათვის და ხელისმომწერთა გასამრავლებლად, ნათლად მეტყველებს მისი წერილი კირიონ საძაგლიშვილისადმი — მიწერილი 1900 წლის 31 ოქტომბერს, რომლის ტექსტიც სრულად მოგვყავს:

...მოგახსენებთ, რომ ქართველ ბავშვთა ზნეობრივ და გონებრივ აღმზრდელ პერიოდულ ორგანოდ დღეს ერთად-ერთი ჟურნალი „ჯეჯილია“, რომელიც სათანადო მთავრობისაგან საერო და სასულიერო სკოლებში სახმარებლად ნება დართულია, როგორც საკითხავი წიგნი. მაგრამ რა გარემოებით არის იგი მოცული და რა ღონისძიებით სულდგმულობს, უფროსმა — ერთმა ჩვენმა საზოგადოებამ სრულიად არ იცის. ნივთიერი ხელმოკლეობა, რომელიც ყოველ ჩვენებურ დროგამოშვებით ნაბეჭდ ორგანოს თანა სდევს, მეტად აფერხებს „ჯეჯილის“ საქმესაცა, რაც არის შედეგი ქართველის საზოგადოების შეუგნებლობისა და გულგრილობისა. ქართველობა რომ მეტი თანაგრძნობით მოპყრობოდა, დღეს ამ ჟურნალს ხელის მომწერიც საკმაოდ ეყოლებოდა და ში-

[1] ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954, ტ. 3, გვ. 87. /

ნაარსითაც უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო იქნებოდა.

„ჯეჯილის“ პატივცემულმა რედაქტორმა ქალბატონმა ანასტასია წერეთლისამ თავისი ჟურნალის დღეგრძელობისათვის არ დაიშურა არც შრომა და არც ხარჯი, მაგრამ მაინც ვერას გახდა, და შემდეგ, მისივე წინადადებით, დაარსდა მზრუნველთ კომიტეტი, რომელსაც დაევალა, რომ ზნეობრივ, ქონებრივ და კალმით მხარი დაუჭირონ ჟურნალის რედაქციას და ამ გვარად მისი ბეჭდვის საქმე უფრო ნაყოფიერად წარიმართოს. სხვა ღონისძიებათა შორის ამ მზრუნველთა კომიტეტმა საჭიროდ დაინახა „ჯეჯილის“ გასულისა და მიმდინარე წლის დარჩენილი ნომრების გაყიდვა.

ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენის ბავშვების გონებრივ და ზნეობრივ განვითარება, მშობლიურ ნიადაგზე აღორძინება, საუკეთესო თავმდებია ჩვენის ერის გამძლეობისა და წარმატებისა. ამის გამო სრული იმედი გვაქვს, რომ თქვენც, როგორც ჩვენის ერის სულიერ მწყემსად ზე-განგებით დადგენილი, განახლებული და ჰეშმარიტი მოკეთე ჩვენის ქვეყნისა, კეთილ ინებებთ და ყოველ ღონისძიებას იხმართ, რათა თქვენის სამწყსოს სამრევლო სკოლებისათვის დაბარებულ იქმნან „ჯეჯილის“ ნომრები წარსული წლებისა და მიმდინარე წლისა“[1].

წერილს იაკობ გოგებაშვილის გარდა ხელს აწერენ მზრუნველთა კომიტეტის წევრები — ეკ. გაბაშვილი, ეკ. მესხი და ალ. მიქაბერიძე.

ქართულის ჟურნალისტიკის განვითარებაში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი უდავოდ მნიშვნელოვანია. დიდმა მწერალმა თავის ერს მდიდარ მემკვიდრეობად დაუტოვა ძალზე საინტერესო და ღრმაშინაარსიანი პუბლიცისტური წერილები, რომლებიც სპეციალური კვლევის ობიექტს წარმოადგენენ.

---

[1] ძ. კიკნაძის სახელობის სახელმწიფო ხელნაწერთა ინსტიტუტი, ქ. საძაგლიშვილის ფონდი № 3.

იაკობ გოგებაშვილი
თანამედროვეთა მოგონებებში

ელია ბახტაძე

ალექსანდრე (საშა) წულუკიძე იაკობ გოგებაშვილის შესახებ
(პატარა მოგონება)

საშა წულუკიძე სწავლა-განათლების საქმეს ჩვენში მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდა. როგორც 1895 წლის გაზეთ „ივერიის“ მე-231 №-ში დაბა ხონიდან მოთავსებული მისი (საშას) წერილიდან[1] სჩანს, მას მთელი არსებით ეზარებოდა ბედაგოგების ქურქში გახვეული მასწავლებლები, რომლებიც ქართველებს მშობლიურ — ქართულ ენაზე სწავლას უკრძალავდნენ და რუსულ ენას ქართველებს ცნობილი შაერაზმელი პედაგოგის ლევიცკის სახელმძღვანელოთი ასწავლიდნენ, რომელსაც „ბუნებითი მეთოდით“ რუსული ენის სწავლას ეწოდებდენ და ფაქტიურად-კი ეს იყო რუსული ენის „მუნჯური მეთოდით“ სწავლება.

საშა წულუკიძეს ჩვენს საზოგადო მოღვაწეებში ყველაზე მეტად იაკობ გოგებაშვილი უყვარდა. მას (გოგებაშვილს) ფუტკარს ადარებდა და ხონში, როდესაც ერთად შეკრება ბოგეიხდებოდა, მას უყვარდა განმეორება იაკობ გოგებაშვილის შემდეგი სიტყვების: „დედა ენა არის ძვირფასი სალარო, დაუსრულებელი რვეული, რომელშიაც დაცულია მთელი სიმდიდრე ხალხის გონებისა, ფანტაზიისა და გულისა, ნაფიქრისა, ნაგრძნობისა და ნამოქმედარისა და რომლის შესწავლა ბავშვს აკავშირებს მთელი ერის სულთან და გულთან, მის ხანგრძლივ ისტორიულს ცხოვრებასთან და ავსებს მას სულიერის ღონით და მხნეობით...“

[1] თავის წერილში საშა წულუკიძე ეხება ხონის ერთ საქალებო სკოლაში ლევიცკის სახელმძღვანელოთი რუსული ენის სწავლებას.

ი. ბახტაძე.

მე ხონში ბაბუა ჩემი კოსტა მებუკის ოჯახში ვიზრდებოდი, რომელიც სულ ახლო ცხოვრობდა საშას მამა თავად გოგო წულუკიძესთან.

როდესაც საშა წულუკიძე ხონში ჩამოვიდოდა, (ის ბათუმში მსახურობდა ბუხჰალტრის თანამდებობაზე საურთიერთო სდობის საზოგადოებაში), მე ძასთან სახლში ხშირად მივდიოდი.

1901 წლის ივლისის თვეში, როდესაც ბათუმიდან საშას ჩამოსვლის ამბავი გავიგე, ადესის უნივერსიტეტის სტუდენტ ვარლამ შავდიასთან ერთად (ვარლამ შავდია იყო ჟურნალ „კვალის“ თანამშრომელი) მასთან სახლში მივედი. როდესაც ვარლამ შავდიასთან ერთად შევედი იმ ოთახში, რომელშიაც საშა ცხოვრობდა, მის საწერ მაგიდაზე მის ბევრ ხელთნაწერებთან ერთად ეწყო პოლიტიკური და ეკანომიური ხასიათის შინაარსის წიგნები. ამ წიგნებს თავზე ედვა ძვირფას ყდაში აკინძული იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ ზედ წარწერით: „საშას“ — დედისაგან.

როდესაც იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „დედა-ენა“ დავინახე საშა წულუკიძის მაგიდაზე, შევეკითხე: „ისე მოწიწებით შეგინახავს იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“, რომ ვატყობ ძალიან გიყვარს და დიდათ აფასებ მის ღვაწლს და ამაგს?“ საშა წულუკიძემ ჩემს შეკითხვაზე მახსოვს დაახლოებით ასე მიპასუხა: „დიდი ნაწილი ჩვენი ქარაფშუტა ქართველი ინტელიგენციის, წარმოშობილი ვაჭრებიდან და ჩვენი გადაგვარებული მაღალი წოდებიდან, თავადაზნაურობიდან, სიტყვით ძალიან ბევრს გაჰკივიან მშობლიური, ქართული ენის და ერის სიყვარულზე, მარა ხშირად ესენი თვითონ უცხო ენაზე აზროვნებენ, წერენ, ლაპარაკობენ და მშობლიურ, ქართულ ენაზე ლაპარაკი და წერა სათაკილოდ მიაჩნიათო“ და ჩემთან საუბარი მან (საშამ) იაკობ გოგებაშვილზე შემდეგი სიტყვებით განაგრძო:

„ქართველ ინტელიგენტებში ჩვენ სამწუხაროდ ნაკლებათ გვყავს ისეთები, რომლებიც გულწრფელად იცავენ ქართველი ერის ინტერესებს, მშობლიური, ქართული ენის სიწმინდეს და ერთი პირველთაგანი ამათში იაკობ გოგებაშვილია...“

„იმ დროს, — თქვა ჩვენთან საუბარში საშა წულუკიძემ, — როდესაც მეფის დიდი მოხელეები: პობედონოსცევი,

იანოვსკი და სხვები, ჩინ-ორდენების მოყვარული გარეწარი, ზოგიერთი გადაგვარებული ქართველების დახმარებით და ხელისშეწყობით გვიკრძალავდნენ და ეხლაც გვიკრძალავენ ქართულ ენაზე სწავლას, წერა-კითხვას, იაკობ გოგებაშვილი აი, ამ წიგნით (ხელში აიღო და გვიჩვენა „დედა-ენა") ქართველ ნორჩ თაობას გულმოდგინეთ ასწავლიდა და ახლაც ასწავლის დედა-ენას..."

ამ სიტყვების შემდეგ საშა წულუკიძემ გვიამბო თუ ხონში ერთმა შავრაზმელმა რუსული ენის მასწავლებელმა პეტროვმა, სამასწავლებლო სემინარიაში როგორ მოაწყო ქართველების მოძულე შავრაზმელი მასწავლებლების წრე, რომელსაც მიზნად ქონდა დასახული ქართველებს და რუსებს შორის მტრობის ჩამოგდება, მშობლიურ, ქართულ ენაზე სწავლის აკრძალვა, როგორ ამხილა მან (საშამ) და ილია ბახტაძემ (ხონელმა) ხონში ამ წრის არსებობა, როგორ ენერგიულად ჩაერია ამ საქმეში იაკობ გოგებაშვილი და მისი ბნელი განზრახვები შავრაზმელ მასწავლებელ პეტროვს, რომელიც მთელი ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული, როგორ ჩაუფუშა.

მე და ვარლამ შავდიამ, როდესაც წამოსვლა დავაპირეთ, საშა წულუკიძემ გვითხრა: „საქართველოს ბევრი ყავდა და ყავს სახელოვანი შვილები, მარა იაკობისთანა ნაყოფიერი ხოლვაწე მას არ ყოლია და არც ეხლა ყავს. ქართველი ხალხი იაკობ გოგებაშვილს უნდა უმადლოდეს, რომ მან დღემდე დაიცო და შეინახა თავისი ენა".

16 XII 1950 წელი.

ჩემი პატარა მოგონება, როგორ შეუსაბამს აძლევდა ი. ზოგებაშვილი ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართული კულტურის და ენის დიდ მოამაგეს

ზუსტად არ მახსოვს, 1903 თუ 1904 წელი იყო, ხონიდან (წულუკიძიდან) თბილისში ჩამოვედი. ხონში ამ დროს მასწავლებლად ვიყავი და ამავე დროს გთანამშრომლობდი

„კვალში“ და სხვა ქართულ-რუსულ ჟურნალ-გაზეთებში. თბილისში მე დავესწარი სახალხო და სამრევლო სკოლების მასწავლებლების ერთ კრებას, რომელსაც ესწრებოდა იაკობ გოგებაშვილი და თედო ჟორდანია.

ამ კრებაზე ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე მეტად შინაარსიანი და მიმზიდველი სიტყვა წარმოსთქვა დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა. როდესაც მასწავლებლების ეს კრება დამთავრდა, რამოდენიმე მოწინავე მასწავლებელმა: არსენ წითლიძემ, პოლიკარპე ლორთქიფანიძემ, ნოე ჭურიძემ (ზომლეთელმა), ლავრენტი ჩიმაკაძემ, პოლიკარპე გოგიაშვილმა და სხვებმა (მეფის მთავრობის დროს პოლიკარპე გოგიაშვილი იყო ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლების კავშირის თავმჯდომარე და ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებლების გაფიცვა 1905 წელს მთავრობის წინააღმდეგ მისი მეთაურობით მოეწყო. ის ეხლა ცოცხალია და ღრმა მოხუცი ქუთაისში ცხოვრობს) იაკობ გოგებაშვილს სადილი გაუმართეს. ამ სადილზე მაშინ მე წამიყვანა ჩემმა ახლო ნაცნობმა და მეგობარმა — ალექსანდრე მიქაბერიძემ, რომელიც ა. ყუმისთაველის მსგავსიმით თანამშრომლობდა ქართულ გაზეთებში; მუშაობდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამგეობაში და მასწავლებლად იყო თბილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიაში.

მახსოვს, სადილზე მაშინ თამადად პოლიკარპე ლორთქიფანიძე აირჩიეს. პოლიკარპე ლორთქიფანიძემ — პირველად დიდი ქართველი პედაგოგის, იაკობ გოგებაშვილის სადღეგრძელო დალია; მან თავის სადღეგრძელოში იაკობ გოგებაშვილი დაახასიათა, როგორც დიდი პედაგოგი და ქართველი ხალხის ინტერესების დასაცველად თავდადებული მოღვაწე და გვერდში ამოუყენა რუსეთის და უცხო ქვეყნების ბევრ გამოჩენილ პედაგოგებს. თავის სადღეგრძელოში პოლიკარპე ლორთქიფანიძემ ბევრი საინტერესო მაგალითები მოიყვანა იმ თავდადებული ბრძოლის, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი აწარმოებდა და აწარმოებს ქართველების მოძულე შავრაზმელ: კატკოვის, იანოვსკის, ვოსტორგოვის და სხვების წინააღმდეგ და ქართველი ერის საკეთილდღეოდ, მცხოვან პედაგოგ იაკობ გოგებაშვილს

უსურვა დღეგრძელობა და დიდ ხანს სიცოცხლე.

პოლიკარპე ლორთქიფანიძის შემდეგ, სხვებმაც დალიეს იაკობ გოგებაშვილის სადღეგრძელო და დაახასიათეს ის, როგორც დიდი ეროვნული მოღვაწე. როდესაც ყველამ დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის სადღეგრძელო, მან (იაკობ გოგებაშვილმა) აიღო ღვინით სავსე სასმისი, ყველას, ვინც მისი სადღეგრძელო დალია, მადლობა გადაუხადა და, აი რა უთხრა:

„დღეგრძელობისათვის ყველას გულთბილ მადლობას მოგიძღვნით და ერთს გულახდილად გეტყვით: მე ღირსი არა ვარ იმ ქება-დიდების, რომელიც მე თქვენ მომიძღვენით, მე ქართველი ხალხისათვის ბევრი არაფერი არ გამიკეთებია, მე ვეჭვობ, რომ რაიმე გაუკეთე ქართველ ხალხს, მარა, თუ მართლა რაიმე გაუკეთე ქართველ ხალხს, მე ეს გავაკეთე ილია ჭავჭავაძის დახმარებით და ხელისშეწყობით. მე, როდესაც შეეცადე საქართველოს შელახული უფლებების, კულტურის და ენის დაცვა, ყვავ-ყორნებივით შემომესივნენ პედაგოგების ქურქში გახვეული რუსი მოხელეები, ჩემდა სამწუხაროდ ამათ გვერდში ამოუდგენ ზოგიერთი გამყიდველი, ფულის და ჩინ-ორდენების მოყვარული ქართველები და, აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ესენი თავს მესხმოდენ, ჩემი ერთად-ერთი იმედი, მფარველი და ნუგეშის მომცემი ილია ჭავჭავაძე იყო. ილია ჭავჭავაძე მუდამ ლომივით ესხმოდა თავზე და დაუზოგველად ანიავებდა კატკოვს, იანოვსკის და ყველა იმათ, რომლებიც სხვადასხვა სახის მოჭორილი ამბებით ცდილობდენ შეებღალათ საქართველოს საუკეთესო წარსული, ქართველი ხალხისათვის პირიდან ამოეგლიჯათ თავისი საყვარელი მშობლიური ქართული ენა და მოესპოთ ქართველი ხალხის ყოველგვარი კულტურული მონაპოვარი, რომლითაც ის ერთ დროს ამაყობდა და ეხლაც ამაყობს“.

მახსოვს, დიდმა ქართველმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა მისი სადღეგრძელო სამადლობელი სიტყვა ასე დაამთავრა:

„თუ დღეს, ჩემ-მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“ საქართველოს სკოლებში ფართო გზავალი მიეცა, ეს უმთავრესად

ასე მოხდა ილია ჭავჭავაძის აქტიური დახმარებით და ხელისშეწყობით. თუ არა, ილია ჭავჭავაძე, მე ვერ შევძლებდი იმას, რომ ფართო გასავალი მიცემოდა საქართველოს სკოლებში ჩემ შედგენილ სახელმძღვანელოებს: „დედა-ენას“, „ბუნების კარს“ და „რუსსკოე სლოვოს“.

ფიზიკურად მე ძალიან სუსტი ვარ და ეს ფიზიკური სისუსტე გამოტეხით უნდა გითხრათ, მუდამ მიშლიდა და ეხლაც მიშლის ხელს ღირსეულად გავმკლავებოდი ჩემ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ქართველი ერის, ენის და კულტურის მოსპობაზე ოცნებობდნენ, მაგრამ ჩემ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე მუდამ იძედათ და ნუგეშათ მედგა და ეხლაც მიდგია გვერდში და მე ფიზიკურად სუსტ, ავადმყოფ ადამიანს მამხნევებდა და მამხნევებს საქართველოს საკეთილდღეო მუშაობაზე ხელი არ ამეღო და ჩემი სახელმძღვანელო „დედა-ენით“ და „ბუნების კარით“ ყოველმხრით ხელი შემეწყო, რომ ქართველ ხალხს თავისი მშობლიური ქართული ენა შეენარჩუნებინა და არ დაეკარგა.

ამ საქმეში, აგრეთვე დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს ბულბულს აკაკი წერეთელს, რომელიც ჩემი სახელმძღვანელოების: „დედა-ენის“ და „ბუნების კარის“ შედგენაში მუდამ აქტიურად მეხმარებოდა, ხელს მიწყობდა და მიგერიებდა ყველა იმათ, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ ჩემი სახელმძღვანელოების საქართველოს სკოლებში გავრცელების“ (ი. გოგებაშვილმა მახსოვს ღვინით სავსე სასმისი მაშინ მაგიდაზე დადგა და ბოდიში მოიხადა, რომ მას, როგორც ავადმყოფს, ღვინის დალევა არ შეუძლია).

1957 წელი, იანვარი.

გაბრიელ ეპისკოპოსი იაკობ გოგებაშვილის შესახებ

(პატარა მოგონება)

1893 წელს გაბრიელ ეპისკოპოსი ხონში ჩამოვიდა. მახსოვს მღვდელთმთავარი გაბრიელის ხონში ჩამოსვლას ყველა დიდი ამბით შეხვდა.

მე იმ დროს, როდესაც გაბრიელი ხონში ჩამოვიდა გუკოლ ბერიძესთან, იოსებ მებუკესთან, ივანე (ვანიჩა) ბახტაძესთან, ილარიონ ჩომახიძესთან, ნიკო ჩიმაკაძესთან, გრიგორ (გრიშა) ბერიძესთან და სხვებთან ერთად — ვსწავლობდი ხონის ორ-კლასიან ნორმალურ სასწავლებელში. ვიყავი მესამე განყოფილებაში. ამ განყოფილებაში ჩვენი მასწავლებელი იყო ილია (ილიკო) ამაღლობელი, რომელსაც გორის სამასწავლებლო სემინარია ქონდა დამთავრებული ვაჟა-ფშაველასთან ერთად.

როდესაც მესამე გაკვეთილი თავდებოდა — ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ მეოთხე გაკვეთილზე ჩვენთან მობრძანდებოდა და მღვდელთმთავარი გაბრიელი.

მართლაც, როდესაც დაიწყო მეოთხე გაკვეთილი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის და ქუთაისის მაზრის სახალხო სკოლების ინსპექტორის თანხლებით, ჩვენთან გაკვეთილზე შემოვიდა გაბრიელ ეპისკოპოსი.

შემოსვლისთანავე გაბრიელმა გამოგვკითხა — სამღვთო სჯულში რა ვისწავლეთ, გვათქმევინა როგორც ქართულად, ისე რუსულად „მამაო ჩვენო“, ზოგიერთი სხვა ლოცვები და შემდეგ გვკითხა: „რა ვისწავლეთ ქართულ ენაში?“ წაგვაკითხა აკაკი წერეთლის, ილია ჭავჭავაძის და რაფიელ ერისთავის ლექსები და მოგვაყოლა შინაარსი ზოგიერთი ქართველი მწერლის მოთხრობების.

როდესაც მღვდელთმთავარმა მოწაფეების გამოკითხვა დაამთავრა, მიუბრუნდა მასწავლებელ ილია ამაღლობელს და კითხა: „ვისი სახელმძღვანელოთი გვასწავლის ის ჩვენ ქართულს?“ ამაღლობელმა უპასუხა, რომ ქართულს ის ჩვენ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო „ბუნების კარით“ გვასწავლის. „აქვთ თუ არა ყველა მოწაფეებს გოგებაშვილის „ბუნების კარი?“, კითხა გაბრიელმა მასწავლებელს. მახსოვს

მასწავლებელმა ამაღლობელმა ამაზე გაბრიელს ასე უპასუხა:

— „ყველა მოწაფეებს არა აქვთ შეძლება, როგორც ქართული ენის, ისე სხვა საგნის სახელმძღვანელოები თვითონ შეიძინონ და გაკვეთილებს ამხანაგების წიგნებით სწავლობენო...“

როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსმა მოწაფეების და მასწავლებლის გამოკითხვა დაამთავრა, მიუბრუნდა სახალხო სკოლების დირექტორს და ინსპექტორს და დაახლოებით ასე უთხრა: „ამ რამოდენიმე თვეების განმავლობაში მე დასავლეთ საქართველოს ბევრ სოფლებში, დაბებში და ქალაქებში ვიყავი და გაკვეთილებს დავესწარი, როგორც სამრევლო, ისე საერო სკოლებში. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო — ყველა სკოლებში, სადაც სამასწავლებლო სემინარიადამთავრებული ახალგაზრდებია მასწავლებლებათ, სწავლის საქმე შედარებით კარგად არის დაყენებული, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ბევრ სკოლებში მშობლიური, ქართული ენის სწავლას თქვენგან ნაკლები ყურადღება აქვს მიქცეული; სამწუხაროდ, ხონში მე გავიგე, რომ თქვენ აქ გყავთ ისეთი მასწავლებლები, რომლებიც ქართველ ბავშვებს არამც თუ ქართულ ენაზე სწავლას, დალაპარაკებასაც-კი უკრძალავენ და ამას თქვენ ყურადღებას არ აქცევთ და გადმომცენ კიდეც, რომ არის შემთხვევები, როდესაც ნაცვლად გაკიცხვისა, ასეთი უმსგავსო მასწავლებლების მოქმედებას თქვენ თურმე ქება-ხოტბას ასხამთ...“

„როგორც ქართული, ისე რუსული ენის შესასწავლად, — განაგრძო ლაპარაკი გაბრიელმა — ჩვენ ქართველებს გვაქვს ქართველი დიდი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური თვალსაზრისით ყოველმხრივ გამართლებული სახელმძღვანელოები: „დედა-ენა“ „ბუნების კარი“ და „რუსკოე სლოვო“ და ეს სახელმძღვანელოები ყველა ჩვენ სკოლებში ისე უნდა გამოიყენოთ, როგორც საჭიროა...“

ამ სიტყვების შემდეგ გაბრიელ ეპისკოპოსმა ყველა მოწაფეებს თავის ხელით დაგვირიგა წითელი ლენტით ვერცხლის პატარა ჯვრები, ღარიბი მოწაფეებისათვის სახელმძღვანელოების შესაძენათ. ჩვენს მასწავლებელს ილია ამაღლობელს მგონი 30 მანეთი დაუტოვა, ყველას ჯვარი გადაგვსახა, დაგვლოცა, დაგვიბარა, რომ ბეჯითად გვესწავლა და წავიდა.

დეკემბერი. 1930 წელი.

ლადო გზვანელი

ჩემი მოგონებანი იაკობ გოგებაშვილზე

1. გაცნობა

მამაჩემი სახალხო სკოლის მასწავლებელი იყო და პირველდაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მივიღე. წერა-კითხვა ვისწავლე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენით". 8 წლის ვიყავი, როდესაც ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის უმცროს მოსამზადებელ კლასში მიმიღეს. გიმნაზიაში ქართული ენის გაკვეთილებს ადგილი ჰქონდა მოსამზადებელსა და პირველ სამ კლასში. მოსამზადებელ კლასებში გავდიოდით „დედა-ენას" და ზედა კლასებში „ბუნების კარს..." მისი სახელმძღვანელოებით გავიცანი იაკობ გოგებაშვილის სახელი. პირადად კი გავიცანი იაკობი სახალხო მასწავლებლობის დროს. ილია ჭავჭავაძის „ივერიაში" ხშირად იბეჭდებოდა იაკობის პედაგოგიური თუ საპოლემიკო წერილები. ამ გაზეთში მეც ვთანამშრომლობდი პროვინციებიდან 10 წლის განმავლობაში. 1898 წ. ზაფხულის არდადეგებზე იაკობი გავიცანი თბილისში „ივერიის" რედაქციაში. ეს იყო პირველად მისი ნახვა. მეორეჯერ ვნახე 1910 წ. ჟურნალ „განათლებას" რედაქტორ ლუარსაბ ბოცვაძესთან, რომელთანაც თბილისში ჩამოსვლისას მეც დავდიოდი, როგორც ამ ჟურნალის თანამშრომელი და გამავრცელებელი. იაკობი თანაგრძნობით შემხვდა, გამომკითხა ქუთაისის ქალაქის სკოლების მდგომარეობა და ბოლოს შემეკითხა: „რუსულ ენას თუ ვასწავლი ლევიცკის „მუნჯური" მეთოდით? — „არა, ბატონო იაკობ! მე პირიქით მოწინააღმდეგე ვარ ამ უკუღმართი მეთოდის და პრესის საშუალებით კიდევაც ვებრძვი მას", — ვუპასუხე მე.

იაკობს ესიამოვნა ჩემი ასეთი პასუხი. შემდეგ აღარ მინა-

ხავს იაკობი. 1912 წ. ივნისში ის გარდაიცვალა. დასაფლავების დროს ჩამოველი ქუთაისიდან, დავესწარი და საფლავზე ქუთაისის სკოლების მასწავლებელთა დავალებით სიტყვა ვუძღვენი.

2.. იაკობი და ილია

ილია დიდ პატივს სცემდა იაკობს და აფასებდა მას, როგორც ეროვნული სკოლის მოამაგეს და მებრძოლ, გაბედულ კალმოსანს. როდესაც სასწავლო ოლქის მზრუნველმა კირილე იანოვსკიმ გამოაქვეყნა გაზ. „კავკაზში“ მისი შეხედულება სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში 1880 წ. და შემდეგ მისი სასწავლო გეგმაც პირველდაწყებითი სკოლებისათვის გამოვიდა, პასუხის დაწერა დაავალეს იაკობ გოგებაშვილს, მაგრამ იაკობმა სურვილი გამოაცხადა უფრო გავლენიან ქართველს გაეცა პასუხი და ყველა საჭირო მასალა მიუტანა ილია ჭავჭავაძეს, თვითონ კი იკისრა იანოვსკის სასწავლო პლანის გარჩევა. ილია თანახმა გახდა და ასეც მოხდა. ამგვარი განაწილება შრომისა ილიასა და იაკობს შორის ხშირად ხდებოდა. უკუღმართობასთან ბრძოლაში ილია ყოველთვის ეხმაურებოდა იაკობს „ივერიის“ ფურცლებზე, იაკობი „დროებაში“ და რუსულ გაზეთებში ათავსებდა წერილებს. იაკობს აფასებდნენ და პოლიტიკანებთან ბრძოლაში მხარს უჭერდნენ წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რედაქციები, ჟურნალ „განათლების“ რედაქტორი ლ. ბოცვაძე და სხვ.

3. აკაკი და იაკობ გოგებაშვილი

აკაკისა და იაკობს შორის მეგობრული დამოკიდებულობა არსებობდა. ორივე ქართველი ერისა და საზოგადო არარუსთა ერების უფლებათა დამცველნი იყვნენ და ებრძოდნენ პოლიტიკანების უკუღმართობას სიტყვით, კალმით. ისინი ჭომაგები იყვნენ ჩვენი მოზარდი თაობისა და მტრები მათი გადამგვარებლების. იცავდნენ ეროვნულ სახალხო სკოლას და

დედაენას. ორივე 60-იან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ას-პარეზზე. აკაკი ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა იაკობს... 1912 წლის ზაფხულში, როდესაც აკაკისთან რაჭა-ლეჩხუმში ვმოგზაურობდით, ივლისის დამლევ რიცხვებში ლაილაშში ყოფნის დროს მოვიდა დეპეშა თბილისიდან და გვაცნობეს პროფესორის ალექსანდრე ხახანაშვილის გარდაცვალება. ერთერთ ნადიმზე, რომელსაც გარშემო 400-მდე თანამესუფრე უსხდა, მგოსანმა აკაკიმ აიღო სასმისი, აავსო ღვინით და მიმართა საზოგადოებას: „ბატონებო, მე მყავდა ამხანაგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩემსავით, უყვარდათ ხალხი და ემსახურებოდნენ მას, მაგრამ მათ არ არგუნათ ბედმა ასეთი მხიარულება ხალხთან, როგორც მე; ერთი იყო ილია ჭავჭავაძე, მეორე იაკობ გოგებაშვილი და ეხლა კიდევ მივიღეთ სამწუხარო ამბავი, რომ გარდაიცვალა პროფესორი ალ. ხახანაშვილი; ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ხსოვნას და შევსვათ შესანდობარი“. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს აკაკის ცრემლები გადმოსცვინდა მათი სახელების ხსენებით.

საზოგადოებამ შეასრულა აკაკის წინადადება.

1895 წ. 11 სექტემბერს შესრულდა ასი წელი, რაც ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ თბილისიდან ექვსი კილომეტრის მანძილზე, კრწანისის ველზე, დაამარცხა მცირე ჯარით აღა-მაჰმად-ხანის მრავალრიცხოვანი ჯარი. ქართველმა ერმა იდღესასწაულა ასი წლის თავი და თბილისიდან აუარებელი ხალხი დაესწრო კრწანისის ველზე გმირულად დახოცილ მეომართა პანაშვიდს; მაშინ იქ წარმოითქვა მრავალი გრძნობიერი სიტყვა. მგოსანმა აკაკიმ უძღვნა ამ დღის აღსანიშნავად, თავის მეგობარს, პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს შესანიშნავი ლექსი 18 ტაეპიანი „კრწანისის ველი“. ეს ლექსი იმავე წელს დასტამბული იყო ჟურნალ „კვალში“ და შემდეგ უნდა წაეკითხა თვით კრწანისის ველზე იმ დღეს გამართულ პანაშვიდის შემდეგ, მაგრამ ეს ნებადართული არ იყო მაშინდელი მთავრობის მიერ. ლექსი იწყებოდა ასე:

„კრწანისის ველი“, „კრწანისის ველი“,
რა საგულისხმო გასაგონია?!
გმირთა კალთა, სისხლით მორწყული
და ერიც მითი თავმომწონიაო..

სადაც ქართველი კი წამებულა,
ეს სუყველაზე უდიდესია:
მამების კუბო სამარადისოთ
შვილების აკვნად აქ ნათესიაო“ და სხვა...

1908 წ. 7 დეკემბერს აკაკის გაუმართეს 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. იაკობ გოგებაშვილმა უძღვნა მას ასეთი საიუბილეო სალამი:

„ძვირფასო მგოსანო და მამულიშვილო აკაკი!

ორმოცდაათი წლის წინად, როცა თქვენ უნდა აგერჩიათ გზა ცხოვრებისა და მოქმედებისა, გამოგეცხადათ მთელი გუნდი მაცდური სირენებისა. პირველმა მაცდურმა სირენამ მოგმართათ ამ სიტყვებით: „მე ვარ მოციქული ძლიერის ბიუროკრატიისა; თუ ჩვენს გზას აირჩევ მომავალში მოგელის ნუსუქანი ჯამაგირი, ჩინები, ორდენები, გენერლობა, ძალა და პატივი, განცხრომით ცხოვრება და ბოლოს დიდი პენსია სიბერის დასატკბობელად“, — თქვენ ამ სირენას იმწამსვე ზურგი შეაქციეთ. მეორე მხრიდან წარმოგიდგა სხვა მაცთური სირენა და მოგახსენათ! „მე ვარ მოციქული უძლიერესის ძალისა — ოქრო-ვერცხლისა, კაპიტალისა. თუ თქვენ ამ კაპიტალის სალაროებს, ბანკებს შემოსწირავთ თქვენს მაღალ ნიჭსა, ოქრო გექნებათ იმდენი, რამდენსაც თქვენი გული მოისურვებს. ამასაც ზურგი ფიცხლავ უჩვენეთ. მეორე მაცდურ სირენას მოჰყვა მესამე, მესამეს მეოთხე, და ყველანი გაპირდებოდნენ ვარდით ფენილ განცხრომის გზასა, თუ მათ შეუსმენდით და მათ გზას დაადგებოდით. ესენიც ვერას გახდნენ. ბოლოს წარმოსდგა თქვენს წინაშე სხვაგვარი სირენა. იგი იყო პატარა, გამხდარი, მწუხარე, ფერმიხდილი; მაგრამ მომხიბლავი სიმშვენიერით მოსილი. მან მოგმართათ თქვენ ამ სახით: მე ვარ მოციქული შენი პატარა, დაჩაგრულის, გაღარიბებულის, უკიდურესად შევიწროებულის სამშობლოსი. თუ შენ სათაყვანო ნიჭს შესწირავ შენს უბედურს სამშობლოს, გზა ცხოვრებისა შენისა ეკლით იქნება სავსე; შენ არ მოგაკლდება არც სიმშილი, არც წყურვილი, არც სიტიტველე და არც სხვავგვარი ტანჯვა-წვალება. მაგრამ სამაგიეროდ შენ დაიმსახურებ მთელი შენი ერის უმხურვალეს და უღრმეს სიყვარულსა, იმისთანა გულწრფელ სიყვარულს, რომელიც შეუძლიან მხოლოდ დაჩაგრული ერის გულსა...

თქვენ აღტაცებაში მოხვედით და გულში ჩაიკარით სამშობლოს სირენა. იმ დღიდან, ორმოცდაათის წლის განმავლობაში, თქვენი გენიალური მუზა განუწყვეტლივ, შეუსვენებლივ ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთ მაღალს დანიშნულებას: სამშობლოს აღდგენას, აყვავებას.

და აჰა, საესებით აღსრულდა აღთქმა და წინასწარმეტყველება მადლით მოსილი სირენასი: მთელი საქართველო, შავი ზღვიდან დაწყებული დაღისტნამდე და კავკასიონის ქედიდან მოკიდებული სომხითამდე, მოზღვავებულია, რომ თავის წარმომადგენელთა პირით განგიცხადოს უმხურვალესი სიყვარული და უდიდესი მადლობა ორმოცდაათის წლის ღაწვერელი ღვაწლისათვის. გულწრფელად გადიდებს მთელი შენი სამშობლო... (იხ. ალმანახი „აკაკის დღე საქართველოში", 1908 წ. 7 დეკემბერი).

ეპიგონება ი. გოგებაშვილზე

იაკობ გოგებაშვილის სახელი ბავშვობიდანვე გავიცანი. წერა-კითხვა მისი „დედა-ენით" ვისწავლე. პირადად კი იგი გავიცანი 1898 წ. თბილისში, „ივერიის" რედაქციაში. იაკობი თანაგრძნობით შემხვდა, გამომკითხა იმერეთის სახალხო სკოლების მდგომარეობა და ბოლოს მომცა შეკითხვა, რომელ ენას ვასწავლი თუ არა ლევიცკის „მუნჯური მეთოდით". — „არა, ბატონო იაკობ! მე პირიქით, მოწინააღმდეგე ვარ ამ უკუღმართი მეთოდისა და ვებრძვი პრესის საშუალებით, რისთვისაც მდევნიან პოლიტიკანები". იაკობი გაამხიარულა ჩემმა პასუხმა. შემდეგ აღარ შემხვედრია იგი. 1912 წ. გარდაიცვალა (ივნისში). დასაფლავებას დავესწარი და „დილეგებში" მეც ვუძღვენი სიტყვა ქუთაისის ქალაქის სკოლებს მასწავლებელთა დავალებით.

იაკობის მიზანი იყო სახალხო მშობლიური სკოლის აყვავება, ეროვნულ ნიადაგზე დაყენება და ნორჩი მოზარდი თაობის ნორმალურად აღზრდა. იგი იცავდა იმ აზრს, რომ პირველდაწყებითი სწავლა და ცოდნის გავრცელება ხალხში დედაენაზე უნდა იყოს დამყარებული; უცხო ენებს შეეკუთვნება

უწდა ხდებოდეს სამშობლო ენის დახმარებით. ამ ნიადაგზე ბას მრავალი მტერი აღმოაჩნდა, რომლებიც ცდილობდიენ უკუღმართი მუნჯური მეთოდი გაემეფებინათ სკოლებში. ასეთები იყვნენ ხალხის მტრები კავკასიის სასწავლო ოლქის მხრუნველი იანოვსკი, ზავადსკი, რუდოლფი. 90-იან წლებში მათ გამოუჩნდა აგენტად ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი ფილიპე ლევიცკი, რომელმაც შეადგინა „მუნჯურ მეთოდზე“ აგებული სახელმძღვანელო არარუსულ სკოლებში სახმარებლად. ლევიცკისა და შავრაზმელი დეკანოზის ვოსტორგოვის წყალობით განდევნილ იქნა სკოლებიდან ი. გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“ და შემოიღეს რუსული ენის (ლევიცკის) სახელმძღვანელო და კორხანიდის მიერ ამავე მეთოდით შედგენილი „ჟივოე სლოვო“. ამათ მიემატა მეგრელი პედაგოგი თადა აშორდია, რომელმაც იკისრა მეგრელებისათვის შეედგინა მეგრული ანბანი და წიგნი და მით ჩამოეშორებინა მეგრელები ქართველებისაგან.

იაკობმა სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ქართველი ერისა და მოზარდი თაობის გადამგვარებლებს (იხ. „სევ. ვესტნიკი“, „ბირჟევაია ვედომოსტი“ და სხვა ლიბერალური რუსული ორგანოები. აგრეთვე „დროება“ 1881 წ. № 8, 50/57, „ივერია“ 1902 წ. № 188, „მეგობარი“ 1906 წ. № 10-11, „წყარო“ № 26 და სხვა.). ლევიცკი-ვოსტორგოვებს მასწავლებელთა შორის გამოუჩნდნენ თაყვანისმცემლები მაღლა აცოცების მიზნით და ყველა შეხმატკბილებულად ხელს უწყობდა არარუსი კრების გადაგვარებას.

იაკობი და ილია

ილია დიდ პატივს სცემდა იაკობს და აფასებდა მას, როგორც ეროვნული სკოლის მოამაგეს და მებრძოლ კალმოსანს, როდესაც სასწავლო ოლქის მზრუნველმა იანოვსკიმ გამოაქვეყნა გაზ. „კავკაზში“ თავისი შეხედულება სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში (1880 წ.) და შემდეგ გამოვიდა მისი სასწავლო გეგმაც პირველდაწყებითი

სკოლებისათვის, პასუხის დაწერა დაავალეს იაკობს, მაგრამ იაკობმა სურვილი განაცხადა, უფრო გავლენიან ქართველს გაეცა პასუხი და ყველა საჭირო მასალა მიუტანა ილიას, თვითონ კი იკისრა იანოვსკის სასწავლო გეგმის გარჩევა. ილია თანახმა გახდა და ასეც მოხდა. ამგვარი განაწილება შრომისა ილიასა და იაკობს შორის ხშირად ხდებოდა. უკუღმართობასთან ბრძოლაში ილია ყოველთვის გამოეხმაურებოდა იაკობს „ივერიის“ ფურცლებზე, იაკობი „დროებაში“ ათავსებდა წერილებს.

იაკობი და აკაკი

საქართველოს დიდებული მგოსანი აკაკი იაკობის გულწრფელი მეგობარი იყო. უყვარდა იგი, როგორც ეროვნული სკოლის და დედა-ენის დამცველი და თავდადებული მებრძოლი. 1912 წ. ზაფხულში, როდესაც აკაკისთან რაჭა-ლეჩხუმში ვმოგზაურობდით ივლისის დამლევ რიცხვებში ლაილაშში მოვიდა დეპეშა და აკაკის აცნობეს პროფესორის ალ. ხახანაშვილის გარდაცვალება. ნადიმზე, რომელსაც უსხდა 400-მდე თანამესუფრე, აკაკიმ აიღო სასმისი, აავსო ღვინით და მიმართა საზოგადოებას ნაღვლიანი ხმით: „ბატონებო! ვე მყავდა ამხანაგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩემსავით, უყვარდათ ხალხი და ემსახურებოდნენ მას, მაგრამ მათ არ არგუნა ბედმა ასეთი მხიარულება ხალხთან, როგორც მე. ერთი იყო ილია ჭავჭავაძე, მეორე — იაკობ გოგებაშვილი, ახლა კიდევ მივიღე დეპეშა, რომ გარდაიცვალა პროფესორი ალ. ხახანაშვილი; ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათ ხსოვნასა და შევსვათ შესანდობარი“. მათი სახელების ხსენებაზე აკაკის ცრემლებით აევსო თვალები...

1895 წლის 11 სექტემბერს „კრწანისის ველზე“ ბრძოლის 100 წლის თავზე, გმირულად დახოცილ ქართველ მეომართა ხსოვნის აღსანიშნავად, პანაშვიდზე წარმოითქვა მრავალი სიტყვა. მაშინ აკაკიმ უძღვნა იაკობს შესანიშნავი პატრიოტული ლექსი — „კრწანისის ველი“ (ვუძღვნი იაკობ გოგებაშვილს):

„კრწანისის ველი, კრწანისის ველი“,
რა საგულისხმო გასაგონია?
გმირთა კალოა, სისხლით მორწყული,
და ერიც მათი თავმომწონიაო.“

1908 წლის 7 დეკემბერს, როდესაც აკაკის გაუმართეს 50 წ. მოღვაწეობის იუბილე, იაკობმა უძღვნა აკაკის „საიუბილეო სალამი“, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა..

იაკობი დიდი პატივისმცემელი და დამფასებელი იყო ყოველი რიგიანი მასწავლებლისა. იგი იტყოდა: „ხელოვანი მასწავლებელი არ ჩამოუვარდება არც ერთს ნიჭიერ მსახიობს, ზეგარდმო მადლით ცხებულს მწერალს, მოქანდაკეს და მათ მსგავსთა. მას ათასობით გამოყავს წერა კითხვის მცოდნენი, რომელნიც ეფინებიან საქართველოს ოთხივე კუთხით“-აო.

მოგონებანი გიძია იაკობ გოგებაშვილზე

I შვიდ წლამდე გიზრდებოდი სოფ. ნადარბაზევში გორის მახლობლად. დედა და მამა ხშირად იგონებდნენ დიდი მოწიწებით იაკობს და რაც შეეძლოთ მისთვის ზრუნავდნენ. იზრდებოდა მის სახელზე ქათმები, ინდოურები. აი, დააპირეს წამოსვლა თბილისში და მთელი სოფელი დედაჩემმა ფეხზე დააყენა, რომ სულ ახლად დადებული კვერცხები სათუთად ჩაელაგებინათ კალათებში. დახოცეს მსუქანი ქათმები და ინდოურები, გაწურეს მაწონი და დილით ადრიან ურმით წამოველით გრაკლის სადგურისკენ. მამა და დედა მპირდებოდნენ, რომ ქალაქში კარგ პაპას მაჩვენებდნენ და დიდ საჩუქრებს მივიღებდი. გულის კანკალით ველოდი მასთან შეხვედრას. დადგა სანატრელი წუთებიც. მივედით მთაწმინდაში მის ბინაზე. ზარი დავრეკეთ. მსახურმა შიგნით შეგვიპატიჟა, ძლევნი სამზარეულოში შეიტანა, ჩვენ კი დარბაზისკენ მიგვითითა. უველაზე ადრე მე მივირბინე კარებთან და გაღებისთანავე იაკობს მუხლებზე შემოვეხვიე პაპას ძახილით. მან მომიალერსა, ვერ მიცნო, რადგანაც არ ვენახე, მაგრამ მერე დედა და მამა რომ დაინახა, მიხვდა ვინც ვიყავი.

— პაპას ნუ დამიძახებ, მე შენი ძია ვარო! ის იყო და ის. იმ დღიდან ძიას ვეძახდი... ძიამ ძალიან გაიხარა ჩვენი მისვლა. დედა და მამა მოწიწებით იქცეოდნენ, მოკრძალებით. ძიასაც უხაროდა ჩვენი იქ ყოფნა. მაშინ სასტუმროს შოვნა ადვილი და იაფიც იყო, სულ 3 ან 4 მან. ღირდა მოწყობილი ოთახი და დედ-მამას გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ არც თითონ შევიწროვებულიყვნენ და არც ნათესავი შეეწუხებინათ, წავსულიყავით სასტუმროში, მაგრამ ძიას ალარ უნდოდა ჩვენი მოშორება. თითქმის ბრძანებით უთხრა დედაჩემს, რომ

ღამეც ჩემთან უნდა დარჩე ქმარშვილითაო, როცა ვისადილეთ და ძია წავიდა სასადილო ოთახში, მამამ და დედამ ერთმანეთს გადახედეს და შეეკითხნენ, ეხლა რაღა ვქნათო, უარის თქმა ვერ გაბედეს. საღამოთი ძია შეუდგა სავარძლიდან ბალიშების მოკრეფას, თავის საწოლის გადასაფარებელიც მოიშველია, პლედიც, მაგრამ ყველა ეს ლოგინი არ იყო; დედაჩემი სულ იმას ემუდარებოდა, ნუ სწუხდებითო, ეს საკმარისიაო. როცა ძია გავიდოდა, ჩურჩულებდნენ — ამაღამ სავარძელში თუ გავათენებთ, ნეტავი ხვალ მაინც გაგვიშვასო, ბოლოს მორჩნენ მილაგ-მოლაგებას და პირველი მე დამაძინეს. მეორე დღეს ძია სულ თავს დამტრიალებდა, ჩაეცვა მიხაკისფერი გრძელი ხალათი, მომისვა გვერდით სავარძელში, მეალერსებოდა და თან პატარა ლექსებს მასწავლიდა, ყურადღებას აქცევდა, რომელ ლექსს როგორ ავითვისებდი, მე „უაყაჩოსა სიწითლისა“ უფრო გულზე მეფონა და სულ მალე შევისწავლე. ვიდრე „ვარდმა გასძახა ბულბულსა“. სწავლის შემდეგ ცოტა წავითამაშე. მალე მომეწყინა და ძილი მომერია. დედამ დასაძინებლად სასადილო ოთახში წამიყვანა. გაღვიძებისას ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შემოვიდა ძია და ძალიან ბევრი პარკები და ყუთები შემოიტანა, პარკებში ხილი აღმოჩნდა, ერთ ყუთში შოკოლადის კამფეტები იყო, მაგრამ ყველაზე ძალიან გამახარა დიდმა ყუთმა. სიგრძითაც და სიგანითაც ის არ ჰგავდა კამფეტების ყუთს.

— აბა, ჩემო გოგონა, გამოიცანი, აქ რა არის? შემეკითხა ძია და მომღიმარე თვალებით დამაცქერდა. მე ბევრი რამ დავასახელე, ხან ფეხსაცმელი. ხან საკაბე, მაგრამ ვერ გამოვიცანი. ბოლოს თვითონვე მიმახვედრა:

— ამისთანა რამ შენც გეყოლება სოფელში, — მაშინვე თვალწინ წამომიდგა ჩემი ქონება სოფელში დატოვილი თახჩაში, კუნჭულში დაძინებული ჩემი გაკეთებული დედოფალა და მის გვერდით აკვანში გაკრული მისი შვილი.

— ეს კი ძალიან ლამაზია, კარგია, ახლა სძინავს და თვალები უხუჭია, არ გაალვიძო, თორემ უცბად შეეშინდება, — განაგრძობდა ძია. მე დავთანხმდი დამეცადნა, სანამ დედოფალა გამოიძინებდა, შევაჩერე ფართხალი. შევატყე, შევეცოდე, და თითონვე დაიწყო ნელ-ნელ ყუთის გახსნა. როცა ყუთს თავი ოდნავ აუწია, კინაღამ შიგ ჩავუვარდი. იმაზ ხელ-

ახლად მითხრა: წყნარად, არ შეაშინოო. მეც თავი შევიკავე და როცა ჩურჩულით ვუთხარი — „ძია, ნელა, ჩქარა ნუ ასდი თავს, თორემ გაიღვიძება და შეეშინდება მეთქი", — ძან გულიანად გადაიხარხარა. ბოლოს როგორც იყო, აჰყვდა თავი და რას გხედავ: დედოფალა, მაგრამ რა დედოფალა! სიზმარშიც არ მეწახა იმის მსგავსი:

— დილილმე! რა ლამაზი დედოფალა მყავს! შევჭამ ღა ყუთს ხელი ვტაცე. ძიამ სიცილით უკან დასწია ყუთი და მითხრა, აგრე ნუ მიგარდი, არ შეაშინოო. შემდეგ დედოფალა წამოაყენა. თვალები აუხამხამდა დედოფალას და წელში გასწორებისას ცისფერი თვალები შემომანათა. ამოვიტაცე ყუთიდან, სადაც ძირზე კანაფით იყო მიკრული, ძიამ შეჭრა უკან კანაფი და ადვილად ამოვიყუანე, ჩავიკარ გულში. აწლა დღე და ღამე სულ გულთან მეჭირა, რომ არავის წაერთმია. ქალაქი აღარ მაინტერესებდა, მინდოდა ჩქარა სოფელში ავსულიყავი და იქაური ამხანაგები გამეკვირვებინა ჩემი დედოფალათი.

მალე ძიამ ფაიტონით წამიყვანა ფოტოგრაფთან და ჩემი დედოფლით ძიასთან, დედასთან და პაპიდა ეფემიასთან სურათი გადავიღეთ. შემდეგ დავბრუნდით ისევ ბინაში, სადაც ცხოვრობდა ძია. ვეძინის ქუჩა № 1 ყარაევის სახლებში. ოთხი ოთახი ეჭირა თავისი სამზარეულოთი. მისავალი ვეძინის ქუჩიდან ჰქონდა. კარს შეალებდით თუ არა, მისაველის ფართობი დიდ ოთახად წარმოგიდგებოდათ, რომელსაც ვეძინის ქუჩის მხრივ ფანჯარა ჰქონდა დაყოლილი. თუ გსურდათ ამ ფანჯრიდან გადაგეხედათ, საჭირო იყო კიბის სამი-ოთხი საფეხური მაინც აგეევლოთ. ამ კიბეს თუ სულ ახვიდოდით შებრძანდებოდით ფართო და სუფთად დალაგებულ სამზარეულოში, სადაც სცხოვრობდა მისი ერთგული მსახური და კარგი მზარეული იაკობ გულუაშვილი. შესავლის ცალ მხარეზე სამი თუ ოთხი საფეხურით მიადგებოდით კარებს; აქედან იწყებოდა დერეფანი, რომლითაც შეგეძლოთ შესულიყავით, როგორც სასადილოში ისე დარბაზში. დარბაზში შესავალ კარებთან დერეფანში დასაკიდი იყო, რომელზეც შეამჩნევდით მოსასხამს, ქუდს, ქოლგას და ჯოხს. იკეტებოდა მხოლოდ დერეფნის კარი, დანარჩენი კარებები ზამთარ-ზაფხულ ბინაში სულ ღია იყო. მე მგონი ამას ბიძია განგებ სჩადიოდა, რომ რაც შეიძლებოდა მეტი ჰაერი ჰქონოდა შიგნით.

მხარმარჯვნივ სასადილო ოთახი იყო. აღსანიშნავია, რომ აქაც საწერი მაგიდა იდგა, როგორც დარბაზსა და დასაძინებელ ოთახში. საწერი ქაღალდი, ფანქრები, გამოულეველი კალმები და წიგნები, ყველგან წიგნები.

სასადილოშივე იდგა ტახტი ზედ დაფენილი ხალიჩით, ორი მუთაქით და დედაჩემის შეკერილი ბალიშებით, რომლებიც უკვე გაცვეთილები იყო. სამწუხაროდ ვერ განვახორციელე ჩემი სურვილი იმისა, რომ დედას ხელით შეკერილი ბალიშები ჩემი ხელით მოქარგულით შემეცვალა. სულ ცოტაღა მიკლდა კურსის გათავებას, რომ მიმეტანა ძიასთვის სახუქარი და ფლმობელმა სიკვდილმა ბიძია ხელიდან გამომაცალა.

ჰურჩლის კარადა სულ უბრალო ორი პატარა კარით და ერთი უჯრით. სუფთად გადაფარებულ კარადაზე მუდამ იდგა ბოთლი ბორჯომის წყლით. კარადასთან ახლოს იდგა პატარა მაგიდა, რაზედაც სამი კაცი ძლივს დაეტევოდა. ეს მაგიდა პურის ჭამის დროს შუა ოთახში გადმოიდგმოდა ხოლმე და შემდეგ ისევ კედელთან ჰქონდა ადგილი. ამ ოთახს ჰქონდა ორი ფანჯარა ვეძინის ქუჩისაკენ. ორივეში ეკიდა გალიებით იადონები, იშვიათი მომღერლები. სულ აყრუებდნენ იქაურობას სიმღერებით. ერთმანეთს ვერ ჰხედავდნენ და სულ უძახდნენ, უსტვენდნენ. საწერ მაგიდასთან იდგა საცარძელი და ამავე ოთახში ექვსი ვენური, ჩალის სკამი იყო ჩარიგებული თავისუფალ ადგილებში. სამუშაო ოთახი ცალკე არა ჰქონდა. მეტი წილი აქ მუშაობდა სასადილო ოთახში, ისე კი სადაც მოესურვებოდა. სასადილოდან ერთი კარით შეხვიდოდით ძიას ბიბლიოთეკაში. აქ სამ წყებად იყო წიგნებით სავსე კარადები თუ არ ვცდები 8-9 კარადა იქნებოდა და ორიც, დიდი სკივრი კლიშეებით იყო სავსე. ეს კარადები თავისი წიგნებით უანდერძა წ. კ. საზოგ. და იქ წაიღეს. კარადათა შორის იმდენი ადგილი იყო დატოვებული, რომ მხოლოდ ერთ კაცს შეეძლო თავისუფლად გავლა. ბიბლიოთეკიდან შეადებდით კარებს სასტუმროში, შეიძლებოდა დერეფნიდანაც მოხვედრილიყავით. მისი მორთულობაც სადა იყო. ერთ კედელთან რბილი დივანი და წინ ლომბორის მაგიდა იდგა. აქეთ-იქით ჩალის სავარძლები უდგა ამ ლომბორს. ამავე კედელთან იდგა მაგიდა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთე-

ბით. ლომბორნის მაგიდაზე იდო ორი-სამი ალბომი სურათებით. სულ სავსეები იყო (ილია, აკაკი. სოფ. მგალობლიშვილი, ნ. ლომოური და სხვები). დარბაზის ერთ კედელს ამშვენებდნენ სურათები: შუა ადგილზე თამარ მეფე, აკაკი, დიმიტრი ყიფიანი, გაბრიელ და ანტონ კათალიკოსი, მეფე ერეკლე, განმარტოებით „საქართველოს ეკლესიის დიდება". აქვე იყო სამი სურათი წმ. ნინოსი, რომლებიც მე მიანდერძა. ჰქონდა კიდევ გადიდებული სურათი ეკ. გაბაშვილისა და სხ. სასტუმროს სამი ფანჯარა ჰქონდა და ერთი შუშიანი კარები. ფარდა მარტო ამ კარებზე იყო ჩამოფარებული, რომ ზამთარში სიცივე არ შემოსულიყო. სასტუმროდან შეხვიდოდით დასაძინებლად, სხვა გზით შესვლა არ შეიძლებოდა. ერთნახევრიან საწოლს მყუდრო ადგილი ეჭირა კუთხეში. საწოლთან იაფფასიანი ხალიჩა თაიგულით გამოხატული, მხიარული ფერებით. ცალკარიანი ტანისამოსის კარადა, კამოდი და ტუმბოჩკა საწოლთან.

ძია სახლში სულ მუდამ ხალათში იყო გამოწყობილი. მე მახსოვს სულ ორი ხალათი, ერთი ძველი და მეორე იმნაირივე ახალი. იშვიათი გემოვნებით იყო ნაკერი ეს ხალათი. გრძელი კალთები კოჭებამდის. წელზე შემოჭერილი ჰქონდა ფუნჯებიანი კისტი, ხალათის კალთები ამოქარგული იყო ცისფერი ნაზი ყვავილებით (незабудка), სახელოებიც განიერი ჰქონდა და ამოქარგული. მე მიყვარდა ძალიან ძია ამ ხალათში. ძალიან უხდებოდა ჯიბეებში ხელების ჩაყოფა, ფეხებზე საშინაო ფეხსაცმელები ჭრაჭრუჭით და სიარული ოთხ ოთახში. რომელ ოთახშიც არ უნდა დაელაპარაკნა, ყველგან ისმოდა მისი რიხიანი ხმა. იაკობს წოლა ეჯავრებოდა, უფრო დადიოდა ბინაში. სიარული იცოდა ასეთ ნაირად: დასაძინებლიდან სასტუმროში, შემდეგ ბიბლიოთეკაში, იქ თვალს გადაავლებდა წიგნებს და გავიდოდა სასადილოში, სასადილოდან დერეფანში და დერეფნიდან ისევ სასტუმროში. ოთხივე ოთახი მზიანი და სინათლიანი იყო. იშვიათი სისუფთავე, სულ ყველაფერი — იატაკი თუ ავეჯი — სულ პრიალებდა სისუფთავით. ძიას სტუმრები ძალიან უყვარდა. ისე მომინდებოდა ხოლმე მასთან ყოფნა და ბაასი, როგორც ამხანაგთან. ხშირადაც დავდიოდი, როცა მოვიზარდე. 13 წლისა უკვე ჩემით ვპოულობდი მის სახლს. სანამ პანსიონში ვიზრდებოდი სა-

პარქიო სასწავლებელში ხშირად თითონ მობრძანდებოდა ხოლმე ჩემს სანახავად კვირაობით, რასაკვირველია, აუარებელი საჩუქრებით. იმისდა მიხედვით თუ რომელი დრო იყო, შემოდგომით თითა ყურძენს მსხვილ მარცვლიანს და ტკბილეულს, ნამცხვარს აუარებელს მიზიდავდა და თანაც ფულს მაჩუქებდა ხოლმე — 3 მანეთიდან 5 მანეთამდე. შემდეგ მოსვლაზე მკითხავდა, როგორ მოვიხმარე იმისი დატოვებული ფული. ერთხელ ბევრი იცინა ძალიან, როცა აუწერე, როგორ მოვრბოდით ხოლმე ბავშვები შაურებით ხელში კიბეებზე თავპირისმტვრევით ბუბლიკების საყიდლად. საღამოთი გაკვეთილების დამზადების დროს 7 საათიდან $7^1/_2$ საათამდე ვისვენებდით და ამ დროს შემოვიდოდა რუსი ბულკების გამყიდველი და დაიყვირებდა: „Пантелей приходит, горячие бублички приносит". ვინ-ვის გაასწრებდა — აღარ ვიცოდით. როგორც ის რუსი დაიყვირებდა ხოლმე, მეც ისე გავაჯავრე და ძალიან ესიამოვნა, ბევრი იცინა და როცა მოვიდოდა, მკითხავდა ხოლმე — პანტელეი ხომ მოდის ხოლმე თქვენს ეზოშიო. სასწავლებელში დიდად აფასებდნენ ძიას, დაწყებული მასწავლებლებით და გათავებული მოსწავლეებით ყველა იმ კარებისაკენ გაეშურებოდნენ ხოლმე, საიდანაც ელოდნენ მის შემოსვლას, სანამ ერთმა გარემოებამ ხელი არ ააღებინა იაკობს ასეთ დარბაზობაზე. ჩვენთან პანსიონში სტუმრების მიღება ბავშვებთან 5-7 საათამდის კვირაობით შეიძლებოდა, სხვა დროს კი არა. ძიასთვის კარი მუდამ ღია იყო. მაგრამ გამოიცვალა მეკარე და ახალი დააყენეს, რომელსაც პეტრე ერქვა. ერთხელ ძია მოსულა, არ ვიცი, ადრე თუ გვიან და ამ მეკარეს არ შემოუშვია: „Нельзя" და მიუხურნია მისთვის კარი. გადასაცემი საჩუქრებიც კი არ გამოერთმია და წასულიყო უკან. ბევრი ბოდიში ვიხადე მეც, ჩემმა მასწავლებელმაც, მაგრამ ძიას გული ვეღარ მოვალბეთ, მეტი გზა არ იყო, ახლა უნდა მიწერ-მოწერა გვეწარმოებინა. მომწერა მისამართი: „ვეძინის ქ. 1. ი. ს. გოგებაშვილი". ჯერ სწორე ვწერდი მისამართს, მერე ერთმა კახელმა ამხანაგმა ნინო კოშორიძემ დამარწმუნა, რომ ძია დიდი კაცი რაკილა არის, „Г-ну"-ს მაგივრად „Поэту" უნდა დავაწეროთო. ასეც მოვიქეცით. თუ ილია და აკაკი პოეტები იყვნენ, ძიაც დიდი კაცი იყო, მაშინ ისიც პოეტი იყოსო. და ეს შეცდომა გავა-

კეთეთ. კოშორიძემ დანით ამოშალა „Г-ПУ“ და ჩაწერა „По-ЗУ“. ძიას ძალიან სწყენოდა ასეთი ამბავი, გამიყვანა თავ-სთან და ძალიან ნაწყენი დამხვდა. მკითხა, ვინ გითხრა ეს გაკეთეო. მე რომ შევნიშნე, ძიას ვაწყენინე, ტირილი დავიწყე და არას დიდებით არ ვუთხარი ვინ მირჩია გადასწორება. ეს ხდება 9 წლისა რომ ვიყავი. 13 წლისა უკვე დავდიოდი მე თითონ ძიასთან. ერთხელ ამხანაგიც წავიყვანე. ძიას ძალიან გაეხარდა ჩემი ნახვაც და ჩემი მეგობრისაც. ეს შენი ამხანაგია?

— დიახ, ძია, ჩემთან ერთად სწავლობს. ძალიან გვიყვარს ერთმანეთი.

— კარგია, უნდა გიყვარდეთ ერთმანეთი — მაშ! შემდეგ ჭუდებზე გვითხა: ეს რა ყარაჩოღული ჭუდები დაგიხურიათო. ჩვენ გავწითლდით. პასუხი ვერ მოვახერხეთ. მერე შეეკითხა ჩემს ამხ. რა გვარი ხაროთ?

— ურუშაძე, ბატონო! უპასუხა სწრაფად, როგორც იციან გურულებმა. ძიას გაეცინა.

— სახელი?

— ჩიტოლია, ბატონო! იმავე სისწრაფით უპასუხა.

— სადაური ხარ!

— ლანჩხუთელი! — იგივე სისწრაფეთი. ძია სულ უმატებდა სიცილს. რომელი მხრიდან ხარო და გულიანად გადაიხარხარა, როცა გაიგო, რომ ჩემი ამხანაგი გურიიდან იყო. ტკბილეული გვაჭამა, ფული გვაჩუქა და მომიწონა ძალიან გურულ ამხანაგთან დამეგობრება. არასოდეს არ ავიწყდებოდა ჩვენი სტუმრობა, მთხოვდა შენი გურული ამხანაგი მომიკითხეო.

როცა მარტო ვიყავი მასთან სულ შემოწმებაში იყო, რას გვასწავლიდნენ, ან კიდევ ვინ გვასწავლიდა. ძალიან ესიამოვნა, როცა გაიგო, რომ ქართულ ენას სერგი გორგაძე გვასწავლიდა. ესიამოვნა ისიც, რომ ჩვენ მოწაფეებს გვიყვარდა ეს საგანი. ვიღაცა გოგონას დედმამასთან ქართულად წერილის მიწერა ვერ მოეხერხებინა და ძალიან იყო ძარღვებ აშლილი. მე ვამშვიდებდი, რომ ჩვენი სასწავლებელი ეგრეთი არ არის მეთქი, მაგრამ მაინც ვერ დავამშვიდე. ასეთი სასწავლებელი მარტო ორი გვაქვს — ქუთაისში და თბილისში, დანარჩენი ეს გიმნაზიები და ინსტიტუტები სულ დამახინჯე-

ბულ ადამიანებს გვიზრდიანო, „რუსიწკებსაო“, რა ქართველი დედები უნდა გაძოვიდნენო.

ძალიან ვცდილობდი ძიას თვალში დამემსახურებინა ნდობა და მისი მაღალი წარმოდგენა ჩემს სასწავლებელზე და პედაგოგებზე, მაგრამ მაინც არ ამცდა მისი რისხვა. ძიას სწყინდა და ვერ ითმენდა ისეთ ადამიანებს, ვისაც რაიმე დავალებას მისცემდა და დავალება ისე არ შესრულდებოდა, როგორც მას სურდა. როდესაც ძიამ თავისი თხზულებების პირველი ტომი გამოუშვა, ერთი ცალი თხზულებისა მე მიძღვნა წარწერით: „ჩემს კარგ ქრისტინკას. ბიძია იაკობი“. თანაც ფანქრით დაენიშნა რაც უნდა წამეკითხა; სარჩევში ჯვრებით იყო აღნიშნული. გავიდა დრო და როცა შევხვდით ერთმანეთს, დამიწყო გამოკითხვა. ამოწმებდა, წავიკითხე თუ არა, ან როგორ გავიგე. მე კიდევ დავინტერესდი იმით, რომ რატომ სულ ყველას წაკითხვა არ შეიძლება ჩემთვის თქო. უკვე დიდი ქალი ვარ, 17 წლისა და ძიას ისევ პატარა ხომ არ ვგონივარ მეთქი და დავიწყე სწორედ ისეთი სტატიების კითხვა, რომელიც აღნიშნული არ იყო. ჩავვარდი გასაჭირში, გაიგო რომ მისი დავალება სწორე არ შევასრულე და განრისხდა: ქართველი ქალები ზარმაცები ხართ სერიოზულ წერილების კითხვაშიო. შემდეგისათვის სულ გადვიკითხე, დავმზადდი, მაგრამ ალარ უკითხავს.

ჩემს ბავშვობაში ერთი რამე გავაკეთე კიდევ რაც რომ მას არ ესიამოვნებოდა, თუმცა ეს მას არ გაუგია. ეს იყო ის, რომ ვისწავლე ცეკვა და ვცეკვამდი. ძიას ძალიან უყვარდა მუსიკა და უნდოდა რომ დაკვრა გვესწავლა შალვა გოგუბაშვილს ვიოლინოზე და მე კიდევ პიანინოზე.

როცა შემეკითხა ბიძია ფრანგულს ისწავლი თუ მუსიკასო, მე გადაწყვეტით ვუთხარი — ცეკვა და ენა რომელიმე სულ ერთია მეთქი. იმას ეწყინა, რომ მუსიკაზე უარი გავაცხადე და ცეცხლზე ნავთი დავასხი, როცა ცეკვის სწავლება გთხოვე. შენც „ტლინკაობის“ მოყვარული ხარ და უნდა იტლინკავოო? გამიჯავრდა ძალიან. ფრანგული ენა კი დამაწყებინა და მთელი წლისა სწავლის ფული სულ ერთად გადაიხადა. მეც ვსწავლობდი ენას, რაც შეეხება მუსიკას, მე შემეშინდა, ვაი თუ კარგად ვერ დავძლიო ეს საგანი და მერე საყვედურს მეტყვის ძია; „გიყიდე დასაკრავი ინსტრუმენტი,

სწავლის ფული გადავიხადე და შენ ხალხის ფულით ნაყიდ ინსტრუმენტზე არ ისწავლე დაკვრაო". მას კი გაუცხადე, — რა ვქნა, ძია, როცა არ მესმის მუსიკა, მე არასოდეს სურვილი არ მაქვს, რომ ვიყო დამკვრელი: უფრო ფეხები ამიცეკვდება და მინდა ვიცეკვო, ვიხტუნო მეთქი. როცა შევიტყვე, რომ არ უყვარს ცეკვა, მივეცი სიტყვა, არ ვიცეკვებ მეთქი, თუმცა არ შემისრულებია.

სანამ ბიძია ცოცხალი იყო მართლაც სულ უნდა მეცეკვნა და მემღერნა, მაგრამ იმავე წელს დავობლდი ბიძით. იმავე წელს მოხდა ჩვენი გამოთხოვება, ის გამოთხოვება, რომელიც ეხლაც უცრემლოდ ვერ მომიგონებია:

ერთ კვირა დღეს გამოცდების დამთავრების შემდეგ წავედი ძიასთან, მეხარებინა, რომ გადავედი მერვე კლასში. როცა დამინახა, თვალები გაუბრწყინდა. მე ელდა მეცა, რომ იწვა და შევეკითხე — რათ წევხართ-მეთქი. საიმისო არაფერია, შენ რაღას მეტყვი, ჩემო ჩიტო ჩიტუნიაო. ბევრი რამ ვუამბე და ბოლოს ვუთხარი ისიც, რომ უფროსი კლასის მოწაფეები მიდიან რუსეთში ექსკურსიით, ინახულებენ კიევს, კიევის გაგონებაზე ძია თითქოს გამოცოცხლდაო, გაახსენდა თავისი ყმაწვილობა, მიამბო იქაური ცხოვრება, ისტორიული ძეგლები, მთხოვდა ყურადღებით დამეთვალიერებინა ყველაფერი. რუსეთის ქალაქებში ყველაზე ძალიან კიევი მიყვარს და უსათუოდ წადიო. ამომაღებინა კამოდიდან ჩეკების წიგნაკი და დამიწერა, 400 მან. გამომეტანა ბანკიდან. ექსკურსიის ხარჯები გამესტუმრებინა და დანარჩენით მეყიდნა რაც გულით მინდოდა. მადლობა გადაუხადე.

— შენს გაზრდას, მანდ გაზეთის დამატებაა და შიო მღვიმელის ლექსი წამიკითხეო, მითხრა ძიამ. მეც ავიღე და ბაუცხოო ლექსი „არწივს" აღმაფრენით წავიკითხე:

„არ შეგვიშინდე, არწივო,
'რა დროს სიკვდილის ჯერია!
შავს ყორანს ჩახლეჩილი ხმით
რამდენჯერ დაუმღერია.
მაგრამ შენს დიადს გულს და თვალს
მკაცრად რომ შეუბღვერია,
გაბრუნებულა, წასულა,
როგორც მაცდური ფერია!
ჯერ ჩონგურს სიმი მთელი აქვს

ისევ ხმა ტკბილად წკრიალებს,
სიცოცხლე ვასიქადულო
შენს სადღეგრძელოდ ტრიალებს,
წყარო იძახის „მრავალჟამს“,
და მკლავ მძლავრადა ჩქრიალებს.
აბა, გაჰხედე შენს შვილებს,
შენგან დაზრდილებს გულითა.
ზვიადებს, ამაყ ვაჟკაცებს,
სავსეთ სიცოცხლით სრულითა,
სანამდის შემოგცქერიან
ნატვრით და სიყვარულითა,
ვინ რას დაგვაკლებს, ფრთა დაგლო,
გინდაც წამხდარი სულითა!
შვილიშვილთ ნუგეშიცა ხარ,
მათიცა გმართებს ვალები,
სანამ არ გაუმაგრდებათ
გული, მკერდი და ბრჭყალები,
უნდა იცოცხლო, იცოცხლო,
შემოიკრიბო ძალები,
დასძლიო დაუძლეველი, —
სიკვდილს დაუდგეს თვალები!“

როდესაც ამ ლექსს ვკითხულობდი ძია იაკობს თვალები გაუბრწყინდა, იღიმებოდა, როცა გავათავე, მთხოვა ისევ თავიდან წამეკითხა ეს ლექსი. მე ვიფიქრე, ალბათ გამოთქმით ვერ წავიკითხე და შევეცადე უფრო უკეთესად წამეკითხა. ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, რომ ძიას გაბრწყინებული თვალები ნისლით შეემოსა და ღრმად ჩაფიქრდა. მე შევეკითხე: ძია, როცა რუსეთიდან ჩამოვალ, თქვენ სად გნახავთ მეთქი, აქ იქნებით, თუ ბორჯომში? მაშინ ძიამ თავისი ნაღვლიანი თვალები კედლის ხალიჩის ყვავილთა თაიგულს მიაშტერა და მიპასუხა: „შენ რომ კიევიდან ჩამოხვალ, მე მაშინ ფუფალასთან ვიქნები“. მე გავუწყერი, რად ფიქრობთ მაგისთანა უბედურებას მეთქი და დავიწყე ქვითინი. ძალიან შესწუხდა მოხუცი, მასვე გავუხდი გასაჩერებელი. დამიწყო დამტკიცება, რომ მე არ უნდა ვიდარდო ძიას დაკარგვა, ეს იმიტომ რომ ბუნების კანონი ასეთია. შემდეგ მომიყვა დარიგებას: „ძიამ თავისი მოვალეობა შეასრულა, 72 წელი იცხოვრა. იმისი ხნისა ნათესავებიდან აღარავინ არის“. ჩაძომითვალა ყველანი. ბოლოს ისარგებლა შემთხვევით, რომ მაინცა ვტიროდი და მითხრა: „აი, არც შენი საყვარელი დიდე-

და ნინო, ჩემი რძალი, ცოცხალი აღარ არის, ის ჩემზე პატარა იყო, მაგრამ მაინც მოკვდა. აპრილში დავასაფლავეთ და შენ ალ გაგიმხილეთ, რადგანაც გამოცდები გქონდა და ხელი შეგეშლებოდა...“ და ამას რომ ამბობდა, მარჯვენა ხელი გადმოეკიდა საწოლზე. მე დავიჩოქე, იმისი ხელი მივიხუტე გულზე და ჩუმურვალედ დავიწყე ტირილი. ის აღარ ლაპარაკობდა, მარცხენა ხელით ნაწნავები გამისწორა, გადამისვა თავზე, ნორმალურსა და ტირილით როცა გული ვიჯერე, დამლოცა და სიტყვა ჩამომართვა, სასიქადულო დედა გამოდი, კარგი ოჯახი შექმენი, შვილებიც შეგნებულ ადამიანებად დაზარდეო, ჩვენი მძიმე მდგომარეობა ზარის ხმამ შესწყვიტა. ახალი მნათველები მოვიდნენ და მეც იძულებული ვიყავი მეორე ოთახში გავსულიყავი.

ორ არ გასულა ორი-სამი დღე და ძია მომიკვდა. ექსკურსიაზე რაღა წამიყვანდა, ან რა გასახარელი რამე უნდა მეყიდნა. მისი პოცემული ფულით ძაძები შევიკერე და ათი დღე ქაშვეთის ეკლესიაში დასვენებულ ძიას ვტიროდი. დასაფლავებაზე დიდძალი ხალხი მოზღვავდა. სოფლებმაც მიიღო მონაწილეობა. ყველა ქართველი კაცი თუ ქალი, ბავშვი თუ დიდი ყველა მისი ჰირისუფალი იყო. ყველა ცდილობდა კუბოსთან ახლოს მისულიყო და იქ ეტირნა. გამოსვენების დროს ხომ გამიჭირდა კატაფალკასთან დგომა, სანამ ორივე ხელით არ მოვეჭიდე. ისედაც დასუსტებული სიცხიან დღეში ძლივს მივდევდი კუბოს. ბევრგან გავაჩერეთ რუსთაველის ქუჩაზე და სიტყვები უთხრეს. მე უკვე თითქოს ცრემლი აღარ მქონდა, გავშრი, მაგრამ ვერის დაღმართზე, ზემელთან გავაჩერეთ კუბო, სიტყვისთვის ავიდა სოფლელი მასწავლებელი, ტუჩურჯით ვიცანი და დაბლა საფეხურებზე სოფლის ბავშვები, ბიჭები ქალამნებით და გოგონები თავშლებით შემოხვეოდნენ მასწავლებელს, რომელმაც სიტყვა უთხრა ძიას: „აი ჩვენო მოამაგე, ჩამოვიყვანე შენი კეთილი სანდალა, ნუცა, კატო, გიგო...“ მან ჩამოსთვალა დედა-ენის გმირები და ბოლოს დასძინა: „გვინდა ყველამ მადლობა გადაგიხადოთ იმ ამაგზე, რაც დასთესეთ და გამოგეთხოვოთო“. ამან ისე იმოქმედა ჩემზე, რომ აუარებელმა ცრემლებმა იხეთქა ჩემი თვალებიდან. აქ უკვე ვიტირე ძია, ახლა როგორც მასწავლებელი და აღმზრდელი ჩემი ქვეყნის მოზარდი თაობისა. ვტიროდი და

ჩემთან ერთად ქვითინებდა მთელი დამსწრე საზოგადოება.

კარგად გადაიწია მზემ დიდუბის ტაძარში რომ შევედით. აქაც დიდი ბრძოლა იყო, სიტყვების თქმას ყველა ვერ ასწრებდა. ერთმა უმფროსი კლასის მოწაფემ იტირა, როგორც ბავშვმა, როცა უთხრეს, შენ ველარ მოესწრები, დაგვიანდა დასაფლავება და დაებეჭდავთ შენს სიტყვასო. ძია რომ ჩაუშვეს საფლავში და გავიგონე ქვის ჩავარდნა, მე მომეჩვენა მას ეს გულზე მოხვდა და ეტკინა მეთქი, ველარ ავიტანე, ერთი დავიყვირე ნელად და მუხლები ჩამეკეცა, შემდეგ აღარაფერი მახსოვს. გონზე მოველ ნათესავთან, როცა მამა მიჯდა ახლოს და ტილოებს მადებდა თავზე..

13 ასი თუმანი, 13.000 მაწ. ოქროთი დაუტოვა წ. კ. გ. საზოგად. თვითონ დარჩა დაკერებული საცვლები, დაშტოპკილი ნასკები და ძირებ გამოკერებული ფეხსაცმელები, ეს იმიტომ, რომ იცოდა ეს ფული ზღვაში წვეთი იყო იმისი საყვარელი სამშობლოს სკოლებისათვის. დასტოვა დასასაფლავებული ფულიც და ბოლოს მისი საფლავი დაიკარგა... ხელისუფლებამ გათხრა აწარმოვა ჯერ კიდევ გასულ წელს, რომ ენახათ მისი ძვლები. წ. კ. საზოგ. წევრები ვერ მოექცნენ ამ შემთხვევაში კარგად, რომ ძეგლი არ დაადგეს. დღეანდელმა ხელისუფლებამ ძია მკვდრეთით აღადგინა. გადავასვენეთ დიდუბიდან მთაწმინდაზე, უკვე ძია თავის საყვარელ ილიას გვერდშია, გადასვენების დროს მეც დავესწარი, საკუთარი ხელებით შევეხე მის ნეშტს. ძიას საფლავზე ძეგლი აღიმართება, რითაც გაუადვილებთ ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს მისი საფლავის პოვნას.

1940 წ.

გრიგოლ გურჯულაძე

ფიქრები ი. გოგებაშვილზე

ჩვენს დიდებულ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს პირადად არ ვიცნობდი 1901 წლამდე. მანამდის კი ვკითხულობდი იაკობის ნაწერებს და აღტაცებაში მოვდიოდი. ვიცნობდი, რასაკვირველია, მის სახელმძღვანელოებს „დედა-ენას“ და „ბუნების კარს“. ქართული ენის მასწავლებლად არასოდეს არ ვყოფილვარ; ხოლო ქართული ლიტერატურის მოყვარული და ერთგული თვალყურის მდევნელი კი ვიყავი.

ცნობილია, რომ რუსეთის მეფის მთავრობისაგან სასტიკად იყო დაჩაგრული რუსეთის იმპერიაში შემავალი სხვადასხვა ხალხი. ბიუროკრატია გასაქანს არ აძლევდა საზოგადოდ მშრომელ ხალხს, როგორც რუსს, ისე სხვა ეროვნებისას. მაგრამ არა რუსი ერი ყოველ უფლებას იყო მოკლებული. (სიტყვა „ერი“ წინად მესმოდა და ახლაც მესმის როგორც მშრომელი მასსა — ე. ი. ყოველნაირი დარგის მუშა-მოსამსახურე და მშრომელი ინტელიგენცია). ქართველი ერი სხვა ერთან ერთად განიცდიდა ორნაირ ჩაგვრას: ეროვნულსა და ეკონომიურ-პოლიტიკურს. ყოველივე ქართული დევნილი იყო. ქართულ ენას ძაღლის ენას ეძახოდნენ, და იგი თანდათანობით და სისტემატიურად იდევნებოდა ეკლესიიდან, სკოლიდან, სასამართლოდან და ყოველნაირ ადმინისტრატიულ დაწესებულებიდან. დევნა განსაკუთრებით განავითარეს ოთხმოციან წლების პირველ ნახევარში. მაშინ იყო რომ აკაკიმ დასწერა: „მოლამ, ყადმა და ჰაჯიამ შეჰკრეს პირობა ძლიერი, რომ დააყენონ ყირაზე მთლად საქართველოს ერი“.

ამავე დროს თავად-აზნაურობის ზოგიერთ წარმომადგენელს გუბერნატორად ნიშნავდნენ (შერვაშიძე — თბილისის გუბერნიის გუბერნატორი, ჭავჭავაძე — დაღისტნის, ნაკაშიძე,

განჯის და სხ.) და გველაქუცებოდნენ, თვალს გვიხვევდნენ. ამაზე აკაკიმ დასწერა ლექსი „ნუ ვენდობით“: „თვალს გვიხვევენ, ენას გვგლეჯენ და გვაგდებენ საკირეში; ურცხვად შვიდ-შვიდ პარასკევსა გვითვლიან ჩვენ ერთ კვირეში“.

ვის არ ახსოვს სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკის და საეკლესიო სკოლების მეთვალყურის ვოსტორგოვის „ძოღვაწეობა“ სასწავლო საქმეში. ამ გააფთრებულ რუსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა იაკობ გოგებაშვილს. იგი კრიჭაში ედგა ყველას, ვინც კი პედაგოგიკის საღი მოძღვრების წინააღმდეგ დაიწყებდა მოქმედებას წერილობით თუ პრაქტიკული საქმიანობით. ამიტომ მიყვარდა იაკობი და უღრმესი პატივისმცემელი ვიყავი მისი. მენატრებოდა მისი პირადად გაცნობა. ნატვრა ამისრულდა 1901 წელს აგვისტოს გასულს. რამ გამოიწვია ჩემი ნატვრის ასრულება და როგორ მოხდა იგი? ამის გასაგებად საჭიროდ მიმაჩნია ცოტა შორიდან დავიწყო.

1891-1901 წლებში ახალციხეში ვმსახურობდი მასწავლებლად. წ. კ. საზოგადოების რწმუნებულად ვითვლებოდი. მომდიოდა წ. კ. საზოგადოების მაღაზიიდან ახლადგამოსული წიგნები გასავრცელებლად. ანგარიშს აკურატულად ვასწორებდი. წ. კ. საზოგადოებამ ბიბლიოთეკა დააარსა ახალციხეში 1895 წელს ჩემი მოხსენების საფუძველზე. მე ვიყავი ამ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, ავან-ჩავანი ხუთი წლის განმავლობაში. იმავე ახალციხეში არსებობდა საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც ახალციხის ძველ ნაწილში რაბათში, ინახავდა ქართულს ერთკლასიან სკოლას ქალებისათვის, სადაც სწავლა ყველა საგნებისა სწარმოებდა ქართულ ენაზე. 1891-1901 წ. წ. განმავლობაში ვიყავი ამ საზოგადოების მდივანი, მოლარე და სკოლის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი. ზემოთ მოყვანილმა გარემოებამ და საკუთარ შვილებთან მეცადინეობამ საშუალება მომცა გავცნობოდი ქართულ ენაზე გამოსულ საკითხავ წიგნებს და სახელმძღვანელოებს. ქართული ენის სახელმძღვანელოებში ყველაზე ზევით ვაყენებდი „დედა-ენას“. რა თქმა უნდა, უნაკლო არც „დედა-ენა“ იყო. მინდოდა რა „დედა-ენა“ კიდევ უკეთესი ყოფილიყო, საჭიროდ დავინახე პრესაში აღმენიშნა ის ადგილები, რომლებიც მე ნაკლებად მიმაჩნდა.

მისათვის 1896 წლის მაისის შუა რიცხვებში გაზეთ „ივერიის“ №№ 99 და 101 ნომრებში მოვათავსე წერილი ამ სათაურით: „ზოგიერთი შენიშვნები „დედა-ენის“ შესახებ“. წერილში უმთავრესად ვეხებოდი „დედა-ენის“ პირველ ნაწილს და აღვნიშნე შვიდიოდე ნაკლი. წერილი გავათავე მითითებით, რომ ჩვენი ლიტერატურიდან, განსაკუთრებით კი სახელმძღვანელოდან, განდევნილი ყოფილიყო უცხო სიტყვების კარავანდაში, სტოლი, სტაქანი, პრიჭკა, შკაფი, კრესლო, ფანჯარა, ხანჯალი და სხვა მრავალი, ვინაიდან „ისინი ხელს უწყობენ ქართველი ერის გადაგვარებას“-მეთქი. „რა საჭიროა არიან ეს უცხო სიტყვები, როდესაც სამაგიერო, იმავე საგნის გამომხატველი სიტყვა ქართულ ენაში მოიპოვება“-მეთქი.

დარწმუნებული ვიყავი პატივცემული იაკობი პასუხს არ დააყოვნებდა და იმავე გაზეთში დაბეჭდავდა, მაგრამ ეგრე არ მოხდა. ჩემი წერილის დაბეჭდვის მეორე დღესვე საცენზურო კომიტეტის დადგენილებით გაზეთ „ივერიის“ გამოცემა 8 თვით იქნა შეჩერებული.

მაისის გასულს იაკობისაგან მოკლე და საგულისხმიერო წერილი მივიღე ახალციხეში: „გულდასმით წავიკითხე თქვენი შენიშვნები „ივერიაში“. პასუხს მიიღებთ. განაგრძეთ მაგგვარი შენიშვნების წერა“.

ამ წერილმა გამაკვირვა: ვინ მე და ვინ იაკობ გოგებაშვილი ის გამოჩენილი და სახელმოხვეჭილი პედაგოგი, მე-კი პატარა მასწავლებელი. მერე საიდან გაიგო იაკობმა, რომ „შენიშვნების“ ავტორი მე ვიყავი? ჩემი „შენიშვნების“ ბოლოს ჩემი სახელი და გვარი პირველი ასოებით აღვნიშნე — „გ. ბ.“ წ. კ. საზოგადოების კანცელარიაში იცოდნენ, რომ „გ. ბ.“ გრიგოლ ბურჭულაძე იყო. იაკობი ხშირად დადიოდა წ. კ. საზოგადოებაში, რადგან მისი ნაწერების მთავარი გამსაღებელი წ. კ. საზოგადოება იყო. ალბათ აქ გაიგო იაკობმა ჩემი ვინაობა დავით კარიჭაშვილისაგან ან შიო ჭუჩუკაშვილისაგან, რომლებიც მაშინ წერაკითხვაში მუშაობდნენ.

უდავოა, რომ ეს წერილი საუკეთესოდ ახასიათებს ჩვენს პედაგოგს, მის გულკეთილობას, სამართლიანობას, თავდაბლობას.

წერილი „დედა-ენაში“ ჩაედე და შევინახე. ახალციხიდან

ერევანში გადამიყვანეს, ერევნიდან ხონში გადმოვედი, ხონიდან თბილისში, თბილისიდან თელავში, თელავიდან ისევ თბილისში და ამდენ წოწიალში „დედა-ენაც“ დავკარგე, იაკობის წერილიც და სხვა რამეც, იმდენად დაუდევარი ვარ ჩემ თავისათვის.

დიახ, იაკობის წერილმა ფრთები შემასხა, გავიზარდე საზოგადოებრივად. გადავწყვიტე შემესრულებინა იაკობის დარიგება. მაგრამ პასუხს მოუთმენლად ველოდებოდი. — „პასუხი მაშინვე მინდოდა მიმეგო იმავე გაზეთში, მაგრამ...“, ამბობდა იაკობი თავის წერილში.

თავისი ვრცელი და მეტად ზრდილობიანი და საინტერესო პასუხი ბატონმა გოგებაშვილმა მოათავსა 1896 წლის ჟურნალ „მოამბეში“, სექტემბრის ნომერში. წერილი ასე იწყება: „მაისის ნახევარში „ივერიაში“ დაიბეჭდა შენიშვნები „დედა-ენის“ შესახებ ერთი ახალციხელი მასწავლებლისა. წერილმა ჩვენი ყურადღება მიიპყრო თავისი ობიექტური, საგნებრივი, მიუდგომელი კილოთი, რომელიც ჩვენს ლიტერატურაში ძლიერ იშვიათია, სამწუხაროდ“.

შემდეგ გაარჩია ჩემი შენიშვნები, გამოთქვა თავისი შეხედულება ჩემ მიერ აღძრულ საკითხების შესახებ, დაასაბუთა და... გამანადგურა: არც ერთი ჩემი წინადადება არ იქნა მიღებული. მეწყინა. მაგრამ ჩემმა წერილმა მცირე სარგებლობა მაინც მოიტანა. თავის პასუხს ბ-ნი იაკობი ასე ათავებს: „თუ მკითხველი ამ პასუხის წაკითხვის შემდეგ ახალციხელი ავტორის წერილს სრულიად უნაყოფოდ ჩათვლის, უსამართლოდ მოიქცევა. ყველაფერი როდი გამოდგა უსაფუძვლო და შეუწყნარებელი. კრესლო შევცვალეთ სავარძელზე; მივიღეთ წმინდა ქართული ტერმინი „დგამი“ მებელის მაგიერ; ზოგიერთი რთული ანდაზა ანბანიდან გამოვტოვეთ და ერთი კორექტორის მაგიერ ორი კორექტორი აუჩინეთ მეთორმეტე გამოცემას“. და ბოლოს: „თუ გავიხსენებთ, რომ, რაც კი წერილები დაიბეჭდა „დედა-ენის“ წინააღმდეგ ამ ოცი წლის განმავლობაში, სულ ბზისა და ბოჩოსაგან შესდგებოდა, ჩვენ მადლობელი დავრჩებით ახალციხელი ავტორისა, რომელმაც რამდენიმე საღი პურის მარცვალი შეგვმატა“.

უდიდესი კმაყოფილება ვიგრძენი იაკობის უკანასკნელი სიტყვებისაგან.

მეორე წელიწადს იაკობი ეკამათებოდა გიორგი წერეთელს და დოდაშვილს (1897 წ. „ივერია“, № 70), რომლებმაც უსაყვედურეს იაკობს: „ხმა ვერ ამოგვიღია გოგებაშვილის მიერ შედგენილ წიგნებინ შესახებ, მაშინვე იაკობი ქვაგუნდასა და ცეცხლს დაგვაყრისო“.

იაკობმა სხვათა შორის უპასუხა: „ოთხ კრიტიკოსში მხოლოდ ერთს ვაძლევდით პასუხს. ეს ჩვენი პასუხი ყოველთვის იყო თავაზიანი, თუ კრიტიკოსი მართებულად გვეპყრობოდა ჩვენ და ჩვენს წიგნსა. მაგალითად, წარსული წლის მაისში ერთმა ახალციხელმა მასწავლებელმა დაბეჭდა „ივერიაში“ ჭრელი შენიშვნები „დედა ენის“ შესახებ. შენიშვნები იყო დაწერილი გულწრფელად, საგნის სიყვარულით, მიუდგომლად და მიუფერებლად. ჩვენც ასეთივე შენიშვნები დავუწერეთ „მოამბეში“ და სრული თავაზიანობით მოვეპყარით. გ. წერეთელმა და დოდაშვილმა ჩვენი დამცირება მოინდომეს და თვითონ იქმნენ დამცირებული ჩვენ მიერ“. იაკობმა აქაც უდიდესი შეფასება მისცა ჩემს „შენიშვნებს“ „დედა-ენის“ შესახებ. შემდეგ მე-13 გამოცემიდან თანდათან განდევნილ იქმნა „დედა ენიდან“ სტოლი, კარანდაში, სტაქანი და სხვა უცხო სიტყვები და მათ მაგიერ შემოღებულ იქნა წმინდა ქართული ტერმინები: მაგიდა, ფანქარი, ჭიქა და სხვა. ამ გარემოებამაც უღრმესი კმაყოფილება გამოიწვია ჩემში. ამავე დროს ზედმეტად ვიყავი დატვირთული ახალციხის ქართულ ბიბლიოთეკასა და ქართული სკოლის საქმეებით, და იაკობის დარიგება გადამავიწყდა...

წესდებაში თუ ზემოხსენებულ მუხლს შევიტანდით, მაშინ საზოგადოების ქონებასაც დაეპატრონებოდა სასწავლო მთავრობა. ამიტომ მე ეს საკითხი მივაყრუვე და მაზრის უფროსსა და მზრუნველ იანოვსკის კაბინეტში ნაცარში ჩაუვარდათ: მაზრის უფროსმა მზრუნველს დამასმინა და 1901 წლის ზაფხულში ერევანში მიკრეს თავი, დამსჯეს, საგზაო ფული არ მომცეს, როგორც დასჯილს. ახალციხიდან წამოსულებმა თბილისში დავისვენეთ, წერა-კითხვის საზოგადოებაში შევედი ანგარიშის გასასწორებლად. ცოტა ხნის შემდეგ იაკობი შემოვიდა და შიო ჭუჩუკაშვილს რაღაც შეეკითხა „დედა ენის“ თაობაზე. — ბატონო იაკობ, ეს არის ახალციხელი მასწავლებელი გრიგოლ ბურჭულაძე, „დედა ენა“ რომ გააკრიტიკა...

— მართლაა? გამარჯობათ, მოხარული ვარ. ჩემი პასუხი ხომ წაიკითხეთ?

— კი ბატონო! რომ გამანიავეთ, გამანადგურეთ. კუმ ფეხი გამოჰყო: მეც ნახირ-ნახირაო რომ არის ნათქვამი, მეც ისე მომივიდა.

— რათ ამბობთ მაგრე? საყურადღებო შენიშვნები იყო თქვენი შენიშვნები. რატომ აღარაფერს სწერთ? ხომ არ გგონიათ, რომ „დედა ენაში“ ნაკლი აღარ არის?

— არა, ბატონო იაკობ! ვერ მოვიცალე, ძალიან დატვირთული ვიყავი ახალციხეში. მე მაინც ბედნიერად ვთვლი ჩემ თავს, რომ თუ მართლა „რამდენიმე საღი პურის მარცვალი შეგმატეთ“. ამ სიტყვებით ათავებდით თქვენ პასუხს. ახლა ერევანში მივდივარ, იქ გადამიყვანეს. ვუამბე, რატომ.

— უსვინდისოები არიან, უსვინდისოები! ნუ გეშინია. იქ ალექსი ჭიჭინაძეა დირექტორათ. იმასთან სამსახური არ გაგიჭირდება. მშვიდობის მგზავრობა.

ამით გავშორდით ერთმანეთს და 1911 წლის შემოდგომამდე იაკობი აღარ შემხვედრია. 1911 წლის სექტემბრიდან წ. კ. საზოგადოებაში დავიწყე სამსახური. აქ იაკობი ხშირი სტუმარი იყო და მეც შემთხვევა მქონდა ხშირად შევხვედროდი, დავმეგობრდით კიდეც... იაკობი ხშირად ხდებოდა ავად და სახლიდან არ გამოდიოდა. მთაწმინდაში იდგა, ვეძინის ქუჩაზე, მეორე სართულში. დამიბარებდა ხოლმე, მეც მივდიოდი და ვსაუბრობდით.

ბლეძსაწდრე გარსევანიშვილი

ცოგოწეება ი. გოგებაშვილის შესახებ

...იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ვარიანში, რომელიც მდებარეობს ლიახვის ნაპირათ. პირველათ იაკობ გოგებაშვილი რო გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე — ფსევდონიმათ აირჩია სახელი — ვ ა რ ი ა ნ ე ლ ი.

იაკობი დაიბადა 18 ოქტომბერს 1840 წელს, სულ იცოცხლა 72 წელიწადი.

გოგებაშვილი ეკუთვნოდა სასულიერო წოდებას. მისი გვარი არ ახალია — ძველია და მოხსენებულია სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. იაკობის მამა, სახელათ სვიმონ, იყო სოფელ ვარიანში მღვდლათ. თავის დროისათვის შესაფერათ ერიცხებოდა. იგი იყო დიდი მფარველი და მოამაგე თავის მრევლისა. მრევლსაც ძალიან უყვარდა მოძღვარი. იაკობის მამა გარდაიცვალა სამოცი წლისა, 1864 წელს, იმ დროს, როცა საქართველოში ბატონყმობა მოისპო.

იაკობის დედა მაგდანი — კალმახელიძის ქალი იყო. კალმახელიძეები ქართლში გადმოსახლებულან იმერეთიდამ. მაგდანი იყო მეტად პატიოსანი მანდილოსანი, შვილების მოყვარე და ხასიათით გულკეთილი. იგი გარდაიცვალა 1869 წელს საკმარისათ ხანში შესული.

...1872 წელს სინოდმა რევიზია მოახდინა ყველა სასულიერო სასწავლებლებში, რომელიც კავკასიაში არსებობდენ. რევიზორათა პეტერბურღიდან იყო გამოგზავნილი ნასწავლი კაცი, ხასიათით მეტად პატიოსანი და საქმის გარჩევის დროს მიუდგომელი და სამართლიანი. ეს იყო ზინჩენკო. ამან დაათვალიერა სასულიერო სასწავლებლები, გაიცნო საქმის ვითა-

რება და ცნებაზე უფრო მოიწონა იაკობ გოგებაშვილის მუ-
შაობა. თავის ვრცელ მოხსენებაში ზინჩენკომ იაკობ გოგე-
ბაშვილი აღიარა ერთ საუკეთესო მასწავლებლათა და ჩინე-
ბულ შკოლის გამგეთ. მართლაც, იაკობ გოგებაშვილი დიდის
ყურადღებით ეპყრობოდა საზოგადოთ ქართველ ბავშვებს, რო-
მელთაც ჰკლდათ შესაფერისი მომზადება და ამასთანავე რუ-
სული ენაც კარგათ არ იცოდნენ. რომ უკეთ ესწავლათ სხვა
და სხვა საგანი, იაკობმა სწავლების საუკეთესო საშუალებანი
შემოიღო. ამ შვიდი წლის ცდამ და წაყოფიერმა შრომამ დი-
დი სარგებლობა მოუტანა მისდამი რწმუნებულ შკოლას. და
ეს გარემოება ხაზ-გასმით აღნიშნა ბეტერბურღიდან მოსულ-
მა რევიზორმა... ჩვენდა სამწუხაროთ, გოგებაშვილს დიდხანს
არ დასცალდა ამ ასპარეზზედ მუშაობა. რევიზორის საფუძ-
ვლიანმა ქება-დიდებამ ბევრი ბტერი შესძინა იაკობს...

იაკობ გოგებაშვილის უანგარობა

ი. გოგებაშვილი როგორც პედაგოგი და მწერალი იმდენად პოპულიარული ადამიანი იყო, რომ მას ჩემი სუსტი დახასიათება არ სჭირდება. მე მინდა მხოლოდ გავიხსენო ერთი ფაქტი, მაჩვენებელი იმისი, თუ რამდენად სწამდა საჭიროება აღზრდილიყვნენ განათლების გავრცელებისათვის მომზადებული მასწავლებელნი.

წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებელში ჩემი მასწავლებლად ყოფნისას (1892-94 წ. წ.). განვიზრახე შემევსო ჩემი მასწავლებლობის მარაგი და ზოგიერთა გასარკვევი საკითხები ავტორიტეტული პირის საშვალებით განმემარტნა. ი. გოგებაშვილზე ავტორიტეტული პედაგოგი ვიღა გვყავდა. — გადავწყვიტე მასთან მისვლა. სასწავლებელში არდადეგების დღეებში წამოვედი თბილისში და მოკრძალებით მივადექი იაკობის ბინას. რომ გაიგო ჩემი ვინაობა და მიზანი მისვლისა არამც თუ არ დაიზარა ჩემი მიღება, პირიქით ესიამოვნა, მხარზე ხელი დამადო და გამამხნევა — შენ უსათუოდ კარგი მასწავლებელი დადგებიო. დამსვა მაგიდასთან, გაიცნო ჩემგან განსამარტავად აღნიშნული კითხვები და შეუდგა მათ გარკვევას. თავადაც ჩაუმატა არა ნაკლები კითხვები და ისინიც განმიმარტა. დღის 2-3 საათი იქნებოდა რომ მითხრა „ეხლა კი გვეყოფაო". მე მეგონა ამით გათავდა ჩემი დარბაზობა, ავდექი მადლობის მოსახსენებლად, მაგრამ მან გამიცხადა რომ დღეს ჩემი სტუმარი ხართო და საღილის შემდეგ კიდევ ვისაუბრებთო. სადილზე დარჩენა მერიდებოდა, მაგრამ საუბრობას როგორ დავკარგავდი; დავრჩი. სადილის შემდეგ მართლა კიდევ ბევრი რამ საკითხები გამირკვია და საღამოს გამომიშვა, თანაც მითხრა „როცა რამე დაგჭირდეთ, ან

მინახულეთ, ან მომწერეთ და პასუხს მოგცემთო. გულითად მადლობა განუცხადე და დიდად ნასიამოვნი წამოვედი. უნდა განვაცხადო, რომ მოცემული განმარტებით ბევრი რამ შევიძინე და სწავლების საქმეში კარგად გამოვიყენე.

ასე იაკ. გოგებაშვილმა უანგარო შრომა მიიღო და ჩემთვის ამის შემდეგ განსაკუთრებით დაუვიწყარი და სათაყვანებელ პიროვნებად დარჩა.

სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი

იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისათვის
(ჩემი მოგონებიდან)

...მაგონდება ერთი ამბავიც: 1896 წ. დეკემბრის 22 გაზ. „ცნობის ფურცელი" (№ 64) წერდა: „გამომცემელთა კიწკლაობა. იარმუკაზე ცნობილ გამომცემელთ სერ. მდივანოვს და ლიზა ახპატელოვას ამჟამად პოლემიკა გაუმართავთ. საქმე ის არის, რომ მდივანოვი უსაყვედურებს ახპეტელოვას, იგი საარშიყო ლექსებს ჰბეჭდავს, რომელნიც მავნებელ არიან ხალხისათვისო; კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვაი, რომ არც თვით მდივანოვია ამ საქმეში წმინდა კაცი და მისი გამოცემული „სიზმრის აღსნანი" და სხვა არანაკლებ მავნე არიან ხალხისათვის. ძრიელ კარგი იქნებოდა, რომ ორნივე, სერ. მდივანოვი და ლიზა ახპატელოვისა, სრულებით მიანებებდნენ თავს ქართულ მწერლობაში „მოღვაწეობას" და ალარ დგებოდნენ მდაბიო ხალხის ცოდოში".

„მდაბიო ხალხის ცოდო"-ს სხვ. შორის იაკობ გოგებაშვილმა უმკურნალა.

ამ მხრივ იაკობ გოგებაშვილის წიგნაკები „იავნანამ რა ჰქმნა?", „ასპინძის ომი", „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი" და სხვ. მდაბიო ხალხის წყურვილის მომკველი და ჩამშკნარი გულის მალამო იყო... ხოლო ეს წიგნაკებიც „ქ. შ. წ. კ. გ. ს." წიგნის მაღაზიაში იყო შეკეტილი, „სათავადაზნაურო ქარვასლა"-ში, მდაბიო მკითხველი ძებნიძებნითაც ვერ აღწევდა იქამდე.

იაკობმა წიგნების გავრცელების ამ მხარესაც მიაქცია ყურადღება.

ერთხელ („უცხო სიტყვათა ლექსიკონი"-ს მასალების შედგენაში გართულს) კარზე ჯოხის მოკაკუნება შემომესმა. შევხედე: იაკობ გოგებაშვილი მომდგომოდა, იმავე დროს კარის გვერდით მომდგარმა ჯოხით კარი შემოაღო.

— უკანა ფანჯარა მიხურულია თუ არა?

— ღია გახლავთ.

— მიხურეთ.

მივხურე და მხოლოდ მაშინ შემოვიდა, თან ჩაილაპარაკა:

— გამკრავი ქარი სახიფათოა... ერთი გაციება და..., შეიძლება ფილტვების ანთება. მკურნალობა გვიანღა იქნება.

რჩევისათვის მადლობა მოვახსენე, მკითხა:

— ხალხი უფრო რა წიგნებს ეტანება? რასა კითხულობს, რა მოსწონს? — მიიხედ-მოიხედა, მერე განაგრძო: ჩემი ახალი წიგნები გაქვთ თუ არა?

— არა!.. არ იძლევიან.

— რატომ?

— ვისაც უნდა, მოვიდეს, აქ იყიდოსო.

— შიოს (მღვიმელს) ვეტყვი და რამდენიც გსურდეთ, წამოიღეთ. ანგარიშს გაყიდვის შემდეგ გაუსწორებთ.

იმავე დღეს წიგნები ჩამოვიტანე.

მესამე დღეს (კვირას) იაკობმა გამომიარა და კვლავ ჯოხით მომირაკუნა, თან შემეკითხა: „ფანჯარა მიხურულია თუ არა?"

— მიხურული გახლავთ, — მივუგე და მივეგებე.

იაკობს თითქოს ისე არაფრის ეშინოდა, მაგრამ გამკრავი ქარის, ნესტის (ნამის), ქარისა და ქუჩის ჰოჭისა.

— აბა, რას მეტყვი, გადის ჩემი წიგნები, იყიდება თუ არა?

— სულ გაიყიდა. ჩამოტანა ვეღარ მოვასწარ.

— მართლა! — გაბრწყინებული თვალებით შემომხედა: უფრო რანაირმა ხალხმა იყიდა, — მუშებმა, ვაჭრებმა, მოსამსახურე-ჩინოვნიკებმა თუ მოწაფეებმა?

— უფრო მუშა-ხელოსნებმა და მოსამსახურეებმა. „იავნანამ რა ჰქმნა?", „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი" დაიტაცეს, „ქართველი გმირებიც" მოსწონთ...

იაკობი აღტაცებული იყო, — „მაშ ხალხის გულისთვის მიმიგნია", თითქოს ამას გამოხატავდა მისი გამომეტყველე-

ბა. (...) ერთხელ ჟურნალ „ნიშადურში“ ვითომდა „კორექტურულ შეცდომებში“ იაკობს კლანჭი გაჰკრეს „მოგება'ჟკილი“-ო (გოგებაშვილის მაგიერ), მაგრამ ნივთიერ ანგარებისაგან შორს იდგა იაკობი. მას უფრო იდეურ-საზოგადოებრივი მხარე იტაცებდა.

ჩემგან ზაქარია ჭიჭინაძესთან გადაიარა, შემდეგ ხალხში შეერია. თვალყურს ადევნებდა, ვის როგორი წიგნი მოსწონდა, ვინ რას თხოულობდა, რა შინაარსის წიგნებს ეტანებოდა.

მაგრამ იაკობი მარტო შინაარსიანი წიგნით, მისი გავრცელებით არ იყო დაინტერესებული, არამედ იმითაც, რომ წიგნი, რაც შეიძლება, ლამაზად, ფაქიზად, უშეცდომოთ დაბეჭდილიყო...

ცნობილია მისი შეცდომების აღმოჩენისათვის ჯილდოს გამოცხადება, წიგნის ბეჭდვის დროს არც ერთ ნაკლოვან ფურცელს არ გაუშვებდა, ყოველი ფურცელი ფურცელს, ყოველი გვერდის ნაბეჭდი მეორე გვერდის ნაბეჭდს უსდა დაჰფენოდა, პწკარი პწკარს გასწოლოდა, გარეკანი და ყდა წიგნს ფაქიზი, მოწდენილი ჰქონოდა...

ასეთი ფაქიზი გემოვნება გამოცემისა მხოლოდ ი. გრიშაშვილს დასჩემდა გამოცემის საქმეში.

•
• •

ერთხელ განსვენებულმა ალექსანდრე ივანეს ძე ნათაძემ (1864-1916) თავისი წიგნი „ბავშვების მოკეთე“ მომთავაზა, მომიკითხა და შემდეგ ჩამელაპარაკა:

— ჩემო იოსებ, თუ დაიკვეხო — შენ დაიკვეხო: მტერთან ერთად მეგობარიც რომ არა გყავდეს, რა გეშველებოდა!

— მიმრავლონ მტრები, ისინი მაფხიზლებენ, მეგობრები მაძინებენ! — მივუგე ღიმილით, — მაინც რაზე ბრძანებ?

— სწორედ შენზე... საოლქო განათლების მზრუნველის კანცელარიაში ვიყავი, იაკობ გოგებაშვილი შემოვიდა. იაკობს მიესალმა ერთი ჩოხიანი კაცი. იაკობმა ჰკითხა სკოლის მდგომარეობა.

— ხელს გვიშლიან, ბატონო იაკობ, ხელს... უნდა დაგვიფაროთ! — შესჩივლა ჩოხოსანმა.

— ვინ, რას გემართლებიან?

— ორიოდე სიტყვის ბღაჯნას ისწავლიან... დაჯღაბნიან და გაზეთიც განუკითხავად ბეჭდავს. იმის მაგიერ, რომ გამოყრუებულ სოფლის სკოლის მასწავლებელს დაგვეხმარონ, გულს გვიტეხენ..,

— ჰო, რაღაც მაგონდება, მგონი წერილი იყო ხაშმის სკოლაზე! — მიუგო იაკობმა.

— დიაღ, ხაშმელი სოსიკას ფსევდონიმით.

— მაგონდება. ვინ არის ეგ ხაშმელი სოსიკა?

— ჩვენებური გადავარდნილი გლეხის შვილი, ამჟამად ქალაქში მეწიგნეობს, იოსებ იმედაშვილი...

— მერე? — უფრო ყურადღებით შეაცქერდა იაკობი და თვალი თვალში გაუყარა;

— მერე და ამისათვის თუ კაცმა ლაგამი არ ამოსდო, უფრო თავს გავლენ...

— როგორ გინდა ლაგამი ამოსდო?

— ეგ ოლქის უფროსმა იცის. არზა უნდა მივართვა.

— შეიძლება ვნახოთ?

—ინებეთ!

იაკობმა არზა ჩაიკითხა, წარბი შეიჭმუხნა, თავი გადაიქნია, მერე მიუგო:

— ეს რას ნიშნავს, ბატონო მასწავლებელო?! თქვენში გამოჩენილა მადლიანი კაცი, უკუღმართ სკოლასა ჰგმობს, ე. ი. ნამდვილ, სწორ ნიადაგზე სდგას და თქვენ ის კაცი გინდათ გასცეთ!.. სწორედ გაოცებული ვარ თქვენი საქციელით... დიმიტრი ბაქრაძის ბიძაშვილი მაინც არ იყოთ!

აი, რა უთხრა ჩვენმა იაკობმა სოფლის ვითომდა კეთილისმყოფელ მასწავლებელს.

— რასაც ამბობ, მართალია?

— საკუთარი ყურით გავიგონე და ორივე თვალით დავინახე...

— მერე მასწავლებელმა რა ქნა? რა უპასუხა?

— მაშ როგორ მოვიქცეო? — შეეკითხა იაკობს.

— თუ შენი თავი ქართველ კაცად მიგაჩნია, სახალხო სკოლის მასწავლებლად და დიმიტრი ბაქრაძის ღირსეულ თანამოგვარედ, — ხაშმელ სოსიკას მადლობას ეტყვი, რომ ნაკლზე მიგითითა, ხოლო თუ ჩვენი სულთამხუთავი მეფის

მთავრობის აგენტი ბრძანდები, ემაწდა მზრუნველის კარიო.

— მერე, მერე? — შეეკითხე სულშეგებებით ალექსან-დრეს.

— გმადლობთ რჩევისათვისო! — მიუგო სოფლის მასწავ-ლებელმა ჩოხოსანმა, არზა ოთხად გადახია და იმავე წუთს წავიდა... მართალი გითხრა, ჩემო იოსებ, თუმცა გოგებაშვი-ლი, მე კარგი თვალით არ მიყურებს, იმ წუთის შემდეგ ჩემს გულში სამარადისო ძეგლი დაიდგა.

მითხრა ალექსანდრე ნათაძემა და ამიერიდან იაკობ გო-გებაშვილი ჩემშიაც ბუმბერაზად გარდაიქმნა...

მეორე თუ მესამე დღეს იაკობ გოგებაშვილი მხიარულ-სახით თავაზიანად მომესალმა.

გამიკვირდა, წინად ხშირად შემხვედრია, მაგრამ ასე ტკბილად კი არა. ჩამოჯდა.

— არ ვიცოდი, თუ ასეთი დაკვირვებული ბრძანებულ-ხართ, — მითხრა.

— რაზე მიბრძანებთ? — ცოტა არ იყოს შეკრთობით შე-ვეკითხე.

— გავიგე თქვენი სოფლის სკოლის ამბავი. თქვენი წე-რილიც წავიკითხე, — ხაშმელი სოსიკა ხომ თქვენა ბრძანდე-ბით... წავიკითხე მასწავლებლის საჩივარიც და... კაცი რომ თავის თავს უზავს, ქვეყანა რო მიადგეს, — ვერ უზავსო. სწორედ თქვენი სოფლის მასწავლებელს დაემართა.

— როგორ? — გაკვირვებით შევეკითხე, რადგან მასწავ-ლებლის ჩემდამი არაკეთილგანწყობილება ვიცოდი.

— ვითომ თავს იმართლებს, თქვენ გიჩივით, ამ ჩივილით კი თავისი თავი სამარცხვინო ბოძს გააკრა... განა კეთილგო-ნიერ კაცს შეჰფერის აბლანდელ უკუღმართ სკოლას გამოე-სარჩლოს? — რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ჯერ კი-დევ დიდი მუშაობაა საჭირო ავისა და კარგის გასარჩევად. მერე ვინ ირჯება ასე უკუღმართად? — სწორედ ის, ვისი დახ-მარების იმედიც უფრო უნდა გვქონდეს...

— მიჩივის... რაზე?

— ხაშმელი სოსიკა იოსებ იმედაშვილიაო, საეჭვო პი-როვნებაა, მთავრობის ურჩი, ჩემ წინააღმდეგ პირადი ანგა-რიშით წერსო და...

— რას ბრძანებთ: რა მაქვს მასთან საპირადო, — სიტყვა

გადავუჭერ იაკობს, — მისი ადგილი არ მინდა, სამსახური და...

სწორედ ამ დროს შემოვიდა ჩვენებურივე, ჩემი სიყრმის მეგობარი დავით ნახუცრიშვილი (1874-1932), იმ დროს სემინარიელი, შემდეგში — ცნობილი მწერალი და დრამატურგი.

— გთხოვთ იცნობდეთ... აი, თუნდა ამ ყმაწვილს ჰკითხეთ, ის მასწავლებელი ამისი ბიძაა.

— ამანაც რომ არ მითხრას, ისედაც მიხვედრილი ვარ, რომ თქვენ მართალი ბრძანდებით. არსებულ უკუღმართ სკოლის წინააღმდეგ ვინც გაილაშქრებს, ამაში პირადულს მხოლოდ უვიცნი დაინახავენ... მართლა თქვენი ბიძაა ხაშმის ბასწავლებელი? — შეეკითხა იაკობი დავით ნახუცრიშვილს.

— დიაღ!

— მაშ რაკი ასეა, გთხოვთ გააფრთხილოთ... მართალია, საოლქო მზრუნველის სახელზე დაწერილი არზა, რომელშიაც ამ ყმაწვილის წინააღმდეგ ილაშქრებდა... კაცმა რომ სთქვას, უფრო დაბეზღება იყო ის არზა.. დიაღ, ის არზა ჩემის რჩევით, ჩემს თვალწინ დაიხია, მაგრამ რა ვიცი, მერე რომ მოიფიქროს. გადაეცით, რომ ასეთი არზებით საჩივარი არსებული უკუღმართ სკოლების სარჩელია და ყველა იმათი პირში ბურთის ჩაჩრა, ვინც ამ უკუღმართ სკოლების წინააღმდეგ ხმას იმაღლებს...

— რასაკვირველია! — დაუდასტურა დავითმა.

— თქვენ სემინარიელი ბრძანდებით?

— დიაღ!

— ალბად მღვდლად გამწესდებით.

— არა მგონია!

— მაშ მასწავლებლად.

— შესაძლოა!

— სასიამონოა!

— დაიხსომეთ და ბიძათქვენსაც გადაეცით, რომ რიგიანი სახალხო სკოლა ხალხის ბედნიერებაა, მისი სიბნელიდან სინათლეში გამომყვანი, უკუღმართი სკოლა კი დამღუპველი. უკუღმართ სკოლას სჯობია ჩვენი ხალხი ისევ მამა-პაპური წესით ცხოვრობდეს, — მიწის ბეჯითი მუშა მაინც იქნება, პატიოსანი მშრომელი და მეოჯახე, ხოლო უკუღმართად გაზრ-

დილი მიწა-მამულს სწყდება: ვერც ცოდნას იძენს, ვერც მო-ქალაქე იქნება... ალბათ მიმიხვდით, რისი თქმაც მინდა.

— დიაღ, ბატონო! — მიუგო დავითმა.

იაკობმა ხელი ჩამოართვა, მერე მე მომიბრუნდა:

— კიდევ ერთხელ გმადლობთ თქვენი წერილისათვის... მართალია, ის პატარა კორესპონდენციაა, მაგრამ დიდ საკითხს ეხება. გისურვებთ, კვლავ ასეთივე რწმენით ემსახუროთ ჩვენს ქვეყანას!

ხელი ჩამომართო და წავიდა. ჩვენ კარგა ხანს გავცქეროდით გიორგიევის (აწ ჯორჯაძის) ეტლს ქვეიდან ზევით მიმავალ იაკობს, თან ჩვენი მადლობა მისდევდა, გულში კი მისი მუსაიფის შუქი გვინათებდა...

* * *

(ათას ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის შემდეგ რეაქციის წლებშიც... — ზ. ბ.) იაკობი განსაკუთრებით თავის სანიმუშო სახელმძღვანელოებს თანდათან აუმჯობესებდა: თითოეულ ამბავს, მოთხრობას თუ სხვა მასალას ამუშავებდა, ამა თუ იმ სიტყვის მნიშვნელობასა და გამოთქმას ამარტივებდა, ისე ხსნიდა, რომ საქართველოს ყველა კუთხის შვილისათვის გასაგები ყოფილიყო...

სწორედ ამ ხანებში დავუბრუნდი თბილისს გარეკახეთ-ივრისხეობიდან, სადაც ოთხიოდე წლის განმავლობაში რევოლუციურ მოძრაობასა და სოფლის ორომტრიალში ვიყავი ჩაფლული...

ეს იყო 1909 წ. შემოდგომაზე, ხოლო 1910 წ. იანვრის 2-დან დავიწყე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ს გამოცემა ჩემის რედაქტორობით.

რედაქცია მოთავსებული მქონდა ქართული (აწ გრიბოედოვის სახ.) თეატრის მეორე სართულის მარჯვენა ტალანში.

ერთ დღეს შევხედოთ და იაკობ გოგებაშვილმა კარი შეაღო.

— შეიძლება შეგაწუხოთ? — რაღაც უცნაური მოკრძალებით შემომეხმაურა.

— მობრძანდით, მობრძანდით! — მივუგე და კართან მივეგებე.

ეს ერთ დროს ახოვანი ვაჟკაცი რაღაც დაპატარავებული შეჩვენა, მეუცნაურა, თითქოს წყალგადასხმული მობუზული ქათამიაო.

— თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს.

— მიბრძანეთ.

უბიდან ხელნაწერი ამოიღო:

— აი, რა: შეიძლება თუ არა ჩემს წერილს თქვენს ჟურნალში ადგილი დაუთმოთ...

— სიამოვნებით.

— იცოდეთ, თქვენი ჟურნალის ფარგლებს სცილდება, — ეს არ არის სათეატრო წერილი... სულ სხვა შინაარსისაა...

— რაც უნდა იყოს, — იაკობ გოგებაშვილის კალმის ნაყოფს რომელი რედაქცია დაუკეტავს კარებს? — მივუგე.

იამა, სახეზე ნათელი მოეფინა და მომიგო:

— საქმეც ეგ არის. დაუკეტეს და ავტორი პანღურით გამოისტუმრეს.

მეცა, შევაშტერდი.

— არ გჯერათ განა?

— როგორ დავიჯერო, იაკობ გოგებაშვილის წერილი არ დაბეჭდეს და „პანღურიც", — ეგ რა გამაგონეთ!

— ვითომ რატომა?

— იაკობი იმ რიგის მწერალი და მოღვაწეა, რომელსაც ბევრი ქართული პრესა წინ ფიანდაზად უნდა გადაეფინოს...

იაკობი წელში გასწორდა.

— გმადლობთ მაგ თავაზიანობისათვის, მაგრამ ფიანდაზად არა ვთხოულობ, — მხოლოდ გაზეთის მცირე ადგილს ვეშვარიტების აღსადგენად და სიმართლის გამოსარკვევად. და თუ დამიბეჭდავთ, მცირე შენიშვნაც გავუკეთოთ სქოლიოში.

— მიბოძეთ.

— ეს წერილი და შენიშვნასაც აქვე დავწერ, თუ ნებას მიბოძებთ.

— ინებეთ!

საწერ-კალამი და ქაღალდი მივაწოდე.

მე წერილი ჩავათვალიერე.

ზემორეც მოვიხსენიე, რომ იაკობი თავის სახელმძღვანელოში შეტანილ ყოველ სიტყვას, განსაკუთრებით ამა თუ იმ თავისებურ გამოთქმას ამვლელსა და ჩამვლელს, დიდსა და პატარას, სწავლულსა და უსწავლელს ჰკითხავდა, პრესაში არკვევდა. ქვემორე მოყვანილს წერილში აღნიშნული საგნის შესახებ ქართულ პრესაში პოლემიკა იყო ატეხილი. იმ დროის ჟურნალისტებს, რედაქციების პატრონებს, ეს საკითხი ალბად თავმოსაბეზრებლად მოსჩვენებოდათ, და იაკობისთვის წერილი აღარ დაებეჭდათ. იაკობი კი ისეთი იყო, მოკამათეს, როგორც იტყვიან, რჯულამდე ჩაჰყვებოდა, თუ მისი აზრი საეჭვოდ მოეჩვენებოდა.

იაკობ გოგებაშვილის ქვემორე წერილი 41 წ. წინად დაებეჭდე ჩემს ჟურნალში, — აწ მომყავს იმის ცხადსაყოფელად, რომ ახალმა თაობამ გაიგოს, ისეთ ბუმბერაზებსაც კი, როგორც იაკობ გოგებაშვილია, რა ბრძოლა უხდებოდათ გარეშე თუ შინაურ მოწინააღმდეგეებთან.

აი, ეს წერილიც თავისი შენიშვნით:

„ბატონო რედაქტორო! ეს პატარა წერილი გავგზავნე დასაბეჭდად „სახალხო გაზეთში", სადაც იყო მოთავსებული ბ-ნის წერეთლის ღია წერილი, მაგრამ რედაქციამ არ ინება მისი დაბეჭდვა. მართალია თვით მან, რედაქციამ სამასხარო კუდი გამოაბა წერეთლის წერილს ასოთამწყობის სხოლიოთი, მაგრამ ეს მაინც მე უფლებას არ მაძლევს უპასუხოდ დავტოვო ღია წერილი და არ ვუძღვნა ღიავე პასუხი ბ-ნს წერეთელსა. ამის გამო გთხოვთ ეს ჩემი რამდენიმე სტრიქონი მოაქციოთ თქვენს ჟურნალში.

იაკობ გოგებაშვილი

„პატარა ღია პასუხი დიდს ღია წერილზე"

ბატონო ლავრენტი წერეთელო! ჩემის მხრივ უზრდელობა იქნება უპასუხოდ დავსტოვო თქვენი ღია წერილი, ჩემდამი მოზართული. ამის გამო მოგახსენებთ შემდეგსა: „დედა-ენის" უკანასკნელს ოცდამეათე გამოცემაში, რომელიც უკვე ათასობით მოიფინა საქართველოში, ოფოფი აღარ გაიძახის არც „კუკუსა" და არც „ჰოპოპსა", მთლად დამუნჯებულია და შემდეგშიაც მუნჯად დარჩება, რადგანაც „დედა-ენას" ჩვენივით ეჯავრება ყოველი საეჭვო რამე

(ხაზგასმულია ჩემს მიერ. — ი-ი) და ეს დამუნჯება ახიც არის ამ ფრთოსანზე, რომელიც იმდენად გაურკვეველად ბურტყუნებს, რომ ერთს ქვეყანაში ასე ესმით მისი ბურტყული, მეორეში ისე, მესამეში სხვაფრივ და სხვანი. არა ჰგავს გუგულსა, რომელიც ერთსა და იმავე გარკვეულს ხმას მკაფიოდ გაიძახის ყველგან და მოგაგონებს ინტელიგენტს, რომელიც მტკიცედ და ცხადად ადგია ერთსა და იმავე მიმართულებასა ყველგან და ყოველთვის.

თქვენ, ბატონო წერეთელო, თქვენსას მაინც ნუ დაიშლით, ახლა სამშობლოში — შინდისში, ახალი, დაწვრილებითი გამოძიება მოახდინეთ შინდისელი ოფოფის ხმაურობის შესახებ, ნოტებზე გადაიღეთ მისი ბურტყული, გრამოფონითაც ჩაბეჭდეთ, როგორც ეს გირჩიათ „სახალხო გაზეთის“ ასოთამწყობმა და გამოამზეურეთ, გამოაქვეყნეთ და ყველა პედაგოგს, რომელიც ისარგებლებს თქვენი აღმოჩენით, გადაახდევინეთ თ ქ ვ ე ნ ი ასი თუმანი, არც მეტი და არც ნაკლები.

იაკობ გოგებაშვილი

(ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1910 წ. № 39, გვ. 12)

ე

როგორი იყო როგორც მებრძოლი, სამშობლო ქვეყნის უფლებათა, პედაგოგიურ შეხედულებათა და საკუთარი რწმენის დაცვის საქმეში?

დაუნდობელი, პირდაპირი, შეუდრეკელი, ურყევი!

სამშობლოს სადარაჯოზე ისე იდგა ბასრი კალმით, როგორც ერეკლე მეფე მტრის წინააღმდეგ ხმალამოღებული.

საქართველოს გაერთიანების, აღორძინების, გათვითცნობიერების საქმეში თუ ვისმეს დიდი ღვაწლი შეუტანია. იაკობი აქ პირველ რიგში იდგა.

და დღეს, როცა მთლიან საქართველოს გულისცემას ვისმენ, მარად და ყველგან იაკობის გულისცემას ვგრძნობ. როგორც მოქათქათე მზის სხივები, მისი სახე ისე მესახებ და ილია თუ ღრმა აზრის მჭედელი იყო, — ძილში ჩაფლული ერის გაღვიძებისაკენ მიმწოდებელი, აკაკი — ერის გულში

რწმენის ჩამთესი, უკეთესი მერმისის ნაპერწკალთა მკვეთავი,
მამულიშვილურ გრძნობათა კოცონის აღმგზნები, — იაკობი
ორივე ამასთან ერთად, — ბნელში სინათლის შუქი — სიბნე-
ლის მფანტველი, ერის საკუთარ შეგნების ფეხზე დადგომი-
სათვის ყავარჯნის მიმწოდებელი.

დიდება მის ხსოვნას, გზა ფართო მის ნათესს!

15/X — 40

28/X — 51

იაკობ გოგებაშვილი
(ერთი ეპიზოდი მის ცხოვრებიდან)

იაკობ გოგებაშვილი, როგორც მოგეხსენებათ, ხმალამოღებული ედგა ხოლმე „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სკოლების ინტერესებს და მაშინათვე პირში სწვდებოდა, ვინც ასე თუ ისე ამ საზოგადოების სკოლების სახელის გატეხას და თუნდ მცირედის ჩირქის მოცხებას განიზრახავდა.

ხსენებულ საზოგადოებას, სხვათა შორის, კავკავშიაცა ჰქონდა გახსნილი სკოლა, რომელსაც ინახავდა „წ.-კ. საზოგადოების“ კავკავის განყოფილება. 1903 წ. ამ სკოლაში ერთ სამწუხარო ინციდენტს ჰქონდა ადგილი. სკოლის ერთერთმა მასწავლებელმა გაჯავრების დროს დამნაშავე მოწაფის დასასჯელად მეტად ანტიპედაგოგიურ ხერხს მიმართა: ცალი ყური აუწია და ისე ღონივრადაც მოუხდა ყურისაწევა, რომ სისხლი დაადინა. დაშავებულმა ბავშვმა, რა თქმა უნდა, დედმამას შესტირა, ხოლო დედ-მამამ ტფილისში საზოგადოების მთავარსამმართველოში გამოგზავნა საჩივარი დამნაშავე მასწავლებელზე.

ეს ამბავი, რა თქმა უნდა, გაიგო განსვენებულმა იაკობ გოგებაშვილმა, როგორც გამგეობის წევრმა, და გაზეთში წერილი დაბეჭდა ამ სათაურით: „კავკავის ქართულ სკოლაში (ეს და ეს მასწავლებელი) ხელით შეეხო მოწაფესაო“. სკოლის პასუხისმგებელ ზედამხედველად მაშინ იყო კავკავის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი პ. გ., რომელმაც გაზეთისავე საშუალებით, გამოაცხადა, ხსენებული ფაქტის მსგავსი სკოლაში არაფერი მომხდარაო. მე, როგორც კავკავის ქართულ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის წევრს, იაკობ გოგებაშვილი ოფიციალურად ტელეგრამით დამეკითხა და-

მედასტურებინა მომხდარი ფაქტის სინამდვილე, რაც მე ტე-
ლეგრაფითვე შევატყობინე.

იაკ. გოგებაშვილსა და კავკავის სკოლის ზედამხედველს შორის გამართულ პოლემიკაში ჩაერია თვით „წერ.-კით". საზოგადოების გამგეობა და საქმის გამოსარკვევად კავკავში გამოგზავნა ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე, რომლის თანადასწრებით კავკავის ქართულ სკოლის მასწავლებელთა და იქაურ ქართველობის შეერთებულ სხდომაზე დაშავებულ მოწაფის დედ-მამამ დაადასტურა იაკობ გოგებაშვილის მიერ გაზეთში გამოქვეყნებული ფაქტი მასწავლებლის მიერ უტაქტო საქციელის ჩადენისა.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი

არა მგონია, რომ სრულიად საქართველოში იყვეს ამ ჟამად იმისთანა წიგნის მცოდნე ადამიანი, რომელსაც არ გაეგონოს იაკობ გოგებაშვილის სახელი. მისი „დედა-ენა", „ბუნების კარი" და სხვა მრავალი წიგნაკები ათასობით ეფინებოდა ყოველ წლივ მთლად ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მათის დახმარებით სწავლობდა ქართველი ბავშვი წერა-კითხვასა, იგინი შეადგენდნენ საფუძველს სახალხო სკოლისასა, ეს წიგნები გვასწავლიდნენ ჩვენ საქართველოს ყოველ მხარესა: მის მთა და ბარს, მის მიწა-წყალს, მის ჰავას, ჰაერს, მოსავალს. უმთავრესი ყურადღება კი მიქცეული იყო ამ ქვეყნის მცხოვრებთა ვინაობაზედ: ქართველი ერის წარსული და აწმყო: ენა, სარწმუნოება, ზნე-ჩვეულებანი, გონებითი და ქონებრივი მდგომარეობა მისი, აწინდელი გაჭირვება და გამამხნევებელი იმედი ბრწყინვალე მომავლისა, აი ის უმთავრესი საგნები, რომელთაც ყოველ წამს თავს დასტრიალებდა გრძნობა-გონება განსვენებულ ბრძენისა. ამნაირად გვასწავლიდა სამშობლო ქვეყანას და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ შეეყვარებინა ჩვენთვის იგი ისე, როგორც მას უყვარდა. მან კარგათ იცოდა, რომ სწავლა-ცოდნა საყოველთაო ძალაა, რომ ეს ძალა ქართველსაც ისე ამოუდგება მხარში, როგორც მის დაუძინებელ მტერსა... ამის გამო მთელი მოღვაწეობა იაკობისა მიქცეული იყო მასზედ, რომ ეს დიადი ძალა — სწავლა-განათლება — დაეკაგშირებინა სამშობლო ქვეყნის სიყვარულისათვის. პატრიოტული გრძნობა და მეცნიერული განათლება — აი ის უპირველესი საგანი, რომელსაც სიტყვით, საქმით, მთელი თავისი ცხოვრება-მოღვაწეობით ემსახურებოდა დიდებული მამულიშვილი.

იაკობ გოგებაშვილი დაიბადა გორის მაზრის სოფელ ვა-
რიანში. ეს სოფელი მდებარეობს დიდი ლიახვის მარჯვენა ნა-
პირზე. წყალდიდობას სოფლის მხარეს ხშირად გადაევარდება
ხოლმე ლიახვის წყალი რისგამოც ჩნდება ჭაობები. ამის გამო
ჰავა ამ სოფლისა ვერ არის საღი და შეიძლება ეს იყვეს მი-
ზეზი იაკობის გამუდმებულის ავათმყოფობისა. ამასთანავე
იაკობის დედა, ძმა და ერთი დაც ჭლექით დაიხოცნენ. ფილ-
ტვების სნეულება იაკობსაც სტანჯამდა და თუ სამოცდაათ
წლამდე მოახწია, ეს აიხსნება მისი გასაოცარი გაფთხილები-
თა, ნამდვილ ჰიგიენური ცხოვრებითა. სწავლა განათლება
თბ. სასულიერო სემინარიაში მიიღო და შემდეგ, როგორც
პირველი მოსწავლე, სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქმნა
კიევის სას. აკადემიაში. ეს ის დრო იყო, როდესაც მთელი
რუსეთის ცხოვრება მესამოცე წლების ზეგავლენით სდუღდა
და გადმოდიოდა. თვით აკადემიაში დიდათ განვითარებული
და მაღალი გონების პროფესორები კითხულობდნენ ლექცი-
ებს. იმავე დროს კიევში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ
ორი წარჩინებული ადამიანი — პიროგოვი და უშინსკი. ამათი
დიდებული სახელი ყოველ მაშინდელ ახალგაზდას პირზე
ეკერა, მათი მოძღვრება, მაღალი მისწრაფებანი გასაოცარის
სისწრაფით ეფინებოდა ამ ახალგაზდის ჭკუა-გონებასა. რაღა
თქმა უნდა, რომ იმისთანა ნიჭიერს და ცნობის მოყვარე ყმა-
წვილს, როგორიც იყო იმ დროს იაკობი, არ გამოეპარებოდა
ეს მოძრაობა. შესაძლებელია რომ სწორეთ ამ პიროგოვისა
და უშინსკის გავლენით ჩაენერგა მას გულში სურვილი პე-
დაგოგიური მოღვაწეობისა. თვით აკადემიაშიც ჩინებულად
იყო დაყენებული ფილოსოფიისა, ფსიხოლოგიისა, პედაგოგი-
კისა, ისტორიისა და სიტყვიერების ლექციების კითხვა.
ყველა ამ ლექციებს არა თუ ისმენდა გულდადებით, არამედ
მოკლედ სწერდა ხოლმე კიდეცა. ამას არა სჯერდებოდა,
დღე და ღამ განუყრელად ხელში ეჭირა სხვა და სხვა თხზუ-
ლებანი, კითხულობდა და სწავლობდა მათ შინაარსსა. პირ-
ველსავე წელიწადს მან მიიქცია პროფესორების ყურადღება
თავისი ნიჭითა და ფილოსოფიურის განვითარებით. მეორე
წელიწადს იგი გარდაიქცა მთელი აკადემიის სიამაყე სტუ-
დენტათ. ბედნიერ ახალგაზრდას უცებ ცხოვრება უკუღმა და-
უტრიალდა: რუსეთულმა სიცივემ ბჭყალები ჩაუყარა მის

ისედაც სუსტ აგებულობას: იწყო ნელნელა ავათმყოფობა, სოლო მესამე წელიწადს ცხადად გამოაჩნდა ნიშნები ჭლექისა. იძულებული გახდა სწავლისათვის დაენებებინა თავი და დაბრუნებულიყო საქართველოში. ეს მოხდა, ვგონებ, სამოცდამეხუთე წელსა. როდესაც ცოტაოდენი შომაგრდა, მან იწყო სამსახური. განწესებული იქმნა თბ. სას. სასწავლებლის გეოგრაფიისა და არიჰმეტიკის მასწავლებლად. მაშინ სემინარიაცა და ეს სასწაელებელიც ერთ შენობაში იყვნენ მოქცეულნი. ამავე შენობაში ცხოვრობდა ახალგაზრდა მასწავლებელიცა.

საშინელება იყო მაშინდელი მდგომარეობა უბადრუკი სემინარიელებისა! წლიურ სახარჯოთ საკითეულ მოსწავლეზე სულ ხუთიოდ-ექვსი თუმანი იყო მთავრობისაგან გადადებული. და ამ საცოდავი გროშებიდანაც თითქმის განცხადებით იპარავდნენ სხვა და სხვა სამსახურის მოხელენი დაწყობილი უფროსიდან მზარეულის უნცროს თანაშემწემდე. ამისგამო როგორც ჩაცმა-დაბურვა, ისე სმა და ჭამა მოსწავლეებისა ღვთის ანაბარას იყო მიგდებული. გამხდარ-გაყვითლებული, (...) გლახებსავით აბრანძულნი, უსუფთაონი დიდ ძაღლ-უმადურათ ატარებდნენ იგინი თავიაანთ კარჩაკეტილ ბურსაკულ ცხოვრებასა. ამაზე უარესათ იყო დაყენებული სწავლა-აღზდის საქმე. ერთიცა და მეორეც მხოლოდ შიშზე, მრავალ გვარ სასჯელებზე იყო დამყარებული. ახსნა გაკვეთილისა მაშინდელ მასწავლებელს ფიქრათაც არ მოუვიდოდა. „აქედან აქამდისინ“ — იტყოდა იგი და გულდამშვიდებით გავიდოდა კლასიდამ. რადგან მთლად სასწავლებელში ძიელ ცოტანი იყვნენ ხეირიანად მცოდნენი რუსული ენისა, ამისგამო ახსნით, თავისი სიტყვით გაკვეთილის დასწავლა შეუძლებელი იყო. ამიტომაც კაჭკაჭური უაზრო ზეპირობა ტეინსა და გონებას ულაყავდა საბრალო მოსწავლეებს. უმთავრესი საგანი სწავლებისა იყო სამღვთო წერილი. მთელი ათი-თორმეტი წელიწადი და ხშირად თხუთმეტიცა მოსწავლეს უნდა ეზეპირნა. ეღეჭა ეს საგანი და მაინც კი იქიდან ვერაფერს ითვისებდა, გარდა მის შესახებ განუზომელის სიძულვილისა. ამ სიძულვილს ერთიორათ აორკეცებდა ყოველ კვირაუქმე დღეებში აუცილებელი და ხანგრძლივი გაშეშებული დგომა ეკლესიაში მონასტრული წირვა-ლოცვის დროსა. ფეხზე დგო-

ჯ. თ არაქათ გამოლეულ მოსწავლეებს ხშირად უწუხდებოდათ გული; წმირათვე იქვე, წმიდა ტაძარში, ხდებოდა სხვა და სხვა უწმაწურობა, რადგან კარზე გამოსვლა ფიცხელად იყო აკრძალული. მოსწავლე-მასწავლებელნი ორ მტრულ ბანაკად იყვნენ გაყოფილნი. ბურსაკების სამაგალითო, ნამდვილი გმირი ის იყო, რომელიც უფრო მეტს უსიამოვნებას აყენებდა უფროსებს. სიბრიყვე და უზდელობა, საზიზღარი ლანძღვა-გინება და უწმაწური სიტყვა-პასუხი მრავალთაგან ღირსებით იყვნენ აღიარებულნი. მთელი ცხოვრება უბედური სასწავლებლისა იყო მოცული გონებითი და ზნეობრივი წყვდიადითა. და აი ამ წყვდიადში უცებ აინთო ბრწყინვალე ლამპარი განათლებისა, სიწმიხდისა და სიყვარულისა. ეს იყო მაღალის აზრებით ნათელმოსილი პიროვნება იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილისა.

* * *

პირველ ხანად ავათმყოფობის გამო განდეგილივით ცხოვრობდა. არც თითონ დადიოდა ვისთანმე და არც სხვანი დაიარებოდნენ მასთან. აივანზედაც კი მხოლოდ მაშინ გამოდიოდა თუ რომ თბილი მზიანი დღე იყო და ნიავიც არსაიდან არ იძროდა. მთელ თავის სიცოცხლეს, ამნაირად, იგი ატარებდა ორ პატარა ოთახში, მაგრამ ეს ორი ოთახი ისეთ ადგილას იყვნენ და ფანჯრები მათი ისე იყვნენ მოწყობილნი, რომ რაც კი მთელი დღის განმავლობაში ხდებოდა მათში, ყოველივე ეს როგორც ხელის გულზე, ისე იყო გადაშლილი მოსწავლეების წინაშე. უკანასკნელნი ხედავდნენ იაკობის განუწყვეტელ მუშაობას. გაკვეთილების მომზადებას მოსდევდა რვეულების გასწორება, ამას სხვა და სხვა წიგნების კითხვა, ხოლო კითხვას წერა რუსულად და ქართულად. უფროსი კლასის თითოოროლა მოსწავლე ხანდისხან დაიარებოდნენ იაკობთან და შემდეგ ამათ გამოჰქონდათ მისი აზრები, სიტყვები, მისწრაფებანი, რომელნიც ელვასავით ეფინებოდა მთელ სასწავლებელსა. მოსწავლეებმა იცოდნენ რას კითხულობდა იაკობი, რა მოსწონდა, რა სძულდა. როგორ უცქეროდა იგი სემინარიის აწინდელ ცხოვრებას და რას

ითხოვდა მომავლისაგან. ესე ყოველი მტკიცედ ებეჭდებოდათ სულსა და გულში ახალგაზდა ბურსაკებს, ცდილობდნენ მათ გახხორციელებას თავიანთ ცხოვრება-მოქმედებაში, ჰბაძამდნენ მას ყველაფერში, ნატრობდნენ მისი ყურადღების დამსახურებას. იმ დროს ექსარხოსად ბძანდებოდა მთავარეპისკოპოსი ევსევი, კაცი მედიდური, მუდამ ძვირფას ფარჩა-ხავერდის კაბა-ანაფორაში გამოწყობილი, (...), ქვეშევრდომებთან დიდი მოტრფიალე ლანძღვა-გინებისა და წყევლა-შეჩვენებისა. მთელ სემინარიას საშინელი შიშის ზარი დაეცემოდა ხოლმე, როცა იგი მოვიდოდა. ფერწასული, შემკრთალ-შეშინებულ მასწავლებელნი მონებისავით ეხვეოდნენ გარშემო და მოწიწებით ეგებებოდნენ მის უსამართლო და უშვერ ლანძღვა-გინებასაც კი. უნდა გენახათ ბურსაკების აღტაცება და სიხარული, როდესაც ამ სავაგლახო მონებში ჩაერეოდა იაკობი, წარბშეკრული, ამაყად თავაღებული, ხმა მაღლა და თამამად მოლაპარაკე. რაღა თქმა უნდა, თავგასულ ბერს არ მოსწონდა ქედმაღლობა ახალგაზდა მასწავლებლისა, შორიდან ემუქრებოდა, მაგრამ ახლო კი ვერაფერს უბედავდა. ისე არ მოვიდოდა სემინარიაში, რომ არ დასწრებოდა იაკობის გაკვეთილსა, და მაშინ უნდა გენახათ ეს საკვირველი ადამიანი როგორ დატრიალდებოდა ხოლმე ჯარასავით კლასშია. როგორის უნარით აუხსნიდა მოსწავლეებს გაკვეთილსა, გაამეორებინებდა, დაასწავლიდა და ბოლოს მოკლედ ჩააწერინებდა მის შინაარსს რვეულში. ექსარხოსის შეკრული წარბები ნელნელად იხსნებოდა, მრისხანე სახე სათნოიან გამოხატულებას იღებდა და წინათვე დამზადებული შენიშვნების ნაცვლად, ლოცვა-კურთხევა გადმოდიოდა მისი ბაგედან. „დიდი ნიჭის პატრონია“, უთხრა ერთ ამისთანა დროს დაბალის ხმით რექტორსა — ეგ რომ მატერიალისტი არ იყვეს, ღირსია დიდი თანამდებობისაო.

ზეპირობა გაკვეთილებისა, ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება მოსწავლეებისა სამუდამოთ განიდევნა სასწავლებლიდან. მათ ნაცვლად დამყარდა მამაშვილური, კაცთმოყვარული დამოკიდებულება უფროს-უცროსებს შორის. ამასთანავე დიდათ გაუმჯობესდა სმა და ჭამა, ჩაცმა-დახურვა მოსწავლეებისა. სულგრძელი და მომთმენი იაკობი ცეცხლივით აინთებოდა, როცა ხელმრუდობას, ანუ საქმის ღალატსა ხედავდა. თვით

სნგარიშის კაცი, ყოველ გროშს ანგარიშს უწევდა და ამის გამო არც ერთი კაპეიკი მოსწავლისა არსად არ იკარგებოდა. ასწავლიდა უფროს კლასში გეოგრაფიას და არითმეტიკასა, რომ უფრო კარგათ წასულიყო სწავლება ქართული ენისა, რომ მეტი სიყვარული და პატივისცემა ჩანერგილიყო მოსწავლეთა გულში ამ ენის შესახებ, თვით აიღო რამდენიმე გაკვეთილი ამ საგნისა და ასწავლიდა ისეთისავე მნიშვნელობით, როგორც უმთავრეს და სავალდებულო საგნებსა. ამგვარად საქმის დაყენებას მალე მოჰყვა შესაფერი და ბრწყინვალე შედეგიცა. სემინარიაში მიღებულ მოსწავლეთა შორის პირველი ადგილები დაიჭირეს იაკობის მოწაფეთ. გავიდა ორი-სამი წელიწადი. სასწავლებლის გაუმჯობესობა სულ წინა და წინ მიდიოდა. ხოლო თვით მისი ხელმძღვანელი კი, ცუდათ და ცუდათ ხდებოდა. ჯანმა ვერ შეუძლო გონების აღფრთოვანებას. გამუდმებულმა შრომამ და ფრთხილ ცხოვრებაზე ხელის აღებამ, იაკობს ხელახლა აუშალა ძველი სნეულება. მოუხშირა სიცხემა და ხველამ. ხანდისხან ნახველს სისხლსაც ატანდა. იაკობი შეშინდა, ძალა უნებურად დაუბრუნდა ძველებურ ცხოვრებას, შრომას უკლო, გაკვეთილებს აკლდებოდა, შინიდან კარზე ხშირად ველარ გამოდიოდა. რაკი ცოცხალ საქმეს ერთგული თვალ-ყურის ჭერა მოაკლდა, მრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. ერთმა სულმდაბალმა არსებამ ბუნების-კარში მოთავსებული აღწერა მაიმუნების ცხოვრებისა რუსულად გადასთარგმნა და იმავე (პოჰვანკას) დახმარებით წარუდგინა ექსარხოსს, რაღა თქმა უნდა, შესაფერის დასკვნით. გაჩნდა კლიაუზნიკური მიწერ-მოწერა, იაკობის წინანდელმა მტრებმა ხელახლა წამოყვეს თავი. ერთი ამათგანი იყო არდაზიანი, გამაბედნიერებელი შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძარისა. კანცელარია აურ-დაურიეს, შესავალ-გასავლის წიგნები მოიპარეს, სხვა და სხვა საბუთები აქეთ-იქით მიჩქმალეს... ოთახში შემწყვდეულ ავათმყოფს სულ უბრალო საქმე რომ მოეკითხნა, მის პოვნას და მოტანას ძლივ-ძლიობისას ახერხებდნენ. ექსარხოსის მტრობა, რექტორის კლიაუზნიკობა, გარშემო მყოფთა სულმდაბლობა, საზარელი სენის გაძლიერება, ერთგული მეგობრების განშორება, — აი ის ბოროტებით სავსე გარემოებანი, რომელთა შეერთებული ძალა კარს მოადგა იმ ჟამად იაკობსა... და ამ ბო-

როტი ძალის თავდასხმას ვეღარ შეუძლო დასუსტებულ მა ადამიანმა. ნერვები ძალზე მოეშალა, მძლავრი გონება დაუსუსტდა და აფორიაქებული ნერვების საბურთაოდ გახდა. იაკობის ოთახიდან ხშირად ისმოდა გაჯავრებული ძახილი, მუქარა, წყევლა-შეჩვენება. სემინარიელები ხშირად დაიარებოდნენ სახ. სასწავლებელში და თითქმის ყოველთვის ერთი მეორეზე უფრო შემაწუხებელი, დამაღონებელი ანბები მოჰქონდათ. ერთ დილით გაისმა — იაკობი სადღაც დაკარგულაო!.. ამ ხმამ ელდასავით დაურბინა მთელი სემინარიის მოსწავლეთა სულსა და გულსა. იმავე წამს თითქმის სრულიად დაცარიელდა უზარმაზარი შენობა სემინარიისა... გუნდგუნდათ მოედვნენ თბილისის გარშემო მდებარე მთა და ბარსა, ნიკო ცხვედაძეს და გიორგი იოსელიანს მეთევზეები დაექირავებინათ, ნავებში ჩაესხათ და ბადეებით აძებნინებდნენ დაკარგულის გვამსა. ასე გაგძელდა მთელი დღე. საღამოზე საიდგანღაც გავრცელდა სანუგეშო ხმა... ბინდისას სემინარიაში მოვიდა ნიკოს უნცროსი ძმა, სახალხო სკოლის მასწავლებელი, გლეხკაცის ერთგული მეგობარი, ყოვლად პატიოსანი ადამიანი, ალექსანდრე ცხვედაძე და გვიანბოდ: დილის ცხრა საათი იქნებოდა, ვერაზე სასაფლაოს გადასწვრივ დაღმართზე ვიყავ წამოწოლილი და მტკვარს გადავცქეროდიო. მტკვრის მარცხენა ნაპირიდან მოადგა ვიღაც კაცი, ისე გაუხდელი შემოვიდა წყალში და ღრმა აღგილას ჩავარდაო. რამდენსამე ხანს აღარ სჩანდა, მერმე უცებ გამოჩნდა, იწყო წყალთან ბრძოლაო... მე მაშინათვე ჩავირბინე ფერდობი და, როდესაც ნაპირთან ჩავედი, ის კაციც იქვე გამოვიდაო. შევხედე და თავზარი დამეცა: ეს იყო იაკობ გოგებაშვილიო. აქ ტანისამოსი გაუწურე, ჩემი მშრალი პალტო ჩავაცვი და წამოვიყვანე, მერმე მე და ნიკომ მიხეილის საავათმყოფოში წავიყვანეთ და იქ დავაწვინეთო.

* * *

ორიოდ კვირის შემდეგ იაკობი ვნახე სულიერ ავათმყოფთა განყოფილებაში. დილის ათი საათი იქნებოდა. მე შემიყვანეს გძელ დერეფანში, რომელსაც მარჯვნივ ბაღში გამავალი ფან-

ჯრები ჰქონდა ჩამწკრივებული, მარცხნივ კი მრავალი კარებები ოთახებისა. გაიღო ეს კარებები და აქედან საშინელის ყეყეჩ-ყეყეჩით, ხტუნაობით გამოცვივდნენ სამოცამდე სულით ავათმყოფნი. ზოგი მღეროდა, ზოგი ლეკურს უკვლიდა, ზოგიც ყირამალა გადადიოდა. მართალია საშიში ამათში არავინ ერია, მაგრამ მათი პირუტყვული ხმაურობა, არეული თვალხვა, შეშლილი სახე ძალაუნებურად ჟრუანტელს მოგგვრიდათ ძარღვებში. მთელი დერეფანი აივსო ამ უბედურების არევ-დარეული ღრიანცელითა. თვალზე ცრემლები მომადგა, როდესაც ამავე დერეფნის ბოლოში მიჩვენეს იაკობის ოთახის კარები. ვნახე ძვირფასი მასწავლებელი. გამხდარ-გაყვითლებულ სახეზე სეედიანათ გამოიყურებოდნენ მისი დაღონებული თვალები. სტოლზე კარგა მოზდილი ნაწერი რვეული ედო, რომელსაც სათაურზე „კონა“ ეწერა. წიგნს ვადგენო, წარმოსთქვა დაბალის ხმით იაკობმა. „დედაენიდამ“ „ბუნების კარზე“ გადასვლა ძნელია მოსწავლისათვის. მინდა წავადგინო ისეთი წიგნი, რომელიც შეაერთებს მოხსენებულ ორ სახელმძღვანელოს. ეს აზრი, როგორც ვიცით, ვერ გაუმართლდა იაკობს. „კონა“ დაიბეჭდა, მაგრამ სახელმძღვანელოს მნიშვნელობა ვერ მოიპოვა, დარჩა საკითხავ წიგნათა. ერთი თვის შემდეგ იაკობმა საავათმყოფოს თავი დაანება. იგი დაბინავდა თავის ერთგულ მეგობართან — ნიკო ცხვედაძესთან მთაწმინდაზე. იდგა ზამთარი. იაკობის სანახავათ მიველი ამ ბინაზე. გაჩაღებულ ბუხრის წინ იჯდა და რაღაც ქაღალდებსა შინჯავდა. ფერი მოსვლოდა, სახე დამშვიდებოდა, მხიარულად მომეგება. რამდენისამე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკოც და თან შემოიტანა თავისი ჩვეულებრივი მხიარულება და აღფრთოვანება.

— როგორა ხარ, იაკობ? კარებიდგანვე შემოსძახა მეგობარმა.

— აი, ეს წყეულები მაწუხებენ, უპასუხა მან. მიწდა მოვიშორო თავიდამ. სთქვა თუ არა ეს, სტოლიდან აკრიბა მთელი ბღუჯა რუსულად დაწერილი ქაღალდები და გაჯავრებით შეჰყარა გაძლიერებულ ბუხარში.

— რა იყო, იაკობ? რა ქაღალდები უთავაზე ამ ჩვენ მხიარულ ბუხარსა? ჰკითხა ღიმილით ნიკომ.

— დავწვი ჩემი გემები, რომ უკან დაბრუნება აღარ შეძ

ლოს, — წარმოსთქვა იაკობმა... ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, საჰსახურის სია და სხვა საბუთის ქაღალდები — ყველანი ცეცხლს მივართვი. ვაი თუ მაგათის წყალობით კიდევ გამღვიძებოდა სურვილი სამსახურში შესვლისა... ამიერიდგან მთელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონე ჩემს ქვეყანას უნდა მოვახმარო.

— გამარჯვება იაკობს, შესძახა აღტაცებით ნიკომა — მხარზე ხელი გადასდო და წარმოსთქვა:

— ქვეყნის სამსახურს, იაკობ, არც მე გავექცევი... ვფიცამ პატიოსნებას და იმ ქვეყნის მომავალსა. ესეთი ფიცი წარმოსთქვეს ერთმანეთის წინაშე ამ ორმა ჩინებულმა ადამიანმა და როგორც შეასრულეს ეს ფიცი, ყველამ კარგათ იცის ამჟამად.

1871 წლამდე იაკობი მარტოთ-მარტოკა მოღვაწეობდა. მოხსენებულ წელს კი მოსკოვის სას. აკადემიიდან დაბრუნდნენ სამშობლო ქვეყანაში ორი ახალგაზდა ქართველი — განსვენებული ნიკო ცხვედაძე და პატივცემული გიორგი იოსელიანი. ეს ორივენი განწესებულ იქმნენ სემინარიის მასწავლებლებათ. ამათზე ცოტა წინ იყო მოსული თომა ტურაშვილი, რომელიც ამ სამის წლის წინათ გარდაიცვალა და მთელი თავისი ქონება წერა-კითხვის საზოგადოებას უანდერძა. მეორე წელიწადს ამათ მოემატათ ორნი ძმანი ცვეტკოვები. პატიოსანი და მაღალნიჭიერი ადამიანები. ესენი იყვნენ ღვდლიშვილები, საქართველოში დაბადებულნი და აღზდილნი. მოვიდნენ თუ არა, მაშინათვე ქართველ მასწავლებელთ დაუახლოვდნენ. ამნაირად შესდგა ბატარა ჯგუფი, რომელმაც თავისი მოღვაწეობის მიზნით სემინარიის მოსწავლეთა სწავლა-აღზდის და საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობა დაისახა. ესენი ხშირად იკრიბებოდნენ ერთმანეთთან და უფრო-კი იაკობთან... სჯიდნენ, ბაასობდნენ დასახული მიზნის შესახებ. ეს ბაასი ხშირად მოსწავლეებშიაც გამოდიოდა. უმრავლესობა, რაღა თქმა უნდა, აღტაცებით ეგებებოდა ყველა ამას. სამწუხაროდ სემინარიელთა შორის იყვნენ სულმდაბალი ყმაწვილები, რომელნიც ენას ატანტალებდნენ უფროსებთან. ამათის წყალობით, რაც კი რამ ხდებოდა გულწრფელ და გამოუცდელ მასწავლებელთა მოხსენებულ ჯგუფის კრებებზე, ყველა ეს საჩქაროზე მიაღწევდა ხოლმე უფროსების ყურე-

ზამდე. უფროსათ, ანუ რექტორად სემინარიისა მაშინ არჩი-
მანდრიტი ვალენტინი იყო, კაცი გაუნათლებელი, ბლუ, ლო-
თი და ზნეობა დაცემული. ექსარხოსთან დაახლოვებული
ბძანდებოდა, თავის უფლებათ მის გავლენასაც უერთებდა
და ამ ორნაირის ძალით დიდად აფერხებდა ჯგუფის პროგრე-
სიულ მისწრაფებათა განხორციელებას. ცხადია, რომ უწინა-
რეს ყოვლისა ჯგუფის ყურადღება ამ კაცის თავიდან მოშო-
რებაზე იქნებოდა მიქცეული. მის მაგივრად რექტორად სემი-
ნარიისა უნდოდათ მაგისტრი ღვთისმეტყველებისა დიდათ
პატივცემული დეკანოზი მ. გიორგი ხელიძე, რედაქტორი სას-
ჟურნალის „საქართველოს მახარობლისა“. უნდოდათ აგრეთ-
ვე ორი ყოვლად უვარგისი მასწავლებლის განდევნა სემინა-
რიიდანა... კავროვისა და მამა კოროლევსკისა. პირველი ას-
წავლიდა ფილოსოფიას, მეორე ფიზიკასა და მათემატიკას.
პირველი თავის გაჩარებული და დაუსრულებელი ლაპარა-
კით წააგავდა უფრო წისქვილის სარეკელას, ვიდრე მასწავ-
ლებელსა და როგორც სარეკელას კაკაკუკიდან ადამიანი ვე-
რავითარ აზრს ვერ გამოიტანს, ისე ამ კაცის ვითომდა ლექ-
ციებიდან არაფერი არა გამოჰქონდათრა მოსწავლეებს. ამ
ბაჯაჯღუნა უსახო ადამიანისთვის მრავალ მოწყალე მეუფეს
ყოველ სიკეთესთან ერთი წყალობაც ზედ დაემატებინა: ცა-
ლი თვალით ბრმა იყო. შემოცუნცულდებოდა კლასში, დაჯ-
დებოდა სკამზე და იმავე წამს კაი იორღა ცხენივით გაჰკრავ-
და. ვერც წერტილს და ვერც მძიმეს მის ლაპარაკში კაცი
ვერ შეამჩნევდა. სხაპასხუპით ისროდა სიტყვებს, მიჰქროდა
მიაჭენებდა... და ის, რაც ამ დროს კლასში ხდებოდა, უკაც-
რაული პასუხია, იმას ფეხებზედაც არ ეკიდა. კლასში კი
ათასნაირი უწესობა იყო გამეფებული, ზოგი ყველსა და
პურს შეექცეოდა, ზოგნი ქაღალდსა თამაშობდნენ; ერთ რომ
თაეი დაედო სტოლზე და ლაზათიანათ ხვრინამდა, მეორე
პურის გულისაგან პაწია გორგოლეებს აკეთებდა და უსი-
ნათლო თვალის მხრიდან ესროდა უბადრუკ მასწავლებელსა.
დეკანოზი კოროლევსკიც თავისი უსარგებლო სამსახურით
არ ჩამოუვარდებოდა კავროვსა, თუმცა კი როგორც ადამია-
წი დაშორებით მაღლა იდგა უკანასკნელზე. მისი მამაშვილუ-
რი დამოკიდებულება მოსწავლეებთან, უსაზღვრო გულკეთი-
ლობა, თვით სახე მოხუცებული მღვდლისა, სათნოებით სავ-

სე თვალებით შემკული, სიყვარულსა და პატივისცემას უღვიძებდნენ მოსწავლეებს. მაგრამ ეს ყოვლად ღირსეული მოძღვარი ვიღაც უღირსი უფროსის განკარგულებით ისეთ საქმეს დასდვობოდა, რომლისაც თითქმის არა გაეგებოდარა. რაღა თქმა უნდა, რომ მოსწავლეები არა ვითარ უურადღებას არ აქცევდნენ მამა პავლეს გაკვეთილებსა, საკლასო ჟურნალი მასწავლებლის სტოლზე იდო და, როცა მასწავლებელი საკლასო დაფაზე სწერდა რასმე, მოსწავლეები მიიპარებოდნენ ხოლმე ჟურნალთან და იწერდნენ იქ ისეთ ხიშნებს, როგორიცა ნებავდათ. ხანდისხან მოხდებოდა ისე, რომ უცებ მობრუნებული მამა პავლე თვალს შეასწრობდა მოსწავლის ცუღლუტობას, მწარეთ დაიღმიჯებოდა და მაღალის ხმით შესძახებდა: ჰეი, ფრანცუზო, რას სჩადი მაგას? მახეში გაბმული ცელქი თავჩაქინდრული მიუახლოვდებოდა მას და მოკრძალებით ეტყოდა: მამაო, ღირსო მამაო, აპატიე შეცოდებანი მისნი შენს უღირს შვილსა!. — აპატიეთ, მამაო, აპატიეთ... გაისმოდა ყოველი მხრიდან. — მიპატიებია, ფრანცუზებო, მიპატიებია... დაიძახებდა აღელვებული და თვალცრემლიანი: გარდა ამ სამი კაცისა, ჯგუფს უხდოდა კიდევ განდევნა სემინარიიდან მაშინდელი ეკონომისა. იგი დიდათ დაახლოვებული იყო რექტორთან. ენა მოქნილი, ხუმარა, ფარისეველი. იგი მოსწავლეებთანაც დაახლოვებული ბძანდებოდა და მით არა ერთსა და ორს ბოროტებასა სთესდა მათ ცხოვრებაში. რექტორს მიემხრო ორიოდ სხვა მოხელე-მასწავლებელნიც და ამნაირად მთელი მაშინდელი სემინარიის მასწავლებელთა კრებული გაიყო ორ ჯგუფათ: მამა პავლე ორი ჯგუფის გარეშე დარჩა: ერთმა არ მიმიკედლა, მეორე მე თითონ არ მინდა.. იტყოდა ხოლმე დაღონებით მოხუცი, როცა ამ დაყოფაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. ახალგაზდა მასწავლებელთა ჯგუფს, გარდა ამ ოთხი კაცის განდევნისა, სხვაგვარ სიკეთეთა დამყარებაც უნდოდა სემინარიაში. ლიტერატურული საღამოების მართვით, რეფერატების შედგენით და კითხვით, მოსწავლეებთან მეგობრული დაახლოვებით და სხვ: უნდოდათ სრულიად ახალ გზაზე დაეყენებინათ აღზდის საქმე. აგრეთვე დიდი უსუფთაობა, უხეირო ჩაცმა-დახურვა და სმა და ჭამა მოსწავლეებისა ხშირად ხდებოდნენ საგნათ გაცხარებული სჯა-ბაასისა მოხსენებულ ჯგუფის კრებებზე. ახალგაზდა მასწავლებელნი კარ-

გათა გრძნობდნენ ყველა ამ საქმეთა აუცილებელ საჭიროებას, თავიაანთ მისწრაფებათა სიწმიდესა გრძნობდნენ აგრეთვე თავიაანთ გონებით და ზნეობრივ უპირატესობას. ხედავდნენ თავიაანთ სიმართლეს და გატაცებულნი მაღალი მიზნით, წინდაწინვე დღესასწაულობდნენ გამარჯვებასა. მაგრამ მალე საქმე სრულიად სხვანაირად დატრიალდა და მით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ ჩვენ ბედნიერ დროში გამარჯვებული რჩება არა მართალი და პატიოსანი, არამედ ბოროტი და ნამუსზე ხელაღებული. რექტორის პარტიამ მიმართა იმავე ხრიკს, რასაც ჩვენ დროშიაც ხშირად წააწყდებენ ხოლმე ხელსა სინოდის დახშული პოლიტიკანები. შეადგინა ათასნაირი სიცრუით და ბოროტი ცილისწამებით პოლიტიკური დაბეზღება ჭართველ მასწავლებლებზედ. მოაწერა ამას ხელი ტქსარხოსმა და აფრინა უწ. სინოდში. ამას შედეგათ მოჰყვა სრული აკლება ახალგაზდა მასწავლებელთა ჯგუფისა. ქართველი მასწავლებელნი განდევნილ იქმნენ სემინარიიდან. ყოველად პატიოსანი ძმები — ცვეტკოვები — მალე გაჰყვნენ მათ უკან. ბინდ-ბუნდმა მოიცვა კვალად უბედური სასწავლებელი. ექსარხოსი და რექტორი დღესასწაულობდნენ, მაგრამ ამ სიამოვნებას რაღაც უკმაყოფილების აჩრდილიც ადგა. ის კაცი, რომელიც ახალგაზდა მასწავლებელთა ჯგუფის წინამძღვრათ მიაჩნდათ, როგორღაც გადურჩა მათ კლანჭებს: იაკობ გოგებაშვილი იმ ჟამად სრულიად უვნებლად გადარჩა. უნდოდა მასაც სამსახურის თავის დანებება, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი. იმდროს მოხდა ერთი ცვლილება: სას. სასწავლებელი განაშორეს სემინარიას და მღვდლებს მიაწიჭეს უფლება ამ სასწავლებლისათვის ზედამხედველის არჩევისა. სამღვდელოების კრებამ ერთხმივ აირჩია იაკობი. შემდეგ ამხანაგებთან მოლაპარაკებისა, იაკობი დაემორჩილა ამ არჩევას, თუმცა შემდეგ არა ერთხელ გამიგონია მისგან სიწანული ამ გადაწყვეტილების შესახებ.

მეგობარ-ამხანაგებ მოშორებული იაკობი დარჩა მარტოთმარტო იმჟამად ისევე, როგორც იყო წინათა. მანუგეშებელ გარემოებათ მათ აღმოუჩნდა მისი აწინდელი მდგომარეობა. იგი უფროსი და ხელმძღვანელი იყო მთელი სასწავლებლისა, რომელიც შესდგებოდა ორასზე მეტი ქართველი ყმაწვილებისაგან. პედაგოგიურ მოღვაწეობის მოტრფიალეს წინ გადა-

ეშალა შრომისა და მოქმედების თავისუფალი სარბიელი. მისმა ნიჭიერებამ, დიდმა მომზადებამ და ცოდნამ ფთები გაშალეს. ჩვეულებრივი თვისი სიფთხილე გვერდზე მიაგდო... აღარაფერი აშინებდა მას: არც სიკეთე, არც სიცხე. დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობდა. ხშირად დაიარებოდა იმჟამად ახლად გახსნილ ნავთლუღის საოსტატო სემინარიაში, ესწრებოდა აქ სამაგალითო გაკვეთილებს და შემდეგ თვით აძლევდა ამგვარ გაკვეთილებს თავის სასწავლებელში. მასწავლებელთ მუდამ თავს დასტრიალებდა საუკეთესო სახელმძღვანელოების ხმარებით, პედაგოგიურ თხზულებათა კითხვით, პირადის რჩევით და დარიგებით ამხნევებდა, ამოქმედებდა მათ.

• • •

იაკობს დღეში ორი გაკვეთილის მეტი არა ჰქონდა. ამ გაკვეთილების მომზადებისთვის იგი, როგორც კარგად მცოდნე გეოგრაფიისა და არითმეტიკისა, ბევრ დროს არა ჰკარგავდა. როგორც დილით, ისე სადილათ უკან დიდი თავისუფალი დრო რჩებოდა. ამ დროს იაკობი განუწყვეტელ წიგნების კითხვას და წერას ანდომებდა. რას სწერდა, არავინ იცოდა ნამდვილად, ხმები კი დადიოდა, რომ იგი ახალ მეთოდზე ადგენდა ანბანსა და პირველ საკითხავ წიგნსა. მალე გამართლდა ეს ხმა: დაიბეჭდა პაწია წიგნაკი, რომელსაც სახელად „ქართული ანბანი“ ერქვა. დაიბეჭდა სამიათას ეგზემპლიარამდე და თითქმის იმავე წელს გაიყიდა სრულიად. საკვირველი აქ არა იყორა. იაკობის ანბანი როგორც მეთოდით, ისე მასალით დაშორებითა სჯობდა სხვა ანბანებს, რომელნიც კი იხმარებოდნენ მაშინ ქართველ საზოგადოებაში. ამ გარემოებამ დიდათ წაახალისა ახალგაზდა პედაგოგი. მეორე წამქეზებელ გარემოებათ უსათუოდ უნდა ჩაითვალოს იმ დროინდელი განათლებულ ქართველ საზოგადოების მისწრაფებანი. კვირა ისე არ გაივლიდა, რომ ერთი კრება მაინც მომხდარიყო რომელსამე ქართველ მოღვაწის ოჯახში. ამ კრებებზე გაცხარებული სჯა და ბაასი თითქმის ყოველთვის უმთავრესად ხალხის კეთილდღეობას დასტრიალებდა თავსა. ამ კეთილდღეობის

ტპირველეს საშუალებათ იყო აღიარებული სკოლა და რო-
დესაც სკოლაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, მაშინათვე სა-
ხელმძღვანელოების უქონლობას მიექცეოდა ხოლმე ყურა-
დღება. ეს ყურადღება, რაღა თქმა უნდა, იაკობს არ გამოეპა-
რებოდა. ამნაირად, კიევურ გავლენას ადგილობრივი გარემო-
ებანიც უერთდებოდნენ და მათის წყალობით გოგებაშვილის
წინაშე ცხადათ ირკვეოდა მისი მოღვაწეობის განსაკუთრე-
ბული გზა და კვალი. ქართულ ანბანს მალე „დედა ენა“ც
მიჰყვა, ხოლო ამ უკანასკნელს ორიოდ წლის შემდეგ მხარი
დაუმშვენა „ბუნების კარმაც“. მცირეოდენი თვალის გადავ-
ლებაც კი საკმარისი იყო, რომ მაშინათვე ცხადათ შეგემჩნიათ
უშინსკის ცნობილი სახელმძღვანელოების გავლენა ამ წიგ-
ნების ავტორზედ. „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ „Родное
слово“-მ და „Детскій міръ“-მა თავიანთ გავლენით გამოიწ-
ვიეს სწორე ისე, როგორც ეს უკანასკნელნი ნემეცურმა სა-
ხელმძღვანელოებმა. სახელოვანი რუსი პედაგოგი, საუბედუ-
როთ, ადრე გარდაიცვალა.. ჩვენმა პედაგოგმა კი დღევანდ-
ლამდე კეთილად მოიტანა თავისი სიცოცხლე. პირველის წიგ-
ნებს მოაკლდათ მადლიანი მარჯვენა, მეორე კი თითქმის ორ-
მოცი წლის განმავლობაში ფეხდაფეხ მისდევდა პედაგოგიის
წინსვლასა და ყოველი სიკეთით, რაჯაც კი ეს წინსვლა აღმო-
აჩენდა, ამშვენებდა და ამდიდრებდა თავის სახელმძღვანე-
ლოებს. ამისგამო დღეს განსვენებული გოგებაშვილის წიგნე-
ბი ყოველგვარი თავისი ღირსებით იმდენათ მაღლა სდგანან
უშინსკის სახელმძღვანელოებზედ, რომ მათი ერთმანეთთან
შედარებაც კი მოუხერხებელია..

მოგონება ი. გოგებაშვილზე

(დასაწყისი აკლია)

...და გვიპასუხებდა: — ცხადია, ჩვენს დედამიწასაც ისეთივე ბედი მოჰყვება, რადგან დედამიწა მზეზეა დამოკიდებული, ის გვაძლევს სინათლეს და სითბოს, ურომლისოდაც სიცოცხლე ქვეყნად შეუძლებელია. გვეტყოდა და თან დასძენდა: — ნუ გეშინიანთ, ეს ჩქარა არ მოხდება, გაივლის რამდენიმე მილიონი საუკუნე.

აგვიხსნიდა მიწის, მთვარის ბრუნვას თავიანთ ღერძზე. გვეტყოდა, რა არის ეკლიპტიკა, ე. ი. ის გზა, რომლითაც დედამიწა გარს უვლის მზეს წლის განმავლობაში და სხვას. ამას არ გვაკმარებდა. გვეტყოდა: საღამოზე ჩემთან ამოდითო (იქვე სასწავლებლის შენობაში ცხოვრობდა, მესამე სართულში) და იქ თვალსაჩინოდ აგიხსნითო ყველაფერს.

ავიდოდით ჯგუფებად, ათ-ათი კაცი ჯგუფში. იაკობს უკვე დამზადებული ჰქონდა ყველაფერი: იდგა სანთელი, ერთ ხელში აიღებდა სფეროს (глобус), მეორეში — ვაშლს. სანთელსა და სფეროს შუა დაიჭერდა ვაშლს. ვაშლი მთვარე უნდა ყოფილიყო. დაატრიალებდა სფეროს. ვაშლისაგან ჩრდილი ეცემოდა მიწას — ეს მზის დაბნელება იყო. მზისა და ვაშლის შუა სფეროს დააყენებდა, ვაშლს ჩრდილი მიადგებოდა, —ეს მთვარის დაბნელება იყო. ასე და ამგვარად, ამ პრიმიტიული ტელლურიის შემწეობით, გვიხსნიდა მზისა და მთვარის დაბნელებას, დღისა და ღამის, წელიწადის დროთა ცვლილებას.

ამით არ თავდებოდა ღამის გაკვეთილი. თუ ცა მოწმენდილი იყო, გაგვიყვანდა აივანზე და მიგვითითებდა: აგერ ცაზე

რძესავით თეთრი ზოლი რომ მისდევს — ეს შორეულ მნათობთა გროვაა. ჩვენებურად ამას ირმის ნახტომი, ანუ დევის წამუხლარი ჰქვიან, რუსულად „Млечный путь".

აგერ ერთად შვიდი ვარსკვლავი ჩანს, გუთნის ხელნასა ჰგავს. ამას ქართულად „რვილს" უძახიან, რუსულად — „Большая медведица". ამათ გაყოლებაზე ჩრდილოეთით დიდი ნათელი ვარსკვლავი მოჩანს, თითქოს არ იძვრისო, სულ ერთ ადგილას დგას: ეს — პოლარული ვარსკვლავია, „Полярная звезда" რუსულად. აგერ კიდევ დასავლეთით, მთაწმინდის მთის თავზე დაბლა თეთრი ვერცხლის ფერი, ნათელა ვარსკვლავი დგას. ამას ჩვენ ცისკარს ვუწოდებთ სახელად, რუსები „Заря"-ს უძახიან. სწორედ რომ ვსთქვათ, ეს ვარსკვლავი კი არ არის, არამედ იგეთივე პლანეტია, როგორც ჩვენი დედამიწა.

ასე ჩამოგვითვალა კიდევ ბევრი სხვა ვარსკვლავი და პლანეტი, რომელიც მკაფიოდ მოჩანდა ცის ტატნობზე.

თუ მზიანი დღე იყო, აგვიყვანდა ზემო სართულის აივანზე, საიდანაც უაზბეგი კარგად ჩანდა და აგვიხსნიდა, თუ რა არის მიზეზი, რომ მაღალ მთებზე თოვლი, მთელი წლობით დევს და არ დნება, რა მნიშვნელობა აქვს აქ სიმაღლეს, გათხელებულ ჰაერს, და სხვა.

სულ ამ გზით, ამ მეთოდით გვიხსნიდა და გვასწავლიდა გეოგრაფიას. აკი იმიტომაც შეგვაყვარა და კარგად შეგვათვისებინა ეს საგანი.

დიდი ქართველი იაკობ გოგებაშვილი

(მოკლე, მკრთალი მოგონება)

...1905 წელს ნაადრევ შემოდგომაზე საქართველოს დედაქალაქში დავბრუნდი.

საქართველო რევოლუციის ცეცხლშია გახვეული...

ამ დროს და ამ პირობებში მომიხდა ქართველი ხალხის ეროვნული სულის მატარებელ დაწესებულებათა გაცნობა და მასთან ერთად არა მარტო დიდ ქართველ მოღვაწეთა, არამედ ჩემ, კეთილსინდისიერ ყველა იმ პირთა, რომელთათვის მცნება „სამშობლო" ლიტონ სიტყვას არ წარმოადგენდა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველ შეგნებულ ქართველისათვის საყვარელი, აღთქმული დაწესებულება იყო. საუკუნეთა მანძილზე მრავალტანჯული ქართველი ერის დიადი შემოქმედების მატერიალური და სულიერი კულტურის, ქართულის ენის, ამ დიად ენის დაცვა და ქართველი ხალხის განათლება — აი, რა მიზნები დაუსახეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მისმა დამაარსებლებმა, სასიქადულო მამულიშვილებმა, მათ შორის იაკობ გოგებაშვილმა...

...აქ, ამ უბრალო, ზედმეტად ზომიერ, სხვადასხვა სავაჭრო სადგომთა შორის მოქცეულ ბინაზე, ქართველი ერის აწმყო და მომავალი განათლების კერასთან მომიხდა შეხვედრა და გაცნობა იაკობ გოგებაშვილისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ქართველი ხალხის და მისი ეროვნული საფუძვლის — ქართული ენის, „ტკბილი ქართული ენის" დაცვას შესწირა[1]. ყოველი საქმე და საქმიანობა, რაც კი მიმართული

[1] ქართველი მოზარდი თაობის ეროვნული აღზრდა-განათლება კი თავის მოღვაწეობის დევიზად აღიარა.

იყო ქართველი ერის საკეთილდღეოდ, გამოძახილს პოულობ-
და ამ დიდბუნებოვან ადამიანის პიროვნებაში. ის ეკუთვნოდა
იმ დიდ ქართველ მოღვაწეთა წრეს, რომლებიც სამუდამოდ
მოგვშორდნენ მაშინ, როცა ესე ესაჭიროებოდნენ სამშობ-
ლოს, როცა თავისი გამოცდილებით, ცოდნით, გავლენით ასე
საჭირონი იყვნენ ჩვენი ქვეყნისათვის.

...საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან ერთი სა-
უკუნის მანძილზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა და
დამოკიდებულება მცდარ საფუძველზე იყო დამყარებული
თვითმპყრობელურ რუსეთის მმართველი წრეების მცდარ
პოლიტიკის გამო. ამ მთავარ საკითხის გამო რამდენიმე მიმდი-
ნარეობამ იჩინა თავი ჩვენ საზოგადოებაში...

როგორ უყურებდა დიდი იაკობი ჩვენთვის ამ სერიოზულ
საკითხს? მისი ისტორიული შეხედულება საღია. რუსეთმა
შეიერთა საქართველო, მართალია ერთპირი აქტით. არც სა-
ქართველო, არც მისი ხალხი, არც მისი მმართველი წრეები
აქ არაფერ შუაშია. XIX საუკუნის დასაწყისის რუსეთმა
კარგად იცოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმი
საკმაოდ მოდუნებულია; მისი ბედის ასე მწვავედ გადაწყვე-
ტა (შეერთება) მას ძვირად არ დაუჯდებოდა; მისი მიზნები-
სათვის კი ეს აუცილებელი იყო.

...მეოცე საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიის
მარცხს მარცხზე განიცდის. შორეულ აღმოსავლეთში დამარ-
ცხება რუსეთისა მისს და მისს ფარგლებში მოქცეულ ტომთა
და ერთა დიდ მძიმე ძრწოლას იწვევს... მსოფლიოს ფართო
პოლიტიკურ წრეებში გაისმის ხმა რუსეთის იმპერიის დაღუ-
პული სიდიადის შესახებ.

იაკობ გოგებაშვილს ეს არა სწყამს. ეს დიდი ადამიანი
გარკვევით ამბობს: ეს ბუმბერაზი სახელმწიფო (რუსეთი)
არასოდეს არ იქნება სასიკვდილოდ დაჭრილი; ხანგრძლივი
დაპყრობითი ომებისა და ასიმილაციის სასტიკი პოლიტიკის
შედეგია დიდი ტერიტორიალური შენაძენების რუს ერის
ბირთვთან მჭიდროდ დაკავშირება. იმპერიაში ყველა სხვა მის
ფარგლებში მოქცეულ ხალხზე რუსების რიცხობრივი დიდი
სიჭარბე წარმოუდგენლად ხელს უწყობს თვითმპყრობელურ
მთავრობას არა მარტო დაპყრობილ ხალხების დამორჩილე-
ბას, არამედ სრულ მათ ასიმილაციას: რუსეთის იმპერიის

მმართველ წრეებს მასობრივად შეუძლიათ თავისი შვილების თავ სუფლად გადაძვრა, გადასახლება აქეთ-იქით. ეს გარემოება დიდი ფაქტორია რუსეთის ისტორიის მთელ მანძილზე, დიდი ფაქტორია და ბეცრის მაუწყებელი. ამ უხარმაზარი სახელმწიფოს სიმტკიცე და ძლიერება იმპერიის მმართველმა წრეებმა შემოერთებულ ქვეყნების, ე. წ. განაპირა ქვეყნების. გადაგვარებას დაუკავშირეს. იმპერიის მთელ სივრცეზე დიდი ქართველის ილია ჭავჭავაძის თქმის არ იყოს, რუსეთის იმპერიის მმართველმა წრეებმა ერთსახეობის განმტკიცება პოლიტიკურ დოგმად გადააქციეს. „ჩვენი წმიდათაწმიდის, რომელსაც სამშობლო ქვიან და რომელიც უცილობლად გვიყვარს, მისი ჩვენი გულიდან ამოგლეჯა მოინდომეს...“

...ასე თუ ისე საქართველოში იაკობ გოგებაშვილის დროს ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ ბრძოლა ქართული ენისათვის მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში სამშობლოსათვის ბრძოლად გადაიქცა...

მახსოვს, 1909 წელი იყო, შეიძლება მეხსიერება მღალატობს თარიღის განსაზღვრისას, ლუარსაბ ბოცვაძემ, ამ იშვიათმა ქართველმა მასწავლებელმა, ქართული ენის ფხიზელმა დამცველმა, დიდი იაკობის ნიჭიერმა მოსწავლემ ჩვენი მოზარდ თაობის გულითადი მეგობარი ქართველ მასწავლებელთა სასურველი ბელადი იაკობ გოგებაშვილი სკოლაში მოიწვია[1]. დიდი დასვენება იყო სკოლაში, როდესაც იაკობი მობრძანდა. ჩვენი სკოლის საუცხოო შენობის დერეფნებში მოსწავლეთა „ტკბილ ქართულ ენაზე“ ჭიკჭიკი, საუბარი, სიმღერა ჰარმონიულად და მელოდიურად გაისმოდა. იაკობს სახე გაუბრწყინდა, ერთ პატარა ბიჭუნას ხელი წაავლო, სახელი და გვარი ჰკითხა. პატარა მოსწავლე ქართველი გლეხი გამოდგა, შემთხვევით მეორე, მესამე მოსწავლეებიც გლეხები აღმოჩნდნენ. ეს გარემოება ზედმეტად სასიამოვნოდ დარჩა იაკობს; იაკობი განათლებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა...

---

[1] ლუარსაბ ბოცვაძე დიდი ორგანიზატორი ყოფილა ჩვენი საზოგადო მოღვაწეების მოზარდ თაობასთან შეხვედრებისა. ამ შეხვედრებს აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. რუსეთის პირველი რევოლუციის შემდეგ ჩვენი აკაკი სამჯერ-ოთხჯერ იყო თბილისის ქართულ საშუალო სკოლის საპატიო სტუმარი; რამოდენიმეჯერ იყვნენ მოწვეული ვაჟა-ფშაველა, ირ. ევდოშვილი, შიო მღვიმელი, შიო არაგვისპირელი და სხვები.

დიდი ილიას გვერდით დიდი იაკობი იმ აზრისაა, რომ საქართველო „ყოველ მხრივ მდიდარია, დიდძალი სიმდიდრეა, განძია მისს ზედაპირზე, მის გულში...“ „ძიება და ამოღება ესაჭიროება ამ განძს... ამას კი ცოდნა, ხერხი უნდა... ჩვენი ერის დიდი უმრავლესობა მისი საფუძველი გლეხობაა, მას მოუხდება განათლება... ამ ნიადაგზე ის შექმნის სიმდიდრეს, მოიპოვებს სიძლიერეს...“

გლეხთა სწრაფვა განათლებისადმი ახარებს იაკობს. ჩვენ ვამცნევთ მას, რომ თბილისის ქართულ საშუალო სკოლაში გლეხთა მოსწავლეთა რაოდენობა სისტემატურად იზრდება. დიდი კმაყოფილი დარჩა. „განათლება“, — თქვა მან, — ყველასათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს... აწმყო და მომავალი საქართველოს მშენებლები მოსახლეობის დაბალ ფენებიდან გამოვლენ“. აქ იაკობი გვევლინება როგორც დიდი განმანათლებელი დემოკრატი.

მიუახლოვდით დიდ დარბაზს, სადაც ჩვენი დიდი კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილი და საკმაოდ ცნობილი მუსიკოსი და კომპოზიტორი ყარალაშვილი ქართული სკოლის სიმებიანი ორკესტრის ხელმძღვანელი მრავალრიცხოვან მოსწავლეთა მომღერალთა გუნდთან და ორკესტრთან მუშაობდენ. აქ იაკობი პირდაპირ აღტაცებაში მოვიდა. მართლაც, ეს ორი ჩვენი სახელოვანი მუსიკოსი და კომპოზიტორი უანგარო ჩუმი მომუშავე, აღზრდის საქმეში ხელოვნების დიდი მნიშვნელობის კარგი მცოდნე თავდაუზოგველად, თავგამოდებით ემსახურებოდა ეროვნულ აღზრდას ქართულ მუზიკალურ სიმდიდრის მასიურად სწავლებით. ამ ორმა პირმა შეაყვარა ჩვენი საშუალო სკოლის ახალგაზრდობას ქართული მუზიკალური სიმდიდრე, განსაკუთრებით მრავალი ქართული ხალხური სიმღერა, მაგრამ ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ზაქარია ფალიაშვილი და ყარალაშვილი რაიმე მუზიკალურ განკერძოებულობას იჩენენ. ისინი საკმაოდ აცნობდენ მოსწავლე ახალგაზრდობას რუსულ და ევროპულ მუზიკალურ ნაწარმოებს.

რამოდენიმე ქართული სიმღერა შეასრულეს იაკობის თანდასწრებით ხორომ და ორკესტრმა... აღიღინდა დიდი იაკობიც... ხოროშ და ორკესტრმა ქართველი ერის საყვარელი მრავალ-ჟამიერ შეასრულა და დიდ იაკობს იშვიათი ოვაცია გაუმართეს... დიდი ქართველი ყველას სათითაოდ მოეხ-

ვია... დარბაზიდან გამოველით, იაკობს მიეგებენ დავით კარიჭაშვილი, ალექსანდრე მიქაბერიძე, სეით იაშვილი, დავით ქადაგიძე, ლუარსაბ ბოცვაძე, იოსებ მონადირაშვილი, ნიკო ახმეტელაშვილი, ქრისტეფორე ღვინიაშვილი, თამარა ლომოური, სოფიო ჩიჯავაძე, ალექსანდრა ნანეიშვილი, ყველა ჩვენი ქართული საშუალო სკოლის შეგნებული მასწავლებელი. ყველანი კარგად გრძნობდნენ თუ რა განუმეორებელი ფასდაუდებელი სტუმრობის მოწმენი იყვნენ...

სკოლაში მუშაობა გათავდა. ეზოში გამოვედით, ხევის უვარგის ხიდამდე მივაცილეთ. ჩვენი ძვირფასი სტუმარი გამოგვემშვიდობა. „განაგრძეთ თქვენი კეთილი საქმე... გისურვებთ კიდევ მეტს გამარჯვებას...“ და დიდი იაკობი ლუარსაბ ბოცვაძის თანხლებით ქალაქისაკენ წაბრძანდა...

რუსეთის ბირველ რევოლუციის შემდეგ ქართველ ქალთა წრეში, რომელიც დაახლოებული იყო თბილისის ქართულ საშუალო სკოლასთან და ყოველგვარ დახმარებას უწევდა მის ღარიბ მოსწავლეებს, განსაკუთრებით კი საუზმეებისა და სადილების მარგებელი საქმელის მიწოდებით,[1] წარმოიშვა აზრი ქართველ მოზარდ გოგონებისათვის ისეთივე ქართული საშუალო სკოლის დაარსებისა, როგორიც ქართველ ვაჟთათვის უკვე დიდი ხანია რაც არსებობდა.

ქალ-ვაჟთა ერთად სწავლების შესახებ მოველაპარაკე ქართულ პედაგოგიკის მამას და ყველგან და ყოველთვის მაღალ ზნეობის დამცველს იაკობ გოგებაშვილს. „ჩემის აზრით, — სთქვა იაკობმა, — ქალ-ვაჟთა განცალკევებით სწავლების პრინციპული მოსაზრებები არ არსებობენ მით უფრო საშუალო სკოლის დაბალ საფეხურზე...“ ამ შემთხვევაში იაკობს სახეში ჰქონდა მოსამზადებელი და ე. წ. საშუალო სკოლის პირველი ოთხი კლასი. „სიფრთხილე, დაკვირვება შვიდი-ექვსის წლის მანძილზე საკმაო პედაგოგიურ მასალას მოგვცემს და საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა როდი იქნება ძნელი საქმეო“, დასასრულ სთქვა დიდმა პედაგოგმა...

ქალთა ქართული სკოლა დაარსდა, გაიხსნა... მაგრამ ქალ-

[1] ქართულ საშუალო სკოლასთან ქალთა წრემ მოაწყო სასადილო (ბუფეტი), სადაც სკოლის ყოველ მოსწავლეს შეეძლო ესაუზმა, ესადილა სულ მცირე ფასის გადახდით (10-15 კაპ.); აქეთ მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილი უფასო სადილებსა და საუზმეს მიირთმევდა.

ვაჟთა ერთად სწავლება როდი განხორციელდა. ერთ-ერთ შეხვედრისას ამის შემდგომ იაკობმა სიხარულითა და კმაყოფილებით მითხრა: „დიდი და კარგი რამ არის ქალთა ქართული სკოლის დაარსება და გახსნა... რაც შეეხება ქალ-ვაჟთა ერთად სწავლებას, ნუ ნაღვლიანობთ, ეს წინაა... ახლო მომავალში".

„მართალსა ბრძანებთ, როგორც ყოველთვის; ახლო მომავალში დიდი ამბებია მოსალოდნელი. დიდ სახელმწიფოთა შორის მრავალი წინააღმდეგობაა წამოჭრილი. შესაძლებელია ომი დაიწყოს; მისი შედეგი დიდი ცვლილება იქნება..."

„საქმე ისაა, თუ რა ცვლილებებია, — ბრძანა იაკობმა. რევოლუციაც რომ მოხდეს, ძნელია თქმა იმისა, თუ რას მოუტანს იგი საქართველოს... წინასწარმეტყველობა ძნელია; წინასწარმეტყველთათვის ლოგიკა იშვიათად არის სათანადო ინსტანცია" და ამ სიტყვებით ჩვენ შეეედით წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რომელსაც ქართველი ხალხის ჭირ-ვარამის მოზარე ესოდენი სიყვარულით და მზრუნველობით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე თავს დატრიალებდა. ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელება, განათლების საქმის წარმატება, ქართული ენის, „ტკბილი ქართული ენის" დაცვა იაკობ გოგებაშვილისათვის, ვიმეორებ, ქართველი ერის „ყოფნა არყოფნის" საკითხი იყო. ამიტომ იყო, რომ დიდი ქართველი იაკობ გოგებაშვილი იცავდა ქართულ ენასა და მის სისუფთავეს მთელი თავისი მდიდარი ბუნებით, მტკიცე ხასიათით, მაღალი კულტურით. ამ მხრივ საინტერესო იყო მისი მონაწილეობა ჟურნალ „ნაკადულის" სარედაქციო კოლეგიაში თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის, ცნობილი ქართველი ქალის, ჩვენი მოზარდი თაობის მეგობრისა და მუდამ მასზე მზრუნველის მარიამ დემურიას რედაქტორობის დროს.

შეუძლებელია ყველა იმ შენიშვნების აღნუსხვა, რომელსაც დიდი პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ლექსს, პროზას, მოზარდ თაობისათვის განკუთვნილს დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით ეპყრობოდა იაკობი, დიდი აღგზნებით, ზოგჯერ სიმძაფრით და გატაცებით ედავებოდა ლექსების, მოთხრობების, სტატიების ავტორებს და მოითხოვდა უმნიშვნელო შეცდომის გასწორებასაც. „ქართული ენა უძველესი

ენაა, მრავალ საუკუნეთა მანძილზე შევსებული, გამდიდრებული... ის მუდამ ცოცხალ ენად უნდა დარჩეს... ჟამთა სვლამ, შავმა ძალებმა ვერ მოსპეს ეს ენა... ეს იშვიათი ისტორიული მოვლენაა... ჩვენ როგორც ჩვენი წინაპარნი, მტკიცედ უნდა ვიცავდეთ ჩვენს მშობლიურს დედა-ენას, მის სიწმინდეს", — ამბობდა იაკობი...

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ

(მოგონება)

იაკობ გოგებაშვილი იყო შუა ქართველი, სოფელ ვარიანიდან. ვარიანი მდებარეობს ქალ. გორიდან, ჩრდილოეთ-დასავლეთით, ათი ვერსის დაშორებით.

იმ დროს, როცა მე პატარა ვიყავი, ვარიანი ციებ-ცხელებიან სოფლად ითვლებოდა. სხვათა შორის მეც მაციებდა და დედაჩემი, რომ ვერაფერს გახდა და მოიღალა და მეც მომღალა სოფლის სხვადასხვა რჩევა-დარიგებით და წამლების მიღებით, ვიღაცის რჩევით ერთ მშვენიერ დღეს, დილით, როდესაც გაციების დრო მომივიდა, ამწია დედაჩემმა უცბადა და ჩვენი კარ-მიდამოს წინ ჩამომდინარე რუში მისროლა ტანისამოსიანად. ერთი ორჯერ გამასრიალ-გამომასრიალა მდინარეში, ამომიღო საჩქაროდვე, გამომიცვალა საცვლები და ჩამაწვინა ლოგინში.

სხვისა რა მოგახსენოთ და მე კი ეს გამიხდა მიზეზად, რომ ციებამ თავი დამანება — ალბად უცაბედი შიშისაგან, როგორც სოფლის ქალები იტყოდნენ ხოლმე.

ვარიანს სამხრეთით ახლდა დიდი ჭაობი. რომელსაც „ჩალიანი"-ს ეძახდნენ. ამ ჭაობიანში მუდამ ზაფხულობით ჩალასა გლეჯდნენ ჭილობების საქსოვად და იქერდნენ წურბელებს მოსაკიდებლად.

ალბად ეს იყო თავი და თავი მიზეზი, რომ იაკობ გოგებაშვილმა, რაც თავი შეისწავლა და ცხოვრებაში გამოვიდა, თავის სოფელ ვარიანს, სადაც მან სიყმაწვილე გაატარა, ახლოს აღარ გაჰკარებია.

როცა ძმების და ნათესავების ნახვა მოუნდებოდა თბილი-

სიდან გორში ადიოდა ერთი დღე-ღამით და იქ დაბარებულთ სახულობდა ხოლმე.

მიუხედავად იმისა, რომ ვარიანში მუდამ, თითქმის გასუწყვეტლივ, ქარი ქროდა, მაინც შმორის სუნი ტრიალებდა ჩამყაყებული „ჩალიანი“-ს წყალობით.

ვარიანი იმ დროს ერთთავად ვალიანიც იყო. წურბელა ჩარჩ-ვაჭრების ბუნაგად იყო ეს სოფელი გადაქცეული და სძვრებოდა ხალხს ტყავი ამ უდიერ მევახშეებისაგან. ამას ხელს უწყობდა გორის და ცხინვალის სიახლოვე. გორიდან სომხები ადიოდნენ, ცხინვალიდან კიდევ ბოხჩა აკიდებული ურმები ჩამოდიოდნენ.

ვარიანი არც შეშის მხრივ იყო უზრუნველყოფილი. (....) ტყე, საიდანაც ვარიანელები ეზიდებოდნენ შეშასა და ფიჩხს, ძალიან იყო დაშორებული სოფელს, ორი თუ სამი დღე-ღამე უნდებოდნენ ურმით მისვლა-მოსვლას. უტყეობისა, დავალიანებისა დ ერთთავად ქარიანობის გამო ხალხმა ვარიანს გამოუთქვა შემდეგი მოკლე და მარტივი ლექსი:

ვარიანი, ვალიანი,
უტყეო და ქარიანი.

იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, რაც რუსეთიდან დაბრუნდა, გამუდმებით თბილისში ცხოვრობდა. მხოლოდ ზაფხულობით მიდიოდა სააგარაკოდ ან ბორჯომში, ან სურამში, უფრო კი ხშირად უკანასკნელ აგარაკში.

უყვარდა ბაღი, მზიანი და მშრალი ალაგი. რაც ხანი გოგებაშვილს ვიცნობდი სულ მთაწმიდაში იდგა, ჯერ მამადავითის ბაღის მახლობლად, თითქმის შეძენაც კი უნდოდა იმ ბინისა, რომელშიც თავად იდგა და რაღაცამ შეუშალა ხელი, შემდეგ — იმის ჩამოდაღმა, ყიფიანის ქუჩაზე ყორაევის სახლში.

ერთხელ რაღაც მიზეზის გამო გადავიდა ძირს, დაბლა, ალექსანდროვის ბაღის მახლობლად, ერისთავის სახლში, მაგრამ ისევ მალე გადაბარგდა თავის ყოფილ ბინაზე ყარაევის სახლში — და სიკვდილამდე აღარსად გადასულა ამ ბინიდან.

მართლაც და მშვენიერი, მზიანი ოთახები იყო. რომ იტყვიან ნამდვილი მზის გული იყო. ეჭირა ორი მოზრდილი ოთახი კუხნით და ბალკონით, მეორე სართულში.

ზაფხულში ერთთავად ღია ჰქონდა ოთახის ფანჯრები, რა-

საკვირველია თუ ქარი არ იდგა, რომ მტვერი არ შესულიყო ოთახებში.

ზამთარში ძალიან თბილად ინახავდა ოთახებს. მაშინაც უეჭველად აღებინებდა მოსამსახურეს სარკმელებს ჰაერის გასაწმენდად, როცა თავად გარედ გამოდიოდა, საქმეზე თუ სასეირნოდ.

12 საათზე ან პირველის ნახევარზე, დასაუზმების შემდეგ, უეჭველად გამოდიოდა გარედ და ბრუნდებოდა სახლში სრულ ოთხ საათზე.

ხშირად უყვარდა ალექსანდროვის ბაღში გავლა-გამოვლა თუ ქარიანი დღე არ იყო. თუ ცუდი ამინდი იყო, იმ დღეს სულ არ გამოვიდოდა გარედ და თუ გაბედავდა, ძალიან ერიდებოდა ორპირ ქარიან ქუჩებს. პირზე შალახვეული სისწრაფით გაირბენდა ხოლმე ამ ქუჩების მახლობლად.

ყოველ დღე დაიარებოდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში. მოადგებოდა თუ არა ხსენებულ საზოგადოების სამმართველოს და წიგნის მაღაზიას, მაშინვე დაიძახებდა ან მოსამსახურის ან ჩვენ სახელს და გვეტყოდა, თუ ფანჯრები დაკეტილი არ არის ახლავე დახურეთო. ფანჯრების დახურვა და იაკობის უცბად შემოსვლა ერთი იყო. მშიშარა კურდღელივით უეცრად შემოხტებოდა და კარებს იმ წუთშივე მიხურავდა, რომ ნიავი არსაიდან სცემოდა.

ძალიან ფრთხილი და მეტის-მეტი თავის მომვლელი იყო იაკობ გოგებაშვილი. ერთიბეწო მიზეზი იყო საკმარისი რომ ექიმ ქიქოძესთან ეფრინა კაცი. ექიმის საერთოდ კაი დაჯილდოვება იცოდა იაკობმა. მისი განუშორებელი და განუყოფელი ექიმი იყო ბ-ნი ქიქოძე. ხანდახან ბორჯომსა და სურამშიაც-კი დაიბარებდა ხოლმე იაკობი ქიქოძეს ტელეგრამით.

მეტის-მეტი გადაჭარბებული თავის მოვლა-გაფრთხილება იყო მიზეზი, რომ იაკობს მოუგონეს ჭორი, ანეგდოტი: იაკობი თურმე მტკვარში შევიდა თავის დასაბრჩობად. წყალში ფეხი რომ ჩადგა უეცრად გამოტრიალდა, გავცივდები და ფილტვების ანთება დამემართებაო.

იშვიათად ნახავდით იაკობს თვით ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაშიც კი უკალოშოდ. პლედი ხომ განუშორებელი თანა-

მგზავრი იყო მისი მხრებისა. ერთი ბეწო ნიავი თუ საიდანმე წამოუბერავდა, მაშინვე ცხვირ-პირს მოიფუთნიდა.

განსაზღვრული ჰქონდა იაკობს ყოველი დრო: ადგომის, დაწოლის, სადილის, საუზმის, ჩაის დალევის, მნახველთა მიღების, მუშაობის, გაზეთების გადათვალიერების და გარედ გამოსვლა-გამოსეირნების. უბრალოდ და უდროოდ არავის მიიღებდა. ერთი სიტყვით ყოველი დრო განაწილებული და (....) ჰქონდა.

სცხოვრობდა სულ მარტოკა, არცარავისთან დარჩებოდა ღამე, არც თვითონ დაინარჩუნებდა ვისმე. იყო მუდამ მოსამსახურის ანაბარა. მოსამსახურის აყვანაშიც დიდ სიფხიზლესიფრთხილეს იჩენდა. სანამ კარგად, ძირფესვიანად არ გამოჰკითხავდა ვინაობას და არ (...) ყველაფერს, მანამდე თვალსა და გულს არ გაუსწორებდა.

ცოლი არასდროს არა ჰყოლია. ცოლის შერთვის უარისმყოფელი არასდროს არც ყოფილა და არც იყო, მაგრამ რაკი ერთხელ დაუზიანდა ფილტვები სტუდენტობის დროს და დიდხანს მოუნდა მათ გამოსაღება-გამომრთელებას და რაკი ხანძაც გაიარა, აღარ მოეკიდა ცოლ-შვილიანობას. სულ მუდამ იმ აზრისა იყო, რომ ავადმყოფმა კაცმა ავადმყოფები აღარ უნდა მოამრავლოს. ამისი საშინელი და უსასტიკესი წინააღმდეგი იყო. ჯანსაღი კაცისათვის კი დიდი დანაშაულობაა ცოლის შეურთველობაო. მაშ როგორ უნდა მომრავლდეს ხალხიო, მით უმეტეს ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ერიო.

ერთმა ქართველმა ახალგაზრდა მოღვაწემ (ვანო ახალშენიშვილი) მოინდომა ქართველივე მოღვაწე ქალის შერთვა და რჩევისათვის მიმართა იაკობ გოგებაშვილს. ცოტა არ იყო იმასაც ფილტვები სუსტი ჰქონდა.

იაკობმა უთხრა: არა ვარ საერთოდ ცოლის შერთვის წინააღმდეგიო. მეც მინდოდა ვყოფილიყავი ცოლ-შვილით ბედნიერი კაციო, მაგრამ რომ დაუფიქრდი, თუ რა დიდ მოვალეობას ვკიდებდი ხელს და როგორ დიდ ბოროტმოქმედებას ჩავიდენდი კაცობრიობის წინაშე ჩემი ცოლის შერთვით უკან დავიხიეო. ის არ იყო საკმარისი, რომ მე ავადმყოფი, ფილტვებ შეშინებული ადამიანი ვიყავი, რომ მე კიდევ სხვა ავადმყოფი ხალხი გამეჩინა ქვეყნისათვისაო! ეს ხომ დიდი დანაშაული იქნებოდაო. არა ჩემო კარგო, დაიცადე ერთი შვიდი-

რვა, უკეთესი იქნება ათი წელიწადიც, დრო გაქვს კიდევ და როდესაც დაატყო, რომ ფილტვები გამოგიმთელდა და აღარავითარი ზადი აღარა გაქვს, მხოლოდ მაშინ გაბედე ცოლის შერთვაო. წინააღმდეგ შემთხვევაში შენთვის ხომ ცუდი იქნება, ქალსა, და თუ შვილებიც გაგიჩნდა სამუდამოდ დაღუპამო. ნურავის ცოდოში ნუ ჩადგები და შენს თავსაც ადრე და მალე ნუ მოუღებ ბოლოსაო. დეე სხვებმა, ჯანსაღმა ქართველებმა შეირთონ ცოლებიო და მოგვიმრავლონ ჯანსაღი ხალხი, ჩვენ კი შორიდან უყუროთ მათ ბედნიერებასაო.

იაკობი მუდამ მომხრე იყო შერეული სისხლის სხვა და სხვა მოდგმის, ჯიშის სისხლის შენაკადებისა. ჩვენი თავად-აზნაურობა და საზოგადოდ ესეთი ხალხი იმან დააჩიავა, დაახურდავა და დაასნეულა, რომ სულ ერთი-ერთმანეთის ქალებს ირთავდნენ და ირთავენო. ერთი და იმავე მოდგმის, ჯიშის სისხლი დგას მათში, გადახალისება არა ხდება და ესაა მიზეზი, რომ გადაშენების, გადაგვარების გზაზე დგანანო. თავად-აზნაურმა გლეხის ქალი უნდა შეირთოს, გლეხმა კიდევ მათი ქალებიო და ამით სულ მთლად განახლდება მათი სისხლი და მომავალი თაობაც ჯანსაღი იქნებაო.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ხალხის სისხლის შერევა აუცილებლად, უეჭველად, საჭიროაო. იმერი ამერს და ამერი იმერს უნდა დაუნათესავდესო, და მაშინ ნახავთ რა დიდებულად გამოკეთდება ამ ორი მოდგმის ჩამომავლობაო.

ჩვენი ერის თაობაზე ხშირად იყო ხოლმე ლაპარაკი წერაკითხვის საზოგადოებაში კერძო ლაპარაკის დროს და აკაკიც თავის სიოხუნჯეს არ იშლიდა ხოლმე: იაკობს თავად აღარაფერი შეუძლია და სხვებს აქეზებს გაცვლა-გამოცვლაშიო.

მაგრამ არა, იაკობი რომ ლამაზ ქალს დაინახავდა სულ ცეცხლი დაენთებოდა ხოლმე თვალებში, მოივლებდა საკმაოდ მოგრძო ცხვირზე ხელს და მისრეს-მოსრესით მოჰყვებოდა სიამოვნების ნიშნად ფრუტუნს. ჩახველება-ჩაცინებ-ჩაღიმებასთან ერთად ჭაღარა შერეულ წაბლა წვერზე ხელის ასმა-დასმით კარგად ჩაათვალიერებდა ხოლმე კიდევ ერთხელ სიამოვნებით.

სხირტლაძის ბაღში, სათავად-აზნაურო ქარვასლის ზემო ნაწილში, საცა კი შანსონეტკები, მომღერალ-მოცეკვავე ქა-

ლები გაჩნდებოდნენ ხოლმე გაზაფხულ-შემოდგომით იაკობ გოგებაშვილი ხშირი სტუმარი იყო მათი და ხანდახან, როცა დააკიწყდებოდა თავისი ამაყი და ზოგჯერ მკაცრი გამოხედკაც, ნახევრად ტიტველა შანსონეტკების ცეკვა-თამაშით აღტაცებული თავდავიწყებით ასტეხდა ტაშის ცემას და „ბიზბიზ"-ოს ძახილს.

იაკობი არც ღვინის წინააღმდეგი იყო. მაგარი სასმელები თავის დღეში არ დაულევია. უყვარდა ზომიერება. მთელ თავის სიცოცხლეში იშვიათად ასულა ნახევარ ბოთლზე ზევით. მხოლოდ ერთხელ მოუხდა თავის და უნებურად, შეუმჩნევლად დათრობა.

ალ. ფრონელს (საშა ყიფშიძე) ისტუმრებდნენ ჯავახეთის ახალციხეში შუამავლად. როგორც კარგ მოღვაწეს და ისტორიულ მონოგრაფიების ცოცხლად მწერალს, ქართველმა ინტელიგენციამ გაუმართა გამოსათხოვარი სადილი გიორგი სხირტლაძის საზაფხულო ბაღში. სხვათა შორის იმ დღეს იაკობის ბედზე მშვენიერი და წყნარი ამინდი იყო. იაკობიც დაესწრო ზემოხსენებულ ნადიმს. არ ვიცი მაისის რომელი რიცხვი იყო. მთელი სუფრა სულ ვარდ-ყვავილებით იყო მორთული. თითო კაცის წინ თითო მაღალყელიანი ბროლის ვაზა იდგა სამფეროვანი ვარდებით.

ნადიმი ნელ-ნელა გაჩაღდა, შევიდა ხალხი სიმხიარულეში, სიმხიარულეს ზედ მოჰყვა დროის შესაფერი სიტყვები და სიტყვებს კიდევ სიმღერა.

იყო ხოტბა-შესხმა, რჩეულთა დაფასება და შიგა და შიგ საზოგადო საქმეებზედაც ლაპარაკი.

ღვინომ თავისი გაიტანა. ახალგაზრდობა მეტნაწილად გადავიდა სიმღერების მხარეზე. ხანში შესულები და უფრო დარბაისელი მოღვაწეები საზოგადო საქმეებზე ლაპარაკში გართულები ნელ-ნელა ღვინოსაც შეექცეოდნენ და ხანდისხან სიმღერებსაც მოუბრუნდებოდნენ მოსასმენად. ზოგიერთი თავისდაუნებურად, თითქმის შეუმჩნევლად ისე მოიპარა ღვინომ, რომ ვერაფერი გაიგო. სხვათაშორის იაკობსაც, კაცს მეტად ფრთხილს და ზომიერს, დაემართა ასეთი საქმე.

მაშინ მთელი ქარვასლის სათავადაზნაურო ბანკის და ბაღის არე-მარე გაზის შუქით ნათდებოდა.

გაზის ამმუშავებელი მაშინები ბაღის უკანა ნაწილში იყო

ზოთავსებული. ამ მაშინწების გამგე და მმართველი იყო გერ-
მანელი ვინმე დუნანი.

ამ მეტისმეტმა მხიარულმა და ხალისიანმა ქართულმა სუ-
ფრამ, დააინტერესა, ეშხში მოიყვანა ეს კაცი და სუფრის გა-
მამხიარულებელ თამადას გამოუგზავნა ბარათი, თუ შეიძლე-
ბა მეც მიმიღეთ თქვენს სანადიმო სუფრაზეო.

ბარათის მიმტანის პირით სთხოვეს მობრძანებულიყო.
გვესტუმრა დუნანი და მის მოსვლასთან ერთად შიგა და შიგ
სუფრაზე გაჩნდა თავმოუხდელი შამპანიურით სავსე ბოთ-
ლები, და შამპანის დასასხმელად წვრილ ღეროიანი მაღალი
ბროლის ჭიქები.

შამპანიური დუნანს გამოეგზავნა სხირტლაძის ბუფეტი-
დან.

საზოგადოებამ რომ გაიგო ეს ამბავი მოითხოვა შამპანი-
ურების უკან გაგზავნა და ფულის დაბრუნება დუნანისათვის,
მაგრამ ზოგიერთებმა უხერხულად ჩასთვალეს და თავაზიანი
საყვედურის თქმით მადლობა გადაუხადეს დუნანს.

ასიკო ცაგარელი და ვასო აბაშიძე ერთად ისხდნენ; მეც
მათთან ახლოს ვიჯექი.

შეზარხოშებულმა ვასომ მოაელო მათ წინ დადგმულ შამ-
პანის ბოთლს ხელი და ისროლა ზურგს უკან ბაღში: „მაძის
სული გაუშვიათ და პაპის სულს გამოსდგომიანო“.

დუნანი სუფრის თავში იყო მოწვეული და მან ეს გარე-
მოება სრულებითაც ვერ გაიგო და კიდევაც რომ გაეგო ისე
იყო ვასოსთან ლუდსა და ღვინოში შეზელილი, რომ სრულე-
ბით არაფერს იტყოდა. მაგრამ ასიკომ ტუჩებზე ხელი მიიფა-
რა და უთხრა: შე გიჟო, არუთინა მამაძაღლო, შენი ოხრობა
აღარ უნდა მოიშალოო, ეგ ხომ სტუმრის შეურაცხყოფა
არისო!

დაასხეს ბაკლებზე შამპანიური. ლაპარაკი ჩამოვარდა
ახალციხის ქართველობაზე და ა. ფრონელის იქ მოქმედების
შესახებ. სიტყვის თქმის ნება მოითხოვა იაკობ გოგებაშვილ-
მაც. წამოდგა ფეხზე შამპანიურით, რამოდენიმე სიტყვის
შემდეგ ჭიქა ისე მაგრა დადგა მაგიდაზე, რომ ღერო მოეფ-
შვნიტა, წაიქცა და შამპანიური დაიღვარა.

იაკობს შეუმჩნეველად მიუტანეს მეორე ჭიქა (ბაკალი),
მაგრამ ამასაც ის ღერ დაადგა რაც პირველს და იაკობმაც
სუფრის უკან-უკან დაიწყო დაწევა თავისდა უნებურად.

სიცილით და ხუმრობაში გატარებით გაუყარეს მკლავში ხელი და ნელნელა შეუმჩნეველად ბაღის უკანა კარებიდან ლაპარაკით გამოიყვანეს სასახლის ქუჩაზე. აქ დაუძახეთ ფაიტონს და მე და გრიგოლ ტატიშვილი, მეტ სახელად ფიგარო და პირველი სილოგრაფი საქართველოში უსხედით აქეთიქით და წავიყვანეთ სახლში.

ფაიტონში ჩაჯდომის უმალვე იაკობმა ამოიღო ჯიბიდან საფულე და ვიდრე არ მიეედით სახლში ჯიბეში აღარ ჩაუდვია, ალბად ერიდებოდა ჩვენ არ გადაგვეხადა ფაიტონის ფული.

შევიყვანეთ სახლში, გავხადეთ ტანისამოსი, დავაწვინეთ და ვიდრე არ ჩაეძინა არ მოვშორებივართ. შემდეგ კი მოსამსახურეს მივანდეთ მისი თვალყურის დევნება.

მეორე დღეს ათ საათზე რომ ავედით მე და ფიგარო სანახავად სულ თავზე ცეცხლი დაგვაყარა:

— ჯერ იმ ოხერმა სხირტლაძემ მომწამლა თავისი წითელი ღვინით და მერე კიდევ თქვენმა წინდაუხედავმა საქციელმაო. როგორ შეიძლებოდა, რომ წინდებსა მხდიდითო. რომ გამეღვიძა, თურმე ფეხიდან შემცივნოდა, თავი მიბჟუოდა, მთელი სახლი ტრიალებდა და თვალებიდანაც ცუდად ვხედავდიო. ალბათ ეს გაციების ბრალიაო.

ფიგაროს უთხრა: (ის უფრო ხანში შესული კაცი იყო) ღვინის სმის შემდეგ მეც მაგრე მომსვლია ხოლმეო.

იაკობს ეწყინა საშინლად, ყველაფერი სხირტლაძის ღვინოს და ჩვენ დაგვაბრალა და მადლობის მაგივრად საყვედურით გამოგვისტუმრა.

იაკობი ვიდრე სააგარაკოდ წავიდოდა ერთავად სხირტლაძის ბაღში სადილობდა ხოლმე. იმ დღის შემდეგ კი მას იქ ფეხი აღარ შეუდგამს და ძალიან ხშირად მოუყვებოდა ხოლმე ნაცნობებს როგორ მოიწამლა სხირტლაძის ბაღში ა. ფრონელის გამოსათხოვარ სადილზე.

როდესაც დავიწყებას მიეცა ეს ამბავი, და იაკობსაც ნელნელა მოუბრუნდა გული, დაუბრუნდა ისევ სხირტლაძის ბაღს და იქ სადილობას. იშვიათადდა გაიხსენებდა იმ ამბავს, იმ საყვედურებს, რითიც ის იყო უკმაყოფილო.

ერთ რამეს თუ იტყოდა იაკობი ძალიან ძნელად გადათქვამდა, ძალიან თავის ნათქვამი კაცი იყო.

იაკობი მეტის მეტად ცხარე კაციც იყო; ერთი ბეწო რამეზე გაბრაზდებოდა და როგორც ცეცხლი ისე აენთებოდა. თუ მისი წყევლა უსაბუთოდ იყო გამოწვეული ვისგანმე, რაც უნდა საყვარელი კაცი ყოფილიყო ისე გამოთათხავდა და შეარცხვენდა, რომ მეტი არ შეიძლებოდა. ჭორი და ტყუილები სამინლად ეჯავრებოდა. ახლდა დიდი გულკეთილობა.

აკაკი წერეთელი ძალიან უყვარდა და დიდ პატივსაცემდა. აკაკის უთქმელად და უთხოვნელად ფულითაც ხშირად ეხმარებოდა. ეს მე ვიცოდი მხოლოდ და მუდამ იმას მეუბნებოდა გოგებაშვილი, რომ სხვისთვის არავისთვის მეთქვა. აკაკის რუსეთში ყოფნის დროსაც სულ ჩემის ხელით და ფოსტის საშუალებით უგზავნიდა ფულს.

ერთხელ წერა-კითხვის საზოგადოებაში აკაკი, ანტონ ფურცელაძე და კიდევ ერთი სხვა მუსაიფობდნენ. მე წიგნის საწყობში მომიხდა გასვლა. ჩემ იქ არ ყოფნისას რა ილაპარაკეს არ გამიგია. გაიარა სულ მცირე დრომ და იაკობიც შემოვიდა თაგის ჩვეულ ვადაზე.

— აი აკაკი იაკობიცაო, სთქვა გულმოსვლით ანტონმა და მივარდა იაკობს მწარე სიცილით და ყვედრებით: კაცო ის რაები გილაპარაკნია ჩემზედაო"!

— რაო?! მილაპარაკნიაო!

— აი ეს შენ და ეს აკაკიო და მოუყვა.

აენთო გოგებაშვილი, დაიწყო ცხვირში ფრუტუნი, ერთი რაც ძალა და ღონე ჰქონდა დასცხო იატაკს ჯოხი და უთხრა:

— აკაკი, შენ ნამდვილი ჭორიკანა, გათახსირებული, კახპა დედაკაცი ხარო. უთხრა სხვა მრავალი სიტყვებიც პირიდან ცეცხლის ყრით და მიაჩერდა მრისხანე თვალებით. და რომ აკაკისაგან ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო, ფუ! შენს კაცობასაო, უთხრა და გავარდა გარეთ.

— აბა ამის შემდეგ რაღა გითხრაო, — უთხრა აკაკის ანტონმა და ისიც გაჰყვა იაკობს უკან.

აკაკიმ ჩაიღიმა თავისებურად და სთქვა: ერთი კოჭლი, მეორე გიჟიო, აბა რა უნდა ველაპარაკო მაგათაო და დაიწყო სხვა რამეებზე ოხუნჯობა.

მე და ილიკო აგლაძე ვასწორებდით გოგებაშვილის „დედა-ენისა" და „ბუნების კარის" კორექტურას. იაკობი კორექტურის შესახებ მეტის მეტი ფრთხილი და მკაცრი კაცი იყო.

ერთი კორექტურული შეცდომა არ უნდა ყოფილიყო მის სა-
სელმძღვანელოებში დაშვებული, ვისაც არ უნდა გაესწორე-
ბინა მისი სახელმძღვანელოების კორექტურა, ვიდრე დაიბეჭ-
დებოდა უსათუოდ მესამე პირისთვის უნდა მიენდო მისი ხე-
ლახლად ბეჭითი გადათვალიერება. თითო კორექტურული
შეცდომის პოვნაში მესამე პირს აძლევდა გაზეთს. და სულ
ბოლოს, უკანასკნელ კორექტურას მიანდობდა ხოლმე ვასილ
ჩერქეზიშვილს, ქალაქის თავს. მას ამეებისთვის თუმცა არ
ეცალა და არც ფულის ინტერესი ჰქონდა, მაგრამ ხათრს ვერ
უტეხავდა ხოლმე. ხან შაქრო ბილანიშვილს, ხან ახნაზაროვს
და ან კიდევ საშა ნიკიტინს მიანდობდა ხოლმე კორექტურას.

იმ წელიწადს, როდესაც მე და ილიკო აგლაძე ვასწორებ-
დით ზემოხსენებულ სახელმძღვანელოების კორექტურას,
რადგან ჩერქეზიშვილს დრო არა ჰქონდა უკანასკნელი კორექ-
ტურის გადათვალიერება მიანდო შაქრო ბილანიშვილს და
რადგან ერთი თუ ორი უბრალო კორექტურული შეცდომის
მეტი ვერა ნახა რა, გახარებულმა იაკობმა ორივე კორექტორი
ბორჯომში დაგვპატიჟა, სადაც ის იმ წელს იყო სააგარაკოდ
წასული. დაგვიტოვა ხვედრი ხელფასის გარდა გზის ფულიც.

მთელი ზაფხული რომ მონდომოდა იაკობის სახელმძღვა-
ნელოებს ბეჭდვა, სანამ წიგნების უკანასკნელ გარეკანსაც,
ყდას, არ დაბეჭდავდა თბილისიდან ფეხს არ მოიცვლიდა. ყო-
ფილა მაგალითი, როდესაც მხოლოდ შემოდგომაზე წასულა
სააგარაკოდ ერთი თვით.

ხანდახან მოხდებოდა ხოლმე ისე, რომ თუ სახელმძღვანე-
ლოებს რაიმე მიზეზით მოუხდებოდა დაგვიანებით ბეჭდვა, ის
მიდიოდა მაინც სააგარაკოდ, მაგრამ ყოველი ფორმის დაბეჭ-
დვის დროს ის უეჭველად ჩამოდიოდა თბილისში გადასახე-
დად. თუ რაიმე მიზეზით ვერ ჩამოვიდოდა, ის მაშინვე ტელე-
გრამას მოსცემდა, რომ გადმოეღოთ სტანოკიდან დასაბეჭდად
გამზადებული ფორმა მის ჩამოსვლამდე. თუ რაიმე ხარჯები
იყო მოსალოდნელი მისი მიზეზით, ის ყველა ამეებს თავის-
თავზე კისრულობდა. ერთის სიტყვით, არავითარ ხარჯებს არ
ერიდებოდა, ოღონდ წიგნი სუფთად და კარგად გამოსულიყო.

მარტო სხვა კორექტორებს არ ენდობოდა, მიუხედავად,
მართლაც კარგი ხნიანობისა უეჭველად თავადაც კითხულობ-
და თავის სახელმძღვანელოების კორექტურას.

იცოდა ხოლმე აგრეთვე დაჯილდოება მაშინისტისა და ასოთამწყობისა, რომ უფრო მეტის ყურადღებით მოქცეოდნენ მის სახელმძღვანელოებს, არც ამკინძავებს აკლებდა ყურადღებას და პატივისცემას.

აი ასეთი მოპყრობა, მოქცევა იყო მიზეზი, რომ იაკობის ქართული თუ რუსული სახელმძღვანელოები თუ სხვა წიგნები სულ მუდამ სუფთად და ლაზათიანად იბეჭდებოდნენ.

მე და ილიკო აგლაძე იაკობ გოგებაშვილთან მკათათვის უკანასკნელ რიცხვებში წავედით საღამოს ნაგვიანევი მატარებლით.

ხაშურში ბორჯომის მატარებელზე გადასაჯდომათ საათნახევარი თუ ცოტა ნაკლები დრო მოგვინდა. ჯერ ისევ სისხამი დილა იყო. იქ, სადგურში მოსამსახურე დიანოს ბახშვილი შეგვხვდა, რომელმაც ოჯახში ხაჭაპურზე და არაყზე დაგვპატიჟა. მოვიდა მატარებლის გასვლის ვადა და ჩვენც გავყეთ. მაინც ადრე შევედით ბორჯომში. ვიცოდით რომ იაკობს საზოგადოდ ადრე უყვარდა ადგომა, მაგრამ მაინც შევიგვიანეთ. გავიარეთ აქეთ იქით, დავათვალიერეთ ბორჯომის ახლო-მახლო მიდამოები და ცხრა საათზე დაუკარით იაკობს თავი.

გაგვიჯავრდა, ჩაიზე გელოდით და რად დაიგვიანეთო. კაი რომ პირი ბორჯომის წყლით მაგრად გამოვირეცხეთ, თორემ ცეცხლს დაგვაყრიდა, რომ შეეტყო ჩვენი დასაუზმება და არაყის დალევა.

ჩვენც მიუკიბ-მოუკიბეთ და მიუსხედით მაგიდას. დაუწყეთ ყველსა და პურს ჭამა, ვიდრე ჩაის ხელახლად გააცხელებდნენ და ცოტა არ იყოს ჭამაში შეგვატყო სიზანტე, მეტადრე მე, თორემ ილიკომ დღესაც რომ ხუთი სადილი გამოიაროს მეექვსე სადილს ისე შეექცევა, რომ გეგონებათ ამ კაცს დღეს გემოდ არაფერი უნახავსო.

ჩაის რომ გიახელით იაკობმა გვითხრა: ახლა წადით, გაიარ-გამოიარეთ, დაათვალიერეთ ბორჯომის არე-მარე, არ გამოგრჩეთ პარკი. ზოგან მწვანეზედაც გაგორ-გამოგორდით, ნამგზავრები ხართ მოგიხდებათო და სამ საათზე სადილად აქ მოდითო. სეირნობის შემდეგ სადილი უფრო გემრიელად შეგერგებათო.

ჩვენ მართლა სულ მთლად დავიარეთ იქაურობა, ვნახეთ,

რაც კი რამ იყო სანახავი და სწორედ სამ საათზე მივედით იაკობთან სადილად.

— აბა თამარ, (კოწია თავართქილაძის ოჯახობა და იაკობ გოგებაშვილი ერთი კაცის ბინაზე იდგნენ) სტუმრები მოვიდნენ და თუ სადილი მზად არის გამოგვიტანეო.

გაიშალა სუფრა, მოვიდა სანოვაგე, წვნიანი, ჩახოხბილი ბადრიჯანი და ნახევარი ბოთლი წითელი ღვინო.

მე და ილიკოს არაფრად გვეჭაშნიკა ასე მცირე სასმელი და ერთმანეთს ჩუმად გადავხედეთ. ვიფიქრეთ კი შეიძლება ჯერ ეს ნახევარ ბოთლი დაგვალევინოს და მერე მთელი ბოთლი გახსნასო, მაგრამ ჩვენი მოსაზრება ტყუილი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ იაკობს მთელი ზაფხულისთვის სამყოფი ღვინო, წითელი, კახეთიდან მიჰქონდა ხოლმე დაბეჭდილი ბოთლებით, მაინც არაფერი გამოვიდა.

ზემოდაცა მაქვს ნათქვამი რომ, იაკობი ღვინოს ძალიან ფრთხილად ეკიდებოდა და სხვასაც აფრთხილებდა, რომ ზედმეტი არ დაელიათ.

კაცმა ასი წელიწადი უნდა იცოცხლოს თუ თავს კარგად მოუარაო. ამას გვიმტკიცებს რუსული სიტყვა „человек", მაგრამ კაცმა თავის თავის ყადრი არ იცის. ლოთობა, პაპიროსის წევა და სხვა და სხვა გვარი გარყვნილება ადრე უსწრაფებს მას სიცოცხლესაო.

ხმა მაღლა და ბეჯითად იტყოდა ხოლმე: მიუხედავად იმისა, რომ მე ავადმყოფი კაცი ვარ, მაინც უნდა დაუმტკიცო ჩვენს ხალხს ჩემი ერთი საუკუნის სიცოცხლის გაძლებითა, რომ კაცმა უეჭველად საუკუნე უნდა იცოცხლოსო.

მართლაც ისე უვლიდა იაკობი თავის თავს, ისე (...), რომ, მეტად ყოჩაღად და სულმუდამ ცოცხლად გამოიყურებოდა. ისე მედგრად ეჭირა კალამი და ისე აწიკწიკებდა ასოებს, როგორც ოცი, ოცდა ათი წლის ახალგაზრდა.

იაკობი უეჭველად შეასრულებდა ქადილს, რომ მას ნაწლავებში კუ არ გასჩენოდა და არ მოეღო ბოლო ამ იშვიათი კაცისათვის.

ისე ბრგედ და ისე მკვირცხლად დადიოდა ეს სამოცდათორმეტი წლის ადამიანი და ისე მჭახედ და ისე გულმრთელად ჩაახველებდა ხოლმე, რომ მას მოხუცებულობისა არაფერი ეტყობოდა.

რაც შეეხება ღვინოს ღირსებას, თეთრ ღვინოს ის სრულებით არაფრად აგდებდა. მუდამ უპირატესობას აძლევდა წითელ ღვინოს. თეთრი ღვინო მავნებელიაო, წითელი კი სამკურნალოო.

რომ ეტყოდნენ, იაკობ, ნუ ხარ ახირებული კაციო, ის სხვა და სხვა ექიმების გამოკვლევას და დასკვნებს მოუყვანდა ხოლმე მოკამათეს.

წითელი და თეთრი ღვინის ღირსება-ნაკლულოვანების შესახებ ჰქონდა რამდენიმე წერილი პატარა გაზეთ თუ ჟურნალ „მეურნე"-ში, რომელიც გამოდიოდა იმ დროს ქუთაისში ილია ჭყონიას რედაქტორობით.

იაკობი, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჩუმი ქველმოქმედი კაცი იყო. არ უყვარდა გახმაურება, თავის გამოჩენა. როგორც უკვე ვთქვი, ისე უგზავნიდა ერთხანად რუსეთში მყოფ აკაკის თვეში ხუთ, ათ თუმანს, რომ ჩემს მეტმა კაცმა არ იცოდა. არც მე მეცოდინებოდა, რომ იაკობს ფოსტაში შესვლისა და იქ დგომისა არ შინებოდა.

უეჭველად ეხმარებოდა ეგნატე ნინოშვილსაც, რადგან მის უმწეო მდგომარეობაზე და ავადმყოფობაზე ძალიან ფრთხილად ჩამოაგდებდა ხოლმე ლაპარაკს.

ეხმარებოდა აგრეთვე ძმისწულებს, დისწულებს, სკოლებს და ღარიბ მოწაფეებს ფულით თუ სასწავლო ნიუთებით.

მთელი მზითებითაც კი დაეხმარა ერთ ერთ თავის დისწულს.

არც ერთი ბენეფისი არ ჩაივლიდა ჩვენი გამოჩენილი თუ საშუალო მსახიობებისა, რომ ყოველ წელიწადს მათთვის რაიმე საჩუქარი არ გაეგზავნა.

ყოველი ქართული წარმოდგენის ბილეთს აუცილებლად ყიდულობდა. წავიდოდა თუ არ წავიდოდა ეს სულ ერთი იყო მისთვის, ბილეთს მაინც იძენდა.

რაიმე საზოგადო საქმისათვის გასაღებ ფულს ის სულმუდამ დაუზარებლად იხდიდა.

უბრალოდ და უმიზნოდ კი ფულის დახარჯვა არ უყვარდა.

ყოველ ახლად გამოსულ წიგნს ის უეჭველად იძენდა იმ მიზნით, რომ, ჯერ ერთი წაეკითხა და მერე გაეგო სასარგებლო იყო თუ მავნებელი საზოგადოებისათვის ესა თუ ის წიგ-

ნი. წიგნს მყიდველ-წამკითხველი უნდა ჰყავდესო, თორემ წიგნი უამისოდ საზოგადოებას ვერ გაეცნობაო.

ერთი წიგნი რამოდენიმე პირმა უნდა წაიკითხოსო. ამითი ყოველ ახლად გამოსულ წიგნს მუშტარი ეკარგება და ამისი წიგნის გაყიდვა მეტად ბრკოლდებაო.

თუ არ საქველმოქმედო, თავის ახლად გამოსულ წიგნს არავის უფეშქაშებდა. ჩემი წიგნი რომ ყველა ჩემს ნაცნობ-მეგობრებს დაურიგო, სად წავაო, მაშ ვიღამ უნდა იყიდოსო.

მისი სახელმძღვანელოების ძველმა, დიდიხნის გამომცემელმა ზაქარია გრიქუროვმა, და შემდეგ, როცა გამომცემლობა გადმოვიდა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ხელში, სთხოვეს იაკობს „დედა-ენის“, „ბუნების კარი“-ს და „Русское слово“-ს გარე კანზე ყოფილიყო მისი სურათი დაბეჭდილი, მაგრამ არ დასთანხმდა არც ერთს, საჭიროდ არ სცნო და სანამ ცოცხალი იყო არავის თხოვნა არ შეასრულა.

ასევე მოიქცა მისი იუბილეს გამართვის შესახებაც. ჯერ ვინც უფრო ჩემზე ღირსია იმას გადაუხადეთ პატივისცემაო და მერე ვნახოთო. ამას ამბობდა ილია ჭავჭავაძის შესახებ. ილია ჭავჭავაძემ პირველსავე გაგონებაზე ხელები გაასავსავა და სრული უარი გამოაცხადა მისი იუბილის გადახდაზე.

მაშინდელმა მწერალ-მოღვაწეებმა ბევრი სწერეს ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის აღსანიშნავ იუბილეს შესახებ, მაგრამ ტყუილად.

სხვათა შორის სანოს (სტეპკო ჭრელაშვილი) ჰქონდა მოთავსებული გაზეთში ერთი თუ ორი ფელეტონი ზემოხსენებულ იუბილეს შესახებ, მაგრამ, როგორც ზემოდაც აღვნიშნე, ვერც სანომ და ვერც მთელმა ქართველმა მოღვაწეებმა ვერ დაიყაბულეს ილია. სთქვა და გაათავა. იტყოდა და ზედ ისეთ ბეჭედს დაასვამდა, რომ მას ვეღარავინ წააშლევინებდა. თავის სიტყვის ბატონიც იყო და პატრონიც. ქილიკობა ეჯავრებოდა.

როგორც მასწავლებელი იაკობი დიდებული ყოფილა და ჰყვარებიათ კიდეც მოწაფეებს, მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილებზე მკაცრად და სასტიკად იქცეოდა.

მისი ნამოწაფარი სამსონ ინასარიძე იტყოდა ხოლმე: გაკვეთილზე რომ შემოვიდოდა, კარებიდანვე გაშლიდა ხელებს და სახე გაბრწყინვებული იქიდანვე დაიწყებდა გაკვეთილის

ახსნა-განმარტებასაო. მეტად მკაფიო და ცოცხალი გადმოცემა იცოდა გაკვეთილებისაო. ძალიან უბადრუკი უნდა ყოფილიყო მოწაფე, რომ მისი ახსნილი გაკვეთილი ვერ გაეგოო.

იაკობს ერთი ინტელიგენტი ქართველი ახალგაზრდა ქალი გაეცნო და სთხოვა, ნება მიეცა იაკობს, მასთან საღამოობით სიარულისა, როცა თავისუფალი დრო ექნებოდა, რომ მისი მეთხებით გარკვეულიყო სხვა და სხვა საკითხებში.

იაკობმაც როცა ნახა, რომ ქალს მართლაც დიდი სურვილი და ცნობის მოყვარეობა აქვს, დართო ნება.

იაკობის ტკბილმა საუბრებმა ისე გაიტაცა ეს ქალი, რომ მას გოგებაშვილის სახლიდან წამოსვლა ავიწყდებოდა ხოლმე.

იაკობი მუდამ პირში მთქმელი კაცი იყო და დიდი ბოდიშები არ იცოდა.

რამდენჯერმე, რომ შემოაღამდა ქალს თერთმეტ-თორმეტ საათამდე, თუ პირველამდეც და წასვლა ეზარებოდა ხოლმე, იაკობმა უთხრა: მე ცოლის შემრთველი კაცი არა ვარ, ვერავის მოვალეობაში ვერ ჩავდგები და ვინც განახავს ჩემი სახლიდან ასე უდროოდ გასულს, რას იფიქრებსო. მოდი ნურც შენ და ნურც მე ტყუილად სახელს ნუ გავიტეხთო. რაც გადმოგეცი, რაზედაც გესაუბრე, ამაზე მეტს სხვას ვერაფერს გეტყვი და დღეიდან მშვიდობით ვიყვნეთო.

იაკობი სულმუდამ თავისს ნათქვამი კაცი იყო, მით უმეტეს, როდესაც სრული სიმართლე იმისკენ იყო.

ვერც ერთმა სახალხო განათლების დირექტორმა და ვერც თვით მთელი ოლქების მზრუნველმა იანოვსკიმ იაკობს ვერაფერი დააკლეს.

ბევრი შეხლა-შემოხლა ჰქონდათ ხოლმე სკოლებში ქართული ენის სწავლების და სახელმძღვანელოების შესახებ.

რაწამს გაიგებდა, რომ ამა თუ იმ სკოლაში ქართული ენის გაკვეთილები შემცირდა, ან კანტი-კუნტად მიმდინარეობს, მაშინვე ერთ აურ-ზაურს ასტეხდა ხოლმე გაზეთებში.

აქ თბილისში, თუ ვერაფერს გახდებოდა რუსეთის სატახტო ქალაქის გაზეთებში აფრენდა ხოლმე მრავალნაირად დასაბუთებულ წერილებს და იქ აბეჭდინებდა. ძალიან ხმალამოღებული კაცი იყო და არავის უშინდებოდა. ძალიან ხშირად უხდებოდა ქართული გაკვეთილების შესახებ კამათი ოლქის მზრუნველთან თუ დირექტორთან და ხშირადაც იხრე-

ბოდა მისკენ სრული სიმართლე. ასიკო ცაგარელი ჯერ ბოდიშს მოიხდიდა და მერე იტყოდა: ქართველებს და ქართულ ენას ისეთი ასარ-ბასარა დარაჯი ჰყავს, რომ მას ვერავინ ვერაფერს დააკლებსო, არავის გაახარებს თუ ჯიბრზე მიდგა საქმეო.

იაკობმა ხანდახან ტყუილი გულის მოსვლაც იცოდა. როდესაც არ შეეძლო გარედ გამოსვლა უამინდობასა თუ ავადმყოფობის გამო, მისი სახელმძღვანელოების ყოველთვიურად გადაბრილი ხვედრი ფული სახლში მიმქონდა ხოლმე წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიიდან.

ერთხელ ოცი თუ ოცდაათი თუმანი ოქროს ფული მიუტანე ბინაზე. კარები მოსამსახურემ გამიღო და ისიც თან შემომყვა იაკობის საწოლ ოთახში, მიხვდა რაშიაც იყო საქმე და ვიდრე მე ფულს ამოვიღებდი მკითხა შესაჩერებლად შიო, რა არის თქვენსკენ ახალი ამბებიო. ახალი ამბები იმას ნიშნავდა, რომ ვინ საიდან, რომელ ქალაქიდან ან დაბიდან რამდენი ცალი სახელმძღვანელო დედა-ენა, ბუნების კარი და ან რვეულები დაიბარა. მაშინ ქართული წერის რვეულებიც გოგებაშვილისა იყო. „Русское слово"-ს პირველი და მეორე ნაწილი რავდენ რავდენი ცალი გაიწერეს და სხვა.

რომ მოუყე ყველა სახელმძღვანელოების ამბებს სულ რავდენი წავიდა და სად უნდა გავგზავნო კიდევ და აი ჩავალ თუ არა მაღაზიაში და რაც გაუმზადებელია ეხლავე უნდა გავამზადოთ. ამ თქმასთან ერთად ამოვიღე ოქროები და დაულაგე საწოლის წინ მდგარ პატარა მაგიდაზე და ვთხოვე ბარათის მოცემა.

ბარათის მოცემის მაგიერ გაცხარდა იაკობი და აყვირდა, კაცო, რად მინდოდა ეს ფული, რომ აქ მოგქონდა? ან შენ და ან მდივანმა არ იცოდით, რომ ამ ფულს სხვას (...) მისცემსო. ამის გარდა ხომ იცით, რომ დიტიატკოვსკისა სხვაც ბევრი მმართებს ქალალდისაო. წაიღე უკან ეხლავე და გადაეცით მათო.

ამ დროს ვიღამაც ჩამორეკა ზარს. ბიჭს უთხრა: გახედე და ვინც უნდა იყოს, მეორე ოთახში მოაცდევინეო.

ბიჭი რომ გავიდა, ყასიდად გაჯავრებული დამიტკბა და მითხრა, ვიცით, განა არ იცი, რომ ოცდაათი კი არა ათი თუმ-

ნისათვის ჰკლავენ კაცსაო. თავის დღეში ვინც უნდა იყოს, მასთან ფული არ უნდა მომცეო.

ოქროები ბალიშქვეშ შეაწყო და ბიჭის გასაგონად ხმამაღლა მითხრა: აბა, როგორც გითხარი, ისე მოიქეცი და დანარჩენი ფულიც პირდაპირ დიტიატკოვსკის წაუღეთ და ფულის მიღების ბარათიც ჩამოართვით ხოლმეო.

1932 წ.

ВОСПОМИНАНИЯ ИАКОБА ГОГЕБАШВИЛИ

Сорок лет тому назад я впервые увидел Иакоба Гогебашвили.

Шел 1892 год. Я только что окончил Сухумскую гимназию и приехал в Тифлис. Мой старший брат Георгий, который был на пять лет старше меня, познакомил меня с Ильей Чавчавадзе, Акакием Церетели, Гиоргием Церетели, Ладо Асатиани, Вано Сараджишвили, Николозом Накашидзе, Константином Гамсахурдиа, Ладо Месхишвили, Шалвой Дадиани, Шалвой Нуцубидзе, Ладо Кецховели, Ладо Гудушаури, Ладо Давиташвили, Ладо Мегвинетухуцесели, Ладо Гогебашвили, Ладо Ахвледиани, Ладо Гулисашвили, Ладо Гуниа, Ладо Гедеванишвили, Ладо Кавтарадзе, Ладо Ломтатидзе, Ладо Ломинадзе, Ладо Ломоури, Ладо Ломсадзе, Ладо Ломтадзе, Ладо Ломинашвили, Ладо Ломоурашвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломтадзеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломинашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвили, Ладо Ломинашвилеишвили, Ладо Ломоурашвилеишвили, Ладо Ломсадзеишвили, Ладо Ломтадзеишвил

— მობრძანდით, მობრძანდით, ყმაწვილო! — შემიპატიჟა მან. მეც მკვირცხლად ავირბინე ათსაფეხურიანი კიბე. იაკობმა ხელი მომხვია და შინ შემიყვანა.

სუფრა გაშლილი ჰქონდა და სტუმრად მხოლოდ ერთი ქალი ახლდა, რომელიც შემდეგ გავიგე, მსახიობი ქალი იყო, ყორღანოვი.

სადილის შემდეგ ყორღანოვის ქალი წავიდა და იაკობმა შოსამსახურე კაცს უთხრა: ეხლა აღარა მცალიან და ნუღარაგის შემოუშვებო.

შემდეგ გამიყვანა შუა ოთახში.

ხუთი თუ ექვსი ოთახი ეპირა. ყველა ოთახი მორთული ჰქონდა ქართული ისტორიული ნივთებით, ხალიჩებით, ქართველი მეფეებისა და მწერლების სურათებით და ყოველი ოთახის თითქმის ყოველს კედელზე ეკიდა გალია მომღერალი ფრინველებით; ფრინველები ერთმანეთს გაძახ-გამოსძახოდნენ.

მთელი ის საღამო მე მომანდომა იაკობმა.

როდესაც ლაპარაკში შევეჩვიე, ისე წავთამამდი, რომ აქაიქ ფრთხილად ენაც დავუწუნე მის სახელმძღვანელოებს. ასე: — ბატონო იაკობ, თქვენ ხალხურ ენას დიდს პატივსა სცემთ, მეც მირჩევთ, ხალხური ენითა ვწერო, როგორც ილია, აკაკი და რაფიელ ერისთავი, მაგრამ თქვენს წიგნებში რომ ზოგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილები!

— აბა, სადა, მაჩვენე! — წამოდგა მაშინვე იაკობი და მომიტანა „ბუნების კარი“.

ცოტა არ იყოს, შევფიქრიანდი. ცივმა ოფლმა გამომჩხვლიტა მთელს ტანზე, ვაითუ ვერაფრით დავასაბუთო ჩემი წინდაუხედავი სიტყვა და შევრცხვე მეთქი. მაგრამ სულის სიმშვიდე მაინც არ დავკარგე.

დინჯად გადავშალე წიგნი.

იაკობმაც ხელი შემიწყო. ის სხვა ოთახში გავიდა და შეძლება მომეცა, კარგა მომეძებნა ჩემი სიტყვის დასამტკიცებელი საბუთები.

მართლაც, მალე წავაწყდი 145 — გვერდზე ამბავი „გველი“ ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ამ დროს შემოვიდა იაკობი და მაშინვე მოვახსენე:

— აი ბატონო იაკობ, ავიღოთ, მაგალითად, ამბავი გველ-

ზე. ასე იწყება: „ყველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია“. ხალხი ასე არ იტყვის; ხალხი იტყვის: „ყველამ იცის, გველი შხამიანი ცხოველია“. რა საჭიროა „რომ“, ან კიდევ მეორე ალაგას, აქვე გიწერიათ: „რადგანაც მოსალოდნელია, რომ გაფხაჭნილიდან შხამი პირდაპირ სისხლში შეერიოს“. ხალხი ამას ასე იტყოდა:

„რადგანაც მოსალოდნელია, გაფხაჭნილიდან შხამი პირდაპირ სისხლში შეერიოს“. რა საჭიროა „რომ“. მერე ჩემი საკუთარი მაგალითები მოვუყვანე, თუ როგორ ლაპარაკობს ხალხი. აი, მაგალითად, ვუთხარი: გლეხი სოსანა ეძახის სოსიკოს: „სოსიკო, მიხას უთხარ, ნაჯახი წამოიღოს“. ან კიდევ, გლეხი იტყვის „სად გაგონილა, თხამ მგელი შეჭამოს“. თქვენ კი დასწერეთ: „სად გაგონილა, რომ თხამ მგელი შეჭამოს“. რა საჭიროა „რომ“ — დავასრულე ჩემი მაგალითები. იაკობი დაფიქრდა, დაფიქრდა და გაკვირვებით მითხრა:

— იცი, ყმაწვილო, შენ მართალი ხარ, ზოგიერთ ალაგას არ უნდა „რომ“.

მის ასეთ გულწრფელ თანხმობაზე სიამაყეც ვიგრძენ, უხერხულობაც.

იაკობი კიდევ დაფიქრდა და შემდეგ მითხრა:

— იცი, ყმაწვილო, ჩემს წიგნებს მოგცემ და გაასწორე, რაც კი გასწორების ღირსად სცნო.

გამოიღო „ბუნების კარი“, „დედა ენა“ და მომცა. შემდეგ ჩეკი დამიწერა ბანკში წარსადგენად და მითხრა: „აი, ამ ჩეკით ბანკში ფულს მიიღებ და ღრმად დარწმუნებული ვარ, თქვენისთანა ჭკვიანი, ნიჭიერი და კარგი დედ-მამის შვილი ცუდზე არაფერზე დახარჯავსო“. ჩეკის მოცემის დროს კიდეც დამპირდა:

საშუალოს რომ გაათავებ, უმაღლესში მე გაგგზავნიო. მან კარამდე გამომაცილა და წამოვედი.

მაშინ უკვე 18-19 წლისა ვიქნებოდი და მარტო აღარ ვიყავ: მყავდნენ ამხანაგები, მყავდა წრე და ამ წრეს ჰქონდა თავისი ეროვნული მიზნები, ამ წრეს გაეუზიარე ყველაფერი.

„ბუნების კარი“ და „დედა ენა“ მარტო არ გავასწორე, გამოვიჩინე უაღრესი სიფრთხილე, ჩემს თავს არ ვენდე და დავიხმარე წრის ამხანაგებიც.

როდესაც გასწორებული წიგნები მივუტანე იაკობს, მან, მადლობის ნიშნად კიდევ გამომიწერა ფული.

სწორედ ამ ხანებში ატყდა გაზეთებში განგაში გოგებაშვილის „დედა ენაში“ მოთავსებული ერთი კურიოზის გამო. „დედა ენაში“ გოგებაშვილს ერთგან ისე აქვს გამოყვანილი, თითქო ოფოფი „კუ-კუ“-ს იძახდეს. ვერც ერთმა გაზეთმა და ავტორმა ვერ დაარწმუნა გოგებაშვილი, რომ ოფოფი „ოფოფ“-ს იძახის. ნოტებზედაც კი დაუხატეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, იმდენად თავისნათქვამი კაცი იყო იაკობი.

ამ დროს დამიბარა მე.

ვიფიქრე, იაკობი იმიტომ მიბარებს, ფული უნდა მომცეს-მეთქი. სწორედ მიჭირდა კიდეც და ამიტომ სიხარულით წავედი.

მივედი თუ არა, იაკობმა მაშინვე ოფოფზე ჩამომიგდო ლაპარაკი. წყენით შემომჩივლა: „ყმაწვილო, გესმის ეს ხალხი რას მიმტკიცებს! ოფოფი — „კუკუ“-ს კი არა „ოფოფ“-ს იძახისო. შენ, როგორც სოფლის შვილმა მწერალმა, ხმა უნდა ამოიღოო“.

რაც ძალი და ღონე მქონდა, გავსწორდი წელში და რაც იქნება-იქნება მეთქი, ვუთხარი:

— ჩემო მამავ, უძვირფასესო მასწავლებელო და აღმზრდელო იაკობ, თქვენ მართალი არა ბრძანდებით: ოფოფი „კუ-კუ“-ს კი არა, „ოფოფ“-ს იძახის მეთქი.

— მართლა? — გაკვირვებით სთქვა იაკობმა და შემდეგ დაუმატა: შენ ტყუილს არ იტყვი, ამიტომ დაგიჯერებო.

ძალიან გამეხარდა, რომ დამიჯერა. ამის შემდეგ რომელიღაც გაზეთშიც სწერდა ამის შესახებ.

იოსებ სრესელი

ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან

უველაფერი ხალხმა მომცა და
ხალხსვე უნდა დაუბრუნდეს.
ი. გოგებაშვილი

ქართლის ბარაქიანმა და მადლმოსილმა მიწამ ბევრი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და მხატვრული სიტყვის ოსტატი შესძინა ისტორიას.

ამ სახელთა შორის ცის მნათობივით ბრწყინავს დიდი ქართველი პედაგოგისა და პუბლიცისტის, ნიჭიერი საბავშვო მწერლისა და ლიტერატურის კრიტიკოსის — იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილის სახელი.

ხალხთა მოჭირნახულესა და დიდ ჰუმანისტს იაკობ გოგებაშვილს, ხალხის გულში აქვს ბინა. მისი სახელი გადადის უშკნობი სახით თაობიდან თაობაში. გოგებაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები და მისი ორიგინალური მშვენიერი საბავშვო მოთხრობები დაწერილია დახვეწილი ტკბილი ქართული ენით, მიმზიდველი პოეტური ფერებით და ღრმა იდეური შინაარსით. ამ ნაწარმოებებიდან მთის ჩანჩქერივით გადმოჩქეფს ქართული ხატოვანი სიტყვაკაზმულობა. „დედა-ენის“ ფურცლები დედის თბილ კალთად ექცა მომავალ თაობებს. ეს ის ძვირფასი წიგნი იყო, რომელმაც დიდი ძალით აგვიერთიანა პატარა გულები და ძლიერად გვაგრძნობინა წიგნის პირველი სიყვარული.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობებში გიზგიზებს ჩაუქრობელი სიყვარული და თავდადება დედასამშობლოსადმი. ეს ჭმნილებანი გამდიდრებულია ხალხური ზეპირსიტყვიერების თვალმარგალიტებით, რომლებიც ესოდენ გულუხვად არიან

გაბნეულნი და სილამაზეს მატებენ მის შემოქმედებას. ჩვენს თაობას არ გვხვდა წილად მოვსწრებულიყავით იაკობ გოგებაშვილს, მოგვესმინა მისი ქართული დარბაისული საამური მუსაიფი, გვეხილა მისი მაღალი შუბლის შუქნათელი და ყმაწვილთა მოალერსე შორს მჭვრეტელი თვალები.

მრავალი მოგონებაა დაწერილი იაკობ გოგებაშვილის შესახებ. გარდა დასტამბული მოგონებებისა, მე, როგორც მისი ოჯახის მახლობელს, ბევრი რამ მაქვს მოსმენილი და გაგონილი. ეს ცალკეული პირები არიან ის ნათესავ-მახლობლები, რომლებიც ხშირი სტუმრები იყვნენ გოგებაშვილის სტუმართმოყვარე ოჯახისა. ეს ზეპირგადმოცემანი პატარაობიდანვე ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში და ვფიქრობ, მათი გამომზეურება შუქს მიაყენებს მის ისედაც ნათელ ცხოვრება-მოღვაწეობას.

ბავშვობის წლები.

იაკობ გოგებაშვილი რიცხვმრავალ ოჯახს ეკუთვნოდა, რომლის წევრები პატარა იაკობს ხელის გულზე ატარებდნენ. იაკობი პატარაობიდანვე ოდნავ ფერმკრთალი და ხუსტი აგებულობის იყო.

ფართედ გადაშლილი მაღალი შუბლი მის სანდომიან სახეს მოგრძო შეხედულებას აძლევდა.

შუბლიდან ოდნავ გადაწეული გიშერივით შავი და ხშირი თმა, შუბლქვემოთ მკვირცხლად გამომზირალი მოზრდილი თვალები და ოდნავ გადაბმული გადაკალმული წარბები, ყმაწვილს სიმალჩაზეს მატებდა.

პატიოსანი შრომის სიყვარული და გულმოდგინეობა იაკობს პატარაობიდანვე ღრმად ჩაენერგა.

ყრმობის დროს სოფლად გატარებულმა წლებმა მის კალამს ძალა და ენერგია შემატა.

ზამთარში მოღუღუნე ბუხართან გატაცებით ისმენდა ზღაპრებს, ხოლო ზაფხულში სოფლის გოგობიჭებთან ერთად ლაღად გაშლილ, ლურჯად მობიბინე ველმინდვრების კალთებზე ზიზილებს კრეფდა.

ლურჯთვალა იებს ლამაზ პაწაწინა კონებად კონავდა. გვირილებით დაწნული ბრტყელი ქამრით წელზე შემორტყმული როდესაც მოირბენდა სახლში, დედა ყაყაჩოს ფოთლებით გაწითლებულ პატარა თითებს დაუკოცნიდა და კალთაში ჩაისვამდა. პატარა იაკობს გატაცებით უყვარდა თევზაობა და თანატოლ კოკაურთან ერთად ხშირად დაიარებოდა ლიახვზე, რომელიც ვარიანს გვერდით ჩამოურბის.

ბევრჯელ გაბრწყინებულა მისი თვალები უღვაშებიანი ციმორის და წითლად დაწინწკლული ლურჯი კალმახის დაჭერით, მრავალჯერ გადუცურია გიჟმაჟი ლიახვის ალმასი ტალღები. განთიადისას ტკბილ ნანასავით ჩაესმოდა ორღობეებიდან ურმულის მოძახილი და ფრინველების ჟივჟივი.

მ-ნდორში ხშირად თან დაჰყავდა იაკობი მის უფროს ძმას ივანეს. ყმაწვილი გაფაციცებული უმზერდა ყანაში შესეული გლეხების ვეფხვებივით ტრიალს, ფხააწყობილი ნამგლების ბდღვრიალს.

ლაღი ბუნების შვილი სტკბებოდა ცად ატყორცნილი ტოროლას წკრიალით, მწყერების კვიტკვიტით.

8 წლის როდესაც შესრულდა, ერთ მშვენიერ დღეს მამამ მოუხმო და განუცხადა: შვილო იაკობ, გორში უნდა წაგიყვანო სასწავლებლადო. ამ სიტყვებმა ყმაწვილი იმდენად გაახარა, რომ ღამე მის თვალებს რული არ მიჰკარებია. მეორე დღეს მამაშვილმა მზეს დაასწრეს წამოდგომა.. მტრედისფერი განთიადი ჯერკიდევ ფრთას იბერტყდა, როდესაც ურემმა სოფლის ბოლოს ჩარდახებივით გადახურული ორღობეები ნელი ჭრიალით დასტოვა და გორისაკენ დაეშვა. ურემი ლიახვის ნაპირს როდესაც მიადგა შეჩერდა. მდინარე ადიდებული მოდიოდა. ივანემ კოფოდან ისკუპა და ფონი მონახა, ეტყობა, რომ მთაში წუხელის დიდი ავდარი ყოფილა, ლიახვს ჯანი შემატებია...

ურემმა ადიდებული მდინარე როდესაც გაანახევრა, ფერსოებზე შეხლილი აგორებული ქვების რახუნი გაისმა. მდინარემ ურემი ტივივით მოიტივტივა. პატარა იაკობს წყალმა ფეხები დაუსველა, ცოტა არ იყოს ფერი ეცვალა და მკვირცხლად შეხტა კოფოზე. ურემი სამშვიდობოზე როდესაც გამოვიდა იაკობმა ლიახვს დარცხვენით გადახედა და ჩაილაპარაკა:

მოიცა, გწახავ ლიახვო,
დაგხვეოდნენ კოლუები,
ბიჭებუჭნი გაჭყუმპუნებდნენ,
დაგწუმპლაედნენ გოგუები.

მაშ რა გეგონა, შვილო, მიმართა მამამ, მუდამ ვერ დაიბრაზებ ლიახვს, ამიტომ უთქვამს ხალხს:

ლიახვმა სთქვა, ავდიდდები,
არაგვსა დავედარები,
ის მოვალ და მოვხშუ...
თითქოს ფეხს მეკრას ნალები.

თუმცა ჯერ კიდევ შორს იყო, მაგრამ მის გულში ამაყად მდგარი მთასავით ამოზიდული ციხე თავისუფლად მოსჩანდა. რამდენადაც მანძილი მოკლდებოდა, იმდენად გორის ციხე დიდდებოდა. იაკობმა გვირგვინივით გარშემორტყმული ციხის ქონგურებს შეავლო თვალი. მისმა სიმაღლემ ფიქრი მოსტაცა: ალბათ ამ ციხიდან ჩემი სოფელიც მოსჩანს, შორიდან ხშირად მოვინახულებ, როცა მომენატრებაო...

ორი გლეხი

ალექსანდრე გოგებაშვილი ხშირად მოინახულებდა ხოლმე თავის საყვარელ ბიძას იაკობ გოგებაშვილს. ალექსანდრე ცხოვრობდა სოფ ვარიანში და აქვე მასწავლებლობდა. ეს ხშირი სტუმრობა ...ით იყო გამოწვეული, რომ იაკობი დაინტერესებული იყო სოფლის ცხოვრებითა და ამბებით. თავისი ძმისწულის გულდასმითი გამოკითხვის დროს იგი აგროვებდა საჭირო მასალებს „დედა-ენის" სრულსაყოფად. განსაკუთრებით აინტერესებდა, თუ რა შეხედულების იყო სოფლის მოსახლეობა სწავლა-განათლების შეტანაზე სოფლად, სკოლების გახსნაზე და დედაენის სწავლებაზე.

ხანდახან (განსაკუთრებით ზაფხულობით) იაკობიც ეწვეოდა ხოლმე თავის საყვარელ სამშობლო სოფელს ვარიანს. სოფელი მისი შემოქმედებისა და შთაგონების დაუშრეტელი წყარო იყო.

იაკობი როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების მოტრფიალე, თავს უყრიდა ხალხის ალალი გულიდან ამოფრენილ

მგრძნობიარე ბოეტურ ნიმუშებს, რომლებიც მცირედი შესწორების შემდეგ გადაჰქონდა „დედა-ენისა" და „ბუნების კარის" უჯრებზე.

იაკობი ხშირად ემუსაიფებოდა გლეხობას, ურჩევდა შეეარაღებულიყვნენ ბუნების კანონების ღრმა ცოდნით, რაც ხელს შეუწყობდათ ადვილად მისწვდომოდნენ მის საიდუმლოებას და გადმოელაგებინათ ბუნების დოვლათი.

ვარიანელ გლეხებს უყვარდათ იაკობი, სჯეროდათ მისი და ისეთივე გატაცებით უსმენდნენ, როგორც მათი ბავშვები მის დედაენას.

იაკობის დავალებითვე ერთ მშვენიერ შემოდგომის დღეს იაკობთან ალექსანდრეს ჩაუყვანია ორი ღრმად მოხუცი ვარიანელი გლეხი, რომლებსაც მრავალი ხალხური ლექსები, ანდაზები და იგავ-არაკები სცოდნიათ.

იაკობი აღტაცებაში მოსულა მშობლიური სოფლიდან ჩამოსული სტუმრების დანახვით. მომღიმარი სახით, გაბრწყინებული თვალებით ოთახიდან ოთახში დაუწყია ფუსფუსი სუფრის გასაშლელად და თურმე დაბალ ხმაზე ტკბილად ღუღუნებდა „ურმულსა" და „ჰოროველას".

აბა, ბიჭებო! რაც იცით და არ იცით, სულ უნდა დაფქვათ თქვენებიანთ წისქვილივითაო — მიუმართავს გლეხებისათვის, მერე კი მოსამსახურესათვის შეუძახნია:

— არიქა, სეხნია! გეთაყვა!, ერთი შენებურად დაბზრიალდი ჩოკირივით, ვარიანელებს ნუნუა უყვართო.

იაკობს ღვინის სმა მაინცდამაინც არ უყვარდა, მაგრამ სტუმრებისათვის კი მუდამ გამოულეველი ჰქონდა. გლეხები იაკობის საქციელით გაოცებულან: რატომ სვამთ წყალდაკრულ ღვინოსო?!

— მიტომ, რომ მუდამ ენაწყლიანი გახლდეთო, უპასუხნია იაკობს ხუმრობით. გაუხარია სტუმრების მიერ ნათქვამი ლექსებითა და ანდაზებით, ძალზე მოსწონებია, ხოლო ზოგიერთებში კი შემჩნევა და შესწორება შეუტანია, გაუშალაშინებია. მაგალითად, როდესაც მოუსმენია:

„კურდღელი ჩამოცანცალდა,
ფეხმოტეხილი საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი
თუნგ ნახევარი მაჭარი".

ასე უთქვამს: რა დაგიშავათ ისედაც ფეხმოტეხილმა საწყალმა კურდღელმა, რომ თუნგნახევარი მაჭარი ზურგზე აჰკიდეთო?! მოდით, მაჭარი ჩამოვხსნათ და ნორჩი კომბოსტო ავკიდოთო, კომბოსტოს უფრო გამოიყენებს კურდღელი და გაიხარებსო. მაჭარს კი უმისოდაც ბევრი მოტრფიალე ჰყავსო; იაკობმა მართლაც თავისი ასეთი შესწორებით შეიტანა ეს ლექსი „დედა-ენაში“:

კურდღელი ჩამოცანცალდა,
ფეხმოტეხილი საწყალი,
ზურგზე ეკიდა საგზალი
კომბოსტო ნორჩი ახალი.

მუსაიფის დამთავრების შემდეგ სტუმრებისათვის მადლობა გადაუხდია, ფულითაც დაუსაჩუქრებია და თან დიდი რაოდენობით ქინაქინა გაუტანებია (ვარიანში ციება იცისო). გლეხები მასპინძლის გულუხობით და თავაზიანობით კმაყოფილნი დაბრუნებულან ვარიანში და განუცხადებიათ: იაკობს ჩვენი ლექსები ისე ძალიან მოეწონა რომ ასე გვითხრა: მთელ ქვეყანას უნდა წავაკითხოვო.

ხურჯინიანი სტუმარი

იაკობ გოგებაშვილის ბინა ლიტერატურულ სალონად იყო გადაქცეული. აქ ხშირად იყრიდნენ თავს მეცხრამეტე საუკუნის გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი; ამას ხელს უწყობდა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მათი ხელისშემშლელი იაკობის ბინაში არავინ იყო, რადგან იაკობი ცხოვრობდა მარტოდ-მარტო (ცოლშვილი არ ყავდა).

დღის თორმეტი საათი იქნებოდა...

იაკობი სავარძელში ზის, ორთავე ხელის მტევნები ერთი მეორეში აქვს შერგული და მუხლებზე უწყვია, (ასეთ მდგომარეობაში უყვარდა მოსვენება).

ამ დროს დერეფანში ზარი გაიწკრიალებს...

— გაიხედეთ, შვილო! დღეისათვის ძვირფას სტუმრებს ველოდები — მწერლები უნდა მოვიდნენ, მიუმართავს მამაჩემისათვის, რომელიც ახალი ჩამოსული ყოფილა სოფელ ვარიანიდან.

— ახლად მისულს დინჯად უკითხია, იაკობი სახლში ბრძანდებაო?!

— დიახ! სახლში გახლავს, ეხლავე მოვახსენებო, — და კარი სწრაფად მიუხურა თურმე მისთვის უცნობ სტუმარს. ახალმოსულს ღიმილი გადაურბენს სახეზე.

— ნაბადხურჯინიანი კაცი გკითხულობთ!.. — გაკვირვებული სახით მოახსენებს იაკობს მამაჩემი...

იაკობი მაშინვე მიმხვდარა, რაც მოხდა... ჩემს ძვირფასს სტუმარს კარი დაუხურესო, და ხმამაღლა ახითხითებულა.

— მიდი შვილო! ფართოდ გაუღე კარი, განზე გასწიე კედლები, ლაღი მთის შვილია და თავისუფლად შემოსვლა უყვარს... მაგ ადამიანისათვის ჩემი სახლის კარი მუდამ ღიააო.

შემოდის სტუმარი: დინჯად და ამაყად, მედიდური და მხრებგაშლილი... ეტყობა, რომ გაუტეხელი ნებისყოფის პატრონია, თითქოს მის სულში რაღაც ძლიერი ჭარიშხალი ბუდობს!

— ვაჟას სიცოცხლე! — ფეხზე წამოდგომით დინჯად მიესალმება იაკობი.

— ამ ჭერს მშვიდობა! სიკეთე ყველას... და თან იაკობს ხელს გაუწვდის. შემდეგ თაფლისფერ თვალებს იქაურობას მოავლებს და მხრებიდან მოძველებულ ნაბადს მოიხდის, ნელა გადმოიღებს მხარზე გადაკიდებულ ხურჯინს, რომელიც ხალიჩასავით ყოფილა აჭრელებული.

— შევასრულე დაპირება!.. ჩამოგიტანე ბალღებისათვის ლექსები და მოთხრობები, ეგების გამოგადგეთ...

ვაჟა პირს გადუხსნის ხურჯინს, ბარაქიანად ამოალაგებს ნაწერებს, რომლებსაც მთის ყვავილებისა და ნედლი ბალახის საამური სურნელი ამოჰყოლიათ და დაღვრილან ოთახში. იაკობს გაუხარია, ძვირფასი ძღვენით... უმუსაიფიად კარგახანს. შემდეგ კი იაკობი მიმართავს ვაჟას: ლექსები წაგვიკითხე გულს დარდი გადაეყაროს, გაგვახარეო. ვაჟაც არ დაზარებია მასპინძელს და წაუკითხია რამდენიმე ლექსი და პატარ-პატარა ნაწყვეტები პოემებიდან.

ბუმბერაზ მთებიდან უეცრად მოვარდნილი ნიაღვარივით აჩქეფებულა ღრმა პოეტური სიბრძნე და სიძლიერე... ამეტყველებულან ზვიადი მთები... ახმაურებულან ზვავები, ჩანჩქერები და მდინარეები, ატეხილა ხმლების ვაჟკაცური ელვა და

ორიანტელი. ვაჟა თანდათან ლექსის კითხვის მადაზე მოსულა და უეცრად ისე დაუქუხია, რომ ფანჯრებს ზრიალი დაუწყიათ:

„ხარს ვგეავარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ:
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარეც ამას ვდუდუნებ.“

სიხარულისაგან ატაცებულ იაკობს ვაჟას მადლიანი შუბლი გადუკოცნია და აღტაცებაში მოსულს სიხარულის ცრემლები მარგალიტებივით დაჰკიდებია ხშირსა და მოგრძო წამწამებზე.

— ლექსები კი არა, ჭაღაროსან მაღალ მთათა მწვერვალებიდან წამოსული მძლავრი გრიგალია!.. იმღერე ვაჟა! იმღერე გეთაყვა მუდამ ასე ძლიერად და გულისხმიერად, დეე ეს სიმღერა ბედნიერების მოციქულად ექცეთ მომავალ თაობებს.

— ეგების! — ყოფილა ვაჟას მოკლე და აუჩქარებელი პასუხი.

ორი ტოლი მეგობარი

1840 წელი ფეხბედნიერი გამოდგა ქართველი ხალხისათვის, მომავალი თაობისათვის... ამ წელმა შეგვაყვარა ორი პატარა ლამაზი სოფელი: სხვიტორი და ვარიანი.

სხვიტორში დაიბადა თმახუჭუჭა მალხაზი ბიჭი, შემდგომ დიდი ქართველი მგოსანი, მოხუცებულობაში ბერბუღბუღად წოდებული აკაკი, ხოლო ვარიანში — გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დიდი ქართველი პედაგოგი და პუბლიცისტი იაკობ გოგებაშვილი.

ამ ორ დიდ ადამიანს დიდად უყვარდათ ერთმანეთი, ხშირი მეგობრული და გულთბილი მიწერმოწერა ჰქონდათ ურთიერთ შორის. მათ ამოძრავებდათ ერთი ბრწყინვალე მიზანი: ეს იყო სამშობლოს კარგი და უკეთესი მომავალი და ახალგაზრდობის ჩაუქრობელი სიყვარული. მათი მშობლიური ფიქრები ყმაწვილთაობას ისე დასტრიალებდნენ და თავს ევლებოდნენ, როგორც მინდვრის ყვავილებს დილის ნიავი.

მათი მხურვალე გულები ძგერდა მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

როდესაც აკაკი თავის სამშობლო სოფლიდან თბილისში ჩამოდიოდა, აუცილებლად იაკობთან შეივლიდა და მოინახულებდა თაწატოლ მეგობარს.

იაკობს აკაკის მოსწრებული სიტყვების გაგონებაზე გულს დარდი გადაეყრებოდა... მათი ბაასი სასიამოვნო მოსასმენი გახლდათ. დამტკბარი ეწებით ეჰუკჰუკებოდნენ ერთმანეთს, სმათზე იტყვიან, გულმა გული იცნოო.

აკაკის ენამახვილობას ბევრჯელ გადაუკენწლია იაკობიც...

დიდი თაყვანისმცემელი იყო იაკობი აკაკის პოეტური ნიჭისა. როდესაც დაინახავდა ქუჩაში მხრებგაშლილ ამაყად მომავალ ჭაღარაშევერცხლილ მგოსანს, თვალები გაუბრწყინდებოდა სიხარულისაგან და აღტაცებული წამოიძახებდა:

— აგერ! გამოჩნდა ქართული პოეზიის ფეხადგმული იალბუზიო.

იაკობი აკაკის საბავშვო ლექსებს თავის წიგნებში განსაკუთრებულ თვალსაჩინო ადგილზე ათავსებდა.

ერთ დღეს იაკობმა მეგობრის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, ძალზე შეწუხდა და სასწრაფოდ გაუგზავნა სხვიტორში პატარა ბარათი და მცირედი მოსაკითხი. დიდი დრო არ გასულა, როდესაც იაკობმა გრძნობით აღსავსე წერილი მიიღო სხვიტორიდან, რამაც გაახარა მეგობრის ავადმყოფობის გამო დადარდიანებული იაკობი. აკაკი იწერებოდა: „ძმაო იაკობ, არის ხოლმე ისეთი გარემოებაც, როცა ადამიანი მადლობასაც ველარ ახერხებს. შენი მოსაკითხი სიცოცხლის წონად მივითვალე იმდენად დააკმაყოფილა ჩემი ზნეობრივი მხარე.“

დიდხანს არ დაუგვიანია მეორე მომდევნო ბარათს, რომელიც იაკობის სახელზე ლოგინში მწოლიარე აკაკის მიერ იყო გამოგზავნილი.

„...ხანდახან კი მომენატრება ხოლმე, როგორც მარტო ხელს, ზოგიერთი ჩემი ნაცნობების ნახვა და მათ რიცხვში შენი ყველაზე უმალ. არ გეგონოს იმერულად გწერდე „აკაკურადა“, გწერ მხოლოდ გულის აყოლით... მაგრამ შენ აქეთ რა წამოგიტყუებს ამ სიშორეზე, თუმცა სურამსაც და ბორჯომსაც სჯობიან ჩვენი საჩხერე, განსაკუთრებით სადაც მე ვსახლობ, არც ქარი იცის, არც სიცხე და არც სიცივე. თუ მივაღწიე გაისამდე, ეგება გაგაბედვინო როგორმე რამდენიმე დღით

ჩამოტყუება... გიმზადებ ოთახებს სწორედ შენი გემოს საკადრისს... ერთი აქეთაც დაენახვე ჩვენებურ ბავშვებს...

შენი მარად ერთგული და მოსიყვარულე ა კ ა კ ი".

გასწორებული ანგარიში

ქალთაბარაქიანი შემოდგომის მშვენიერი დღე იდგა...

ხელდოვლათიანი მასპინძლის გაშლილ ხილის სუფრას წააგავს ამ დროს ქალაქი გორი.

მწიფე ხილის სურნელი ტრიალებს ხილის სამფლობელოში.

პატარა ბაღჩებში გახვეული ქალაქი წითელყვითლად ღვივის. ეზოები ხეივნებით და ბაბილოებით ჩარდახებივით არის გადახურული. ლატნები დაზნექილან „გორულას" და „ხარისთვალას" ქარვისფერი ჯაგნების სიმძიმით. ქარისაგან შერხეული შეკრული მტევნების აკიდოები ნელა ირწევიან და სარკმელამდე სანთლისფერი შუქი კიაფობს.

გორის მკვიდრ მწერალ ზ. ედილთან ვსაუბრობ.

ჩვენი საუბრის თემაა — იაკობ გოგებაშვილი.

— აი ამ სასწავლებელში გაატარა ერთი წელი იაკობმა, მიმითითა ედილმა ეხლამდელ სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმზე.

არ გავს აღარაფრით დღევანდელი გორი იმ ძველ სახლების ხუხულას, როდესაც აქ, პირველად ჩამოიყვანეს იაკობი სოფელ ვარიანიდან, სასწავლებლად.

ეს იყო ერთი საუკუნის წინათ, 1848 წელს.

საუბრის დროს ერთ-ერთი პატარა ამბის გახსენებამ სახეზე ღიმილი აუთამაშა... მოიგონა სიზმარივით გაფრენილი სტუდენტობის დაუვიწყარი დღეები...

— ედილმა მიამბო შემდეგი:

გაგონილი გვქონდა, რომ იაკობ გოგებაშვილი მშობლიურ მზრუნველობას უწევდა მთელ სტუდენტობას, განუწყვეტლივ ზრუნავდა მომავალი თაობის აღზრდისათვის, ბევრ ჩვენგანს ფულადი დახმარებითაც უმართავდა ხელს.

— ერთხელ მეც გადავწყვიტე და ქართული წესისამებრ

მოკრძალებული ბარათი მივწერე იაკობს, რათა დახმარება აღმოეჩინა ჩემთვისაც.

არ გადის დიდი დრო. იაკობიდან ვღებულობ პატარა ბარათს და სამ თუმან ფულს. ამ ამბავმა დიდად გამახარა.

გადის დრო... გადავწყვიტე, რომ პირველი ჯამაგირიდანვე გადამეხადა იაკობისათვის სტუდენტობის დროს აღებული ვალი.

— ვასრულებ ჩემს განზრახვას... მივდივარ იაკობთან და ბოდიშის მოხდით ვუბრუნებ ანაბარს, მაგრამ იაკობმა არ მიიღო ანაბარი, ცოტა არ იყოს ეწყინა კიდეც და ასეთი სიტყვებით გამომისტუმრა: კარგია, შვილო, რომ სიკეთე არ დაგვიწყებიათ და გულში ღრმად შეგინახავთო. მერე დასძინა: ქართული ანდაზა ამბობს: ვალს გადახდა უნდაო!.. მაგრამ თქვენ ეს ვალი მე დიდი ხანია გადამიხადეთ... თქვენი პატარა საბავშვო მოთხრობა სიამოვნებით გადავიკითხე... გამეხარდა, რომ ჩემს მცირედ ზრუნვას ფუჭად არ ჩაუვლია, პატარა ამაგს დიდი ნაყოფი გამოუღია. ისე, რომ ტყუილად გარჯილხართ — საბოლოო ანგარიში გასწორებული გაქვთო.

ჯანღონით სავსე მუხა წაიქცა

თბილისს კუპრივით შავი ღამე ჩამოსწოლოდა. ყომრალი ღრუბლების ქულები ირეოდნენ პირქუშ ცაზე.

დროგამოშვებით აქაიქ ბდღვრიალებდნენ ცის სამკაულები. ირგვლივ რაღაც არაჩვეულებრივი დუმილი იდგა... ერთი მოზრდილი კაშკაშა ვარსკვლავი მოსწყდა, ელვასავით გაანათა ხაკვალევი და მთაწმინდაზე დაეშვა.

იაკობი უზის საწერ მაგიდას თავის სამუშაო ოთახში და რომელიღაც სქელტანიან წიგნს, რომელიც ყავისფერ ყდაშია ჩასმული — ნერვიულად ფურცლავს.

მის მშვიდსა და სანდომიან სახეს ამჯერად აღელვება ეტყობა. მაღალი შუბლის ღარები ერთმანეთზე მიჯრილან ნაოჭებად. ისედაც ოდნავ გადაბმული ხშირი მოწაბლისფრო წარბები ერთი მეორეზე უფრო დაახლოვებულან და გადარაზულან.

მოუსვენრობა ეტყობა... შფოთავს...

ხანდახან კი ერთი ოთახიდან მეორეში დაიარება და ჰაღარა შეპარებულ მოშაო წვერულვაშზე ნერვიულად ხელს ისვამს.

იაკობს არკვევს ზარის გაბმული წკარუნი, თუმცა არ ესიამოვნა, მაგრამ მაინც გაემართა დერეფნისაკენ დაგვიანებული სტუმრის შესახვედრად, მაგრამ უცებ გადასწყვიტა, რომ კარი არ გაეღო და ცნობისმოყვარეობით გადახედა მოსულს ქუჩისპირა ფანჯრიდან.

სტუმარს იცნობს, მაგრამ კარს არ გაუღებს...

მოსულს ბოდიშის მოხდით მიმართავს: საშინელი უბედურება დაგვატყდა თავს, ამ ღამეს კარს ვერ გაგიღებ, შვილო... რიგორმე მახლობელ სასტუმროში გაათიე და დილით მინახულე.

მამაჩემი მიხვედრია, რაშიც იყო საქმე, უსიტყვოდ გაბრუნებულა უკან... ეს ღამე იმ შავბნელი დღის პირველი ღამე იყო, როდესაც დიდ ილიას წიწამურის გზაზე ფართე შუბლი გაუხვრიტეს ცხელი ტყვიით ჯალათებმა.

მეორე დღეს უთენია მისულა იაკობი სასტუმროში, საერთო მადლობა გადაუხდია ყველასათვის და სასტუმროს მსახური ფულით დაუსაჩუქრებია.

დაბრუნებულან სახლში, მაგრამ იაკობი ძალზე სწუხდა, დუმდა და სიტყვაძუნწობდა თურმე...

დადუმებულა მისი ტკბილად და დარბაისლურად მოსაუბრე ენა-პირი.

ზოგჯერ აღელვებული წამოიძახებდა: რა ხელმა გაიმეტა მისი ნათელი შუბლი!?. წააქციეს ღრმად ფესვებგაჯდმული მუხა... ის ჯანღონით სავსე ბერმუხა, რომელიც ყოველგვარ მძლავრ ქარიშხალში ტოტებშეურხეველი დინჯად იდგა... გამოგვაცალეს დედაბოძი... ის დედაბოძი, რომლის ღონიერ მხრებზე მეცხრამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურა იყო დაყრდნობილი... მუხას მეხი ვერაფერს დააკლებს. რადგან მისი ძარღვიანი ფესვები დედამიწის სიღრმეშია გადგმული...

გადამტვრეულ ტოტებზე ყლორტებს ამოიყრის, მხრებს გაშლის... სიცოცხლის ზეიმის ნიშნად ფოთლები მხიარულად დაიწყებენ შრიალს — უთქვავს შეშფოთებულ იაკობს.

იაკობი ხილის დიდი მოსიყვარულე იყო..

ხილი სიცოცხლისათვის საჭირო ნივთიერებებს შეიცავსო, იტყოდა ხოლმე. ყურძნის ჯიშებიდან განსაკუთრებით ეტანებოდა ბუდეშურს, ხოლო ვაშლებში კი ქართულ თურაშაულს ამჯობინებდა. მოხიბლული იყო ამ ვაშლის ფერით და გე-, მოთი...

თურაშაულს ხილის დედოფალი შეარქვა, ამ ვაშლს თვალს როდესაც მოჰკრავდა, ჩაილაპარაკებდა: მართლაც რომ ეს ვაშლი ბუნების ლამაზ ნაყოფს წარმოადგენს, რომელსაც ცალი ლოყა უაუაჩოსფრად უღაჟღაჟებს, ხოლო მეორე მხარეზ ნარინჯის ფერი გადაჰკრავსო. როგორც მინდორს უაუაჩო, ასევე ვენახს ეს ხილი ამშვენებსო.

ზაფხულობით როდესაც ალექსანდრე გოგებაშვილი ეწვეოდა ვარიანიდან თავის ბიძას, იაკობი პირველად უაუაჩოს ფოთლებს და თურაშაულს მოიკითხავდა, კარებში მიეგებებოდა უაუაჩოს ფოთლები ხომ არ დაგავიწყდაო?!. თან კი დაბალ ხმაზე ტკბილად ჩაიღიღინებდა:

უაუაჩოსა სიწითლითა
უანა დაუმშვენებია...

ალექსანდრე ბიძის დავალებას მუდამ პირნათლად ასრულებდა, სეზონის მიხედვით მუდამ ჩამოჰქონდა იაკობის ძვირფასი ძღვენი — უაუაჩოს ფოთლები. იაკობი ამ ფოთლებს მელანისათვის იყენებდა. თავისი ხელით ხდიდა მშვენიერ უაუაჩოს მელანს. ძალზე უყვარდა იაკობს უაუაჩოს მელნით წერა. ამ მელნით წერდა იმ პაწაწა მოთხრობებს, რომელთა გადაკითხვაც უმაწვილთა თვალებში სიხარულის ცეცხლს ანთებდა. თუ ალექსანდრეს იაკობთან ჩასვლა არ მოუხდებოდა, მაშინ მისვე რჩევით იქცეოდა. უაუაჩოს ფოთლებს ინახავდა თიხის ქოთანში და ისე ჩაჰქონდა შემოდგომით.

ასე დაიწერა „იავნანამ რა ჰქმნა“?

ღრმად ჩამრჩა ცნობიერებაში ერთი პატარა ეპიზოდი, რომელიც მამაჩემმა ჩემი ბავშობის წლებში მიამბო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ღამით იშვიათად წერდა იაკობი, ვინაიდან სისტემატიური ღამის თევა ძალზე უძნელდებოდა მის ისედაც დასუსტებულ ორგანიზმს.

ადრე იძინებდა, მაგრამ სამაგიეროდ ასევე ადრე იღვიძებდა. წამოდგებოდა სისხამ დილით და მთელ დღეს მოძრაობაში ატარებდა. უსაქმოდ იშვიათად ნახავდით: წერდა, კითხულობდა ან მომსვლელებს ესაუბრებოდა.

იაკობი დიდ უპირატესობას აძლევდა მოძრაობას:

— ტოლმა ტოლს რითი აჯობა და ადრე ადგომითაო, კაცმა მუდამ მზეს უნდა დაასწროს წამოდგომაო, — იტყოდა ხშირად.

თურმე ნუ იტყვით და იაკობსაც სცოდნია თავისთავზე დაკანონებული წესრიგის დარღვევა...

ეს ასე მომხდარა: ერთხელ თურმე მამაჩემს იაკობის სასტუმრო ოთახში ძინავს. უეცრად ძილს უფრთხობს ხმაძაღალი საუბარი, რომელიც თითქოს წააგავს ორი, ერთი მეორის მოკამათე ხმას.

ხმაური მოისმოდა იაკობის სამუშაო ოთახიდან...

— შუაღამე გადასულა! ვინ უნდა იყვეს ამ უდროუდროს იაკობთან?! ინტერესდება და ოთახიდან ფეხაკრეფით გამოვა ამბის გასაგებად. ფრთხილად გასწევს შუაკარის ფარდის ცალ კუნჭულს და გაოცდება: საშინაო გრძელი ხალათი წამოუსხამს იაკობს და ოდნავი აღელვებული სახით დაიარება ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში... დროგამოშვებით შეჩერდება, თითქოს ვიღაც მოწინააღმდეგეს ეკამათებაო. შემდეგ კი ისევ მიუჯდება საწერ მაგიდას და წერს ხელგაკვრით. აუარებელი ყაყაჩოს მელნით დაწერილი ქაღალდის ფურცლებია გაბნეული საწერ მაგიდაზე და იატაკზე...

იმ დღით იაკობი მოგვიანებით დგება...: ძლიერი დაღლილობაც ეტყობა.

მოიხმობს სტუმარს, მოკრძალებით ბოდიშს მოიხდის მის წინაშე — წუხელ ალბათ ძილი გაგიფრთხეო!?.

შემდეგ კი სთხოვს, რომ შეაგროვოს გაბნეული ნაწერა

ქაღალდები და დაალაგოს ერთ ადგილას ნომრების მიხედვით.

გაბნეული ნაწერების პირველ ფურცელს მშვენიერი ტანწერწეტა ასოებით სწერებია: „იავნანამ რა ჰქმნა?“. ახლა თუ მცირედ გაგსარჯეთ და ძილიც გაგიფრთხე შვილო, სამაგიეროდ ახლო მომავალში სიამოვნებას და სიხარულს იგრძნობთ თქვენც და თქვენი ბალღებიც ამ ქაღალდებში გაბნეული მოთხრობის გადაკითხვითო.

ჩემი ახალი საჩუქარი ყმაწვილთათვის ეს პატარა მოთხრობააო, მიუმართავს იაკობს.

ზოგჯერ ასე თეთრად ათენებდა შავღამეებს ბავშვთა სულის მესაიდუმლე უანგარო პედაგოგი, ასე დაწერილა იაკობ გოგებაშვილის უკვდავი ფსიქოლოგიური საბავშვო მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა?“

იაკობი და ეგნატე ნინოშვილი

დიდ მზრუნველობასა და ნივთიერ დახმარებას უწევდა იაკობი სილარიბეში მყოფ ეგნატე ნინოშვილს...

ბევრჯელ გაუწვდია მეგობრული თბილი ხელი, შავბნელი ცხოვრებით ტანჯული სული გაუმხნევებია, ძალა და ენერგია შეუმატია, რათა უფრო სასტიკი და შეუპოვარი ბრძოლა ეწარმოებინა მის მადლიან კალამს მაშინ არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

— თუმცა ეს ორი მწერალი გვიანობამდე ჯერ კიდევ ახლოს არ იცნობდნენ ერთმანეთს (მათ ერთმანეთი არ ენახათ), მაგრამ ეს გარემოება ხელს არ უშლიდა მათ მეგობრობას და მიწერ-მოწერას. იაკობს ამოძრავებდა მაღალი კეთილი სურვილები: იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეგნატე ნინოშვილზე ფულადი დახმარებით საერთო საქმეს აკეთებდა, ჭლექით შეპყრობილ მწერალს, რომლის კალამი ხალხს ემსახურებოდა, სიცოცხლეს უხანგრძლივებდა.

ერთხელ იაკობმა როდესაც ეგნატე ნინოშვილის ავადმყოფობის ამბავი შეიტყო, გამამხნევებელი წერილი მისწერა და ხუთი თუმანი ფულიც გაუგზავნა. იაკობი თავის გაგზავნილ წერილში ნინოშვილს ურჩევდა, რომ აბასთუმანში წასულიყო დასასვენებლად... მის მიერ გაგზავნილი ხუთი თუმანი სწორედ ამ მიზნისათვის იყო განკუთვნილი.

1894 წელს იაკობმა ეგნატესაგან შემდეგი მგრძნობიარე სიტყვებით დაწერილი საპასუხო წერილი მიიღო: „თქვენი წერილი და თქვენგან გამოგზავნილი ხუთი თუმანი ფული მივიღე... ჩემს გულითად მადლობას მოგახსენებთ თანაგრძნობით სავსე წერილისათვის, რომელმაც არა მარტო გამამხნევა, ავადმყოფობისაგან მორჩენის იმედიც კი მომცა“.

გულისხმიერი კორექტორი

იაკობ გოგებაშვილი დიდ დროსა და ენერგიას ხარჯავდა იმისათვის, რომ მისი ყოველი ნაწარმოები დაზღვეული ყოფილიყო კორექტორული შეცდომებისაგან, რათა ცეროდენა მის მკითხველებს თავისუფლად გადაებულბულებინათ მისი პაწაწინა მშვენიერი მოთხრობები.

ნაწარმოებში კორექტორული შეცდომა შაელაქასაეით მოჩანს თეთრ ქაღალდზეო — იტყოდა ხოლმე.

იაკობი გულმოდგინედ ცხრილავდა და აშალაშინებდა თავის ნაწერებს.

— ბავშვი ფაქიზი სულისა და გრძნობის პატრონია და სწორეთ ასეთი ნაწარმოებები უნდა მივაწოდოთო...

იბრძოდა იმისათვის, რომ მისი ყოველი ნაწარმოები ჩანჩქერივით მოჩუხჩუხე და მთის ანკარა წყაროსავით მოკამკამე ყოფილიყო. ამ მიზანს იაკობი ყოველთვის აღწევდა, რადგან არაფერს არ ზოგავდა... ამაზე შალვა გოგებაშვილი გადმოგვცემს:

„ათასჯერ გადავლებული გადათვალიერებული დაბეჭდილი მასალა ბევრჯელ ჩემთვისაც მოუცია და მოუმართნია: ნახე კიდევ, იქნებ შეუჩეველი თვალით რაიმე შეცდომა იპოვოო“.

ნაწარმოებში თვითეული შეცდომის აღმომჩენს იაკობი ასაჩუქრებდა.

დიდად ზრუნავდა და აფასებდა იმ ასოთამწყობებს, რომლებიც საკმაო გულმოდგინეობას იჩენდნენ თავის საქმეში. როდესაც შეეკითხებოდნენ იაკობს, ვინ იყო მისი აზრით საუკეთესო ასოთამწყობი, პირველ რიგში იგი ლადო მახვილაძეს ასახელებდა. ამიტომ იყო, რომ იაკობმა ლადო მახვილაძეს „სინდისიერი ასოთამწყობი“ შეარქვა.

იაკობის ნათელ მეხსიერებას და შორსმჭვრეტელ თვალებს სიკვდილის მოახლოების დღეებშიც კი არ დავიწყებია ეს კეთილსინდისიერი ასოთამწყობი, როდესაც იგი თავის უძრავ მოძრავ ქონებას ხალხს უნაწილებდა და ანდერძს წერდა, ლადო მახვილაძეც შეიტანა ანდერძის სიაში და ასი მანეთი ფულადი თანხა უანდერძა. სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში იაკობის გაფითრებული ტუჩები როდესაც შეირხეოდნენ შემდეგ უკვდავ სიტყვებს იმეორებდნენ: ყველაფერი ხალხმა მომცა და ხალხსვე უნდა დაუბრუნდესო.

მზეო, ამოდი, ამოდი...

იაკობი ცხოვრობდა სადად, სუფთად და უბრალოდ... საცხოვრებლად შერჩეული ჰქონდა მზიანი და ნათელი ბინა, რომელიც მდებარეობდა მთაწმინდაზე.

იაკობი იყო გაუტეხელი სულის პატრონი, მტკიცე ნების, ყოფის ადამიანი, შრომის მოყვარე და საქმის ერთგული.

იაკობი ყოველგვარ სამედიცინო რჩევა დარიგებას ზუსტად და უყოყმანოდ ასრულებდა, რაც ძალზე ესაჭიროებოდა მის ჭლექით დაძაბუნებულ ორგანიზმს.

იაკობი ყრმობიდანვე შეპყრობილი იყო ამ მკაცრი განუკურნებელი სენით.

მაგრამ მან შესძლო ეს საშინელი, ფილტვებში არსებული, მძვინვარე დანთებული ცეცხლი ჩაექრო. ყმაწვილთა საკეთილდღეოდ განკუთვნილ ძვირფას სიცოცხლეს ფაქიზად მოვლა და გაფრთხილება ესაჭიროებოდა, რადგან მისი სიცოცხლის ყოველი ახალი წელი ყმაწვილთა სიკეთის მომტანი იყო. იაკობი ხშირად მოიშველიებდა ხოლმე ხალხის ბრძნულ ნათქვამს: იქ სადაც მზის სხივი არ შედის — ექიმი ხშირი სტუმარიაო!..

სიბნელის მტერი, მზისა და სინათლის მოტრფიალე ხშირად იტყოდა ხოლმე:

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა...

ნიკო ლომოურიც ქართლის მადლიანმა კალთამ გამოზარდა. არბოში დაირწა ამ გულისხმიერი პედაგოგისა და ნიჭიერი საბავშვო მწერლის აკვანი. იაკობი ნიკოზე თორმეტი წლით უფროსი იყო. ეს ორი ადამიანი მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან. ხშირი მეგობრული მიწერმოწერა ჰქონდათ ურთიერთშორის. მათ აკავშირებდათ არა მარტო ერთი მშობლიური კუთხის მიწაწყალი, არამედ ერთნაირი მიზნები და მისწრაფებანი. მათი გულები ფეთქდა ბავშვთა საკეთილდღეოდ. პირველად იაკობმა ჩაუნერგა ნიკოს მშობლიური ლიტერატურის სიყვარული. მოწაფეობის დროს ნიკო ლომოური ხშირად სარგებლობდა თავისი მასწავლებლის, იაკობის მდიდარი ბიბლიოთეკით. შემდეგში როდესაც ნიკო ლომოურმა თავისი ნიჭი გამოამჟღავნა მწერლობაში, იაკობს სიამაყის და კმაყოფილების დიდ გრძნობას გვრიდა ნამოწაფარის ნიჭი... მის ლექსებსა და საბავშვო მოთხრობებს კარგ შეფასებას აძლევდა. განსაკუთრებით მოხიბლული იყო „ყინწვა და პატარა მოწაფეთი".

როდესაც ნიკო ლომოური გორში დასახლდა და პედაგოგიური საქმიანობის ფერხულში ჩაება იშვიათად ნახულობდა იაკობს. სამაგიეროდ წერილებს უგზავნიდა მცხოვან მასწავლებელს.

ერთ დღეს იაკობმა გორიდან ასეთი შინაარსის პატარა ბარათი მიიღო, რომელსაც ხელს აწერდა ნიკო ლომოური: „იაკობ, ამ ზაფხულს ხომ მანდ არ დარჩებით და მოდი რამოდენიმე დღით ამოგვისეირნე გორელებს. შენა და ილია როგორღაც მძიმე კაცები ხართ. პროვინციას არ ეწევევით ხოლმე... აკაკი ამ მხრივ დიდი მადლობის ღირსია ჩვენგან. მოვა ხოლმე, გაგვაცოცხლებს თავის სასიამოვნო ბაასით და წავა. გულს ჟანგი ეცილება და სული ძალღონეს მატულობს, როცა ხედავ შენზედ მაღლა მდგომარე საქართველოსათვის გულშემატკივარს ადამიანს".

უველა თავის კუთხისკენ ეპატიჟებოდა იაკობს, აკაკი საჩხერისაკენ, ნიკო — გორისაკენ, და ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი შინაარსის ბარათი მოსდიოდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან.

ხალხის სურვილები გასაგები იყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ იაკობს სტუმრობა (განსაკუთრებით მგზავრობა შორმანძილზე) მაინცდამაინც ძალიან არ უყვარდა, მაგრამ მასპინძლობისათვის კი მუდამ მზად გახლდათ, მისი „სადგურის“ კარი (როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე) მუდამ ღია იყო. იაკობი დიდ სიფრთხილეს იჩენდა თავისი თავისადმი: დიდ ქარაშოტსა და წვიმაში ძნელად გააბედინებდით ქუჩაში გამოსვლას, სველ მიწაზე უკალოშოდ არ გაივლიდა...

საარაკოდ იყო გადაქცეული მისი ცოტა თუ ბევრად გადაჭარბებული ჩვევანი, ხასიათები და მოქმედებანი.

ყოველივე ამას მიტომ სჩადიოდა, რომ როგორც ცნობილია იაკობი შეპყრობილი იყო ფილტვების ტუბერკულიოზით და მისი დაძაბული ჯანი გრიპით და ფილტვების ანთებით ხშირად ხდებოდა ავად. ამიტომ იყო, რომ საშინლად სძაგდა ორპირი ქარი, საერთოდ უნდა ითქვას, რომ სითბოს დიდი მოტრფიალე იყო.

როგორც ქართული სტუმართმოყვარე, წესისამებრ, მოპატ ენები მოუვიდოდნენ, მოკრძალებით სთხოვდნენ — მობრძანდი, სუფრა დაგვიმშვენეო. იაკობი ასე მიმართავდა მომლიარი სახით და მორიდებული ხმით: რა ვქნა, გეთაყვა, სიანებით გეწვეოდით, მაგრამ მეშინიან, გამაციებთო...

ჩემი მოგონება ი. ს. გოგებაშვილზე

მე უკვე 4 წლის მასწავლებელი ვიყავი და მომეცა ბედნიერება პირადად გამეცნო ის პიროვნება, რომელმაც მშობლიური ენის სიყვარული ღრმად ჩამინერგა.

მე ვთხოვდი მაშინდელ სკოლების მზრუნველს იანოვსკის ნახიჭევანიდან საქართველოში გადმოყვანას[1]. მან გამგზავნა სახალხო ინსპექტორ ბოგდანოვთან, რომელმაც, როგორც გაიგო რა მე საქართველოში გადმოყვანას ვთხოულობდი, მითხრა:

„გიცნობთ თქვენ, ქართველებს! თქვენ ოცნებობთ საქართველოს აღდგენაზე, ერთხელ და სამუდამოდ გაიგეთ, რომ საქართველო აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ თბილისის და ქუთაისის გუბერნია. ამასთანავე უნდა გითხრათ, რომ ახლა თავისუფალი ადგილი არა მაქვს".

ადვილი წარმოსადგენია, როგორ იმოქმედებდა ჩემზე ეს სიტყვები და დაუყოვნებლივ შევიტანე დათხოვნის ქაღალდი. ამ პერიოდში გავიგე, რომ ბათუმის ქართულ სკოლაში ესაჭიროებათ მასწავლებელი. მე დავწერე რუსულად განცხადება და შევიტანე „წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში". ეს თხოვნა ჩამომართვა იაკობ გოგებაშვილმა. წაიკითხა. სახეზე უსიამოვნება შევამჩნიე. მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— ყმაწვილო! თქვენ ქართული არ იცით?

— როგორ არა, — ვუპასუხე მე.

— მაშ, რატომ ქართულად არ დასწერეთ თხოვნა? აქ ხომ წმინდა ქართული დაწესებულებაა!

[1] ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იმ წელსვე მე გაგზავნილი ვიყავი მასწავლებლად ნახჭევანში.

ძე არ მქონდა წარმოდგენილი, თუ იმ დროში ქართულად რაიმესი დაწერა შეიძლებოდა. დამხიშნეს ბათუმის ქართულ სკოლაში. დანიშვნის ქაღალდი ხელსაწერად შევუტანე ილიას, რომელიც თავჩაღუნული რაღაცას სწერდა. მე მისვლა ვერ გავბედე და კარებთან გავჩერდი. მან შემამჩნია და დამიძახა:

— მობრძანდით, ყმაწვილო, რა გნებავთ?

მე დანიშვნის ქაღალდი გადავეცი. წაიკითხა და მკითხა:

— რა სასწავლებელი დაასრულეთ?

მე ვუპასუხე — სამასწავლებლო ინსტიტუტი-მეთქი.

— კარგია, — სთქვა მან, — ამ სასწავლებელ დამთავრებული ახალგაზრდები დიდ დახმარებას გაუწევენ ჩვენ კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანასო. შემდეგ შემეკითხა:

— თქვენ იცით ბათუმის სკოლის დანიშნულება?

მე ვსდუმდი. მაშინ მან მითხრა:

— აჭარლები ჩვენი ღვიძლი ძმები არიან, მაგრამ გაუნათლებლობის მიზეზით, ისინი ვერ არჩევენ სარწმუნოებასა და ეროვნებას. იმათ თავი ქართველებად არ მიაჩნიათ, ამას მთავრობაც ხელს უწყობს; ჩვენ კი უნდა შევაგნებინოთ, რომ ისინი ქართველები არიან. ისინი ძლიერ ჩამორჩენილი და ფანატიკოსები არიან. სარწმუნოებაზე ფრთხილად ილაპარაკეთ, ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი მიიღოთ სკოლაში მიუხედავად ასაკისა.

ამის შემდეგ ქაღალდს ხელი მოაწერა, ხელი ჩამომართვა, მისურვა ნაყოფიერი მუშაობა და მითხრა:

— აჰა, თქვენ იცით სკოლას თუ არ გამიფუჭებთო.

დამაბარა მოკითხვა ვოლსკისთან და დავ. კლდიაშვილთან. მე გამოვედი ოთახიდან. წინა ოთახში დამხვდა გოგებაშვილი და მითხრა:

— „მალე ბათუმში გეწვევიო".

მართლაც, იმავე სასწავლო წელს ჩამოვიდა ბათუმში. შეამოწმა სკოლა, დაესწრო ჩემს გაკვეთილს რუსულ ენაში, ჩემი ამხანაგისას არითმეტიკაში და ქართულში. ჩემი გაკვეთილი მოეწონა. მასთან შენიშვნები მომცა, რაც სავსებით მისაღები იყო.

მე გათამამებულმა დავუწყე მის „Русское слово"-ს კრიტიკა და ვუთხარი:

— ბატონო იაკობ! თქვენს სახელმძღვანელოში ბევრი ხელოვნური და არამხატვრული ლექსი და მოთხრობაა, როდესაც რუსულ სახელმძღვანელოში ასეთი უამრავია, ამიტომ თქვენი სახელმძღვანელო მოწაფეებისათვის მოსაწყენია, რუსული კი სასიამოვნო საკითხავია. ამ შენიშვნაზე მან მითხრა:

— სახელმძღვანელო ორგვარია — ერთი ქრესტომატია, მეორე ენობრივი წიგნი. მე ქრესტომატიას არ ვადგენ. მე ვადგენ ენობრივ სახელმძღვანელოს. ჩემმა სახელმძღვანელომ უნდა შეასწავლოს და შეაყვაროს ქართველ ბავშვს რუსული ენა. ქრესტომატიის ავტორი მოუყრის რა თავს სხვადასხვა კლასიკოსებს, აიღებს მაკრატელს და ამოჭრის იმას, რაც მისთვის საჭიროა. ზოგიერთ შემთხვევაში შეამოკლებს და ორ კვირაში წიგნი მზად არის.

ენობრივი წიგნის შედგენა კი მოითხოვს დიდ დაკვირვებას რუსული და ქართული ენების განსხვავების და საერთო თვისებების ცოდნას. დასამტკიცებლად გადამიშალა „Русское слово"-ს ლექსიკური განყოფილება და წამიკითხა შემდეგი:

«Като сидит и учит урок. Датико не знает урока, бегает и шалит. Като говорит Датико: — Датико не шали, а учи урок. Датико слушает Като, не шалит и учит урок».

თუ ამ პატარა მოთხრობას დაუკვირდებით, ნახავთ, რომ სიტყვები ბრუნვის მხრივ არ განიცდიან ცვლილებას და ადვილად შესათვისებელია ჩვენი ბავშვისათვის. ავიღოთ, თუ გნებავთ, შემდეგი მოთხრობა: „Соседка Даро".

«Раз я проходил около дома моей соседки Даро. Во дворе стояла маленькая дочь Пело. Она была босая. На голове у нее был платок. Левой рукой держала фартук, а правой кормила кур».

ამ პატარა მოთხრობაში მხოლოდ ორი სიტყვაა უცნობი— „босая" и „кормила". დანარჩენი სიტყვები წინა მოთხრობებშია შესწავლილი. ამ ორ სიტყვასაც მოწაფე სურათიდანაც მიხვდება, მაგრამ მე მაინც ქართულად მაქვს ახსნილიო, აი, როგორ დაკვირვებით ვადგენ მე სახელმძღვანელოსო.

მე დავრწმუნდი ჩემს უცოდინარობაში და ვერა უთხარი რა. ეს სიტყვები ჩემთვის დაუვიწყარი დარჩა და როდესაც მეც გავბედე შემედგინა „Русский язык" ჩვენი სკოლების მესამე კლასისათვის ამ მოსაზრებით ვსარგებლობდი.

გამოკვლევების შემდეგ მივიწვიეთ სადილზე. ღვინო არ დაულევია ერთი ჭიქის მეტი და ისიც ლიმონად გარეული. საცივი და ღომი მოეწონა. სხვა თითქმის არაფერი უჭამია ხილის მეტი.

იმ დღეს საღამოს იაკობი უნდა გაბრუნებულიყო თბილისში. მატარებლის წასვლამდე კიდევ ბევრი დრო იყო და ეს დრო მან ჩვენთან საუბარში გაატარა. ეს საუბარი, რომელიც ეხებოდა სწავლა-აღზდის საქმეს სამუდამოდ ჩარჩა ჩემს მახსოვრობაში.

იგი დიდხანს გვესაუბრა სწორი და დახრილი წერის შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ ჩვენი მოწაფეებისათვის ბუნებრივია სწორი რუსული ასოების წერა, ვიდრე დახრილი. ამასთანავე მოიყვანა სტატისტიკური ცნობა, რომ ბავში სწავლის დაწყებიდან უნივერსიტეტის დამთავრებამდე სხვადასხვა წერით საავარჯიშოებზე ზის 6.000 საათი და ამ ხნის განმავლობაში თუ მოზარდი ახალგაზდის ხერხემლის ძვალი გამრუდუნულად იქნა, რაც ხდება დახრილი წერის დროს, იწვევს ახალგაზდის დასუსტებას, რასაც ავცდებით სწორი წერის დროს. ეს საკითხი მე პრესაში მინდა ავღძრაო.

მახსოვს იმისი აზრი მასწავლებლის მომზადებაზე გაკვეთილისათვის. მან სთქვა:

— დურგალი რა რიგ დახელოვნებული არ იყოს, სახელოსნოში სამუშაოთ არ შევა, თუ არ იქონია ყველა საჭირო იარაღები, რაც მას იმ დღეს სჭირდება. ასეა მასწავლებელიც, რა რიგ ნიჭიერი და მცოდნე არ იყოს, თუ ის წინასწარ არ გაითვალისწინებს ყოველიე დიდაქტიკურ მასალას არ განსაზღვრავს, რაც მან უნდა გადასცეს მოწაფეებს — მისი გაკვეთილი უსიცოცხლო იქნება. ბავშებს ვერ დააინტერესებს და ნაყოფსაც ნაკლებს მიიღებს.

ბევრი ილაპარაკა თვალსაჩინოების შესახებ. მან გვითხრა:

— ბავში უყურებს და ვერ ხედავსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშს არა აქვს უნარი დაკვირვებისა. უნდა მივაჩვიოთ საგანზე დაკვირვებას და მისი დამახასიათებელი თვისებების აღნიშვნას. ამიტომ მეტი ყურადღება მიაქციეთ თვალსაჩინოებას, როგორც ქართულის, ისე არითმეტიკის და რუსული ენის სწავლების დროსო.

შეეხო აგრეთვე აღმზრდელობით მხარეს სკოლაში და

განმარტა, რომ ჩვენ მარტო იმ-თი კი არ უნდა დავკმაყოფილდეთ რომ წერა-კითხვა ვასწავლოთ, ჩვენ ვალდებული ვართ აღვზარდოთ მტკიცე ნებისყოფის მოქალაქე. ვალდებული ვართ გამოვიმუშაოთ მოწაფეებში თავის მოვალეობის ასრულების უნარი, სამშობლოსა და მოყვასისადმი ძმური სიყვარული — ყოველივე ეს დამოკიდებულია თქვენზე და თქვენს პედაგოგიურ უნარიანობაზე.

თუ თქვენი განკარგულება თქვენვე დაივიწყეთ და არ მოსთხოვეთ მოწაფეს, არაფრად არ ვარგა, რადგან მოწაფეც მიეჩვია თავის დავალების შეუსრულებლობას.

ის შეეხო აგრეთვე მასწავლებლის საზოგადო მოღვაწეობას და აღნიშნა, რომ მასწავლებელი უნდა იყოს საზოგადო მოღვაწე და მოწინავე ყოველ საზოგადო საქმეში. ავიღოთ თუ გნებავთ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება". ამ საზოგადოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის. ეს საზოგადოება ხსნის ქართულ სკოლებს საქართველოს განაპირა კუთხეებში, სადაც ქართული ენა მოსპობის გზაზეა, ამიტომ ეს საზოგადოება უნდა გავამაგროთ და ყველა მასწავლებელი და შეგნებული ქართველი გახდეს ამ საზოგადოების წევრი.

რომ გაიგო რომ ჩვენ არ ვიყავით წევრი, მოგვიწოდა გავმხდარიყავით წევრად.

ჩვენ შეკითხვაზე, რა აზრის არის ლევიცკის მეთოდზე? მან გულისწყრომით სთქვა:

— ლევიცკი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ მოსპოს ქართული ენა, ის ანგარიშს არ უწევს იმ ანბანურ პედაგოგიურ მოსაზრებას, რომ ყოველი ბავშვი უნდა განვითარდეს მშობლიური ენის ნიადაგზე. სამწუხაროდ, ამ გარემოებას ჩვენი ინტელიგენცია, რომელიც გადაგვარების გზაზე დგას, ეს აზრს მხარს უჭერს, ბავშვებს ავიწყებენ მშობლიურ ენას და თუთიყუშივით რუსულ ენაზე ზრდიან.

იმ ღამეს მატარებლით თბილისში გაბრუნდა, რის შემდეგ, სამწუხაროდ, აღარ მინახავს.

1941 წ.

რაჭაში სოფელ ბუგეულში, სადაც დავიბადე და ბავშვობა გავატარე იყო მოხუცი ღვდელი გრიგოლ აბუთიძე. მას ყავდა სამი ვაჟი: თედორე, მათე და არტემა. პირველი ორი ვაჟი ცხოვრობდნენ ს. ბუგეულს და ეწეოდნენ სოფლის მეურნეობას. მესამე ვაჟი — არტემა მამის უნებურად გაიქცა ოჯახიდან და თბილისს შეაფარა თავი. ეს არტემა იყო მსახურად იაკობთან თითქმის ოცი წელიწადი. იშვიათად ჩამოდიოდა სოფელში და ისევ ბრუნდებოდა იაკობთან. მე ვსარგებლობდი არტემის სოფელში ყოფნით და ვეკითხებოდი თუ როგორ ცხოვრობდა იაკობი. ის ბევრს რამეს მიამბობდა იაკობის შესახებ და მის ნაამბობიდან დამამახსოვრდა შემდეგი.

— იაკობი, ამბობდა არტემა, მეტად ღარიბულად ცხოვრობდა მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებელი რომ იყო კარგს ხელფასს ღებულობდა და რომ დაანება თავი მასწავლებლობას თავის ნაწერებიდან კარგი შემოსავალი ჰქონდა. იაკობს ძალიან უყვარდა სითბო ოთახში. დილიდან დამანთებინებდა ბუხარში ცეცხლს, უყვარდა ბუხარში ცეცხლის ღუზღუზი და რომ შენიშნავდა, რომ ბუხარში შეშა ილეოდ[illegible] — მეტყოდა, — არტემ, ნუ გამოანელებ ცეცხლს, ხომ იცი როგორ მიყვარს ბუხრის ღუღუნის ყურება. მიუხედავად იმისა, რომ ოთახი ყოველთვის თბილი იყო, ის მაინც ბეჭებზე შალს მოიხურავდა და ისე იჯდა ცეცხლის პირას. ძრიელ ეშინოდა გაცივების. თუ ოდნავ ოთახის კარი ღია დარჩებოდა, მეტყოდა საყვედურით: მიხურე კარი, ოთახი ნუ გააცივეო. დილის ჩაის რომ მივართმევდი, აუცილებლად რაჭული თონის პური უნდა მიმერთმია, იმასაც ცეცხლზე შეაფიცხებდა და ისე მიაყოლებდა ჩაის. — თან უყვარდა ოსური ყველის დაყოლება. ჩაი უყვარდა ცხელი და მეტად დამტკბარი — ჩაის მხოლოდ ერთს ჭიქას მიირთმევდა. მიირთმევდა თუ არა ერთ ჭიქა (ჩაის. — ზ. ბ.), საწერ მაგიდას მიუჯდებოდა და სწერდა. ხშირად წამიკითხავდა დედა-ენიდან ხან ლექსს, ხან მოთხრობას და მკითხავდა როგორ მოგწონსო. რომ მოუწონებდი, უხაროდა და იღიმებოდა. ერთხელ მკითხა — რაჭული სიმღერები ან ლექსები თუ გაგიგონია მომიყევიო.

მე გამახსენდა ერთი ლექსი:

„ქალსა ვისმე — ქალსა ვისმე
ერქვა შუშანაო,
ხუთსა თითსა, ხუთსა თითსა ეცვა ბეჭედაო.
ბეჭდის თვალსა, ბეჭდის თვალსა, მოლი მოსულაო,
მოლის თავსა, მოლის თავსა, ნაძვი ასულაო,
ნაძვის თავსა, ნაძვის თავსა, ქორს ბუდე ედგაო,
ბუდე იყო, ბუდე იყო აბრეშუმისაო.
კვერცხი ედვა, კვერცხი ედვა ბაგუნდისაო.
შვილი ყავდა, შვილი ყავდა მარგალიტისაო.
ღმერთო, ერთი, ღმერთო, ერთი ჩემთვის გაზარდეო,
სხვას ათასი, სხვას მიეცი, სხვას გაუზარდეო“.

კარგი ლექსიაო, სთქვა მან და სახეზე ღიმილი მოუვიდა. ამის შემდეგ მე ბუხრისთვის შეშას შემოვიტანდი. ოთახს მივალაგებდი და ბაზარში გამაგზავნიდა. მისი სადილი ჩვეულებრივად ორი თავისაგან შესდგებოდა, ხშირად სამარხო სადილს სიამოვნებით შეექცეოდა. ღვინოს არ სვამდა და თუ დალევდა ერთ ან ორ ჭიქას, ისიც წყალგარეულს. — სტუმრები ხშირად დადიოდნენ. მათთან საუბარი ქართული ენის შესახებ ხშირად საათობით გრძელდებოდა. ხშირი სტუმარი იყო ლუარსაბ ბოცვაძე. ძრიელ უყვარდა ლუარსაბ ბოცვაძესთან საუბარი ქართულის ენის სწავლების შესახებ და ამბობდა — „აი, ნამდვილი ქართული ენის მასწავლებელიო“. ღვინოს, როგორც ვთქვი, არ სვამდა, მარა ხშირად მეტყოდა — არტემ! იგულე კარგი წინანდლის ღვინო რამოდენიმე ბოთლი, ვინიცობაა რაფიელი გვეწვიოს — მას უნდა დავახვედროთ საუკეთესო ღვინო, ვინაიდან მას კახური ღვინო ძალიან უყვარს.

საჭმელებში ყველაზე უფრო უყვარდა იმერული ინდაურის საცივი და ხშირად მეტყოდა: იმერლებს უკეთესი პირისგემო აქვთ ქართლელებზეო.

ერთხელ რაჭული ლორის ნაჭერი ჩამოვუტანე და როდესაც გავამზადე და მივართვი — ძალიან მოეწონა და მკითხა როგორ აკეთებთო. მე მოუყევი თუ რამდენ ხანს ჰვარტლში ვკიდებთ და უთხარი: რაჭველი რა გინდ ღარიბი იყოს, ერთ ღორს მაინც დაამარილებს-თქო. ამაზე მან მითხრა — მართალი უთქვამს ვახუშტი ბატონიშვილს — რაჭველები მშრომელი ხალხიაო და „ღორი სიცოცხლე მათიო“.

...როდესაც ლიახვზე ხალხური ლექსი სთქვა, მე ქვედრულაზე შემდეგი ლექსი უთხარი:

„ქვედრულა მოდიდებულა,
თან მოაქვს მთა და ბარიო,
ლალამეილს დაუქადნია.
შემომდის ბევრი ქერიო.
შენი ქვედრულაც მოგიკლეს,
თუ ვერ გიცვალო ფერიო.
შუა ღამისას მიუხტა,
კალო საბძელი მოსტაცა,
ერთი ბეღელი ქერიო,
გობ-საცერი გააყოლა
წადი და იქა ცერიო".

ამის შემდეგ მითხრა — აი, ჩემო არტემ, ხალხში ბევრი სიბრძნეა გაფანტული. ამას თავისმოყრა უნდა. ჩემი ვალია, შევკრიბო ხალხური ლექსები, ზღაპრები, ამოცანები, ანდაზები და გადავცე ჩვენს ახალთაობას, რომ მან შეიყვაროს თავის ენა, თავის სამშობლო და პატივისცემა და სიყვარული ქონდეს საქართველოსთვის თავდადებულ გმირებისადმი.

ეს დარიგება ღრმათ ჩამებეჭდა გულში და მთელი ათეული წლების განმავლობაში პედაგოგიურ მოღვაწეობაზე ვცდილობდი ამ პრინციპებისთვის არ მეღალატნა.

ბათუმის ქართულ სკოლაში მუშაობამ მომცა შემთხვევა გამეცნო პირადად ი. გოგებაშვილი. იაკობს, როგორც დედაენის და ბუნებისკარის ავტორს პირდაპირ ვალმერთებდი. პირადად კი არ ვიცნობდი.

იაკობი გვეწვია ბათუმში სკოლის გამოსარკვევად. დამესწრო გაკვეთილზე. გაკვეთილის შემდეგ გაარჩია ჩემ მიერ მიცემული გაკვეთილი. აღნიშნა დადებითი და უარყოფითი მხარეები. დადებითად ჩამითვალა მთელი კლასის ჩაბმა გაკვეთილის მსვლელობაში. ხმამაღალი და გარკვეული კითხვები და საერთოდ გაკვეთილის ორგანიზაცია. უარყოფითი მხარე, რომელზედაც მიმითითა, იყო შემცდარ პასუხების რამოდენჯერმე გამეორება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად. ძველი გაკვეთილის ახალზე გადასვლა ვერ იყო ორგანიზებულად ჩატარებული. არ მოეწონა ჩემი ზედმეტი სიარული და სხვა. ამ საუბრის დროს ბევრი რამ გველაპარაკა რუსული ენის სწავლებაზე ქართულ სკოლებში. — რუსული ენის სწავლება ისე უნდა მიმდინარეობდეს რომ ლექსიკურ განყოფილებაში ქართული და რუსული გამოთქმები არ უნდა განირჩე-

ოდნენ ერთმანეთისაგან და მათ შორის განსხვავება თანდათან უნდა იყოს შეთვისებული მოწაფის მიერ. ამ ნიადაგზე ბევრი გვესაუბრა. გვესაუბრა სწორ და დახრილ წერის შესახებ.

მან სთქვა, რომ ჩვენი ბავშვებისათვის ბუნებრივია რუსული სწორი წერა, რადგან ქართული წერა სწორხაზოვანია, ასე რომ ქართული წერიდან რუსულ წერაზე გადასვლა ბუნებრივი იქნებაო. საერთოთ მე წინააღმდეგი ვარ დახრილი წერისა და უპირატესობას სწორ წერას ვაძლევო. ამ საკითხის შესახებ მე ვრცელ დასაბუთებულ მეთოდიურ წერილსაც დავსწერო.

ამ საუბრის შემდეგ მე გავთამამდი და უთხარი:

— ბ. იაკობ, თქვენი „Русское слово" ძრიელ მოსაწყენი წიგნია. მასში ნაკლებია მხატრული ნაწარმოებები, უფრო ხელოვნური მოთხრობებია-თქო.

ამ შემჩნევაზე მან გაიცინა და მითხრა:

— თქვენ ახალგაზრდა მასწავლებელი ხართ და როგორც გატყობთ ვერ არჩევთ შემდეგ გარემოებას: სახელმძღვანელო არის ორგვარი: ენობრივი და ქრესტომატია. ქრესტომატია ადვილი შესადგენია. საკმარისია აიღო სხვა და სხვა კლასიკოსი მწერლის ნაწარმოები, ამოიღო იქიდან ბავშვების მისაწდომი ლექსები ან მოთხრობები და ქრესტომატიაც მზად არის. სულ სხვა არის ენობრივი წიგნის შედგენა ე. ი. ენის შესასწავლი წიგნი. აქ ყოველი ახალი სიტყვა, რომელსაც ვაწოდებთ ახალი ენიდან აუცილებლად უნდა იყოს გამეორებული შემდეგ მოთხრობებში რამოდენიმეჯერ, რათა ღრმათ ჩაებეჭდოს ბავშვს მეხსიერებაში ახალი სიტყვა. თან უნდა სწარმოებდეს საუბრები თვალსაჩინო საგნებზე გაელილ მასალის ირგვლივ. მე სწორედ ამ გვარ წიგნს ვადგენ. აი, ხედავთ, როგორ მეორდება შემდეგ და შემდეგ წინა გაკვეთილის სიტყვები. ამ სიტყვებთან ერთად გადაშალა „Русское слово" და მის ნათქვამში ფაქტიურად დამარწმუნა. მე სირცხვილით გავწითლდი და ბასუხი ვეღარ მოვახერხე. ეს მისი მითითება ღრმად ჩამებეჭდა გონებაში და როდესაც მე შეუდექი რუსული სახელმძღვანელოს შედგენას, ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდი...

ალექსანდრე მიქაბერიძე

ნარკვევი ი. გოგებაშვილზე მოგონებების სახით

...იაკობ გოგებაშვილის გაცნობას დიდი ხანია ვნატრობდი. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, წერა-კითხვის სრულიად უცოდინარი, და პირველი წიგნი, რომელიც ხელში მომცეს ქართული ენის შესასწავლად, ეს იყო იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“.

ორი წლის განმავლობაში, როგორც ამჟამად მაგონდება, ეს წიგნი დავსძლიე. დიდის აღტაცებით ვკითხულობდი ამ წიგნში მოთავსებულ პატარ-პატარა ამბებს და ლექსებს. წიგნში დართული სურათები ძალიან მომწონდა და ხშირად ვათვალიერებდი. მახსოვს, დღეში რამდენჯერმე გადავფურცლიდი ამ სურათებს.

მეტად დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ ჩემზე ეს სურათები, სანამ ამ სურათების შესაბამის მოთხრობებს არ წავიკითხავდი, წიგნს ხელიდან არ ვიშორებდი. წიგნში მოთავსებულ ლექსებს ზეპირად ვსწავლობდი.

ლექსებში განსაკუთრებულად რატომღაც სოლოღას შესახებ ლექსი მომწონდა. ეს შედარებით მოზრდილი ლექსი თავიდან ბოლომდე ზეპირად შევისწავლე. ყოველ მოხერხებულ დროს ამ ლექსს მოუთხრობდი ზეპირად ჩვენი ოჯახის წევრებს, რომლებიც დიდის აღტაცებით ისმენდნენ ამ ლექსის ჩემ მიერ ზეპირად თხრობას. ყველანი ერთხმად მაქებდნენ და ხოტბას მასხამდნენ. მე, რასაკვირველია, თავი მომქონდა ასეთი ყურადღებით და ხშირად, უთხოვნელადაც კი, ამ ლექსს ზეპირად რამდენჯერმე „ჩავაბულბულებდი“. დედა ჩემი, როცა სოლოღას ლექსს ჩემებურად „ჩაუბულბულებდი“, გულში მაგრად ჩამიკრავდა და ალერსიანად მეტყოდა ხოლმე: „ჩემო სიხარულო, გენაცვალოს დედაშენი, რა რიგ კარგად

შეგისწავლია ეს ლექსი! ისწავლე, ისწავლე, ჩემო სიცოცხლევ, და გაახარე დედაშენის გული შენის კარგი სწავლით! თუ ბეჯითად და კარგად ისწავლი, დიდი ნასწავლი კაცი გამოხვალ!"-ო.

მართალია, დედა ჩემის ეს იმედი ჩემმა მომავალმა ცხოვრებამ ვერ გაამართლა, მე ვერც დიდი ნასწავლი და ვერც დიდი კაცი გამოვედი ცხოვრებაში, მაგრამ დედაჩემის ეს ტკბილი ალერსი დღესაც, ამ სამოცი წლის შემდეგ, ყურთა სმენას მიტკბობს და სიამოვნებით ვიგონებ იმ დროს, როცა ჩემმა მასწავლებელმა პირველად ხელში მომცა იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა", რომელმაც სამშობლო ენის სიტკბოება ყურში სათუთად ჩამაწვეთა და ბავშობიდანვე გულში მაგრად შთამინერგა სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა.

ჩემი მასწავლებელი გაკვეთილების გამოკითხვის დროს ხშირად მეტყოდა ხოლმე: „ამ წიგნის დამწერი, იაკობ გოგებაშვილი, დიდი ნასწავლი კაცია, იგი ჩვენი ყველას მასწავლებელი და მეგობარია. ამ ჩვენს დიდ მასწავლებელს განსაკუთრებით შენისთანა პატარა ბავშვები უყვარს, იგი ბავშვების გულითადი მეგობარია, იგი მუდამ ცდილობს, რომ შენებრ პატარა ბალღებს თვალები აუხილოს და სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა გულში მაგრად ჩაუნერგოს"-ო.

ვინ მოსთვლის, ჩემ ბავშვობის დროს, რამდენჯერ მინატრია, ეს ჩვენი დიდი მასწავლებელი და მეგობარი, ეს ჩვენი დიდი მოამაგე, ჩემი საყვარელი „დედა ენის" შემდგენელი ერთხელ მაინც მაჩვენა მეთქი.

მაგრამ ეს ჩემი მაშინდელი ნატვრა იმქამად მიუწდომელი და მოუხერხებელი იყო შემესრულებინა. მე ქუთაისის მაზრის ერთ ერთ მივარდნილ სოფელში ვცხოვრობდი და ჩემი საყვარელი წიგნის შემდგენელი იაკობ გოგებაშვილი, ეს ბავშვების გულკეთილი და გულწრფელი მეგობარი კი შორს, შორს — ტფილისში. მიუხედავად ესეთი დაბრკოლებისა, მე მაინც იმედს არ ვკარგავდი, ჩემებურად კიდევაც დარწმუნებული ვიყავი, რომ როგორც კი ცოტათი წამოვიზრდებოდი, აუცილებლად გავეცნობოდი იაკობ გოგებაშვილს და ვუამბობდი ჩემი ბავშვობის იმ სიხარულსა და აღტაცებას, რომელსაც მე განვიცდიდი „დედა ენის" კითხვის დროს.

გიმნაზიასა და უნივერსიტეტში სწავლის დროს ხშირად

ჩაკითხულობდი ქართულ გაზეთებში იაკობ ვოვებაშვილის საყურადღებო წერილებს და სიამოვნებით ვიგონებდი ჩემი ბავშვობის იმ ხანას, როცა „დედა ენის“ ავტორის ნახვისა და გაცნობის სურვილი ასერიგად მოსვენებას არ მაძლევდა.

ჩემდა სასიხარულოდ დადგა ის დრო, როცა ამ ჩემი ხანგრძლივი სურვილის ასრულება მოვახერხე.

1908 წელს საბოლოოდ ტფილისში დავსახლდი და სამსახურს დავეძებდი.

ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, რომლის შემადგენლობაში იაკობ გოგებაშვილიც შედიოდა, მდივნის თანამდებობაზე მომიწვია და საზოგადოების საქმეების მართვა გამგებლობა ჩამაბარა.

ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზია და კანცელარია მოთავსებული იყო სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეული ქარვასლის მეორე სართულში. საზოგადოებას დაქირავებული ჰქონდა სამი ოთახი. ერთ ოთახში გამართული იყო წიგნის მაღაზია, მეორეში კანცელარია და მესამეში კი ბუხჰალტერია. მეორე და მესამე ოთახ შორის ტიხრი მოეშალათ და ამნაირად ეს ორი ოთახი გაერთიანებული იყო. კანცელარიაში შესვლა შეიძლებოდა წიგნების მაღაზიის გავლით და საბუჰჰალტრო ოთახის მხრიდანაც.

მიმსვლელმომსვლელი კანცელარიაში შესვლას რატომღაც მაღაზიაზე გავლით ამჯობინებდა. ასე ყოფილა წინეთ და ასე იყო ჩემს დროსაც.

ჩემი მდივნის თანამდებობაზე მოწვევის მეორე დღესვე სამსახურში დაუყოვნებლივ გამოვცხადდი.

გავიცანი წიგნების მაღაზიის გამგე შიო ქუჩუკაშვილი (შიო მღვიმელი) და საზოგადოების ბუხჰალტერი ვასილ ედილაშვილი. ორივემ დიდის თავაზიანობით და პატივისცემით გამაცნეს საზოგადოების საქმეები.

დილის ათი საათი იქნებოდა, როცა უკვე საქმიანობაში ჩავები. ვეცნობოდი საზოგადოების გამგეობის ოქმებს, სხვადასხვა მოხსენებებს სკოლებისა და ბიბლიოთეკების რევიზიის შესახებ, საბუხჰალტერიო მთავარ დავთრებს და სხვა.

ვასილ ედილაშვილი წყნარად იჯდა მისთვის მიჩნეულ ოთახში და საანგარიშო ციფრებს ჩაკირკიტებდა, დროგამო-

შვებით ჩემსკენ გადმოიხედავდა და ულვაშებში ღიმილი გადაკრავდა, ალბათ ჰფიქრობდა, აბა ეს ჩვენი ახალი მდივანი როგორი გამოდგებაო.

შიო მღვიმელი მაღაზიაში იჯდა და დილის გაზეთებს ათვალიერებდა. შიგდაშიგ წიგნებისა და რვეულების მყიდველი შემოდიოდა მაღაზიაში და იქ არსებულ ძყუდროებას და სიჩუმეს არღვევდა. შიო დაუზარებლად ყველას აკმაყოფილებდა. ზოგს ტკბილ სიტყვას ეტყოდა, ზოგს მწარესა, მაგრამ ყველანი. როგორც ვამჩნევდი, კმაყოფილი გადიოდნენ მაღაზიიდან.

ჩვენს კანცელარიაში კი სრული მყუდროება იყო გამეფებული. მეცა და ვასოც ხმაამოუღებლივ ვმუშაობდით, ხოლო ამ საერთო მყუდროებას ზოგჯერ დაარღვევდა ვასილ ედილაშვილი, რომელიც მაღაზიაში გადაძახებდა შიო ქუჩუკაშვილს: „შიო, გოგებაშვილის „დედა ენა“ კიდევ რამდენი ცალი დავრჩა მაღაზიაში“ ანდა „გოგებაშვილის რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილი კიდევ ბლომად დარჩა?“

სრული 12 საათი იქნებოდა, როცა კანცელარიაში შემოვიდა მაღალი ტანის, სუფთად ჩაცმული, ოდნავ ჭაღარა შერეული კაცი, რომელიც მოუახლოვდა ჩემს მაგიდას და ხელისჩამორთმევისას დაბალის ხმით მითხრა: „იაკობ გოგებაშვილი“-ო.

მეც ასევე ლაკონიურად ვუპასუხე: „ალექსანდრე მიქაბერიძე“-ო, მაგრამ ვაი რომ ამ ორი სიტყვის გადაცემაც კი ძლივსღა მოვახერხე. პირზე ერთბაშად სიწითლემ გადამკრა. ძალზე ავღელდი, სკამი რომ შემეთავაზებინა, ისიც კი დამავიწყდა.

იაკობმა შემატყო, რომ ვღელავდი და უთხოვნელად სკამს ხელი წაავლო და ჩემს პირდაპირ ჩამოჯდა.

მცირედი პაუზის შემდეგ იაკობმა ღიმილით მითხრა: „სასიამოვნოა, რომ თქვენ ჩვენს კერძო დაწესებულებაში სამსახური მოგისურვებიათ. თქვენი მოწვევის საკითხი გამგეობამ წუხელი ერთსულოვნად გადაწყვიტა. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა და ჩვენი დახვედრა!“-ო.

იაკობმა დაწვრილებით გამომკითხა, გიმნაზია სად დავამთავრე, რომელ ქალაქში ვსწავლობდი უნივერსიტეტში, სად მსახურობდი აქამდე და სხვა.

ყოველივე ამ შეკითხვაზე სათანადო პასუხს ვაძლევდი, ვატყობდი, რომ ჩემი პასუხით იაკობი კმაყოფილი იყო და პირისახეზე ღიმილი მოსდიოდა. იაკობის ესეთმა განწყობილებამ ერთგვარად გამამხნევა. მე იმდენად დავმშვიდდი, რომ კიდევაც გავკადნიერდი და იაკობს გავუზიარე ჩემი პირველი ის შთაბეჭდილება, რომელიც „დედა ენის“ კითხვამ ჩემში გამოიწვია ყმაწვილობის დროს. „მოხარული ვარ“ დავამთავრე ჩემი განმარტებითი პასუხი: „რომ პირისპირ ვუცქერი იმ ადამიანს, რომლის გაცნობას ბავშვობიდანვე ასე მოუთმენლად მოველოდი“ მეთქი.

იაკობი თავისებურად იღიმებოდა და მუშტრის თვალით შემომყურებდა. ვატყობდი, რომ იგი დიდი ნასიამოვნები დარჩა ყოველივე ჩემი ნაამბობით. განსაკუთრებით იაკობს სასიამოვნოდ დაურჩა ჩემი მოგონება იმის შესახებ, რომ „დედა ენის“ შესწავლამ ყურში ტკბილად ჩამაწვეთა სამშობლოს სიყვარული მეთქი.

კანცელარიაში ჩვენი საუბრის დროს გარეშე არავინ ყოფილა.

იაკობმა მიიხედმოიხედა კანცელარიაში და, როცა დარწმუნდა, რომ ყურს არავინ გვიგდებდა, ასეთი საუბარი გამართა ჩემთან: „დიდად სასიამოვნოა, რომ თქვენ უმაღლესი სწავლით შეიარაღებულ ახალგაზრდას განზრახვა გაქვსთ საზოგადოების საქმიანობაში ჩაებას და ერთგვარი სამსახური გაუწიოთ ქართველი ხალხის გონებრივად განვითარების საქმეს. მართალი უნდა გითხრათ, მდივანი სული და გულია ყოველივე ჩვენი საქმიანობისა.

მართალია, გამგეობის წევრები თუმცა საზოგადოების საქმეებს ერთგვარ ხელმძღვანელობას ვუწევთ, მაგრამ ეს კიდევ არა კმარა. ყველანი დატვირთული ვართ საკუთარი საქმეებით, ზოგი მსახურობს, ზოგი კერძო სამუშაოს ეწევა და მეტად მცირე დროს ანდომებს საზოგადოების საქმეების ხელმძღვანელობას. კვირაში ერთხელ ვიკრიბებით, ვმსჯელობთ, ვთათბირობთ. დიდი სურვილი გვაქვს კიდევ უფრო მეტი დრო მოვანდომოთ საზოგადოების საქმიანობას, მაგრამ დრო და გარემოება ამის საშუალებას არ გვაძლევს.

საზოგადოების წესდებამ ეს უხერხულება თავისდროზე გაითვალისწინა და მუდმივი მუშაკის მოწვევის საკითხი და-

დებითად გადაჭრა. ესეთ მუდმივ მუშაკად ნაგულისხმევია სა-ზოგადოების მდივანი, რომლის ცოდნასა და გამჭრიახობაზე მრავალი რამაა დამოკიდებული.

ჩვენი საზოგადოების საქმიანობაში თავიდათავი სამზრუნველო სკოლები და ბიბლიოთეკებია. დღევანდელი გადაგვარებული სახელმწიფო სასწავლებლები ჭეშმარიტად განათლებულ ქართველ თაობას ვერ აღგვიზდის.

საზოგადოების სკოლების დანიშნულებაა ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას ქართული სული შთაბეროს, მოსწავლე ქართველის აზროვნება მშობლიურ ნიადაგზე წარმართოს.

ეს დიდი დანიშნულება საზოგადოების სკოლებმა როგორ შესრულოს, საჭიროა საფუძვლიანი რევიზიების პერიოდულად მოწყობა, გამოცდილი მასწავლებლების შერჩევა, მათი ნივთიერი მდგომარეობის სასურველად გაუმჯობესება, სკოლების გამართვა და სასწავლო ნივთებით უზრუნველყოფა და სხვა.

თუ საზოგადოების მდივანი თავის სიმაღლეზე იდგება, თუ საქმის სიყვარულს და ერთგვარ გამჭრიახობას გამოიჩენს, იგი უეჭველია ჩვენს სკოლებს ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევს და სწავლა აღზრდის საქმესაც წესიერად დააყენებს.

თქვენი წინამოადგილე დავით კარიჭაშვილი დიდი შრომის მოყვარე, დიდი ბეჯითი და პატიოსანი ადამიანი იყო, მაგრამ სამწუხაროდ მეტის საქმიანობისაგან მოიქანცა, დაიღალა და მდივნის თანამდებობაზე უარი განაცხადა.

თქვენ კი, როგორც უფრო ახალგაზრდას, უეჭველია შრომის უნარი მეტი შეგწევთ და საზოგადოების რთულ საქმიანობას ნუ შეუშინდებით.

ვფიქრობთ, რომ თქვენი ჯანღონით სავსე ახალგაზრდობა, თქვენი განათლება, თქვენი გულწრფელი სურვილი საზოგადოებრივ ასპარეზზედ მუშაობისა სრული თავდებია იმისა, რომ თქვენ საზოგადოების სკოლებს ღირსეულ ხელმძღვანელობას გაუწევთ, უზრუნველყოფთ სკოლებს სასწავლო ნივთებით და იარაღებით, გამოცდილსა და დახელოვნებულ მასწავლებლებს შეარჩევთ, გულთბილად მიუდგებით მათ პასუხსაგებ ყოველდღიურ საქმიანობას, საჭირო დროს კიდევაც გაამხნევებთ და ამრიგად სკოლებში შექმნით ჯანსაღ ატმოსფეროს.

საზოგადოების არსებობის მთავარი წყარო ჩვენი წიგნების მაღაზიაა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ წიგნებით ვაჭრობის საქმეს. თუ წიგნებით ვაჭრობის საქმეს, როგორც თბილისში, ისე პროვინციაში, რიგიანად დააყენებთ, საზოგადოებას დიდ თანხებს შემატებთ და ამრიგად უსრულყოფთ ჩვენი სკოლების, ბიბლიოთეკების და ქართული წიგნების გამომცემლობის წესიერად მოგვარებას.

წიგნების მაღაზიის გამგე შიო ბლვიმელი პატიოსანი კაცია, საზოგადოების ქონებას უფრთხილდება, წიგნების მაღაზიას იშვიათის მზრუნველობით თავს დასტრიალებს.

საზოგადოების მოანგარიშე ვასო ედილაშვილიც იშვიათი პატიოსნების მუშაკია, მისი გულწრფელი შრომა და მუყაითობა საზოგადოდ ცნობილია.

თუ თქვენ სამივე ჯანსაღობით სავსე მუშაკები შეთანხმებულად ჩაებმებით საქმიანობაში, ყველანი ერთად და ცალ-ცალკე თვითეული თქვენგანი უდიდეს სამსახურს გაუწევთ წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

პირადად მე და გამგეობის დანარჩენი წევრები, რამდენადაც მოცალეობა საშუალებას მოგვცემს დახმარებას არ მოგაკლებთ და საჭირო დახმარებას აღმოგიჩენთ. ჯერ ჯერობით ამ პირველ გაცნობისას ეს ვიკმაროთ. ჩვენ მომავალში ხშირად შევხვდებით ერთმანეთს და დანარჩენ საქმეებზე ლაპარაკს კიდევ მოვესწრებით. მშვიდობით!"

ამ სიტყვებით დაამთავრა იაკობ გოგებაშვილმა ჩემთან საუბარი მისი პირველად გაცნობისას.

ჭ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში ჩემი მდივნობის დროს იაკობ გოგებაშვილმა ერთხელ ლაპარაკი ჩამომიგდო ქართველი მასწავლებლების მოღვაწეობის შესახებ და სხვათაშორის შემდეგი მოსაზრება გამოთქვა: „ჩვენი ცხოვრების პირობები მეტად გართულდა, ზოგჯერ კიდევაც შიში მეპარება, რომ ამ გართულებულ პირობებში ქართველი ხალხი კიდევ უფრო არ დაიჩაგროს, ვინ არ გნებავს, რომ ჩვენ წინააღმდეგ ამჟამად არ ილაშქრებოდეს. ყველა საბრძოლველი ფრონტი, რომელიც ჩვენსკენაა მომართული, უკვე დიდი ხანია გარღვეულია. ყველანი ჩვენს წინააღმდეგ დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ, ყველას ჩვენზე იერიშები მო-

აქვს. ამ ბრძოლის გამჩაღებელი ჩვენი დღევანდელი მთავრობაა. ამ უბედურებას კაცი კიდევ თავს შემოუვლიდა, რომ ჩვენი ადგილობრივი მთავრობა მცირედაც მაინც ლმობიერად გვეკიდებოდეს. აბა, დაუკვირდით კარგად, რა უბედურებას ატრიალებენ განათლების უწყების წარმომადგენლები საქართველოს პირველდაწყებით და საშუალო სასწავლებლებში.

იანოვსკები, ზავადსკები, სლოვინსკები, ლივიცკები, დიმიტრიევები, ვოსტორგოვები და მთელი მათი კამპანია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ ქართველი ხალხის წინააღმდეგ და სულითა და გულით მოწადინებული არიან ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას გულში ჩაუკლან ყოველივე ქეთილშობილური მისწრაფება სწავლაგანათლებისადმი.

ქართული ენის სწავლება დღითი დღე იდევნება სასწავლებლებიდან, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას სწურთნიან გაუგებარის რუსული ენის საშუალებებით და ამრიგად უხშობენ ჩვენ ახალგაზრდობას წორმალურად განვითარების გზას.

ყოველივე ეს მეტად დამაფიქრებელია და საჭიროებს საწინააღმდეგო ზომების დასახვას, თუ გვინდა, რომ ქართველობა არ მოისპოს, არ გადაშენდეს.

ამ დიდი საქვეყნო უბედურების თავიდან ასაცილებლად საჭიროა კულტურული ბრძოლის გაჩაღება, რაიცა ბოლოსდაბოლოს მოგვცემს საშუალებას ხალხის სასიცოცხლო ძალები კარზე მომდგარ საფრთხეს გადავარჩინოთ, ქართველი ხალხის განათლების საქმე ნორმალურ პირობებში ჩავაყენოთ.

კულტურული ბრძოლა სწავლა განათლების ნორმალურად დაყენებისათვის სახელმწიფო სახალხო პირველდაწყებით სკოლებში და საშუალო სასწავლებლებში, კულტურული ბრძოლის გაჩაღება ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში, კულტურული ბრძოლა სახალხო ბიბლიოთეკების ქსელის გაშლისა და გაფართოებისათვის. ეი ზომები, რომელთა ცხოვრებაში განხორციელება ჩვენ გარდუვალ საჭიროებად მიგვაჩნია. ვფიქრობ და ღრმადაც დარწმუნებული ვარ, რომ ესეთი შეუნელებელი კულტურული ბრძოლის წარმოება საფრთხეს თავიდან აგვაშორებს და ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას შეუქმნის ნორმალურ პირობებს შეშაარიტი სწავლა განათლებისათვის.

ამ მხრით ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია განსაკუთრებით ჩვენს სახალხო სკოლების მასწავლებლებს, თუ ისინი ერთგვარ გამჭრიახობას, ერთგვარ გაბედულობას გამოიჩენენ და სამოსწავლო უწყების წარმომადგენელებიც უხეშსა და ყოველგვარ საფუძვლიანობას მოკლებულ განკარგულებას მხარს არ დაუჭერენ და მათდა სამარცხვინოთ სამოსწავლო უწყების წარმომადგენელების ყურმოჭრილ მონებად არ გადაიქცევიან.

ვინ მოსთვლის, რამდენი ქართველი მასწავლებელი გაბმულა სამოსწავლო უწყების მიერ დაგებულ სამარცხვინო ხაფანგში.

დიდის გულისტკივილით უნდა ვალიაროთ, რომ სახელმწიფო სასწავლებლების მრავალი მასწავლებელი უკვე გადაგვარდა ანუ გადაგვარების გზას ადგია, მრავალი ესეთი მასწავლებელი მთავრობის აგენტის როლს ასრულებს და სასწავლებელში სამარცხვინო მოღვაწეობას ეწევა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალების გასანადგურებლად, მოსასპობლად.

მაგრამ მეორეს მხრით ჩვენდა სასიხარულოდ ჯერ კიდევ მოგვეპოვება სოფლად სახალხო მასწავლებლები, რომლებიც აქტიურ მუშაობას აწარმოებენ და, რამდენადაც კი შეუძლიათ, ცდილობენ სამოსწავლო უწყების წარმომადგენლების ანტიპედაგოგიურ განკარგულებებს არ დაემორჩილონ და მედგარი წინააღმდეგობა გაუწიონ.

ესეთი ჩვენი საქვეყნო საქმისათვის თავდადებულ მასწავლებელთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ თავისი მებრძოლი მოღვაწეობით სახალხო სკოლის მასწავლებლები ლუარსაბ ბოცვაძე, ისიდორე რამიშვილი, არსენ წითლიძე, ნიკო ჯანაშია და მრავალი კიდევ სხვები, რომელთა მოღვაწეობა საპედაგოგიო ასპარეზზედ მთლიანად მიმართულია ქართველი ხალხის მომავალი თაობის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

სამოსწავლო ოლქის წარმომადგენლები და ჩვენი საქვეყნო საქმის მოამაგე სახალხო მასწავლებლები განუწყვეტლივ დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებენ ჩვენი საეროვნო საქმის ირგვლივ და, თუ ამ ჩვენ თავდადებულ სახალხო მასწავლებლებს სხვა სახალხო მასწავლებლებიც მხარი დაუჭირეს, ჩვენ

მოსწავლე ახალგაზრდობას ფხიზელ დარაჯად დაუდგენ, დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი ბრძოლას წააგებენ და გამარჯვებულნი ჩვენი სახალხო მასწავლებლები გამოვლენ ამ დაუნდობელ ბრძოლიდან.

პირადად ჩვენ მრავალ სახალხო მასწავლებელს ვიცნობთ, მიწერმოწერაც მაქვს მათთან გამართული და ყოველ კერძო შემთხვევაში ჩემს დარიგებასა და რჩევას არ ვაკლებ მოსალოდნელი საშიშროების თავიდან ასაშორებლად.

ჩემის ღრმა რწმენით ამ მებრძოლ მასწავლებელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კავკავის სკოლის აწინდელ ხელმძღვანელს და გამგეს ლუარსაბ ბოცვაძეს, რომელიც თავისი თეორეტიკული ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით სათანადო სიმაღლეზედ სდგას და თავისი ნაყოფიერი მუშაობით გაბედულად იგერიებს შემოსეულ მტრის მიერ მოტანილ იერიშებს.

ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კავკავის ქართული სკოლა ლუარსაბ ბოცვაძემ დააყენა ფეხზე, ქართული საქმე კავკავში ლუარსაბ ბოცვაძის მეცადინეობით განმტკიცდა და გამაგრდა. დიდ საქვეყნო საქმეს ჩაუყარა მტკიცე საძირკველი ლუარსაბ ბოცვაძემ. ჩვენი სასიქადულო ჩიჩიერი მასწავლებლის დაუღალავი შრომით და მეცადინეობით მიეცათ საშუალება შორეულ კავკავში ძალაუნებურად გადახვეწილ ჩვენი თანამოძმეების შვილებს შედარებით ნორმალურ პირობებში მიიღონ საჭირო სწავლა განათლება.

კავკავის ქართულ სკოლას ძალიან ახლოდ ვიცნობ. ამ სასწავლებლის დაარსებაში პირადად ჩვენ დიდ მონაწილეობას ვიღებდით, სასწავლებლის დაარსების დღიდანვე თვალყურს ვადევნებდი მის მოღვაწეობას, მის ყოველდღიურ საქმიანობას.

სკოლა ლუარსაბ ბოცვაძის თავდადებული მუშაობით ჩვენს თვალწინ გაიფურჩქნა, გაიზარდა და ამჟამად დიდ საქვეყნო საქმეს პირნათლად ემსახურება.

მართალია ზოგი ადგილობრივი მოღვაწე საკმარის დახმარებას ვერ უწევს ჩვენს სასიქადულო მასწავლებელს, მეტსაც ვიტყვით, კიდევაც ხელს უშლის, ასე ვთქვათ, ფარულად თუ აშკარად „უჩხიკინებს“, მაგრამ სკოლის კეთილისმყოფელთა მიერ გამხნევებული ლუარსაბ ბოცვაძე ძლიერ ნაკლებ ყუ-

რადღებას აქცევს ამ „ჩხიკინს“ და თავიდანვე აღებულ სწორ გეზს არ ღალატობს, თავის საქმეს პირნათლად ასრულებს.

ამიერიდან ჩვენი სასიქადულო მასწავლებელი კიდევაც რომ ჩამოშორდეს კავკავის სკოლას, კავკავში მცხოვრებ ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის ნორმალურად სწავლა-აღზრდის საქმეს საშიშროება არ მოელის.

ლუარსაბ ბოცვაძის მსგავსი თეორეტიკულად და პრაქტიკულად მომზადებული მასწავლებლები ამჟამად გვესაჭიროება ცენტრში, საცა ლივიცკებს, დიმიტრიევებს, ვოსტორგოვებს და მათ შეხმატკბილებულ კამპანიას იერიში მოაქვთ ჩვენი სახალხო სკოლების წინააღმდეგ.

ლუარსაბ ბოცვაძეს კალამი ემარჯვება, საკმარისი ცოდნაც შესწევს და მისი ტფილისში დატრიალება ჩვენ მტერმოყვრებს ხელფეხს შეუკრავდა და მათ ძალმომრეობას საზღვარს დაუდებდა. სამწუხაროდ ლუარსაბ ბოცვაძის ტფილისში ამჟამად გადმოყვანა არ ხერხდება. მაგრამ ჩვენ ცდას ამ მხრით არ დავაკლებთ და ამ თვალსაჩინო მასწავლებელს ტფილისში გადმოვიყვანთ.

იაკობ გოგებაშვილმა ეს თავისი დაპირება პირნათლად შეასრულა. ლუარსაბ ბოცვაძე 1906 წელს გადმოყვანილ იქნა ტფილისის ქართულ გიმნაზიაში, საცა იგი სიკვდილამდე ნაყოფიერად მოღვაწეობდა მასწავლებლის სახით.

ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ ერთ სხდომაზე, რომელზედაც თავმჯდომარეობდა საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი ნიკოლოზ ცხვედაძე, მორიგ საკითხთა შორის შეტანილი იყო სიტყვიერი მოხსენება გამგეობის წევრის იაკობ გოგებაშვილისა ქუთაისის ქართული გიმნაზიის რევიზიის დანიშვნის შესახებ.

კრებას გამგეობის ყველა წევრი დაესწრო. კრების თავმჯდომარემ პირველ საკითხად დააყენა მოხსენება ქუთაისის ქართული გიმნაზიის რევიზიის შესახებ და მოხსენებისათვის სიტყვა მიეცა იაკობ გოგებაშვილს.

გამგეობის წევრები მოუთმენლად მოელოდნენ შეეტყოთ, რა მოხდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში ისეთი რამ, რამაც იაკობ გოგებაშვილი აიძულა რევიზიის სასწრაფოდ დანიშვნა მოეთხოვა.

იაკობ გოგებაშვილმა ამ სხდომაზე ესეთი შინაარსის

სიტყვერი მოხსენება გააკეთა: „საზოგადოების სკოლები, ცხადია, სამაგალითოდ უნდა იყოს სწავლა აღზდის მარით [illegible]ებული, თუ გვინდა, რომ სასწავლო მთავრობა არ ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში და ერთ მშვენიერ დღეს ეს დ დი შრომითა და გაჭირვებით დაარსებული სკოლები არ ბიგვიკეტოს.

სასწავლო მთავრობა არ დაინდობს ჩვენს სასწავლებლებს, მოურიდებლად ხელებს დაუწყებს ფათურს სკოლების შინაურ ცხოვრებაში, ჩვენი საზოგადოების კანონიერ წესდებას ანგარიშს არ გაუწევს, ფეხ ქვეშ გათელავს, რასაც ეჭვი გარეშეა მეტად სამწუხარო შედეგები მოყვება.

ვინ მოსთვლის, რამდენი ენერგიის დახარჯვა დაგვჭირდება, რომ ძველი სენაკის სკოლაში შექმნილი სამწუხარო მდგომარეობა გამოგვესწორებინა.

ჩემის ცნობით ესეთივე მდგომარეობა შექმნილა ამჟამად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაშიაც. სწავლა აღზრდის საქმე მეტად ჩამოქვეითებულა. მოწაფეთა დისციპლინა დაცემულა. მოწაფეების თავაშვებულობა და უმართებულო საქცელი ქუთაისის მთელი საზოგადოების ყურადღებას იქცევს თურმე. სასწავლებლის გამგე და მასწავლებლები ერთმანეთს ასკდებიან, ერთი მეორესი არაფერი სწამთ და ნაცვლად შეთანხმებული მუშაობისა თავისი უმართებულო მოქმედებით სასწავლებელს ძირს უთხრიან და უფსკრულისაკენ მიაქანებენ თურმე.

მასწავლებელთა და გამგეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება და შუღლი დღითი დღე მწვავდება ხოლმე და საშიშ სახეს იღებსო.

სასწავლებლის ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტი ყურს არ იბერტყავს და სასწავლებლის საქმიანობაში სრულებით მონაწილეობას არ იღებსო.

ქუთაისი და მთელი ქუთაისის გუბერნია თვალის ჩინივით შეჰყურებს ჩვენს ქართულ გიმნაზიას და, თუ სწავლა აღზრდის საქმე ამ სასწავლებელში წესიერად არ იქნა მოწყობილი, ცხადია მთელი პასუხისმგებლობა ჩვენ საზოგადოებას დაეკისრება. კანონით სასწავლებლის გამგე პატრონი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაა, რომელიც ვალდებულია საჭირო შემთხვევებში გადამჭრელი ზომები მი-

იღოს, რომ სასწავლებელი თავის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენოს და სწავლა აღზრდის საქმე წესიერად მოაგვაროს.

ქუთაისის ქართულ გიმნაზიას რატომღაც ბედი არ წყალობს. ჯერ იყო და სიმონ ღოღობერიძემ თავისი დაუდევრობით და უმოქმედობით ერთგვარი დეზორგანიზაცია შეიტანა სასწავლებელში. ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებდით სიმონ ღოღობერიძეზედ, როცა მას სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე ვნიშნავდით.

კაცი, რომელსაც უმაღლესი განათლება მიუღია, საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაუმსახურებია, ვფიქრობდით სასწავლებელს ღირსეულად გაუძღვობოდა და სწავლა აღზრდის საქმეს კეთილად წარმართავდა.

სამწუხაროდ, სიმონ ღოღობერიძემ ეს ჩვენი იმედები ვერ გაამართლა. სასწავლებელი მისი გამგეობის დროს თითქმის დაინგრა და დაიშალა.

საქმის დროზე გასასწორებლად სიმონ ღოღობერიძის ნაცვლად მივიწვიეთ სასწავლებლის გამგედ შედარებით უფრო ახალგაზრდა პედაგოგი ალექსანდრე გარსევანიშვილი და მთლიანად დეზორგანიზებული სკოლა ჩავაბარეთ იმ სრულის რწმენით, რომ ეს გამოცდილი პედაგოგი სკოლაში აქტიურად დატრიალდებოდა და სწავლა აღზრდის საქმეს სასურველად მოაგვარებდა.

ჩვენ ძალიან კარგად გვაგონდება ის დახასიათება, რომელიც გამგეობის ერთერთმა წევრმა მოგვცა იმ სხდომაზე, რომელზედაც გამგეობამ ალექსანდრე გარსევანიშვილი ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგედ დანიშნა.

ჩვენ ამ ჟამად არ გვინდა ვისმეს უსაყვედუროთ ან ეჭვი შევიტანოთ იმ დახასიათებაში, რომელიც მოგვცა გამგეობის ამ წევრმა ალექსანდრე გარსევანიშვილის ადმინისტრატიული და პედაგოგიური ნიჭის შესახებ.

სამწუხაროდ, გარსევანიშვილმაც ვერ გაამართლა ჩვენი იმედები. გამგეობის მიერ წამოყენებულმა გამგემ სასწავლებელში კიდევ უარესი მდგომარეობა შექმნა თავისი დაუდევრობით და უმოქმედობით.

ამიტომ ვფიქრობთ დაუყოვნებლივ სასტიკი რევიზია უნდა დაინიშნოს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში და, თუ ის ფაქტები, რომლებიც ჩვენ ამჟამად ხელთა გვაქვს, დადას-

ტურდა, დაუყოვნებლივ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ, რათა სასწავლებელი გადავარჩინოთ მოსალოდნელ განსაცდელს.

ჩვენ რევიზიას რომ უფრო მეტი ნდობა და მნიშვნელობა ექნეს, საჭიროდ მიგვაჩნია სარევიზიო კომისიის წევრებათ ავირჩიოთ ორი წევრი გამგეობის მხრით და ორიც კიდევ ქუთაისის ადგილობრივ მოღვაწეთაგან.

პირადად ჩვენ სარევიზიო კომისიის წევრებად დავასახელებთ გამგეობის წევრს ივანე ზურაბიშვილს და ჩვენს მდივანს ალექსანდრე მიქაბერიძეს, ხოლო ქუთაისიდან კი ცნობილ პედაგოგს იოსებ ოცხელს და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეს და ჩვენს მწერლობაში კარგად ცნობილ პუბლიცისტს ალექსანდრე ნანეიშვილს".

იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვიერმა მოხსენებამ ქუთაისის ქართული გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ გამგეობის წევრებზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა.

კრებამ აზრის მცირედი გაცვლა გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიიღო იაკობ გოგებაშვილის წინადადება და დანიშნა ქუთაისის ქართული გიმნაზიის საპედაგოგიო და სამეურნეო ნაწილის ყოველმხრივი რევიზია. სარევიზიო კომისიის წევრებად იაკობ გოგებაშვილის წინადადების თანახმად გამგეობამ აირჩია ივანე ზურაბიშვილი, იოსებ ოცხელი, ალექსანდრე ნანეიშვილი და ალექსანდრე მიქაბერიძე.

გამგეობამ ეს დადგენილება მეორე დღესვე აცნობა ქუთაისში სასწავლებლის ადგილობრივ სამზრუნველო კომიტეტს სათანადო განკარგულების მოსახდენად. ივანე ზურაბიშვილს და მე წინადადება მოგვცეს, რაც შეიძლება, სასწრაფოთ შევდგომოდით დაკისრებულ მოვალეობის ასრულებას.

ერთი კვირიხ შემდეგ ივანე ზურაბიშვილი და მე დილის მატარებლით ქუთაისს გავემგზავრეთ. საღამოს 6 საათზე ჩვენ უკვე ქუთაისში ვიყავით. ბინა დავიჭირეთ სასტუმროში და რევიზიისათვის წინასწარ მზადების თავდარიგს შეუდექით.

საღამოს 7 საათზე ოცხელის ბინაზე შევიარეთ წინასწარ თათბირის მოსაწყობად. იოსებ ოცხელმა, როგორც კი ჩვენი სკრვილი შეიტყო. სასწრაფოდ კაცი აფრინა ალექსანდრე ნანეიშვილის მოსაწვევად.

ქუთაისი პატარა ქალაქია. ყოველივე ახალი ამბავი ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა აძ კერთხეულ ქალაქში.

ქუთაისის ქალთაშუა გიმნაზიის მასწავლებლებმა ერთბაშად გაიგეს ჩვენი ქუთაისში ჩასვლის ამბავი და ერთგვარად ამოძრავდნენ.

ჯერ კიდევ ალექსანდრე ნანეიშვილის მოღოდინში ვიყავით, როცა ოცხელის ბინაზე დიდის ბოდიშით შეჰღდის ქართულის გიმნაზიის ორი მასწავლებელი.

მასწავლებლების ასე დაუპატიჟებლად სტუმრობამ ცუდი წთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

მოგვიკითხეს. მოვიკითხეთ. შემდეგ კი საერთო ხასიათის ბაასი ჩამოვაგდეთ.

მასწავლებლებმა შეგვატყვეს, რომ ჩვენ სათათბიროდ ვემზადებოდით და ხელი რომ არ შეეშალათ, ერთმა მათგანმა ბოდიშის მოხდით განიზრახა სასწავლებლის შესახებ ზოგიერთი ცნობის მიცემა, თუ ამას ჩვენ მოვისურვებდით.

ჩვენ მადლობა გადაუხადეთ და ერთგვარის თავაზიანობით ვაგრძნობინეთ, რომ ჩვენ არ ვსაჭიროებთ სასწავლებლის გარეშე შეკრებილი მასალა გამოვიყენოთ რევიზიის მოხდენის დროს.

მასწავლებლებმა კიდევ ბოდიში მოიხადეს და სასწრაფოდ გაეოგვემშვიდობნენ.

ალექსანდრე ნანეიშვილი სადღაც ქალაქში გასულიყო და ჩვენ იმ საღამოს თათბირს არ დასწრებია. მიუხედავად ნანეიშვილის თათბირზე დაუსწრებლობისა ჩვენ სამივემ შევადგინეთ რევიზიის გეგმა და გადავწყვიტეთ რევიზიას მეორე დღესვე შევდგომოდით, დილის 9 საათზე.

იოსებ ოცხელი დაგვპირდა თათბირის გადაწყვეტილებას ალექსანდრე ნანეიშვილს ვაცნობებ და მასთან ერთად დილის 9 საათზე სასწავლებელში მოვალთ სარევიზიო კომისიაში მონაწილეობის მისაღებათო.

მართლაც, მეორე დილით ყველანი სასწავლებელში შევიკრიბენით და სასწავლებლის რევიზიას შეუდექით.

პირველად მოვისმინეთ გაკვეთილები მოსამზადებელ განყოფილებაში. ორი დღე მოვანდომეთ განყოფილებების რევიზიას. შევამოწმეთ ზეპირი და წერილობითი ცოდნა თვითეულ საგანში. ყოველდღიურად საღამოობით ვადგენდით

სათანადო ოქმს, რომელშიაც დაწვრილებით შეგვქონდა რევიზიის შედეგები.

პროგიმნაზიული კლასების რევიზიაც რამდენიმე დღეს გაგრძელდა, სასწავლებელში არ დარჩენილა არცერთი მასწავლებელი, რომლის გაკვეთილი არ მოგვესმინოს და სათანადოდ არ შეგვეფასებინოს.

მასწავლებლები საზოგადოდ ღელავდნენ, მეტისმეტად ნერვიულობდნენ, თვითეული ნაკლი სკოლის ცხოვრებაში მზეზე გამოჰქონდათ და მოუთმენლად მოელოდნენ რევიზიის შედეგს.

რევიზიის პროცესში გამოირკვა, რომ სასწავლებელში თუმცა მუშაობდნენ ისეთი დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებლები, როგორიც იყვნენ ხელთუფლიშვილის ქალი, ბარბარე ვოლსკაი, სილოვან ხუნდაძე, სერგო რობაქიძე, იასონ ნიკოლაიშვილი და სხვანი; მაგრამ ამ საუკეთესო მასწავლებლების ნაყოფიერი მუშაობა არ სჩანდა. თვითეული მასწავლებელი ისე აწესრიგებდა საქმეს, როგორც მოესურვებოდა, როგორც მას საქმის ვითარება ესმოდა.

სასწავლებლის გამგისა და სამზრუნველო კომიტეტის საერთო საქმიანობაში მონაწილეობა და მზრუნველობა სასწავლებელში არ არსებობდა.

ამ სამწუხარო მოვლენამ მოგვცა საფუძველი სკოლის რევიზიასთან დაკავშირებით სასწავლებლის ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტის საქმეებსაც გავცნობოდით.

სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე და კომიტეტის დანარჩენი წევრები თუმცა ადგილობრივი მასშტაბით თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეებად ითვლებოდნენ, მაგრამ სკოლაზე ნაკლებად, მეტსაც ვიტყვით, სრულებით არა ზრუნავდნენ; ეს უქნარი, უმოქმედო, ილაჯგაწყვეტილი სამზრუნველო კომიტეტი ნამდვილ უზრუნველობას იჩენდა და სასწავლებელს ოდნავაც ყურადღებას არ აქცევდა.

სასწავლებელი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში სამზრუნველო კომიტეტს არარას ეკითხებოდა და ეს უკანასკნელიც კი არაფერს ითხოვდა, თითქოს ესეთი დამოკიდებულება მიზანშეწონილი და ნორმალური ყოფილიყოს.

რევიზიის დამთავრებისას სასწავლებლის მდგომარეობის უფრო ნათელსაყოფად მოვიწვიეთ პედაგოგიური საბჭოს წევ-

რები და სკოლის ირგვლივ საერთო თათბირი გავმართეთ.

თათბირმა სარევიზიო კომისიის წევრებზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. კრების თავმჯდომარემ ივანე ზურაბიშვილმა სხდომაზე გამოსარკვევად დააყენა მთელი რიგი საპედაგოგიო და სამეურნეო ხასიათის საკითხები. ამ საკითხების გარშემო გამართულმა ახსნა განმარტებამ მეტად სამწუხარო ფაქტები გამოააშკარავა სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებიდან.

ერთ მხარეზე იდგა სასწავლებლის გამგე ალექსანდრე გარსევანიშვილი, რომელსაც ორი თუ სამი მასწავლებელი უჭერდა მხარს, ისიც მეტად ფრთხილად და გაუბედავად, და მეორე მხარეზე კი პედაგოგიური საბჭოს დანარჩენი წევრები.

გარსევანიშვილის მოწინააღმდეგე მასწავლებლები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ სასწავლებლის მართვა გამგებლობას, სწავლა აღზრდის იმ სისტემას, რომელსაც ცხოვრებაში ატარებდა სასწავლებლის გამგე.

ოპოზიციონერ მასწავლებლების მტკიცებით სასწავლებელში გამგის დაუდევრობით სრული ანარქიაა გამეფებული. მოწაფეების დისციპლინა თვალსაჩინოთ ჩამოქვეითდა, შეიძლება ითქვას მთლიანად დაეცა. სწავლა აღზრდის საქმე უწესრიგოდ მიმდინარეობს. მოწაფეები და ზოგჯერ მასწავლებლებიც არა საპატიო მიზეზების გამო ხშირად გაკვეთილებს აცდენენ. პედაგოგიური საბჭოს სხდომები ამა თუ იმ ზომის დასასახავად იშვიათად იმართება. სასწავლებლის სამეურნეო ნაწილი დეზორგანიზებულია. სად რა თანხა იხარჯება, საბჭოს წევრებმა არაფერი იციან. ხარჯების შემმოწმებელი სამეურნეო კომისიების წევრები ერთხელაც არ შეკრებილან, რომ გამოერკვიათ სასწავლებელზე რამდენად მიზანშეწონილად იხარჯება საზოგადოების მიერ გადადებული თანხები, მოსწავლეთა და მასწავლებლების ბიბლიოთეკები დღითი დღე ნიავდება და მათ შევსებაზე კაცი არ ზრუნავს და სხვა.

ალექსანდრე გარსევანიშვილი საბრალმდებო სკამზე იჯდა და მოთმინებით ისმენდა მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს. გამგის სასარგებლოდ პედაგოგიური საბჭოს არცერთ წევრს კრინტი არ დაუძრავს, ხმა არ ამოუღია იმის შესახებ, რომ შექმნილ მდგომარეობაში მარტოთი მარტო ალექსანდრე გარსევანიშვილს არ მიუძღოდა ბრალი.

სხდომის დასასრულს გარსევანიშვილმა სიტყვა მოითხოვა და შემდეგი განმარტება მოგვცა: „გეთანხმებით, სასწავლებელი თავის სიმაღლეზე ვერ სდგას. მაგრამ ამაში ბრალი მარტოდ მე არ მიმიძღვის. არავისათვის ამჟამად დაფარული არაა, რომ სასწავლებლის პედაგოგიურ პერსონალთა მთელი შემადგენლობა და სამზრუნველო კომიტეტის წევრები in corpore ჩემს გამგედ დანიშვნას მტრული თვალით შეხვდნენ. ნაცვლად დახმარებისა ყოველი ფეხის გადადგმაზე დაბრკოლებას მიქნიდნენ და ამ მეტად რთულსა და პასუხსაგებ საქმეში მრავლად ხელს მიშლიდენ. შეიძლება საჭირო იყო სასწავლებლის გამგედ რომელიმე ადგილობრივი მასწავლებელი მოეწვიათ, მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა და უეჭველია ამას თავისი მიზეზიც ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მეგობრული ხელი უნდა გამოეწვდინათ და ამრიგად შეთანხმებული ძალღონით სასწავლებლის კეთილდღეობაზე გვეზრუნა.

სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და ძნელი მოსახერხებელიც იყო. მართალია, სასწავლებელში მძიმე მდგომარეობაა შექმნილი, მაგრამ კიდევ ვიმეორებ ყოველივე ამაში ბრალი სასწავლებლის მასწავლებლებს და სამზრუნველო კომიტეტის წევრებს უფრო მეტი მიუძღვისთ, ვიდრე პირადად მე. მეტი რა უნდა მოგახსენოთ. ჩემი ეს მოკლე ახსნა განმარტება ყურადსაღებია და ამიტომ ვფიქრობ, სარევიზიო კომისიის წევრები საქმის ნამდვილ მდგომარეობას ყოველმხრივ გაითვალისწინებენ და ისე გამოიტანენ თავის პირუთვნელ მსჯავრს“.

გარსევანიშვილის უკანასკნელი სიტყვით სხდომა დამთავრდა. ყველანი მძიმე შთაბეჭდილებით დავიშალენით.

სარევიზიო კომისიის წევრები რამდენიმე დღე კიდევ დავრჩით ქუთაისში სარევიზიო მოხსენების შესადგენად, შეერთებული ძალებით შევადგინეთ მოხსენება, საცა დაწვრილებით წარმოდგენილი იყო სასწავლებლის მთელი სურათი, კომისიის წევრები ერთხმად ვიზიარებდით იმ აზრს, რომ სასწავლებელში სწავლა აღზრდის საქმე ცუდათაა დაყენებული, სასწავლებლის სამეურნეო ნაწილი დეზორგანიზებულია. კომისია გადაჭრით მოითხოვდა, რომ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას მიეღო სასწრაფო ზომები სასწავლებლის გამოსასწორებლად. კომისია თავის მხრით

წინადადებას იძლეოდა სასწავლებლის გამგე მოეხსნათ გამგის თანამდებობიდან და ახალი გამგე მოეწვიათ. ამ წინადადების მომხრენი იყვნენ კომისიის წევრები ივანე ზურაბიშვილი, იოსებ ოცხელი და ალექსანდრე ნანეიშვილი.

პირადად მე მიზანშეწონილად არ მიმაჩნდა ისეთი ზომის დაუყოვნებლივ ცხოვრებაში გატარება. ალექსანდრე გარსევანიშვილი მისი გამგედ დანიშვნის პირველ დღიდგანვე არანორმალურ პირობებში იყო ჩაყენებული. მასწავლებლები ერთგვარ საბოტაჟს ეწეოდნენ. სასწავლებლის სამზრუნველო კომიტეტი ალმაცერად უყურებდა გამგეობის მიერ თბილისიდან გამოგზავნილ ახალ გამგეს და სასწავლებელს ყურადღებას არ აქცევდა. გამგე შექმნილი პირობების გამო დღითი დღე ჰკარგავდა გავლენას სასწავლებელში. მასწავლებლები სარგებლობდნენ ამ გარემოებით და ყველგან, საცა კი ხელი მიუწვდებოდათ, დაუნდობელ აგიტაციას ეწეოდნენ გამგის წინააღმდეგ. სამზრუნველო კომიტეტის წევრები გულგრილად შესცქეროდნენ ამ ვაკხანალიას და თავის უმოქმედობით ერთგვარად ხელს უწყობდნენ მასწავლებელთა ასე უმართებულოდ ამხედრებას გამგის წინააღმდეგ.

ამ ფაქტების მიხედვით მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ სასწავლებლის ასე არევდარევაში ბრალი მიუძღვის არა მარტო ალექსანდრე გარსევანიშვილს, არამედ სასწავლებლის მასწავლებლებსა და სამზრუნველო კომიტეტის წევრებსაც. ამიტომ არ შემეძლო გამეზიარებინა ჩემი კოლეგების წინადადება და საერთო მოხსენებაში შევიტანე კორექტივი წერილობითი კერძო აზრის სახით და მოვითხოვდი ალექსანდრე გარსევანიშვილი დაეტოვებინათ თავის ადგილას და ამავე დროს საზოგადოების გამგეობას მიეღო გადამჭრელი ზომები სასწავლებელში ატმოსფეროს გასაჯანსაღებლად. თუ ალექსანდრე გარსევანიშვილი, როცა სასწავლებელში უკვე მშვიდობიანობა დამყარდებოდა, საჭირო პედაგოგიურსა და ადმინისტრატიულ ნიჭს ვერ გამოიჩენდა, მისი გამგის თანამდებობიდან მოხსნა სამართლიანი და მიზანშეწონილი იქნებოდა. აი ესეთი იყო ჩემი კერძო აზრის დაახლოებითი შინაარსი.

ივანე ზურაბიშვილისა და ჩემი თბილისში ჩამოსვლისთანავე დაინიშნა საზოგადოების გამგეობის საგანგებო სხდომა,

კრომელმაც მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება ქუთაისის ქართული გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ.

სარევიზიო კომისიის მოხსენებამ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა გამგეობის წევრებზე. გამგეობის წევრები თითქმის ყველანი იზიარებდნენ იოსებ ოცხელის, ივანე ზურაბიშვილის და ალექსანდრე ნანეიშვილის (აზრს ალ. გარსევანიშვილის) თანამდებობიდან დაუყოვნებლივ მოხსნის შესახებ. გამგეობის წევრების უმეტესობამ ჩემი კერძო აზრის მიღება სასწავლებელში იმჟამად გამეფებულ გამწვავებულ ბრძოლის პროცესში მიზანშეუწონლად მიიჩნია და უარყო.

იაკობ გოგებაშვილმა მხარი დაუჭირა გამგეობის უმრავლესობას და თავის მოსაზრება სადებატო საკითხის შესახებ ამრიგად დაასაბუთა: „ჩვენმა რევიზორებმა, როგორც ხედავთ საცნებით დაადასტურეს ის ფაქტები, რომელთა შესახებ ამას წინეთ მოგახსენეთ.

ყოველივე ეს მეტად სამწუხაროა, მაგრამ კიდევ უფრო სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში თავი უჩენია ერთგვარ სენს.

თუ ძველი სენაკის სკოლის მთელი ტრაგედია აღმოცენდა შირადი განხეთქილების ნიადაგზე გამგისა და მასწავლებელთა შორის, ამას თავი შემოევლებოდა და კიდევაც ასე მოხდა. სულ სხვა ნიადაგზეა წარმოშობილი გარსევანიშვილისა და მასწავლებელთ შორის ჩამოვარდნილი განხეთქილება ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. ამ განხეთქილებას სულ სხვა საფუძველი უძევს სარჩულად.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებლებმა ჩემის ცნობითაც გარსევანიშვილის დანიშვნის პირველ დღიდანვე მტრული განწყობილება დაიჭირეს ახლად დანიშნულ გამგესთან, ფარულად ბრძოლას აწარმოებდნენ გამგის წინააღმდეგ, უსულოდ, უგულოდ ასრულებდნენ ყოველივე მის განკარგულებას.

ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტიც გულგრილად შეჰყურებდა სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობას და ამ რიგად სწავლა აღზრდის საქმე სასწავლებელში დღითი დღე უარესდებოდა და აი, როგორც ხედავთ, ამ სამწუხარო შედეგებამდე მივაღწიეთ.

ჩვენ არ გვინდა ერთ წუთსაც ვიფიქროთ, რომ მასწავ-

ლებლობა მხოლოდ იმიტომ აუმხედრდა ბ-ნ გარსევანიშვილს, რომ იგი ქართლელია და არა იმერელი, ასე ვთქვათ კუთხური მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. ჩვენ რომ ასე ვფიქრობდეთ, ეს ხომ დიდი შეურაცხყოფა იქნებოდა ქუთაისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციისათვის. მასწავლებლობა ასეთი კუთხური მოსაზრებით ვერ ამოძრავდებოდა და დარწმუნებულიცა ვართ არც ამოძრავებულა.

ჩვენ გვჯერა და უდავოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ქუთაისის ქართულ გიმნაზიას არა ერთი და ორი ღირსეული მასწავლებელი მოეპოვებოდა, რომელიც მეტის ნდობით იქნებოდა აღჭურვილი მასწავლებლების მხრით და უფრო ნაყოფიერად, უფრო წარმატებით წაიყვანდა სასწავლებლის სწავლა აღზრდის საქმეს, ვიდრე ეს შესძლო ცენტრიდან დანიშნულმა ჩვენმა კანდიდატმა.

ჩვენის აზრით, გამგეობა დიდად შესცდა, როცა ადგილობრივ პადაგოგიურ ძალებს ანგარიში არ გაუწია და სასწავლებლის გამგედ სრულიად გარეშე პირი დანიშნა.

ბ-ნ გარსევანიშვილს რომ მეტი გამჭრიახობა გამოეჩინა, იგი ბოლოსდაბოლოს დაარწმუნებდა მასწავლებელთა კორპორაციის წევრებს დაეთმოთ თავის თავმოყვარეობა სასწავლებლის საკეთილდღეოდ და აქტიური საქმიანობის ფერხულში ჩაბმოდნენ.

თუ ყოველივე ამას ბ-ნი გარსევანიშვილი ვერ შესძლებდა, სკოლის საკეთილდღეოდ გამგის თანამდებობაზე ნებაყოფლობით უარი უნდა განეცხადებინა და სასწავლებლის მართვაგამგებლობა სხვა პირისათვის დაეთმო.

სამწუხაროდ, ბ-ნმა გარსევანიშვილმა ვერ გამოიყენა ვერც პირველი და ვერც მეორე საშუალება და ამრიგად ასე მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა.

ამჟამად შექმნილ მდგომარეობის გამოსასწორებლად, გამგეობა ვალდებულია გადამჭრელი ზომები მიიღოს. ამას მოითხოვს სასწავლებლის სასიცოცხლო ინტერესები.

პირადად ჩვენ დიდის სიამოვნებით დაუჭერდით მხარს ბ-ნი მიქაბერიძის კერძო მოსაზრებას, რომ სასწავლებელში დაგვემყარებინა ნორმალური პირობები და ბატონი გარსევანიშვილი ისევ გამგედ დაგვეტოვებინა. რასაკვირველია ეს მოსაზრება მიზანშეწონილია, იგი გამოწვეულია საქმისადმი

გულისხმიერი მიდგომით, მაგრამ სასწავლებელში ამჟამად შექმნილი მდგომარეობა საშუალებას არ გვაძლევს, ეს მოსაზრება ცხოვრებაში გავატაროთ, განვახორციელოთ. ათასი რომ ვეცადოთ, საქმეს ცენტრიდან ვერ გამოვასწორებთ, ბ-ნ გარსევანიშვილს ვერ შევუქმნით სასურველ პირობებს ნაყოფიერ მუშაობისათვის.

ჩვენის ღრმა რწმენით ამჟამად საჭიროა ავამოძრაოთ დოსტაქრის მჭრელი დანა და ბოლო მოუღოთ სასწავლებელში გამეფებულ ანარქიას.

ამიტომ წინადადება შემომაქვს: ბ-ნ ალექსანდრე გარსევანიშვილმა სასწავლებლის კეთილსაყოფად დასთმოს თავისი პირადი თავმოყვარეობა, გამგის თანამდებობაზე უარი განაცხადოს და ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში დარჩეს მასწავლებლად. ამასთანავე დაკავშირებით წინადადება მიეცეს სამზრუნველო კომიტეტს სასწრაფოდ წარმოგვიდგინოს სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე დასამტკიცებლად ადგილობრივად მოღვაწე რომელიმე გამოცდილი პედაგოგი, რომელიც შესძლებს ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწიოს სასწავლებელს“.

იაკობ გოგებაშვილის წინადადება გამგეობამ ერთხმად მიიღო.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის გამგედ დაინიშნა ქუთაისში კარგად ცნობილი ნიჭიერი პედაგოგი იოსებ ოცხელი.

ქუთაისის გუბერნიას, რომლის ერთერთ მაზრად სენაკის მაზრაც შედიოდა, ერთად ერთი სასწავლებელი მოეპოვებოდა, საცა ქართულ ენას და საქართველოს ისტორიას შედარებით საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ეს იყო ქართული სათავადაზნაურო სკოლა, ანუ როგორც იმჟამად ეძახოდნენ, „ბანკის სკოლა“. რადგან მოხსენებულ სასწავლებელს თავადაზნაურობა ქუთაისის საადგილმამულო ბანკის მოვებიდან ინახავდა, ამიტომ აღნიშნული სასწავლებელი „ბანკის სკოლად“ მონათლა ადგილობრივმა მოსახლეობამ.

ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ, ქუთაისის საზოგადო მოღვაწეებმა და მოწინავე ინტელიგენციამ მრავალ შრომა და ენერგია დახარჯეს, რომ მოხსენებული სასწავლებლის დაარსების უფლება მოეპოვათ.

დიდი ცდისა და ათასი დაბრკოლების შემდეგ ამიერკავ-

კასიის მთავრობამ ბოლოსდაბოლოს „კეთილინება“ და სასწავლებლის გახსნის უფლება მიანიჭა ქუთაისის თავადაზნაურობას.

1879 წლის ენკენისთვის პირველ რიცხვებში თავადაზნაურობამ ქუთაისში ორპირის ქუჩაზე, ექიმ ლორთქიფანიძის სახლებში, ოფიციალურად გახსნა მოსამზადებელი კლასები და სასწავლებლის გამგედ მოიწვია ქუთაისში კარგად ცნობილი პედაგოგი ალექსი ბესარიონის ძე ჭიჭინაძე.

სასწავლებლის საზეიმო გახსნას ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის მაზრების წარჩინებული ადამიანები დაესწრნენ.

ქუთაისის რუსის ბიუროკრატიის წარმომადგენლები და მათ შორის ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მაშინდელი დირექტორი ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი უეჭველია უკმაყოფილონი იყვნენ ქუთაისში ქართული ხასიათის მატარებელი სასწავლებლის დაარსებით, მაგრამ ოფიციალურად კრინტს როგორ დასძრავდნენ, თავის ბოროტ ზრახვებს როგორ გამოამჟღავნებდნენ, როცა უმაღლესმა მთავრობამ თავადაზნაურობას მოხსენებული ტიპის სასწავლებლის დაარსების უფლება მიანიჭა.

დირექტორი სტოიანოვი სასწავლებლის ოფიციალურად გახსნას დაესწრო და ამრიგად ვითომდა თავის სიმპატია და კეთილგანწყობილება გამოუცხადა სასწავლებლის დამაარსებლებს.

სტოიანოვმა სკოლის საზეიმო გახსნაზე სიტყვაც წარმოსთქვა. ამ თვითნება დირექტორმა ის აზრი გაატარა თავის ოფიციალურ სიტყვაში, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი ალბად შეეცდება მოწაფეები სათანადოდ მოამზადოს გიმნაზიაში შესასვლელად. ამ მხრით ეს ახალი სასწავლებელი, თუ ამ დანიშნულებას პირნათლად შეასრულებს, დიდ სამსახურს გაუწევს მშობლებს, რომელთა შვილები სრულიად ვერ მოემზადებიან გიმნაზიის კარებსო.

ახლად დაარსებული სასწავლებლის დანიშნულება სრულებით ის არ იყო, რასაც სტოიანოვი გულისხმობდა თავის ოფიციალურ სიტყვაში, მაგრამ მიუხედავად ამისა იგი თუ მაინც ესეთ დანიშნულებას ანიჭებდა ახლად დაარსებულ სასწავლებელს, ცხადია ამ დახელოვნებულ რუსის ბიუროკრატს ბოროტი განზრახვები ამოძრავებდა.

დამსწრე საზოგადოება კარგად ხედავდა სტოიანოვის ფარულ ზრახვებს, მაგრამ იმ დროის პირობების მიხედვით ყრინტს არ სძრავდა და საპროტესტოთ მოხერხებულ შემთხვევას მოელოდა.

ახლად დაარსებული სკოლა ალექსი ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით დღითი დღე იზრდებოდა. მოსწავლე ახალგაზრდობა ბეჯითად ეწაფებოდა სწავლას მშობლიური ენის საშუალებით.

ალექსი ჭიჭინაძემ გარს შემოიკრიბა საუკეთესო მასწავლებლები და მათთან შეთანხმებული შრომით გააჩაღა მუშაობა სასწავლებელში. სასწავლებელში ქართული სული ტრიალებდა. მოწაფეები წარმატებით სწავლობდნენ. მშობლები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდნენ მოწაფეების სწავლაში წარმატებით და სასწავლებელს ნივთიერსა და მორალურ დახმარებას არ აკლებდნენ. სასწავლებელში ეყრებოდა მტკიცე საძირკველი ქართულ ეროვნულ საქმეს.

სენაკის მაზრის მოსახლეობას სიშორისა და სიღარიბის გამო მეტად ეძნელებოდათ შვილების ქუთაისში ჩამოყვანა და მთელი წლობით შედარებით შორეულ ქალაქში შენახვა და მოვლა-პატრონობა.

მომწიფდა ის აზრი, რომ ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელი განყოფილებები პარალელური კლასების სახით სენაკში გადაეტანათ და მშობლებისათვის დაეახლოვებინათ.

ამ აზრის ცხოვრებაში განხორციელება თავს იდვა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, რომლის გამგეგბლობაში სხვადასხვა საპატიო მიზეზების გამო თავის დროზე გადავიდა ქუთაისის სათავადაზნაურო სკოლის მოსამზადებელი განყოფილებები.

საზოგადოების გამგეობის წევრმა იაკობ გოგებაშვილმა მხარი დაუჭირა სენაკის მაზრის მოსახლეობის შუამდგომლობას ქუთაისის ქართული სკოლის პარალელური განყოფილებების სენაკის მაზრაში გადატანის საკითხს და კიდეცაც მიზანს მიაღწია.

მართლაც, ქუთაისის ქართული სკოლის პარალელური განყოფილებები გადატანილ იქნა სენაკის მაზრაში და გაიხსნა (...) ადგილას ძველ სენაკში.

ადგილობრივი საზოგადოება მეტად კმაყოფილი დარჩა სასწავლებლის ძველ სენაკში გადმოტანით. მთელი სენაკის მაზრა ამოძრავდა სკოლის ირგვლივ. ნივთიერსა და მორალურ დახმარებას არ აკლებდა სასწავლებელს.

სკოლამ შეიძინა საეზოვე მიწა და ააგო საკუთარი შენობა. დაარსდა ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტი, რომელშიაც წევრებად შედიოდნენ სკოლის გულშემატკივარი პირები.

სკოლის გამგე სამსონ ყიფიანი და მასწავლებლები ენერგიულად ჩაებნენ საქმიანობაში და თავისი უანგარო შრომით ხელს უწყობდნენ სასწავლებლის კეთილდღეობის საქმეს. სწავლა აღზრდის მხრით სკოლა დიდ წარმატებას იჩენდა. სკოლის სამეურნეო ნაწილიც სასურველად მოეწყო.

სასწავლებლის ფართო ეზოს ნაწილში გაშენდა ხეხილის ბაღი და ბოსტანი, საცა მთელ მუშაობას მასწავლებლების უშუალო ხელმძღვანელობით მოწაფეები ეწეოდნენ დიდის ხალისით.

მოკლე ხნის განმავლობაში სკოლამ თავისი ნაყოფიერი მუშაობით ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

სამწუხაროდ, სასწავლებელში მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო, რასაც არავინ მოელოდა.

მასწავლებელთა და სკოლის გამგეს შორის ჩამოვარდა დიდი განხეთქილება. დაირღვა სასწავლებელში ის მყუდროება, ის შეთანხმებული ინტენსიური მუშაობა, რომლითაც ერთხანს ასერიგად ამაყობდნენ მასწავლებლები და სკოლის გამგე სამსონ ყიფიანი.

მასწავლებელთა და გამგეს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება ისე გამწვავდა, რომ სასწავლებელში ნორმალურად მეცადინეობა ყოვლად შეუძლებელი ხდებოდა.

მასწავლებლები არ უარყოფდნენ, რომ გამგე სამსონ ყიფიანი გამოცდილი პედაგოგია, განათლებული კაცია, საჭირო ცოდნაც შესწევს, მაგრამ როგორც ადამიანი თავის სიმაღლეზე არა სდგას. გაზვიადებული თავმოყვარეობა, უხასიათობა, ჟინიანობა, უსამართლოების წარბშეუხრელად მომხრეობა — აი, ის უარყოფითი თვისებები, რომლებიც, მასწავლებლების აზრით, სამსონ ყიფიანის ნიშნობლივ თვისებებს შეადგენდა.

ყოველივე ამას მასწავლებლები კიდევ შეურიგდებოდნენ, რომ სამსონ ყიფიანს სასწავლებელი გარყვნილების ბუდეთ არ გადაექცია, ნამდვილი ამ სამარცხვინო სიტყვის მნიშვნელობით, სამსონ ყიფიანს თავისი უშგზავსო საქციელით გარყვნილება შეაქვს სასწავლებელში და დღითი დღე საძირკველს უთხრის ამ საშვილიშვილო საქმეს.

მასწავლებლები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ სამსონ ყიფიანმა ახალგაზრდა, ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელი, მასწავლებელი ქალი ქავთარაძე იმდენად მოხიბლა ათასგვარი დაპირებებით, ინტიმური კავშირიც კი დაიკავა ამ მასწავლებელ ქალთან. ამ კავშირს ყველანი აშკარად ამჩნევდნენ.

სამსონ ყიფიანის სისაძაგლე, გარყვნილება სკოლის კედლებ შორის ხდებოდა, სამასწავლებლო ოთახში, რის მოწმენიც არაერთხელ როგორც მასწავლებლები, ისე მოწაფეები ყოფილან.

ყოველივე ეს მასწავლებლის მტკიცებით გარყვნილებაა, რომელსაც სასწავლებელში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამიტომ ამ გარყვნილების შემომტანი სასწავლებელს დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს და სკოლის მართვა გამგებლობა ღირსეულ ხელმძღვანელს ჩაბარდეს. თუ სასწავლებლის პატრონები ამ ზომას არ მიმართავენ, მასწავლებლები მთელ პასუხისმგებლობას თავიდან იხსნიანო.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ, როგორც კი შეიტყო ეს ამბავი, დაუყოვნებლივ საგანგებო რევიზია დანიშნა სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობის გამოსარკვევად.

გამგეობის მიერ დანიშნულმა ამ პირველმა რევიზიამ მიზანს ვერ მიაღწია. სასწავლებელში ისეთი გამწვავებული მდგომარეობა არსებობდა, ძნელი გამოსარკვევი შეიქმნა, ვინ იყო მართალი და მტყუანი.

გამგეობამ ხელმეორედ დანიშნა გამოძიება და სარევიზიო კომისიაში ამჟამად უფრო გავლენიანი პირები მოხვდნენ.

ამ მეორედ დანიშნულმა რევიზიამ ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ გამოიტანა დასკვნა, რომ სასწავლებელში ამჟამად არსებული გამწვავებული მდგომარეობა მასწავლებლების მიერაა ხელოვნურად შექმნილი. სამსონ ყიფიანის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები არ დადასტურდა. სამსონ ყიფი-

ანი მასწავლებლების უდანაშაულო მსხვერპლია და ამიტომ იგი თავის ადგილას უნდა დარჩეს.

საზოგადოების გამგეობამ ამ რევიზიის მიხედვით სამსონ ყიფიანი ისევ ძველ სენაკში დასტოვა სასწავლებლის გამგის თანამდებობაზე, ხოლო მასწავლებლები კი უმართებულო აგიტაციის გაწევისათვის სხვა და სხვა სასწავლებლებში გადაიყვანა მასწავლებლის თანამდებობაზე.

გამგეობის ასეთმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სასწავლებლის ახლოდ მდგომ პირთა შორის. საზოგადოებრივი აზრი ამოძრავდა. ყველანი გამგეობის მოხსენებულ დადგენილებას შეუფერებლად სთვლიდნენ.

საზოგადოებრივმა აზრმა გავლენა იქონია გამგეობის წევრებზე. სულ მოკლე ხნის განმავლობაში სამსონ ყიფიანი მოხსნეს თავის თანამდებობიდან ძველ სენაკში და ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში გადაიყვანეს მასწავლებლის თანამდებობაზე.

ძველი სენაკის სკოლის გამგედ მოიწვიეს ნიჭიერი პედაგოგი, ლიტერატურაში შუბნელის პსევდონიმით ცნობილი პუბლიცისტი, არსენ წითლიძე, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისს შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას. ნაცვლად გადაყვანილ მასწავლებლებისა საზოგადოების გამგეობამ მოიწვია მასწავლებელთა ახალი შემადგენლობა.

სასწავლებელში სწავლა გაჩაღდა. ახალი გამგე და ახლად დანიშნული მასწავლებლები ენერგიულად შეუდგნენ საქმიანობას. მოწაფეებმა იგვრძნეს, რომ სასწავლებელში სულ სხვა სიომ დაბერა და ბეჯითად შეუდგნენ სწავლას. სასკოლო დისციპლინა საგრძნობლად განმტკიცდა, მოწაფეები სწავლაში უფრო და უფრო მეტ წარმატებას იჩენდნენ. სასწავლებელმა ერთიანად ფერი იცვალა. ყველგან და ყველაფერში წესრიგი ჩამოვარდა.

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სწავლა ინტენსიური ტემპით მიმდინარეობდა. მოწაფეების მშობლები დიდ სიხარულს გამოსთქვამდნენ სასწავლებლის ასერიგად გამოჯანსაღების გამო.

საზოგადოების გამგეობასაც მოდიოდა ცნობები სკოლის ნაყოფიერად მაცადინეობის შესახებ, რაიცა მას მეტად ახარებდა, განსაკუთრებით იმ ტრაგედიის შემდეგ, რომელიც სასწავლებელში დატრიალდა სამსონ ყიფიანის გამგედ ყოფნის დროს.

უკვე ზაფხულმა მოაღწია. სასწავლო წლის დასასრული ახლოვდებოდა.

წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ იაკობ გოგებაშვილის წინადადებით ძველი სენაკის და ბათუმის სკოლის რევიზიის მოხდენა დანიშნა. გამგეობამ სარევიზიო კომისიის წევრებად მე და იაკობ გოგებაშვილი აგვირჩია. სანამ სარევიზიოდ გავემგზავრებოდით, იაკობ გოგებაშვილმა მთხოვა მის ბინაზე შემეარა და მომავალი რევიზიის შესახებ მოგველაპარაკა, გეგმა შეგვედგინა.

დანიშნულ დროს გოგებაშვილის ბინაზე შევიარე. იაკობი სადამოს ჩაის შეექცეოდა და თან „ბუნების კარი“ გადაეშალა და რომელიღაც სტატიას კითხულობდა. იაკობმა ჩაიზე მიმიპატიჟა და უმალვე ლაპარაკი ჩამომიგდო გამგეობის მიერ ძველ სენაკსა და ბათუმის სკოლებში დანიშნულ რევიზიის შესახებ. იაკობმა ამ მოლაპარაკების დროს სხვათა შორის მითხრა: „დიდი ხანია, რაც მე სკოლებში სარევიზიოდ არ გყოფილვარ. მინდა ამ ჩვენს რევიზიას მომზადებული შევხვდე. უფროს განყოფილებებში სასწავლო საგნები უფრო რთულია და ამიტომ მინდა ზოგიერთი საქმიანი სტატიები გადავათვალიერო „ბუნების კარში“. შესაძლებელია ბევრი რამ დამავიწყდა. ვშიშობ მოწაფეების წინაშე უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავდგე. შემჩნეულია, ნივთი, რომელსაც ადამიანი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ხმარობს, ძველდება, თავის პირვანდელ სახეს და ხარისხს ჰკარგავს. თუ გინდა რომ ეს ნივთი კიდევ გაიხმარო, საჭიროა მისი აუცილებლად შეკეთება, რესტავრირება. ადამიანის ბუნებაც ასეა მოწყობილი. დროთა განმავლობაში ადამიანი ადვილად ივიწყებს სიჭაბუკეში შეძენილ ცოდნას. საჭიროა სისტემატიური ვარჯიშობა, რომ ეს ცოდნა შენს მეხსიერებაში განამტკიცო, აღადგინო სრულის მოცულობით და ხარისხიანობით. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, რომ „ბუნების კარს“, თუმცა იგი ჩემი შედგენილია, ხელ მეორედ ვათვალიერებ და შიგა და შიგა გაბნეულ ცნობებს ვიმეორებ და ვითვალისწინებ. თუ თქვენც გაიზიარებთ ამ ჩემს მოსაზრებას, იმ შემთხვევაში გთხოვდით თქვენაც შეემზადოთ მომავალ რევიზიისათვის, რათა პირნათლად შეასრულოთ ის ბასუხისსაგები დავალება, რომელიც გამგეობამ ორთავეს დაგვაკისრა. ამ საღამოს მიტომ შეგაწუ-

ხეთ, რომ საჭიროდ მიმაჩნია მომავალი ჩვენი რევიზიის წინასწარი პატარა გეგმა მოვისაზროთ. მე ვგონებ სჯობს ასე შევთანხმდეთ, სასწავლო ნაწილის რევიზიას ძირითადად მე ვიკისრებ, თქვენ კი სასწავლებლის სამეურნეო ნაწილი შეამოწმეთ. სასწავლო ნაწილის შემოწმების დროს გაკვეთილებზე ყოველთვის თქვენც უნდა დაესწროთ, რათა ორივემ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ სასწავლებლის ღირსება ნაკლოვანებაზე, რევიზიის პროცესში თქვენაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოთ სასწავლო საგნების გამოკითხვის დროს. მოწაფეების წერითი სამუშაოები თქვენ უნდა შეამოწმოთ, ხოლო შიგა და შიგ მეც დაგეხმარებით. აი ასე მაქვს წარმოდგენილი ჩვენი რევიზიის დაახლოებითი გეგმა. რევიზიის პროცესში, რასაკვირველია, შესაძლებელია ეს ჩვენ მიერ შემუშავებული გეგმა ნაწილობრივ შეიცვალოს, მაგრამ ეს ჩვენ მიერ დასახულ მიზანს ხელს არ შეუშლის. რევიზიის მოხსენებული წესი ბათუმის სკოლაშიაც დავიცვათ. მაშ, თუ თქვენ ამ ჩემი წინადადების საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, მოემზადეთ წასასვლელად და ამ დღეებში გავემგზავროთ ჯერ ძველ სენაკში და, როცა იქ სკოლის რევიზიას მოვრჩებით, შემდეგ ბათუმის სკოლას ვესტუმროთ".

მე სრული თანხმობა გამოუცხადე იაკობს და აღუთქვი ზვალიდანვე შეუდგები სათანადო მზადებას მეთქი.

უკვე საღამოს 10 საათი იყო. იაკობს საზოგადოდ ჩვეულება ჰქონდა საღამოობით, თუ კარგი ამინდი იქნებოდა, ძილის წინ სასეირნოთ ქალაქში გამოსულიყო. ამ საღამოსაც იაკობი ჩემთან ერთად გამოვიდა ბინიდან და სასეირნოდ ნაჩვევ ქუჩებისაკენ გაემართა, მე კი ჩემს ბინაზე დავბრუნდი.

ორი თუ სამი დღის შემდეგ მე და იაკობ გოგებაშვილი ძველი სენაკისაკენ მატარებლით გავემგზავრეთ.

ტფილისიდან დაწყებული ახალსენაკამდე იაკობს სიტყვა არ დაუძრავს, ეშინოდა, ყელი გამიცივდებაო. ორ ადგილიან კუპეში, საცა ჩვენ ვისხედით, ფანჯრები ერთიანად მიმახურვინა. მართალია აუტანელად ცხელოდა, მაგრამ იაკობის მორიდებით სიტყვას როგორ გავბედავდი.

დილის 9 საათზე უკვე ახალ სენაკში ვიყავით. საუცხოვო დილა გათენდა. მზე დედამიწას ნათელ სხივებს ჰფენდა და მთელ არემარეს ტკბილად ეალერსებოდა. ახალ სენაკის მახ-

ლობელ ტყეებიდან ჩიტების სამური ჭიკჭიკი მოისმოდა. ყველაფერი ირგვლივ ხარობდა. ხალხი სადგურზე და თვით ქალაქში ფეხად ავსებულიყო. ყველანი მზის უხვი და ნათელი სხივებით მოხიბლულნი ბუნების წარმტაც სიდიადეს შეტრფოდნენ და შეხაროდნენ.

იაკობი გამხიარულდა, ამეტყველდა. დიდი ხანია ესეთი სიამოვნება არ მიგვრძნიაო, გაბრწყინებული სახის გამომეტყველებით გაიძახოდა ხოლმე.

დაუყოვნებლივ ეტლი დავიქირავეთ და ძველი სენაკისაკენ, რომელიც ახალ სენაკიდან ექვსი კილომეტრითაა დაშორებული, დილის $9^1/_2$ საათზე მხიარულად გავემგზავრეთ.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ სასწავლებლის ეზოს ალაყაფის კარებთან ეტლი გავაჩერეთ, მოწაფეები დასასვენებლად ეზოში გამოფენილიყვნენ და თავისი ჟივილ ხივილით სიხარული და სიცოცხლე შეჰქონდათ მთელს იმ არემარეში. სასწავლებლის გამგე და მასწავლებლები საერთო ფერხულში ჩაბმოდნენ და მოწაფეების მხიარულად გართობას ხელს უწყობდნენ.

სასწავლებლის გამგე არსენ წითლიძე, როგორც კი დაგვინახა, დაუყოვნებლივ ეზოს კარებთან შემოგვეგება, თავაზიანად მოგვესალმა და სასწავლებლისაკენ მიგვიპატიჟა.

მასწავლებლები გავიცანით. მოწაფეებს საერთო სალამი მივეცით და გამგის თანხლებით სამასწავლებლო ოთახისაკენ გავემართენით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ზარის ხმა გაისმა, მასწავლებლები და მოწაფეები კლასებში შევიდნენ. გაკვეთილები დაიწყო.

იაკობმა ქართული ენის გაკვეთილზე დასწრება მოისურვა.

იაკობი, არსენ წითლიძე და მე შევედით მეორე განყოფილებაში, რომელშიაც ქართულ ენას ასწავლიდა მასწავლებელი პოლიკარპე ლორთქიფანიძე.

იაკობს მოსწავლეებმა სკამი შესთავაზეს, მაგრამ მან დაჯდომა არ მოისურვა. მთელი 40 წუთის განმავლობაში იაკობი მერხებს შორის დაიარებოდა. საკლასო დისციპლინას უკვირდებოდა და მოწაფეთა პასუხს დიდის ყურადღებით ისმენდა.

მასწავლებელი ღელავდა. ეს მღელვარება მოწაფეებსაც გადაედვა. მასწავლებლის მიერ დაყენებული კითხვები და

მოწაფეთა პასუხები უეჭველია ამ აღელვების ზეგავლენით ზოგჯერ მართებულად ვერ იყო მოფიქრებული და ამიტომ ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებდნენ მსმენელზე.

იაკობის ფხიზელ თვალს ეს გარემოება არ გამოეპარა და იგი დაუყოვნებლივ გაკვეთილის მსვლელობაში ჩაერია.

მხცოვანი პედაგოგის მიერ მოხერხებულად დაყენებულმა კითხვებმა და მოწაფეების დალაგებით მოცემულმა პასუხებმა ერთბაშად შეცვალეს კლასში შექმნილი დაძაბული მდგომარეობა.

იაკობი თვითეული სიტყვის მკაფიოდ გამოთქმას, ზუსტად განმარტებას მოითხოვდა და მოწაფეებიც კმასაყოფელად ასრულებდნენ ამ მოთხოვნას.

იაკობმა ამ მოთხრობის შინაარსი, რომელიც მოწაფეებს უნდა დაემუშავებიათ გაკვეთილზე, მოხერხებული კითხვების დაყენებით მთლიანად ამოწურა.

როცა მოწაფეებმა მოთხრობის შინაარსი ამრიგად შეითვისეს, იაკობმა მოწაფეებს მოსთხოვა დალაგებით, თანამიმდევრობით გადმოეცათ მოთხრობის მთელი შინაარსი.

მოთხრობის შინაარსის დადგენის დროს იაკობი მოითხოვდა მოწაფეებს მოეგონებინათ ის ანდაზები, რომელიც შეესაბამებოდა მოთხრობის შინაარსს.

გაკვეთილის მეორე ნახევარი, თავისთავად ცხადია, უფრო ნაყოფიერად, უფრო ხალისიანად ჩატარდა. მოწაფეები ისე გაიტაცა იაკობის დიდის ოსტატობით ჩატარებულმა გაკვეთილმა, რომ ზარის ხმამაც ვერ მოსწყვიტა ისინი მერხებიდან.

ქართული ენის გაკვეთილები რევიზიის პირველ დღეს იაკობის სურვილის თანახმად მესამე და მეოთხე განყოფილებებშიაც მოვისმინეთ. ამ განყოფილებებშიაც ქართულ ენას პოლიკარპე ლორთქიფანიძე ასწავლიდა.

ჩვენი მხცოვანი პედაგოგი თვითეული განყოფილების რევიზიის დროს თავის ნაჩვევ მოწაფეთა გამოკითხვის ხერხებს, მეთოდს არ ღალატობდა და ერთხელ აღებულ გეზს გაკვეთილის შინაარსის შესაბამისად განუხრელად ატარებდა.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში გაკვეთილების გამოკითხვის დროს პოლიკარპე ლორთქიფანიძემ თავი დააღწია რევიზორების ჩამოსვლით გამოწვეულ აღელვებას და ქართუ-

ლი ენის გაკვეთილებს უფრო დამშვიდებულად, უფრო ნორ-
ბალურ პირობებში ატარებდა.

დამთავრდა სასწავლებელში გაკვეთილები და ჩვენაც და-
ვამთავრეთ პირველი დღის ჩვენი რევიზია.

არსენ წითლიძემ ოჯახში მიგვიპატიჟა. ბინად ერთი მოზრ-
დილი ოთახი დაგვითმო მისთვის განკუთვნილ ორსართულიან
სახლში.

საზოგადოდ მიღებულია, რომ რევიზორები რევიზიის
მოხდენის დროს ერიდებიან რაიმე სამსახური გააწევინონ იმ
პირთ, რომელთაც რევიზიას უკეთებენ ყოველგვარ მითქმა-
მოთქმის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენ თუ ასე არ მოვიქეცით და სადმე გარეშედ არ და-
ბინავდით, ამას თავისი გასამართლებელი საბუთი ჰქონდა.

ძველი სენაკი შედარებით პატარა სოფელია, საცა მცხოვ-
რებლები ძალიან ვიწროდ არიან გამართული თავის კარ-მიდა-
მოში და უცხო პირის შეხიზნებას, თუნდაც რამდენიმე დღით,
საზოგადოდ ერიდებიან.

ამ პირობებში ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ არსენ წითლი-
ძის მიპატიჟება და ჩვენის ჩემოდნებით გადავსახლდით სას-
წავლებლის გამგის ბინაზე.

არსენ წითლიძემ გაგვაცნო თავისი ოჯახობა ანუ, სხვაწა-
ირად რომ ვსთქვათ, თავისი მეუღლე, რომელიც ხალისიანად
შემოგვეგება და დიდის პატივისცემით სახლში მიგვიწვია.

სრულ სამ საათზე სტუმართმოყვარე დიასახლისმა სუფრა
გაგვიშალა და სადილად მიგვიპატიჟა. სასადილო მაგიდას
იმერული საჭმელები ამშვენებდა. ცხელი ჭადები, ცხელცხე-
ლი ხაჭაპურები, გადაზელილი სულგუნები, პიტნით შეზავე-
ბული ჭყინტი ყველი, ძმრითა და ნიგვზით შეკაზმული წით-
ელი ფხალი და მრავალი კიდევ სხვა ნუგბარი საჭმელები კაცს
თვალს სჭრიდნენ და მადას უღვიძებდნენ.

იაკობმა, როცა სასადილო მაგიდას გარს შემოუსხედით,
სასადილო მაგიდას თვალი შემოავლო და არსენ წითლიძეს
ღიმილით შენიშნა: „ბატონო არსენ! თქვენ რომ კარგი პედა-
გოგი ხართ, დიდი ხანია რაც ვიცოდი, მაგრამ ის კი არ ვიცო-
დი, თუ თქვენ ისეთი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი მე-
უღლე გყავდათ, რომლისათვის განგებას დიასახლისის ღვწა-
დენი ნიჭი და უნარი მიუმადლებია. თქვენი დღევანდელი

სუფრა ლუკულის სახელგანთქმულ სუფრას მაგონებს. ეს მეტისმეტი გინებებიათ. ბ-ნი ალექსანდრეს რა მოგახსენოთ და პირადად ჩვენ ნაკლებად ვეტანებით საჭმელს, სჩანს მოვხუცდით და მადა არ შეგვწევს.

მაგრამ თუ დღეს ამ ჩემს ტრადიციულ ჩვეულებას ვუღალატებთ, მიზეზი ჩვენი სტუმართმოყვარე დიასახლისი იქნება, რომლის მადლიან ხელს ასერიგად დაუმშვენებია ეს ჩვენი სუფრა.

დიასახლისს შერცხვა იაკობ გოგებაშვილის მიერ მოძღვნილი ქათინაურების და პირზე ერთიანად სიწითლემ გადაკრა.

ყველანი მადიანად დავეწაფენით ნუგბარ ნუგბარ საჭმელებს. იაკობს განსაკუთრებით ცხელი ჭადი და გადაზელილი სულგუნი მოეწონა და წამდაუწუმ გაიძახოდა: „საუცხოოა! საუცხოოა!“ და მადიანად შეექცეოდა.

სტუმართმოყვარე მასპინძლები სიამოვნებით შეჰყურებდნენ ჩვენს მხცოვანს პედაგოგს, რომელიც ასერიგად გამხიარულდა სუფრაზე, და უეჭველია ჰფიქრობდნენ, ალბათ ბ-ნ იაკობს იმერულმა საჭმელებმა გაუღვიძეს მადა, რომელსაც იგი ამ რამდენიმე წუთის წინეთ ასერიგად უჩიოდაო.

ღვინოს იაკობი ნაკლებად ეტანებოდა. მთელი სადილის განმავლობაში ორი თუ სამი ჭიქა ღვინო დალია, ისიც წყალნარევი.

სადილი მხიარულად ჩავატარეთ. ჩვენც კმაყოფილი დავრჩით და უფრო მეტად ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლები.

ნასადილევს იაკობმა ორი საათი მოისვენა და საღამოს ჟამს ძველი სენაკის მიდამოების დათვალიერება მოისურვა.

სანამ იაკობი სოფლად გასასვლელად თადარიგს იჭერდა, არსენ წითლიძის ბინაზე შემოიარა სასწავლებლის ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტის თავმჯდომარემ გამსახურდიამ, რომელსაც იაკობის ჩამოსვლა გაეგო და მის გასაცნობად შემოიარა არსენ წითლიძის ბინაზე.

გამსახურდია მეტად ენაწყლიანი, შეიძლება ითქვას, მჭერმეტყველი კაცი იყო და პირველ შეხვედრისთანავე იმერულად მოიქნია კუდი და იაკობს მრავალი ქათინაურები შესთავაზა.

„დიდად მოხარული ვართ“, ასე დაიწყო თავისი მისასალმებელი სიტყვა ბ-ნმა გამსახურდიამ: „რომ თქვენის ჩამოს-

ვლით და ჩვენი ყველასაგან დავიწყებული ძველი სენაკი გაბედნიერეთ. დიახ, ძველი სენაკი დღეს ბედნიერია, რომ იგი პირისპირ ხედავს საქართველოს უდიდეს საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს მხცოვან პედაგოგს, რომელმაც მთელ ქართველობას თვალი აუხილა და მშობლიურ ნიადაგზე სწავლის სიყვარული გულში მაგრად ჩაუნერგა. დიახ, ძველი სენაკი პირისპირ ხედავს საქართველოს ჭეშმარიტ პესტალოცს, რომლის მადლიანი მარჯვენა ჩვენ მოსწავლე ახალგაზრდობას მუდამ მზრუნველობას უწევს და მტრის მოსეულ იერიშებს „ხმალ ამოღებული“ იგერიებს.

ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლა თქვენის ინიციატივით, თქვენის დახმარებით გადმოტანილია ჩვენს მივარდნილ სოფელში. თქვენ დიდი შრომისა და ენერგიის დახარჯვა მოგიხდათ, რომ სკოლა ღარიბ მოწაფეთა მშობლებისათვის დაგეახლოვებინათ. ვის შემოუბრუნდება ენა, რომ ეს დიდი საქვეყნო საქმე არ იყოს.

ვწუხვართ, სულითა და გულით ვიტანჯებით, რომ თქვენმა ნაამაგდარებმა სკოლამ პირველ ხანებში დაგაღონათ, მწარე საგონებელს მიგცათ, მაგრამ უიმედობას მაინც არ შეუპყრიხართ.

ეს დიდი ტრაგედია, რომელიც სამსონ ყიფიანისა და მასწავლებლების უთანხმოების ნიადაგზე აღმოცენდა, თქვენის წყალობით და მაცადინეობით უკვე არქივს ჩაბარდა. სამსონ ყიფიანი და ის მასწავლებლები, რომლებმაც ასეთი საშინელება დაატრიალეს ძველი სენაკის სკოლაში, თქვენის მაცადინეობით სასწავლებელს უმტკივნეულოდ ჩამოშორდნენ.

ამჟამად სასწავლებლის მართვა-გამგებლობა არსენ წითლიძის სახით საიმედო პირს ჩაბარდა.

მწამს, რომ თქვენის ძველ სენაკში ჩამოსვლით ჩვენი სკოლა ბედნიერია და კიდევ უფრო გაბედნიერდება. მხურვალეთ მოგესალმებით სკოლის სამზრუნველო კომიტეტისა და მოწაფეთა მშობლების სახელით და გულწრფელად გისურვებთ ჯერ კიდევ ხანგრძლივ მოღვაწეობას ჩვენი შვილებისა და შვილიშვილების საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ. ვაშა ჩვენს მხცოვან პედაგოგს, მთელი საქართველოს ღირსეულსა და საამაყო შვილს, ჩვენს დიდებულ საზოგადო მოღვაწეს, ჩვენს საყვარელ იაკობ გოგებაშვილს!“

ამ პათეთიური სიტყვის წარმოთქმის დროს იაკობ გოგებაშვილი ოფლში იწურებოდა და დარცხვენით თავს ზემოდ ვერ იღებდა.

მცირედი ბაასის შემდეგ იაკობმა მოისურვა სოფლის დათვალიერება. ყველანი დავადექით ძველ სენაკზე მიმავალ ფართო შარაგზას და სოფლის დათვალიერებას შეუდექით. იაკობს სოფლელების სუფთად გამართული კარმიდამო ძრიელ მოეწონა.

ბ-ნი გამსახურდია გზადაგზა ახსნა-განმარტებას გვაძლევდა, ყველანი ყურადღებით ვუსმენდით ჩვენს ენაწყლიან ორატორს.

ადგილობრივი მოსახლეობა მეტის შრომისაგან წელში წყდება, მაგრამ სარჩოსაბადებლის სახლში საკმარისად შემოტანას მაინც ვერ ახერხებსო, დამაჯერებელის კილოთი გვიმტკიცებდა ჩვენი მოსაუბრე. გლეხს ათასი სხვა და სხვა გადასახადი მძიმე ტვირთად აწევს ზურგზე სულსა და გულს უხუთავს. მთავრობა დახმარების მაგივრად უკანასკნელ ლუკმას პირიდან აცლის. მთავრობის უსულგულო მოხელეები დაჟინებით გაიძახიან: „მოგვეცით, მოგვეცითო!“ და იმას კი არა ჰფიქრობენ, საიდან უნდა დააკმაყოფილოს გაღატაკებულმა გლეხმა მთავრობის ეს მოთხოვნილება.

გლეხს რომ მთავრობა დახმარებას უწევდეს, მეურნეობის გასაუმჯობესებლად შეღავათიანის პირობებით კრედიტს უხსნიდეს, გლეხი წელში გაიმართებოდა, ოჯახს ყოველივე სიკეთით და დოვლათით აავსებდა, იგი ამ შემთხვევაში მთავრობასაც თავისუფლად დააკმაყოფილებდა, შვილებსაც სწავლა-განათლებას მისცემდა და ამრიგად თავის ცხოვრებას სასურველად მოაგვარებდა.

სამწუხაროდ ეს ასე არ ხდება ჩვენს სინამდვილეში, გლეხი კაცის ოჯახი გაჩანაგებულია. საცოდავი გლეხი მუდამ წელში მოხრილი დადის და თავის აუტანელ მდგომარეობას მწარედ დასტირის.

იაკობი ყურადღებით ისმენდა ბ-ნ გამსახურდიას მიერ მოთხრობილ გლეხობის სოფლად აუტანელ მდგომარეობის სამწუხარო ამბავს და შუბლი უსიამოვნოთ ნაოჭებით ეკვრებოდა და მთელი პირისახე ნაღვლიანად ეღარებოდა.

გამსახურდია კარგად ამჩნევდა, თუ რა მიზეზით იყო გა-

მოწვეული იაკობის ასერიგად დანაღვლიანება და ამიტომ მან კიდევ უფრო მძაფრი საღებავებით იწყო თავისი თხრობის შეფერადება.

ამ ხასიათის სჯა ბაასმა კარგა ხანს გასტანა. ყველანი საგონებელში ჩაგვაგდო.

ბოლოს და ბოლოს, როცა ყველანი ძალზე მოვიქანცენით, გამსახურდიას დაუსრულებელი ამბების მოსმენით, არსენ წითლიძემ, გამსახურდია რომ არ გაენაწყენებინა, მოხერხებულად გვთხოვა შარაგზის პირას ცამდე აზიდულ ჭანდრის ძირას გამართულ სკამზე ჩამოვმჯდარიყავით და მცირე ხნით დაგვესვენა.

ჩვენ სიამოვნებით მივიღეთ არსენ წითლიძის წინადადება. შარაგზის მარჯვენა მხარეს, ულრანი ტყით დაფარულ მთის წვერვალზე ციხის ნანგრევები მოსჩანდა.

იაკობმა მოისურვა შეეტყო ამ ციხე სიმაგრის წარსული თავგადასავალი.

ბ-ნმა გამსახურდიამ აქაც ნირი არ შეიშალა და ჩვენი წარსულის ცოდნაში საუცხოო ნიჭი გამოიჩინა. ეს ციხე სიმაგრე, ჩვენის ორატორის განმარტებით, დიდ სამსახურს უწევდა ადგილობრივ მკვიდრს შორეულ წარსულშიო.

რადგან ძველად საქართველოს მტერი ხშირად თავს ესხმოდა და ყველაფერს დედაბუდიანად აოხრებდა და აწიოკებდა, ხალხი ამ ციხე-სიმაგრეს ეკედლებოდა და მოსალოდნელ განსაცდელს თავს აღწევდა.

ჩვენს წინაპრებს ეს ციხე თავის დროზე ისე გაუმაგრებიათ, ისე მოხერხებულად მოუწყვიათ, რომ ხალხს მთელი წლობით შეეძლო თავი უვნებლად შეეფარებინათ ამ ციხეში. ციხე ისე ოსტატურად იყო გამართული თურმე, რომ იგი წყლისა და სურსათ-სანოვაგის მხრით ხანგრძლივად უზრუნველყოფილი იყო.

ძველ სენაკში ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთი მოხუცებულები, რომლებსაც ამ ციხეში თავი შეუფარებიათ და მტრისათვის ქართველური მამაცობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადებიათ.

ციხის შინაგანი მოწყობილობა და თავშესაფარი ოთახების განლაგება დღესაც ნახევრად დაცულია. ჩემის აზრით ეს ციხე ისტორიული მნიშვნელობის ძვირფასი ძეგლია და ვწუხ-

ვართ, რომ ჩვენი წარსულის მოყვარული მკვლევარები ამ ისტორიულ ძეგლს ასე ნაკლებ ყურადღებას აქცევენო, დაამთავრა თავისი სიტყვა ბ-ნმა გამსახურდიამ ძველი სენაკის ციხე-სიმაგრის წარსულის შესახებ.

მშვენიერი საღამო იყო. ბადრი მთვარე ცის ტატნობიდან ამაყად თავს დასცქეროდა შრომით დაღლილ მიძინებულ სოფელს. ვარსკვლავებს ცა მთლიანად ჰადრაკივით მოეჭედათ. ღამის ნიავი ცამდე აზიდულ ჰანდრის ტოტებს ოდნავ არხევდა და მისი საამური ჩურჩული ყურში ტკბილად გვეწვეთებოდა.

თუმცა ძალიან სასიამოვნო იყო კიდევ რამდენიმე ხნით ჰანდრის ძირას დარჩენა, იაკობს დაღლილობა ეპარებოდა და იგი სახლში დაბრუნებას მოითხოვდა.

ჩვენ ყველანი ენაშეუბრუნებლად დავემორჩილეთ იაკობის სრულიად კანონიერ მოთხოვნას და ღამის ათ საათზე ბინისაკენ გავემართენით.

ჩვენი სტუმართმოყვარე დიასახლისი ვახშმის თავდარიგს შესდგომოდა და სამზარეულოში გაცხარებით ფუსფუსებდა.

ბ-ნ გამსახურდიას შეუმჩნეველად არ დარჩა ჩვენი პატივცემული დიასახლისის სამზარეულოში ფუსფუსი და იაკობის ვახშმობამდე გასართობად რაღაც საინტერესო ამბის თხრობას ეპირებოდა.

მაგრამ იაკობმა ხელი შეუშალა ამ ჩვენს ტკბილად მოსაუბრეს. ბოდიში მოიხადა, დაღლილი ვარ და ნება მომეცით დავისვენოო.

— ბატონო იაკობ! — მორიდებით შეეხმაურა გამსახურდია იაკობს, — აბა, ვინ გაბედავს წინააღმდეგობა გაუწიოს ამ თქვენ სრულიად კანონიერ სურვილს! წუხანდელმა ნამგზავრმა, დღეს ესოდენი შრომა ჩაატარეთ სასწავლებელში და ცხადია დაიღლებოდით. მოისვენეთ, როგორც ეს თქვენ გსურდეს, მხოლოდ არ შემიძლია ამავე დროს ჩემი გულისტკივილი არ გამოვსთქვა იმის გამო, რომ ჩვენი ვახშამი თქვენდა დაუსწრებლად ლაზათს დაკარგავს და ჩვენს პატივცემულ დიასახლისს, რომელიც ეგზომ ხალისიანად ვახშმის თავდარიგს იჭერს, მეტად და მეტად შეაწუხებსო.

იაკობმა მაინც თავისი გაიტანა. იგი თავაზიანად გამოგვემშვიდობა და მოსასვენებლად მახლობელ ოთახში გავიდა.

მოახლოვდა ვახშმის დროც. დიასახლისი სუფრის გაშლის თადარიგს შეუდგა.

იაკობის სანახავად, სანამ ვახშმად დავჯდებოდით, მასწავლებლები ნიკო ჯანაშია და პოლიკარპე ლორთქიფანიძე შემოვიდნენ ჩვენთან.

სრულ 11 საათზე დიასახლისმა ყველანი ვახშამზე მიგვიპატიჟა. იაკობ გოგებაშვილის ადგილი სუფრაზე მე შემომთავაზეს. ჩემს პირდაპირ სუფრას შემოუჯდა ბ-ნი გამსახურდია, რომელმაც მასპინძლის თხოვნით თამადობაც იკისრა.

პირველი ტოსტი დახელოვნებულმა თამადამ იაკობ გოგებაშვილის სადღეგრძელო შესვა. ამ ტოსტთან დაკავშირებით თამადამ ჩვენს დიასახლისს სთხოვა, თუ შემთხვევამ მოიტანოს, იაკობს აცნობეთ, რომ ამ დიდებულ სუფრაზე მისი სადღეგრძელო ერთსულოვნად შევსვითო.

მეორე ტოსტი ჩვენმა ენამოქარგულმა თამადამ დიასახლისს მიუძღვნა და გულწრფელად უსურვა ყველგან და მარადის ესეთი დიდი დახელოვნება გამოეჩინოს კულინარულ დარგში.

შემდეგი სადღეგრძელოს ჯერი ჩემზე მოდგა. თამადა ფეხზე წამოდგა, გაივსო ჭიქა ღვინით და ასეთი სიტყვებით მომმართა: „ბატონო ალექსანდრე! ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ საშუალება მომეცა თქვენი სადღეგრძელო გიახლოთ. თქვენ რომ დიდი საზოგადო მოღვაწე ხართ, დიდი პედაგოგი და ნიჭიერი მწერალი, ამჟამად ეს ყველასათვის აშკარაა. თქვენი პედაგოგიური სარბიელზე და წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მოღვაწეობა ფასდაუდებელია. თქვენი მარჯვე კალამი ქართველი ხალხის გათვითცხობიერების საქმეს მეტად დიდ სამსახურს უწევს. ქართველი ხალხის შეგნებული ნაწილი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ყველანი თქვენს ნაწერებს გულდასმით კითხულობენ და დიდად კმაყოფილნიც რჩებიან. ვინაა ისეთი შეგნებული ქართველი, რომ თქვენ არ გაფასებდეს, თქვენით არ ამაყობდეს! პირადად მე ჩემს თავს ბედნიერად ვსთვლი, რომ პირისპირ გხედავთ და საშუალება მეძლევა ჩემი უღრმესი სიყვარული და პატივისცემა დაგიდასტუროთ.“

ამ თემაზე და ამ რიგად კიდევ დიდხანს ილაპარაკა ჩვენმა ენამოქარგულმა თამადამ და პირადად მე მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა.

ჩემს შესახებ გამოთქმული აზრი სიმართლეს სრულებით არ შეეფერებოდა. მე იმჟამად პედაგოგიური გამოცდილება სრულებითაც არა მქონია. ჩემს საზოგადო მოღვაწეობის შესახებ გამსახურდიას გარდა კაცს სიტყვა არ დაუძრავს და ვერც დასძრავდა, რადგან ეს სინამდვილეს არ შეეფერებოდა. რაიცა შეეხება ჩემს სამწერლო ასპარეზზედ ნაყოფიერად მოღვაწეობას, ისეც სიმართლეს მოკლებული იყო. იმ ჟამად მწერლობაში თითქმის მონაწილეობას არ ვიღებდი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „კვალში“ დაბეჭდილ ორსა თუ სამს ჩემ კორესპონდენციას, რომლებიც თავისი შინაარსით მკითხველის ყურადღებას ასერიგად ვერ მოიზიდავდა.

მართალია, ჩვენს თამადას მადლობა გამოვუცხადე, მაგრამ ამავე დროს აშკარად განვაცხადე ჩემს საპასუხო სიტყვაში, რომ გამსახურდიას მიერ მოძღვნილი ქებათა ქებანი საფუძველს მოკლებულია. მე არც დიდი პედაგოგი, არც დიდი საზოგადო მოღვაწე და არც დიდი გაქანების მწერალი ვყოფილვარ და არც ამჟამად ვარ მეთქი. მე საგანმანათლებლო დარგში პატარა მასშტაბის მუშაკი ვარ და ამ მხრით შესაძლებელია მცირედი დამსახურება მიმიძღოდეს. ეგ არის და ეგ.

თამადას, როგორც შევატყვე, არ მოეწონა ჩემი საპასუხო სიტყვა, მაგრამ მან ნირი მაინც არ შეიშალა და თავისებური ფართაფურთით და რიხიანობით განაგრძობდა თავის საპატიო მოვალეობის აღსრულებას.

სრულ პირველ საათზე თამადამ მორიგი სადღეგრძელოები მოათავა. ყველამ ერთობით მადლობა შევწირეთ ჩვენს მასპინძლებს და თავაზიანათ გამოვემშვიდობეთ.

მეორე დილით იაკობი კარგ გუნებაზე აღგა. ჩაი მხიარულად დალია და სრულს 9 საათზე სარევიზიოთ სკოლაში გავემგზავრეთ.

მეორე დღეს შევამოწმეთ მოწაფეთა ცოდნა ანგარიშსა, რუსულ ენასა და სამშობლო ისტორიის აღწერილობაში. ამ საგნების მასწავლებლები ნიკო ჯანაშია და სკოლის გამგე არსენ წითლიძე დიდის დაკვირვებით ცდილობდნენ წესიერად ჩაეტარებიათ აღნიშნული საგნების გაკვეთილები და უმეტეს შემთხვევაში კიდევაც აღწევდნენ ამ მიზანს.

ანგარიშის გამოკითხვის დროს იაკობი მოითხოვდა მოწა-

ფეებს მშრალ ციფრებთან არა ჰქონოდათ საქმე. თვითეული არითმეტიკული ამოცანა, რომლის განმარტებას მასწავლებელი მოითხოვდა, პრაქტიკული ხასიათის უნდა ყოფილიყო. მასწავლებელს ისეთი ამოცანები უნდა შეერჩია, რომ მოწაფეს ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოდგომოდა.

მეორე განყოფილებაში, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილმა ისეთი ამოცანის ახსნა-განმარტება მოსთხოვა მოწაფეებს: „მოწაფემ წიგნის მაღაზიაში იყიდა სახელმძღვანელოები, ხუთი კალმისტარი და ათი რვეული და ასულ გადაიხადა ორი მანეთი და თერთმეტი შაური. სახელმძღვანელოებსა და კალმისტრებში გადაიხადა ორი მანეთი და ხუთი შაური. რამდენი კაპეიკი ღირდა თვითეული რვეული?“

იაკობის წინადადებით მოწაფეებმა რამდენჯერმე გაიმეორეს ეს ამოცანა. შემდეგ მოხერხებულად დაყენებული კითხვების საშუალებით მოწაფეებმა ამოცანა მშვენივრად გამოიანგარიშეს.

მესამე და მეოთხე განყოფილებებშიაც ესეთივე ხასიათის ამოცანებს ახსნევინებდა ბ-ნი იაკობი მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეს ამოცანები უფრო რთულად იყო შედგენილი და ციფრებიც უფრო დიდის რაოდენობით იყო გამოყენებული.

ანგარიშის ცოდნა და ამ საგანში წარმატება ყველა განყოფილებაში იაკობმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

რუსული ენის შესწავლას იაკობი სამშობლო ქართული ენის დახმარებით მოითხოვდა.

მოთხრობის ან ლექსის თვითეული სიტყვის მნიშვნელობა მოწაფეს ქართული ენის დახმარებით უნდა გაეგო და მხოლოდ შემდეგ იგი უნდა შედგომოდა ტექსტზე ვარჯიშობას. მოთხრობისა ან ლექსის მთელი შინაარსი მოწაფეებს უნდა ამოეწურათ მასწავლებლის მიერ სათანადო კითხვების დასმით.

მასწავლებლები რევიზიის ჩატარების დროს ლექსებსა და მოთხრობებს, როგორც რუსულსა, ისე ქართულ ენაში, ყველას ერთხმად აკითხებდნენ. იაკობმა ესეთი ხერხის გამოყენება უცხოსა თუ სამშობლო ენების შესწავლისას მიუღებლად მიიჩნია. იაკობის აზრით საერთო კითხვის დროს სუსტი მოწაფეები იჩაგრებიან, სუსტი მოწაფე აქტივობას ჰკარგავს, მისი ხმა ამ საერთო ვარჯიშობაში სუსტდება და იკარგება. ამი-

ტომ ესეთი ხასიათის ვარჯიშობის გამოყენება, იაკობის აზრით. მიზანშეუწონელია და წესიერად სწავლების დაყენებას აფერხებსო.

რევიზიის მესამე დღეს ოთხივე განყოფილებაში შევამოწმეთ წლის განმავლობაში შესრულებული ნაწერები ქართულსა, რუსულსა და ანგარიშში. ამოვარჩიეთ სუსტად, საშუალოდ და საუკეთესოდ შესრულებული ნაწერები თბილისში სანიმუშოთ გამგეობაში წარსადგენად.

მოწაფეებს იმავე დღეს დავაწერინეთ საკონტროლო სამუშაოები. სრულ პირველ საათზე შევაგროვეთ ეს სამუშაოები და რევიზიაც საბოლოოდ დავამთავრეთ.

მოწაფეები, ეგაოდა გამოცდები ჩავაბარეთ რევიზორებსო, მხიარულად გამოგვემშვიდობენ და გახარებული თავთავის სახლისაკენ გაემართნენ.

საღამოს შვიდი საათისათვის ახალსენაკიდან ეტლი დავიბარეთ.

იაკობმა არსენ წითლიძეს სთხოვა მასწავლებლები ექვს საათზე მოეწვია სასწავლებელში მოხდენილ რევიზიის შედეგების მოსასმენად.

საღამოს სრულ 6 საათზე მასწავლებლები არსენ წითლიძის მეთაურობით შეიკრიბნენ სამასწავლებლო ოთახში.

იაკობ გოგებაშვილმა სრულიად დამშვიდებული კილოთი მიმართა სამასწავლებლო ოთახში შეკრებილ მასწავლებლებს: „აგერ სამი დღეა, რაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დავალებით რევიზიას ვაწარმოებთ თქვენდამი ჩაბარებულ სასწავლებელში. ამ სამი დღის განმავლობაში, ჩვენის აზრით, საკმარისად გავეცანით სკოლას. შევამოწმეთ სასწავლებლის როგორც პედაგოგიური, ისე სამეურნეო ნაწილი.

ყოველივე იმას, რაც ახლა ჩვენ გვინდა თქვენის თანდასწრებით აღვნიშნოთ, წერილობითი მოხსენების სახით წარუდგენთ საზოგადოების გამგეობას საჭირო დასკვნების გამოსატანად.

გულახდილად უნდა მოგახსენოთ, რომ პირადად როგორც ჩვენ, ისე მეორე რევიზორი ბ-ნი ალექსანდრე მიქაბერიძე, დიდად კმაყოფილი დავრჩით სასწავლებლის ნაყოფიერად მუშაობით.

თუ ამ ერთი წლის წინეთ ძველი სენაკის სკოლას დიდი განსაცდელი მოელოდა იმ არევ დარევის გამო, რომელსაც სამწუხაროდ იმჟამად სკოლაში ადგილი ჰქონდა, ამ სასწავლებლის ბედი ასე ვთქვათ ბეწვზე ეკიდა, დღეს დღეობით ამ მოკლე ხნის განმავლობაში სკოლა თქვენის ნაყოფიერი მუშაობით წელში გამართულა და მომავალში უნდა ვიფიქროთ საშიშროება არ მოელის.

სასწავლო ნაწილი სასწავლებელში კმასაყოფელად, მეტსაც ვიტყვით, კარგადაა დაყენებული. სკოლის სამეურნეო ნაწილი იშვიათი სიზუსტითაა წარმოებული. სასწავლებლის შემოსავალ-გასავალის წიგნები უტყუარი სარკეა სკოლის მთელი მეურნეობისა, რაიცა ზედმეტი საბუთი თქვენი მზრუნველობითი მუშაობისა.

მივესალმებით თქვენს ამ გულწრფელსა და საქმის სიყვარულით გამოწვეულ ნაყოფიერ მუშაობას და გისურვებთ ეს თავიდანვე თქვენ მიერ აღებული გეზი არ გაგემრუდებიოსთ ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის, ამ ჩვენი მომავალი იმედის, საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

ამ დიდსა და რთულ საქმეში ცხადია ნაკლიც მოგეპოვებათ. ნათქვამია, ამ ქვეყნად უნაკლულო ადამიანი ძნელად მოიპოვებაო.

მოსწავლე ახალგაზრდობის ხელმძღვანელობა, მისი სწორსა და გარკვეულ გზაზედ დაყენება, მისი გონებრივად და ფიზიკურად წესიერად ჩამოყალიბება რთული საქმეა და ცხადია ამ რთულსა და დიდ საქმეში ნაკლიც ადვილად მოსალოდნელია.

აი ჩვენ მიერ შემჩნეული ზოგი ნაკლი თქვენს ყოველდღიურ მუშაობაში.

„დედა ენის“ სწავლების დროს არც პირველსა და არც მეორე განყოფილებაში სასაუბროებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. სასაუბროების თავის დროზე და ადგილას გამოყენება მრავლად ხელს უწყობს მოწაფეების გონებრივად განვითარებას. დახელოვნებულ მასწავლებლის ხელში სასაუბროებს დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ენიჭება. მთელ სახელმძღვანელოში სასაუბროებს ცენტრალური ადგილი უჭირავს და მათი უგულებელყოფა, ჩვენის შეხედულობით, ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია.

ლექსებისა და მოთხრობების შესწავლის დროს საჭიროა ზოგჯერ ანალოგიის გაყვანა უკვე დამუშავებული მოთხრობებისა და ლექსების მასალასთან. სიტყვების ახსნისა და განმარტების დროს საჭიროა მოწაფემ მოიგონოს უკვე წინა გაკვეთილებზე შესწავლილი ანდაზები და დასამუშავებელ მასალის შესაბამისად თავის დროზე და ადგილას გამოიყენოს.

ქართული ენის წერითი სამუშაოს მიცემის დროს, თუ, მაგალითად, მოწაფეებმა რომელიმე მოთხრობის შინაარსი უნდა გადმოცენ წერილობით, მასწავლებელი ვალდებულია ისეთი კითხვები დაუყენოს კლასს, რომ მოხსენებული მოთხრობის შინაარსი სათანადო პასუხების მიღების სახით მთლიანად ამოწუროს. ეს კითხვები გარკვეულად საკლასო დაფაზე უნდა დაიწეროს. ხშირად ხდება ხოლმე, რომ მასწავლებელი არხეინად შემოდის კლასში და მოწაფეებს წინადადებას აძლევს ამა და ამ მოთხრობის შინაარსი დამიწერეთო. ესეთი საქმისადმი მიდგომა პედაგოგიური თვალსაზრისით სწორი და მართებული არ არის: მოწაფე, რასაკვირველია, ესეთ შემთხვევაში იბნევა, მასალას თავს ვერართმევს, საყურადღებო მომენტებს ხშირად გვერდს უხვევს და ამრიგად მასწავლებლის მიერ მოცემულ წერით სამუშაოს ცუდად ასრულებს.

რუსული ენის სწავლება მართალია სამშობლო ენის დახმარებით სწარმოებს, მაგრამ ამ მხრით საჭიროა კიდევ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს სამშობლო ენის ფართოდ გამოყენებას რუსული ენის შეგნებით შესწავლისათვის.

ჩვენის აზრით საკმარისი როდია ესა თუ ის რუსული სიტყვა ქართულად განუმარტოთ მოწაფეს. საჭიროა მთელი წინადადება, მთელი მოთხრობა ან ლექსი ჯერ ქართული ენის საშუალებით შეითვისონ მოწაფეებმა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ მათ ივარჯიშონ რუსულ ენაზე, ქართული ენის დაუხმარებლად.

როცა მოწაფე რუსულ ენაზე დაწერილი ლექსისა ან მოთხრობის შინაარსს შეითვისებს ქართული ენის დახმარებით, იგი შემდეგ რუსულ ენაზედ უფრო შეგნებულად ამეტყველდება. აი ამ მომენტიდან მასწავლებელი მხოლოდ იშვიათ იძულებული იქნება ქართული ენა მოიშველიოს.

რუსული ენის სწავლებას ჩვენს სკოლებში დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენ ისტორიულმა ბედმა ისე დაგვა-

კავშირა რუსეთთან, რომ რუსული ენის უცოდინარობა მრავლად ხელს შეგვიშლის ცხოვრების არსებობისათვის ბრძოლაში.

რუსული ენის კარგად ცოდნა საშუალებას მოგვცემს კულტურული და ეკონომიური კავშირი დავამყაროთ რუსეთთან, რაც აუცილებლად საჭიროა დღევანდელ ჩვენს პირობებში.

ჩვენი ვაჭრობისა და მრეწველობის განსავითარებლად იძულებული ვართ რუსეთის ხელი გაუწვდინოთ და აღებ მიცემის ნიადაგზე ერთგვარი კავშირი დავიჭიროთ. ქართველი ვაჭარი და მრეწველი რუსეთში ვერაფერს გახდება, თუ რუსული ენა ნაკლებად, ანუ სრულებით არ ეხერხება.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა, თუ რუსულ ენას საფუძვლიანად არ შეისწავლის, მარტოთი მარტოდ ქართული ენის საშუალებით ფონს ვერ გავა, საჭირო ცოდნას და განვითარებას ვერ შეიძენენ.

ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის სამხატვრო და სამეცნიერო ლიტერატურა საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს, თუ სურს ცხოვრებაში სწორი და საიმედო გზა გაიკვლიოს.

ქართველებს სამწუხაროთ ჯერჯერობით არც პირველი დარგისა და არც მეორე დარგის ლიტერატურა საკმარისად არ მოგვეპოვება და თუ გვინდა, რომ ცხოვრების ულმობელმა პირობებმა სრულიად არ გაგვრიყოს, სრულიად უმეცარნი არ გაგვხადოს.

ამიტომ ჩემის ღრმა რწმენით რუსული ენის საფუძვლიანათ შესწავლას საძირკველი სახალხო სკოლებში უნდა ჩაეყაროს. სახალხო სკოლების მასწავლებლების გარდუვალი მოვალეობაა ამ მხრით უნდა აამოძრავოს თავისი ცოდნა და პედაგოგიური გამოცდილება, რათა ჩვენს მომავალ თაობას გაუადვილდეს ცხოვრების სარბიელზე ბრძოლა როგორც კულტურულ, ისე ეკონომიურ ფრონტზე.

ანგარიშის წესიერად სწავლებას მეტად დიდ მნიშვნელობას ვაკუთნებთ. მასწავლებელმა ისე უნდა დააყენოს ანგარიშის სწავლება, განსაკუთრებით მოსამზადებელ განყოფილებებში, რომ მშრალი ციფრები აამეტყველოს, გააცხოველყოფელოს, ცხოვრების სინამდვილეს შეუფარდოს და ამ რიგად ეს საგანი მოწაფეების საყვარელ საგნად გახადოს. სასწავლე-

ბელში ანგარიშის გაკვეთილებზე შეძენილ ცოდნას მოწაფე ყოველდღიურ საქმიანობაში სასარგებლოდ უნდა იყენებდეს.

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით საკითხს, ანგარიშის სწავლება ძველი სენაკის ჩვენს სკოლაში მცირედად მოიკოჭლებს, რაიცა სახელმძღვანელოების უვარგისობითაც აიხსნება.

ამ პირობებში, ჩვენის აზრით, საჭიროა მასწავლებელმა წინასწარ შეადგინოს პრაქტიკული ხასიათის ამოცანები და ასეთი ამოცანების ახსნა-განმარტებით ამაცადინოს მოწაფეები ყველა განყოფილებაში.

ჩვენი წინადადება იქნებოდა, ჩვენი სკოლის მასწავლებლებს მიეღოთ ეს რჩევა, თუ კი ამ ჩვენს მოსაზრებას ისინიც გაიზიარებდნენ.

გვაქვს კიდევ ზოგიერთი წვრილმანი შენიშვნები, მაგრამ ამ შენიშვნებს მაინცა და მაინც პრინციპიალური მნიშვნელობა არა აქვს.

დაახლოვებით ამ შინაარსის იქნება ის წერილობითი მოხსენება, რომელიც ჩვენ განზრახვა გვაქვს წარუდგინოთ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას შემდგომი განკარგულებისათვის.

დასასრულს დაბეჯითებით უნდა გთხოვოთ, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ მოწაფეთა აღმზრდელობით მხარეს. საჭიროა მოწაფეს განსაზღვრული ცოდნა შესძინოთ, მაგრამ ერთი ორად უფრო საჭიროა ეს მოწაფე წესიერად აღზრდილი გამოვიდეს ცხოვრებაში. შრომის მოყვარეობა, პატიოსნება, სამართლიანობა — აი ის თვისებები, რომლებითაც თქვენ უნდა შეაიარაღოთ მოსწავლე ახალგაზრდობა. შთაბერეთ მოწაფეებს ქართული სული, ღრმად გულში ჩაუნერგეთ სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა, განამტკიცეთ ახალგაზრდობის გონებრივი და ფიზიკური განვითარება, თუ გვსურს, რომ ჩვენ სამშობლოს ღირსეული მამულიშვილები აღუზარდოთ".

ამ სიტყვებით დაამთავრა სიტყვა ჩვენმა მხცოვანმა პედაგოგმა, როცა იგი ძველი სენაკის სკოლის გამგესა და მასწავლებლებს. ემშვიდობებოდა რევიზიის დამთავრების შემდეგ.

ეტლი უკვე გამზადებული იდგა სასწავლებლის გამგის ბინაზე შესასვლელ კიბესთან და ჩვენ გველოდებოდა.

გამოვესალმეთ გამგეს, მასწავლებლებს და ჩვენს სტუ-
მართმოყვარე დიასახლისს, რომელმაც ეგზომ დიდი პატივი
გვცა ძველ სენაკში ჩვენი ყოფნის დროს.

სრულ რვა საათზე ახალ სენაკის რკინის გზის სადგურზე ვიყავით. ცხრა საათზე მატარებელში ჩავსხედით და ბათუმისაკენ გავემგზავრეთ.

ძველი სენაკის ნორმალური სასწავლებელი

სამეგრელოს სამღვდელოებამ მსგავსად ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა სენაკის მაზრის ერთ-ერთ თვალსაჩინო პუნქტში, სოფელ მარტვილში დააარსა სასულიერო სასწავლებელი, რომელშიაც სწავლა-განათლებას იღებდნენ სამეგრელოს სასულიერო წოდებათა შვილები.

სამღვდელოებამ სასწავლებლის კეთილად მოსაწყობად შეიძინა სასწავლებლისათვის საკუთარი საეზოვე მიწა, აგო მშვენიერი შენობა, საკლასო ოთახები გამართა საჭირო სასწავლო ნივთებით და ავეჯეულობით, მოიწვია საუკეთესო მასწავლებლები, რომელთაც სასწავლებლის მახლობლად გაუმართა საცხოვრებელი ბინები.

გაჩაღდა სწავლა სასწავლებელში ცნობილი მასწავლებლების ხელმძღვანელობით.

მთელი აფხაზეთის, სამურძაყანოს და სამეგრელოს სამღვდელოება მარტვილის სასულიერო სასწავლებელში გზავნიდა თავის შვილებს აღსაზრდელად; მიუხედავად იმისა, რომ ეს სასწავლებელი სამეგრელოს ზოგიერთ პუნქტებზე 200 კილომეტრითაც იყო ჩამოშორებული.

ამ სიშორის მიუხედავად სამღვდელოება მაინც მარტვილის სასულიერო სასწავლებელს ეტანებოდა, რადგან სასწავლებელში გამოცდილი მასწავლებლების წყალობით სწავლა-აღზრდის საქმე ნაყოფიერად მიმდინარეობდა.

სამეგრელოს სამღვდელოების საუბედუროდ მარტვილის სასულიერო სასწავლებელი, რომელმაც სულ მოკლე ხნის განმავლობაში თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით მთელი სამეგრელოსა და აფხაზეთის მკვიდრთა გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, 1882 წელს ერთიანად დაიწვა.

ცეცხლმა რამდენიმე საათის განმავლობაში ფერფლად აქცია საშვილიშვილოდ აგებული სასწავლებლის მშვენიერი შენობა, დაწვა და დაიბუგა სასწავლებლის მთელი მოწყობილობა, საკლასო ინვენტარი, სასწავლო ნივთები და სხვა.

დარჩა ცის ქვეშ მარტვილის სასულიერო სასწავლებლის მრავალრიცხოვანი მოწაფეობა, რომელიც მარტვილში შესაფერისი შენობის იმჟამად უქონლობის გამო თავშესაფარს ვერსად ჰპოულობდა.

სამღვდელოებამ დიდი ცდისა და მეცადინეობის შემდეგ გადასწყვიტა სასწავლებელი ახალ სენაკში გადმოეტანა და ამრიგად არ მოესპო თავის შვილებისათვის სწავლა-განათლების მიღების საშუალება.

მართალია ახალსენაკშიაც ნაკლებად მოიპოვებოდა სასწავლებლისათვის შესაფერისი შენობა, მაგრამ სამღვდელოებამ ის ამჯობინა, რომ სასწავლებელი ოთხ სხვა და სხვა ადგილას მდებარე შენობაში მოეთავსებინა, ვიდრე მისთვის სამუდამოდ კარები გამოეკლიტა.

მრავალი დაბრკოლების დაძლევით ბოლოსდაბოლოს სწავლა, თუმცა დაგვიანებით, სასწავლებელში უკვე ახალ სენაკში დაიწყო.

სამღვდელოებამ პედაგოგიური პერსონალის გასაძლიერებლად მოიწვია მასწავლებლად ჩვენი სასიქადულო მწერალი ვასილ ბარნოვი, ცნობილი პედაგოგები: ამბროსი ხელაშვილი, ქრისტეფორე უღრელიძე, ნიკო ჭარაია, ნიკო თუთბერიძე და სხვ., რომელთა ხელმძღვანელობით სასწავლებელი სულ მოკლე ხანში წელში გაიმართა.

გაჩაღდა სასწავლებელში ინტენსიური მუშაობა.

გამოცდილმა და დახელოვნებულმა მასწავლებლებმა მთელი სასწავლებელი აამოძრავეს, სწავლა-აღზრდის საქმე სულ მოკლე ხანში მოაგვარეს და სათანადო სიმაღლეზე დააყენეს, მოწაფეთა შორის გააჩაღეს კლასგარეშე მუშაობა და ამრიგად მთელი მოწაფეობა ჩააბეს კულტურულ საქმიანობაში. სასწავლებელში დღითიდღე ძლიერდებოდა და მტკიცდებოდა ქართული სული. მასწავლებლები სასწავლებელში და სასწავლებლის ირგვლივ ჰქმნიდნენ დიდ ეროვნულ საქმეს და ამრიგად ნიადაგს უმზადებდნენ ჩვენ მომავალ თაობას საზოგადოებრივი მუშაობისათვის.

ახალი სეწაკის სასულიერო სასწავლებელში შექმნილმა მდგომარეობამ უნებლიედ მიიქცია ყურადღება ადგილობრივ მკვიდრთა ფართო ფენებში. ყველანი ინსტინქტიურად გრძნობდნენ, რომ სასწავლებელში მტკიცე საძირკველი ეყრებოდა დიდ ეროვნულ საქმეს და ამიტომ ყველანი გულწრფელი სიყვარულით და პატივისცემით შეჰყურებდნენ სასწავლებლის ნაყოფიერ საქმიანობას.

ახალ სენაკში ამავე დროს არსებობდა სასწავლო მთავრობის მიერ გახსნილი, ეგრედ წოდებული, ნორმალური ორკლასიანი სასწავლებელი, რომელიც მოსამსახურეობას უწევდა მთელ სამეგრელოს და განსაკუთრებით კი სენაკის მაზრას, სასწავლებელში სწავლება მხოლოდ და მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებდა. ქართული ენა სასწავლო პროგრამაში არ შედიოდა. ქართულად ლაპარაკი, ქართულად აზროვნება სასწავლო მთავრობის განკარგულებით სასწავლებელში აკრძალული იყო. მასწავლებელი ხელს უწყობდა სასწავლებელში შექმნილ მდგომარეობას და ამრიგად მტკიცედ იცავდა სასწავლო მთავრობის განკარგულებას.

ადგილობრივ მკვიდრთა შვილების აზრისა და გონების გამოცვლა, მთელი მათი ფსიქიკის გარდაქმნა და გადაგვარება — აი მიზანი, რომელსაც სასწავლებელი ცხოვრებაში ახორციელებდა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, სცდილობდა განეხორციელებინა.

სასწავლო მთავრობის ეს ყალბი პოლიტიკა მთელი თავისი საშინელებით ტარდებოდა სასწავლებელში. მოსწავლე ახალგაზრდობა დღითი დღე გადაგვარების გზაზე დგებოდა.

ყველა საგნების სწავლება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, რუსული ენის საშუალებით სწარმოებდა. რუსული ენის სწავლების დროს მასწავლებელი ვალდებული იყო მთლიანად გამოეყენებინა ეგრედ წოდებული მუნჯური მეთოდი, ანუ როგორც იმჟამად ეძახდნენ ამ მეთოდს „ბუნებრივი მეთოდი".

სწორედ იმ დროს, რომელსაც ეს ჩვენი მოგონება შეეხება, ახალსენაკის ნორმალურ სასწავლებლის გამგედ იყო სპირიდონ ენუქიძე.

ქართულ საზოგადოებაში ეს კარგად ცნობილი პედაგოგი მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებას, მთელ თავის შრომასა და ენერგიას ხარჯავდა მხოლოდ იმისათვის, რომ სასწავ-

ლებელში უკლებლივ გაეტარებინა სასწავლო მთავრობის ყალბ ნიადაგზე დამყარებული სასკოლო პოლიტიკა და ამრიგად ჩვენი მომავალი თაობის სწავლა-განათლების საქმე შეეფერხებინა.

ახალი სენაკის ქართველი საზოგადოება კარგად ხედავდა ახალი სენაკის ნორმალურ სასწავლებლის მიერ წარმოებულ ყალბ სასკოლო პოლიტიკას და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ ამ სასწავლებელმა ადგილობრივი საზოგადოების თვალში დაკარგა ყოველგვარი პატივისცემა და სიყვარული. პირიქით, საზოგადოებამ სასწავლებელს ზურგი შეაქცია და პირი ახალი სენაკის სასულიერო სასწავლებლისაკენ იბრუნა.

ყოველივე ამას სასწავლო მთავრობა კარგად ხედავდა. ბოლოს და ბოლოს მთავრობა დარწმუნდა, რომ ეს ნორმალური სასწავლებელი ახალ სენაკში თავის დანიშნულებას პირნათლად ვერ შეასრულებს, იგი ადგილობრივ სასულიერო სასწავლებელს მეტოქეობას ვერ გაუწევს და ამიტომ იგი ძველ სენაკში გადაიტანა.

სასწავლო მთავრობა ფიქრობდა, თუ ახალ სენაკში ნორმალურმა სასწავლებელმა მეტოქეობა ვერ გაუწია სასულიერო სასწავლებელს, იგი ამ მეტოქეობის დროს დამარცხდა, შესაძლებელია ძველ სენაკში ზურგი გაიმაგროს, ერთგვარი კონკურენცია გაუწიოს ძველი სენაკის სათავადაზნაურო სკოლას და ამრიგად თავის დანიშნულება პირნათლად შეასრულოსო.

ძველ სენაკზე მიმავალ შარაგზის მარცხენა მხარეს გამართულია სათავადაზნაურო ქართული სკოლა და ამ სკოლის პირდაპირ შარაგზის მარჯვენა მხარეზე ახალსენაკიდან გადმოტანილი ნორმალური სასწავლებელი.

ამ ორ სასწავლებელთა შორის სწარმოებს ჩუმი, მაგრამ დაუნდობელი ბრძოლა და მეტოქეობა.

შარა გზის მარცხნივ მდებარე სასწავლებელში ქართული სული ტრიალებს, ქართული ეროვნული დიდი საქმე გზას იკვლევს და მაგრად ფეხს იკიდებს.

სწორედ ამ დროს შარაგზის მარჯვნივ მხარეზე მთავრობის მიერ გამართულ ნორმალურ სასწავლებელში სპირიდონ ენუქიძის ლოცვა კურთხევით ჩვენს ეროვნულ საქმეს ძირი ეთხ-

რება და ამრიგად ნიადაგი მზადდება ჩვენი მოსწავლე ახალ-
გაზრდობის გადასაგვარებლად.

ძველი სენაკის ნორმალური სასწავლებლის გამგემ სპირი-
დონ ენუქიძემ, როგორც კი გაიგო იაკობ გოგებაშვილისა და
ჩემი ძველ სენაკში სარევიზიოდ ჩამოსვლა, დაუყოვნებლივ
სასწავლებელში მოიკრა და გაგვეცნო.

ამ გამოჭახრაკებულმა და მოხერხებულმა პედაგოგმა მე-
ლასავით კუდი ეშმაკურად მოიქნია და იაკობ გოგებაშვილს
ათასგვარი ქათინაურებით ამკობდა და ადიდებდა.

იაკობი ნაძალადევი ღიმილით ისმენდა „ენა ტკბილად“
მოსაუბრის ქათინაურებს და ეტყობოდა ამ ვაჟბატონის სტუმ-
რობა არც ისე სიამოვნებდა.

სპირიდონ ენუქიძემ ხანმოკლე საუბრის შემდეგ იაკობ
გოგებაშვილს სთხოვა მეც გამაბედნიერეთ და ჩემი სასწავ-
ლებელიც დაათვალიერეთო.

იაკობმა გადაჭრილი პასუხი არ მისცა ბ-ნ ენუქიძეს, ვხა-
ხოთ, სანამ სასწავლებლის რევიზიას არ დავამთავრებთ, ვკ-
რაფერს გეტყვიო.

სპირიდონ ენუქიძე დღეში რამდენჯერმე მოდიოდა სას-
წავლებელში ამბის შესატყობად, რევიზია როდის დამთავ-
რდებაო.

იაკობ გოგებაშვილს, როგორც ვატყობდი, ემძიმებოდა
სპირიდონ ენუქიძის თხოვნის დაკმაყოფილება. იაკობს ალ-
ბად გაგებული ჰქონდა ამ ვაჟბატონის წარსულისა და აწმყოს
მოღვაწეობის ამბავი და კიდევაც ამიტომ ყოყმანობდა მთავ-
რობის ეს ნორმალური სასწავლებელი დაეთვალიერებინა.

პირადად მე იმ აზრისა ვიყავი, რომ იაკობს ბ-ნი ენუქიძის
მიპატიჟება მიეღო და მისი ხელმძღვანელობით არსებული
სასწავლებელი დაგვეთვალიერებია.

ერთ საღამოს, როცა დასაძინებლად ჩვენ უკვე ლოგინში
ვიწექით, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაგვძინებოდა, იაკობი საწო-
ლიდან შემეხმაურა: „ბ-ნო ალექსანდრე, თქვენ როგორ ჰფიქ-
რობთ, დავათვალიეროთ თუ არა ამ ჩვენი მტერმოყვარის
სასწავლებელი. ხომ ხედავთ, ბ-ნი ენუქიძე როგორი დაჟინე-
ბით გვთხოვს. გინდათ, არ გინდათ ჩემი სასწავლებელიც
ინახულეთო. არ ვიცი, რას გამოელის ჩვენგან. მართალი

გითხრათ, პირადად მე ძალიან მეძნელება, ძალიან მეუხერხულება მისი სასწავლებლის დათვალიერებაო".

ამ შეკითხვის საპასუხოდ ბ-ნ იაკობს მოვახსენე: „ბ-ნო იაკობ! მესმის თქვენი სულისკვეთება, მაგრამ მიუხედავად ამისა საჭიროდ მიმაჩნია სასწავლებელი დავათვალიეროთ. ეს დათვალიერება ზედმეტ საბუთს მოგცემსთ დაუმტკიცოთ ნთავრობას ბუნებრივი მეთოდის ყოვლად უვარგისობა, ამიტომ პირადად მე გირჩევდით ენუქიძეს უარი არ უთხრათ სასწავლებლის დათვალიერებაზე. შევიაროთ ერთად და ვნახოთ, როგორ „გაბედნიერდება" ეს ეაჟბატონი თქვენის მის სასწავლებელში მისვლით!"

მეორე დილით, როცა ჩაის ვსვამდით, იაკობმა ღიმილით მითხრა: „თქვენ მართალი ხართ. საჭიროა სასწავლებელი დავათვალიეროთ".

რადგან დილაობით არ გვეცალა, ოევიზიას ვუწევდით ჩვენ სკოლას, გადავწყვიტეთ საღამოს ექვს საათზე დაგვეთვალიერებინა ბ-ნი ენუქიძის სასწავლებელი, მით უფრო, რომ მან არაერთხელ გაგვიცხადა, ოღონდ თქვენ მობრძანდით ჩემს სასწავლებელში და მე მოწაფეებს, რა დროსაც თქვენ მოისურვებთ მობრძანებას, იმ დროისათვის შევკრებო.

ჩვენი გადაწყვეტილება სასწავლებლის დათვალიერების შესახებ ენუქიძეს წინასწარ ვაცნობეთ.

საღამოს სრულ ექვს საათზე სპირიდონ ენუქიძე სასწავლებლის ეზოს კარებთან შემოგვეგება და დიდის პატივისცემით საკლასო ოთახისაკენ წაგვიძღვა.

კლასში სამარისებური სიჩუმე იყო გამეფებული. მოწაფეებს ხელები წინ მერხებზე ჩამოეწყოთ, თვალები საკლასო ოთახის წინაკედელს მიეჩერებინათ და უმოძრაოდ ისხდნენ.

შევედით კლასში. მოწაფეები დაუყოვნებლივ ფეხზე წამოდგნენ, მაგრამ ხელები ისევ მერხებზედ აქვსთ ჩამოწყობილი და კედელს თვალებს არ აშორებენ.

— ბავშვებო, ჩვენთან სტუმრათ მობრძანდა საქართველოს დიდი პედაგოგი იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი. გთხოვთ ერთხმად მიესალმოთ.

ამ სიტყვებთან ერთად მასწავლებელმა მოხდენილად მარჯვენა ხელი ჰაერში აიქნია, რომ მოწაფეები იაკობ გოგებაშვილს ერთხმად მისალმებოდნენ.

მოწაფეებმა არც აცივეს, არც აცხელეს და ერთხმად იგრიალეს: „ჩვენთან სტუმრად მობრძანდა საქართველოს დიდი პედაგოგი იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი. გთხოვთ ერთხმად მიესალმოთ“-ო.

სპირიდონ ენუქიძე თუმც შეკრთა, მცირედად კიდევაც გაფითრდა, მაგრამ მაინც არ დაიბნა. საქმე მალე თავისებურად გამოაშახრაკა.

— ბავშვებო, თქვენ ჩემი სიტყვები ალბათ სრსწორად ვერ გაიგეთ. ყური დამიგდეთ, აი თქვენ ასე და ამ სიტყვებით უნდა მიესალმოთ ჩვენს ძვირფას სტუმარს: „გაუმარჯოს საქართველოს დიდ პედაგოგს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს“.

მოწაფეებმა ასეთი განმარტების შემდეგ ერთხმად იგრიალეს: „გაუმარჯოს საქართველოს დიდ პედაგოგს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს“.

ყველაფერში ზედმიწევნით დახელოვნებულმა ბ-ნმა ენუქიძემ ეს მისალმება სამჯერ ერთხმად გაამეორებინა მოწაფეებს, რის შემდეგ სთხოვა დამჯდარიყვნენ.

ენუქიძე მოწაფეების ყოველივე პასუხს ერთხმად სამჯერ ამეორებინებდა ხოლმე.

მცირე პაუზის შემდეგ ენუქიძე ეკითხება მოწაფეებს:

— ვინაა ჩვენი ხელმწიფე?

— ჩვენი ხელმწიფეა მათი იმპერატორობითი უდიდებულესობა სრულიად რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე.

— როგორ მიესალმებით მათ იმპერატორობითი უდიდებულესობას ჩვენს ხელმწიფე იმპერატორს?

— გაუმარჯოს მათ იმპერატორობითი უდიდებულესობას სრულიად რუსეთის იმპერატორს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს.

— ვინაა მეუღლე ჩვენი ხელმწიფე იმპერატორისა?

— ჩვენი ხელმწიფის მეუღლეა მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დედოფალი ალექსანდრე თეოდორეს ასული.

— როგორ მიესალმებით დედოფალს?

— გაუმარჯოს ხელმწიფე იმპერატორის მეუღლეს მათ იმპერატორობითი უმაღლესობას ალექსანდრა თეოდორეს ასულს.

— ვინაა სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრე?

— სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრეა მათი იმპერატორობითი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე.

როგორ მიესალმებით სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრეს?

— გაუმარჯოს სრულიად რუსეთის ტახტის მემკვიდრეს მათ იმპერატორობითი უმაღლესობას დიდ მთავარს გიორგი ალექსანდრეს ძეს.

— როგორ უნდა მიესალმოთ მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის მთელს სამეფო გვარეულობას?

გაუმარჯოს მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის მთელ სამეფო გვარეულობას.

— ვინ გვიცავს, ბავშვებო, მტრის შემოსევისაგან?

— მტრის შემოსევისაგან გვიცავს სრულიად რუსეთის ქრისტესმოყვარე მხედრობა.

— როგორ უნდა მიესალმოთ სრულიად რუსეთის ქრისტეს მოყვარე მხედრობას?

— გაუმარჯოს სრულიად რუსეთის ქრისტეს მოყვარე მხედრობას.

დაბოლოს, სათანადო მისალმება მასწავლებლის წინადადებით მიუძღვნეს კავკასიის მთავარმართებელს, ამიერ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს და მრავალ სხვა წარჩინებულ მოხელეს.

ძლივსღა დასრულდა ეს მისალმებები. თავისუფლად ამოვისუნთქეთ.

მასწავლებელი ამ ასე ვთქვა შესავალის შემდეგ სკამზე ჩამოჯდება და მოწაფეებს ეკითხება, რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელი სკამზე ზის, გუნდათ უპასუხებენ მოწაფეები.

— მასწავლებელი ფეხზე წამოდგა. ახლა რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელი ფეხზე სდგას.

მასწავლებელი ფანჯარას მიადგება და სასწავლებლის ეზოში იყურება.

— რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელი ფანჯარასთან სდგას.

— კიდევ რას აკეთებს?

— მასწავლებელი სასწავლებლის ეზოში იყურება.

მასწავლებელი მერხების წინ დაფენილ ჩილოფზე წვება, თვალებს ხუჭავს ვითომ მძინავსო და ხმამაღლად ხვრინას იწყებს.

— მასწავლებელი რას აკეთებს?

— მასწავლებელი ჩილოფზე წევს.

— კიდევ რას აკეთებს მასწავლებელი?

— მასწავლებელს სძინავს.

— ძილში მასწავლებელი რას აკეთებს?

— ძილში მასწავლებელი ხვრინავს.

ბ-ნი ენუქიძე ამის შემდეგ ერთბაშად იმღერის, იცინის, ცეკვავს, ხტუნავს, სტირის და თვითეულ ამ მოქმედების დროს მოწაფეებს ეკითხება, აბა მასწავლებელი რას აკეთებს?

მოწაფეები გუნდათ უპასუხებენ — მასწავლებელი ღვრის, იცინის, ცეკვავს, ხტუნავს, სტირის და სხვა.

მასწავლებლის სათანადო კითხვების დასმით მოწაფეებმა შეუცდომლად დაასახელეს საკლასო ოთახის ავეჯეულობა და სასწავლო ნივთები.

ამრიგად, როცა ბ-ნმა ენუქიძემ წინასწარ დამუშავებული მასალა მთლიანად ამოწურა, იგი მიუბრუნდა მოწაფეებს და უთხრა, აბა, ბავშვებო, ყური დამიგდეთ, ახალ მასალას აგიხსნით და, რაც გასწავლოთ კარგად დაიმახსოვრეთ.

სწავლების საქმეში მეტად დახელოვნებულმა მასწავლებელმა კედლიდან ჩამოიღო დიდი სურათი, რომელზედაც დახატული იყო ქათამი, მოწაფეებს აჩვენა და სამჯერ გარკვევით გაიმეორა: „ამ სურათზე დახატულია ქათამი".

— ბავშვებო, რა არის ამ სურათზე დახატული?

— ამ სურათზე დახატულია ქათამი, სამჯერ გუნდათ იძრიალეს მოწაფეებმა.

მასწავლებელი შესდგა მერხების წინ დაფენილ ჩილოფზე და ვითომ ქათამი ვარო, ხელები ქათმის მხრებივით მოიმარჯვა, კისერი დაიგრძელა და ქათმის მზვავსად აკაკანდა.

— ბავშვებო, ჩილოფზე შემდგარი ქათამი კაკანებს, სამჯერ გარკვევით გაუმეორა მოწაფეებს.

— აბა ახლა მითხარით, სად დგას ქათამი?

— ქათამი ჭილოფზე სდგას.

— რას აკეთებს ქათამი ჭილოფზე?

— ქათამი ჭილოფზე კაკანებს.

ამ ინსცენირების შემდეგ ბ-ნმა ენუქიძემ ხელები უკან მოიბრუნა, საჯდომზე მოიმარჯვა, მცირე ხანს კაკანი მორთო და მარჯვენა ხელში დაჭერილი კვერცხი მოწაფეებს აჩვენა.

— აი, ბავშვებო, ჩვენმა ქათამმა კვერცხი დასდო. გაიმეორეთ გუნდათ.

— ჩვენმა ქათამმა კვერცხი დასდო, გუნდათ სამჯერ უპასუხეს მოწაფეებმა.

— ვის დასდო კვერცხი?

— კვერცხი დასდო ჩვენმა ქათამმა.

მოწაფეები მასწავლებლის მოთხოვნით რამდენიმე წუთს გუნდათ იმეორებდნენ: „ქათამი ჭილოფზე სდგას, ქათამი კაკანებს, ქათამმა კვერცხი დასდო“.

როცა ბ-ნი ენუქიძე ამ კაკანსა და კვერცხის ხელოვნურად დადებას მორჩა და დარწმუნდა, რომ მოწაფეებმა ყოველივე მის მიერ განმარტებული ახალი მცნება საკმარისად შეითვისეს, კედლიდან მეორე სურათი ჩამოიღო, რომელზედაც საუკეთესო ჯიშის ღორი იყო დახატული.

რამდენადაც ამჟამად მაგონდება სურათზე გამოხატული ღორი რუსეთის იმ ჯიშიან ღორთაგანი იყო, რომელიც თუ სადმე დაწვა, მეტის ხორცისა და სიმსუქნის გამო, ადგომას ვერ ახერხებს, ეძნელება.

— ბავშვებო, ამ სურათზე დახატულია ღორი. აბა, გაიმეორეთ!

— ამ სურათზე დახატულია ღორი, იგრიალეს გუნდათ მოწაფეებმა.

სპირიდონ ენუქიძე გაიშოტა იატაკზე დაფენილ ჭილოფზე, ხელები ღორის წინაფეხებივით მოიმარჯვა, ფეხები ღორის უკანა ფეხებივით შემოიკრიბა, თავი წინა ხელებზე ჩამოსდო.

— ბავშვებო, წარმოიდგინეთ, რომ მე ვითომ ღორი ვარ. ყური დამიგდეთ!

ჭილოფზე გაშოტილმა სპირიდონ ენუქიძემ იწყო ღორივით ღრუტუნი.

— აი, ბავშვებო, ღორი ღრუტუნებს, ღორი ღრუტუნებს, გაიმეორეთ!

მოწაფეებიც იმეორებდნენ ღორი ღრუტუნებს, ღორი ღრუტუნებსო.

— აბა ახლა მითხარით, ვინ წევს ჭილოფზე? შეეკითხა სპირიდონ ენუქიძე მოწაფეებს.

— ჭილოფზე წევს ღორი, უპასუხებენ მოწაფეები.

— კეთილი! რას აკეთებს ღორი?

— ღორი ღრუტუნებს.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენი პესტალოცი ჭილოფზე იყო გაშოტილი და ღორიეით ღრუტუნებდა და თან მოწაფეებს შეკითხვებს აძლევდა, სასწავლებლის შენობის დერეფნიდან ზარის ხმა გაისმა.

გაკვეთილი დამთავრდა, მასწავლებელმა უკვე თავისი საჭდეილი სახე მიიღო, ფეხზე წამოდგა და მოწაფეებს გუნდათ ლოცვა სიმღერით წააკითხა.

იაკობი უკვე კლასიდან გამოსვლას ეპირებოდა, რომ ბ-ნ სპირიდონ ენუქიძემ მოწაფეებს ბრწყინვალე სახის გამომეტყველებით მიმართა:

— ბავშვებო, გამოთხოვებისას გზა დაულოცეთ ჩვენს ძვირფას სტუმარს, ერთხელ კიდევ მივესალმოთ და ამ სიტყვებთან ერთად ჯერ თვითონ შესძახა: „გაუმარჯოს საქართველოს დიდ პედაგოგს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს. გისურვებთ ჩვენო ძვირფასო სტუმარო გზა მშვიდობისას!“

მოწაფეებმა გუნდათ იგრიალეს: „გაუმარჯოს საქართველოს დიდ პედაგოგს იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილს. გისურვებთ ჩვენო ძვირფასო სტუმარო გზა მშვიდობისას“-ო.

ჩვენაც მოწაფეებს გამოვემშვიდობეთ და კლასიდან გამოვედით.

ბ-ნმა ენუქიძემ სასწავლებლის ეზოს კარებამდე თავაზიანად მიგვაცილა. გამოსალმებისას ენუქიძემ მორიდებით სთხოვა იაკობ გოგებაშვილს თავისი აზრი გამოეთქვა მოწაფეების სწავლაში წარმატების შესახებ.

იაკობმა ენუქიძეს ღიმილით ხელი გაუწვდინა გამოთხოვებისას და უთხრა: „აბა, რა უნდა გითხრათ! თქვენ ეშმაკებს ჩაუგდიხართ ხელში და მათ სასარგებლოდ იყენებთ მთელ თქვენს პედაგოგიურ ნიჭსა და გამოცდილებას. ეშმაკების მი-

ერ ხელ-ფეხ შებოჭილს ზურგი შეგიქცევიათ ყოველივე იმისათვის, რაც ჭეშმარიტ პედაგოგიურ მეცნიერებას დღემდე გამოუმეღავნებია. ქრისტიანული გზა დაგიკარგავთ და მთელ თქვენს აზრსა და გონებას ეშმაკები დაუფლებიან. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ქართველი ხალხი თავის დროზე, და ეს დროც არც ისე შორსაა, სამართლიან მსჯავრს დასდებს თქვენს აწინდელ მოღვაწეობას“.

სპირიდონ ენუქიძე ამ სიტყვების გაგონებაზე მოიკუნტა, ერთიანად გაფითრდა, ვერხვის ფოთოლივით აცახცახდა და დარცხვენილი ძირს თავი საცოდავად ჩამოკიდა.

განვლო 10-15 წელიწადმა. მთავრობა, რომელიც სპირიდონ ენუქიძეს ასე რიგად ზურგს უმაგრებდა, რევოლუციონურმა ტალღამ წალეკა და არქივს ჩააბარა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ყველაფერი შეიცვალა. ძველებურ ჰანგზე სიმღერა შეუძლებელი გახდა.

სპირიდონ ენუქიძის პსიქიკა და აზროვნებაც შეიცვალა. ამ სასიქადულო მამულიშვილმა წიხლი კრა ყოფილ მთავრობას და urbi et orbi გაჰკიოდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო.

საბჭოთა ხელისუფლება დიდად უნდა მიმადლოდეს, რომ მე ღარიბმა და ღატაკმა სახალხო მასწავლებელმა ჩვენს ახალ მთავრობას აღუზარდე ისეთი პირველხარისხოვანი კომუნისტი, როგორიცაა ჩემი ძმის შვილი აბელიო. საბჭოთა ხელისუფლება და პარტია დიდ ნდობას უცხადებს ჩემ ძმის შვილს, როგორც კომუნიზმისათვის თავდადებულ ადამიანს. ყოველივე სიკეთე აბელს ჩემგან აქვს მინიჭებულიო.

ასე მსჯელობდა სპირიდონ ენუქიძე საბჭოთა ხელისუფლების დროს და ალბად ამ ხელისუფლების დროსაც ჰფიქრობდა ხელი როგორმე მოეთბო.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სპირიდონ ენუქიძეს თბილისში ხშირად ვხედავდი. იგი დროგამოშვებით განათლების კოზისარიატშიაც შემოდიოდა. მე იმჟამად განათლების კომისარიატის საქმეთა მმართველის თანამდებობას ვასრულებდი.

სპირიდონ ენუქიძე გამეცნო. მეც გავიცანი. ხანდაზმულობის ხანაში ადამიანს ბევრი რამ ავიწყდება და განსკუთრებით ისეთი რამ, რის დავიწყებაც საჭიროდ და სასარგებლოდ

მიაჩნია. ბ-ნ ენუქიძეს უეჭველია დაავიწყდა, რომ ჩვენ ამ ოცი წლის წინეთ ერთმანეთი ძველ სენაკში გავიცანით და ალბათ ეს იყო მიზეზი ჩვენი ხელმეორედ კომისარიატში გაცნობისა...

ბათუმის ქართული სკოლის რევიზია

...საქართველოს სინამდვილეში ჯერ კიდევ მოგვეპოვებიან ისეთი სახალხო მასწავლებლებიც, რომელთაც ნათლად აქვსთ შეგნებული სასწავლო მთავრობის ყალბი პოლიტიკის მნიშვნელობა და მედგრად, გაბედულად ბრძოლას უცხადებენ ერთის მხრით მთავრობას, მეორეს მხრით იმ მოსყიდულ აგენტებს, რომლებიც მასწავლებლის სამოსელში გახვეული სამარცხვინო მოღვაწეობას ეწევიან ჩვენ სკოლებში.

ასეთ მებრძოლ მასწავლებელთა რიგებს უნდა მივაკუთვნოთ კავკავის სკოლის გამგე ლუარსაბ ბოცვაძე, ძველი სენაკის სკოლის აწინდელი გამგე არსენ წითლიძე, ბათუმის სკოლის უფროსი მასწავლებელი ისიდორე რამიშვილი და კიდევ სხვანი, რომელთა თავდადებული მოღვაწეობა ფასდაუდებელია.

ბათუმის სკოლის რევიზია თქვენ უეჭველია დაგარწმუნებთ, რომ ისიდორე რამიშვილი ერთერთი იმ მასწავლებელთაგანია, რომელსაც კლასში სიცოცხლე და სიხარული შეაქვს, რომელიც კლასში თავისი შემოქმედებითი ნიჭით ჯანსაღ ატმოსფეროს ჰქმნის და გაკვეთილებს მიმზიდველად და სასიამოვნოდ ჰხდის.

ისიდორე რამიშვილი გარდა იმისა, რომ მოწოდებით ჭეშმარიტი მასწავლებელია, იგი ამავე დროს მებრძოლი პედაგოგია, რომელიც სასწავლო მთავრობას და თავის უღირსს, ენუქიძის მზგავს მასწავლებლებს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს და ამრიგად ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სწავლა-განათლების მოწესრიგების საქმეს შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს.

დილის $10^1/_2$ საათი იქნებოდა, როცა ჩვენ ბათუმში ჩავედით და ზღვის პირას სასტუმროში ერთერთი შედარებით მოზრდილი ოთახი დავიჭირეთ.

სრულ 11 საათზე იაკობი და მე ქართული სკოლისაკენ გავემგზავრეთ.

სწორედ იმ დროს, როცა ჩვენ სასწავლებელში მივედით, პირველ განყოფილებას, საცა ყველა საგნებს მასწავლებელი ივლიანე გოგოლაშვილი ასწავლიდა, სწავლა უკვე დაემთავრებია და მოწაფეები სახლში გაესტუმრებიათ.

ისიდორე რამიშვილი კი მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში მოწაფეებს ამაცადინებდა სასწავლებლის ერთერთ მოზრდილ ოთახში.

მესამე და მეოთხე განყოფილებების მოწაფეები წერით სამუშაოს ასრულებდნენ, ხოლო მეორე განყოფილების მოწაფეები ქართულს სწავლობდნენ რამიშვილის ხელმძღვანელობით.

ჩვენ გაუფრთხილებლად შევაღეთ კლასის კარები. ისიდორე თავაზიანად მოგვესალმა და იაკობს სთხოვა, როგორ ინებებთ, გაკვეთილი მე თვითონ განვაგრძო, თუ თქვენ მოისურვებთ მოწაფეების გამოკითხვასო.

იაკობი და მე გზაში შევთანხმდით, რომ ბათუმის სკოლაში გაკვეთილების მიცემის დროს ჩვენ ნაკლებად ჩავრეოდით გაკვეთილების მსვლელობაში.

იაკობი იმ აზრისა იყო, რომ ისიდორე რამიშვილი და ივლიანე გოგოლაშვილი იმდენად დახელოვნებული და გამოცდილი მასწავლებლები არიან, რომ ჩვენდა ჩაურევლად სრულებით ნათელყოფენ მოწაფეთა წარმატებასა და ნაკლოვანებას.

იაკობმა ისიდორეს სთხოვა განეგრძო გაკვეთილი. ჩვენ ცენტრალური ადგილი დავიჭირეთ კლასში და თვალყურს ვადევნებდით გაკვეთილის მსვლელობას.

ისიდორე რამიშვილი, თითქოს სადმე ოჯახშიაო, მეგობრული კილოთი უდგებოდა თვითეულ მოწაფეს და მოხერხებულად მოითხოვა მოწაფეს თავისი ცოდნა ჩვენს წინაშე გამოეაშკარავებინა.

მეორე განყოფილებაში, რამდენაც ამჟამად მაგონდება, 30 მოწაფე იყო. წლის განმავლობაში „დედა ენა“ სავსებით დაემთავრებიათ.

უპირველეს ყოვლისა ისიდორემ შეამოწმა თვითეული მოწაფის კითხვის მექანიზმი. შემდეგ ამისა მოწაფეები ზეპირად მოგვითხრობდნენ სახელმძღვანელოში მოთავსებულ ლექსებს, ახსნა განმარტებას იძლეოდნენ თვითეულ ლექსის შინაარსის

ირგვლივ, ლამაზად გვიამბობდნენ პატარ პატარა მოთხრობების შინაარსს. ლექსებისა და მოთხრობების დაკავშირებით მოწაფეები ზეპირად მოგვითხრობდნენ შესაბამის ანდაზებს, გვიხსნიდნენ ამ ანდაზების შინაარსს და მნიშვნელობას.

მოწაფეების გამოკითხვის დროს რამიშვილმა გაკვეთილის მთელი სიმძიმე სრულიად შეუმჩნევლად, ასე ვთქვათ, ბუნებრივად სასაუბროზე გადაიტანა.

მოწაფეების ცოდნის შემოწმების დროს ისიდორე, ეტყობოდა, განსაკუთრებულ ყურადღებას მაჰმადიან ქართველ მოწაფეებს აქცევდა და სცდილობდა ამ მოწაფეების ცოდნა და სწავლაში წარმატება ჩვენთვის დაენახვებინა.

— აბა, ოსმან, შენ როგორ ჰფიქრობ ამ საკითხის შესახებ? აბა, მამედ, მიეშველე ოსმანს! სულეიმანი ისე შემოგყურებთ, რომ ეტყობა არც შენა და არც მამედს არ ეთანხმება. აბა, სულეიმან, შენ რა აზრისა ხარ? ოსმანი და მამედი სწორათ მპასუხობენ?

იაკობს, ვატყობდი, ძრიელ მოსწონდა რამიშვილის მიერ გაკვეთილის დროს აღებული გეზი და მცინარე პირისახის გამომეტყველებით ხშირად გადმომხედავდა ხოლმე. გაკვეთილი დამთავრდა. მეორე განყოფილების მოწაფეები ისიდორემ სახლში გაისტუმრა.

რამდენიმე წუთის დასვენების შემდეგ რამიშვილმა მესამე და მეოთხე განყოფილებების მოწაფეები შეაერთა და ქართული ენის გამოკითხვას შეუდგა ამ განყოფილებებში.

მესამე განყოფილებაში, რამდენადაც ამჟამად მაგონდება, ოცი მოწაფე სწავლობდა, მეოთხე განყოფილებაში კი არა უმეტეს ხუთი მოწაფისა.

ისიდორე ამ განყოფილებებშიაც მოწაფეების გამოკითხვის იმავე ხერხს დაადგა, როგორც მეორე განყოფილებაში.

მოწაფეები რთულს მოთხრობებს და ლექსებს „ბუნების კარიდან“ კმასაყოფელად მოგვითხრობდნენ. გამოკითხვის დროს მასწავლებელი განსაკუთრებულ ყურადღებას ამ განყოფილებებშიაც მაჰმადიან ქართველ მოწაფეებს აქცევდა.

ჩვენი წინასწარი მოლაპარაკების თანახმად მე და იაკობი არც ამ განყოფილებებში ჩავრეულვართ გაკვეთილის მსვლელობაში.

სრულ პირველ საათზე გაკვეთილი დამთავრდა. მოწაფეები ისიდორემ სახლში გაისტუმრა.

სასწავლებელი დაცარიელდა. სკოლაში დავრჩით მხოლოდ იაკობი, ისიდორე და მე.

იაკობის განკარგულებით მე მოვაგროვე სამივე განყოფილებების მოწაფეთა ქართული ენის წლის განმავლობაში შესრულებული ნაწერები და დარაჯის ხელით სასტუმროში გავგზავნე გადასათვალიერებლად და სათანადო შესამოწმებლად.

წასვლისას ისიდორემ გვთხოვა: „ბ-ნო იაკობ! თქვენ და ბ-ნი ალექსანდრე დღეს შინაურ სადილზე გვესტუმრეთ. სადილი ექვსი საათისათვის მზად გვექნება და ერთად ვისადილებთ“. ჩვენც თანხმობა გამოუცხადეთ.

ნაშუადღევის ექვსი საათის ნახევრამდე მე და იაკობი მოწაფეების რვეულებს ვათვალიერებდით. ამოვირჩიეთ სუსტად, კმასაყოფელად და კარგად შესრულებული სამუშაოები სანიმუშოთ თბილისში წასაღებათ.

სრულ ექვს საათზე დაპირების თანახმად ჩვენ უკვე სასწავლებელში ვიყავით. სასადილო მაგიდა სამასწავლებლო ოთახში გაეშალათ. სასწავლებელში მხოლოდ ისიდორე რამიშვილი დაგვიხვდა, რომელიც ხან სამზარეულოში და ხან სასადილო ოთახში თვალყურს იჭერდა.

სასადილო ოთახში იწყეს დენა შავბლუზიანმა ახალგაზრდა ჭაბუკებმა, რომლებიც გვეცნობოდნენ და ეტყობოდათ ჩვენთან ერთად სადილის მოლოდინში იყვნენ. სულ ათამდე ყმაწვილი შეიკრიბა.

სადილათ დავსხედით. ისიდორე რამიშვილს იმერული სადილი მოემზადებინა. მართალია სუფრა მდიდრულად არ იყო გაწყობილი, მაგრამ იმერულად მომზადებული საჭმელები ყველას მადას გვიღვიძებდა და განსაკუთრებით კი იაკობ გოგებაშვილს, რომელიც იმერულ საჭმელებს თბილისში ჩვეულებრივ ნაკლებად ეტანებოდა.

ღომის ღომი, ცხელი ჭადები, სამეგრელოს საუცხოვო სულგუნები, ტაბაკად შემწვარი ვარიები, შემწვარი გოჭი და სვირის საუკეთესო ღვინო — აი ჩვენი სადილის მენიუ.

იაკობი არაჩვეულებრივად გამხიარულდა, რაიცა ყველას მეტად გვსიამოვნებდა და გვახარებდა.

ისიდორე რამიშვილმა სუფრის თამადობა იკისრა. პირვე-

ლი ტოსტი, რასაკვირველია, თამადამ იაკობ გოგებაშვილს მიუძღვნა და სხვათა შორის ასეთი სიტყვებით ძიძაობა ჩვენს მხცოვან პედაგოგს: „ბ-ნო იაკობ! სიამოვნებით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს. ვინც თქვენა და თქვენს მოღვაწეობას იცნობს, იგი უეჭველია დამეთანხმება, რომ თქვენ ქართველი ხალხის წინაშე დიდი ღვაწლი მიგიძღვისთ. საქართველოს მასშტაბით თქვენ დიდი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ხართ.

აგერ საცაა ორმოცი წელიწადი შესრულდება მას აქეთ, რაც თქვენ ქართული ანბანი პირველად გამოეცით. ეს ის ხანა იყო ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში, როცა ქართველ მშრომელთა შვილებს ქართული ანბანის მოხაზულობა თვალით არ ენახათ და არც შეეძლოთ ენახათ საზოგადოების ხედა ფენების წყალობით. მთელი ჩვენი იმდროინდელი ცხოვრება სადღაც უფსკრულისაკენ მიექანებოდა. ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა მოკლებული იყო საშუალებას ქართულ ენას დაწაფებოდა შესაფერისი ცოდნის შესაძენათ, ქართული ენის სწავლება სასწავლებლებში აღკრძალული იყო. ქართულ ენაზე ლაპარაკი სათაკილოდაც კი მიაჩნდათ. ასეთ დუხჭირსა და აუტანელ დროს ძნელი იყო საწინააღმდეგო ხმის ამაღლება.

მაგრამ თქვენ ეს ხმა გაბედულად აღამაღლეთ, ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას თვალები აუხილეთ, ხელში თქვენ მიერ შედგენილი ანბანი მიეცით. ეს თქვენი გაბედულად გადადგმული ნაბიჯი დიდ მნიშვნელოვან ფაქტათ უნდა იქნას აღიარებული მაშინდელ მოდუნებულ ჩვენი ცხოვრების პირობებში.

თქვენს ქართულ ანბანს მოყვა საუცხოოთ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები: „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსკოე სლოვო“ და სხვა დროის შესაფერისი მოთხრობები, რომელთაც ქართველ მოწაფეთა აზროვნებაში მთელი რევოლუცია მოახდინეს.

თქვენის სახელმძღვანელოებით მოიფინა მთელი საქართველო. თქვენ მიერ საუცხოოდ შედგენილი სახელმძღვანელოები დღითი დღე ფეხს იკიდებენ ჩვენს სკოლებში, ჩვენს ოჯახებში და ყურში ტკბილად აწვეთებენ ჩვენ მოზარდ თაობას სამშობლოს სიყვარულსა და პატივისცემას.

ძნელად მოიპოვება ამჟამად ისეთი ქართველი, რომელსაც

სწავლის დაწყებისას თქვენის „დედა ენის“ საშუალებით თვალები არ აეხილოს და ქართული ენის სიტკბოება არ შეეგრძნოს.

თქვენ ამჟამად სრულიად სამართლიანად შეგიძლიათ თქვენის ნაყოფიერი მოღვაწეობით იამაყოთ! მაგრამ ამავე დროს ნება მოგვეცით, პატივცემულო იაკობ, ჩვენც ვიამაყოთ თქვენი ესოდენ ნაყოფიერი მოღვაწეობით.

თქვენ, როგორც მოგახსენეთ, არამარტო დიდი პედაგოგი ხართ, არამედ დიდი საზოგადო მოღვაწეც. ამის უარყოფა მხოლოდ და მხოლოდ ბრმა ადამიანს შეუძლია.

ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, ქართული დრამატიული საზოგადოება, ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიები და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებანი თქვენის მონაწილეობით და თქვენი მადლიანი ხელითაა გამაგრებული და, თუ ეს მეტად მნიშვნელოვანი დაწესებულებანი დღესდღეობით ნაყოფიერად მოღვაწეობენ ქართველი მშრომელი ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, ამას თქვენს დიდ გამჭრიახობას, თქვენს დიდ ერუდიციას, თქვენს დიდ ზნეობრივ ძალას უნდა ეუმადლოდეთ.

თქვენ სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით ადგილობრივსა თუ სატახტო ქალაქში, ხმალამოღებული იცავდით და იცავთ თვითეულ ჩვენს კულტურულ დაწესებულებას.

მთავრობა, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ანგარიშს უწევს თქვენს ყველგან და მარადის სამართლიან ხმას.

თქვენი დიდი ერუდიციით, დიდი საბუთიანობით და სამართლიანობით დაწერილი პუბლიცისტური ხასიათის სტატიები ყუმბარასავით სქდება მტრის ბანაკში და იერიშით მოსულ მტერს ანადგურებს, მიწასთან ასწორებს.

ქართველი მშრომელი ხალხი თქვენს ასეთ დამსახურებას დიდათ აფასებს და ყოველ ეჭვს გარეშეა თავის საამაყო შვილებთა შორის საპატიო ადგილს მიგიჩნევს.

ამიტომ სიამოვნებით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს და გისურვებთ ჯერ კიდევ დიდ ხანს, დიდ ხანს ნაყოფიერ მოღ-

ვაწეობას ქართველი მშრომელი ხალხის საბედნიეროდ და სა-
კეთილდღეოდ".

ამ სიტყვებით დაამთავრა ისიდორე რამიშვილმა იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი ტოსტი.

რამიშვილის სიტყვის შემდეგ გამოვიდა შავბლუზიანი უმაწვილი კაცი, რომელმაც ასე მიმართა ჩვენს მხცოვან პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს! „დიდად პატივცემულო იაკობ! სულითა და გულით ვიზიარებ ჩვენი თამადის სიტყვებს თქვენის მოღვაწეობის შესახებ. ჩვენ მუშები, რომლებიც აქ ვიმყოფებით და რომელთა სახელით მე სიტყვას მოგმართავ, არც იმდენი ნასწავლები ვართ, რომ ჩვენ თამადის მსგავსად ასე ფართოდ და ყოველის მხრით გავაშუქოთ თქვენი ნაყოფიერი მუშაობა საზოგადოებრივ სარბიელზე. მაგრამ ჩვენ იმდენი ცოდნა კიდევ შეგვწევს, რომ ცხოვრების დღევანდელ პირობებში რამდენიმედ მაინც ვერკვევით.

მშრომელი ხალხი მთავრობის წყალობით დღეს ღელობით ძალზე დაბეჩავებულია, მშრომელი ხალხის კეთილდღეობაზე არავინ ჰფიქრობს, მუშა ხალხი სწავლა განათლებას მოკლებულია, მის გონებრივად განვითარებაზე არავინ ზრუნავს, მის წყვდიადით მოცულ ცხოვრებაში სინათლის შუქი არავის შეაქვს.

აი ასეთ მდგომარეობაში თუ ვინმე კეთილგანწყობილად, მეგობრულად ხელს გამოგვიწვდის, ჩვენ სრული ჩვენის რწმენით, სრულის ჩვენის შეგნებით ასეთ კეთილისმყოფელ ადამიანს მხურვალეთ მივესალმებით და ყველგან და მარადის დიდის პატივისცემით და სიყვარულით მოვიხსენიებთ.

აი ესეთ კეთილისმყოფელ ადამიანათ, პატივცემულო იაკობ, თქვენაც გვყავხართ მიჩნეული და კიდევაც ამიტომ მუშები დიდად გაფასებენ და პატივსა გცემენ.

აშკარად უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი და ჩვენი, საერთოდ მუშების, პოლიტიკური მრწამსი სულ სხვა და სხვაა. მაგრამ საბოლოო მიზანი კი ერთი და იგივე გვაქვს. ჩვენ, მართალია, სულ სხვა გზით მივდივართ, მაგრამ ბოლოსდაბოლოს ერთად შევხვდებით და ჩვენზე მოსეულ მტერზე ერთად გავიმარჯვებთ.

აი იმ საზეიმო დღეს, როცა ჩვენს დღევანდელ უბადრუკ ცხოვრებას ნათელი სხივები მოეფინება, მშრომელი ხალხი,

რომელსაც თვალები აუხილეთ თქვენის მადლიანი კალმით, უდიდეს მადლობას შემოგწირავს და თქვენს სახელს შარავანდედის სხივებით შემოსავს.

თამადასთან ერთად, პატივცემულო იაკობ, გისურვებთ დღეგრძელობას მშრომელი ხალხის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ".

ამ სიტყვის შემდეგ კიდევ მრავალი სადღეგრძელო წარმოითქვა. ყველა ორატორი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ქართველი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში ჩვენ მხცოვან პედაგოგს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის.

დაბოლოს, სიტყვა აიღო იაკობ გოგებაშვილმა, რომელმაც ასე მიმართა სტუმრებსა და მასპინძლებს: „ბატონებო! დიდ მადლობას გწირავთ კეთილის სურვილებისათვის. ჩემდამი მიძღვნილ სიტყვებში ორ გარემოებას მინდა ხაზი გაუსვა.

პირველი — თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ, რომ ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებელთა ნაწილი მეტად სამარცხვინო როლს თამაშობს ჩვენს სინამდვილეში. გულახდილად რომ ვსთქვათ, მასწავლებლების ეს ნაწილი მთავრობის გავლენის ქვეშ მოექცა და თავისი ყოველდღიური საქმიანობით ძირს უთხრის ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალებს. უფრო დაზუსტებით რომ ვსთქვათ, ეს ვაჟბატონები მთავრობის მიერ მოსყიდული აგენტები არიან სასწავლებლებში.

ქართველი ხალხი, ქართველი მოზარდი ახალთაობა, ქართული ენა უსირცხვილოდ დაგმეს ამ ვაჟბატონებმა და ანგარებით გატაცებულნი წარბშეუხრელად ატარებენ სკოლებში მთავრობის ყალბ სასკოლო პოლიტიკას.

ვინ მოსთვლის იმ უბედურებას, იმ საშინელებას, რომელიც შედეგად მოყვება ამ ვაჟბატონების საგმირო მოღვაწეობას, თუ მან მართლაც მასიური ხასიათი მიიღო.

აი ამ რამდენიმე დღის წინათ მე და ბ-ნ ალექსანდრე მიქაბერიძეს შემთხვევა გვქონდა დაგვეთვალიერებინა მთავრობის ერთერთი სასწავლებელი, რომელშიაც მასწავლებელი მთავრობის, რასაკვირველია, ლოცვა კურთხევით სამარცხვინო მოღვაწეობას ეწევა.

გული მიკვდება, როცა მაგონდება ეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა, რომელსაც სკოლებში მოელენილი მთავრობის ეს ჯალათები სულიერად და ხორციელად ამახინჯებენ,

მთელ მის არსებას სწამლავენ და ამრიგად ჩვენ მომავალ თაობას უდიდეს საფრთხეს უმზადებენ.

საბედნიეროდ, ჩვენს სკოლებში სხვა ტიპის მასწავლებლებიც მოგვეპოვება, რომელთაც გულს ახლოდ მიუტანიათ ხალხის სასიცოცხლო ინტერესები და მთელი თავისი ცოდნით, გამოცდილებით, მთელი თავისი მოღვაწეობით საეროვნო საქმეს ჰქმნიან და სასწავლო მთავრობას და მის დაგეშილ აგენტებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე მედგარ ბრძოლას უცხადებენ.

ესეთი ტიპის ერთ-ერთი მასწავლებელი ისიდორე რამიშვილიც გახლავთ, რომლის მებრძოლი ბუნება დღევანდელ რთულ პირობებში მეტად საგულისხმიერო და დასაფასებელია.

შეგვიძლია დავარწმუნოთ ჩვენი პატივცემული ისიდორე რამიშვილი, რომ ბოლოსდაბოლოს გამარჯვება მისა და მისი იდეების თანამოზიარე მასწავლებლების მხარეზე დარჩება და მასწავლებლის სახით მოვლენილი მთავრობის აგენტები სამარცხვინოთ ბრძოლის ველს დასტოვებენ თავის გამომგზავნ პატრონებთან ერთად და ხალხის გულისწყრომას სამართლიანად დაიმსახურებენ.

ეს განკითხვის დღეც მოახლოვებულია, იგი არც ისე შორსაა. იმედი, იმედი და კიდევ იმედი — აი რა მანუგეშებს და სიცოცხლის ძალას მმატებს.

მეორე გარემოება, რომელზედაც მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო, შემდეგში მდგომარეობს.

მე კაბინეტის კაცი გახლავართ. ყოველივე საკითხს თეორეტიკულად ვუდგები და ვცდილობ ამრიგად დამუშავებულ საკითხები პრაქტიკულად ცხოვრებაში გავატარო. დღემდე ვფიქრობდი, ცხოვრებას კარგად ვიცნობ, ხალხის ღირსებას და ნაკლოვანება, ხალხის საჭიროება და საერთოდ მისი მდგომარეობა შესწავლილი მაქვს. ეს იყო ჩემი რწმენა. მაგრამ, როგორც ამჟამად ვრწმუნდები, შემცდარი ვყოფილვარ. ცხოვრებას ვერ ვიცნობდი თურმე იმ მხრით და იმ რიგად, როგორც ეს მართლაც სინამდვილეში ყოფილა.

აი საბუთიც ამ ჩემი დასკვნისათვის. ჩვენს ტრაპეზზე თავი მოუყრიათ ყმაწვილებს, რომლებიც ფიზიკურ შრომაში არიან თურმე ჩაბმული, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ მუშები არი-

ან. ეს ყმაწვილები, როგორც ხედავთ, საღათ მსჯელობენ, საკმაო გონებრივი განვითარებაც შესწევთ, ქართველი ხალხის კეთილდღეობაზე ფიქრობენ, მოშაკულს იმედიახად შეჰყურებენ. ეს ხალხი ჩვენდა შეუშჩნევლად გოხებრივად გაზრდილა, ცხოვრების იდეალი შეუქმნია და ამ იდეალისაკენ მიისწრაფვის.

ეს მეტად სასიამოვნო მოვლენაა და ჩვენც საძარცხვინოთ მხედველობიდან გამომპარია, დროულად ვერ შემნიშნავს. — აი რატომ მოგახსენეთ, რომ ცხოვრებას თურმე სავსებით ვერ ვიცნობ მეთქი.

ვუსურვებ ამ ჯანსაღსა და საიმედო ელემენტს ცხოვრებაში გაბატონებას.

ყმაწვილებო, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! ეცადეთ ყველგან და მარადის ჩვენს ხალხს შეუქმნათ ცხოვრებისათვის ხელსაყრელი პირობები! თუ გსურთ, რომ ამ მიზანს პირნათლად მიაღწიოთ, ეცადეთ თქვენს რიგებში არცერთი მუშა არ დარჩეს, რომ წერაკითხვა არ შეასწავლოთ!

შემჩნეულია, რომ წერაკითხვის უცოდინარის გამომუშავებული პროდუქცია რაოდენობითაც და ხარისხობრივად გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წერაკითხვის მცოდნეს მიერ გამომუშავებული.

ეს ისეთი უდავო ჭეშმარიტებაა, რომელსაც თანამედროვე მეცნიერება არა თუ არ უარყოფს, პირიქით კიდევაც ადასტურებს.

როცა წერაკითხვის მცოდნე მუშახელი საქმიანობაში ჩაებმება, იგი შეგნებულათ მხარს დაგიჭერთ და თქვენთან ერთად ხელიხელს ჩაკიდებული გაამაგრებს იმ პოზიციებს, რომელზედაც დღეს დღეობით მტერს იერიში იერიშზე მოაქვს.

იმედს გამოვთქვამ, რომ ამ ჩემს სურვილს არ უგულებელჰყოფთ და ჯეროვანის ყურადღებით მოეპყრობით.

გისურვებთ გამარჯვებას ცხოვრებაში!“

ასე დაამთავრა იაკობ გოგებაშვილმა თავისი საპასუხო სიტყვა.

სადილი საღამოს 8 საათზე დამთავრდა. გამოვემშვიდობეთ სტუმრებსა და მასპინძლებს და სასტუმროში დავბრუნდით.

მეორე დღეს პირველი განყოფილების რევიზიას შეუდეჭით. ამ განყოფილებაში იმჟამად ივლიანე გოგოლაშვილი ას-

წავლიდა. მასწავლებელს წლიური პროგრამა სავსებით დაემთავრებია.

იაკობი ნაკლებად ერეოდა გაკვეთილის მსვლელობაში. იველიანე გოგოლაშვილი, როგორც ეტყობოდა, გამოცდილი მასწავლებელი იყო. იგი ისე მოხერხებულად, ისე მარტივად უყენებდა მოწაფეებს კითხვებს, რომ ყოველად შეუძლებელი იყო დამაკმაყოფილებელი პასუხი არ მიეღო.

გამართულად კითხვა, სიტყვების დაფაზე სწორად დაწერა, ლექსების ზეპირად მოყოლა, პატარ პატარა ამბების დალაგებით თხრობა მოწაფეებს საკმარისად ეხერხებოდათ.

სასაუბროები იველიანე გოგოლაშვილმა თუმცა კარგად ჩაატარა, მაგრამ იაკობი სასაუბროების ჩატარებას მეტი ცხოველმყოფელობით მოითხოვდა.

ბათუმის სკოლაში, ისე როგორც ძველი სენაკის სკოლაში, მასწავლებლის ყურადღება იაკობმა მიაქცია იმ გარემოებას, რომ ქართული ენის სწავლების დროს სასაუბროების მართებულად ჩატარებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვსო.

ცხოველმყოფელად ჩატარებული სასაუბროები მოწაფეებს სწორად აზროვნებას აჩვევს, გონებას უვითარებს, ცნობისმოყვარეობას უღვიძებს და ამრიგად საგნის წარმატებით შეთვისებას ხელს უწყობს.

მოწაფეთა ანგარიშის ცოდნის შემოწმების დროს იველიანე გოგოლაშვილს იაკობმა მიუთითა, რომ ანგარიშის სწავლება ცხოვრების შესაბამისად უნდა სწარმოებდეს. მშრალი ციფრების შეკრება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა მოწაფის გონებას ასერიგად ვერ სწვრთნის, აზროვნების პროცესს ვერ უვითარებს. ყოველ კერძო შემთხვევაში ციფრების ამეტყველება საჭიროა პრაქტიკული სარგებლობის თვალსაზრისით.

მოწაფეების ანგარიშის ცოდნა პროგრამის ფარგლებში იაკობმა დამაკმაყოფილებლად მიიჩნია.

სრულ 11 საათზე პირველი განყოფილების რევიზია დავამთავრეთ. მასწავლებელმა მოწაფეები სახლში გაისტუმრა.

მცირედი დახანების შემდეგ ისევ ისიდორე რამიშვილს ვეწვიეთ.

მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებების მოწაფეები, როგორც ზემოდ მოვიხსენიეთ, ერთ საკლასო ოთახში მეცადინეობდნენ.

ისიდორემ მესამე და მეოთხე განყოფილებებში მოწაფეებს წერითი საშუშაო დაუნიშნა, ხოლო მეორე განყოფილებაში კი ანგარიშის გამოკითხვას შეუდგა.

მთელი ნახევარი საათის განმავლობაში ისიდორე წუნარად, მეგობრულის კილოთი ესაუბრებოდა მოწაფეებს და ასეთი საუბრის დროს მოწაფეები შეუმჩნევლად, ძალდაუტანებლად, დიდის გატაცებით ხალისიანად ხსნიდნენ და განმარტებდნენ მეტად რთულ ამოცანებს, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებიდან იყო აღებული.

იაკობი, ეტყობოდა, ძრიელ კმაყოფილი იყო მოწაფეების დიდი ოსტატობით, დიდის დახელოვნებით გამოკითხვისა. მთელი გაკვეთილის განმავლობაში სიტყვა არ დაუძრავს და ნიშნად დიდი კმაყოფილებისა, დროგამოშვებით ღიმილით გადმომხედავდა ხოლმე.

ანგარიშის გამოკითხვის შემდეგ ისიდორემ მეორე განყოფილების მოწაფეებს წერითი სამუშაო მისცა და მესამე და მეოთხე განყოფილებებში ანგარიშის გამოკითხვას შეუდგა.

ისიდორემ მესამე და მეოთხე განყოფილებებშიაც საუცხოოდ ჩაატარა მოწაფეების ანგარიშის გამოკითხვა.

იაკობი ერთხელაც არ ჩარეულა გაკვეთილის მსვლელობაში, იგი მხიარული სახის გამომეტყველებით გამოსთქვამდა თავის კმაყოფილებას.

ისიდორემ მეორე განყოფილების მოწაფეები, როცა წერითი სამუშაოს მორჩენ, სახლში გაისტუმრა, ხოლო მესამე და მეოთხე განყოფილებების მოწაფეები ერთი საათით კიდევ სასწავლებელში დასტოვა. ამ განყოფილებებში სამშობლოს აღწერის გაკვეთილები უნდა მოგვესმინა.

ათი წუთის შემდეგ ორივე განყოფილებაში სამშობლოს აღწერის გაკვეთილი დაიწყო.

ისიდორემ თავდაპირველად მოწაფეების ყურადღება ბათუმისა და ბათუმის გარშემო ადგილების აღწერაზე შეაჩერა.

ბათუმი და ბათუმის გარშემო მდებარე ადგილები, კლიმატიური პირობები, მიწის ნიადაგი, ადგილობრივი მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ზღვა და ბათუმის ნავთსადგურის მნიშვნელობა, სავაჭრო და სამრეწველო დარგის თანდათანობითი განვითარება, სწავლა განათლების მდგომარეობა — აი ის საკითხები, რომლის გარშემო მასწავლებლის ხელ-

მძღვანელობით მოწაფეები ბაასობდნენ და დალაგებით მოგვითხრობდნენ თვითეული საკითხის განმარტებას.

ბათუმისა და ბათუმის გარშემო მდებარე ადგილებიდან მოწაფეები ექსკურსიას ახდენენ აფხაზეთსა, სამურძაყანოსა, სამეგრელოსა, იმერეთსა და ქართლ-კახეთში და განსაზღვრული გეგმის მიხედვით მეტად დამაკმაყოფილებელ ცნობებს იძლევიან მოხსენებული კუთხეების შესახებ.

საქართველოს მრავალფეროვანი მდიდარი ბუნება, ზომიერი ჰავა, მიწის ნიადაგის სინოყიერე, ცხოველების და მცენარეთა სამეფო, მეურნეობის სხვადასხვა დარგის ამა თუ იმ კუთხეში განვითარება მოწაფეებმა სრულიად შეგნებულად და გარკვევით გაგვიშუქეს.

ისიდორე რამიშვილმა სამშობლოს აღწერის ეს გაკვეთილი ისე ოსტატურად, ისე დახელოვნებურად ჩაატარა, რომ იაკობი და მე აღტაცებაში მოგვიყვანა.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ იაკობი მიუბრუნდა ისიდორე რამიშვილს და უთხრა: „ბ-ნო ისიდორე! თქვენ ძალიან დაგვავალებდით, რომ სამშობლოს აღწერის ამ საუცხოვო გაკვეთილებს იმ სახით და იმ მოხაზულობით, როგორადაც ამას თქვენ მოწაფეებთან კლასში აწარმოებთ, ჩასწერდეთ და სახელმძღვანელოს სახით ჩვენს სკოლებს მიუძღვნიდეთ. ასეთი სახელმძღვანელოს უქონლობა მეტად აფერხებს ჩვენი სკოლების ნაყოფიერად მოღვაწეობას. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა დიდის სიამოვნებით გამოცემდა ასე ფრიად საჭირო წიგნს“.

ისიდორემ თავისებურად ჩაიცინა ულვაშებში და ასე უპასუხა იაკობს: „ბ-ნო იაკობ! ჩემი დაწერილი სამშობლოს აღწერის სახელმძღვანელო, ვფიქრობ, მკრთალი სურათი იქნება იმ გაკვეთილებისა, რომლებსაც მე კლასში ვატარებ ხოლმე. დღევანდელი საუბარი რომ ქაღალდზე გადავიტანო, ეს საუბარი ის აღარ იქნება, რაც თქვენ მოისმინეთ. კლასში ჩემს გაკვეთილებს თითქოს ცხოველმყოფელობა ეტყობა, მოწაფეები გატაცებით მისმენენ, მეც ერთგვარად გატაცებული ვარ და ზოგჯერ კიდევაც მავიწყდება, რომ კლასში ვსაუბრობ.

კლასში სულ სხვა ადამიანი ვარ და სახელმძღვანელოს შემდგენელის როლში, ვფიქრობ, სულ სხვა ადამიანი ვიქნები.

რამდენადაც მე კლასში თითქოს ჩემ ადგილას ვარ, იმდე-

ნად შეუფერებელი სუსტი გამოვდგები სახელმძღვანელოს შემდგენელის როლში. ჩემი კალამი რომ თქვენ კალამსავით ბალავარი და ღონიერი იყოს, ერთ წუთსაც არ დაკავებდი და სახელმძღვანელოს შედგენას შეუდგებოდი. სამწუხაროთ, ეს ასე არ არის და ამიტომ ვშიშობ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავაყენო არც ჩემი თავი და არც ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა".

ისიდორე რამიშვილი თავის სიტყვის პატრონი იყო და ეს თავის სიტყვა კიდეც შეასრულა.

ისიდორე რამიშვილს სამშობლოს აღწერის სახელმძღვანელო არ შეუდგენია და ვფიქრობთ ამ მხრით მას დიდი დანაშაული მიუძღვის ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის წინაშე.

რევიზიის მესამე დღეს განყოფილებაში გავმართეთ საკონტროლო სამუშაოები, შევაგროვეთ წლის განმავლობაში შესრულებული რვეულები, შევამოწმეთ სასწავლებლის სამეურნეო ნაწილი და რევიზიაც დამთავრებულად მივიჩნიეთ.

სასწავლებლის ნაყოფიერი მუშაობით დიდად ნასიამოვნები საღამოს მატარებლით თბილისისაკენ გამოვემგზავრეთ.

იაკობ გოგებაშვილი და გრიგოლ ვოლსკი

ბათუმის ქართულ სკოლას, მზგავსად ქუთაისისა და ძველი სენაკის სკოლებისა, ჰყავდა თავისი ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ იყო ბათუმის ქალაქის ბოურავის მოადგილე, ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, გრიგოლ ვოლსკი.

ადგილობრივი სამზრუნველო კომიტეტი, რომლის წევრთა შემადგენლობაში შედიოდნენ ბათუმის ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, დიდ ნივთიერ და მორალურ დახმარებას უწევდა ბათუმის ქართულ სკოლას.

სამზრუნველო კომიტეტის უანგარო შრომის წყალობით ბათუმის ქართულ სკოლას ზურგი მუდამ გამაგრებული ჰქონდა. კომიტეტი დიდ დახმარებას უწევდა სასწავლებელს. ქალაქის თვითმმართველობის ხმოსნები, როცა ქალაქის საბჭოში ბათუმის ქართული სკოლის შესახებ რაიმე საკითხი დაისმებოდა, გრიგოლ ვოლსკის პატივისცემით გულთბილად ეკიდნენ

ბოდნენ სასწავლებელს და ნივთიერ დახმარებას მუდამ აწ-
ვდიდნენ.

მასწავლებელთა და სამზრუნველო კომიტეტის წევრთა შორის მუდამ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება არსებობდა, რაიც სკოლის ნაყოფიერად მუშაობას მრავლად ხელს უწყობდა.

წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, ბათუმის ქართველი საზოგადოება და მოწაფეთა მშობლები სრულ იმედს გამოსთქვამდნენ, რომ ბათუმის ქართული სკოლა საიმედო ხელშია.

გამოცდილი და დახელოვნებული მასწავლებლების და სამზრუნველო კომიტეტის წევრთა შეთანხმებული მუშაობა სრულ იმედს იძლეოდა, რომ სკოლა თავის დანიშნულებას პირნათლად შეასრულებდა. სკოლის საკეთილდღეოდ, მიმართული მასწავლებლებისა და სამზრუნველო კომიტეტის წევრთა მეგობრული დამოკიდებულება ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთხელაც არ შერყეულა, არ დაჩრდილულა.

ესეთი ცნობები გვქონდა თბილისში, როცა იაკობ გოგებაშვილი და მე ბათუმის ქართული სკოლის სარევიზიოთ მიველმგზავრებოდით.

გრიგოლ ვოლსკიმ, როგორც კი გაიგო ჩვენი ბათუმში ჩამოსვლა, დაუყოვნებლივ სასწავლებელში მოვიდა და გვინახულა. მოგვიკითხა. მოვიკითხეთ. ეტყობოდა, ვოლსკი დიდად კმაყოფილი დარჩა იაკობ გოგებაშვილის ბათუმში ჩამოსვლით.

— დიდად მოხარული ვარ, ბ-ნო იაკობ, რომ მოგვინახულეთ. დაათვალიერეთ სკოლა, შეამოწმეთ რაც შესამოწმებელია და შემდგომ ერთად მოვილაპარაკოთ. ახლა სამსახურში მივეჩქარები და ბოდიშს ვიხდი, რომ მეც მონაწილეობას არ ვიღებ სასწავლებლის დათვალიერებაში.

ვოლსკი ამ მცირედი მისალმების შემდეგ თავაზიანათ გამოგვემშვიდობა და თავისებური სწრაფი ნაბიჯით ქალაქის სამმართველოსაკენ გაემართა.

მეორე დილით, სანამ სასწავლებელში წავიდოდით, ვოლსკიმ შემოიარა სასტუმროში და იაკობი და მე სადილად დაგვპატიჟა. საღამოზე თავისუფალი ვარ და შეგვიძლია სკოლის შესახებაც მოვილაპარაკოთ. მოვისაზროთ, გამოვარკვიოთ თუ

რამ გამოსარკვევია სკოლის ცხოვრებაში და საჭირო ზომებიც დავსახოთო.

საღამოს ხუთ საათზე დაპირების თანახმად იაკობი, გრიგოლ ვოლსკი და მე სასტუმროში შევიკრიბენით. ჩვენს გარდა სხვა არავინ ყოფილა მოპატიჟებული.

გრიგოლ ვოლსკის თუმცა დაღლილობა ეტყობოდა, მაგრამ იგი თავის ჩვეულებრივ სიმკვირცხლეს არ ღალატობდა და სადილის თავდარიგს ხალისიანად იჭერდა.

სუფრა სასტუმროს ერთერთ საუკეთესო კაბინეტში გაგვიშალეს. ღია ფანჯრებიდან შავი ზღვის ზედაპირი დიდ მანძილზე მოსჩანდა. ზღვის წყნარი ნიავი საამურად გვეხმატკბილებოდა და კაბინეტში მხიარულ ატმოსფეროს ჰქმნიდა.

გავმხიარულდით. იაკობიც შესამჩნევად გამხიარულდა. გრიგოლ ვოლსკიმ დაღლილობა უკუაგდო და ხალისიანად გვიმასპინძლდებოდა.

ყველანი მადიანად შევექცეოდით საგანგებოდ გამართულ სუფრას.

გრიგოლ ვოლსკიმ ჭიქას ხელი მარდად წამოავლო, ჭიქა ჭიქაზე მოგვიჯახუნა და მხიარულად შემოგვძახა, მასპინძელსა მხიარულსა სტუმრები ჰყავს მხიარულიო.

გაჩაღდა სადილი. მეგობრული მუსაიფი გაიმართა. იაკობმა გრიგოლ ვოლსკის თავის შთაბეჭდილება გაუზიარა სკოლის შესახებ. სასწავლებელი მეტად კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. მოწაფეებს სასწავლო საგნები საკმარისად შეუთვისებიათ. მაჰმადიანი მოწაფეები, რომელთათვისაც ეს სკოლა უმთავრესად დაარსებულია, თავის ამხანაგებს ჩამორჩებიან, მაგრამ ეტყობათ მაინც ბეჯითად მეცადინეობენ და სწავლაში ერთგვარ წარმატებას იჩენენ. მასწავლებლები პირნათლად ასრულებენ თავის მოვალეობას. თუ სწავლა აღზრდის საქმე მომავალშიაც ასე კარგად წავიდა, ბათუმის ქართული სკოლა ჩვენს სკოლებთა შორის ერთერთ საუკეთესო ადგილს დაიჭერსო.

— დიდად მოხარული ვარ, ბ-ნო იაკობ, რომ ჩვენ სკოლას ესეთი კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია თქვენზე. მწამს, რომ მასწავლებლებიც გამოცდილი და დახელოვნებული არიან თავის საქმეში, სწავლა აღზრდის საქმეც წესიერად მიმდინარეობს.

ყოველივე ეს კეთილი და პატიოსანია, მაგრამ სკოლის ცხოვრებაში არის ძხარე, რომელიც მეტად მაღონებს და მაფიქრებს.

დაუფარავად უნდა მოგახსენოთ, რომ სასწავლებელში, როგორც ვუკვირდები, რაღაც ანომალური მდგომარეობა იკიდებს ფეხს. მასწავლებლები, როგორც კი მაცადინეობას მორჩებიან, სადღაც გარბიან და ღმერთმა უწყის, სად ან რას აკეთებენ. სასწავლებლის კარები მუდამ გამოკეტილია.

ვფიქრობ და დარწმუნებულიცა ვარ, მასწავლებლები განსაკუთრებით ისიდორე რამიშვილი, პოლიტიკურის მოსაზრებით აგიტაციას ეწევიან და ქარხნის მუშებს დღევანდელ წესწყობილების წინააღმდეგ ამხედრებენ.

მუშებში და ინტელიგენციის ერთ ნაწილში დღითი დღე ფეხს იკიდებს რაღაც ახალი მოძრაობა, რომელიც თანამედროვე წესწყობილებას უარყოფს და ახალი წესწყობილების დამყარებას გვპირდება.

ბოროტი ენები იმასაც მოგახსენებენ, რომ ჩვენს სკოლაში პოლიტიკური ხასიათის კრებებიც კი იმართება და რამიშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის საწინააღმდეგო საკითხები ირჩევაო.

ისიდორე რამიშვილი უდავოდ ნიჭიერი კაცია და თავისი მჭერმეტყველობით მუშებში დიდი ავტორიტეტი აქვს მოხვეჭილი. მუშები ყოველივე მის რჩევასა და დარიგებას ყურადღებით ისმენენ, ისიდორე რამიშვილის აზრი და შეხედულება მუშებს ხალას ოქროთ მიაჩნიათ და ამიტომაც მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე აქებენ და ადიდებენ, მის სახელს შარავანდედის სხივებით მოსავენ...

აი, ბ-ნო იაკობ, ეს თავის მოსაბეზრებელი ამბავი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ისიდორე რამიშვილი და მისი თანამოაზრეები, როგორც ხედავთ, არაფერს არ ინდობენ და აბა რა საფიქრებელია ჩვენი ქართული სკოლა დაინდონ, დაზოგონ. მთავრობა ჯერ კიდევ არც ისე ბრმაა და სუსტი, რომ ჩვენს სკოლას კალთა გადააფაროს. დარწმუნებული ვარ, ერთ მშვენიერ დღეს ამ ჩვენს სკოლას მიგვიკეტავს.

ვშიშობ, უბედურება თავს არ დაგვატყდეს. ამდენი ხნის ნაამაგდარევმა სკოლამ ჩემი პასუხისმგებლობის დროს სამუდამოდ კარები არ გამოიკეტოს.

საჭიროა ახლავე რაიმე საიმედო ზომები დავსახოთ და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი უბედურება.

პირადად ჩემი წინადადება იქნებოდა, რომ ისიდორე რამიშვილს ბათუმის ქართულ სკოლას უმტკივნეულოდ ჩამოვაშორებდეთ. თუ ეს ღონისძიება, რაც შეიძლება სასწრაფოთ ცხოვრებაში არ გავატარეთ, სასწავლებელს აუცილებლად დავღუპავთ.

იაკობი ყურადღებით უსმენდა ვოლსკის და ეტყობოდა უსიამოვნოდ ხდებოდა.

მცირედი დახანების შემდეგ იაკობიც ამეტყველდა:

„ბ-ნო გრიგოლ, გეთანხმებით, რომ სკოლას უნდა გავუფრთხილდეთ. თავისთავად ცხადია, მთავრობა არ დაგვ ხდობს, არ დაგვზოგავს, ოღონდ კი რაიმე ხელჩასაკიდებელი საბუთი იპოვოს. სკოლა რომ მართლაც დაგვიხურონ, ეს ხომ დიდი უბედურება იქნება ჩვენთვის. ბათუმის სკოლის თავდათავი მიზანი ის იყო, რომ მაჰმადიან ქართველ მოსახლეობაში სწავლა განათლების შუქი შეგვეტანა, ამ ჩვენს მოძმე ქართველობას, რომელიც ჩვენ ეროვნულ სხეულს თითქმის მოწყვეტილია, დავუახლოვებოდით, მასთან საერთო ენა მოგვეძებნა.

ბათუმის ქართული სკოლა ამ ჩვენ მიერ წინასწარ დასახულ მიზანს ნაწილობრივ დღემდე კიდევაც ანხორციელებდა.

სამწუხაროდ, ამჟამად ისეთი მდგომარეობა შექმნილა, რომ, თქვენის რწმუნებით, ამ ჩვენ საშვილიშვილო საქმეს დიდი საფრთხე მოელის თურმე.

ჩემის პირადი შეხედულებით, ისიდორე რამიშვილი რომ ამჟამად სასწავლებელს ჩამოვაშოროთ, საქმეს კიდევ უფრო გავართულებთ.

ჩვენს სინამდვილეში, როგორც სჩანს, ახალი მიმართულება, ახალი მოძრაობა ფართო მასშტაბით ფეხს იკიდებს.

ისიდორე რამიშვილის მომხრეები ასე რიგად ვერ შეურიგდებიან თავისი ხელმძღვანელის ბათუმის სკოლიდან გაძევებას და ვშიშობ ამ ნიადაგზე საქმე კიდევ უფრო არ გავართულოთ.

თვითეულ მასწავლებელს სრული უფლება აქვს თავის რწმენის მიხედვით იმოქმედოს, ეს თავისი რწმენა როგორც ჰსურდეს, ისე გაანაღდოს, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ

სკოლა, საცა იგი მასწავლებლობს, უზრუველჰყოს ყოველ-გვარი განსაცდელისაგან.

ჩვენ კატეგორიულად უნდა მოვთხოვოთ ისიდორე რამიშვილს, რომ მან სკოლის გარეშედ თავისი მოქმედებით, სასწავლებელს არაფერი ავნოს, გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩააყენოს.

ისიდორე რამიშვილი იმდენად შეგნებული ადამიანია, რომ ჩვენს ასეთ მოთხოვნას აუცილებლად შეასრულებს.

მეორეს მხრით, ბ-ნო გრიგოლ, ისიდორე რამიშვილი იმდენად გამოცდილი და მომზადებული მასწავლებელია, რომ მისი ასე რიგად გამეტება მიზანშეუწონელად მიმაჩნია. რამიშვილის მზგავსი მასწავლებლები დღესდღეობით თითებზე ჩამოსათვლელია.

ვშიშობ, რომ ისიდორე რამიშვილის სამაგიერო მასწავლებლის გამოძებნა გაგვიჭირდება.

ყოველ შემთხვევაში, ბ-ნო გრიგოლ, თქვენს აზრსა და მეხედულებას საზოგადოების გამგეობას მოვახსენებთ საბოლოოდ გადასაწყვეტად"-ო.

გრიგოლ ვოლსკი, ცხადია, არ მოელოდა ასეთ პასუხს, იგი დანაღვლიანებული ხან მე შემომხედავდა და ხან ბ-ნ იაკობს და სიტყვას არ სძრავდა.

სადილსაც მოვრჩით. გამოვემშვიდობეთ ჩვენს მასპინძელს.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი მოსაზრება ბათუმის სკოლის შესახებ ქ. შ. წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობაში მთლიანად გაატარა.

ისიდორე რამიშვილი ისევ ბათუმის ქართულ სკოლაში დარჩა უფროს მასწავლებლად და თავის ნაყოფიერ მუშაობას სკოლაში განაგრძობდა იმ დრომდე, სანამ იგი სახელმწიფო სათათბიროს წევრად არ აირჩიეს.

აკაკი წერეთელი და იაკობ გოგებაშვილი

მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ქართველი ერის გონებრივი და ეკონომიური განვითარება რუსეთის თვითმპყრობელობის აღვირწახსნილ პოლიტიკის ზეგავლენით შეფერხდა,

უკუღმა დატრიალდა. ქართველი ხალხის ის დიდი კულტურა, რომელსაც იგი საუკუნოების განმავლობაში ჰქმნიდა, რომლითაც იგი ასე თავმოწონეთ ამაყობდა, მოისპო და განადგურდა. მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენებული სასწავლებლების არსებობა ერთიანად მოისპო და ამრიგად მომავალი თაობის გონებრივად განვითარებას გაუვალი საზღვარი დაედო.

რუსული ენა, რუსული სკოლა, რუსული მიმართულება ყველგან და ყველაფერს ეუფლებოდა და ძირს უთხრიდა ქართველი ხალხის სასიცოცხლო ძალებს.

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე რუსულმა ენამ შეცვალა ქართული ენა. ქართველ ხალხს ენა პირიდან ამოაგლიჯეს. ქართველი ხალხი იძულებული იყო შვილებისათვის სწავლა განათლება რუსულ სასწავლებლებში მიეცა, რუსული ენის საშუალებით სახელმწიფო დაწესებულებებში გზა გაეკვლია, რუსული ენის საშუალებით სამართალი ძოეპოვა.

ქართველი ხალხი ქართულ კულტურას ჩამოშორდა, უკეთ რომ ვსთქვათ ჩამოაშორეს, ქართულ ენას დანატრულდა, ეკონომიურად გაღატაკდა, დღითი დღე წელში იზნიქებოდა, ოფლში იწურებოდა და ამ საბედისწერო მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ჰპოულობდა.

ქართველი ხალხის მოწინავე ადამიანები დიდის გულისტკივილით შეჰყურებდნენ ყოველივე ამას და დროისა და შეძლების მიხედვით ცდილობდნენ გამოეხსნათ მშობელი ერი მოსალოდნელ განსაცდელისაგან, მცირედად მაინც შეემსუბუქებიათ ის მძიმე ტვირთი, ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც ასე შეუბრალებლად უფსკრულისაკენ მიაქანებდა ოდესღაც დიდი კულტურის მატარებელ ქართველ ხალხს.

ქართველი ხალხის თვალსაჩინო მოღვაწეებმა დიმიტრი ყიფიანმა, ილია ჭავჭავაძემ, იაკობ გოგებაშვილმა, ნიკო ცხვედაძემ და სხვებმა ქართველი ერის სასიცოცხლო ძალების უზრუნველსაყოფად დიდი ცდისა და მაცადინეობის შემდეგ გადალახეს ათასგვარი დაბრკოლება და დააარსეს მთავრობის ნებართვით „ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, რომლის პირველ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დიმიტრი ყიფიანი.

მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების მიხედვით საზოგადოებას უფლება ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუ-

თხეში დაეარსებინა ქართული სკოლები, ქართული ბიბლიოთეკები, გამოეცა ხალხისათვის საკითხავი წიგნები, შეეგროვებინა მნიშვნელოვანი ხელთნაწერები, ისტორიული მნიშვნელობის ნივთები და სხვა.

საზოგადოების გამგეობა დაუყოვნებლივ შეუდგა აქტიურ მუშაობას, რამაც სულ მოკლე ხანში თავისი ნაყოფი გამოიღო.

თბილისსა, ქუთაისსა, ბათუმსა, ბაქოსა, კავკავსა და სხვა ადგილებში დაარსდა ქართული სკოლები, გაიმართა სახალხო ბიბლიოთეკები, გაჩაღდა ქართული წიგნების გამოცემა. გამგეობამ დააარსა საზოგადოების საკუთარი წიგნთსაცავი, საცა თავი მოუყარა ძვირფას წიგნებსა და ხელთნაწერებს. გამგეობის მეცადინეობით საზოგადოებამ გახსნა ქართული წიგნების სავაჭრო მაღაზია, საცა ქართველი ხალხი ქართულ წიგნს ადვილად ჰპოულობდა.

საზოგადოების ნაყოფიერი მოღვაწეობა სულ მოკლე ხანში ფართოდ გახმაურდა. ქართველი ხალხი იმედიანად შეჰყურებდა საზოგადოების ნაყოფიერად მოღვაწეობას და თავის ნივთიერსა და მორალურ დახმარებას არ აკლებდა, რათა საზოგადოებას თავისი მოვალეობა ერის წინაშე პირნათლად შეესრულებინა.

ქართველმა ხალხმა წერაკითხვის საზოგადოება გულწრფელად შეიყვარა და ამ თავის სიყვარულს იგი საქმითაც ამტკიცებდა.

ძნელად მოიპოვებოდა საქართველოსა და საქართველოს გარეშე ისეთი ქართველი, რომელსაც წერაკითხვის საზოგადოებისათვის ძმური ხელი არ გაეწვდინოს და დახმარება ამა თუ იმ სახით არ გაეწიოს.

წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ქართველი ხალხის დიდ კულტურულ დაწესებულებად გადაიქცა.

ვინ იქნებოდა ისეთი შეგნებული ქართველი, რომელიც თბილისში ჩამოვიდოდა და ერთი წუთითაც საზოგადოების კანცელარიაში არ შეეარა და საზოგადოების ავკარგიანობა არ გაეგო.

თბილისში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები, მწიგნობრები, პროვინციიდან ჩამოსული სახალხო სკოლების მასწავლებლები თითქმის ყოველდღე შემოდი-

ოდნენ საზოგადოების კანცელარიაში და ჩვენი საზოგადო საქმეების ირგვლივ ბჭობდნენ და მასლაათობდნენ.

საზოგადოების კანცელარიაში თავს იყრიდნენ ჩვენი წარსულის მკვლევარები, რომლებიც საზოგადოების ბიბლიოთეკაში იკვლევდნენ, იძიებდნენ ძველისძველ ხელთნაწერებს.

მახსოვს, ღრმად პატივცემული ჩვენი პროფესორი, ორდენოსანი ივანე ჯავახიშვილი, როცა საბაფხულოთ პეტერბურგიდან თბილისში ჩამოვიდოდა ხოლმე, საზოგადოების წიგნთსაცავში აღამებდა და ათენებდა. ზოგჯერ ისე დაიღლებოდა და მოიქანცებოდა, იძულებული ვიყავით კანცელარიის მოსამსახურენი პატივცემული ჩვენი მეცნიერი წყლით მოგვესულიერებინა.

საზოგადოების ხშირი სტუმრები იყვნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის მეცნიერებიც, რომლებიც მთელი საათობით ეცსობოდნენ იმ ძველისძველ ხელთნაწერებს, რომლებიც უნიკომების სახით დაცული იყო საზოგადოების წიგნთსაცავში.

ვაჟა-ფშაველა, როცა თავის სოფელ ჩარგლიდან გუდა ნაბად აკიდებული თბილისში ჩამოვიდოდა, პირველ ვიზიტს წერაკითხვის საზოგადოებას გაუკეთებდა. წიგნის მაღაზიაში შიო მღვიმელთან მცირედი ლაპარაკის შემდგომ აუცილებლად კანცელარიაში შემოვიდოდა, გადაგვიშლიდა თავის ნაწერების ბოხჩას და შიგა და შიგ გვიკითხავდა რედაქციებში წარსადგენ სალიტერატურო მასალას.

ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკიც ხშირად შემოდიოდა საზოგადოების კანცელარიაში და თავისი წარმტაცი სიტყვა-პასუხით დამსწრეთა ყურადღებას უნებლიედ იპყრობდა.

აკაკი ისე მოსწრებულად, ისე ოსტატურად და დამაჯერებლად მოგვითხრობდა ზოგ წარსულსა, ზოგ აწმყო ამბებს, რომ ყველას გვხიბლავდა, ყველანი აღტაცებაში მოვყავდით.

ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ აკაკი თავისებური მოქარგული ენით ტყვილებსაც კი შემოგვაპარებდა, მაგრამ ამ ტყვილების მოსმენასაც სასიამოვნოდ გვიხდიდა.

ერთ დღით კანცელარიაში ვსაქმიანობ. თორმეტი საათი სრულდებოდა. ჩალს ჯერ კიდევ კანცელარიაში დენა არ დაეწყო. მე თავდახრილი საბუჰალტერიო დავთარს ჩავკირკიტებდი და რაღაც ანგარიშს ვამოწმებდი.

სრულ 12 საათზე აკაკიმ კანცელარიის კარები შემოაღო და ძალიან გაიკვირა, რომ კანცელარიაში გარეშე არავინ დახვდა. მომესალმა. მეც თავაზიანად მივესალმე და ჩემს მაგიდის წინ სავარძელი მივთავაზე.

აკაკი სავარძელზე ჩამოჯდა და თავისებურად ამეტკბელდა. მე უმალვე მუშაობა შევსწყვიტე და სულგანაბული ვუსმენდი ჩვენს სასიქადულო მგოსანს, რომელიც თავისი მხატვრული თხრობით ერთიანად მხიბლავდა, მატყვევებდა.

აკაკიმ დაწვრილებით მიამბო წერა-კითხვის საზოგადოების დაარსების ისტორია, რა მიზნით დაარსდა ეს საზოგადოება, ვინ იღწვოდა და ვინც იმჟამად იღწვოდა საზოგადოების საკეთილდღეოდ. აკაკიმ ზერელედ მოიგონა თბილისსა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკების დაარსების ისტორია, შიგადაშიგ გადაწვდა ქუთაისისა და თბილისის ქართულ გიმნაზიებს, დრამატიულ საზოგადოებას და ბოლოს დაწვრილებით შეეხო ჭიათურის შავი ქვის აღმოჩენის საკითხს.

ბევრმა არ იცის და უეჭველია არც თქვენ გეცოდინებათ, რომ ჭიათურის შავი ქვა მე აღმოვაჩინე.

ჭიათურის შავ ქვას, როგორც იცით, ამჟამად უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთელი ქუთაისის გუბერნიას ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა ასაზრდოვებს, დოვლათს დოვლათზე ჰმატებს.

ვინ არ გნებავთ, რომ ამ შავ ქვაზე ხელებს არ ითბობდეს! მე კი ამ შავი ოქროს პირველი აღმომჩენელი ყველას დავაწყდი, თითქოს ამ ქვეყნად კიდევაც არ ვარსებობდე. ნათქვამია, თხის პატრონს, თხის კუდიც კი არ ერგოო. ეს ანდაზა სწორედ ჩემზედაა ზედ გამოჭრილი!

იმ დროს, როცა აკაკი ასეთ ლაპარაკში იყო გართული, თვალი მოკრა იაკობ გოგებაშვილს, რომელიც საზოგადოების წიგნის მაღაზიის წინ დერეფანში სეირნობდა.

აკაკიმ დაუყოვნებლივ შესწყვიტა ლაპარაკი ჭიათურის შავი ქვის შესახებ და იაკობ გოგებაშვილს გადასწვდა.

— ხედავთ, იაკობ გოგებაშვილი სად სეირნობს? უთუოდ დამინახა, რცხვენია და მიტომ არ შემოდის კანცელარიაში, ასე დაიწყო აკაკიმ თავისი საუბარი იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

— როცა იაკობ გოგებაშვილი თავისი „დედა ენის" გამო-

ცემას პირველად ეპირებოდა, მთხოვა, ორი პატარა ლექსი დამიწერეთ სახელმძღვანელოში ჩასართავადო. მე სიამოვნებით თანხმობა გამოუცხადე. რამდენიმე დღის შემდეგ ორი ლექსი გადავეცი შეპირების თანახმად. იაკობმა ჰონორარად წლიურად ასასი მანეთი დამპირდა. ლექსები „დედა ენაში“ დაიბეჭდა, მაგრამ დაპირებული ჰონორარის ანგარიშში გროშიც კი არ მიმიღია. ლექსები წლითი წლობით იბეჭდება სახელმძღვანელოში, მაგრამ იაკობ გოგებაშვილი ყურს არ იბერტყავს, თითქოს ჰონორარის მოცემა არც კი აღეთქვას.

ნუ თუ იაკობ გოგებაშვილმა არ იცის, რომ ჩემი ცხოვრების ერთად ერთი წყარო ჩემი კალამია. დალოცვილი თვითონ ჯიბეებს ისქელებს და ჩემთვის ორიოდე გროშის მოცემაც კი ეზარება.

ჩემს ადგილას სხვა ვინმე იყოს, უჩივლებდა და სასამართლოს წესით ენაშემოუბრუნებლივ გადაახდევინებდა. მე ხომ ამ საშუალებას ვერ მივმართავ და არც ვიკადრებ.

მთელი ქვეყანა გაიძახის, იაკობ გოგებაშვილი დიდი მოღვაწე, დიდი მამულიშვილია. მე რომ მკითხოთ, იგი არც დიდი მოღვაწეა და არც დიდი მამულიშვილი.

აბა ერთი მიბრძანეთ, რომელი დიდი მოღვაწე ან დიდი მამულიშვილი იკადრებს ლუკმა პირიდან კაცს წაგლიჯოს!

ვინ მოუწონებს ასეთ უმართებულო საქციელს, რომ ეს საქმე გახმაურდეს!

ჩემი პირადი აზრით, იაკობ გოგებაშვილი დიდი ეგოისტი კაცია, რომელიც ერთ ნაბიჯზე არავის დაინდობს, არავის დაზოგავს, ყველას წიხლით გაჰქელავს, მიწასთან გაასწორებს, ოღონდ კი მის ჯიბესა და პიროვნებას კაცმა ხელი არ ახლოს.

თქვენ ჯერ კიდევ ყმაწვილი ხართ და ბევრი რამ არ იცით ამ ვაჟბატონის ყოველდღიურ ცხოვრებიდან. თქვენ რომ ყველაფერი დანამდვილებით გაიგოთ, თქვენც ჩემსავით გულნატკენი დარჩებოდით და მის „საზოგადო მოღვაწეობას“, მის „დიდ მამულიშვილობას“ სამართლიანად ზურგს შეაქცევდით და უარყოფდით.

იაკობ გოგებაშვილს ისე აქვს თავისთავი წარმოდგენილი, რომ თუ ის არა, საქართველო დაიღუპებოდა, სწავლაგანათლების საქმე საქართველოში ჩაიშლებოდა, ყალბ „ნიადაგზე“ ლადგებოდა.

თუ ვინმემ გაბედა და კრინტი დასძრა ამ უცოდველი პატიოსანის წინააღმდეგ, იგი ამხედრდება და ჯვარს აცვეს, ბიცას თან გაასწორებს, საზოგადოებაში თავს მოსჭრის, სახელს გაუტეხს ესეთ კადნიერ მოწინააღმდეგეს.

განა ყოველივე ამის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი დიდ საზოგადო მოღვაწედ, დიდ მამულიშვილად უნდა ჩაითვალოს!

ნათქვამია, ზოგის ბამბაც კი ჩხრიალებს და ზოგის კი ქაქალიც კი არაო.

აკაკიმ მოულოდნელად საუბარი შესწყვიტა, დაუყოვნებლივ ფეხზე წამოდგა, კუთხეში საიდუმლოდ გამიხმო და ასი მანეთი შემესესხა, ძალიან მიჭირს და ხვალვე დაგიბრუნებო.

ბოდიში მოვიხადე, კასაში კაპეიკი არა გვაქვს და თუ წიგნების მაღაზიის გამგემ (შიო მღვიმელი) პროვინციაში ფასდადებულად გაგზავნილი წიგნების ფული მოიტანა რკინის გზის სადგურიდან, ამ გარდამავალი თანხით დროებით ხელს გამიმართავს მეთქი.

აკაკის არ ესიამოვნა ესეთი ჩემი პასუხი, სასწრაფოდ გამომემშვიდობა და წასვლისას მითხრა, დღის ბოლოს მაინც შემოვივლი ამბის შესატყობადაო.

მცირე ხნის შემდეგ კანცელარიაში იაკობ გოგებაშვილი შემოვიდა და თავისებური ღიმილით მითხრა, აკაკი თუ კარგ გუნებაზე იყო, ალბად ბევრს გაცინებდაო.

იაკობს მოვახსენე, უმაგისობაც არ ყოფილა, მაგრამ აკაკი თქვენზე გულნატკენია მეთქი.

— რატომ? გაკვირვებით შემეკითხა იაკობი. მე დაწვრილებით ვუამბე იაკობს აკაკის ლექსების ჰონორარის ისტორია.

იაკობმა, როცა ჩემი პასუხი მოისმინა, ხარხარი მორთო კანცელარიაში. იცით რა უნდა გითხრათ? თავისუფალ საღამოს შემოიარეთ ჩემთან ბინაზე. მე გაჩვენებთ იმ დავთარს, რომელშიაც ჩაწერილი მაქვს როდის და რამდენი ფული მიმიცია აკაკისათვის „დედა ენაში“ მოთავსებულ ლექსების ჰონორარის ასანაზღაურებლად. არ ყოფილა შემთხვევა, რომ „დედა ენის“ პირველ გამოცემიდან დაწყებული, ვიდრე დღემდე, ყოველ წლივ, არა უგვიანეს იანვრის თხუთმეტისა, აკაკისათვის ჰონორარის სახით არ გამომეწეროს ას ასი მანეთი და არ გამეგზავნოს. ფულის მიღების ბარათებიც დავთარ-

ში თავთავის ადგილას ჩაკერებული მაქვს და ყოველშემთხვევისათვის ვინახავ.

აკაკის ასერიგად არაფერი ავიწუდება და, ვფიქრობ, არც ჩემგან ყოველწლივ ფულის მიღება დაავიწუდებოდა. მაგრამ აკაკის უყვარს, ტყუილი ზოგჯერ მართლადაც გაასაღოს და მერე ისეთი დამაჯერებელი კილოთი, რომ ზოგჯერ კიდევაც დაგაეჭვიანებს. აკაკი როდი დაგიდევთ, რომ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

აკაკის თქვენთან ჩემს შესახებ საუბარი მაგონებს ერთ შემთხვევას, რომელიც შეეხებოდა საზოგადოების ყოფილ მდივანს დავით კარიჭაშვილს.

წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ თავის დროზე აკაკის სალიტერატურო ფონდიდან ყოველთვიურად პენსია დაუნიშნა. თქვენი წინა მოადგილე დავით კარიჭაშვილი ყოველთვის ზუსტი შემსრულებელი იყო გამგეობის ამა თუ იმ დადგენილებისა. კარიჭაშვილს განსაზღვრული რიცხვი ჰქონდა დანიშნული, როცა აკაკისათვის პენსია უნდა მიეცა.

აკაკი ამ რიცხვს როდი უწევდა ანგარიშს და პენსიის მიღებას დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე ცდილობდა. კარიჭაშვილი ყოველთვის წინააღმდეგი იყო აკაკის მიერ შემოღებულ წესის დარღვევისა და ამ ნიადაგზე ხშირად უსიამოვნებაც მოსდიოდათ თურმე.

აკაკი ერთხელ ამ ჩვენ წიგნის მაღაზიის წინ შემომხვდა და ვინ მოსთვლის როგორის ქათინაურებით არ შეამკო ჩვენი დავით კარიჭაშვილი.

— ვერ წარმოიდგენთ, ბ-ნო იაკობ, მეუბნება აკაკი, როგორ საქმეს მიშვრება ეს თქვენი კარიჭაშვილი. გამგეობამ, როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვიური პენსია დამინიშნა. მაგრამ ვაი ასეთ პენსიის დანიშვნას! პენსიის მიღება ჩემთვის პირდაპირ წამებაა, ცეცხლია. კარიჭაშვილს დაუჟინია, გინდა არ გინდა პენსია თვის ბოლოს მიიღეო. შეიძლება რა გაჭირვება მადგია და ჩემი კუთვნილი პენსიის მიღებას რატომ მაინცა და მაინც თვის ბოლომდე ვუცადო. განა ასეთი ყიზილბაშობა სადმე კიდევ გაგონილა! ბ-ნი კარიჭაშვილს ენაზე აკერია, საჭიროა ფინანსიური დისციპლინა დავიცვათო. რა ეშმაკად მინდა ეს რაღაც „ფინანსიური დისციპლინაა", თუ მე სიმშილით სული ამომხდება! ბევრი ვარწმუნე ეს უსულ-

გულო ადამიანი, რომ ქვეყანა არ დაიქცევა, ცოტათი ვადაზე ადრე პენსია მივიღო მეთქი, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. იგი მაინც თავისას გაიძახოდა, ფინანსიურ დისციპლინას ვერ დავარღვევო. როცა ვერაფერი გავაწყვე, ავდექი და ჩემ პენსიაზე ხელი ავიღე. აგერ სამი თუ ოთხი თვე გადის და მე კანცელარიაში ერთხელაც არ შემიხედავს და ცხადია არც პენსია მიმიღია. ჯანდაბას მისი თავიც და მისი მოცემული პენსიაც.

მეწყინა ამ ამბის გაგონება. დავით კარიჭაშვილს ყველანი დიდ პატიოსან და თავაზიან კაცად ვიცნობდით და ამიტომ დიდად გამიკვირდა, რომ ეს ყოველად პატიოსანი და წესიერი ადამიანი ასე უგულოდ, ასე განუკითხავად მოეპყრო ჩვენი ერის საამაყო მგოსანს.

როგორც კი აკაკის ჩამოვშორდი, დაუყოვნებლივ საზოგადოების კანცელარიაში შევიარე და დავით კარიჭაშვილს მორიდებით გადავეცი აკაკის საჩივარი.

დავითმა ულვაშებში თავისებურად ჩაიცინა და უმალვე დავთარი მაგიდის უჯრიდან ამოიღო და წინ გადამიშალა. აღმოჩნდა, რომ აკაკის პენსია სავსებით მიღებული ჰქონდა. დავთარში ყოველი პენსიის მიღებისას აკაკის ხელი უწერია.

ბევრი ვიცინეთ მეცა და კარიჭაშვილმაც და ყოველივე ეს აკაკის ოხუნჯობას მივაწერეთ.

რამდენიმე დღის შემდეგ აკაკის გოლოვინის პროსპექტზე შევხვდი.

— ბ-ნო აკაკი, სერიოზული კილოთი ვუთხარი, თქვენ ალბად დაგავიწყდათ, რომ პენსია უკვე მთლიანად მიგიღიათ. საპენსიო დავთარში პენსიის მიღებაზე ყველგან ხელი გიწერიათ. ამიტომ თქვენ, ჩემის აზრით, კარიჭაშვილს დაუმსახურებელ ბრალსა სდებთ. კარიჭაშვილი ღირსი არ არის ასეთი დაუსაბუთებელი ბრალდებისა.

— რას ბრძანებთ, ბ-ნო იაკობ, როგორ გეკადრებათ! პენსია მივიღე და ასე ხელაღებით დამავიწყდა! ყოვლად შეუძლებელია! მე ხომ გითხარით, ბ-ნო იაკობ, რომ კარიჭაშვილი ყიზილბაში კაცია. ხედავთ სადამდე მივიდა ეს ვაჟბატონი! ჩემს მაგივრადაც კი ხელს აწერს და გამგეობას თვალებს უხვევს. გარწმუნებთ, პენსია მე ამ უკანასკნელი სამი თუ ოთხი თვის განმავლობაში არ მიმიღია და მაშასადამე ვერც ხელს მოვაწერდი. აბა, რა საფიქრებელია, რომ ტყვილაუბრალოდ

კაცს ასეთი მძიმე ბრალდებას მოვახვევდი! კარიჭაშვილი თქვენს წინაშეც და ჩემს წინაშეც სტყუის და არც წითლდება, არც სცხვენია. არ მეგონა, თუ კარიჭაშვილი ასეთი გაიძვერა, თვალთმაქცი კაცი გამოდგებოდა!

ჩემი აზრი და შეხედულება იმ კაცზე ესეთია და თქვენ, როგორც გნებავდეთ, ისეთის შეხედულობის ბრძანდებოდეთ! ვინ შეგედავებათ! უკაცრავად, ცოტათი მიმეჩქარება და უნდა გამოგემშვიდობოო, დაასრულა აკაკიმ ჩემთან საუბარი და სასწრაფოდ ჩამომშორდა.

გამეცინა და სხვანაირად არც შემეძლო მოვქცეულიყავი. დავრწმუნდი, რომ აკაკი თავისებურად ოხუნჯობდა.

საზოგადოების გამგეობის წევრები ყველანი დარწმუნებული ვიყავით, რომ კარიჭაშვილს აკაკის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღოდა.

აკაკის ყოველთვის ხუმრობა, ოხუნჯობა უყვარდა და კარიჭაშვილი სწორედ ამ ხუმრობისა და ოხუნჯობის მსხვერპლი გახდა.

აი, ბატონო ალექსანდრე, დღევანდელ თქვენისა და აკაკის საუბარსაც ისეთივე სუნი ასდის, როგორც ბ-ნ დავით კარიჭაშვილის დაუმსახურებელ ბრალდებას.

იაკობი სიცილით თავს ვერ იკავებდა და გულიანად ხითხითებდა და ხითხითებდა.

ბოლოს იაკობმა უბიდან ამოიღო საფულე და მთხოვა: „ეს ასი მანეთი გადაეცით აკაკის ჩემ მაგივრად. მოაგონეთ, რომ „დედა ენაში“ მოთავსებული მისი ლექსების ჰონორარი სავსებით დღემდე გასტუმრებული მაქვს. ამ ასი მანეთით ამჟამად ხელი მოინაცვლოს, ხოლო არა ჰონორარის სახით. გადაეცით, რომ იაკობს არ ჰსურს ეს ფული უკანვე დაუბრუნოთ, და კიდევაც რომ მოისურვოს ფულის უკანვე დაბრუნება, თქვენ მაინც არ დაუბრუნებთ მეთქი“.

ნაშუადღევის ხუთი საათი იქნებოდა. კანცელარიაში ჩვეულებრივად მოსიარულე ხალხი წავიდ წამოვიდა. მეც ის იყო წასასვლელად ვემზადებოდი.

ამ დროს კანცელარიაში შემოვიდა აკაკი და ჩუმის ხმით შემეკითხა, შიომ რკინისგზის სადგურიდან ფული მოგიტანაო?

— სამწუხაროთ არ მოუტანია, ვუპასუხე აკაკის, მაგრამ

სამაგიეროთ იაკობ გოგებაშვილმა დამიტოვა ეს ასი მანეთი თქვენთვის გადმოსაცემათ მეთქი.

აკაკის სიტყვა სიტყვით მოვახსენე იაკობის დავალება და თან ეს ასი მანეთი მაგიდაზე დავუწყვე.

აკაკიმ ეს ფული პიჯაკის უბის ჯიბეში ჩაიდვა და ღიმილით მითხრა: „ბ-ნო ალექსანდრე, თქვენ როგორ შეხედეთ ჩემს ამ დილით ნალაპარაკევს იაკობ გოგებაშვილის შესახებ? იცით, რა უნდა გითხრათ! ამ დილით გეხუმრებოდით. მინდოდა შემეტყო ჩვენი ახალგაზრდობა როგორი აზრისაა იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

ამჟამად სრულიად გულწრფელად და გულახდილად უნდა გითხრათ, მთელ საქართველოში იაკობ გოგებაშვილი ერთად ერთი ქართველი მოღვაწეა, რომელიც თავისი შრომით და ენერგიით, თავისი მძლავრი კალმის ნაწარმოებით უდიდეს სამსახურს უწევს მთელ ქართველობას.

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ქართული სახელმძღვანელოებით მოფენილია მთელი საქართველო. ვინაა ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენაზე" არ აეხილოს თვალები.

ეს ღირსეული მამულიშვილი შეუპოვარ დარაჯად უდგას ქართველ ერს და სიტყვით, საქმით, მწერლობის საშუალებით მედგრად იგერიებს ჩვენზე მოსეულ მტერს.

ჩემი და ილიას ღვაწლი რა მოსატანია იმ დიდ ღვაწლთან, რომელიც იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის ქართველი ერის წინაშე. ქართველი მწერლების ნაწერებს დღეს დღეობით თუ გასავალი აქვს, იაკობ გოგებაშვილს უნდა ვუმადლოდეთ. იაკობ გოგებაშვილმა ქართველ ხალხს ქართული ენის სიტკბოება ყურში ჩააწვეთა, ქართველ ხალხს ქართული ენა შეაყვარა. განა ეს პატარა საქმეა! იაკობ გოგებაშვილი ღირსია, რომ მას ქართველმა ხალხმა სიცოცხლეშივე ძეგლი დაუდგას!"

აკაკიმ ამ სიტყვებით დაამთავრა იაკობ გოგებაშვილის მოღვაწეობის დახასიათება და კიდეეაც გამომემშვიდობა.

კვირა დღეა. დილის 12 საათზე წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში იაკობ გოგებაშვილი შემოვიდა. კანცელარიაში ჩემს გარდა არავინ იყო. წინადღით დარჩენილ საქმეებს ვაწესრიგებდი.

იაკობს, რამდენადაც შევამჩნიე, არ მოეწონა კვირადღეს ჩემი კანცელარიაში მუშაობა.

— იცით, რა უნდა გითხრათ! სრულიად სერიოზული კილოთი მომმართა იაკობმა, თქვენ ისე უნდა მოაწესრიგოთ მუშაობა, რომ უქმე დღეებში კანცელარიასთან ყოველგვარი კავშირი შესწყვიტოთ. მთელი კვირის განმავლობაში განუწყვეტელი შრომის შემდეგ ერთი დღე აუცილებლად უნდა დაისვენოთ. ეს დღე ან ოჯახში უნდა გაატაროთ ანდა სადმე სუფთა ჰაერზე სასეირნოდ გამოიყენოთ.

— „ჯერ იყო და, — განაგრძო ი. გოგებაშვილმა, — სასულიერო სემინარიაში ვმასწავლებლობდი, შემდეგ სასულიერო სასწავლებლის გამგედ ვიყავი, მაგრამ არ მახსოვს, კვირა-უქმე დღეებში ამ დაწესებულებებში მემუშაოს. ვცდილობდი უქმე დღეები პირადი საჭიროებისათვის გამომეყენებინა. სამსახურიდან თავს რომ გავითავისუფლებდი, ვსეირნობდი, ნაცნობებში დავიარებოდი და, თუ უამინდობის გამო სახლში მომიხდებოდა დარჩენა, ჟურნალ-გაზეთებს ვათვალიერებდი ან ახლად გამოცემულ საინტერესო წიგნს ვკითხულობდი.

„გამიგონია, ღიმილით მითხრა იაკობმა, ვინც თავის სამუშაოს დროზე ვერ ასწრობს და საღამოსა ან უქმე დღისათვის გადააქვს სამუშაო, სუსტი მუშაკიაო.

„მე არ მინდა ესეთი სისუსტე დაგწამოთ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა იმგვარი რეჟიმი შემოიღოთ საქმიანობაში, რომ საღამოები და საერთოდ უქმე დღეები თავისუფალი გქონდესთ და ეს დრო თქვენის სურვილის თანახმად გაიხმაროთ.

„დამიჯერეთ, მიჰყეთ ჩემს რჩევას, დაუყოვნებლივ შესწყვიტეთ მუშაობა და სადმე ერთად გავისეირნოთ. დამერწმუნეთ, სუფთა ჰაერზე სეირნობა ძალასა და ენერგიას შეჰგმატებსთ, და ხვალ უფრო ხალისიანათ შეუდგებით მუშაობას".

იაკობის რჩევა ჰკუაში დამიჯდა. მაგიდაზე გადაშლილი საქმეები უჯრაში ჩავყეტე, გამოვიკეტე კანცელარიის კარები და იაკობთან ერთად გოლოვინის პროსპექტზე სასეირნოთ გამოვედით. პროსპექტზე მილეთის ხალხი ირეოდა. იაკობმა აქ სეირნობა იუხერხულა.

სასახლის პირდაპირ ქუჩის მეორე მხარეზე გადავედით და ალექსანდრეს ბაღისაკენ გავემართენით.

ბარიატინსკის ქუჩის კუთხიდან ალექსანდრეს ბაღში შევედით და სამხატვრო გალერეის შენობის უკანა მხარეზე გამართულ ერთ-ერთ სკამზე ჩეროში ჩამოვჯექით.

ბაღში ხალხი ნაკლებად დასეირნობდა. თავისუფლად ამოვისუნთქეთ. იაკობი მხიარულ გუნებაზე დადგა.

იაკობ გოგებაშვილს საზოგადოთ ჩვეულება ჰქონდა, სადაც უნდა ყოფილიყო ან ვისთანაც საუბარი უნდა ჰქონოდა, ყოველთვის მისი საუბარი საზოგადო საქმეების გარშემო ტრიალებდა. ჩვენი მხცოვანი პედაგოგი თავის აზრს, თავის შეხედულებას მოურიდებლად გამოსთქვამდა ხოლმე. ამ თავის შეხედულებასა და აზრს იგი მთელი თავისი ცოდნითა და ერუდიციით ასაბუთებდა და ამტკიცებდა.

იაკობმა ამჟამადაც ქართველი მწერლების შესახებ ჩამომიგდო ლაპარაკი და შიგა-და-შიგ ადგილობრივი პრესის მიმართულებას შეეხო.

იაკობი ამტკიცებდა, რომ ჩვენი ინტელიგენციის ფართო ფენებში მეტად ცუდმა შეხედულებამ მოიკიდა ფეხიო. ინტელიგენციის ერთი ნაწილი დიდად წინააღმდეგია რუსული ჟურნალ-გაზეთების ჩვენის ძალებით და ჩვენის საშუალებით ადგილობრივად გამოცემისა. რუსული გაზეთი, რუსული ჟურნალი რუსულ საქმეს მოემსახურება საქართველოში და ამრიგად ძირს გამოუთხრის იმ საქმეს, რომლის პირნათლად განხორციელებას ცხოვრებაში ქართული ჟურნალ-გაზეთები, ქართული პრესა ასე თავგამოდებით ცდილობსო.

„მე არ შემიძლია ჩვენი ინტელიგენციის ესეთი მოსაზრება გავიზიარო. ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის საზოგადოებამ, რუსეთის ინტელიგენციის პროგრესულმა ნაწილმა უნდა იცოდეს ჩვენი გაჭირვებისა და დალხინების ამბავი, რათა პრესის საშუალებით, სადაც ჯერ არს, აღიმაღლოს ხმა და ჩვენი დღევანდელი უბადრუკი ცხოვრება მთელი თავისი სინამდვილით, ყოველმხრივ გააშუქოს.

„რუსეთსა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირი უნ-
და არსებობდეს. საქართველოს ეკონომიურად და კულტურუ-
ლად დაწინაურება ბევრის მხრით დამოკიდებულია რუსეთის
ეკონომიკასა და კულტურისაგან.

„ქართველი ხალხის ეკონომიური განვითარება მრავლად შეფერხებულია და თუ ამ მხრით რუსეთი არ მოგვეშველა, თუ რუსის ხალხმა ძმური ხელი არ გამოგვიწვდინა, ჩვენი ერი კიდევ უფრო გაღატაკდება და დიდი განსაცდელის წინაშე დადგება.

„საქართველო დღესდღეობით უმთავრესად რუსეთიდან შემოტანილ პურით იკვებება, რუსეთიდან შემოტანილი ფართლეულობით იმოსება, რუსეთიდან შემოტანილი ფეხსაცმელებით ოლად ფონს გადის.

„აი, სწორეთ ამ მოსაზრებით, საჭიროდ მიმაჩნია ჩვენსა და რუსეთს შორის ეკონომიურ ნიადაგზე მჭიდრო კავშირი დამყარდეს.

ყოველივე ჩვენი გაჭირვების ამბავს ადგილობრივი რუსული გაზეთების საშუალებით უფრო ადრე მივაწვდით რუსეთის საზოგადოებას, რომელიც, უეჭველია, მისი პროგრესიული ნაწილის სახით ერთგვარ დახმარებას აღმოგვიჩენს. მთავრობა, ცხადია, ანგარიშს გაუწევს რუსეთის ხალხის მოწინავე ნაწილის აზრს და ძალაუნებურად ჩვენს დღევანდელ ეკონომიურ კრიზისს მცირედად მაინც შეანელებს.

„ესეთი საზომით უნდა მივუდგეთ ჩვენს კულტურულად ჩამოქვეითების საკითხსაც.

„ადგილობრივი მთავრობის მოხელეების თვითნებობას საზღვარი არ უჩანს. ქართველ ხალხს ქართული ენა დაანატრეს. ყველგან და ყველაფერს რუსული ენა დაეუფლა. ქართველ კაცს, თუ რუსული ენა არ ესმის, ფეხი ვერ გადაუდგამს, საქმე ვერ მოუგვარებია, სამართალი ვერ მიუღია, ნორმალურ პირობებში სწავლა-განათლების მოწესრიგება ყოვლად შეუძლებელი შეექნა.

„საქართველოს პირველდაწყებითი და საშუალო სასწავლებლებში სწავლება მთლიანად რუსულ ენაზე სწარმოებს, სამშობლო ენის სწავლება სასწავლებლებიდან განდევნილია. სასწავლებლებში რუსული სული ტრიალებს, სასწავლებლებს რუსის უხეში მოხელეები განაგებენ და ქართველ მოსწავლე

ახალგაზრდობას სულსა და გულს უხუთავენ, ყოველივე ქეთილშობილურ მისწრაფებას უსირცხვილოდ უხშობენ, მეტსაც ვიტყვით — მთლიანად უსპობენ.

„აი ესეთ უნუგეშო მდგომარეობაში ქართული პრესა მძლავრი იარაღია ჩვენი ტკივილების განსაკურნებლად. მაგრამ დრო-გამოშვებით საჭიროა ადგილობრივი რუსული პრესის საშუალებით ჩვენი საჭირბოროტო საკითხების შესახებ ხმის ამაღლება და საქმის ვითარების სინამდვილით გაშუქება, რათა რუსეთის საზოგადოების პროგრესიული ნაწილის ყურადღება და თანაგრძნობა მოვიპოვოთ.

„ქართველებს საკმაოდ მოგვეპოვება ისეთი მწერლები, რომელთაც რუსული ენა ზედმიწევნით ეხერხებათ და რომლებიც ამჟამად ახლო მონაწილეობას იღებენ ადგილობრივსა და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებში.

„ნიკო ნიკოლაძე, ილია ბახტაძე, ლევან ყიფიანი, დავით კეზელი და კიდევ სხვანი, რომლებიც რუსულ ორგანოებში თვალსაჩინოთ მოღვაწეობენ, მეტად დიდ სამსახურს გაუწევდნენ ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს, რომ მართლაც ყველანი სისწორით უდგებოდნენ ჩვენს საჭირბოროტო საკითხებს და გაბედულად, მოურიდებლად მხარს უჭერდნენ ქართველი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

„ნიკო ნიკოლაძის ბასრი კალამი, ცხადია, ჩვენი სინამდვილის მრავალ საჭირბოროტო საკითხს ეხება და ამ მხრით დიდად საგულისხმიეროა. მაგრამ არ შეგვიძლია იგივე ვსთქვათ დანარჩენ მწერლების შესახებ. ამ მწერლებსაც ნიკო ნიკოლაძეზე არა ნაკლებ ეხერხებათ რუსულ ენაზე თავისი აზრისა და შეხედულების სხარტულად, მოქნილად გამოთქმა. სამწუხაროთ, მათი სამწერლო მოღვაწეობა არ არის გამსჭვალული იმ გულთბილი სიყვარულით, რომლითაც გარემოცული უნდა იყოს ხალხის სასიცოცხლო ინტერესები, ამ მწერლების მოღვაწეობას უფრო პირადი ანგარიშების გასწორება ახასიათებს, ვიდრე საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხების დაცვა და მომხრეობა.

„მწერალი კაცი თავის კალამს, თავის სიტყვას პატივს უნდა სცემდეს, მის სამწერლო მოღვაწეობაში გულწრფელობა, გულთბილობა უნდა იხატებოდეს და არა პირადი ანგარიშების გასწორება.

„მწერლის კალამი იქით არ უნდა იხრებოდეს, საიდანაც ქარი ჰბერავს; თუ მწერალს მართლაც ჰსურს საზოგადოებას პირნათლად ემსახუროს, მის ყოველდღიურ გაჭირვებას შეება მისცეს, ბალხის ჭირი და ვარამი თავის ჭირად და ვარამად მიიჩნიოს.

„აი მე ასე მესმის ჭეშმარიტი მწერლის მოწოდება და ვფიქრობ, არცა ვცდები.

სწორედ იმ დროს, როცა იაკობი ასე მსჯელობდა და თავის შეხედულებას მწერალთა დანიშნულების შესახებ მიზიარებდა, ალექსანდრეს ბაღის ზემონაწილისაკენ მოდიოდა შვდარებით მაღალი კაცი, რომელსაც წვერულვაშებში აქა-იქ თეთრი თმა შეჰპარვოდა.

— იცნობთ იმ კაცს, რომელიც ჩაფიქრებით აი ეგერ მოდის? — მეუბნება იაკობი. — იგი მწერალი ვასილ ბარნოვია! თუ არ იცნობთ, ახლავე გაგაცნობთ. მეტად საინტერესო ადამიანია! ესეთი ადამიანის გაცნობა საჭირო და სავალდებულოა!

— ვასილ! ვასილ! თუ დრო გაქვსთ, მცირე ხნით ჩვენსკენ გადმოუხვიეთ.

ვასილ ბარნოვმა, როგორც კი იაკობ გოგებაშვილი დაინახა, დაუყოვნებლივ ჩვენსკენ გადმოუხვია, მოვიდა ჩვენთან და დიდის პატივისცემით იაკობს მიესალმა.

— წერაკითხვის საზოგადოების ჩვენი მდივანი ალექსანდრე მიქაბერიძე! გთხოვთ გაიცნოთ!

— ძალიან სასიამოვნოა, ძალიან სასიამოვნო! — თავისებური მიმზიდველი ღიმილით იმეორებდა ამ სიტყვებს ვასილ ბარნოვი და ხალისიანად შემოგვცქეროდა მეცა და იაკობსაც.

ვასილ ბარნოვი იმ ხანებში თელავის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლობდა და თბილისში არც ისე ხშირად ჩამოდიოდა, თუმცა თბილისში გადმოსახლების სურვილი, როგორც ლაპარაკიდან შევამჩნიე, მეტად დიდი ჰქონდა.

— როდის ჩამობრძანდით, ბატონო ვასილ? შეეკითხა იაკობი, როცა ბარნოვი ჩვენს გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

— აგერ სამი დღეა, რაც თბილისში ვარ და საცაა კიდევაც უნდა დავბრუნდე თელავში, — მიუგო ვ. ბარნოვმა. — მოვინახულე ჩემი ნაცნობ მეგობრები, მოვაგვარე ზოგი რამ

შიშაური საქმეები და ამ დღეებში, ვფიქრობ, დავუბრუნდე ისევ და ისევ ჩემს თელავს.

— ბ-ნო ვასილ! რატომ თბილისში გადმოსელას არა ცდილობთ? თქვენ რომ თბილისში დატრიალდებოდეთ, თქვენთვისაც კარგი იქნებოდა და ჩვენთვისაც ბომ კიდევ უკეთესი, თბილისში ბევრი რისამე გაკეთება შეგიძლიათ. მართალია, იდეური მუშაკები პროვინციაშიაც გვესაჭიროება, მაგრამ თუ ცენტრი შესაფერისად არ გავამაგრეთ, პროვინციაში მუშაობა უნაყოფოდ ჩაგვივლის. ამიტომ რაც უფრო ადრე გადმოსახლდებით თბილისში, მით უფრო სასარგებლო იქნება ჩვენი საზოგადო საქმიანობისათვის.

— სურვილი ოღონდაც დიდი მაქვს თბილისში გადმოსახლდე, მაგრამ ჯერჯერობით რომ არა ხერხდება! ყველას ვარწმუნებ, მაკმარეთ პროვინციაში ასე ხანგრძლივად მუშაობა-მეთქი, მაგრამ გამკითხველი ვინაა!

— ბ-ნო იაკობ, — განაგრძო ისევ ბარნოვმა, — თქვენისთანა გავლენიანი პირები რომ მეგობრულად ხელს გამომიწვდიდნენ, ჩემი სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად მოწყობის საკითხი სულ ადვილად მოგვარდებოდა! თბილისში ჩემი გადმოსახლება ამჟამად აუცილებელია. ბავშვები წამოიზარდნენ და საჭიროა აქ სადმე სასწავლებლებში დავაბინავო, უშუალოდ ხელმძღვანელობა გავუწიო. ორ ოჯახად ცხოვრება მეტად მიმძიმდება.

— ბ-ნო ვასილ! პირადად მე დიდის სიამოვნებით დაგეხმარებით და ყველგან, საცა საჭირო იქნება, ხმას მივაგდებ. მხოლოდ გთხოვთ იმ დაწყევლილ სემინარიაში ნუ გამგზავნით, რომელსაც მე დიდი ხანია ზურგი შევაქციე და რომლის მესვეურების დანახვა ჭირივით მეზარება. როცა სემინარიის მახლობლად გავლა მომიხდება ხოლმე, ტანში ჟრუანტელი დამივლის. მთელი არსება მეწამლება, როცა მომაგონდება ის გულისა და სულის ამღვრევი ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდა და ცხადია ამჟამადაც აქვს ამ ღვთისაგან შეჩვენებულ სასწავლებელში!.. დიდ პატივსა გცემთ, ბ-ნო ვასილ, მაგრამ ამ მხრით მე ვერ გამოგადგებით. სხვა ადგილას და სხვებთან, თუ კი დამავალებთ, დიდის სიამოვნებით ვიკისრებ შუამავლობას და რამდენადაც კი მოსახერხებელი იქნება, მაცადინეო-

ობას არ დავაკლებ შესაფერისი ადილი მოგიძებნოთ სხვა ტიპის რომელიმე სასწავლებელში.

„სასურველია, რომ თქვენ თბილისის ქართულ გიმნაზიაში მოეწყობოდეთ მასწავლებლად. ქართული ენისა და ქართული ისტორიის სწავლების საქმეს თქვენ სათანადო სიმაღლეზე დააყენებდით ქართულ გიმნაზიაში და ვფიქრობ ამ მხრით დიდ სამსახურს გაუწევდით ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას.

დარწმუნებული ვართ, რომ ქართული გიმნაზიის კორპორაცია დიდის სიამოვნებით შეხვდება თქვენს კანდიდატურას და ამრიგად საქმე სასურველად გაიჩარხება.

— დიდად დამავალებთ, ბ-ნო იაკობ, თუ თქვენს გავლენიან ხანს აღამაღლებთ და მომცემთ შესაძლებლობას თბილისში სამუდამოდ გადმოვსახლდე.

— ვეცდებით, ვეცდებით, ბ-ნო ვასილ, თქვენი თბილისში გადმოსახლების საკითხი სასურველად დავაგვირგვინოთ!

„ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ლიტერატურულ დარგში მუშაობაც კიდევ უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებს თბილისში. ამ მხრით თბილისის პირობები მრავლად ხელს შეგიწყობენ. ლიტერატურული შრომა, რომელიც თქვენ ასე რიგად გიყვართ და კიდეეაც გეხერხებათ, ფრთებს შეისხამს და თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩადგება".

ჩვენი საზოგადო საქმეების ირგვლივ მცირედი ბაასის შემდეგ ვასილ ბარნოვი გამოგვესალმა იმ სრულის გადაწყვეტილებით, რომ ახლო მომავალში იგი თბილისში გადმოსახლდებოდა და მუშაობას ახალ პირობებში კიდევ უფრო ნაყოფიერად გააჩაღებდა.

იაკობი და მე კიდევ რამდენიმე ხანს ალექსანდრეს ბაღში დავრჩით.

— იცით, რა უნდა გითხრათ! — მცირედი ჩაფიქრების შემდეგ მეუბნება იაკობი. — დიდად მესიამოვნება, თუ ეს კაცი თბილისში მოეწყო. ვასილ ბარნოვს დიდი ხანია ვიცნობ. ფაქიზი ადამიანი, ღირსეული მასწავლებელი, ნიჭიერი მწერალი და საზოგადო მოღვაწე — აი, მოკლეთ რომ ვსთქვათ, ვინაა ვასილ ბარნოვი.

„ვასილ ბარნოვი, როგორც ადამიანი, უმწიკვლო, სრულყოფილი პიროვნებაა. ვასილ ბარნოვი თავისი სიტყვის პატ-

რონია. ვერვინ იტყვის, რომ ვასილ ბარნოვს თავისი სიტყვა ოდესმე გაემრუდებინოს, ეთქვას ის, რასაც არა ჰფიქრობს. მისი სიტყვა ყოველთვის ბეჭედია. ყველანი ამ სისწორისა და პატიოსნებისათვის პატივს სცემენ და იგი კიდევაც ღირსია ესეთი პატივისცემისა.

„ვასილ ბარნოვი, როგორც მოსწავლე ახალგაზრდობის ხელმძღვანელი, დაუფასებელი მასწავლებელია. დიდი ცოდნა და გამოცდილება შესწევს, იგი მოწოდებით ჭეშმარიტი მასწავლებელია, რომელსაც მოსწავლე ახალგაზრდობის რიგებში სიცოცხლე და სიხარული შეაქვს. იგი მოსწავლე ახალგაზრდობის უსაყვარლესი მასწავლებელია, რომელსაც ყველანი დიდად აფასებენ და გულწრფელად პატივსა სცემენ.

უტყუარი ფაქტები გვაქვს ხელთ, რომ ვასილ ბარნოვის მოღვაწეობა ჯერ ახალ სენაკში და ამჟამად თელავის სასულიერო სასწავლებელში მრავლად დასაფასებელი და საგულისხმიეროა.

„სასულიერო სასწავლებლების ხაზით მოღვაწეობა დღევანდელ პირობებში ნამდვილი გმირობაა და ამ გმირობას, თუმცა მრავალი დაბრკოლებით, ეწევა ვასილ ბარნოვი.

„სასულიერო მთავრობის ინსტრუქციებით ხელფეხ შებორკილმა ვასილ ბარნოვმა, როგორც ახალ სენაკის სასულიერო სასწავლებელში, ისე თელავის იმავე ტიპის სასწავლებელში, ქართული სული შთაბერა გადაგვარების გზაზედ შემდგარ მოსწავლე ახალგაზრდობას.

„ვასილ ბარნოვის ინიციატივით ამოძრავდა ამ სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა, მოეწყო თვითგანვითარების წრეები, შეუდგნენ ქართული ენისა და ქართული ისტორიის საფუძვლიანად შესწავლას და, თუმცა ფარულად, ახალგაზრდობა სულითა და გულით დაეწაფა ჭეშმარიტ სწავლა-განათლებას. ამ მხრით ვასილ ბარნოვის მოღვაწეობა პედაგოგიურ ასპარეზზედ მრავლად საგულისხმიერო და ღირსალსანიშნავია.

„სალიტერატურო სარბიელზე ვასილ ბარნოვი თუმცა ჯერ კიდევ ახლადგამოსული მწერალია, მაგრამ მისი პირველი ნაბიჯები თავდებია იმისა, რომ იგი ჩვენს ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს უდავოდ.

„დახვეწილი, ძარღვიანი, შეურყვნელი ქართული ენა,

მხატვრულად თხრობის გამართვა, ქართული სინამდვილის გულთბილად და სისწორით ასახვა — აი ის ღირსებები, რომლებიც უდავოდ ახასიათებენ ვასილ ბარნოვის დღემდე გამოქვეყნებულ ნაწერებს.

ეჭვს გარეშეა, რომ სამწერლო სარბიელზე გამოსული მწერალი თავისი უტყუარი ნიჭით და შემოქმედებით საპატიო ადგილს დაიჭერს თავის დროზე ჩვენს ლიტერატურაში, რაც თვითეული ჩვენი კეთილისმყოფელი გულწრფელად უნდა მიესალმოს და, ვფიქრობთ, კიდევაც მიესალმება.

განვლო ხანგრძლივმა დრომ ამ ჩვენი საუბრის შემდეგ. იაკობ გოგებაშვილმა, უეჭველია, ვერ მოახერხა, მაშინდელი პირობების მიხედვით, ვასილ ბარნოვის მოწყობა საერო ხასიათის სასწავლებელში.

ვასილ ბარნოვმა, უეჭველია, თავისი მაცადინეობით და ინიციატივით შესძლო თბილისში გადმოსახლება, ხოლო მასწავლებლის თანამდებობა მიიღო სასულიერო უწყების ხაზით თბილისის სემინარიაში, რომელიც იმჟამად ვაკეზე იქმნა გადატანილი ახლად აგებულ შენობაში.

თბილისში გადმოსახლებისთანავე ვასილ ბარნოვმა ვაჟები ქართულ გიმნაზიაში დააბინავა, ხოლო ქალები კი საქალებო სასწავლებლებში.

საზოგადო საქმიანობას ჩვეული ვასილ ბარნოვი ქართული გიმნაზიის მოწაფეების მშობელთა წრეში დაუყოვნებლივ ჩაეწერა და მშობელთა წრის გამგეობის წევრის სახით თავისი ცოდნა და გამოცდილება შეჰქონდა ქართული გიმნაზიის მოწაფეთა სწავლა-განათლების უკეთ მოწესრიგების საქმეში.

მოწაფეების მშობელთა წრის წევრები და გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაცია დიდ ანგარიშს უწევდა მუდამ წყნარი, მუდამ აუღელვებელი, სათნოსა და გულთბილი ვასილ ბარნოვის ნაყოფიერ საქმიანობას სასწავლებლის ირგვლივ.

ქართული გიმნაზიის წარსულის მემატიანე, როცა ამ სასწავლებლის ისტორიის წერას შეუდგება, ეჭვს გარეშეა საპატიო ადგილს დაუთმობს ვასილ ბარნოვის მოღვაწეობას მშობელთა წრეში.

მოწაფეების ბიბლიოთეკის მოწყობა, სახელმძღვანელოებისა და საერთოდ სასწავლო ნივთების საწყობის დაარსება,

ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ თეატრებში წარმოდგენების გამართვა, მოწაფეთათვის სასწავლებელში დიდ დასვენების დროს ცხელი საუზმეების მოწყობა, ამ საუზმეების დროს მშობელთა წრის წარმომადგენელების რეგულიარულად მორიგეობის შემოღება, ქალაქის ისტორიული მნიშვნელობის თვალსაჩინო ადგილებისა და დაწესებულებათა დათვალიერება, შორეული ექსკურსიების მოწყობა, გაკვეთილებზე მშობელთა წრის წარმომადგენლების სისტემატურად დასწრება და სხვ. — აი ის ძირითადი ღონისძიებანი, რომელნიც მშობელთა წრემ ვასილ ბარნოვის ინიციატივით შემოიღო სასწავლებელში და რომელთა ცხოვრებაში გატარებას, შესაძლებლობის ფარგლებში, მშობელთა წრე სისტემატიურად ცდილობდა.

ვასილ ბარნოვის პედაგოგიური მოღვაწეობა თბილისის სასულიერო სემინარიაშიაც მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო მიუხედავად იმ მძიმე პირობებისა, რომელთაც იმჟამად ადგილი ჰქონდა, იაკობ გოგებაშვილის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ამ „ქრისტეს ფეხების მჭამელთა" სასწავლებელში.

თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა ვასილ ბარნოვის ინიციატივით და შთაგონებით სასწავლებლის გარეშე სხვა და სხვა წრეებში გააჩაღეს ქართული ენისა და ქართული ისტორიის შესწავლა.

მართალია, თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები ტრადიციულად ჩვეულნი იყვნენ წრეებში საიდუმლოდ მაცადინეობას თვითგანვითარების მიზნით, მაგრამ ვასილ ბარნოვის უშუალოდ ხელმძღვანელობამ ზედმეტი იმპულსი მისცა მოწაფეების მაცადინეობას სხვა და სხვა წრეებში.

სემინარიის მოწაფეები დიდად აფასებდნენ ვასილ ბარნოვის დიდ ერუდიციას, მის ცოდნასა და გამოცდილებას და კიდევაც ეს იყო მიზეზი, რომ მოზარდი თაობის უსაზღვროდ მოყვარული ვასილ ბარნოვი მთელი მოწაფეობის საყვარელ მასწავლებლად, საყვარელ ხელმძღვანელად გარდაიქცა.

ვასილ ბარნოვის ზნეობრივი სახე ტონს აძლევდა მთელ მოწაფეობას და სასწავლებლის უსულგულო ხელმძღვანელი ბერები იძულებული შეიქმნენ ანგარიში გაეწიათ სასწავლებელში ვასილ ბარნოვის მოღვაწეობისათვის...

თბილისის მუშათა ფაკულტეტის მსმენელი სტუდენტები

ვფიქრობთ, ვერ დაივიწყებენ და არც უნდა დაივიწყონ ვასილ ბარნოვის მეტად შინაარსიან, მეტად მიმზიდველ ლექციებს ქართული სიტყვიერებისა და ქართული ისტორიის დარგში...

იაკობ გოგებაშვილი საბარაკოთ სოფელ კავთისხევში

იაკობ გოგებაშვილი, როგორც არაერთხელ გვქონდა ზემოდ მოხსენებული, თავის ჯანმრთელობას ძრიელ უფრთხილდებოდა. ამიტომ იგი ყოველწლივ ზაფხულობით თბილისის აუტანელ სიცხეებს თავს არიდებდა და სადმე საბარაკოთ გადიოდა.

იაკობს საბარაკო ადგილებთა შორის განსაკუთრებულად მოსწონდა სურამი, ბორჯომი, ნაწილობრივ აბასტუმანი და თავისი განუყრელი მეგობრის, ნიკო ცხვედაძის სოფელი კავთისხევი, გორის ყოფილ მაზრაში.

პირველ ხანებში იაკობი მეტად ერიდებოდა სურამსა, ბორჯომსა და აბასტუმანში საბარაკოთ გასვლას, რადგან ამ საბარაკო ადგილებში ზაფხულობით ბლომად ხალხი იყრიდა თავს და იმ მყუდრო ცხოვრებას, რომელსაც იაკობი საზოგადოდ ჩვეული იყო, იგი ვერ დაიცავდა.

ამიტომ იაკობი ზაფხულობით პირველ ხანებში მიდიოდა სოფელ კავთისხევში, რომლის ზომიერი ჰავა და ადგილობრივი პირობები იაკობს მეტად მოსწონდა.

იაკობი ათ ზაფხულს ზედიზედ სოფელ კავთისხევში მიდიოდა საბარაკოთ და იქიდან ყოველთვის ჯანსაღი და ჯანმრთელი ბრუნდებოდა თბილისში.

იაკობი კავთისხევში თბილისში შემოღებულ ცხოვრების რეჟიმს ოდნავაც არ ღალატობდა, იგი ზუსტად იცავდა ამ რეჟიმს სოფლის ცხოვრების პირობებშიაც.

ნიკო ცხვედაძემ თავის გულითად მეგობარს კავთისხევში საზაფხულო საცხოვრებლად დაუთმო მზის ყურას მდებარე ერთი ოთახი, რომელსაც ნიკო ცხვედაძის ოჯახი შემდგომში „იაკობის ოთახს“ ეძახოდა.

თავის დროზე ძილი, თავის დროზე ადგომა, თავის დროზე სოფლად ან მახლობელ ადგილებში გასეირნება იაკობმა

ყოველდღიურ ჩვეულებად დაიდო და ამ ჩვეულებას განუხრელად ასრულებდა მთელი ზაფხულის განმავლობაში.

დილის 9-10 საათზე იაკობი ორ თოხლად მოხარშულ კვერცხს გადაყლაპავდა და რძით ჩაისა და კარაქ წასმულ სოფლის პურს შეატანდა. დაახლოვებით 11 საათზე იგი სოფლად გამოდიოდა და სოფლის ყოფაცხოვრებას დაკვირვებით ეცნობოდა.

ყოველ შეხვედრისას, გლეხი იქნებოდა იგი, თუ მაღალი წოდების ადგილობრივი მკვიდრი, იაკობი პირველი სალამს მისცემდა და „გამარჯობას" ეტყოდა ხოლმე.

კავთისხევის გლეხკაცობა, რადგან ახლად მოსულ მოაგარაკეს ჯერ კიდევ ახლოდ არ იცნობდა, პირველ ხანებში მასთან გამოლაპარაკებას ერთობ ერიდებოდა.

მაგრამ დრომ თავისი გაიტანა. გლეხკაცებმა, როცა შემდეგ გაიგეს, რომ ახალი მოაგარაკე ქართველების დიდი მოკეთე და კეთილისმყოფელია, როცა გაიგეს, რომ იგი პატივცემული ნიკო ცხვედაძის ახლო მეგობარია, ერთბაშად ფრონტი შეიცვალეს და ყოველ შეხვედრისას იაკობს სრულიად გულახდილად უზიარებდნენ თავის გაჭირვებისა თუ დალხინების უტყუარ ამბებს.

იაკობი ყოველთვის გლეხკაცობას რჩევასა და დარიგებას აძლევდა, რასაც ისინი დიდის ყურადღებით ისმენდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში ამ დარიგებებისა და რჩევის მიხედვით აწესრიგებდნენ საქმეებს.

„თუ გინდათ, რომ სიღარიბეს, სიღატაკეს თავი დაალწიოთ" — ეუბნებოდა ხოლმე ჩვეულებრივ იაკობი გლეხებს: „თუ გინდათ თქვენი მეურნეობა რიგიანათ წაიყვანოთ და ოჯახში წლის სარჩო საბადებელი საკმარისად შემოიტანოთ, საჭიროა თქვენმა შვილებმა წერაკითხვა შეისწავლონ, სწავლა განათლება მიიღონ. ამიტომ შეეცადეთ მთავრობამ გაგიხსნათ ისეთი სკოლები, საცა თქვენი შვილები საჭირო ცოდნას შეიძენენ და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გვერდში ამოგიდგებიან, შეგნებულად მოგეშველებიან და თქვენ ყოველდღიურ საქმიანობას წინ წაწევენ, თქვენი მეურნეობის ჯეროვანად განვითარებას მრავლად ხელს შეუწყობენ. წერაკითხვის მცოდნე ადამიანი უფრო ნაყოფიერად მუშაობს, უფრო ნაყოფიერად აწარმოებს თავის მეურნეობას, ვიდრე თქვენ, როცა

არც წერაკითხვის ცოდნა შეგწევთ და არც სწავლა განათლება გაქვსთ მიღებული.

საზღვარ გარედ, დაწინაურებულ ქვეყნებში, თუ სოფლის მეურნეობა თავის სიმაღლეზე სდგას, ეს მხოლოდ იმით შეგვიძლია ავხსნათ, რომ თვითეული უცხოელი, სანამ მეურნეობას ხელს მოკიდებდეს, წერაკითხვას სწავლობს და მეურნეობაში საჭირო ცოდნას იძენს.

ჩვენც ქართველებმა უცხო ქვეყნების მაგალითს უნდა მივბაძოთ და მხოლოდ ამ პირობებში შეგვიძლია ჩვენი სოფლის მეურნეობა ჯეროვანათ განვავითაროთ და წლიური სარჩოსაბადებელი საკმარისად ოჯახში შემოვიტანოთ.

კავთისხევის გლეხები ხშირად ხვდებოდნენ იაკობ გოგებაშვილს და მის ყოველივე რჩევასა და დარიგებას დიდ ანგარიშს უწევდნენ და დიდადაც აფასებდნენ.

იაკობი სასეირნოთ და ზოგჯერ სამაცადინოთაც კავთისხევის გარედაც დაიარებოდა.

იაკობს განსაკუთრებულად მოსწონდა კავთისხევიდან აწინდელ წითელქალაქისაკენ მიმავალ შარაგზის მეზობლად გაშენებული ბუჩქნარი, საცა იგი ხის ძირას მსახურს ხალიჩას გააშლევინებდა და მთელი საათობით ისვენებდა და ჟურნალ გაზეთებს კითხულობდა.

კავთისხევის გლეხობა ხშირად ხედავდა იაკობ გოგებაშვილს, როცა იგი შარაგზის მეზობლად ბუჩქნარში იჯდა ხის ძირას და თავისებურად კიდევაც ისვენებდა და კიდევაც საქმიანობდა.

გლეხებმა ამ ბუჩქნარს „იაკობ გოგებაშვილის ბუჩქნარი" დაარქვეს და ეს სახელწოდება ამ ბუჩქნარს დიდხანს შერჩა.

კავთისხევში დღესაც მოიპოვებიან გლეხი მამაკაცები და დედაკაცები, რომელთაც კარგად ახსოვთ ის დრო, როცა იაკობი კავთისხევში სააგარაკოთ მოდიოდა და „იაკობ გოგებაშვილის ბუჩქნარში" დროგამოშვებით ისვენებდა და ადგილობრივი ბუნებით სტკბებოდა და იხიბლებოდა.

მეორე საუცხოვო ადგილი, რომელიც იაკობ გოგებაშვილს განსაკუთრებულად მოსწონდა — ეს იყო კავთისხევიდან 1—$1\frac{1}{2}$ კილომეტრით დაშორებული სოფელი გუდალეთი.

სოფლის მაღალ ადგილზე მდებარეობდა, ზომიერად შეზავებული მსუბუქი და მშრალი ჰაერი. სოფელს გარშემორ-

ტყმული წიწვიანი ხეების ტყეები, მრავალ ადგილას მოჩუხჩუხე ანკარა წყაროები სოფელ გუდალეთს საუცხოვო სააგარაკო ადგილად ხდიდნენ, საცა ადამიანს შეეძლო დამშვიდებულად დაესვენებინა და ქალაქის პირობებში დაკარგული ძალღონე და ენერგია მოეკრიფა და გაჯანსაღებული ქალაქში დაბრუნებულიყო.

ვისაც შეუცარია ერთხელ მაინც უნახავს, იგი უყოყმანოთ დაგვეთანხმება, რომ კავთისხევის ეს განაპირა საუცხოვო სოფელი ნამდვილ შეუცარიას მოგაგონებს.

იაკობს ისე მოსწონდა გუდალეთი, რომ იგი კვირაში ორჯერ სამჯერ მიდიოდა ამ სოფელში და ჩეროში დაფენილ ხალიჩაზე განცხრომით ისვენებდა ამ საუცხოვო ბუნების წიაღში ანდა თავისებურად საქმიანობას ეწეოდა.

პატივცემული ელენე ცხვედაძის თხრობით იაკობი გუდალეთში ამუშავებდა თავის „დედა ენასა“ და „ბუნების კარს“ შემდგომი გამოცემებისათვის, გუდალეთში იაკობმა შეადგინა თავისი „კონა“ და აგრეთვე მრავალი წერილი გაზეთებში დასასტამბავად, რომელთა შინაარსი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებს შეეხებოდა.

იაკობი, როცა საღამოს ჟამს გუდალეთიდან კავთისხევში დაბრუნდებოდა, ნიკო ცხვედაძე თავისებური ღიმილით შეეკითხებოდა იაკობს: „იაკობ, მართალი მითხარი, აბა როგორ მოგწონს შენ ჩვენი კუთხის შეუცარია? ხომ მართლა საუცხოვო დასასვენებელი სააგარაკო ადგილია? ეგაც ჩვენი კავთისხევი და შენგან მოწონებული გუდალეთი!“

იაკობი ესეთ შეკითხვებზე სრულიად გულწრფელად და გულახდილად უპასუხებდა ნიკო ცხვედაძეს: „მართალი გითხრა, ჩემო ნიკო, რომ საქართველოს მდიდარ ბუნებას, აბა რომელი კუთხე შეედრება? ბუნებას მთელი თავისი წარმტაცი ძლიერება, მთელი თავისი სიუხვე და სილამაზე ჩვენი სამშობლო ქვეყნისათვის მოუმადლებია. მე რომ დრო და მოცალეობა მქონდეს, გუდალეთში ავაგებდი საზაფხულო სახლს და ყოველ წლივ ზაფხულს ამ საუცხოო სოფელში გავატარებდი! განა უკეთეს სააგარაკო ადგილს კაცი სადმე მოსძებნის!“

იაკობი და ნიკო ცხვედაძე ხშირად ასე საუბრობდნენ და ნიკო სულითა და გულით მოხარული იყო, რომ მის განუყოფელ გულითად მეგობარს სოფელი კავთისხევი და მის გარშემო მდებარე სოფლები ასე რიგად მოსწონდა.

მართლაც იაკობს ისე რგებდა კავთისხევისა და გუდალეთის ზომიერი და საღი პაერი, რომ იგი ამ სოფლებს ყოველთვის ტკბილად იგონებდა და ყველგან, როცა კი საზაფხულო აგარაკების შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდებოდა, კავთისხევსა და მის მახლობლად მდებარე გუდალეთს დიდის ქებითა და ხოტბით მოიხსენიებდა ხოლმე.

იაკობ გოგებაშვილის ქველმოქმედება

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ამჟამად უკვე ცნობილია, დიდი გაქახების ქველმოქმედი ადამიანი იყო და ესეთი ქველმოქმედებისათვის ნივთიერი შეძლებაც სათანადოდ ხელს უწყობდა, მაგრამ იაკობი ამ ქველმოქმედებას ისე ფრთხილად, ისე მორიდებულად, ისე გაუხმაურებლად ეწეოდა, რომ ახლობელმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ, იაკობი ვის და როგორის სახით აწვდიდა ამა თუ იმ ნივთიერ დახმარებას.

ამიტომ ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას მთლიანი წარმოდგენა ვიქონიოთ იმ ქველმოქმედების შესახებ, რომელსაც იაკობ გოგებაშვილი ასე ფრთხილად, ასე გაუხმაურებლად ეწეოდა.

ნიკო ცხვედაძის ასულმა ელენე გოგიჩაიშვილმა გადმომცა, რომ მე თუმცა ძალიან დაახლოებული ვიყავი იაკობთან, მაგრამ ვის და რა რაოდენობით უწევდა იაკობი ნივთიერ დახმარებას, მაინც ვერ შევიტყვეო.

ერთად ერთი ის ვიცოდი, მიამბო პატივცემულმა ელენემ, იაკობის ბინაზე ხშირად იკრიბებოდნენ თბილისის სასულიერო სემინარიის უფროსი კლასის მოწაფეები, თბილისის ქართული გიმნაზიის მოსწავლენი, რომელთაც იაკობი ფულით, წიგნებით, ტანსაცმელის ყიდვით დიდ დახმარებას უწევდა. თუ კი იაკობი შენიშნავდა, რომ ყმაწვილი ნიჭიერია და ერთგვარ იმედებს იძლევა მომავლისათვის, დახმარებას არ აკლებდა ესეთ ყმაწვილს და ყოველთვის ხელს უმართავდა.

საზღვარგარეთ სწავლობდა თბილისის ქართული გიმნაზიის ყოფილი მოწაფე ბეშკენაძე, რომელსაც იაკობი კარგად იცნობდა და ნიჭიერ ახალგაზრდათ მიაჩნდა.

იაკობი თავის მხრითაც უგზავნიდა ბეშკენაძეს სტიპენდიას, მაგრამ ეს სტიპენდია კიდევ უფრო რომ გაედიდებინა, მამას

მოსვენებას არ აძლევდა დავით სარაჯიშვილის სასტიპენდიო თანხიდან ბეშკენაძისათვის დამატებითი სტიპენდია დაენიშნათ და ამრიგად ამ ნიჭიერ ყმაწვილს თავის ცხოვრების პირობები საზღვარ გარედ გაეუმჯობესებინა.

იაკობმა ამ ახალგაზრდის შესახებ თვითონ დავით სარაჯიშვილსაც კი მიმართა თხოვნით და ბოლოსდაბოლოს პირადის გავლენით თავისი გაიტანა.

ბეშკენაძე საზღვარგარეთ იაკობ გოგებაშვილის მიერ დანიშნულ სტიპენდიასთან ერთად დამატებით დავით სარაჯიშვილის სტიპენდიასაც იღებდა.

მეორე ახალგაზრდა, რომელსაც ელენე გოგიჩაიშვილის ცნობით იაკობი სტიპენდიას აძლევდა და სხვაგზითაც მრავლად ხელს უმართავდა, იყო ჩვენი მწერალი იოსებ მჭედლიშვილი, იმჟამად ქართული გიმნაზიის მოწაფე.

ამ ჩვენს მომავალს მწერალს მოწაფეობის დროს პირადად მეც ვიცნობდი.

იოსებ მჭედლიშვილი დიდად მოწადინებული იყო საშუალო სწავლა მაინც მიეღო, მაგრამ ამის საშუალებას მშობლების უკიდურესი სიღარიბე შესაძლებლობას არ აძლევდა.

მაგონდება მჭედლიშვილის ცხოვრებიდან ასეთი შემთხვევა. ერთხელ ყოფილ გუნიბის ქუჩაზე, ჩემს ბინაზე გამოცხადა 14-15 წლის ყმაწვილი და გულახდილად მეუბნება: „ვიდაჭრით უნდა მოგახსენოთ, რომ სწავლა ძალიან მენატრება. გავიგე, რომ თქვენ ყმაწვილებს უსასყიდლოდაც ასწავლით. თუ შეიძლება მეც ჩამრიცხეთ ასეთ ბედნიერ ყმაწვილთა სიაში. ეგების ქართულ გიმნაზიაში შესვლა მოვახერხო, ხოლო წინასწარ გაფრთხილებთ, კაპეიკის მომცემი არა ვარ. მე რა ეშმაკი მაბადია, რომ თქვენ გასამრჯელო მოგართვათ".

მოწაფის გულახდილობამ და გულწრფელობამ მომხიბლა და იოსებ მჭედლიშვილს თხოვნა შეუსრულე; მან ერთი წლის მაცადინეობის შემდეგ თბილისის ქართულ გიმნაზიაში გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სასწავლებელში მოწაფედ ჩაერიცხა.

უეჭველია ამ მოწაფეობის ხანაში იოსებ მჭედლიშვილმა გაიცნო იაკობ გოგებაშვილი, რომელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია თურმე ღარიბ მოწაფეს და წელში გამართა.

იაკობ გოგებაშვილს იოსებ მჭედლიშვილი ძალიან მოსწონდა, ნიჭიერ ახალგაზრდათ სთვლიდა და მაზედ დიდ იმედებსაც ამყარებდა.

იოსებ მჭედლიშვილის შესახებ იაკობი ხშირად იტყოდა თურმე, ეს ყმაწვილი „ერთხელ დაბერებულია“, „მეორედ დაბადებულაო“.

აი ამ ერთხელ „დაბერებულს“ და „მეორედ დაბადებულ“ ყმაწვილს იაკობ გოგებაშვილმა სტიპენდია დაუნიშნა იმ სრული რწმენით, რომ მჭედლიშვილზე გაწეული ხარჯები ქართველ ხალხს გაორკეცებით დაუბრუნდებაო.

რამდენად გაამართლა იოსებ მჭედლიშვილმა იაკობ გოგებაშვილის იმედები, ეს ამჟამად ყველასათვის აშკარაა.

ცნობილია, რომ იაკობ გოგებაშვილი არა ერთსა და ორ ქართველ ახალგაზრდას, არა ერთსა და ორ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას შეძლებისდაგვარად ხელს უმართავდა და საჭირო ნივთიერ დახმარებას უწევდა.

იაკობი, როცა მას ესეთი დახმარებისათვის მიმართავდნენ, მოურიდებლად, მაგრამ ამავე დროს ერთგვარი თავაზიანობით, ან გადაჭრილ უარს ეტყოდა ან სრულიად უყოყმანოთ ამა თუ იმ რაოდენობით დახმარებას გაიღებდა ხოლმე.

ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში იმჟამად დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიდა, ესეთივე ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდნენ ის ახალგაზრდა ქართველები, რომლებიც პოლიტიკური მოსაზრებით შორეულ ციმბირში იყვნენ გადასახლებული.

ქართველი საზოგადოება, ქართველი ინტელიგენცია საღამოებისა და წარმოდგენების გამართვით და უფრო ხშირად კი კერძო შემოწირულებათა შეგროვებით მრავლად ხელს უმართავდნენ როგორც რუსეთში უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობას, ისე შორეულ ციმბირში გადასახლებულ ქართველებს.

ამ ხაზით დიდ აქტივობას იჩენდნენ ქართველი მანდილოსნები, რომლებიც დიდის გულმოდგინებით აგროვებდნენ შემოწირულებას და დანიშნულების მიხედვით უგზავნიდნენ ამა თუ იმ პირს.

სამწუხაროთ, ამ შემოწირულებათა შემკრებელი მანდილოსნები ყველანი თავის სიმაღლეზე არ იდგნენ და შეგრო-

ვილ თანხებს თავის პირდაპირ დანიშნულებას არ აძლევდნენ.

შეწირულებათა ესეთი უღირსი შემკრებელი თბილისში იმჟამად არა ერთი და ორი მოიპოვებოდა.

იაკობი იცნობდა ესეთ პირთა ზნეობრივ ფიზიონომიას და როცა ეს ქალბატონები ან ვაჟბატონები იაკობს შეწირულებისათვის მიმართავდნენ, იგი ყოველთვის თავაზიანად უარს ეუბნებოდა შეწირულების გაღებაზე.

ერთხელ იაკობის ბინაზე სიით ხელში შემოფრიალდა შეწირულებათა შემკრებელი ერთ ერთი მანდილოსანი და იაკობს მოახსენა, რომ გიორგი ლასხიშვილი და მისი თანამოაზრე ახალგაზრდები, რომლებიც ამჟამად ციმბირში არიან პოლიტიკურის მოსაზრებით გადასახლებულები, დიდ ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან და ამიტომ შეწირულებას ვაგროვებთ და იმედია თქვენაც შეძლებისდაგვარად დაგვეხმარებით.

იაკობმა მთელი ლექცია წაუკითხა ამ „დარბაისელ“ მანდილოსანს იმის შესახებ, რომ ასე დეზორგანიზებულად შეგროვილი თანხები ხშირად თავის პირდაპირ დანიშნულებას ვერ აღწევენ. საჭიროა შეწირულებათა მოსაგროვებლად სხვა უფრო საიმედო გზა დაისახოს. ამჟამად ვინ არ გინდათ, რომ ესეთ შემოწირულებას არ აგროვებდეს და მერე ყველა ეს შემოწირულება თავის დანიშნულებას ემსახურება! პირადად ჩვენ გვგონია, განაგრძო სიტყვა იაკობმა, რომ ამ შემოწირულებათა შეგროვების პროცესში მრავალი ბოროტმოქმედება ხდება და ამიტომ შემოწირულების გაღებაზე კატეგორიულად უარს გიცხადებთ. გვწამს, რომ გიორგი ლასხიშვილი და მისი ამხანაგები ციმბირში დახმარებას საჭიროებენ, მაგრამ ვიმეორებთ, ამ დახმარების მოგროვება უფრო სხვა გზით და საშუალებით უნდა ხდებოდეს და არა ისე დეზორგანიზებულად, როგორც ეს ამჟამადაა.

მანდილოსანმა პირად შეურაცხყოფად მიიღო იაკობის მოხსენებული განმარტება და მკვახედაც გამოელაპარაკა ჩვენ მხცოვან პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს.

სწორედ ამ მკვახე შელაპარაკების დროს, მიამბო პატივცემულმა ელენე გოგიჩაიშვილმა, იაკობის ბინაზე შევიარე იმავე მიზნით, როგორც ეს ჩემ წინ იაკობთან მისული მანდილოსანიო.

იაკობმა, როცა შეიტყო, რომ მეც იმავე გიორგი ლასხიშვილისა და მისი ამხანაგების სასარგებლოდ ვაგროვებდი შემოწირულებას, ღიმილით მიმართა ძალზე განაწყენებულ მანდილოსანს: „ქალო, რას ცხარობთ? თქვენი სურვილი ხომ ისაა, გიორგი ლასხიშვილს და მის ციმბირში მცხოვრებ ამხანაგებს დახმარება აღმოუჩინოთ. კეთილი და პატიოსანი! აი ჩემი აღზრდილი მეგობარი ქალიც ამავე მიზნით მოსულა ჩემთან! რა გაწუხებთ, ამ ჩემ წვლილს ამ ჩემ გულითად მოკეთე მეგობარ ქალს გადავცემ და ამრიგად არც წვადი დაიწვება და არც შამფურიო“.

იაკობმა ამ სიტყვებთან ერთად 25 მანეთი გადმომცაო, მიამბო პატივცემულმა ელენემ, და ამრიგად მცირედად მაინც დაამშვიდა გაალმასებული მანდილოსანი, რომელიც, ეტყობოდა, დიდად გულნატკენი წავიდა იაკობის ბინიდანო.

საქართველოში კარგად ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მწერალი თედო სახოკია სასამართლოს დადგენილებით გადაასახლეს ციმბირში, საცა იგი ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაასახლა საცხოვრებლად ირკუტსკის გუბერნიის, ვერხოლენსკის მაზრის სოფელ ჟიგალოვკაში.

თედო სახოკიას განზრახვა ჰქონდა ციმბირიდან გამოპარულიყო, მაგრამ უსახსრობის გამო ამ განზრახვის განხორციელებას ვერ ახერხებდა.

თედო სახოკიამ ჟიგალოვიდან დეპეშა მოსწერა იაკობ გოგებაშვილს, რომელსაც ფულით დახმარებას სთხოვდა სამშობლოში დასაბრუნებლად.

იაკობმა დეპეშის მიღებისთანავე დეპეშითვე გადაუგზავნა თედო სახოკიას სოფელ ჟიგალოვაში ხუთი თუმანი, რაიცა მაშინდელი დროის მიხედვით არც ისე პატარა თანხად ჩაითვლებოდა.

იაკობის მიერ გაგზავნილმა ხუთმა თუმანმა თედო სახოკიას საშუალება მისცა შორეულ ციმბირისათვის თავი დაეღწია და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ჩვენი სახელოვანი ბელეტრისტი ეგნატე ნინოშვილი ნივთიერად ყოველთვის დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

იაკობ გოგებაშვილი სისტემატიურად ეხმარებოდა ეგნატე ნინოშვილს და შეძლებისდაგვარად დახმარებას არ აკლებდა. ერთხელ ჩემი ნაცნობის ხელით ეგნატე ნინოშვილმა იაკობ

გოგებაშვილს წერილი გაუგზავნა, საცა ჩვენი ნიჭიერი და საყელოვანი მწერალი იაკობს ატყობინებდა თავის უკიდურესად ნივთიერად შეჭირვების ამბავს და ფულით დახმარებას სთხოვდა.

წერილის მიღებისთანავე იაკობმა ოცდახუთი მანეთი ჩასდო კონვერტში და წერილის მომტანის ხელით ეგნატე ნინოშვილს გაუგზავნა.

იაკობი დიდად სწუხდა, ვაი თუ მისმა გაგზავნილმა მცირედმა თანხამ ეგრერიგად ხელი ვერ გაუმართა ეგნატე ნინოშვილსო.

იაკობი მხოლოდ მაშინ დამშვიდდა, როცა შეიტყო, რომ ეგნატე ნინოშვილი დიდად კმაყოფილი დარჩენილა იაკობის მიერ გაგზავნილი 25 მანეთის მიღებით და ამ ფულით პირნათლად დაუკმაყოფილებია იმჟამად მის წინაშე წამოჭრილი საჭიროება.

ერთხელ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში კერძო საუბრის დროს სხვათა შორის იაკობმა მითხრა: „სახალხო მასწავლებლები, როგორც ჩვენი სკოლებისა, ისე მთავრობის უწყებისა, ნივთიერად დიდ შეჭირვებას განიცდიან. როცა ესეთი მასწავლებლები საზოგადოების კანცელარიაში შემოივლიან, თუ შეატყოთ, რომ ნივთიერ დახმარებას საჭიროებენ, აუცილებლად ხელი უნდა მოუმართოთ. თქვენს განკარგულებაში აი ამ ას მანეთს გიტოვებთ და ეს ფული ნაწილ-ნაწილად გამოიყენეთ სახალხო მასწავლებლების დასახმარებლად. მასწავლებლებს ნუ განუცხადებთ, რომ ეს ფული ჩემგანა გაქვსთ მიღებული. თქვენ დახმარების ყოველ კერძო შემთხვევაში ბარათი ჩამოართვით დახმარების მიმღებ მასწავლებელს, დაახლოვებით შემდეგი ზოგადი შინაარსისა: „მივიღე ამდენი და ამდენი მანეთი დახმარების სახით“ და ასეთ ბარათზე ხელი მოაწერინეთ. როცა ეს თანხა მთლიანად ამოიწურება, ხელმოწერილი ბარათები წარმომიდგინეთ და კვლავ კიდევ გადმოგცემთ ას მანეთს. ამრიგად ვაწესრიგოთ ეს მეტად საჭირო საქმე“-ო.

ხშირი იყო შემთხვევა, როცა სახალხო მასწავლებლები ნივთიერად შეჭირვების დროს ამ თანხიდან ხელს იმართავდნენ;

იაკობ გოგებაშვილს თავისი სტიპენდიანტებიც ჰყავდა რუ-

სეთის უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთაც იგი ყოველთვიურად სტიპენდიებს სისტემატიურად უგზავნიდა.

ამ თავის საკუთარი სტიპენდიატების ვინაობას იაკობი საიდუმლოდ ინახავდა. იაკობი დროგამოშვებით ბინაზე მიმიწვევდა და ამა თუ იმ თანხებს გამაანგარიშინებდა. ვატყობდი, რომ ის თანხები, რომელსაც მე ვანგარიშობდი, სასტიპენდიო თანხები იყო, მაგრამ იაკობს არც ერთხელ ჩემთვის არ გაუმჟღავნებია თავისი სტიპენდიატების ვინაობა და არც მე მიმიცია ჩემი თავისთვის ნება მეთხოვნა, იაკობს საანგარიშო თანხებისათვის ბრჭყალები შემოეხსნა და საქმის კურსში დავეყენებინე.

იაკობის სამაცადინო მაგიდაზე ხშირად გამზადებული კონვერტები შემიმჩნევია. ალბათ ამ კონვერტებით, როგორც ახლა ვფიქრობ, იაკობი სტიპენდიებს უგზავნიდა თავის სტიპენდიატებს. ამ კონვერტების ფოსტაში წაღებას მხოლოდ და მხოლოდ თავის მსახურს ანდობდა ალბათ იმ მოსაზრებით, რომ სტიპენდიატების ვინაობა არ გამოემჟღავნებია.

მსახური გულუბრყვილოდ ფოსტას აბარებდა კონვერტებს და იმის გამოძიებაში არ შედიოდა, იაკობი ვის და რა მიზნით უგზავნიდა ფულებს.

იაკობ გოგებაშვილმა კარგად იცოდა, რომ საქართველოში ფართოდ ცნობილი ქველმოქმედი დავით სარაჯიშვილი უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობაზე სტიპენდიების სახით დიდ თანხებს ხარჯავდა.

მართალია, იაკობ გოგებაშვილი არ იყო მაინცა და მაინც დაახლოებული დავით სარაჯიშვილთან, იგი არ იყო ხშირი სტუმარი დავით სარაჯიშვილის კეთილმოწყობილ ოჯახისა, მაგრამ იგი მუდამ თვალყურს ადევნებდა სარაჯიშვილის მოღვაწეობას და დიდად აფასებდა მის ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე.

დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო იაკობ გოგებაშვილი 1911 წლის „ნაკადულის“ № 7 ფურცლებზე მოგვითხრობს, რომ დავით სარაჯიშვილმა „ყმაწვილობიდან გულში ღრმად ჩაინერგა სამსახური თავის ქვეყნისა, მისი სიკეთე, მისი შვება და ლხენა, მისი ჭირვარამის შემცირება და მოსპობა. დავითი კარგად ჰგრძნობდა, რომ ქვეყნის სამსახურისათვის უპირველეს ყოვლისა საჭიროა საფუძვლიანი განათლება, მრა-

ვალ-გვარი ცოდნა. ეს ცოდნა თავის სამშობლო თბილისში შეიძინა, მერე გაბაგრძო მისი შეძენა რუსეთში და ბოლოს დაამთავრა ევროპაში, გერმანიაში. საფუძვლიანად მომზადებული დაბრუნდა თავის სამშობლოში, შეუდგა იმისთანა დარგის წარმოებას, რომელიც იძლევა მეტს მოგებასა და შეძლებას აძლევს მწარმოებელს მეტი შემწეობა და დახმარება გაუწიოს სამშობლო ქვეყანას... ის პატარა თანხა, რომელიც მამისაგან დარჩა, კი არ გაფლანგა, სხვებივით, თანდათან გაზარდა და ბოლოს მილიონებად აქცია. ხოლო ამ მილიონებს თავისთვის-კი, არ ხარჯავდა, არამედ ქვეყანას ახმარებდა; დაარსა მრავალი სტიპენდია, აძლევდა ყოველ-წლიურ შემწეობას იმათ, ვისაც სწადდა მაღალი განათლება მიეღო და ნივთიერი შეძლება-კი ამის ნებას არ აძლევდა; დაუნიშნა ყოველწლიური შემწეობა ღარიბ სკოლებსა, რომელთაც დახმარება ძლიერ უჭირდათ, ხელს უმართავდა ბევრს განათლებულს ქართველს, რომელიც უბედურ შემთხვევის გამო გაჭირვებაში ვარდება და სხ. როგორც გამოქვეყნებულ ანდერძის წერილიდანა სჩანს, განსვენებულ დავითს თავისი დიდი ქონება თითქმის მთლად საქვეყნო საქმეებისათვის უანდერძებია."

მაგონდება ერთი შემთხვევა, როცა გიორგი წერეთელი გარდაიცვალა და მის დასასაფლავებლად ოჯახს კაპიკი სახლში არ მოეპოვებოდა.

განსვენებული მწერლის დამკრძალავმა კომისიამ დავით სარაჯიშვილს დელეგაცია გაუგზავნა და განსვენებულის დასაკრძალავად განსაზღვრულ თანხას სთხოვდა სესხის სახით. დელეგაციის ერთ ერთ წევრად მეც ამირჩიეს.

დავით სარაჯიშვილს მეტად გაეხარდა დელეგაციის წევრების სტუმრობა, მიგვიწვია სასტუმრო ოთახში, ბევრი გვაცინა თავისი მოსწრებული სიტყვებით და ბოლოს ღიმილით შეგვნიშნა: „დიდად მოხარული ვარ, რომ ყველანი ასე თავმოყრილი ჩემ ჭერ ქვეშ გნახეთ. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ცოტათი ეჭვი შეპარება, ეს თქვენი სტუმრობა ფულების მილებასთან ხომ არაა დაკავშირებული! უეჭველია, რაიმე. გაჭირვება მოგადგათ, თორემ ასე დილაადრიან არ მომინახულებდითო".

დელეგაციის თავმჯდომარემ აუხსნა დავითს, რომ გიორგი წერეთელი გარდაიცვალა და მის ოჯახობას კაპეიკი არ მოე-

პოვება მიცვალებულის დასასაფლავებლად. თუ მოსახერხებლად დაინახავთ, ხუთასი მანეთი გვიბოძეთ სესხის სახით და სულ მოკლე ხანში შევეცდებით დაგიბრუნოთო.

— ახირებული საქმეა, ღმერთმანი, ამდენხანს ცოცხლებს ვაჩრიდით ხელში და მეუბნებოდით, გინდა არ გინდა უპატრონეო, ახლა-კი მკვდრებიც თავზე მომახვიეთ, — სიცილით გვიპასუხა სარაჯიშვილმა ჩვენს თხოვნაზე.

— ჩემი ქონება რომ ასე ვარიგო, ხვალზეგ მეც გავღატაკდები და მერე ვინაა პატრონი ჩვენი „მკვდრებისა“ და „ცოცხლების“. ახირებულია, ღმერთმანი, ვისაც რა გაუჭირდება სარაჯიშვილთან მირბის და ფულებს სთხოვს: ნათქვამია, ზღვა კოვზით დაილევაო! ამ გზას რომ დავადგე, ვინ იცის სადამდე მივაღწევ! დარწმუნებული ვარ მერე ხელი უნდა გაიშვირო! მარა ვის უნდა გაუშვირო! აი რა მაფიქრებს, თორემ მეც კარგად მესმის, რომ გაჭირვების დროს კაცს დახმარება უნდა აღმოუჩინო!

ბოლოს, მცირედი გამობაასების შემდეგ, მაგიდის უჯრიდან ამოიღო ბანკის საჩეკო წიგნაკი, გამოწერა ხუთასი მანეთის ჩეკი, გადასცა იგი დელეგაციის თავმჯდომარეს და უთხრა: „მიირთვით, მხოლოდ სესხის სახით კი არა! ვიცი, არც თქვენ დამიბრუნებთ და, ვფიქრობ, არც მე მოგთხოვთო“.

დავით სარაჯიშვილს თავის შემოსავლიდან ყოველწლიურად გადადებული ჰქონდა განსაზღვრული სასტიპენდიო თანხა, რომელსაც განაგებდა განსაკუთრებული კომისია ნიკო ცხვედაძის თავმჯდომარეობით.

იაკობ გოგებაშვილი ხშირად თავისი პირადი გავლენით მოხსენებულ კომისიას ანიშვნინებდა სტიპენდიას ამა თუ იმ ღარიბ მოსწავლესათვის.

როცა სასტიპენდიო თანხა წლის განმავლობაში ამოიწურებოდა და სტიპენდიის დანიშვნა ვისმესათვის აუცილებლად საჭირო ხდებოდა, იაკობი პირადად მიმართავდა ხოლმე დავით სარაჯიშვილს და სასტიპენდიო თანხის გადიდებას სთხოვდა.

დავით სარაჯიშვილი იმდენად დიდ პატივს სცემდა იაკობს, რომ იგი ყოველთვის უსრულებდა იაკობს ესეთ პირად თხოვნას და ამრიგად არა ერთ ღარიბ ქართველ ახალგაზრდას მოუმართავს ხელი უმაღლეს სასწავლებელში, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარედაც.

ჩვენ დღესაც ვიცნობთ იაკობ გოგებაშვილის მიერ რეკომენდირებულ ქართველ სტიპენდიანტებს, რომლებიც სწავლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სამშობლო მხარეს დაუბრუნდნენ და ჩვენს სინამდვილეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

მეტია ამჟამად მტკიცება იმისა, რომ იაკობ გოგებაშვილი უაღრესად დიდი გულწრფელი და უანგარო ქველმოქმედი ადამიანი იყო.

იაკობ გოგებაშვილის შეურყეველი კრედო იყო: „ყველაფერი ხალხმა მომცა და ისევ ხალხსავე უნდა დაუბრუნდეს"-ო.

ამ მრწამსისათვის იაკობ გოგებაშვილს არც ერთხელ არ უღალატნია, რასაც აშკარად მოწმობს ამ სასიქადულო ადამიანის ის დიდი ქველმოქმედება, რომელსაც იგი სიცოცხლის დროს ასე ხელგაშლილად ეწეოდა და სიკვდილის შემდეგაც ქართველი ხალხი ამ სასიქადულო ადამიანის ქველმოქმედებით მრავლად დავალებულია.

საკმარისია ზერელედ გადავათვალიეროთ განსვენებულის მიერ დატოვებული ანდერძის ქაღალდი, რომ ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იაკობ გოგებაშვილის ქველმოქმედების ფართო გაქანების შესახებ.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი განუწყვეტელი შრომით და მუყაითობით არც ისე პატარა შეძლება შეიძინა. განსვენებულს ნაღდ ფულად დარჩა 13.000 მანეთი. ეს თანხა ინახებოდა, ნაწილობრივ ნაღდ ფულად ბანკში, ნაწილობრივ ფასიან ქაღალდების სახით.

მოხსენებულ თანხის გარდა იაკობს დარჩა საუცხოოდ შედგენილი სახელმძღვანელო წიგნები: „დედა ენა", „ბუნების კარი" და „რუსკოე სლოვოს" პირველი და მეორე ნაწილი. ამ სახელმძღვანელოებმა ფართო გზა გაიკვლიეს როგორც წერაკითხვის საზოგადოების სკოლებში, ისე მთავრობის მიერ დაარსებულ სხვადასხვა ტიპის სასწავლებლებში. განსვენებულს ამ სახელმძღვანელოებიდან ყოველწლიურად შემოდიოდა არა ნაკლებ 9 000 მანეთისა.

ანდერძის ქაღალდის მიხედვით იაკობს თავის კეთილად შეძენილი შეძლება ამრიგად ჰქონდა განაწილებული: სამასი თუმანი განსვენებულმა გადასდო თავის დასაფლავებისა და

ძეგლის დასადგმელი ხარჯების დასაფარავად. დანარჩენი თანხა ფასიანი ბილეთების სახით. თითო ბილეთი უანდერძა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას განმანათლებელ თანხის შესადგენად, სალიტერატურო ფონდს, ქართულ დრამატიულ საზოგადოებას, ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოებას, ჟურნალ „განათლებას“ და სახალხო უნივერსიტეტს.

წიგნები და სახელმძღვანელოები, რომელთა შემოსავალი წლიურად 9000 მანეთს აღწევდა, და ვერაზე საკუთრებად შეძენილი 280 კვად. საჟენი მიწა, იაკობმა ანდერძით წერაკითხვის საზოგადოებას უანდერძა.

სახელმძღვანელოების და წიგნების შემოსავლიდან წერაკითხვის საზოგადოებას უნდა დაეარსებინა განსვენებულის სამშობლო სოფელში, ვარიანში, სამაგალითო სახალხო სკოლა. ამავე სახელმძღვანელოებისა და წიგნების შემოსავლიდან საზოგადოებას ყოველწლიური დახმარება უნდა აღმოეჩინა: 1) ეკატერინე გაბაშვილის ქალთა პროფესიონალურ სასწავლებლისათვის — 120 მანეთით, 2) „განათლების“ საზოგადოებისათვის — 120 მანეთით, 3) ქართულ საბავშვო ბაღისათვის — 120 მანეთით, 4) ჟურნალ „განათლებას“ — არა ნაკლებ 300 მანეთით, 5) აკაკი წერეთელს ათ-ათი თუმნით ჰონორარად იმ ლექსებისა, რომლებიც მოთავსებული იყო განსვენებულის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში.

რუსულისა და ქართული წიგნების თითო გაყიდულ ეგზემპლიარიდან უნდა გადადებული ყოფილიყო არა ნაკლებ ერთი კაპეიკისა განათლების ფონდის დასაარსებლად. ამ ფონდის სარგებლით უნდა დაენიშნათ სტიპენდიები სახალხო მასწავლებლების, გლეხების და მუშების შვილებისათვის.

სალიტერატურო ფონდს უნდა მოხმარებოდა აგრეთვე ის თანხა, რომელსაც წერაკითხვის საზოგადოება გაანაღდებდა ვერაზე მდებარე მიწის ნაკვეთის გაყიდვით.

იაკობ გოგებაშვილმა თავისი ანდერძით უნაწილოდ არ დასტოვა მისი სახელმძღვანელო წიგნების დახელოვნებული ასოთამწყობი ლადო ქალანდაძე, წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგე ივანე ავალიშვილი და ამავე საზოგადოების ბეჭითი და უანგაროთ მშრომელი, მუდამ წყნარი და უპრეტენზიო ბუხჰალტერი ვასო ედილაშვილი, რომელთაც

ანდერძით დაუტოვა ერთდროულ დახმარების სახით ას ასი მანეთი.

აი დაახლოვებით იაკობ გოგებაშვილის მიერ დატოვებული ანდერძის ქაღალდის მოკლე შინაარსი.

ზოგი რამ იაკობ გოგებაშვილის კერძო ცხოვრებიდან

იაკობ გოგებაშვილი ჩვენს სინამდვილეში იმდენად დიდი მასშტაბის, დიდი გაქანების საზოგადო მოღვაწეა, რომ მის კერძო ცხოვრების, მის ხასიათის თვითეულ წვრილმანს, თვითეულ დეტალს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ დიდი ადამიანის წარსული მოღვაწეობის გამოსაკვლევად და შესასწავლად.

იაკობ გოგებაშვილს როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, შთამომავლობით ჯანმრთელობის სისუსტე გადაეცა, იგი მუდამ ფილტვების დაავადებას უჩიოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გაციების დროს ხველება აუტყდებოდა და ზოგჯერ ლოგინადაც კი ჩააგდებდა.

იაკობს ეს გარემოება მეტად აწუხებდა და აღონებდა მით უფრო მას შემდეგ, როცა ერთი ძმა და ერთი და ჭლექით დაავადებული გარდაეცვალა.

იაკობი ამიტომ ყოველთვის, როგორც მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს, ისე მაშინაც, როცა ცხოვრების სარბიელზე სამოღვაწეოდ გამოვიდა, სათუთად უვლიდა თავს და ოშვიათი სიფრთხილით იცავდა ჯანმრთელობისათვის ერთხელ შემოღებულ სასტიკ რეჟიმს.

ამ რეჟიმის სასტიკად დაცვა, ამ რეჟიმის ცხოვრებაში ზუსტად გატარება იაკობს ყოველდღიურ ურყევ კანონად ჰქონდა დადებული.

განსაზღვრულ საათებში ღამით დაძინება, განსაზღვრულ საათებში დილაობით გამოღვიძება, დღის განმავლობაში განსაზღვრულ საათებში მოსვენება ან გასეირნება იაკობს ყოველდღიურ ჩვეულებად გადაექცა და მის ცხოვრებაში ოშვიათად მოიპოვებოდა ისეთი შემთხვევა, როცა იაკობს ამ თავიდანვე შემოღებულ ჩვეულებისათვის ოდნავ მაინც ელალატოს, ოდნავ გვერდი შეეხვიოს.

იაკობს სწამდა, რომ მზის ნათელი სხივები მეტად კარგ გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და ამიტომ იგი მუდამ სცდილობდა საცხოვრებელი ბინა მზის ყურას დაედგა.

მართლაც, იაკობმა როცა სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება, თბილისში, თავის მეგობრის ნიკო ცხვედაძის მეზობლად, დაიქირავა ოთხი ოთახი, რომლებსაც მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები უხვად ეფინებოდა.

იაკობი დაბინავდა ამ ოთხ მზიან ოთახში და სიკვდილის უამამდე ზუსტად იცავდა ერთხელვე შემოღებულ რეჟიმს.

ოთახებში მუდამ სუფთა და ზომიერი ჰაერი იდგა, ფანჯრები ჰაერის გასაწმენდათ დილა საღამოობით აუცილებლად უნდა გაეღოთ.

მსახური იაკობ გულუაშვილი, რომელმაც კარგად შეისწავლა იაკობის ყოველდღიური ცხოვრების რეჟიმი, დაუზარებლად, სინდისიერად ხელს უწყობდა ჩვენ მხცოვან პედაგოგს მის მიერ შემოღებულ რეჟიმის დაცვაში.

სანამ იაკობი დილის ჩაის მორჩებოდა და გაზეთების კითხვით ერთობოდა, მსახური გულუაშვილი სწრაფად მიირბენ მოირბენდა მთელ ბაზარს, იყიდდა იმ დღის საჭირო სანოვაგეს და ასე 11-12 საათისათვის სახლში ბრუნდებოდა.

იაკობი, თუ მზიანი დღე იყო, ბინიდან ჩვეულებრივ 12 საათზე გამოდიოდა, მსახური კი ამ დროს ოთახების ალაგებას იწყებდა და სადილის მომზადების თავდარიგს იჭერდა.

იაკობი ბინიდან სასამართლო ქუჩაზე ჩამოდიოდა, მოუხვევდა მარჯვნივ და ვაჟთა პირველ გიმნაზიის მახლობლად ქვემოთ მიმავალ სწორი ქუჩით გოლოვინის პროსპექტზე ჩამოდიოდა.

მცირე ხნის სეირნობის შემდეგ პროსპექტზე წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შეიელიდა, მაღაზიის გამგის შიო ქუჩუკაშვილისა და ბუხჰალტერის ვასო ედილაშვილისაგან შეიტყობდა, რა მდგომარეობაში იყო მისი სახელმძღვანელოების ბეჭდვის საქმე, შეიტყობდა მათგანვე რაიმე ახალ ამბავს და ამ ამბების გარშემო ზოგჯერ ტკბილად, ზოგჯერ მწარედ გამოებაასებოდა საზოგადოების ამ ორ ერთგულ მუშაკს.

თუ ამ დროს საზოგადოების კანცელარიაში ვინმე სასურველ პირს დაინახავდა, იაკობი აუცილებლად კანცელარიაში

შეივლიდა, საზოგადოების მდივანს გამოელაპარაკებოდა მიმდინარე საქმეების გამო და შემდეგ დარბაისელ მუსაიფს გაუწყობდა კანცელარიაში მყოფ გარეშე პირებთან.

კანცელარიიდან იაკობი დროგამოშვებით მისი სახელმძღვანელოების გამომცემლის მიასნიკოვის კანტორაში შეიარდა, იქიდან სტამბაში მესტამბეებს მოინახულებდა, გაიგებდა ყველაფერს სახელმძღვანელოების ბეჭდვის მდგომარეობის შესახებ და შემდეგ ნაშუადღევის 5 საათამდე სადმე ქალაქის ბაღში დასეირნობდა ან ვინმე ნაცნობ მეგობარს შეხვდებოდა და ჩვენი ყოველდღიური საუბრობოროტო საქმეების შესახებ ბჭობდა და ბაასობდა.

სრულ 5 საათზე იაკობი სახლში ბრუნდებოდა იმავე გზის მიმართულებით, როგორაც ეს ბინიდან გამოსვლისას ჰქონდა შემოღებული და სადილობდა.

იაკობის სადილების და დილის საუზმის მენიუ დაახლოებით ესეთი იყო.

დილაობით იაკობი ორ ჭიქა რძიან ჩაის დალევდა კარაქწასმული თეთრი პურის ან ბულკის მიტანებით.

სრულ 12 საათზე ორ თოხლოდ მოხარშულ კვერცხს შეჭამდა და თან კარაქით წასმულ პურს მიატანდა.

სადილად მზარეული ჩვეულებრივ იაკობს უმზადებდა მოხარშულ ქათამს, ქათმის ბულიონს ან ჩიხირთმას, ცვრიანად შემწვარ ძროხის სუკს და კატლეტებს კარტოფილისა ან ბრინჯის გარნირით.

წვნიან საჭმელებში იაკობს განსაკუთრებით ჩიხირთმა მოსწონდა. იგი ხშირად მზარეულს ხუმრობით ეტყოდა: „იაკობ, დიდებული ჩიხირთმაა! ამ შენს მომზადებულ ჩიხირთმას, ვგონებ, ვარიანში მომზადებული ჩიხირთმაც კი ვერ შეედრებაო.“

ღვინოს იაკობი სადილად ერთსა და ორ ჭიქას სვამდა და ამასაც ჩილოვნური წყლებით შეზავებულს.

მზარეული სადილის თავდარიგს იმ ვარაუდით იჭერდა, რომ ერთი ან ორი სტუმარი კიდევაც შემოსწრებოდა, სადილი ყველას საკმარისად გასწვდებოდა.

პროვინციის მასწავლებლები, როცა თბილისში ჩამოსვლა უხდებოდათ, აუცილებლად იაკობს ბინაზე მოინახულებდნენ

და სახალხო სკოლების გაჭირვებასა თუ დალხინებას მოუთხრობდნენ ბოლმე.

იაკობი პროვინციიდან ჩამოსულ მასწავლებლებს ხშირად სადილადაც მიიპატიჟებდა და მათთან ერთად უფრო ხალისიანად, უფრო მხიარულად შეექცეოდა სადილს. ესეთი სადილების დროს ღვინოსაც საკმარისად სვამდა და სადილსაც უფრო მადიანად ეტანებოდა.

საზოგადოდ, როცა იაკობი ვისმეს სტუმრად პატიჟებდა ან ვისმესთან თვითონ იყო მიპატიჟებული, არა ჩვეულებრივად გამხიარულდებოდა, ღვინის სმასაც უმატებდა, მოსწრებულად ოხუნჯობდა, ზოგს ტკბილ სიტყვას ეტყოდა, ზოგს მწარეს და ამრიგად საერთო მხიარულებას ერთიორად ხელს უწყობდა. იაკობი ესეთ სადილებზე სიმღერასაც კი წამოიწყებდა და მისი თუმცა პატარა, მაგრამ ლამაზი და მოხდენილი ხმა ყველას სასიამოვნოთ ხვდებოდა ყურში.

იაკობს განსაკუთრებით ორი სიმღერა მოსწონდა: „მრავალჟამიერ“ და „კურდღელი ჩამოცანცალდა“. ამ სიმღერებს თავისი ლამაზი ხმით თვითონ დაიწყებდა და, სანამ ბოლომდე არ იმღერებდა, არ მოეშვებოდა.

იაკობი კერძო ცხოვრებაში მეტად სადა, მეტად მდაბიო, თავაზიანი კაცი იყო, მისი ფხიზელი, სწრაფი, მიუდგომელი, პირუთვნელი ლაპარაკი და მსჯელობა ყველგან და ყველას ყურადღებას იპყრობდა.

ყოველივე დახასიათებული სიკეთით უხვად დაჯილდოვებული იაკობი ყველგან, საცა არ უნდა ყოფილიყო იგი, კერძო ოჯახში თუ რომელიმე საზოგადო მნიშვნელობის დაწესებულებაში, მუდამ ყურადღების ცენტრში იყო მოქცეული, ყველანი დიდის თავაზიანობით, დიდის სიყვარულით და პატივისცემით შეჰყურებდნენ ჩვენ მხცოვან პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს, და ყოველივე მის აზრსა და შეხედულებას ყურად იღებდნენ და ანგარიშს უწევდნენ.

სწორედ იმ ხანებში, როცა იაკობ გოგებაშვილი სამოღვაწეო ასპარეზზედ გამოვიდა, თბილისში მაშინდელი პოლიტიკური და ეკონომიური აუტანელი პირობების შესანელებლად, ქართველ მოღვაწეთა ძალების მობილიზაცია ხდებოდა.

თბილისში მცხოვრები ქართველი მოღვაწეები ჩვენი საქვეყნო საეროვნო საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად კერ-

ძო ბინებზე კონსპირაციულად იკრიბებოდნენ და ამა თუ იმ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმის გარშემო ბჭობდნენ და ბაასობდნენ.

ასეთ კერძო საიმედო ბინებად იმჟამად მიჩნეული იყო იაკობ გოგებაშვილის, ანტონ ფურცელაძის და იოსებ მამაცაშვილის ბინები და უმეტეს შემთხვევაში კი იოსებ მამაცაშვილის ბინა.

ამ კულტურულ ოჯახს მთელი თბილისის შეგნებული ქართველობა იცნობდა. ამ ოჯახის მამამთავარს იოსებ მამაცაშვილს მთელი ჩვენი მოწინავე ქართველობა პატივს სცემდა როგორც პატიოსან, განათლებულ, უმწიკვლო და საშობლოს უაღრესად მოყვარულ საზოგადო მოღვაწეს.

იოსებ მამაცაშვილის ოჯახი თბილისში ის ცენტრი იყო, რომელიც თავის გარშემო იკრებდა საზოგადოების თვალსაჩინო მოღვაწეებს. თითქმის ყოველივე საზოგადო საქმე ამ ცენტრში იბადებოდა, ამ ცენტრში ღვივდებოდა და იფურჩქნებოდა იოსებ მამაცაშვილის აქტიური მონაწილეობით.

დიახ, იოსებ მამაცაშვილის ოჯახი ის ცენტრი იყო ჩვენს ახლოწარსულში, საცა ქართველი კაცის გულისტკივილი გულხვიერ გამოძახილს ჰპოულობდა ქართველი საზოგადოების ფართო ფენებში.

სხვა ჩვენ მოღვაწეებთან ერთად იაკობ გოგებაშვილიც დაიარებოდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში და მბურვალე მონაწილეობას იღებდა იმ კონსპირატიულ სხდომებში, რომელიც მამაცაშვილის ოჯახში სისტემატიურად იმართებოდა.

ამ სხდომების მონაწილეებმა ერთ-ერთ სხდომაზე გადაწყვიტეს, რომ საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმიანობაში ჩაებათ ქართველი ქალები. ამ მიზნით ქართველი ქალებისათვის ლექციების კითხვა დაავალეს თბილისის სასულიერო სემინარიის ქართველ მასწავლებლებს.

ლექტორებად დანიშნული მასწავლებლები დაუყოვნებლივ შეუდგნენ დავალებული საქმის პირნათლად შესრულებას. ლექტორების შინაარსიანმა ლექციებმა დიდად დააინტერესეს ქართველი ქალები, რომლებიც უდიდესი ყურადღებით ისმენდნენ ლექციებს მეცნიერების სხვა და სხვა დარგიდან და ამრიგად თავის ცოდნას აღრმავებდნენ და აფართოებდნენ.

ქართველ ქალთა აუდიტორია დღითი დღე იზრდებოდა. ჩვენი ქართველი ქალები იშვიათი მხნეობით, იშვიათი ბეჯითობით და სიყვარულით ეწაფებოდნენ ქართველ მასწავლებელთა წაკითხულ ლექციებს და საჭირო ცოდნას იძენდნენ.

ამ ლექციების გარდა იმ წრემ, რომელიც იოსებ მამაცაშვილის ოჯახში კონსპირატიულად იკრიბებოდა, მოაწყო ქართველ ქალებისათვის ფეხსაცმელების დამამზადებელი სახელოსნო, რომელმაც არა ერთი და ორი ქართველი შეგნებული ქალი მიიზიდა.

ქართველი ქალების მიერ შეკერილმა ფეხსაცმელებმა თავისი ხარისხიანობით ფართო ბაზარი მოიპოვა თბილისში და სარგებლიანობის თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობის საწარმოთ გარდაიქცა.

იაკობ გოგებაშვილი, როგორც ზემოდ გვქონდა მოხსენებული, მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ სხდომებზე, რომელიც იოსებ მამაცაშვილის ოჯახში იმართებოდა. იაკობის საღი, ყოველთვის საბუთიანი მსჯელობა იოსებ მამაცაშვილის ოჯახის მთელი შემადგენლობის სამართლიან ყურადღებას იპყრობდა.

იაკობი კარგად აჩჩნევდა ამ გულთბილ, ყურადმღებ დამოკიდებულებას და ამიტომ იგი კერძოთაც დადიოდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახში და, რაც დრო უფრო და უფრო გადიოდა, იგი თანდათან უფრო მეტს სიყვარულსა და სიმპატიას გრძნობდა ამ ოჯახის წევრებისადმი.

იაკობის ამაყი, თავმომწონე გარეგანი ლამაზი შეხედულება, იაკობის მკვირცხლი, გონიერი, ყველგან და მარადის საბუთიანი საღი მსჯელობა მამაცაშვილის ოჯახის წევრებს ერთიანად ჰხიბლავდა და ატყვევებდა და განსაკუთრებით კი იოსების ყოვლად პატიოსან, ყოვლად ზრდილ ასულს დარია მამაცაშვილს.

იაკობსა და დარია მამაცაშვილს შორის სულიერი კავშირის სათუთი ძაფები გაიბა.

აშკარა იყო, რომ იაკობს დარია მოსწონდა, იაკობს დარია უნაზესი სიყვარულით უყვარდა, და დარიას მგრძნობიარე გული იაკობს თანაუგრძნობდა, დარიას იაკობის გულწრფელად სიყვარული ძვალრბილში ჰქონდა გამჯდარი, მოსვენებას არ აძლევდა.

სამწუხაროდ, არ მოხდა ის, რასაც ყველანი მოელოდნენ! იაკობისა და დარია მამაცაშვილის გულწრფელი, სათუთი სიყვარული ქორწინებით არ დაგვირგვინებულა.

იაკობი დიდის სიფრთხილით, დიდი სერიოზობით უდგებოდა თავის დაცოლშვილების საკითხს.

ესეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმა იაკობს ეძნელებოდა; იაკობი ჰფიქრობდა, რომ იგი ავადმყოფი ადამიანია, რომ მას განუკურნებელი სენი შთამომავლობით აქვს ნაანდერძევი და ამიტომ ზნეობრივი უფლება არა აქვს ცოლშვილს მოეკიდოს და ამრიგად მსხვერპლად შეიწიროს საყვარელი ადამიანი და მასთან ერთად მომავალი შთამომავლობაც.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ იაკობისა და დარია მამაცაშვილის გულწრფელი ნაზი სიყვარული და მეგობრული უშწიკვლო კავშირი ქორწინებით ვერ დაგვირგვინდა.

იაკობი და დარია მაინც მიუხედავად ამისა ძველებურად მეგობრები დარჩნენ, ერთმანეთს ხშირად ნახულობდნენ და ძველებურის გულწრფელობით ერთმანეთს პატივს სცემდნენ.

იაკობ გოგებაშვილის ასე ვთქვათ, რომანის შესახებ მეორე ვერსიაც არსებობს, მაგრამ ამ ვერსიის შესახებ თბილისში ნაკლებად ვისმეს გაუგონია.

ჩვენის აზრით იაკობის რომანის ეს მეორე ვერსია უფრო სახუმარო ნიადაგზეა აღმოცენებული.

აი რომანის ეს ვერსიაც. ერთ ახალგაზრდა ქალს, რომელიც თავის განათლებით და განვითარებით ძრიელ დაბალ საფეხურზე იდგა, შეუყვარდა იაკობი. მაგრამ ამ თავის სიყვარულის გამომჟღავნებას იაკობს თურმე ვერ უბედავდა.

სიყვარული ქალს დღითი დღე უძლიერდებოდა და გამოსავალს კი იგი ვერ ჰპოულობდა.

ბოლოს, როცა ქალმა ყოველგვარი იმედები დაჰკარგა იაკობისათვის ეს თავისი გულწრფელი სიყვარული გამოეცხადებინა, სასოწარკვეთილი, იაკობის უიმედო სიყვარულით შეპყრობილი, მტკვარში გადავარდა და თავი დაიღრჩოვა.

ჩვენ მწერალს რომანისტს ვასილ ბარნოვს კერძო ბაასის დროს იაკობისათვის სხვათაშორის უთქვამს: „იაკობ შენ თურმე ერთ ქალს თავდავიწყებით უყვარდი, მაგრამ ამ სიყვარულის გამოცხადება შენთვის ვერ გაუბედავს. ამდგარა ეს ქალი და მტკვარში თავი დაუხრჩვია“-ო.

იაკობმა თურმე ღიმილით უპასუხა ვასილ ბარნოვს: „ის დალოცვილი თავს რად იხრჩობდა! თუ მართლა ვუყვარდი და ცოლად გამოყოლა უნდოდა, მეტყოდა და მეც შევირთავდიო“.

ცხადია, იაკობის რომანის ეს ვერსია, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სახუმარო ნიადაგზეა აღმოცენებული და ამიტომ ჩვენის აზრით ესეთ რომანს იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებაში ადგილი არა ჰქონია და ყოველს ეჭვს გარეშეა არც ექნებოდა.

1911 წელს, როცა ცნობილი ქველმოქმედი დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილი გარდაიცვალა, განსვენებულის ჰირისუფლები წინააღმდეგი იყვნენ თურმე დავით სარაჯიშვილი დიდუბის ეკლესიის გოლოვანში დაესაფლავებინათ.

ნიკო ცხვედაძე, რომელიც დავით სარაჯიშვილისა და მისი ოჯახის დიდი მეგობარი იყო, ჩაერია განსვენებულის სასაფლაო ადგილის არჩევის საკითხის გადაწყვეტაში, და თავისი პირადის გავლენით დაითანხმა დავით სარაჯიშვილის მეუღლე პატივცემული ეკატერინე ივანეს ასული განსვენებული დიდუბეში დაესაფლავებინა სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად.

იაკობ გოგებაშვილს დიდად გაეხარდა, როცა შეიტყო, რომ დავით სარაჯიშვილს დიდუბის ეკლესიის გალავანში ასაფლავებენო.

„იცი, რა უნდა გითხრა, ნიკო!“ მიმართა იაკობმა ნიკო ცხვედაძეს: „დიდუბის ეკლესია თანდათანობით შემოიკრებს თავის გალავანში ქართველ საზოგადო მოღვაწეებს და ამრიგად შეიქნება ქართველ მოღვაწეთა საერთო სასაფლაო, ქართველ მოღვაწეთა პანთეონი. თუ არ ვცდები, შენცა და მეც ამ პანთეონში სამუდამო განსასვენებელ ბინას დაგვიდებენ. მოვლენ ჩვენი საფლავების დასათვალიერებლად ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც შევძახებთ: „გამარჯვება, ყმაწვილებო!“ და ისინიც ერთხმად ჩამოგვძახებენ: „გაგიმარჯოსო“!. ჩვენი ახალგაზრდობის ამ სასიხარულო ხმით გამხნევებულები სამუდამოთ დავმშვიდდებით იმ სრულის რწმენით, რომ ჩვენ დაჩაგრულ და წამებულ ქვეყანას კიდევ მოეპოვება პატრონები, რომლებიც თავის წინაპართა ღვაწლს არ ივიწყებენ და მომავლის იმედებით ცოცხლობენ და სულდგმულობენო“.

იაკობ გოგებაშვილის წინასწარი დიაგნოზი ცხოვრების სინამდვილემ გაამართლა.

მართლაც, ეს ორი დიდი ქართველი მოღვაწე, იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე, ქართველ მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაასაფლავეს.

სამშობლოს ბედი და მომავალი, რომლისათვისაც ეს ორი თავდადებული წარჩინებული მოღვაწე ასე მედგრად, ასე თავგანწირულად იბრძოდა, ჩაბარდა იმ ახალგაზრდობას, რომელმაც სამშობლო მხარეს შეუქნეს ცხოვრების ისეთი მდგომარეობა, რომლის შესახებ იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ცხვედაძე ოცნებასაც კი ვერ ჰბედავდნენ.

იაკობი ჯერ კიდევ, როცა გორის სასულიერო სასწავლებელში და შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა, ყოველ თავისუფალ დროს ნიკო ცხვედაძის მამისა და ბიძის ოჯახებში ატარებდა.

ამ პატიოსანი ძმების ოჯახებმა შვილივით შეითვისეს იაკობი და მოვლა-პატრონობას არ აკლებდნენ.

იაკობიც თავის მხრით შესაძლებლობის ფარგლებში ხელმძღვანელობას უწევდა ამ ორი ოჯახის შვილებსა და მომავალს სწავლა-განათლების მიღების საქმეში.

სწორედ ამ ხანებში ჩაეყარა საძირკველი იმ მეგობრულ კავშირს, რომელიც შემდგომში ასერიგად განმტკიცდა იაკობ გოგებაშვილსა და ნიკო ცხვედაძეს შორის.

იაკობ გოგებაშვილმა მეგობრული კავშირი ნიკო ცხვედაძესთან ერთი ორად განამტკიცა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ნიკო ცხვედაძე რუსეთში სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლად დაინიშნა.

ეს მეგობრული კავშირი იაკობსა და ნიკო ცხვედაძეს შორის დღითი დღე ძლიერდებოდა და ერთხელაც ოდნავ არაფრით დაჩრდილულა.

იაკობი და ნიკო ცხვედაძე მთაწმინდაში, ვეძინის ქუჩის კუთხეში მდებარე ყარაშვილის სახლში ცხოვრობდნენ. დღე ისე როგორ გაივლიდა, რომ იაკობს ნიკო ცხვედაძის ოჯახში არ შეეარა და ნიკოს იაკობი არ მოენახულებინოს მის საკუთარ ბინაზე.

ნიკო ცხვედაძის ოჯახს მოვლა-პატრონობას უწევდა ნიკოს

ახლობელი ნათესავი ქალი სალომე მაღალაშვილი, რომელიც დიდ ამაგს სდებდა მთელ ოჯახს.

სალომე მაღალაშვილი მთელი დღის განმავლობაში ჯარასავით ტრიალებდა ნიკო ცხვედაძის ოჯახში. ოთახებს იგი ალაგებდა და ასუფთავებდა, სადილსა და ვახშამს ის ამზადებდა, სარეცხს ის რეცხავდა და ამრიგად ოჯახს პირს სწმენდდა.

ნიკოს პატარა ასული ელენე უკვე მოწაფის ასაკისა იყო და სასწავლებელში დაიარებოდა. ნიკო მთელი დღის განმავლობაში საქმიანობაში იყო გართული, ასე რომ სრულებით მოცლა არ ჰქონდა თვალყური ედევნებინა ელენეს სწავლა-აღზრდისათვის. ამ მხრით სალომე მაღალაშვილიც ნაკლებ დახმარებას უწევდა ელენეს, რადგან სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ შესწევდა.

იაკობი ყოველივე ამას ნათლად ხედავდა და ამიტომ იგი თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლიდა თავის გულითად მეგობარს ამ მხრით მიხმარებოდა.

იაკობი ყოველდღე მიდიოდა ნიკოს ოჯახში და უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა პატარა ელენეს სწავლა-აღზრდის საქმეში. მთელი საათობით პატარა მოსწავლე ქალს გვერდით მოისვამდა, გაკვეთილებს უხსნიდა, აკითხებდა, აწერინებდა და გაკვეთილების მომზადების შემდეგ გარეშე წიგნებს უკითხავდა.

იაკობის დახელოვნებულმა ხელმძღვანელობამ ელენე დიდად დააწინაურა სწავლაში. იგი უკვე ერთ ერთ საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა მთელ სასწავლებელში.

ელენე დაუბრკოლებლივ კლასიდან კლასში გადადიოდა და თავისი წარჩინებული სწავლით მან სამართლიანად დაიმსახურა მასწავლებლებისა და მოსწავლე ამხანაგების გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა.

ამხანაგ ქალებს ელენე მართლაც გულწრფელად უყვარდათ. ისინი ხშირად იკრიბებოდნენ ელენეს ბინაზე და შეერთებული ძალებით გაკვეთილებს ამზადებდნენ. საკმარისს დროსაც ჰპოულობდნენ თვითგანვითარების მიზნით გარეშე წიგნებიც ეკითხათ.

იაკობი, როცა ელენეს ამხანაგი ქალების წრეში მოხვდებოდა და ესეთი შემთხვევა კი ხშირი იყო, ამ წრის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ჩვენი დახელოვნებული პედაგოგი თვითეულ მოსწავლე ქალთან საერთო ენას გამონახავდა. იგი თავისი გონივრული დარიგებით, თავისი მოხერხებული ხელმძღვანელობით უნებლიედ ყველას ყურადღებას იქცევდა.

ელენეს კლასის ამხანაგები დიდის გულმოდგინებით უსმენდნენ ტკბილად მოუბარ იაკობს, რომლის ფართო ცოდნასა და ერუდიციას ყველანი აღტაცებაში მოჰყავდა.

მოსწავლე ქალები ძალიან დაუახლოვდნენ იაკობს და ყოველ გაჭირვებისას და დალხინებისას იაკობს მიმართავდნენ რჩევისა და დარიგების მისაღებად. იაკობიც დიდის სიამოვნებით საჭირო ხელმძღვანელობას უწევდა ამ მოსწავლე ახალგაზრდა ქალებს.

მოსწავლე ქალებმა ისე გულწრფელად, ისე მეგობრულად შეიყვარეს იაკობ გოგებაშვილი მამაშვილური დარიგებისა და ხელმძღვანელობისათვის, რომ სასწავლებელში კურსის დამთავრების შემდეგ, თვითეული მათგანი თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლიდა თავისი სურათი შესაფერისი წარწერით იაკობისათვის მიეძღვნა.

იაკობი თავის მეგობრის ასულს ელენეს მოწაფეობის დროს ხომ დიდ ხელმძღვანელობას უწევდა სწავლა-აღზრდის საქმეში, მაგრამ ესეთი ზრუნვა და ხელმძღვანელობა იაკობს მაშინაც არ შეუწყვეტია, როცა ელენემ სასწავლებელი დაამთავრა და უკვე ცხოვრების სარბიელზე გამოვიდა.

იაკობი იმდენ გულხმიერებას და გულთბილობას იჩენდა უკვე კურს დამთავრებულ ელენესადმი, რომ არ ყოფილა ელენეს ცხოვრებაში ისეთი სასიხარულო დღე, რომ იაკობს რაიმე ძვირფასი საჩუქრის სახით არ აღენიშნოს ეს დღე.

იაკობ გოგებაშვილს საზოგადოდ ძლიერ უყვარდა ისეთი დღესასწაულების შეგებება, როგორიც იმჟამად იყო ქრისტეს შობა და აღდგომა.

ამ დღესასწაულების ღირსეულად შესახვედრად იაკობი განსაკუთრებულად ემზადებოდა. იაკობის მზარეული დროულად ამოძრავდებოდა და დღესასწაულის ჯეროვანად მოსაწყობად წინასწარ საჭირო თავდარიგს იჭერდა.

შობასა და აღდგომას იაკობის ბინაზე საუცხოოდ გაწყობილი ქართული სუფრა იშლებოდა.

სადღესასწაულოდ ესეთ გამართულ ნადიმებზე იაკობი

ჩვეულებრივ იწვევდა თავის ახლო მეგობრებს და მათ შორის პირველ რიგში ნიკო ცხვედაძის ოჯახის მთელ შემადგენლობას, ელენეს გულითად მეგობარ ამხანაგებს და სხვებს.

ყველგან და ყოველთვის ტკბილად მოუბარი იაკობი ეხლო მეგობრულ წრეში არა ჩვეულებრივად გამხიარულდებოდა, ყველას წინაშე იშვიათ სტუმართმოყვარეობას იჩენდა, ყველას ყურადღებით ეპყრობოდა, ყველას მოსწრებულ სასიამოვნო სიტყვას სთავაზობდა. თვითონაც გულიანად მხიარულობდა და სტუმრებსაც ამხიარულებდა.

სამხიარულოდ გაშლილ სუფრაზე თამადობას იაკობი თვითონვე კისრულობდა და მის მოსწრებულ სადღეგრძელო ტოსტებს სიხარული და სიცოცხლე შეჰქონდა დამსწრეთა შორის. მხიარული სიცილის, ხარხარის, სიმღერის ხმა ერთიორად მხიარულებას ჰმატებდა სადღესასწაულოდ გამართულ სუფრას.

ამ მხიარულების ტონს იაკობი იძლეოდა, იგი ყოველ სადღეგრძელოს თავისი პატარა, მაგრამ ლამაზი ხმით „შრავალჟამიერისა“ ან „კურდღელი ჩამოცანცალდაო“ სიმღერით აგვირგვინებდა.

ასე მხიარულად და ხალისიანად ეგებებოდა იაკობი ყოველწლივ შობისა და აღდგომის დღესასწაულებს თავის გულითად მეგობრებს შორის.

იაკობ გოგებაშვილი მეტად ნასიამოვნები დარჩა, როცა შეიტყო, რომ მისი ხელმძღვანელობით აღზრდილმა ელენემ თავის გულითად მეგობრად აირჩია ჩვენი პატივცემული პროფესორი ფილიპე გოგიჩაიშვილი და ეს არჩევანი ქორწინებით დააგვირგვინა.

ფილიპე გოგიჩაიშვილის ოჯახისა და იაკობის შორის მეგობრული კავშირი და ურთიერთობა ერთი ორად განმტკიცდა.

ფილიპე გოგიჩაიშვილი დაუახლოვდა იაკობ გოგებაშვილს და პატივცემულ მის მეუღლე ელენესთან ერთად უდიდეს სამსახურს უწევდნენ ჩვენ მხცოვან პედაგოგს, განსაკუთრებით მის უკანასკნელ დღეებში. ამიტომაც იყო, რომ იაკობმა თავისი ნების აღმასრულებლად სხვებთან ერთად ჩვენი პატივცემული ფილიპე გოგიჩაიშვილიც აირჩია.

ელენე გოგიჩაიშვილი იაკობის ლოგინად ჩავარდნის შემ-

დეგ მოუშორებლივ თავს დასტრიალებდა ჩვენს ძვირფასს ავადმყოფს და ექიმ ტიტე ქიქოძის ხელმძღვანელობით საჭირო დახმარებას არ აკლებდა მხცოვან პედაგოგს.

დიდებულმა მოქალაქემ, დიდებულმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა თავისი დიდებული სული ელენე ცხვედაძის მკლავზე თავჩამოდებული დალია და ამრიგად დააობლა არა მარტო თავისი ახლო მეგობრები, არამედ მთელი საქართველოს მკვიდრნი, განურჩევლად წოდებისა და მიმართულებისა, დააობლა მთელი ქართველი ერი, რომელიც განუსაზღვრელ გულისტკივილს გამოსთქვამდა თავის საამაყო შვილის დაკარგვის გამო.

ჩვენ ზემოდ გვქონდა მოხსენებული, რომ იაკობ გოგებაშვილს ძალიან მოსწონდა ჩვენი ამჟამად კარგად ცნობილი მწერალი იოსებ მჭედლიშვილი, როცა იგი ჯერ კიდევ თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწავლობდა.

იაკობს გაეგო, რომ იოსებ მჭედლიშვილი ღარიბი გლეხის შვილია, სწავლაში წარმატებას იჩენს, მწერლობაშიაც მონაწილეობას იღებს და, თუ ვინმემ ხელი შეუწყო, სასარგებლო კაცი დადგებაო.

იაკობს ქართულ გიმნაზიაში მჭედლიშვილის სწავლის ფულიც კი შეეტანა და სურვილი გამოეთქვა, კარგი იქნება, თუ ამ ნიჭიერ მოწაფეს სახლში გამომიგზავნით, რომ გავიცნოვო.

მოწაფე იოსებ მჭედლიშვილმა ასარგებლა ამ შემთხვევით და სულ მცირე ხნის განმავლობაში იაკობ გოგებაშვილი გაიცნო მის საკუთარ ბინაზე.

იოსებ მჭედლიშვილი დიდ პატივს სცემდა ჩვენს სასიქადულო პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს, მის გონივრულ რჩევასა და დარიგებას ყოველთვის ანგარიშს უწევდა და თავის სასიამოვნო მოვალეობად სთვლიდა ყოველდღიურ ცხოვრებაშიაც გამოეყენებინა ეს რჩევა-დარიგებანი.

იოსებ მჭედლიშვილს მოგონებაც კი დაუწერია იმის შესახებ, თუ როდის და რა პირობებში გაიცნო მან იაკობ გოგებაშვილი და როგორი ურთიერთ დამოკიდებულება დამყარდა მათ შორის იაკობის გაცნობის პირველ დღიდანვე.

ეს მოგონება ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელია და ავტორის ნებართვით ამ საინტერესო მოგონებიდან მოვიყვანთ რამდენიმე დამახასიათებელ ადგილს იაკობ გოგებაშვილის კერძო ცხოვრების კიდევ უფრო წათელსაყოფად.

იოსებ ბენედლიშვილი თავის მოგონებაში სწერს: „რაკი სოფელშივე ვისწავლე წერაკითხვა, ქალაქში ჩამოსული სულ წიგნებს ვეძებდი, მით უფრო რომ მეტი საქმე არ მქონია რა. აქ ჩამეარდა ხელში იაკობ გოგებაშვილის „ბუნების კარი". ამის მეტი სხვა საკითხავი წიგნი ჯერ არა მქონდა. აი ამ „ბუნების კარში" ამოვიკითხე ჩემი გულის პასუხი.

ამ სახელმძღვანელოს ბოლოში ამოვიკითხე ჩვენი ისტორიული წარსულის ამბები, რამაც მშვენიერად გამომარკვია და გზაც გამიხსნა შემდგომი სწორი განვითარებისათვის.

ერთხელ ქართული გიმნაზიის დირექტორმა გამომიცხადა შენი სწავლის ფული იაკობ გოგებაშვილმა შემოიტანა და შენი ნახვა უნდაო. ამასთანავე მისამართიც მომცა იმისი.

თურმე ნუ იტყვით, იაკობ გოგებაშვილიც მთაწმინდაში ცხოვრობდა, ვეძინის ქუჩის დასაწყისში, რომლის კარწინაც ყოველდღე ავიელიდი და ჩამოვიელიდი ხოლმე.

არ ვიცოდი მაშინ, ვინ როდის სადილობდა და სწორედ სადილობისას მივადექ იაკობს.

მოსამსახურე კაცმა გამიღო კარი. შემდეგ შებრუნდა და მოახსენა იაკობს, ვიღაც ყმაწვილია და თქვენი ნახვა უნდაო. მოსამსახურე გამოვიდა და ვინაობა მკითხა. როცა ჩემი გვარი ეუთხარი, იაკობმა გაიგო და მაშინათვე გამომეგება.

— მობრძანდით, მობრძანდით ყმაწვილო, — შემიპატიჟა მან. მეც მკვირცხლად ავირბინე ათსაფეხურიანი კიბე: იაკობმა ხელი მომხვია და შინ შემიყვანა.

სუფრა გაშლილი ჰქონდა და სტუმრად მხოლოდ ერთი ქალი ახლდა, რომელიც შემდეგ გავიგე, მსახიობი ქალი იყო, ყორღანოვი.

გოგებაშვილს სუფრა პირწმინდათ ქართული ჰქონდა, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით. თვითონ სუფრამ ჩემი სოფელი მომაგონა, გლეხის ოჯახი. სუფრაზე ჰქონდა: ცივად მოხარშული ქათამი, ჩახოხბილი ქათამი, ჩიხირთმა, შოთი პური და ღვინო.

სადილის შემდეგ ყორღანოვის ქალი წავიდა და იაკობმა მოსამსახურე კაცს უთხრა, ეხლა აღარა მცალიან და ნუღარავის შემოუშვებო.

ხუთი თუ ექვსი ოთახი ეჭირა. სუყველა ოთახები მორთული ჰქონდა ქართული ისტორიული ნივთებით, ხალიჩებით,

ქართველი მეფეებისა და მწერლების სურათებით და ყოველი ოთახის თითქმის ყოველ კედელზე ეკიდა გალია მომღერალი ფრინველებით, რომელნიც ერთმანეთს გასძახ გამოსძახებდნენ.

მთელი ის საღამო მე მომანდომა იაკობმა".

იაკობმა იმ საღამოს პირისპირ მოლაპარაკების დროს გამოკითხა თურმე მჭედლიშვილს, რომელ სოფლიდანაა იგი, ვინაა მისი მშობლები, რამდენი ძმა და და ჰყავს, სწავლობენ სადმე სასწავლებელში თუ არა და სხვა ამგვარი ხასიათის ცნობები. იოსები თანდათან უფრო გაბედულ პასუხს ეძლეოდა იაკობს და ერთგვარად წელში იმართებოდა.

„როდესაც ლაპარაკში შევეჩვიე და ესეთ დიდ კაცთან ბაასი გავიტეხინე", — მოგვითხრობს იოსებ მჭედლიშვილი თავის მოგონებაში, — „გავთამამდი და კარგად ვაძლევდი პასუხებს. ისე წავთამამდი, აქა-იქ ფრთხილად ენაც დავუწყენე მის სახელმძღვანელოებს.

— ბატონო იაკობ, თქვენ ხალხურ ენას დიდ პატივსა სცემთ, მეც მირჩევთ ხალხური ენით ვწერო, როგორც ილია, აკაკი და რაფიელ ერისთავი, მაგრამ თქვენს წიგნებში ხომ ზოგგან არ არის ხალხურად დაწერილი წერილები?

— აბა სად? მიჩვენეთ, — წამოდგა მაშინვე იაკობი და მოიტანა „ბუნების კარი".

იოსები შეშფოთდა ცოტათი, მაგრამ არ დაიბნა. აიღო „ბუნების კარი" და ერთ ადგილას წააწყდა თავის მტკიცების გასამართლებელ საბუთს.

— აი, ბატონო იაკობ, ავიღოთ მაგალითად ამბავი გველზე. თქვენ სწერთ: „უველამ იცის, რომ გველი შხამიანი ცხოველია". ხალხი ასე არ ამბობს. ხალხი ამბობს: „უველამ იცის, გველი შხამიანი ცხოველია" რა საჭიროა „რომ"?

იოსებ მჭედლიშვილმა ესეთი მაგალითები „ბუნების კარიდან" არა ერთი და ორი მოუყვანა იაკობს.

„იაკობი დაფიქრდა, დაფიქრდა და გაკვირვებით მითხრა: „იცი, უმაწვილო, შენ მართალი ხარ. ზოგიერთ ალაგას არ უნდა „რომ".

„იაკობი კიდევ დაუფიქრდა და შემდეგ მითხრა:

— იცი, უმაწვილო, ჩემ წიგნებს მოგცემ და გაასწორე, რაც კი გასწორების ღირსად სცნო.

გადმოიღო „ბუნების კარი“ და „დედა ენა“ და მომცა. შემდეგ ჩეკი დამიწერა, ბანკში წარსადგენად და მითხრა: „აი ამ ჩეკით ბანკში ფულს მიიღებ და ღრმად დარწმუნებული ვარ, თქვენისთანა ჭკვიანი, ნიჭიერი და კარგი დედამისშვილი ცუდზე არაფერზე დახარჯავთ“-ო. ჩეკის მოცემის დროს დამპირდა კიდეც „საშუალოს რომ გაათავებ, უმაღლესში მე გაგგზავნიო. მან კარებამდე გამომაცილა და წამოვედი. მაშინ ასე 18-19 წლის ვიქნებოდი“-ო.

იოსებ მჭედლიშვილმა იაკობის მოხსენებული დავალება თავის საუკეთესო ამხანაგების დახმარებით პირნათლად დროზე შეასრულა და შესწორებული სახელმძღვანელოები იაკობს წარუდგინა.

„იაკობი ზოგიერთ რამეებში სრულიად სამართლიანად არ დამეთანხმა. ამიტომ აქა-იქ ჩემს გასწორებულებშიაც შევიტანე ცვლილება. მაგრამ ოთხმოცი პროცენტი ჩემი შესწორებისა მაინც უცვლელად მიიღო“-ო, — დაასკვნის იოსებ მჭედლიშვილი თავის მოგონებაში.

„სწორედ იმ ხანებში“, — განაგრძობს იოსებ მჭედლიშვილი, „გაზეთებში ასტყდა განგაში გოგებაშვილის „დედა ენაში“ მოთავსებული ერთი კურიოზის გამო: „დედა ენაში“ გოგებაშვილს ერთგან ისე აქვს გამოყვანილი, თითქოს ოფოფი „კუკუს“ იძახდეს.

ვერცერთმა გაზეთმა ვერ დაარწმუნა გოგებაშვილი, რომ ოფოფი „ოფოფს“ იძახის, იმდენად თავის ნათქვამი კაცი იყო იაკობი.

ამ დროს დამიბარა მე. მივედი თუ არა, იაკობმა მაშინვე ოფოფზე ჩამომიგდო ლაპარაკი. წყენით შემომჩივლა: ყმაწვილო, გესმის ეს ხალხი რას მიმტკიცებს? ოფოფი „კუკუს“ კი არა, „ოფოფს“ იძახისო. შენ როგორც სოფლის შვილმა და დაკვირვებულმა მწერალმა, უნდა ხმა ამოიღოვო“.

„უნდა მოგახსენოთ, ძალიან შევფიქრიანდი. კაცს ისე ღრმად სჯეროდა თავისი ერთხელ ნათქვამი სიტყვა, რომ მთელმა ქვეყანამ ვერ დააჯერა და მე რა შემეძლო! მაგრამ სრც ტყუილის თქმა შეიძლებოდა. ამიტომ მოვიკრიბე რაც ძალი და ღონე მქონდა, გავსწორდი წელში და რაც იქნება-იქნება მეთქი, ვუთხარი:

— „ბატონო იაკობ, მართალი არ ბრძანდებით: ოფოფი „კუკუს“ კი არა, „ოფოფს“ იძახის მეთქი.

— მართლა? — გაკვირვებით სთქვა იაკობმა და შემდეგ დაუმატა: შენ ტყუილს არ იტყვი და ამიტომ შენ დაგიჯერებ“-ო.

ასე დააბოლოვეს იაკობ გოგებაშვილმა და იოსებ მჭედლიშვილმა საკითხი ოფოფის „ოფოფ“-ის ძახილის შესახებ.

ჩვენ სარწმუნო სხვა წყაროებიდანაც ვიცით, რომ იაკობ გოგებაშვილი დიდ ანგარიშს უწევდა იოსებ მჭედლიშვილის აზრსა და შეხედულებას და ეფიქრობთ არა სცდებოდა...

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალება და დასაფლავება

1912 წლის 28 აპრილს იაკობ გოგებაშვილი მოულოდნელად ავად გახდა და ლოგინად ჩავარდა. გორიდან დეპეშით გამოიწვიეს ჩვენი მბცოვანი პედაგოგის ძმისწული შალვა გოგებაშვილი, რომელიც დაუყოვნებლივ თბილისში ჩამოვიდა და ავადმყოფს მოსავლელად თავს დაადგა.

იაკობს მკურნალობდა თბილისში კარგად ცნობილი გამოცდილი ექიმი ტიტე ქიქოძე, რომელიც დღეში რამდენჯერმე მოდიოდა ავადმყოფის სანახავად და საჭირო ზომებს იღებდა მის გასაჯანსაღებლად.

სისტემატიურმა წამლობამ და იშვიათმა მოვლამ თავისი გაიტანა. მაისის ბოლო რიცხვებში იაკობი შედარებით უკვე კარგად გრძნობდა თავს და საზაფხულო აგარაკის მოძებნის თადარიგს იჭერდა.

იაკობს ხველებამ უკლო, სიცხე მთლიანად გამონელდა და გამოჯანსაღების ნიშნად პირისახეზე სიწითლემ გადაჰკრა. ყველანი დარწმუნებული იყვნენ, რომ იაკობმა განსაცდელს თავი დააღწია.

ექიმი ტიტე ქიქოძის მეთვალყურეობით იაკობი საჭირო რეჟიმს იცავდა და სრულიად დაიმედებული იყო, რომ იმ ზაფხულს თბილისიდან სადმე სააგარაკოდ წავიდოდა.

თუმცა იაკობი უკვე კარგად გრძნობდა თავს, შალვა გოგებაშვილი მაინც თავს დასტრიალებდა თავის სახელოვან ბიძას და შეძლებისდაგვარად მზრუნველობას არ აკლებდა.

27 მაისს შალვა გოგებაშვილი მცირე ხნით გორში წავიდა და იაკობის მოლა და ყურისგდება ნათესავ სტუდენტ კასრაძეს და იაკობის ერთგულ მსახურს იაკობ გულუაშვილს ჩააბარა.

სტუდენტი კასრაძე და მსახური გულუაშვილი დიდის მზრუნველობით თავს დასტრიალებდნენ იაკობს და უქმნიდნენ ყოველგვარ პირობებს კიდევ უფრო გაჯანსაღებისათვის.

ექიმი ტიტე ქიქოძე ყოველდღე შემოდიოდა იაკობთან და თვალყურს ადევნებდა მის ჯანმრთელობას.

სამწუხაროდ, მაისის ბოლო რიცხვებში იაკობი მოულოდნელად ავად გახდა და მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა. შალვა გოგებაშვილი დაუყოვნებლივ გორიდან გაიწვიეს. ნაცნობებმა და მეგობრებმა ყოველგვარი ზომები მიიღეს, მაგრამ იაკობის მდგომარეობა უფროდაუფრო საშიშ სახეს იღებდა. იაკობი იმდენად დასუსტდა, რომ მის საწოლ ოთახში გარეშე მნახველებს არ უშვებდნენ, ავადმყოფი ზედმეტი ლაპარაკით კიდევ უფრო არ დაესუსტებიათ.

31 მაისს დილით იაკობის სანახავად მივიდა ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტი, იაკობის ყოფილი მოწაფე, ნიკო ლომოური; იაკობმა მოისურვა ნიკო ლომოური მის საწოლ ოთახში შემოეშვათ. იაკობს ისე გაეხარდა ნიკო ლომოურის ნახვა, რომ ერთბაშად კარგ გუნებაზე დადგა, სახეზე სიწითლემ გადაურბინა და თავისებურად, ძველებურად ამეტყველდა.

მხცოვანი პედაგოგი და მისი საყვარელი მოწაფე დიდხანს გულთბილად ბაასობდნენ და ძველი დროის ამბებს იგონებდნენ.

ნიკო ლომოურმა გამოთხოვებისას იაკობს ხელზე აკოცა და ჯანმრთელად ყოფნა უსურვა.

იაკობმა ღიმილით მიმართა თავის ყოფილ მოწაფეს: „დეკანოზი ხომ არა ვარ, ხელზე რომ მკოცნიო".

„რომელი დეკანოზის ხელი იქნება შენ ხელზე უფრო მადლიანი!"-ო, უპასუხა ნიკო ლომოურმა და კიდევაც გამოეთხოვა.

იაკობი დიდად ნასიამოვნები დარჩა ნიკო ლომოურის ნახვით და მასთან მეგობრული ბაასით.

ნიკო ლომოურის წასვლის შემდეგ იაკობს ნახევარი საათით ჩაეძინა. სამწუხაროთ, როცა გამოიღვიძა, მთელი სხეუ-

ლი ერთბაშად მოუდუნდა, ენა თითქმის წაერთვა, გაუგებრად ლუღლუღებდა და ეტყობოდა გონებას თანდათან ჰკარგავდა.

მხცოვანი პედაგოგი სიკვდილს ებრძოდა, სულიერად და ხორციელად იტანჯებოდა და შველას ვერ ჰპოულობდა. ამ ტრაღიკულმა მდგომარეობამ 1 თიბათვის საღამოს 6 საათამდე გასტანა.

საღამოს სრულ 6 საათზე ქართველი ერის დიდებულმა შვილმა სამუდამოდ თვალები დახუჭა.

ამრიგად, სამუდამოდ გამოეთხოვა ამ ქვეყნიურ ცხოვრებას ის დიდებული ადამიანი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ქართველი ერის საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ, თავდადებულად იბრძოდა და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ქართველი ხალხის გულის სიღრმეში ხელთუქმნელი მარადიული ძეგლი დაიდგა.

ჩვენი ნიჭიერი მგოსანის გ. ქუჩიშვილის სიტყვებით რომ ვსთქვათ:

„აღარ არის... მძიმე კვნესით უცებ ჩაწყდა მკერდში სიმი,
მის ღვთაებრივ მეტყველ ბაგეს განეშორა წრფელი ღიმი...
წმინდა ცხედარს, წმინდა დასნი დაჰგალობენ ჰიმნსა ციურს,
კაცთა ძენი უერთებენ თვის გლოვის ზარს ქვეყნიურს".

არანაკლები მწუხარებითაა მოცული მეორე ჩვენი ნიჭიერი მგოსნის ი. გრიშაშვილის საუცხოო ლექსთა წყობა:

„ცას ღოყები დაეკაწრა... ცა სტიროდა.... ცა სჩიოდა...
ცა სტიროდა ამაყ მებრძოლს, ცა სტიროდა ობოლ მამელს.

. . .

ცეცხლის ცრემლით საფლავს გავსჩრი და ოცნებას შიგ ჩავმარხავ,
ავტირდები, მაგრამ ჩემს ცრემლს ვერასოდეს დაინახავ!
ცას ღოყები დაეკაწრა... ცა სტიროდა... ცა სჩიოდა...
ცა სტიროდა და ჩემსავით მასაც ცრემლი არ სდიოდა!"

იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალების სამწუხარო ამბავი ულვის სისწრაფით მოედო კიდით კიდემდე მთელ საქართველოს.

ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხეებსაც კი გლოვის ზეწარი გადაეფარა.

დიდი და პატარა, ქალი და კაცი, განურჩეველდ წოდებისა და მიმართულებისა, ყველანი ერთხმად უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამდნენ საქართველოს საამაყო შვილის დაკარგვის გამო.

ჩვენი ერის გულწრფელ მწუხარებას მგოსანი ვ. რუხაძე გულწრფელადვე უერთებს თავის გლოვის ხმას და გულკეტკივნეულად ცხარე ცრემლებს ღვრის:

„და დადუმდა სამუდამოდ მისი ენა, მისი ბაგე,
აწ ვერ დასწერს „დედა ენას",
ვერ შთაბერავს გრძნობებს ზენას
და ვერ აღზრდის ჩვენ შვილთ გულში
მშობელ ქვეყნის დიად რწმენას!"

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, რომელმაც თავს იდვა იაკობ გოგებაშვილის დაკრძალვის მეთაურობა, უამრავი დეპეშები მოსდიოდა საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციებისაგან და კერძო პირებისაგან, რომლებიც უდიდეს მწუხარებას გამოსთქვამდნენ საქართველოს საამაყო შვილის დაკარგვის გამო.

ამ უამრავ დეპეშათა შორის, რომლებიც წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის სახელზე მოდიოდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებიდან, არ შეგვიძლია ხაზი არ გაუსვათ მეტეხის ციხის ტუსაღებისა და აკადემიკოს ნიკო მარის დეპეშებს.

მეტეხის ციხის ქართველი ტუსაღების ჯგუფი სწერს: „უკვდავი ყვავილების გვირგვინი ქართული პედაგოგიკის შემქნელს, ქართული ენის განმტკიცებელს, საუკეთესო ქართველ მასწავლებელსა და მამულიშვილს იაკობ გოგებაშვილს... დიდება იმის სახელს, დიდება იმის საფლავს!"

დეპეშის დასასრულს მეტეხის ქართველი ტუსაღები დასძენენ: „დაისვენე!.. იძინე და დეე ნუ შეაშფოთებს შენს მყუდრო და პატიოსან ძილს შავი იჭვი შენი საყვარელი მამულის მომავლის შესახებ. ის იცოცხლებს, იცოცხლებს და არ დაგივიწყებს შენ, შენ, რომელსაც ისე ღრმად, ისე პატიოსნად და თავდადებით გიყვარდა შენი ტურფა, მაგრამ ჯერ კიდევ უბედური ქვეყანა".

ნიკო მარი ანიდან, საცა იმჟამად გათხრებს აწარმოებდა, დეპეშით იწერება: „უგულითადესად ვგლოვობ იმ დანაკლისის გამო, რომელიც ეწია არა მარტო ქართველობას, არამედ ყველას, ვისთვისაც კი ძვირფასია უმაღლესი ინტერესები განათლებისა ამიერკავკასიაში. ნამდვილ რუსულ განათლებაზე

აღზრდილი იაკობ გოგებაშვილი, მზგავსად სხვა მის თანამეშამულეებისა, ნათლად მოუწმობს, რომ კავკასია დიდი ხანია მომწიფდა უნივერსიტეტისათვის და მტკიცება კავკასიის მცხოვრებთა უკულმართობის შესახებ სრულიად უსაფუძვლოა".

ამ ორი საგულისხმიერო დეპეშის შინაარსის გათვალისწინება საკმარისია იმისათვის, რომ პირუთვნელმა ადამიანმა ნათლად წარმოიდგინოს იაკობ გოგებაშვილის მთლიანი ფიზიონომია, იაკობ გოგებაშვილის ის უდავოდ დიდი ღვაწლი, რომელიც მას მიუძღვის არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის მკვიდრთა წინაშე.

ვინ იყო ისეთი ქართველი, რომ იაკობ გოგებაშვილის გაციებულ გვამს ცხარე ცრემლებს არ აფრქვევდა და თავის უსაზღვრო გულისტკივილსა და მწუხარებას საქვეყნოდ არ აღიარებდა!

ექიმი ლევან საყვარელიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა იაკობ გოგებაშვილის გვამის გაკვეთა, უდიდესი გულისტკივილით მოგვითხრობს: „ვერ წარმოიდგენთ, როგორ სულიერ ტანჯვას განვიცდიდი, როცა ამ დიდი ადამიანის გვამს ვკვეთავდი! მთელი საქართველოს ნახევარი საუკუნის თაობა ამ დიდებული მოღვაწის ნაწერებზე აღიზარდა. პირადად მე იაკობ გოგებაშვილის „დედა ენამ" და „ბუნების კარმა" ამიხილა თვალები და ქართული ენის სიტკბოება შემეგრძნობინა. დიახ, პირად მე აღზრდილი ვარ იაკობ გოგებაშვილის ნაწერებზე და განა საშინელება არაა, რო განგებამ ისე მალე მარგუნა ამ დიდებული ადამიანის, ვიტყვი მთელი ქართველობის აღმზრდელის, გვამის გაკვეთა! სულითა და გულით ვიტანჯებოდი, როცა ამ წმინდა, ყოვლად უმწიკვლო ადამიანის გვამზე დოსტაქრის მჭრელი დანა ავამოძრავე. მაგრამ, სჩანს, ბუნების ულმობელი კანონები გარდუვალია, სჩანს, განგება თავისებურად აწესრიგებს ამ ქვეყნიურ საქმეებს და დიდბუნებოვან ადამიანებსაც კი ჩვენდა სამწუხაროდ არ ინდობს"-ო.

იაკობ გოგებაშვილის ცხედარი, წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, ორ თიბათვეს, განსვენებულის საკუთარ ბინიდან თავლია კუბოთი გადაასვენეს ვიდრე დაასაფლავებდნენ ქაშვეთის ეკლესიაში.

ვეძინის ყოფილ ქუჩაზე სამგლოვიარო პროცესიას, რომელსაც უამრავი ხალხი მოსდევდა, შემოხვდა თეთრ ქუდსა და თეთრ ხალათში გამოწყობილი მეფურნე, რომელმაც თვალი მოჰკრა თუ არა თავღია კუბოში ჩასვენებულ იაკობის ცხედარს, ერთი საზარლად შეჰყვირა: „ვაი ჩვენს უბედურებას, ჩვენი „დედა ენის“ დამწერი მომკვდარაო“. მეფურნემ თავისი ფურნე პატარა მსახური ბიჭების ამარა დასტოვა და მწუხარე სახის გამომეტყველებით კუბოს უკანა თავს ხელი მაგრად ჩასჭიდა სახელურში და სხვებთან ერთად შეუცვლელად მიაცილა მიცვალებული ქაშვეთის ეკლესიამდე.

ესევე მოიქცა გზაში რაჭველი მეთონე, რომელიც დასახელებულ მეფურნის მგზავსად ალბად იცნობდა იაკობ გოგებაშვილს და კიდევაც იმიტომ თავის მოვალეობად ჩასთვალა კუბოს ქვემოდან შესდგომოდა და ისე გაეცილებინა ეკლესიამდე.

განსვენებულის დასაფლავების დღეთ დანიშნულ იქმნა 10 თიბათვე, კვირა დღე, იმ მოსაზრებით, რომ მუშა მოსამსახურეებს, რომლებიც კვირა უქმეობით თავისუფალნი იყვნენ სამუშაოსაგან, მონაწილეობა მიეღოთ დასაფლავებაში და ამრიგად პატივი ეცათ და ღირსეულად დაეფასებიათ ჩვენი საამაყო მამულიშვილი.

კვირას, 10 თიბათვეს, ქაშვეთის ეკლესიის გოლოვანში შეიკრიბა მთელი ქართველობა, რუსების, სომხების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები მიცვალებულის პატივსაცემად.

წირვა დილის 8 საათზე დაიწყო. მწირველი იყო ეპისკოპოსი ანტონი ქართველი სამღვდელოების თანამწირველობით. წირვის დროს გალობდა მომღერალთა ოთხი გუნდი.

სანამ მიცვალებულს წესს აუგებდნენ, ეპისკოპოსმა ანტონიმ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის დიდი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც განსვენებულს ქართველი ერის წინაშე მიუძღოდა.

სრულ 12 საათზე მიცვალებული გამოასვენეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრებმა და სამგლოვიარო ეტლზე დაასვენეს.

პროცესია ლორისმელიქოვის ქუჩით პუშკინის ქუჩისაკენ

გაემართა. კუბო ცოცხალი ყვავილებითა და თაიგულებით იყო შემკული.

სამგლოვიარო პროცესია პუშკინის ქუჩიდან გაემართა სასახლის ქუჩისაკენ, საცა მცირე ხნით შეჩერდა წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიის წინ და პანაშვიდის გადახდის შემდეგ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა. ორატორმა ამ გამოსათხოვარ სიტყვაში განსაკუთრებულად ხაზი გაუსვა განსვენებულის იმ ნაყოფიერ მოღვაწეობას, რომელიც აწ უკვე განსვენებულ დიდ მოღვაწეს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე მიუძღოდა.

სასახლის ქუჩიდან პროცესია გოლოვინის პროსპექტით ვერის დაღმართისაკენ გაემართა. ვერის დაღმართის დასაწყისში პროცესია კვლავ შეაჩერეს და მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ქუთაისის მასწავლებელთა წარმომადგენელმა გ. ნიორაძემ, სომხური გაზეთის „აბგიურ-ტარაზის“ რედაქტორმა ტიგრან ნაზარიანმა და თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელთა კორპორაციის სახელით ალ. მიქაბერიძემ.

პროცესია მოხსენებულ პირთა სიტყვების შემდეგ დაეშვა ვერის დაღმართით, იგი მთლიანად გაიშალა მიხეილის პროსპექტზე და ნაშუადღევის სრულ ორ საათზე დიდუბის ეკლესიის გალავანს მიაღწია.

მიცვალებული მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა საბგლოვიარო ეტლიდან გადმოასვენეს და საფლავის პირას დაასვენეს. პანაშვიდის გადახდის შემდეგ გამოსათხოვარი სიტყვებით გამოვიდნენ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები და კერძო პირები, რომლებიც ყოველის მხრით აშუქებდნენ განსვენებულ იაკობ გოგებაშვილის ნაყოფიერ მოღვაწეობას თითქმის მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. სრულ ოთხ საათზე დიდებული ქართველის ცხედარი მიწას მიაბარეს...

სოფრომ მგალობლიშვილი

იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილს მესამოცე წლების მოღვაწეებში ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს, როგორც პედაგოგს, პუბლიცისტს და საზოგადო მოღვაწეს.

ის დაიბადა გორის მაზრის სოფელ ვარიანში, სვიმონ მღვდლის გოგებაშვილის ოჯახში. მამა მისი სვიმონი მშვენიერი სახის კაცი იყო.

იაკობი უფროსი შვილი იყო სვიმონ მღვდლისა; სემინარიაში სწავლის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც პირველი შეგირდი, სახელმწიფო ხარჯით გაგზავნეს კიევის სასულიერო აკადემიაში, რომლის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა სამშობლოში. როგორც მახსოვს, იაკობი მოვიდა გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც ადგილის შოვნა სურდა, მაგრამ მისდა საბედნიეროდ ადგილი იშოვნა ტფილისის სასულიერო სასწავლებელში. იაკობი, ივანე მაჩაბლისებური პიროვნება იყო: ისეთივე ფხიზელი, სწრაფი მოლაპარაკე, ცქვიტი, პირუთვნელი, მტყუანის კარებამდე მიმყოლი, უმაღლესი პატრიოტი და ჭამულიშვილი. სამშობლოს წინააღმდეგ თუ რამე დაისტამბებოდა რუსეთის თუ ტფილისის დროგამოშვებით გამოცემებში, მაშინვე მეხივით დაეძგერებოდა.

იაკობი ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად დანიშნეს იმ დროს, როდესაც რუსეთში, ყირიმის ომის შემდეგ, ახალმა სიომ დაჰბერა, რუსეთი განახლების გზას დაადგა; ლიტერატურამ, მწერლებმა ფარდა ახადეს რუსეთის ბნელ ცხოვრებას და დაუწყეს მას წამლობა.

ამ დროს ასპარეზზე გამოდის ნიკოლოზ პირაგოვი, რომელმაც დაჰგმო მაშინდელი სწავლა-აღზრდის საქმე თავის თხზულებაში — „ცხოვრების საკითხები». ამ წერილებმა დიდი

ალიაქოთი ჩააგდო რუსეთის საზოგადოებაში. მაშინდელმა რუსეთის გამოჩენილმა კრიტიკოსმა ნ. დობროლიუბოვმა რამდენიმე წერილი უძღვნა „სოვრემენიკში" პირაგოვის წერილებსა და საზოგადოდ მის მოღვაწეობასა. რასაკვირველია, ჩვენს ფხიზელს, ახალგაზდა პედაგოგს იაკობს ეს პირაგოვის გამოსვლა არ გამოეპარებოდა. ჩვენს სასწავლებელში „როზგი" და ცემა-ტყეპა იყო გამეფებული. იაკობი შეებრძოლა და მოსპო თავის სასწავლებელში „როზგი" და ყველანაირი დასჯა, რის გამო ბევრი უსიამოვნობა თურმე შეხვდა მას მასწავლებლებისაგან, რომელნიც ვერ ელეოდნენ ძველ ჩვეულებას. თვით ძალიან სასტიკად ექცეოდა მოსწავლეებს. ე. ი. სიტყვით სტუქსავდა და სთხოვდა წესიერებას, შეაჩვია ბავშვები საბავშვო წიგნების კითხვას, ასე რომ მისი შეგირდები ერთობ შეგნებულნი იყვნენ, განვითარებულნი და სემინარიაში ყველა სხვა სასწავლებლებს მოწაფეებზე მაღლა იდგნენ ცოდნით და შეგნებით.

იაკობი რუსეთიდან ჯანგატეხილი ჩამოვიდა. სხვა უფრო ადრე გამოესალმებოდა წუთისოფელს, მაგრამ მან აქაც თავის თავს მკაცრი დისციპლინა დაუწესა: სცხოვრობდა ნორმალურად და დიეტის დაცვით. იმ დროს. სამოციან წლებში, ტფილისში საკმაოდ მოიპოებოდა ქართველი ახალგაზდობა: გამოდიოდა „დროება" ს. მესხის რედაქტორობით; აქ იყვნენ თავმოყრილნი: ს. მესხი, გ. წერეთელი, აკაკი, ანტონ ფურცელაძე (ფსევდონიმით „ზურაბ მოენიძე"), პეტრე უმიკაშვილი. ილია ჭავჭავაძე მაშინ ტფილისში აღარ იყო და აღარც სწერდა. (მე მოგახსენებთ 1867 წ. ამბავსა). ჯერ არც ნიკოლაძე იყო ჩამოსული. ამ ზემოდ დასახელებულ ჯგუფს მოემატნენ ნიკოლოზ (კოლა) ყიფიანი, დიმიტრის შვილი და ლევან მღებროვი, ტომით გორელი სომეხი, მაგრამ ქართველებთან განუყრელი: ეს ორნი პეტროგრადის უნივერსიტეტიდან დაითხოვეს და გამოგზავნეს ტფილისში. აი ესენი ყველანი იკრიბებოდნენ იაკობთან, რომელიც იდგა სემინარიის ზემო სართულში ეხლანდელ ლორის-მელიქოვის ქუჩისაკენ; ამათ ამ წელში, ე. ი. 1867 წ. დაემატნენ მოსკოვის აკადემიის კურს დამთავრებულნი წიკო ცხვედაძე, გიორგი იოსელიანი და კიევიდან თომა ტურიაშვილი. იაკობის სახლი სწორეთ სტანკევიჩის სახლი იყო; ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ მასთან; ჩვენ, სემინარიის შე-

გირდები, ბურსაში მცხოვრებნი, იაკობის სადგომის პირდაპირ ოთახებში ვცხოვრობდით. იაკობთან დაიარებოდნენ სემინარიის უფროსი კლასის მოწაფენიც. იმათ გამოჰქონდათ იაკობის სახლში აღძრულ კითხვების შინაარსი. მთელი მათი აზრი ტრიალებდა სამშობლო ქვეყნის, ენის, ლიტერატურის გარშემო. ამ ხანებში ნიკო ნიკოლაძეც გაჩნდა საფრანგეთიდან და დაიწყო სრულიად ახალი ხანა ჩვენი მწერლობისა, ხანა აღორძინებისა.

იაკობს ერთი უპირველესი ადგილი ეჭირა ამ ჯგუფში. როგორც იაკობს, ისე სხვა ქართველ მასწავლებლებს, შემოჰქონდათ კლასებში ახალ-ახალი წერილები ჩვენი მაშინდელი მწერლებისა, განსაკუთრებით ილიასი, გვიკითხავდნენ კლასებში ჩუმად, რომ სემინარიის მთავრობას არ გაეგო. ამ გარემოებამ დიდი გავლენა იქონია მაშინდელ მოწაფეებზე, რომელთაც სემინარიაში გამოსცეს ხელთნაწერი ჟურნალი „შრომა“. ამ იაკობთან მავალი ჯგუფის გავლენით აღიზარდნენ სემინარიაში რამდენიმე მწერალი: ნიკო ლომაური, იოსებ ბაქრაძე, გიორგი უთურგაული, იონა მეუნარგია, სხვათა შორის მეც, ამ სტრიქონების დამწერი და სხვანი. ბოლოს და ბოლოს ჩვენც გავეცანით იაკობს, ღამ-ღამობით ჩუმად შევდიოდით მასთან. იგი დიდის ხალისით გადმოგვცემდა ხოლმე ჩვენი მწერლების ახალ-ახალი ნაწარმოების შინაარსს და ხშირად წიგნებსაც მოგვაწოდებენდა ხოლმე.

ბოლოს მთავრობამ შეიტყო იაკობის და ქართველ მასწავლებელთა მუშაობა ქართველ შეგირდების გათვითცნობიერების შესახებ; ასტყდა დევნა და სრულიად დაითხოვეს ყველანი. მაშინ იაკობი უფრო მუყაითად შეუდგა ქართულ სახელმძღვანელოების შედგენას... იაკობი ნამდვილი დარაჯი იყო ქართული ახლად დაწყებული საქმისა. თუ ვინმე გადაეღობებოდა ამ დაწყებულ საქმეს, იგი უპასუხოდ არ გაუშვებდა, რუსულს ჟურნალ-გაზეთებში აძლევდა პასუხსა „ვარიანელის“ ფსევდონიმით.

ალექსანდრე მეორის მოკვლის შემდეგ, ყველგან საშინელი რეაქცია გამეფდა. ჩვენ, ქართველებს, ხომ უფრო მოგვიჭირეს მუხრუჭი; ქართული ენის ჭაჭანება არ იყო, მაგრამ იაკობი, როგორც პედაგოგი, გაუმკლავდა ამ რეაქციას; იგი წიგნს წიგნზე სცემდა მოზრდილი თაობისათვის; გამოსცა საწერი

„დედანიც“ 1884 წელში, მაგრამ დ. კეზელი (ზოილის ფსევდონიმით), ყოველივე ქართულს დაწყობილებას ჰკიცხავდა რუსულს გაზეთებში. როცა „დედანი“ გამოსცა, შემომჩივლა დაღალვა. მე ვურჩიე მოსულიყო ზაფხულში სოფ. ხიდისთავს (ქ. გორის ახლო) და დაესვენა. იაკობმა ამის და „დედნის“ შესახებ 1884 წ. ენკენისთვის 13-ს წერილი მომწერა, რომელიც ჩემს არხივში ინახება.

ზემოდ მოგახსენებთ, რომ იაკობი უპასუხოთ არ დატოვებდა, თუ ვინმე ქართველი ერის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. ერთი ხანა იყო ოთხმოციან წლებში, რომ ქართულ ენას დაუწუეს დევნა, ქართული დროშა შეურაცხყვეს და სხვა ამ გვარები. იაკობმა გაამზადა ორი რუსული წერილი მოსკოვის ჟურნალ-გაზეთებში დასაბეჭდათ და გამომიგზავნა წერილით 1887 წ. ივნისის 12-ს, მთხოვდა გადაწერას. მეც გადაუწერე და საჩქაროდ გაუგზავნე.

იაკობი ერთობ ფიცხი იყო: თუ წერილს რედაქცია მაშინვე არ დაუბეჭდავდა, შემოსწყრებოდა და რომ ხვეწნიყავით, აღარას მოგაწოდებდათ. მე მუდმივ ვთანამშრომლობდი „იევრიაში“ ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობის დროსაც, გრ. ყიფშიძესთან ერთად. რაღაც წერილი მოეტანა ყიფშიძესთან დასაბეჭდათ. იმას მივიწყებოდა და მე მომწერა იაკობმა სასტიკი წერილი: გთხოვთ ეგ რვეული ჩემის ბიჭის ხელით უკან დამიბრუნოთ, მე მას „იევრიაში“ ვეღარ დავბეჭდავ თუნდ ერთხმივ მთხოვოთო. მერე წერილით 22 ივნისიდან 1903 წ. დამიბარა ქაშუეთის ეკლესიის მაღაზიებთან მოსალაპარაკებლად. ლაპარაკი შეეხო იმის წერილს, რომელიც ყიფშიძეს ჯერ არ წაეკითხნა და დროზე ვერ დაბეჭდა. ეს წერილი ეხებოდა დეკანოზ ვოსტორგოვის ხრიკებს ქართველების დევნაზე. ბევრი ვეხვეწე, ვარწმუნე, რომ განზრახ არ მოგვსვლია, მაგ წერილის დაუბეჭდაობა. ცოტა მოლბა, მაგრამ წერილი მაინც არ მომცა.

იმ კერძო წერილში, რომელიც მე მომწერა 1884 წელს ეხება დ. კეზელს, რომელმაც რუსულ გაზეთში მისი „დედნის“ ესახებ მოათავსა ბიბლიოგრაფიული შენიშვნა და იაკობი ცუდათ მოიხსენია. დავით კეზელი, რომელიც დავით სოსლანის და ზოილის ფსევდონიმებით სწერდა ჯერ ქართულს გაზეთებში და მერე, როდესაც იგი ივ. მაჩაბელმა გამოდევნა თავის „დროებიდან“ შეუფერებელი ფელეტონებისათვის, რუ-

სულ გაზეთებში გადინაცვლა ნიკო ნიკოლაძესთან. ერთხ ლირფი მწერალი იყო. უსათუოდ დაეტაკებოდა ჩვენს მოწინავე კაცებსა — ილიას, აკაკის და გოგებაშვილს, თვისს ნამასწავლებლარს. უზნეო წერისათვის ნაკოლაძემაც განდევნა კეზელი თავის გაზეთიდან და მერე შეეკედლა იზმაილოვს „Новое обозрение“-ში და შემდეგ „ტფილისის ფურცელს“, ხეჩატუროვების გაზეთსა. კეზელმა რამდენჯერმე გაილაშქრა იაკობის სახელმძღვანელოების წინააღმდეგ, ჩაუვარდათ პოლემიკა. იაკობმა ძალიან გაცოცხა კეზელი. ამაზე ზემოთაც არის ნათქვამი; მაგრამ კეზელმა მაინც არ მოისვენა. გაარჩია იაკობის საბავშვო საკითხავი კრებული „კონა“ და უწოდა, როგორც ამ კრებულს, ისე სხვა სახელმძღვანელოებს უნიჭოდ და უგვანოდ შედგენილი კრებულები. აბა, იაკობის ტემპერამენტი როგორ მოითმენდა ამას, დასწერა ცხარე წერილი „Нов. обозрение“-ში რედაქტორთან სათაურით: „უკანასკნელი ანდერძის აგება დ. კეზელს“, მაგრამ ეს წერილი გაზეთმა არ დაბეჭდა. შემდეგ ეს რუსული წერილის ერთი ეგზემპლიარი იაკობმა მე გამომიგზავნა „ივერიაში“ დასაბეჭდათ, მაგრამ აღარა ღირდა მისი დაბეჭდვა, ვინაიდან კეზელთან პოლემიკა მხოლოდ წყლის ნაყვა იქნებოდა. ეს რუსული წერილი მე ჩამრჩა. იაკობზე ზოგიერთნი ამბობდნენ ხოლმე, რომ იგი ამპარტავანი, გოროზი კაციაო. ამას ამბობდნენ ვინც დაახლოებით არ იცნობდა მას.

მას სეირნობა უყვარდა კარგ დარში. ისე სხვა დროს გაფრთხილებული იყო, გაცივებისა ეშინოდა, ისედაც სულ ავადმყოფად გრძნობდა თავსა. სიარულის დროსა თავაღებული დადიოდა და ამაყი შეხედულება ჰქონდა. შეიძლება ამ მისმა ამაყმა შეხედულებამ დაარწმუნა ზოგიერთნი ამის ამპარტავნება-გოროზობაში. იაკობი ცხოვრებაში მდაბიო კაცი იყო, უყვარდა საჭირ-ბოროტო საგნებზე ლაპარაკი, უყვარდა სადილზე შეჭცევა, ლხინი, სიმღერა. ერთს ზაფხულს აგარაკად იყო სურამში; ვეწვიეთ მე და ვანო მაჩაბელი. სურამში შეგვხვდა აკაკი და არისტო ქუთათელაძე. იაკობს ძალიან გაეხარდა, გაგვიმართა სადილი ფონას სადგურთან, მშვენიერს ჭალაში; ფონა არის საზღვარი ამერ-იმერეთისა; მაშინ რკინის გზა ფონაზე მიდიოდა. სადილზე ბევრი ვილხინეთ; „მრავალ-ჟამიერს“, „ორდღელას“ და სხვა სიმღერებს თვით იაკობი იწყებდა და

ჩვენ მოძახილს და ბანს ვეუბნებოდით. ჩვენს ოცნებას საქართველოს მომავალ ბედზე საზღვარი არ ჰქონდა. ყველა, ღვინისაგან ცოტა შეხურებულნი, ვწინასწარმეტყველობდით სამშობლოს დახსნას რუსეთის მონარქიის ბრჭყალებიდან.

იაკობს წარა-მარა ლაპარაკი არ უყვარდა; მისი სიტყვა, მისი აზრი, მისი ფიქრი მუდამ თავს დასტრიალებდა სამშობლოსა, რომლისადმი მისი სიყვარული უსაზღვრო იყო. რასაც წოულობდა და პოულობდა, რაც კი შემოსდიოდა სახელმძღვანელოებიდან, სულ საქველმოქმედო საქმეს ანდომებდა. იაკობზე ამბობდნენ ნათესავებისადმი გულცივიაო, მაგრამ ტყუილად — პირიქით, იგი არც ნათესავებს ივიწყებდა: ძმის და დისწულები დაზარდა სასწავლებლებში თავის ხარჯით, ხელს უმართავდა გაჭირვებულ ქართველ სტუდენტებსა, ასე გასინჯე, ძმის და დის სიძეებსაც კი არ ივიწყებდა: რამდენიმე წერილი მომწერა, რომ იმის მღვდელ სიძისათვს ჯამაგირი დამეწიშნებინა (სინოდალურ კანტორის მდივნად ვიყავ და ჯამაგირების დამნიშვნელ კომისიაში წევრად ვითვლებოდი), მანამ დამატებითი ჯამაგირი არ დაუნიშნეთ, არ მომეშვა.

1910 წ. მარტში მე იძულებული ვიყავი სამსახურისათვის თავი დამენებებინა, ვინაიდან ექსარხოს ნიკონის სიკვდილისა გამო რაღაც ცილები დამწამა გულქვა ეპისკოპოსმა გრიგოლმა, რომელმაც სინოდს დამასმინა. დიდს გაჭირვებაში ჩავარდი ცოლშვილით დატვირთული. აი აქ მე ძმური ნუგეში და შემწეობა მომცა იაკობმა, ამიჩინა კერძო-კერძო საქმეები, მაძლია თავისი სახელმძღვანელოების კორექტურა და ასე იოლად გამოვდიოდი. მირჩია, სათავად-აზნაურო ბანკში ითხოვე აგენტიო. საუბედუროდ ჩემდა მაშინ ილია აღარ იყო ცოცხალი და მაშინდელი გამგე ანტონ ფურცელაძე ჩემზე უგულოთ იყო და ხმაც დაჩიყარა, რომ დიდი შეძლება აქვსო. ეს რომ იაკობმა გაიგო, გულმა არ მოუსვენა და შეხვედრის დროს ანტონს საყვედურით მიმართა.

1911 წ. თებერვლის 1-ს, წერილი გამომიგზავნა, რომელშიაც მწერდა, რომ ჩვენს ხალხს ერთი ყოველ-წლიური გამოცემა აკლიაო, სახალხო კალენდარიო: იკისრე ამ კალენდარის შედგენა და გამოცემა, მე ნივთიერადაც დაგეხმარები და ხელმძღვანელობასაც გაგიწევო. ქაღალდს გამოგატანინებ საიდანაც ეჯობინება, თავმდებათ დაგიდგებიო. მირჩევდა გადამე-

კითხა რუსული სახალხო კალენდრები, უფრო კი მირჩევდა კალენდარს გოობუნოვ-პოსადოვისას, რომელიც მიმდევარი იყო და არის განსვენებულის ტოლსტოისაო. მე სხვა საქმეები გამიჩნდა და ვერ შევძელ იაკობის სურვილის შესრულება. ის ასეთი კეთილი და მზრუნველი იყო იაკობი ყველა გაჭირვებულ ქართველი მოღვაწისათვის.

თვით უცოლშვილოთ, უოჯახოთ გადაეგო, თავისი ყოველი ქონება და ცხოვრება დაუტოვა ქართველ საზოგადოებას.

იგი გარდაიცვალა ქ. ტფილისში, მთაწმინდის ერთს უბანში, 1912 წ. თიბათვის 1 დღესა, დიდი ავადმყოფობის შემდეგ, უკვე მოხუცებაში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წ ი ნ ა თ ქ მ ა 5
ცხოვრება 7
„დედა-ენა" არის ენა სულისა და გულისა" 116
მხატვრული შემოქმედება 145
ი. გოგებაშვილი და სალხური სიტყვიერება 243
ი. გოგებაშვილი და ქართული ჟურნალისტიკა 254
დამატება. იაკობ გოგებაშვილი თანამედროვეთა მოგონებებში:
ი. ბახტაძე — ა. წულუკიძე იაკობ გოგებაშვილის შესახებ (პატარა მოგონება) 277
ჩემი პატარა მოგონება, როგორ შეფასებას აძლევდა ი. გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძეს, როგორც ქართველ კულტურის და ენის დიდ მოამაგეს 279
გაბრიელ ეპისკოპოსი იაკობ გოგებაშვილის შესახებ (პატარა მოგონება) 283
ლ. ბზვანელი — ჩემი მოგონებანი იაკობ გოგებაშვილზე 285
მოგონება ი. გოგებაშვილზე 289
კრ. ბიბილური — კასრაძისა — მოგონებანი ბიძია იაკობ გოგებაშვილზე 293
გრ. ბურჭულაძე — მოგონება ი. გოგებაშვილზე 305
ალ. გარსევანიშვილი — მოგონება ი. გოგებაშვილის შესახებ 311
დ. დავითაშვილი — იაკობ გოგებაშვილის უანგარობა 313
ი. იმედაშვილი — სინათლის შუქი — სიბნელის მფანტველი, იაკობ გოგებაშვილის ხსოვნისათვის (ჩემი მოგონებიდან) 315
მ. კალანდარაშვილი — იაკობ გოგებაშვილი (ერთი ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან) 326
ნ. ლომოური — იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი 329
ი. მანსვეტაშვილი — მოგონება ი. გოგებაშვილზე 342
ალ. მდივანი — დიდი ქართველი იაკობ გოგებაშვილი (მოკლე, მკრთალი მოგონება) 344
შ. მღვიმელი — იაკობ გოგებაშვილი (მოგონება) 351
ი. მჭედლიშვილი — მოგონებანი იაკობ გოგებაშვილზე 368
ი. სრესელი — ეპიზოდები იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებიდან 372
პ. წულუკიძე — ჩემი მოგონება ი. ს. გოგებაშვილზე 391
ჩემი მოგონებანი იაკობ გოგებაშვილის კერძო ცხოვრებიდან 396
ა. მიქაბერიძე — ნარკვევი ი. გოგებაშვილზე მოგონებების სახით 400

რედაქტორი ნანა ხუხიტაშვილი
მხატვრული რედაქტორი გურამ ზაქალაშვილი
ფოტოების ავტორი გენადი სანაია
ტექრედაქტორი ემა მუზაშვილი
უფ. კორექტორი მაგული კებულაძე
კორექტორი იზოლდა დონაძე
გამომშვები ლალი დავითური

ИБ № 1405 Научно-популярное издание

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27.03.91. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. საბეჭდი ქაღალდი 2. გარნიტურა ვენა. ბეჭდვის ხერხი მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 34+0,5 ჩას. პირ. ნაბეჭდი თაბახი 28,56+0,42 ჩას. საღებავგატარება 29,19. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 25,34+0,36 ჩას. ტირაჟი 20.000. შეკვეთა № 1115.

ფასი 5 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Г. Чубинашвили № 50.
1991

Зураб Вахтангович Бочиадзе

ИАКОБ ГОГЕБАШВИЛИ

(На грузинском языке)